სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი
Sukhishvili Teaching University

მესამე საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

"თანამედროვეობის მეცნიერული საკითხები"

Third International Scientific-Practical Conference

"Scientific Issues of the Modernity"

გორი, საქართველო

Gori, Georgia

2012

UDC (უაკ) 378 (479.22) (06)
გ-716

კონფერენციის სპონსორი და ორგანიზატორი:
სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი

მესამე საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის
საორგანიზაციო კომიტეტი

1. ვალერი სუხიშვილი – საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, სუხიშვილის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი.
2. რუსუდან გოხელაშვილი – სუხიშვილის უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პრორექტორი.
3. ავთანდილ ლაფაჩი – სუხიშვილის უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი.
4. ლაშა ნინოშვილი – სუხიშვილის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, მედიცინის დოქტორი, პროფესორი.
5. ლალი ქარელი – სუხიშვილის უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი.
6. ანა ჭოთოლაშვილი – საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის ცენტრის ხელმძღვანელი

პროგრამული კომიტეტი

1. ავთანდილ ლაფაჩი _ ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, სუხიშვილის უნივერსიტეტის სრული პროფესორი
2. ლაშა ნინოშვილი _ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, სუხიშვილის უნივერსიტეტის სრული პროფესორი
3. დალი გოგინაშვილი – სოფლის მეურნეობის მეცნიერებატა აკადემიური დოქტორი, სუხიშვილის უნივერსიტეტის სრული პროფესორი
4. იზოლდა ბუხულეიშვილი – პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, სუხიშვილის უნივერსიტეტის სრული პროფესორი
5. მანანა გაგოშიძე – ფილოსოფიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, სუხიშვილის უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი
6. მაია კაკანაძე _ ფილოსოფიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, სუხიშვილის უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი
7. ნაილი მელანაშვილი – ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, სუხიშვილის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

სარედაქციო კოლეგია

1. გაგა ტერინე სუხიშვილი - სუხიშვილის უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დოქტორანტი
2. ნინო ბიბილაშვილი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სუხიშვილის უნივერსიტეტის პროფესორი
3. ანა ჭოთოლაშვილი – საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის ცენტრის ხელმძღვანელი

© სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი, 2012

გამომცემლობა „უნივერსალი", 2012

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 3(
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-863-4

მეცნიერება კაცობრიობის ბედნიერ ცხოვრებას ქმნის

სუხიშვილის უნივერსიტეტში კვალიფიციური სპეციალისტების მომზადების უპირველესი საკითხია პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების მიერ მეცნიერული კვლევა-ძიების გაღრმავება, მეცნიერული მიღწევების შესწავლა და მისი განვითარება.

ამ მიზნით სისტემატიურად ტარდება ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები, სტუდენტთა საუნივერსიტეტო და შიდა სამეცნიერო კონფერენციები. მიზანი – მეცნიერული კვლევა-ძიების გაანალიზება, სიახლის განზოგადება და მსოფლიო მეცნიერული მიღწევების დანერგვაა.

ამა წლის 14-15 დეკემბერს სწორედ ამ მიზანს ემსახურება სუხიშვილის უნივერსიტეტში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარება, რომელშიც მონაწილეობას ღებულობენ მსოფლიოს და საქართველოს გამოჩენილი მეცნიერები, მათთან ერთად უნივერსიტეტის წამყვანი პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც კონფერენციაზე წარმოადგენენ თავიანთ კვლევა-ძიების მიღწევებს მეცნიერებაში. მათ მიერ წარმოდგენილ მეცნიერული კვლევის შედეგებს ფართო საზოგადოება გაეცნობა საინტერესო მასალებს თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებზე. კონფერენციაზე განხილული სამეცნიერო შრომის მიღწევები, სიახლეები და პერსპექტივები ქვეყნდება უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებულში.

ამ ფრიად მნიშვნელოვანი ღონისძიებით უნივერსიტეტი კიდევ ერთ მამულიშვილურ წვლილს შეიტანს ეროვნული მეცნიერების განვითარების მიღწევებში და კვლავაც სისტემატიურად წარიმართება მუშაობა ამ მიმართულებით.

ვულოცავ კონფერენციის მონაწილეებს საერთაშორისო კონფერენციის მიმდინარეობას და ვუსურვებ ახალ-ახალ წარმატებებს მეცნიერულ მიღწევებში ჩვენი ქვეყნის და კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

ვალერი სუხიშვილი
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი

Science creates happy life of mankind

Priority of Sukhishvili Teaching University is to prepare qualified specialists and to deepen student's scientific-research work, to study and develop scientific achievement.

In accordance with this purpose local and international scientific conferences are systematically held. The aim is to analyze scientific research, to generalize novelty and to implement world's scientific achievement.

On 14-15 th of December an international – Scientific Conference is held. Well-known sciences and Sukhishvili University professors are participating in it. On the Conference they will present their own achievements in science. Society will look at interesting materials about the actual issues of the modernity presented by them.

Discussed scientific researches, news and perspectives will be published in the university collection of scientific works.

With such important event university will facilitate in the achievements of national science development. And working in this direction will be systematically.

Let me congratulate this memorable event and opening an International Conference and wish you success in scientific researches for the further benefit of our country and mankind.

Valeri Sukhishvili
Doctor of Agricultural Sciences, Professor
Rector of Sukhishvili Teaching University

სარჩევი

სექცია №1
ბიზნესი

1. ავთანდილ ლაფაჩი
მცირე ბიზნესის დაკრედიტების პრობლემები და მისი დაძლევის გზები საქართველოში 10

2. გიორგი კიპაროიძე
ლოგისტიკის და მარკეტინგის ურთიერთკავშირი 15

3. გიორგი კიპაროიძე, ირაკლი კინწურაშვილი
უპროცენტო სესხები და ეროვნული აგრომეურნეობის განვითარების საკითხები 17

4. გიორგი ზიბზიბაძე
ალტერნატიული ენერგო რესურსები – მდგრადი განვითარების კონტექსტში 21

5. ბესარიონ ნაყოფია
საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პრობლემები და მათი გადაჭრის საკითხისათვის 25

6. მერაბ ვანიშვილი, ნინო ვანიშვილი
სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა: არსი, ფორმები და მექანიზმები 33

7. ლალი ვარდიშვილი
ეკონომიკური კრიზისი: ინოვაციური განვითარების მართვის პრობლემები და ამოცანები 40

8. ირინა ტიტარენკო
ბიზნესის მართვის ინფორმაციული უზრუნველყოფა გადაწყვეტილების მიღებისას 43

9. ნაირა ტაბატაძე
რისკების შესწავლა და გათვალისწინება არის წარმატებული მმართველობითი აღრიცხვა 47

10. იოსებ ფალელაშვილი
საგადასახადო დაბეგვრის აქტუალური საკითხები 50

11. ლალი ოსაძე, სოფიო ცეცხლაძე
საქართველოს ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი ასპექტი 55

12. ივანე ოქრომჭედლიშვილი, ზურაბ ბერიძე
პროგრამული ბიუჯეტირება, როგორც სახელმწიფო ფინანსების მართვის ხარისხის გაუმჯობესების ინსტრუმენტი 59

13. ციური ნოზაძე
ინტერნეტ-უსაფრთხოება და ინფორმაციის დაცვის პრობლემების შესახებ საქართველოში 65

14. ნს ჰედჩენკო
"გამოყენების რეჟიმის" მოხმარების კატეგორიის სისტემური მიდგომა ორგანიზაციის განვითარებისათვის 68

15. მიხეილ ნიკოლეიშვილი, ალექსანდრე შანგუა
მთელმნიშვნელობიანი ოპტიმიზაციის ამოცანის შესახებ 71

16. მანანა მჭედლიშვილი
სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგია საქართველოში 74

17. იოსებ მამესწარაშვილი
ფულის წარმოშობა და განვითარება 77

18. ელსევერ ნარიმან ოგლუ კერიმოვი
ეკონომიკურ საკითხთა განვითარების პრობლემები ზერბაიჯანის რესპუბლიკაში 80

19. ნუგზარ იოსებაშვილი, ლია ბერიძე
ბიზნესის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში 85

20. ნაზი გვარამია
კორპორაციის ფინანსური ანგარიშგების ზოგიერთი ასპექტი 89

21. გაგა გურაბანიძე
წარმოების პროცესი და ეკოლოგიური სიტუაცია 96

22. ლევან გრიგალაშვილი
საქართველოს სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სისტემა და მისი სრულყოფის გზები 101

23. ნაილი გაგნიძე, თეა ბიჭიკაშვილი
საქართველოს კონკურენტუნარიანობის დარგობრივი პრიორიტეტები 110

24. თამარ დუდაური
ურთიერთკავშირი სტრატეგიულ დაგეგმეას, ბიზნეს დაგეგმვასა და ბიუჯეტირებას შორის 113
25. ნათია დაღელიშვილი, მიხეილ ძაგანია
საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული სავაჭრო ურთიერთობებიდა სამომავლო პერსპექტივები 118
26. ლალი სრესელი
დასაქმების პოტენციალი შიდა ქართლის რეგიონში 123
სექცია №2
აგრარული მეცნიერებები
1. პეტრე ნასყიდაშვილი, ვალერი სუხიშვილი, ია ბასყიდაშვილი, ქეთევან მჭედლიშვილი
საქართველოს ხორბლის ღირსება 128
2. პეტრე ნასყიდაშვილი, ვალერი სუხიშვილი, ია ნასყიდაშვილი, ქეთევან მჭედლიშვილი
ზოგიერთი ისტორიული ცნობა "ურის" შესახებ 133
3. ვალერი სუხიშვილი
მეცნიერული კვლევა-ძიების მიღწევები სოფლის მეურნეობის აღმავლობის საფუძველთა საფუძველია 136
4. ავთანდილ ზედგინიძე
სატყეო დარგის ზოგიერთი პრობლემა და მათი გადაწყვეტის გზები 140
5. დიანა ტატუნაშვილი
წონაწსორობის დინამიკური ხასიათი და სტატისტიკა 145
6. ნიკოლოზ მესხი, იოანე მესხი
ეკონომიკური აღმავლობის და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ასპექტები საქართველოში (მეფუტკრეობის მაგალითზე) 148
7. ლია კოპალიანი, შორენა კაპანაძე
კეთილშობილი დაფნის ადრე შერჩეული მაღალზეთიანი ფორმების გენერაციული თაობის შესწავლის შედეგები 152
8. ლია კოპალიანი, როლანდ კოპალიანი
კეთილშობილი დაფნის მცენარის სხვადასხვა ფორმის ფოთლებში ეთერზეთის დაგროვების ზოგიერთი თავისებურება 155
9. ზაჭარია გინტური, მაია ტუღუში
ტყის დაცვა, ფსილიდოფაუნის გავრცელება ტყის კულტურებზე მდინარეების: პატარა ლიახვის და მეჯუდის ხეობების მაგალითზე 158
10. ლეილა ებრალიძე, გიორგი ჯაბნიძე
ციტრუსოვანთა ნარგაობის აღდგენა-განვითარებისა და გაუმჯობესებული ჯიშების დანერგვის შესაძლებლობები და პერსპექტივები 161
11. ნანა ჯაბნიძე, რეზო ჯაბნიძე
სტევიას (ტკბილი ორყოთოლას) მავნებელ-დაავადებანი და მათგან დაცვის ღონისძიებანი 166
12. სულიკო ბერიძე, შუქურა გორგილაძე-ჯაბნიძე
მეცხოველეობის განვითარების აქტუალური პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები 172
13. ნანა ალავერდაშვილი, მარიამ ხარებაშვილი
თვითდამტვერილი ხაზების საერთო კომბინაციური უნარის შესწავლის შედეგები 176
14. ალექსანდრე აფციაური, შალვა აფციაური
მოჭრილი ხის ღეროს მარტივი ანალიზი 183
15. შოთა ლამპარაძე, ნოდარ ბერიძე, გული კონცელიძე
აჭარის სუბტროპიკულ ზონაში ლიმონ მეიერის ახალი ფორმების პროდუქტიულობის მაჩვენებლები 191
სექცია №3
ეკოლოგია
ნელი გოგინაშვილი
მინერალური ელემენტების შეთვისება და მათი გამოყენების კოეფიციენტი Triticum durum-ის მიერ შიდა ქართლის ბიოცენოზებში 197
2. მარიამ ხარებაშვილი, ნანა ალავერდაშვილი
ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ტერიტორიებიდან გამოყოფილი მიკრო-ორგანიზმების იდენტიფიცირება და დეტოქსიკაციური პოტენციალის გამოკვლევა 203
3. მირანდა წეროძე
ამერიკული თეთრი პეპლის ფენოლოგიური განვითარების თავისებურებანი აჭარის სუბტროპიკულ ზონაში 210

4. ნიკოლოზ მესხი
ზამთრის მზომელას Operphtera brumata) ეკოლოგიური თავისებურებანი საქართველოში....217
5. ნუნუ ნაკაშიძე
ატმოსფერული ნალექების P^H ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე....222
6. ნინო მორტაძე
ბიოპრეპარატების წარმოების სამართლებრივი რეგულირება საქართველოში....226
7. რუსლან დავითაძე
აჭარის დაცული ტერიტორიების ტყის მცენარეთა ტიპოლოგია....234
სექცია №4
საერთაშორისო ურთიერთობები
1. მანანა გაგოშიძე, ნატალია ბიწაძე
გლობალური ხედვის ასპექტები....241
2. კახა ქეცბაია
"სოციალური სიკვდილი" და ტრანსსოციოლოგიის მოდელი....246
3. გელა სუციშვილი, ზვიადი სუხიშვილი
ქვეყნის ტერიტორიაზე ეკონომიკური და დემოგრაფიული ექსპანსიის საფრთხეები და მათი საწინააღმდეგო ქმედებები....252
4. გელა სუციშვილი, თეონა მოსიაშვილი
სამხედრო საქმის ორგანიზაცია საქართველოში....257
5. ზაზა ვაშაყმაძე
ოჯახის როლი ბავშვის რელიგიური ცნობიერების ჩამოყალიბებაში საერთაშორისო სამართლის მიხედვით....264
6. ავთანდილ ტუქვაძე
ხელისუფლების დანაწილების თავისებურებები ევროკავშირში....277
7. ავთანდილ ტუქვაძე, გურამ აბესაძე
პოლიტიკური სუბკულტურების თავისებურებები საქართველოში....282
8. ნანული ქოჭაშვილი
საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მისი ურთიერთობა საქართველოსთან....287
9. მაკა დოლიძე
საინფორმაციო სასუალებები და საქართველოს გეოპოლიტიკა....293
სექცია №5
მიმართულებათაშორისი მეცნიერებები
1. იზოლდა ბუხულეიშვილი
დისტანციური განათლება....298
2. ნათელა მოსიაშვილი
ფერის სიმბოლიკა და სემანტიკა ინგლისურ და ქართულენოვან ანდაზებში....303
3. ნინო ბიბილაშვილი
სიბრძნე – განსწავლულობა ძველ საქართველოში....308
4. ჟუჟუნა ხითარიშვილი
ინგლისური ენის ისტორია....313
5. შორენა ტატვინიძე
ინგლისური ენის საერთაშორისო მნიშვნელობა....315
6. ეკატერინე მარუაშვილი
გრამატიკის გენდერი....319
7. ნონა კობალაძე
ძლიერი ქალი – შარლოტა ბრონტეს "ჯეინ ეარი"....322
8. ნინო ჯანჯღავა
მხატვრული ტექსტის მოდალური სტრუქტურა და მისი კვლევა როგორც ლინგვოკულტუროლოგიური პრობლემა....326
9. თინათინ გიორგაძე
მოსმენის სწავლების თავისებურებები და მათი გადაჭრის გზები....330
10. ლანა გიგაური
ინგლისური ენის გრამატიკის სწავლება კომუნიკაციური მეთოდებით....334
სექცია №6
საჯარო მმართველობა
1. მაია კიკნაძე
ყოფიერების პრობლემა....339
2. ნინო შავდათუაშვილი
საჯარო მმართველობა და ადმინისტრაციული სამართალი....342

3. გურამ აბესაძე, მაკა კუხიანიძე
პოლიტიკური ტრანზიციის რაციონალური და ირაციონალური პროცესები საქართველოში 346
სექცია №7
ჯანდაცვა
1. ლაშა ნინოშვილი
ნოციცეფციის პათო და ფსიქოფიზიოლოგია 352
2. ეკატერინე სუხიშვილი
ჰიპერტენზია ორსულობისას (მოკლე მიმოხილვა) 362
3. ალექსანდრე სხირტლაძე, ეთერ ქემერტელიძე
წამწამოვანი სათითურას თესლების პრეგნანული გლიკოზიდები 367
4. მედეა მჭედლიძე, ეკატერინე სუხიშვილი
რადიაციული ავადმყოფობა ეკოლოგიურ ასპექტში 374
5. მარინა შაქარაშვილი, ნ. ჟვანია
ჰათოგენეზის აქტუალური და გადაუჭრელი პრობლემები და ჰელიკობაქტერიოზის მკურნალობა 378
6. ანა დედაბრიშვილი, ე. კიკაჩეიშვილი, ე. მირველაშვილი, მ. ძაგნიძე
სასუნთქი გზების მიკროეკოლოგია ბაქტერიოლოგიური კვლევების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით 383
7. მარიამ დარბაიძე, თამარ მელიქია, ნ. მითაგვარია
არტერიოლების რეაქტიულობაზე ჰიპერჰომოცისტეინემიის გავლენა 389
8. გივი ყურაშვილი
ალიმენტარული სიმსუქნის მკურნალობის კომპლექსური მეთოდი 396
9. გელა თუხარელი
გახშირებულ დაავადებათა კავშირი სამუშაო პირობებთან 401
სექცია №8
ტურიზმი
1. ნაილი მელანაშვილი
ტურიზმის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა საქართველოსათვის 404
2. თამარ ბუკია - ვერულაშვილი
სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმი მსოფლიოში 408
3. მაკა სოსანიძე, ხათუნა კაკაურიძე
თაიმშერი – ტურისტული ინდუსტრიის ახალი მიმართულება 415
4. გოდერძი შანიძე
ტურიზმის განვითარების სტრატეგია 421

სექცია №1

ბ ი ზ ნ ე ს ი

სექციის თავმჯდომარე:
ავთანდილ ლაფაჩი

მცირე ბიზნესის დაკრედიტების პრობლემები და მისი დაძლევის გზები საქართველოში

ავთანდილ ლაფაჩი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სრული პროფესორი
სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის
სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი,
E-mail: avtolapachi@gmail.com; Tel: 599-29-15-26

მცირე საწარმოების უმთავრესი პრობლემაა დაფინანსების საბაზრო ლეგალური წყაროების მოძიება. არსებობს შეხედულება, რომ მცირე მეწარმეობის ფინანსურ უზრუნველყოფას უნდა ასრულებდნენ დარგობრივი ანუ სპეციალიზებული ბანკები. ეს საკითხი სადავოა, რადგან ამგვარი ბანკების ფორმირება გულისხმობს სახელმწიფოს მონაწილეობას მათ საწესდებო კაპიტალში ამა თუ იმ ფორმით, რაც საკრედიტო ურთიერთობებისთვის შეუსაბამოდ მიგეაჩნია სუსტი სახელმწიფო მენეჯმენტის გამო. ამასთან საგულისხმოა რომ კომერციული ბანკებისა და მცირე საწარმოების ინტერესები ზოგჯერ ერთმანეთს ემთხვევა (მაგ. არგადახდების პრობლემის გადაწყვეტისას), ზოგჯერ კი უპირისპირდება (მაგ. დაკრედიტების და ინვესტირების საკითხებში).

ფულადი სახსრების (იაფი საკრედიტო რესურსების) ნაკლებობამ განაპირობა მცირე სამრეწველო საწარმოების გადახდისუნარიანობის დაბალი დონე. ამას ემატება ისიც, რომ ფაქტობრივად არ არსებობს ბანკებიდან დაფინანსება, რაც ძირითადად გამოწვეულია საწარმოების არაკრედიტუნარიანობით. ასე მაგალითად, საქართველოში კომერციული ბანკების მიერ სამრეწველო სექტორის დაკრედიტებაზე მთლიანი აქტივების საშუალოდ მხოლოდ 3,1 % წარიმართება.

გასათვალისწინებელია, რომ როდესაც ინვესტორი ყიდულობს საწარმოს, სხვა თანაბარ პირობებში, ის იმავდროულად კისრულობს პასუხისმგებლობას საწარმოს ვალების დაფარვაზე. აქედან გამომდინარე, უკვე პრივატიზებულ საწარმოში დაუშვებელია საგადასახადო დავალიანებათა ჩამოწერა. ამასთან მცირე მეწარმეობის ფინანსური უზრუნველყოფის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია მათდამი სახელმწიფო პრეფერენციული მიდგომა, რაც წარმოქმნილი დავალიანების ფინანსურ რესტრუქტურიზაციასაც გულისხმობს. ამ დროს სახელმწიფომ უნდა გაატაროს მიზანმიმართული პოლიტიკა ამ დავალიანებათა რესტრუქტურიზაციის გზით. ამასთან, დაუშვებელია ჩატარებული ოპერატიული რესტრუქტურიზაციის შედეგად მიღებული სახსრებით დაიფაროს ვადაგადაცილებული დავალიანებები, ფულადი სახსრები, როგორც წესი, უნდა მოხმარდეს საწარმოო პროცესის განახლება–გაფართოებას.

ამგვარად, მცირე მეწარმეობის ფინანსური უზრუნველყოფის შიდა წყაროს უნდა მივაკუთვნოთ ფინანსური რესტრუქტურიზაცია, რაც გულისხმობს საგადასახადო დავალიანებათა გადავადებას მომავალში დაფარვის მიზნით. ვადაგადაცილებული დავალიანების მოცულობის ფარგლებში საწარმოს ეძლევა უფლება ჩაატაროს ოპერატიული რესტრუქტურიზაცია, რომლის შედეგად მიღებული ფულადი სახსრები მოხმარდება არა დავალიანებათა დაფარვას, არამედ საწარმოო პროცესის უზრუნველყოფას. მხოლოდ რეალური სასაქონლო ბრუნვის შედეგად

მიღებული ფულადი ფონდები დაექვემდებარება დავალიანებათა დაფარვას. აღნიშნული მექანიზმის განხორციელება როგორც მცირე მეწარმეობის სუბიექტების, ისე სახელმწიფოს ინტერესებშია.

მეორე შემთხვევაში, როდესაც აღნიშნულ გარემოებებს ემატება კრედიტორული დავალიანება ბანკებსა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების წინაშე, სახელმწიფომ უნდა გააკეთოს არჩევანი: დაასტიმულიროს ბანკები, რათა მათ ჩამოწერონ ან გადაუვადონ ვალები მცირე საწარმოებს ფინანსური რესტრუქტურიზაციის მეშვეობით, ან ეს უკანასკნელი წარმართონ ნებაყოფლობითი მოლაპარაკების გზით.

ზემოთ აღნიშნულის ადეკვატური მექანიზმის გამოყენება შესაძლებელია მცირე საწარმო-დებიტორსა და კერძო კრედიტორებს შორის.

მიგვაჩნია, რომ ბანკებისათვის უფრო პერსპექტიულია მცირე საწარმოთა ვალების გადავადება იმ დრომდე, სანამ საწარმოები ჩაატარებენ ოპერატიულ რესტრუქტურიზაციას, გახდებიან რენტაბელური, რათა შეძლონ დავალიანებათა დაფარვა.

საყურადღებოა, რომ სახელმწიფო პილიტიკამ, რომელიც სტიმულს აძლევს ბანკებს ჩამოწერონ მცირე საწარმოთა ვალები, შეიძლება უკუშედეგი გამოიღოს, საფინანსო დისციპლინის შესუსტების გამო შესაძლებელია შეჩერდეს ოპერატიული რესტრუქტურიზაციის ჩატარება. ამასთან სახელმწიფომ მაინც არ უნდა მოიხსნას პასუხისმგებლობა საწარმოთა კრედიტორული დავალიანების ფინანსური რესტრუქტურიზაციის სისტემის ფორმირებაზე, თუმცა უკანასკნელის ჩატარება უპირატესად დამოკიდებულია მცირე საწარმოსა და ბანკს შორის ნებაყოფლობით მოლაპარაკებაზე.

საწარმოთა ლიკვიდაციის გარდაუვალობის შემთხვევისათვის სახელმწიფომ უნდა შექმნას გაკოტრების მექანიზმი, რომელიც დარეგულირდება სპეციალური კანონით. აღსანიშნავია, რომ ასეთი მექანიზმი ამჟამად ქმედითად მუშაობს ბიუჯეტის წინაშე საგადასახადო დავალიანებათა შემთხვევაში.

მცირე მეწარმეობის ფინანსური უზუნველყოფის მიზნით დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო საწარმოთა ფინანსურ რესტრუქტურიზაციას, არამედ ბანკების რეკაპიტალიზაციასაც, ანუ მათი კაპიტალის შევსებას, რაც განხორციელდება საწარმოებზე გაცემული დაუბრუნებელი კრედიტების უიმედო ვალებად შემდგომი ჩამოწერით ან გადავადებით.

უიმედო ვალები გამოწვეულია როგორც პროცენტების დროულად არგადახდით, ისე სესხების არდაბრუნებით. ამის შედეგად ბანკი აღმოჩნდება ლიკვიდურობა-მომგებიანობის დილემის წინაშე და ვერ შეძლებს გადაუხადოს პროცენტები დეპოზიტებზე მეანაბრეებს და შეასრულოს სხვა ვალდებულებები ლიკვიდური სახსრების საპროგნოზო მაჩვენებლის შეუსრულებლობის გამო.

სახელმწიფო პილიტიკის საფუძველზე, რომლის ძირითადი მიმართულება გახდება მცირე საწარმოების ოპერატიული რესტრუქტურიზაციის მხარდაჭერა, გაიზრდება ვადაგადაცილებული დავალიანების შესაძლებლობა.

გასათვალისწინებელია ერთი მომენტი: ბანკების რეკაპიტალიზაცია უნდა განხორციელდეს იმ დამატებითი დანაკარგების გათვალისწინებით, რაც გამოწვეულია უიმედო ვალებით.

სახელმწიფოს მხრიდან რეკაპიტალიზაციის ჩატარება შესაძლებელია კომპენსირებულ იქნეს გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო ტვირთის დამატებითი გაზრდით.

აქ მნიშვნელოვანია კვლევის მეთოდოლოგიური მხარე ანუ ბანკების დებიტორული უიმედო ვალების დონის განსაზღვრის პრობლემურობა დავალიანების შეფასების სხვა და სხვა მეთოდის გამოყენების საშუალებით. უიმედო დავალიანებათა შეფასების გარდამავალ ეკონომიკაში მოქმედი ტრადიციული მეთოდები საბაზრო ეკონომიკის პირობებში გამოუსადეგარია, რისკის მომატებული ფაქტორისა და სახელმწიფოს მხრიდან რეკაპიტალიზაციის შეთავაზების გამო, რადგან ამ დროს გადაფასებულია ბანკების ფინანსური სირთულეები.

სხვა სახის სირთულეს წარმოადგენს კრედიტორული დავალიანების მქონე საწარმოთა მომავალი რენტაბელობის პროგნოზირება. საბაზრო ეკონომიკისგან განსხვავებით, საწარმოს მიერ ვადაგადაცილებულ დავალიანებათა გადახდის შესაძლებლობები სწრაფად ცვალებადია, რის გამოც მისი რენტაბელობის საპროგნოზო მაჩვენებელიც არასტაბილურია.

საკითხის არსში უკეთესად გარკვევისათვის ჩვენ განვსაზღვრავთ წარმოების საკრედიტო დავალიანების გადახდისუნარიანობის ცნებას. საწარმოს გადახდისუნარიანობის ძირითად მაჩვენებლად მიიღება საწარმოს ფულადი სახსრები (ხელფასისა და საწარმოო რესურსების დანახარჯების გამოკლებით), რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ვალების დასაფარად. საქართველოში მოქმედი საგადასახადო კოდექსის ბუნჯეტის წინაშე დავალიანების დაფარვის მიზნით წარმართვას ექვემდებარება საწარმოს მთლიანი ფულადი სახსრები გამოქვითვის გარეშე.

დისკონტირების მეთოდის გამოყენებით განსაზღვრული გვაქვს კონკრეტული წლისთვის ფულადი სახსრების მიმდინარე დაყვანილი ღირებულება. დისკონტირების რეალური განაკვეთი უნდა ემთხვეოდეს ბანკების მინიმალურ საპროცენტო წლიურ განაკვეთს. ფულადი სახსრების დაყვანილი ღირებულება, რომელიც მიიღება დისკონტირების საფუძველზე წარმოადგენს საწარმოს მიერ ვალის დაფარვის უნარს. თუ მისი მნიშვნელობა ნაკლებია საწარმოს ყველა ვადაგადაცილებულ დავალიანებათა ჯამზე (საბანკო კრედიტები, საგადასახადო დავალიანებები, სხვა კრედუტორული და დებიტორული დავალიანებების სხვაობა), მაშინ საწარმო ვერ მიიღებს სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერას, ვიდრე არ გაზრდის ფულადი ფონდების მოცულობას. სხვაობას ანუ ფულადი სახსრების ნაკლებობას, ჩვენ განვიხილავთ როგორც პასივის მუხლს.

ყველა საწარმოს აღნიშნული ვალდებულებების ჯამი (რომლებსაც ისინი ვერ იხდიან) შეფარდებული შესაბამის საწარმოთა მთლიან ვალდებულებებთან წარმოადგენს უიმედო ვალების ერთობლივ კოეფიციენტს.

ამ საკითხის ანალიზის დროს გასათვალისწინებელია, რომ საბანკო კრედიტორული დავალიანება საწარმოს ვალების ნაწილია და გადახდები უნდა განხორციელდეს თანაბრად, ანუ დაიფაროს როგორც საგადასახადო ვალდებულებები, ისე კრედიტორული დავალიანება.

წლების მიხედვით უიმედო ვალების ერთობლივი კოეფიციენტი საგრძნობლად უნდა მცირდებოდეს.

ერთ-ერთი დასკვნა, რომელსაც ჩვენ ვაყალიბებთ, არის ის, რომ სახელმწიფომ არ უნდა იჩქაროს ბანკების რეკაპიტალიზაცია, რადგან, სანამ მიმდინარეობს სახელმწიფო აღმავალი ფინანსური მხარდაჭერის პროცესი, ძნელია საწარმოებზე გაცემული სესხების უიმედო ნაწილის რეალური სიდიდის განსაზღვრა. ამის გარდა, ბანკების რეკაპიტალიზაციამ შეიძლება გამოიწვიოს იმ საწარმოების დაკრედიტება, რომლებსაც უნდა ჩაუტარდეს ფინანსური მხარდაჭერა საგადასახადო დავალიანების

დაფარვის მიზნით და ამით ხელი შეუშალოს მას, რადგანაც უიმედო დავალიანებათა რეალური სიდიდე დადგენილზე ნაკლები იქნება, ბანკების რეკაპიტალიზაცია შეიძლება აღმოჩნდეს გადამეტებული.

აღიარებულია, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში საწარმოების დაფინანსების ძირითად წყაროს უნდა წარმოადგენდეს შიგა რესურსები და ნაკლებად საბანკო კრედიტები. ამასთან აღსანიშნავია მოცემული პროცესების თანმიმდევრობა. ბანკის მიერ საწარმოს ფინანსური მხარდაჭერა არ უნდა მოხდეს უკანასკნელის პრივატიზაციამდე, რაც გამოიწვევს რესტრუქტურიზაციის პროცესის შეფერხებას, საფინანსო დისციპლინის შესუსტებას და დამატებითი გაუმართლებელი დაკრედიტების რისკს.

ბანკების რეკაპიტალიზაცია უნდა წარმოადგენდეს საპრივატიზაციო პროცესის ნაწილს, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებენ ბანკები გამოიყენონ სახელმწიფოსაგან მიღებული დამატებითი სახსრები რესტრუქტურიზაციის ხელშეწყობად და არა სხვა მიზნებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში გაიზრდება უიმედო ვალების მოცულობა, რაც მოითხოვს ბანკების ხელახალ რეკაპიტალიზაციას. ბანკების რეკაპიტალიზაციის შეყოვნება სახელმწიფოს მხრიდან განაპირობებს ფინანსური რესტრუქტურიზაციის თაობაზე მოვალე საწარმოებთან მოლაპარაკების დაჩქარებას.

ამრიგად, ბანკების რეკაპიტალიზაციის შეყოვნება და ფინანსური რესტრუქტურიზაციის რაციონალური დაგეგმვა დადებითად ზემოქმედებს მოვალე საწარმოების ოპერატიული რესტრუქტურიზაციის ტემპზე.

ამასთან ფინანსური რესტრუქტურიზაციის ეფექტიანად განხორციელების გადამწყვეტი ფაქტორია ქონების კონცენტრაციის მაღალი მაჩვენებელი და ბანკების აქტიური მონაწილეობა. საწარმოთა აქციების კონსოლიდაციის პროცესი უნდა განხორციელდეს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონის ფარგლებში. საწარმოთა კონტროლი მსხვილი სტრატეგიული ინვესტიციების (საინვესტიციო ფონდები, რომელთა მფლობელები ბანკებია, და სხვა) მხრიდან ასევე ხელს შეუწყობს რესტრუქტურიზაციის ჩატარებას.

შიდა წყაროებიდან ინვესტიციების უზრუნველყოფა ხელს შეუწყობს საწარმოო რესტრუქტურიზაციას შემდგომი მოდერნიზაციის მიზნით. საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების მაგალითი მოწმობს, რომ რეინვესტირებადი კაპიტალის დიდი მოცულობა სწორედ შიდა წყაროებიდან უნდა იქმნებოდეს. დაფინანსების შიდა წყაროებს მიეკუთვნება როგორც ოპერატიული რესტრუქტურიზაციის შედეგად მიღებული საოპერაციო ფულადი ნაკადი, ისე ფულადი ფონდების გადიდება ხელფასის ზრდის შეკავებით სამუშაო ძალის მწარმოებლურობის ამაღლებასთან შედარებით. ამასთან, მნიშვნელოვანია ამორტიზაციის საკითხი: აუცილებელია დარიცხული ამორტიზაციის თანხა წარიმართოს უშუალოდ ინვესტიციებზე და არა საწარმოთა ხელფასის ფონდის შევსებაზე. საწარმოო შიდა წყაროების მობილიზებასთან შედარებით მაინც მეტნაკლებად პრიორიტეტულია სახელმწიფოს პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს საწარმოების საბანკო დაკრედიტების ზრდას (ბანკების რეკაპიტალიზაციის შედეგად) ან ვალების ჩამოწერას. როგორც ანალიზი გვიჩვენებს, დამატებითი საბანკო დაკრედიტება საწყის ეტაპზე გამოიწვევს საფინანსო დისციპლინის შესუსტებას და ოპერატიული რესტრუქტურიზაციის შენელებას. შესაბამისად, დაეცემა საწარმოების მწარმოებლურობა.

ამასთან ბანკების რეკაპიტალიზაცია არ არის სასურველი, რადგან, როგორც ავღნიშნეთ, იგი საბოლოო ჯამში ხორციელდება სახელმწიფოს მიერ გადასახადების გადამხდელთა დამატებითი დაბეგვრის ხარჯზე. სწორედ ოპერატიული

რესტრუქტურიზაციის ერთ–ერთი უპირატესობაა მცირე საწარმოების საბანკო კრედიტებისა და ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობების გაზრდა ამ მოვლენის თავიდან აცილებით. დაფინანსების სხვა წყაროს მიუწვდომლობის შემთხვევაში, ლიკვიდურობა–მომგებიანობის პრობლემიდან გამომდინარე, სახელმწიფოს წინაშე აღარ დადგება ბანკების რეკაპიტალიზაციის აუცილებლობა მათი გადახდისუნარიანობის უზრუნველსაყოფად, რადგან საწარმოები იძულებული იქნებიან ჩაატარონ ოპერატიული რესტრუქტურიზაცია და დაფარონ ძველი ვალები.

მცირე მეწარმეობის ფინანსური უზრუნველყოფა უნდა ხორციელდებოდეს კომერციული ბანკების მეშვეობით მათ მიერ მცირე საწარმოებთან საკრედიტო ურთიერთობების დამყარებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. კოზანაძე საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე . თ.ს.უ გამომცემლობა , თბ 2001
2. გ. რუსიაშვილი. მცირე საწარმოთა ფინანსური სიძნელეები და მათი ადაპტაცია კრიზისულ პირობებთან, ჟურნალი "სოციალური ეკონომიკა" , 2002 № 1 გე 79-89 (№3)
3. საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდაჭრის 2002-2004 წლების პროგრამის დამტკიცების შესახებ , საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება (№ 309, 2002)

Problems of small business crediting in Georgia and the ways of reduction

Avtandil Lapachi
Head of the Scientific Research Center of
Sukhishvili University,
Academic Doctor of Economics, Full Professor
E-mail: avtolapachi@gmail.com; Tel: 599-29-15-26.

Resume

The main problem for small enterprises is to seek market legal sources of finance. There is a view that should be performed by small business financial software with specialized industry or the banks. This issue is controversial, because the banks involved in the formation of the state in some form of equity capital, which is a credit to the poor state of management because of incompatible belief.

One - a conclusion which we develop is that the state should not leave the bank recapitalization, as long as the financial support of the ascending process, it is difficult to determine the value of the real part of the bad loans to enterprises. In addition, banks' lending to businesses recapitalization can lead to having to undergo financial support and tax debt in order to prevent it, because it will be less than the stated amount of actual bad debts, bank recapitalization may appear excessive.

ლოგისტიკის და მარკეტინგის ურთიერთკავშირი

გიორგი კიპაროიძე
ეკონომიკის დოქტორი პროფესორი
სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი
E-mail : giorgi-79@mail.ru; Tel: 551 11 22 78; 593 52 52 62

მატერიალური ნაკადების მარტვა ყოველთვის იყო სამეურნეო საქმიანობის მნიშვნელოვანი მხარე. მაგრამ მან მხოლოდ შედარებით ცოტა ხნის წინ დაიკავა ეკონომიკური ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციის ადგილი. პროცესების სისტემური ორგანიზაციის ფილოსოფიაბიზნესის საბაზო ფილოსოფია უნდა გახდეს.

ლოგისტიკას ყველაზე მჭიდრო კავშირი მარკეტინგთან აქვს.

მარკეტინგი წარმოადგენს მართვის სისტემას, რომელიც საშუალებას იძლევა წარმოება ბაზრის მოთხოვნებს მიეუსადაგოდ, საქონლის მომგებიანად რეალიზაციის უზრუნველყოფის მიზნით.

XX საუკუნის შუა ხანებში წარმოების ორიენტაცია ბაზარზე საჭირო საქონლის წარმოებაზე, მოთხოვნისა და მოთხოვნაზე ზემოქმედების შესწავლის მარკეტინგული მეთოდების გამოყენება კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა. მატერიალური ნაკადების გამჭოლი მართვის უზრუნველყოფისთვის სისტემის შექმნის ამოცანა იმ დროს აქტუალური არ იყო, ჯერ ერთი, ეკონომიკაში ასეთი სისტემების აგებისთვის საჭირო ტექნიკური შეაძლებლობების არსებობის გამო, მეორეც, იმის გამო, რომ იმ დროისთვის ახალი მარკეტინგული მეთოდების გამოყენების შედეგად შესაძლებელი იყო მკვეთრი წინსვლა. დღეანდელ პირობებში „წინსვლა“ მხოლოდ მარკეტინგის გამოყენების ბაზაზე უკვე შეუძლებელია. მარკეტინგის მიერ გამოვლენილი მოთხოვნა თავის დროზე უნდა დაკმაყოფილდეს სწრაფი და ზუსტი მიწოდების გზით. წარმოდგენილ მოთხოვნაზე რეაგირება შესაძლებელია მხოლოდ აწყობილი ლოგისტიკური სისტემების პირობებში.

მარკეტინგი აკვირდება და განსაზღვრავს წარმოქმნილ მოთხოვნილებას ანუ პასუხობს კითხვაზე: რომელი საქონელია საჭირო, სად, როდის, რა რაოდენობით და რა ხარისხისა.

ლოგისტიკა უზრუნველყოფს მოთხოვნილი სასაქონლო მასის ფიზიკურ მიწოდებას მოხმარებლისთვის. ლოგისტიკური ინტეგრაცია საშუალებას იძლევა განხორციელდეს საჭირო საქონლის მიწოდება საჭირო ადგილზე და საჭირო დროს მინიმალური დანახარჯებით.

ზოგად შემთხვევაში, საწარმოში ლოგისტიკისა და მარკეტინგის სამსახურების საქმიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. ვიჩვენოთ მათი ურთიერთკავშირი ტეტრაპაკეტებში ჩამოსხმული სასმელების წარმოების მაგალითზე. პაკეების გაფორმება მარკეტინგის ფუნქციაა. პაკეტების გამძლეობის პარამეტრები ლოგისტიკაა. პაკეტის მოცულობა კი მარკეტინგიცაა და ლოგისტიკაც. პაკეტის გეომეტრიული პარამეტრები უმეტეს წილად ლოგისტიკაა.

შტრიხკოდის დატანა, რაც საშუალებას იძლევა თვალყური ვადევნოთ თითეულ სასაქონლო ერთეულის მოძრაობას-უმეტესწილად ლოგისტიკის ამოცანაა. მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ შეფუთვაზე შტრიხკოდის არსებობა არის ყოველთვის ყიდვის გამომწვევი ერთ-ერთი სურვილი, მისი დატანა შეიძლება რეკომენდირებული იყოს

ცხრილი 1

გამოკვლევის ობიექტის და საგნის შედარება
მარკეტინგისა დალოგისტიკის დარგში

მარკეტინგისა და ლოგისტიკის შედარებითი მახასიათებლები	მარკეტინგი	ლოგისტიკა
კვლევის ობიექტი	ბაზრები და კონკრეტული საქონლისა და მომსახურების კონიქტურა	ამ ბაზრებზე ცირკულირებული მატერიალური ნაკადი
კვლევის მეთოდი	კვლევის მეთოდიკა მოთხოვნის და შეთავაზების კონიქტურა კონკრეტული საქონლსა და მომსახურებაზე	სისტემური მიდგომა მასალის გამტარი ჯაჭვების შექმნასთან და აგრეთვე საზოგდოებრივი მეთოდები, რომლებიც გამოიყენება ეკონომოიკური სისტემების დაგეგმისა და საწარმოო მართვისას
ჯამური შედეგი	რეკომენდაციები კომპანიის წარმოება გასაღების სტრატეგიაზე, რა აწარმოოს, რა მოცულობით, რა ბაზრებისათვის და რა დროში, რა მოგება შეიძლება რომ იყოს.	ლოგისტიკის მიზნების შესაბამისი სისტემების პროექტები; საჭირო საქონელი, საჭირო რაოდენობით, საჭირო ხარისხის, საჭირო ადგილზე, საჭირო დროს და მინიმალური დანახარჯით.

მარკეტინგი მიმართულია ბაზრის კვლევის, რეკლამის, მომხმარებლის ფსიქოლოგიური ზემოქმედებისაკენ და ა.შ. ლოგისტიკა კი, პირველ რიგში, მიმართულია საქონლის გამტარ ჯაჭვებში მასალის გატარების ტექნიკურ-ტექნოლოგიურად უზრუნველყოფილი სისტემის და აგრეთვე მათი გატარების კონტროლის სისტემის შექმნისაკენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Корсаков А.А. "Основы логистики " 2003
2. Гаджинский Б.В. " Логистика" 2005
3. ზ.ი. ციხელა'შვილი " ლოგისტიკა " 2006

Interconnection of logistics and marketing

George Kiparoidze
Doctor of Economics, Professor
Sukhishvili Teaching University
E-mail : giorgi-79@mail.ru; Tel: 551 11 22 78; 593 52 52 62

Resume

Historically leaving on economic arena during later period, the logistics supplements and develops marketing, co-ordinating the consumer, transport of the supplier in mobile, tehniko-technologically and according to plan-economically co-ordinated system.

Marketing puts a problem of the system approach to the organisation commodity: at the effective organisation commodity each of stages of it process to be planned as indivisible a part of well counterbalanced and logically constructed general system.

However methods of tehniko-technological integration of all participants of process commodity are the basic subject of studying not marketing, and logistics.

უპროცენტო სესხები და ეროვნული აგრომეურნეობის განვითარების საკითხები

გიორგი კიპაროიძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი
E-mail : giorgi-79@mail.ru; Tel: 551 11 22 78; 593 52 52 62

ირაკლი კინწურაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

იმისათვის, რომ საქართველომ კუთვნილი ადგილი დაიკაეოს განვითარებულ ქვეყნებს შორის საწარმოო ურთიერთობებში, აუცილებელია ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას და ამ სფეროში დაკავებულ მეწარმე ბიზნესმენებს შეუქმნას სასათბურე პირობები სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების საქმეში. საჭიროა ქვეყნის ახალმა მთავრობამ გასცეს გრანტები და უპროცენტო გრძელვადიანი სესხები სოფლის მეურნეობის აღორძინება-განვითარებისათვის.

ამგვარი ძალისხმევა გულისხმობს სოფლის მეურნეობის შეთანაწყობილი დარგების განვითარებაზე ხელშეწყობასა და სტიმულირებას, რომელშიც გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს გრძელვადიანი დაკრედიტებისა და ინვესტირების უზრუნველყოფამ და საერთოდ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში მიზანმიმართული ქმედებების განხორციელებამ.

აგროსექტორის განვითარების თვალსაზრისით აუცილებელია გატარებული იქნეს შემდეგი ღონისძიებები:

– მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირება აგრობიზნესის შესაბამის დარგებში;

– აგრარული სასურსათო პროდუქტების საექსპორტო პოტენციალის გადიდება და საექსპორტო საქონლის წარმოების გადიდების ორგანიზაცია;

– პროტექციონისტული პოლიტიკის განხორციელება ქვეყანაში შიდა სასოფლო-სამეურნეო ბაზრის განვითარებისა და დაცვის მიზნით;

– მიწის საკარგულებისა და სხვა ბუნებრივი რესურსების ეფექტურად გამოყენება მაქსიმალური ათვისების პოზიციებიდან;

– ეროვნულ ბაზარსა და იმპორტზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება და მისი ქვეყნის შიგა და მსოფლიო ბაზარზე გატანა;

– თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისება და ისეთი ბიო-პროდუქციის წარმოება რომელთა უსაზღვრო მოთხოვნაცაა მსოფლიო ბაზრებზე;

– დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის და საზღვარგარეთის ქვეყნებთან სამეწარმეო კავშირების აღდგენა-განვითარება;

– საკონსერვო და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა ძირითადი მაპროფილებელი პროდუქციის განსაზღვრა და განვითარება, რათა მოხდეს ადგილობრივი რესურსების სრული ათვისება და გადამუშავება.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის ასევე სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება მსუბუქი და კვების მრეწველობის დარგების განვითარებას. ეს დარგები უნდა უზრუნველყოფდნენ მაღალხარისხოვანი პროდუქციით მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას და მათი კეთილდღეობის ამაღლებას. ამასთან დიდია ამ დარგების როლი ადგილობრივი წარმოების ფართო მოხმარების საქონლითა

და კვების პროდუქტებით ქვეყნის შიგა ბაზრის უზრუნველყოფის, ფულის მიმოქცევის რეგულირების და ბიუჯეტის შემოსავლებით ზრდის საქმეში. ამ დარგების განვითარების საფუძველთა საფუძველს კი წარმოადგენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის – აგრო სექტორის დარგთა შეთანაწყობილი განვითარება.

იმისათვის, რომ ავაღორძინოთ და მაღალ დონეზე განვითარდეს აგრარული სექტორი ყურადღება უნდა მივაქციოთ მანქანათმშენებელი და ტრაქტორმშენებელი მრეწველობის განვითარებასა, რის გარეშეც შეუძლებელი იქნება ქვეყნის საერთო ეკონომიკური პროგრესის, აგრარული მეურნეობის მეცნიერულ-ტექნიკური და შრომითი პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება. პირველ რიგში უნდა განვითარდეს ისეთი ქვედარგები, რომლებიც სათანადო ტექნიკით მოამარაგებს ქვეყნის ეროვნულ მეურნეობათა დარგებს – სოფლის მეურნეობას, კვების მრეწველობას, საოჯახო და კერძო მეურნეობებსა და სხვას.

აგრარულ სექტორს განსაკუთრებული ყურადღება იმის გამოც ენიჭება, რომ აქ იწარმოება ადამიანისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქცია, რომელიც ერთი მხრივ, აუცილებელია ადამიანის სიცოცხლისათვის, ხოლო მეორეს მხრივ, სამუშაო ძალის კვლავწარმოებისათვის. სოფლის მეურნეობა აგრეთვე აწარმოებს ნედლეულს მრავალი დარგისათვის, კერძოდ გადამმუშავებელი მრეწველობისათვის. ამდენად, მისი განვითარება მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ქვეყნის საერთო ეკონომიკურ განვითარებას.

საქართველო ტრადიციულად აგრარული ქვეყანაა, სადაც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში, ისევე, როგორც მსოფლიო მოსახლეობის ნახევარზე მეტი, სწორედ სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული, ზოგიერთ ქვეყანაში მოსახლეობის 3/5-ია დასაქმებული სოფლის მეურნეობაში.

სოფლის მეურნეობა ხასიათდება გარკვეული თავისებურებებითა და კანონზომიერებით, რომელიც განპირობებულია წარმოების განსაკუთრებული ტექნოლოგიით, შრომითი რესურსების, მიწისა და წარმოების სხვა საშუალებებისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით.

საქართველოს სოფლის მეურნეობის და საერთოდ აგრო სექტორის განვითარებისათვის საკმარისი რესურსები აქვს მაგრამ ვერ იყენებს. ამჟამად სოფლად სამეურნეო პოტენციალის უდიდესი ნაწილი გამოუყენებელია. ამის მიზეზია სახნავ-სათესი ტექნიკის უქონლობა; შრომითი რესურსების დაბალი დონე; საწვავ-საცხები მასალების კატასტროფულად მაღალი ფასი; მიწის რესურსები გამოფიტულია და საჭიროებს განოყიერებას; შხამქიმიკატები ჯერ უხარისხოა და მერე ძალიან ძვირია. ყოველივე ზემოთთქმული და სხვა მიზეზები განაპირობებენ აგრო სექტორის განუვითარებლობასა და წარმოებული პროდუქციის სიმცირეს, რაც თავისთავად გამოხატულებას პოულობს მის არაკონკურენტუნარიანობაში.

როცა ვსაუბრობთ სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, არ უნდა დავივიწყოთ მესაქონლეობის და საერთოდ ოთხფეხა პირუტყვის გამრავლების პრობლემები. საქართველოში ცხვრის ბუმი ორი წლის წინ დაიწყო, როცა არაბმა ინვესტორებმა მოინდომეს ქვეყნიდან 300 000 სული ცხვარის გაყვანა, ამის მიზეზი კი ქართული ცხვრის უნიკალური თვისებები აღმოჩნდა. უცხოელების ქართული ცხვრით დაინტერესება რა თქმა უნდა კარგია, მაგრამ ამ რაოდენობის ცხვრის ერთიანად გაყვანა ქვეყნისათვის და კერძოდ მეცხვარეობის დარგისათვის შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სტატისტიკური მონაცემებით ცხვარი და თხა 2003 წელს 722 ათასი იყო, ხოლო 2009 წელს 707ათასი, ე.ი. ექვს წელიწადში მატების ნაცვლად 15 ათასითაა შემცირებული.

ეხლა განვიხილოთ საერთოდ ხორცის ადგილობრივი წარმოება: სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით 2003 წელს ხორცის წარმოება 110 ათას ტონას შეადგენდა, ხოლო 2009 წელს 54 ათას ტონადმე შემცირდა, ამაში შედის ცხვარი, ძროხა, ღორი და ქათამი. ე. ი. ორჯერაა შემცირებული, სამაგიეროდ ორჯერ გაიზარდა იმპორტი: 2003 წელს 30 ათასი ტონა შემოდიოდა, ხოლო 2009 წელს შემოტანილი იქნა 62 ათასი ტონა გაყინული იაფფასიანი ხორცი, რომელიც საეჭვო ხარისხითაც გამოირჩეოდა.

რაც შეეხება ფრინველს 2003 წელს 9 მილიონ 200 ათასი ფრთა იყო, ხოლო 2009 წელს 6 მილიონამდეა შემცირებული. ადგილობრივი ფრინველის ხორცის წარმოება 18 ათასი ტონიდან 12 ათას ტონამდე შემცირდა, ხოლო იმპორტი 40 ათას ტონადმე გაიზარდა წლიურად.

საქართველო მხოლოდ ბიომრავალფეროვნებით კი არ არის უნიკალური, არამედ იმითაც, რომ აქ ყველა კლიმატური ზონაა და ყველა ზონას შესაბამისი ჯიშის ხორბალი ჰქონდა მორგებული, რომელიც ხანგრძლივი სელექციის შედეგი იყო და ამიტომაც მოდიოდა დიდი მოსავალი. დღეს მთელ მსოფლიოში მოთხოვნის ბუმია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოებაზე, ამასთან აღსანიშნავია, რომ ასეთი პროდუქტი გაცილებით ძვირიც ღირს, მაგრამ მიუხედავად ამისა მასზე მოთხოვნა მაინც დიდია და კონკურენციას უწევს გენმოდიფიცირებულ პროდუქციას. საქართველოს შეუძლია თავისი ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, შესაბამისი ხელშეწყობისა და დაფინანსების შემთხვევაში ერთ-ერთი მოწინაე ადგილი დაიჭიროს საერთაშორისო ბაზარზე ბიო პროდუქტების წარმოებაში და შესაბამისი კონკურენცია გაუწიოს მსოფლიო განვითარებულ ქვეყნებს.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ სოფლის მეურნეობა განვითარების თვალსაზრისით საქართველოში, ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგია და მისი განვითარება დღეისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მატარებელია.

სოფლის მეურნეობა არამხოლოდ წარმოებაა არამედ იგი ამაედროულად სოციალურ სფეროსაც წარმოადგენს და ამიტომ, საწარმოო სტრუქტურის თუნდაც მცირე დონით შეცვლა უშუალო გავლენას ახდენს სოფლის ყოფაცხოვრებაზე, მაგალითად: რომელიმე წარმოების მუშას, საწარმოს დახურვის შემთხვევაში შეუძლია სხვა წარმოებაში გადაინაცვლოს ან შეიცვალოს კვალიფიკაცია, მაშინ, როცა სოფლის მეურნეობაში დასაქმებული გლეხისათვის მეურნეობის დაშლა ან დახურვა, სასიცოცხლო მნიშვნელობისაა.

სოფლის მეურნეობაში იწარმოება სასოფლო-სამეურნეო ნედლეული, ხოლო ამ ნედლეულისგან ძირითადი სამომხმარებლო პროდუქცია: პური და პურ-პროდუქტები, რძის ნაწარმი, ხორცი, კვერცხი და სხვა. გადამამუშავებელი საწარმოების მეშვეობით საქონელი სამომხმარებლო ბაზარზე გადის. ამდენად, მოგების გარკვეული ნაწილი სოფლის მეურნეობიდან გადამამუშავებელ წარმოებაში გადაინაცვლებს, ამიტომ ეს დარგებიც უნდა დაფინანსდეს.

სოფლის მეურნეობის წარმოების მკვეთრად გამოხატული სეზონური ხასიათი და დროის ხანგრძლივობაზე დამოკიდებული საწარმოო ციკლი გავლენას ახდენს გლეხურ მეურნეობათა დაფინანსების პროცესზე. როგორც ვიცით, საქართველოში მოქმედი ბანკები დღეისათვის თავს იკავებენ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გრძელვადიანი დაფინანსებისაგან. სწორედ ამიტომ ამ დარგის დაფინანსება სახელმწიფოს ერთ-ერთ პრიორიტეტად და მთავარ მიზნად უნდა იქცეს.

ამიტომ, საქართველოს ეკონომიკის აღორძინებისა და შემდგომი განვითარების მიზნით, აუცილებელია სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების აღდგენა და განვითარება, რადგან პრაქტიკა ადასტურებს, რომ გაცილებით მომგებიანია პურ-პროდუქტების, ღვინის ნაწარმის, ყველის, ძეხვეულისა და ა.შ. პროდუქტებით ვაჭრობა, ვიდრე მათი ნედლეულის სახით გაყიდვა.

მეცხოველეობის დარგის განვითარების ხელის შემშლელი ფაქტორებიდან უნდა აღინიშნოს, რომ არ ხდება მეცხოველეობის სფეროში საქმიანობის დაზღვევა, რის გამოც საერთაშორისო ორგანიზაციები, ადგილობრივი კომერციული ბანკები, კერძო ინვესტორები თავს არიდებენ ამ დარგის დაფინანსებას.

ამგვარად აგრარული სექტორის განვითარების ხელშეწყობისათვის საჭიროა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

აგრარული ბიზნესის წახალისება საგადასახადო პოლიტიკით, სადაზღვევო ეფექტური სისტემით და სხვა;

ორგანიზაციული და ფინანსური მხარდაჭერა (მეწარმეთა უზრუნველყოფა შესაბამისი ინფორმაციით, სპეციალისტების მომზადება, სუბსიდიები და სხვა);

ინფრასტრუქტურის შექმნა (მისასვლელი გზები, ხიდები, სარწყავი არხების რემონტი და მშენებლობა, მშენებლობა, ელ-ენერგიის მიწოდება);

სახელმწიფოს მიერ ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარება შიგა ბაზრის დაცვის მიზნით;

უპროცენტო გრძელვადიანი სესხების გაცემა გრძელვადიანი პერიოდით და სხვა ხელისშემწყობი ღონისძიებების გატარება.

Interest – free Loans and the issues of developing National agriculture

George Kiparoidze
Doctor of Economics, Professor
Sukhishvili Teaching University
E-mail : giorgi-79@mail.ru; Tel: 551 11 22 78; 593 52 52 62

Irakli Kintsurashvili
Academic Doctor of Economics,
Associated professor

Resume

In this work the special attention is paid to the recent critical conditions of national agriculture in Georgia.

The purpose of this survey is to research the troubles connected to the business production and to find the ways to solve them. It also emphasizes the fact that it is necessary for the country's national agricultural regeneration and development to pay proper attention to the businessmen involved in industry and passes the politics to support agricultural development.

In this work some recommendations and statements are discussed and instructions are given. If we foresee all of them, it would give us a chance to overcome this crisis and improve national agricultural conditions of Georgia.

ალტერნატიული ენერგორესურსები - მდგრადი განვითარების კონტექსტში

გიორგი ზიბზიბაძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი
E-mile. giorgizibzibadze@gmail.com
tel. 595-34-27-91 2-32-85-30

ვარაუდობენ, რომ ადამიანის ეკონომიკური საქმიანობა დედამიწაზე დაახლოებით 12 ათას წელს ითვლის. დროის ამ მონაკვეთში მან „მოახერხა“ გარემომცველი ბუნებისათვის საგრძნობი ზარალის მიყენება, რადგან პრინციპი – ბუნებიდან მაქსიმალური სარგებლის ამოღებისა თავიდანვე მისი ძირითადი „სტრატეგია“გახდა. შესაბამისი შედეგიც სახეზეა. ესაა პრაქტიკულად ყველა მიმართულებით (ატმოსფერო, პიდროსფერო, ლითოსფერო) დარღვეული ეკოლოგიური წონასწორობა, რომლის ერთერთ მთავარ გამომწვევ მიზეზად ტრადიციული ენერგორესურსების გამოყენება სახელდება.

ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ ენერგიის გარეშე არ არსებობს მოძრაობა ანუ სიცოცხლე (აღნიშნულის თაობაზე დიდი ილიაც ხატოვნად მიუთითებდა როცა თერგსა და მყინვარს ადარებდა ერთმანეთს). აღნიშნულის გათვალისწინებით მომავალ'ში ენერგიის როლი კიდევ უფრო გაიზრდება, რადგან ის იძლევა საშუალებას შექმნათ სრულიად ახალი პროდუქტები და მომსახურება. ამასთან, რაც უფრო იაფია ენერგია მით მეტი საგებლობის მიღება შეიძლება მისგან ანუ გავზარდოთ მიწების ჩართვა სასოფლო სამეურნეო ბრუნვაში, იაფი ენერგიით შევცვალოთ შედარებით უფრო ძვირი საწარმოო ფაქტორები და სხვა.

ამდენად, თანამედროვე ეკონომიკა ენერგეტიკის გარეშე ვერ განვითარდება მიუხედავად იმისა, რომ ენერგეტიკის განვითარებას სერიოზული რისკებიც ახასიათებს. ამიტომაა აღიარებული, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის უახლოეს მიღწევებზე დაფუძნებულ ეკონომიკასაც კი დადებით მხარეებთან ერთად ყოველთვის ახასიათებს რიგი ნეგატიური მხარეებისა. მათ შორისაა ნიადაგის, ატმოსფეროს და წყლის დაბინძურება, ეკოლოგიური სისტემების კრიზისი და სხვა. თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ მეცნიერულ ტექნიკური პროგრესის მიღწევებზე დაფუძნებული მწარმოებლურ ძალთა განვითარება ყოველთვის არ ქმნის რეალურ საფრთხეს გარემოსა და ადამიანებისათვის. სწორედ ეს ქონდა მხედველობაში სრულიად საქართველოს პატრიარქს ილია II-ს როცა აღნიშნავდა „ მეცნიერება და ტექნიკა თავისთავად ბოროტების მომტანი არ არის, თუ ის მორწმუნე , კეთილი ადამიანების ხელშია, მაგრამ მეცნიერება და ტექნიკა ძალიან საშიშია სულიერების არ მქონე და ურწმუნო ადამიანის ხელში. მაშინ მეცნიერება და ტექნიკა შეიძლება იქცეს მთელი კაცობრიობის მომსპობ და გამანადგურებელ იარაღად“.

ეკონომიკური განვითარებისათვის ენერგიის დიდი მნიშვნელობის გამო კაცობრიობის ისტორიაში არ ყოფილა მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ეპოქა როცა არ იყო ენერგიის წყაროების ამოწურვის პანიკური შიში. თუმცა კაცობრიობის ისტორია და ფაქტები საწინააღმდეგოს ამტკიცებს, კერძოდ ენერგია როგორც

განვითარების საბაზო რესურსი პრაქტიკულად ამოუწურავია. მთავარია ენერგიიდან მიღებული სარგებლისა და მასზე გაწეული ეკონომიკური და სოციალური დანახარჯის პრინციპის გათვალისწინებით შეირჩეს ენერგიის წყაროები.

დღეს ბევრს მიაჩნია, რომ ენერგეტიკული პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ ატომური ენერგეტიკის ხარჯზეა შესაძლებელი. თელიან, რომ ატომური ენერგია, როგორც ახლო ისე შედარებით შორ პერსპექტივაში იქნება ენერგიის წარმოებაზე გაწეული დანახარჯების ზღვრული სიდიდის განმსაზღვრელი, მაგრამ ობიექტურად ისმის კითხვა რამდენად უსაფრთხოა ატომური ენერგიის გამოყენება დღეევანდელ მსოფლიოში ბირთვული ომის და სხვა საფრთხეების გათვალისწინებით.

სტატისტიკა გვამცნობს, რომ მე-20 საუკუნის მიწურულში მსოფლიოს 25 ქვეყანაში 440 მდე ატომური ენერგო ბლოკი მუშაობდა. მათ შორის 109 აშშ-ში, 56 საფრანგეთში, 51 იაპონიაში, 29 რუსეთში,35 დიდ ბრიტანეთში. ატომურ ენერგო ბლოკებზე გამომუშავდებოდა მსოფლიო ენერგეტიკაში გამომუშავებული ენერგიის 17%.(ცნობისთვის შევნიშნავთ რომ ამ ოდენობის ენერგიის გამომუშავება ქვანახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურებში გამოიწვევდა 2 მლრდ. ტონა ნახშირორჟანგის, 30 მლნ. ტონა აზოტის ოქსიდის, 50 მლნ. ტონა გოგირდის და სხვა ბევრი ქიმიური ნივთიერების ატმოსფეროში გაფრქვევას და ისედაც დაბინძურებული ჰაერის კიდევ უფრო მეტად დაბინძურებას). თუმცა როცა ატომური ელექტროსადგურების (აეს) დადებით მხარეებზე ვმსჯელობთ არ უნდა დავივიწყოთ ტრიმაილ-აილენდის(ამერიკა) და ჩერნობილის(უკრაინა) შედარებით გახმაურებული ავარიები. ამ უკანასკნელზე მომხდარი ავარიის შემდეგ გამოფრქვეული რადიაქტიური ნივთიერებები გაიფანტა ევროპაში, ბელორუსისა და პოლონეთის ტერიტორიების გავლით შეაღწია სკანდინავიის ქვეყნებში, ხოლო სამხრეთით– უკრაინის, ბულგარეთის, საქართველოსა და თურქეთის ტერიტორიების გაელით– ისრაელამდე. მარტო ბელორუსისთვის მიყენებულმა ზარალმა 200 მლრდ. დოლარი შეადგინა. მასში არაა გათვალისწინებული ის უდიდესი სოციალური ხასიათის ზარალი, რომელიც მოსახლეობის საკმაოდ დიდმა ნაწილმა მიიღო ავთვისებიანი სიმსივნეების სახით.

აეს-ები შეიცავენ საფრთხეს როგორც ომების გაჩაღების შემთხვევაში, ასევე ბუნებრივი კატაკლიზმების დროსაც, რაც ბოლო პერიოდში იაპონიაში მომხდარმა მოვლენამაც დაადასტურა. მართალია მომხდარი უბედურების შემდეგ ბევრმა ქვეყანამ განაცხადა უარი აეს-ბის მშენებლობაზე (შვედეთი, იტალია და სხვა), მაგრამ მათ მშენებლობას მაინც განაგრძობენ ინდოეთი, იაპონია, რუსეთი, ირანი და სხვა ქვეყნები, რაც დიდი პოტენციური საფრთხის მატარებელია, როგორც ამ ქვეყნების ისე მთელი რეგიონის მოსახლეობისათვის.

ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს. რომ სრული უსაფრთხოების თვალსაზრისით არც ჰიდროელექტროსადგურებია ბოლომდე სანდო. მართალია ისინი არ აბინძურებენ გარემოს მავნე ქიმიური ნივთიერებით, მაგრამ ეკოლოგიური თვალსაზრისით ბევრ პრობლემას ქმნიან. უპირველესად მხედველობაშია კლიმატის მკვეთრი ცვლილება(ხშირი ნალექები, ფარდობითი ტენიანობის ზრდა და სხვა), რაც კარგად ჩანს ენგურჰესის მაგალითზეც. თუ ამას დაეუმატებთ დიდი ოდენობით დატბორილ სავარგულებს და იმ საფრთხეებს რომელიც არ არის გამორიცხული ომის თუ სახვა სახის კატაკლიზმების დროს(უეცარი დატბორვა) მივალთ იმ

დასკენამდე, რომ არც აეს-ები ყოფილა ენერგიის გამომუშაევების ეფექტური საშუალება.

ზემოაღნიშნულმა და ბევრმა სხვა შემთხვევამ შეცვალა საზოგადოების აზრი აეს-ბის მიმართ და საგრძნობლად შეარყია ბირთვული ენერგეტიკის რეპუტაცია. შეიქმნა რეალური საფუძველი არსებული ენერგიის წყაროების ალტერნატიული ენერგორესურსებით ჩანაცვლებისა ანუ გადასვლა მზის, გრავიტაციის, ქარის, ბიომასის, თერმული წყლების და სხვა რესურსების ხარჯზე მიღებული ენერგიის გამოყენებაზე.

მზის ენერგიის, როგორც ალტერნატიული ენერგორესურსის გამოყენების კარგი გამოცდილება მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანას გააჩნია.მათ შორის ძირითადია ა.შ.შ., იაპონია, საფრანგეთი, იტალია და ესპანეთი. ამ ქვეყნებში აშენებულია 30-ზე მეტი მზის ელექტროსადგური, რომელთა საერთო სიმძლავრე რამდენიმე ათეულ ათას კილოვატსაათს შეადგენს. ამ მიმართულებით მსოფლიოში ყოველწლიურად იზრდება მზის ენერგიის გამოყენების მაშტაბები, რისთვისაც სარგებლობენ არც თუ ისე რთული პოლიოთერმული დანადგარებით, რომლებიც მზის სხივებს ენერგიად გარდაქმნიან. აღნიშნული პროცესი არა მარტო ეკონომიკურადაა ეფექტიანი, არამედ გარემოს გაჯანსაღებასაც დიდად უწყობს ხელს.

მზის ენერგიის გამოყენების მიმართულებით ჩვენს ქვეყანას შეიძლება ითქვას საკმაოდ კარგი პოტენციალი გააჩნია. გაანგარიშებულია რომ აქ 1კე. მეტრზე წელიწადში საშუალოდ 1300-1800-კვტ/საათი მოდის, ხოლო ჯამური პელიო ენერგეტიკული პოტენციალი 10 მლრდ.კვტ/საათს შეადგენს, რაც ექვივალენტურია 30 მლნ. ტონამდე პირობითი საწვაისა. ეს მონაცემები არ არის ფანტაზიის სფეროდან, რადგან ცნობილი ფაქტია, რომ ქვეყანაში მზის ნათების ხანგრძლიობა წლის მანძილზე 2350 საათს შადგენს. ამდენად არის საფუძველი ვიფიქროთ ამ მიმართულებით მუშაობის მასშტაბის გაფართოებისათვის, განსაკუთრებით ქვეყნის იმ ნაწილებში სადაც მზის ენერგიის მიღების მეტი პოტენციალი არსებობს.(სამხრეთ საქართველოს მთიანეთში,, გარდაბნის, მარნეულის, მცხეთის და დასავლეთ საქართველოს რიგ რაიონებში)

ალტერნატიული ენერგორესურსებიდან შეიძლება განხილული იქნეს ასევე ქარის და ენერგიის სხვა წყაროებიც, მაგრამ ჩვენი აზრით ამ მხრივ განსაკუთრებით გამოსაყოფია თერმული წყლები, რომელთა საერთო მარაგი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე 250 მლნ. კუბ. მეტრითაა შეფასებული. არსებული თერმული წყლების 23 საბადოდან დღეს ათვისებულია მხოლოდ 13 რაც პოტენციური სიმძლავრის მხოლოდ 32-35 %-შეადგენს. მათ შორისაა ცაიშის (ზუგდიდი), ქვალონის (ხობი), თბილისის, ხარაგაულის და სხვა საბადოები. თერმული წყლების დიდი მნიშვნელობა განპირობებულია იმითაც, რომ მისი გამოყენება შეიძლება რამდენიმე მიმართულებით. მათ შორის კომუნალრ მეურნეობაში, სასათბურე მეურნეობაში, სამკურნალოდ ბალნეოლოგიურ კურორტებზე და სხვა მიმართულებით.

და ბოლოს არ შეიძლება არ ითქვას მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით საქართველოს სოფლებში განხორციელებული ბიოგაზის დანადგარების მშენებლობის პროექტის შესახებ.

მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს რომ ბიომასის გადამუშავება ბიოგაზის სპეციალურ დანადგარებში სოფლდ ენერგეტიკული, ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემის მოგვარების ეფექტური საშუალებაა. ამ მიზანს ემსახურებოდა მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით ქვეყანაში განსახორციელებელი პროექტი, რომელიც სოფლებში ბიოგაზის დანადგარების აშენებას ითვალისწინებდა 560 მგ/ვატი საერთო სიმძლავრით. პროექტის ფარგლებში 1999-2003 წლებში სოფლებში მოეწყო 20 სხვადასხვა კონსტრუქციის პილოტური ბიოგაზის დანადგარი. მომავალში სულ უნდა აშენებულიყო 16 ათასი ბიოგაზის დანადგარი, მაგრამ იმის გამო რომ იმ დროს ვერ მოიძებნა საჭირო კრედიტი(8 მლნ. დოლარი) აღნიშნული პროექტი ვერ განხორციელდა.

სათანადო გათვლებით დასტურდებოდა, რომ პროექტის განხორციელება საშუალებას იძლეოდა დაზოგილიყო 1,4 მლნ კუბ.მ. საშეშე მერქანი, ბიოლოგიური სასუქი ჩანაცვლებოდა ძვირად ღირებულ ქიმიურ სასუქებს და შექმნილიყო იაფი და სუფთა ენერგიით სოფლად ოჯახების უზრუნველყოფის პირობები.

ჩვენი აზრით ზემოთ ჩამოთვლილი და სხვა პროექტების რეალიზაცია, რომლებიც მზის, ქარის, გეოთერმული ენერგიის და სხვა წყაროების ხარჯზე ენერგიის წარმოების გადიდებას და მოხმარებას ითვალისწინებენ, უნდა გახდეს მომავალში ჩვენს ქვეყანაში თბო და ჰიდროელექტრო სადგურების თანდათანობით ჩანაცვლების რეალური პოტენციალი. ამას ობიექტურად მოითხოვს ჩვენი ქვეყნის გარემოს დაცვისა და საზოგადოების განვითარების ჰარმონიული შეხამების ინტერესები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ხარიტონაშვილი ჯ. „ მსოფლიოს გლობალური პრობლემები“ თბ. 2001 წ.
2. ლემონჯავა ჰ. „ეკონომიკისა და ეკოლოგიის ურთიერთობების განვითარების ასპექტები“. თბ. 2006 წ.

Alternative energy resources - in the context of sustainable development

George Zibzibadze
Academic Doctor of Economics
Professor of Sukhishvili Teaching University
E-mail: giorgizibzibadze@gmail.com
tel: 595-34-27-91 2-32-85-30

Resume

The article discusses traditional thermal and hydro-electric resources related to environmental threats and expressed an opinion as to that of an alternative energy (solar, wind, biomass, and thermal springs) and their replacement with high potential. It should be taken into account in future.

This approach responds to "the concept of sustainable development" meets all of our needs and interests of the surrounding nature and the harmonious development of society.

საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პრობლემები და მათი გადაჭრის საკითხისათვის

ბესარიონ ნაყოფია
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი.
E-mail: temo_nayo@yahoo.com; Tel: 599-71-63-57.

საინვესტიციო პროცესი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში და გვეელინება მისი ეკონომიკური კეთილდღეობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად. ეტიც, საინვესტიციო პროცესი არის არა მარტო ეკონომიკური განვითარების, არამედ საზოგადოების სოციალური სტაბილურობისაფუძველი. მიტომაც მის ანალიზს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა როგორც მსოფლიო, ისე საქართველოს მასშტაბით. არსებობს საკმაოდ მდიდარი გამოცდილება სალნვესტიციო პროცესებისა და საქმიანობის შესწავლისა. უცხოური კაპიტალის მოძრაობა ხელს უწყობს ხანგრძლივი კრიზისების შერბილებას, ცხოვრების დონის დაცემისა და უმუშევრობის ზრდის შენელებას და საშუალებას იძლევა სახელმწიფო საგარეო ვალის გადიდების გარეშე ქვეყანაში შემოტანილ იქნას .ახალი მოწყობილობები და ტექნოლოგიები, გაიზარდოს დასაქმებულთა რაოდენობა და საბიუჯეტო შემოსაელები. ამისათვის უპრიანია სახელმწიფოს ზრუნეის საგანი ქვეყანაში იყოს საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღება. ბოლო 5 წლის განმავლობაში უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი რაოდენობა 2007 წელს შემოვიდა და ამაეე წელსეე დაფიქსირდა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ყველაზე მაღალი ტემპი (12,5%). აღსანიშნაეია, რომ უცხოური ინვესტიციების დიდი ნაწილი ქვეყანაში შემოდის საერთაშორისო მიზნობრივი პროექტების ფარგლებში. აქეე აღსანიშნაეია, რომ ბოლო წლებში საქართველოში შემოტანილი უცხოური ინვესტიციების მოცულობის ზრდას დასაქმების დონის ზრდა არ მოჰყოლია. ეს განპირობებულია იმ სპეციფიკით, რომელიც ახასიათებს ინვესტიციების შინაარსის გაგებას. სამწუხაროდ, ხელისუფლება ინვესტიციასთან აიგივებს ნებისმიერი სახის სახელმწიფო უძრაეი ქონების გაყიდვიდან მიღებულ ფულად სახსრებს, აგრეთვე ვაჭრობასთან დაკავშირებულ ფულად მოძრაობას, რაც ინვესტიციის კლასიკურ ეკონომიკურ გაგებასთან შორსაა. როგორც ჩანს, ამითაა განპირობებული ის გარემოება, რომ ოფიციალური სტატისტიკა არ აღრიცხავს ინვესტიციური ხარჯების კონკრეტულ მიმართულებებს. თუმცა "ჯერ ერთი, ინვესტიცია ერთობლივი დანახარჯების უმნიშვნელოვანესი ელემენტია და ამდენად მნიშვნელოვად გაელენას ახდენს ეროვნულ წარმოებაზე და მოსახლეობის დასაქმებაზე. მაგალითად, მომსახურების სფეროში მცირდე ინვესტიცია გავლენას ახდენს ამ სფეროში დასაქმებაზე; მომსახურების სფეროში მცირე ინვესტიცია ხელს უწყობს საწარმოს ფონდების დაგროვებას და ა.შ."[3.გე.114]. საქართველოს ეროვნული მეურნეობისათვის სჯორედ უმთაერესი პრობლემაა უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. მათი ეროვნული მეურნეობის დარგებში გამოყენება წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის კომპლექსურ ღონისძიებათა შორის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას. საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 1995-2011 წლებში.

წელი	FDI (მლნ. აშშ. დოლ)
1995	33,3
1996	68,5
1997	138,6
1998	288,1
1999	83,7
2000	60,2
2001	109.8
2002	167,3
2003	340,1
2004	499,1
2005	449,8
2006	1190,4
2007	2,001,0
2008	1563,9
2009	505,2
2010	553,1
2011	1,117,0

საქართველო ისევე როგორც სხვა განვითარებადი ქვეყნები, მწვავედ განიცდიან უცხოური ინვესტიციების სიმცირეს. საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის დინამიკა 90-იანი წლების შუა პერიოდიდან დაახლოებით 2002 წლამდე არცთუ დადებით სურათს ტოვებდა. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ პერიოდამდე შეინიშნებოდა ზრდის ტენდენცია. კერძოდ, 1995წ.-33,25მლნ აშშ დოლარი; 1996წ. – 68,46 მლნ აშშ დოლარი; 1997წ – 138,6 მლნ. აშშ დოლარი; 1998წ – 288,04 მლნ. აშშ დოლარი; 1999წ 83,65 მლნ. აშშ დოლარი; 2000წ – 60,14 მლნ. აშშ დოლარი.

რთული საგარეო ეკონომიკური ფონის პირობებში განვითარებულმა მოვლენებმა, საგადამხდელო და საფინანსო კრიზისმა, ეროვნული ვალუტის კურსის მკვეთრმა მერყეობამ და ინფლაციური პროცესების გაძლიერებამ მძიმე დარტყმა მიაყენა ქვეყნის მეურნეობის აღორძინების პროცესს, მეტად დაძაბა სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია სახელმწიფოში.

ასეთ პირობებში პოლიტიკური, სავალუტო და საფინანსო რისკის ზრდას, ცხადია თან მოჰყვა არსებული საინვესტიციო პირობების გაუარესება და როგორც ამის ლოგიკური შედეგი – პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის მკვეთრი შემცირება. მდგომარეობა არც 2002 წელს გაუმჯობესებულა. ამ წელს საბაზრო ურთიერთობების გათვალისწინებით ინვესტიციები საერთო დანახარჯებში იყო ყველაზე ცვალებადი კომპონენტი, რომლის გააქტიურებაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენდა პოლიტიკური არასტაბილურობა, ეროვნული ვალუტის ინფლაცია, ქვეყანაში არსებული განუვითარებელი ინფრასტრუქტურა, ჩამოუყალიბებელი და ცივილიზებული ქვეყნისათვის არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა, ძალზე

მოუწესრიგებელი საგადასახადო სისტემა და ძალიან მაღალი გადასახადები, მოსახლეობის უაღრესად დაბალი შემოსავლიანობა, ზედა და საშუალო რგოლის მენეჯერების არასაკმარისი პროფესიონალიზმი და სხვა ხელისშემშლელი პირობების სიმრავლე.

2003 წლის შემდეგ საქართველოს მთავრობის მიერ საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიზნით განხორციელებულმა რეფორმება და ინიციატივებმა დადებითი შედეგები გამოიღო, რაც საერთაშორისო კვლევებითა და შეფასებებითაც დადასტურდა.

2005 წელს უცხოურმა ინვესტიციებმა საქართველოში შეადგინა 449,8 მილიონი აშშ დოლარი (2004 წელს 499 მილიონი აშშ დოლარი). გარკვეული კლება წინა წლებთან შედარებით გამოწვეული იყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის დამთავრებით, თუმცა სხვა ინვესტიციების (არა ნავთობსადენთან დაკავშირებული) მოცულობა 2004 წელთან შედარებით გაიზარდა 44 მილიონი აშშ დოლარით 139 მილიონი აშშ დოლარიდან 183 მლნ აშშ დოლარამდე. 2006 წელს პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა საქართველოშჲი 1.190 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 740,2 მილიონი აშშ დოლარით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. 2007 წელს საქართველოში 2.01 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ქვეყანაში წლის განმავლობაში შემოსული ინვესტიციებისა და ის აღემატება 2006 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს თითქმის 50%-მდე. აღნიშნულ პერიოდში საქართველოში განხორციელებული ინვესტიციებიდან ყველაზე მსხვილ საწარმოებზე მოდიოდა 1.180 მლნ. აშშ დოლარი, ანუ მთლიანი ინვესტიციების 70.2%, რაც 2006 წლის მაჩვენებელზე 59,4%-ით მეტია.

"2008 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 28% წარიმართა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორებზე; 19%- ენერგეტიკაზე; 15%- უძრავ ქონებაზე; 12%- მრეწველობაზე, 6%- მშენებლობაზე; 0,9% სოფლის მეურნეობაზე და თევზჭერაზე; 17% - დანარჩენ სფეროებზე. ამავე წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 10,7% მოდის არაბეთის გაერთიანებულ საემიროებზე; 10,6% აშშ-ზე; 10,5% თურქეთზე; 9,5% დიდ ბრიტანეთზე; 8,7% ნიდერლანდებზე; 5,8% შვეიცარიაზე; 3,3% ყაზახეთზე და ა.შ."[2.გე.51]. გასულ წლებში (2003 წლიდან მოყოლებული) საქართველოში ეკონომიკური ზრდის ძირითადი განმაპირობებელ ფაქტორს უცხოეთიდან კერძო კაპიტალის ნაკადები (პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და საბანკო კრედიტები) შემოდინებისა და საბიუჯეტო სახსრების მუდმივი ზრდა წარმოადგენდა. 2008 წლის აგვისტოს ომმა და ამის შემდგომ მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა მნიშვნელოვნად შეამცირა უცხოური პირდაპირი ინვესტიციები ქვეყანაში და შედეგად შეფერხდა ეკონომიკური ზრდა. 2009 წელს საქართველოსთვის გამოყოფილმა დონორთა დახმარებებმა გარკვეულწილად გადაფარა ის პრობლემები რომლებიც შეიძლებოდა მკვეთრად შემცირებული ინვესტიციების ფონზე შექმნილიყო.

EBRD-ში აცხადებენ რომ საქართველოში ინვესტიციები 2009 წელთან შედარებით გაიზარდა, თუმცა კრიზისამდელ მაჩვენებელს ჯერ ვერ დაუბრუნდა. 2010 წელს უცხოურმა პირდაპირმა ინვესტიციებმა ქვეყანაში შეადგინა 553,1 მილიონი აშშ დოლარი, რაც წინა წელთან შედარებით შემცირდა 16%-ით, თუმცა 2011 წელს პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა შეადგინა 1,117 მილიონი აშშ დოლარი. ეს

ფაქტი კი დამაიმედებელია. ღოგორც ავღნიშნეთ, 2008 წლიდან საქართველოში დაიწყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირება, რაც ორმა მნიშვნელოვანმა მოვლენამ გამოიწვია; მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა და რუსეთ-საქართველოს ომმა. მიტომაც ჩვენის აზრით მნიშვნელოვანია ამ ორი მოვლენის უარყოფითი ზეგავლენის განხილვა საქართველოს საინვესტიციო გარემოზე.

ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანას შეეხო, მათ შორის საქართველოსაც, რადგან საქართველო მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. სოფლიო ფინანსურმა კრიზისმა საქართველოს ეკონომიკაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა და ქვეყანა მრავალი გამოწვევის წინაშე დააყენა. მკვლევართა ერთი ჯგუფის აზრით გლობალური ფინანსური კრიზისი მხოლოდ იმ ქვეყნებს დაზარალებდა, რომლებიც მსოფლიო ფინანსურ სისტემასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ის, რომ საქართველოს დაწყებული საგარეო ვაჭრობით და დამთავრებული ინვესტიციებით დიდი მჭიდრო ურთიერთობა აქვს იმ ქვეყანასთან, საიდანაც ეკონომიკური კრიზისი დაიწყო – აშშ. ჩვენის აზრით, საქართველოზე ნებისმიერ შემთხვევაში პოვებდა ასახვას:

- საქართველო იმპორტიორი ქვეყანაა;

- საქართველოს როგორც საბანკო, ისე სხვა სექტორები საერთაშორისო ბაზარზე იყო მიბმული

- საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მთავარი პარტნიორი, როგორც პოლიტიკური თვალსაზრისით, იყო ამერიკის შეერთებული შტატები.

2008 წელი გარდამტეხი აღმოჩნდა საქართველოსთვისაც, ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა, რუსეთის აგრესიამ, მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა, საქართველოს ეკონომიკაზე სერიოზული გავლენა მოახდინა. მართალია მყისიერი უარყოფითი, ნეგატიური გავლენა ქვეყანაში არ მომხდარა და როგორც არაერთმა ექსპერტმა განაცხადა, ქვეყანამ ომს გაუძლო, თუმცა ნოემბრის ბოლოს კრიზისი უკვე აშკარა გახდა. იუხედავად არაერთი განცხადებებისა, რომ კრიზისული მდგომარეობა საქართველოში არცთუ ისე მაღალია რადგანაც ქვეყანა არ არის დიდად ინტეგრირებული მსოფლიო ეკონომიკურ ბაზართან, ცხადია რომ ეკონომიკური აქტივობა უკიდურესად შენელებულია, ხოლო ეკონომიკური ზრდის ტემპები – მკვეთრად დაცემული, რაც აისახა კიდეც 2009 წლის ბიუჯეტის შემოსავლებზე. კონომიკური კრიზისი ყველაზე მეტად საფინანსო და სამშენებლო სექტორებს შეეხო. ფაქტიურად 2008 წლის დასაწყისისათვის საბანკო სისტემის აქტივებმა 8 მილიარდს გადააჭარბა რაც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 40%-ზე მეტია.



აგვისტოს ომამდე საბანკო კაპიტალის აქტივები ძირითადად უძრავ ქონებაზე და იპოთეკურ კრედიტებზე მოდიოდა. მოზიდული სახსრების დიდ ნაწილს შეადგენდა მოსახლეობის ანაბრები და დასავლეთიდან შემოსული თანხები. გარდა ამისა, საბანკო სფეროში მნიშვნელოვანი ადგილი რუსულ-ყაზახურ კაპიტალს ეკავა. ყაზახური აქტივების უდიდესი ნაწილი, ისევე როგორც რუსული, ომის შემდეგ გაეიდა საქართველოდან. ამას მოჰყვა ის, რომ მოსახლეობის დიდმა ნაწილმა სახსრების დაკარგვის შიშის საფუძველზე მოახდინა საკუთარი ანაბრების გატანა ბანკებიდან, რამაც კიდევ უფრო რთულ ვითარებაში ჩააგდო საბანკო სექტორი. 2008 წლამდე ერთ-ერთი წარმატებული სფერო ქართულ ეკონომიკაში სამშენებლო სექტორი იყო.

"თუ 2004 წელს რეგისტრირებული იყო 668 ორგანიზაცია, 2005 წლისთვის მათი რიცხვი გაორმაგდა და შეადგინა 1231 ერთეული. სამშენებლო კომპანიების ზრდის ტემპი მომდევნო წლებშიც გაგრძელდა. სოფლიო ფინანსური კრიზისისა და რუსეთ-საქართველოს ომის გამო 2008 წლიდან იწყება მათი რაოდენობის მკვეთრი შემცირება" "2007 წელს მშენებლობაში განხორციელებული ინვესტიციების მთლიან

მოცულობაში დაახლოებით 56.5% პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე მოდიოდა და შესაბამისად 171,8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც თავის მხრივ იმ დროისათვის საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთლიანი მოცულობის 8.5% შეადგენდა. 2008 წლის ცნობილმა მოვლენებმა განსაკუთრებით უარყოფითი გავლენა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოსვლაზე იქონია. კერძოდ მშენებლობაში მისი მოცულობა 56.7 მლნ. აშშ დოლარამდე შემცირდა და ქვეყანაში 2008 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთლიანი მოცულობის 3.6% შეადგინა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლების არასასიამოვნო ტენდენცია შემდეგ წლებშიაც გაგრძელდა" [1,გვ.196-197;201-202]. ისევე როგორც საბანკო სფეროში, აქაც რთული ვითარება შეიქმნა.პრობლემები სამშენებლო ბაზარზე პირდაპირ კავშირშია ბანკების მიერ იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთების ზრდასთან, რადგან მყიდველების უმეტესობა საქართველოში სწორედ იპოთეკური სესხებით სარგებლობდა.ფინანსური კრიზისის პარალელურად მთელ მსოფლიოში უძრავ ქონებაზე მოთხოვნა მცირდება, საქართველოშიც მოთხოვნა შემცირდა, განსაკუთრებით ომის შემდეგ. გარდა კრიზისისა უცხოელთა დაინტერესებაზე განეხორციელებინათ კაპიტალდაბანდებები საქართველოში, გაელენა იქონია რუსეთ-საქართველოს ომმა. 2008 წლის აგვისტოს ომამდე. საერთოდ, გასულ წლებში საქართველოს საბანკო, სადაზღვევო და სამშენებლო სექტორები ერთმანეთზე იყვნენ გადაჯაჭვულნი. ამიტომ ერთ-ერთ მათგანში პრობლემების წარმოჩენა მეორის უდიდეს პრობლემას განაპირობებდა.ასეც მოხდა. აგვისტოში განვითარებულმა მოვლენებმა დიდი დარტყმა მიაყენა ადგილობრივ და იმ ბიზნესს, რომლებიც ინვესტორებზე იყვნენ დამოკიდებულნი. ასევე აგვისტოს მოვლენებმა შეაფერხა უკვე დაგეგმილი ინვესტიციების განხორციელება. ასე მაგალითად, აგვისტოს მოვლენების შემდგომ, მსოფლიო ფინანსური კრიზისის ფონზე ყაზახურმა კომპანიამ "კაზმუნაიგაზმა" უარი განაცხადა ქვეყანაში 1 მილიარდი დოლარის ინვესტიციაზე, რომლითაც ბათუმში ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა უნდა აშენებულიყო, ამერიკულმა კომპანიამ "ქლეარ სთრიმ პოლდინგმა" საქართველოში გამოცხადებულ ინვესტიციაზე უარი თქვა; კომპანიამ აუქციონზე "ეაი-მაქსის" სიხშირე 9 მილიონ 300 ათას ლარად შეიძინა და უკაბელო ინტერნეტ სერვისის აწყობას გეგმავდა. კომპანიის ქართველი პარტნიორების განცხადებით, პროექტი ჩაიშალა და "ქლეარ სთრიმმა" საფასური არ გადაიხადა. ინვესტიციების შემოდინება საქართველოში მზარდი ტენდენციებით ხასიათდება, მაგრამ აგვისტოს შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. 2008 წლის მესამე კვარტალში 2007 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ინვესტიციები სამჯერ შემცირდა, ხოლო 2008 წლის მე-4 კვარტალში 6-ჯერ და ინვესტიციების 6-ჯერ შემცირება არანაკლებ (თუ მეტად არა) შემცირებას ნიშნავს ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობისა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ომის შედეგად მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად დონორები საქართველოს დაეხმარნენ 4,5 მილიარდ აშშ დოლარის ოდენობის თანხით. ამ თანხიდან 2 მილიარდი აშშ დოლარით გაიზარდა საქართველოს საგარეო ვალი, დანარჩენი 2.5 მილიარდი აშშ დოლარი საქართველომ მიიღო როგორც მსოფლიო ბანის "საჩუქარი".

საქართველოს საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობაზე უარყოფით გავლენას ახდენენ ასევე მთელი რიგი სხვა ფაქტორები. ქვეყანაში ნებისმიერი დესტაბილიზაცია, დემონსტრაციები, გაფიცვები თუ მიტინგები, რომლებიც საქართველოში ძალიან გახშირებულია, ბიზნესს და ინვესტიციებს აფერხებს.

ამასთან აღსანიშნავია ქვეყანაში სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა, ადამიანის უფლებების დარღვევები, კერძო საკუთრების ხელყოფის მასიური ფაქტები. როგორც ავღნიშნეთ, მსოფლიო ფინანსური კრიზისისა და აგვისტოს ომის ცნობილი მოვლენების მიუხედავად 2011 წელს უცხოურმა პირდაპირმა ინვესტიციები დაიწყო შედარებით ზრდა. შაკრედიტო სარეიტინგო კომპანია "Moodys Investors Service"-მ საქართველოს სუვერენული რეიტინგი "Ba3" (Not-Prime Foreign and Local currency issuer ratings) პირველად მიენიჭა და ქვეყნის პერსპექტივა სტაბილურად შეაფასა. ომპანიის მიერ საქართველოსთვის აღნიშნული რეიტინგის მინიჭება ასახავს: - ქვეყნის პროგრესს სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტიტუტების განვითარებასა და ბიზნესისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნაში; - მთავრობის პროაქტურ პასუხს გლობალურ ეკონომიკურ კრიზისსა და 2008 წლის რუსეთთან ომზე; -გეოპოლიტიკურ რისკს.

აღსანიშნავია, რომ "Moodys"-ს მიერ საქართველოსთვის მინიჭებული რეიტინგის რისკ-ფაქტორად საქართველო-რუსეთის მოუგვარებელი ურთიერთობებია დასახელებული.

ქვეყანაში საინვესტიციო პროცესების ეფექტიანად განხორციელებისათვის აუცილებელია კარგი საინვესტიციო კლიმატის ფორმირება. შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის საინვესტიციო კლიმას ქმნიან საინვესტიციო აქტივობა და საინვესტიციო მიმზიდველობა. ამასთან, საინვესტიციო მიმზიდველობა წარმოადგენს განზოგადებულ მახასიათებელს, საინვესტიციო აქტივობა კი მისგან გამომდინარე შედეგობრივი მახასიათებელია, რომელიც განსაზღვრავს საინვესტიციო საქმიანობის რეალურ განვითარებას. საინვესტიციო მიმზიდველობა თავის მხრივ დამოკიდებულია ორ სისტემურ მახასიათებელზე: ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალსა და საინვესტიციო რისკებზე. სოციალურ-ეკონომიკური სისტემის საინვესტიციო მიმზიდველობა სწორედ ამ ორი მახასიათებლით განისაზღვრება, სადაც საინვესტიციო პოტენციალი თავისი შინაარსით პოზიტიური კატეგორიაა, ხოლო საინვესტიციო რისკები – ნეგატიური. როგორც ზემოთ აღნიშნე, მკვლევართა უმრავლესობა ხაზს უსვამს იმას, რომ ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ზრდის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი არის ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვა. ამასთან დაკავშირებით აუცილებლად მინდა შევეხო დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულებას, რომლის იდეებიც ეროვნულობიდან გამომდინარეობდა. იგი ამბობდა:" ჩვენ მეურნეობას ჩვენვე მოვუაროთ, თორემ ეს გამოიწვევს ისეთ საშინელ შედეგებს,რომ ჩვენსავე ღვინოს მამასისხლად გაგვიყიდიან, ჩვენც ასევე მოგვასყიდებენ და ჩვენსავე განრჯე ხალხს გაღატაკებულ პროლეტარიატადგადააქცევენ უცხო ადამიანებიო". ილიას აზრით, ქვეყნის ეროვნული და სულიერი განვითარება ეროვნული მეობის საერთო ფესვიდან ამოზრდილი ყლორტებია და ქართული მოდელის საწყისები სწორედ ქართველის ზოგად-კულტურულ ვინაობასა და რაობაში უნდა ვეძიოთ. და თქმა უნდა, მართებულად მიმაჩნია, რომ უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის გასაუმჯობესებლად, მაგრამ ვთვლი, რომ გასათვალისწინებელია ილია ჭავჭავაძის შეხედულებები სახელმწიფოს მიერ საინვესტიციო პროცესებთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარებისას უზენაესი უნდა იყოს ქვეყნის ინტერესები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასათიანი რ. რედაქტორობით. "საქართველოს ეკონომიკა" გამომცემლობა სიახლე, თბილისი 2012 წელი.
2. მესხია ი. "საქართველოს ეკონომიკის თანამედროვე საფრთხეები და ახალი გამოწვევები". საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომების კრებული. ტომი 7. გამომცემლობა "სიახლე" თბილისი 2009 წელი.
3. ნაყოფია ბ. "ბიზნესის საფუძვლები". ამომცემლობა "გეორგიკა", სახელმძღვანელო თბილისი 2010 წელი.
4. Klaus Schredelseker Consumption and investment. Fisher separation. Value maximizing as main objective of the firm. Austria, 2007.
5. www investingeorgia. org.
6. www banksandfinance. Ge

Problems of attraction foreign investments in Georgia and for their solution

Besarion Nayopia
Doctor of Economic Sciences, Professor,
Sukhishvili Teaching University
E-mail: temo_nayo@yahoo.com;
Tel: 599-71-63-57.

Resume

For the purpose of attraction of foreign investments to and implementation of investment projects in Georgia it is necessary to create a good investment climate. Investment activity and investment attractiveness are to create climate of the country. In addition, the investment attractiveness is a general parameter and the investment activity is a parameter resulting from it that determines an actual development of the investment activities. The investment attractiveness in return depends on two system parameters: investment potential and investment risks of the country. These two parameters in particular are to determine the investment attractiveness of the social and economic system.

As regards the investment climate of the country, subject to the aforementioned, in 2011, the relations existing between Georgian and Russia were specified as the risk factor assigned to Georgia by Moods Investors Service. In particular these strained relations along with several other ones hinder Georgia in attraction of additional investments. As regards the investors, they manage to invest funds to our country notwithstanding current situation. Due to a high risk on such same investments, they demand a high risk premium as compared to investments implemented in developed economics.

In particular our country being aimed to development should obtain investments from our neighbor countries as Turkey, Azerbaijan, Ukraine, and Russia.

სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა: არსი, ფორმები და მექანიზმები

მერაბ ვანიშვილი
სუხიშვილის უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი
E-mail: merabvanishvili@yahoo.com / tel.: 598 113 753; (032) 261 69 12
ნინო ვანიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
E-mail: ninivanishvili@yahoo.com / tel.: 595 960 029; (032) 261 69 12

შესავალი. საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ ეფექტური საბაზრო ეკონომიკის განვითარების აუცილებელი პირობა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ბიზნესს შორის აქტიური ურთიერთქმედებაა. ამ ურთიერთქმედებამ თავისი ინსტიტუციონალიზების პროცესში შეიძინა სახელმწიფოსა და კერძო მეწარმეების პარტნიორობის ხასიათი (უბლიც- რიეატე- არტნერსჰიპ,) და მიიღო სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის სახელწოდება.

სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის არსი. სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის არსის გააზრებისას რამდენიმე მიდგომა გამოიკვეთა. ეკონომიკური მიდგომის ფარგლებში სახელმწიფო-კერძო პარტნიორობას ადარებენ ირიბ პრივატიზებას. საქმე ეხება სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის უფლებამოსილებათა გადანაწილებას იმ სტრატეგიულ დარგებში, რომელთა პრივატიზებაც სხვადასხვა მიზეზების გამო შეუძლებელია (სოციალური სფერო, ტრანსპორტი, დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობა, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები და ა.შ.), მაგრამ რომელთა განვითარებისათვის სახელმწიფოს ფული არ გააჩნია.

აღსანიშნავია ისიც, რომ სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის ეფექტურობის მნიშვნელოვანი პირობაა სახელმწიფოს მიერ სამეურნეო აქტიურობის მნიშვნე-ლოვანი დოზის და საკუთრების ზოგიერთი უფლებამოსილების შენარჩუნება. წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის მექანიზმების რეალიზებამ შეიძლება მიგვიყვანოს ბიზნესის მიერ პარტნიორობის ობიექტების მთლიან ან ნაწილობრივ პრივატიზებამდე. სახელმწიფოსა და ბიზნესის პარტნიორობის ასეთი გაგების საფუძველი გახდა განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების გამოცდილება, სადაც კერძო კომპანიებს, რომლებიც სახელმწიფოსთან ერთობლივი პროექტების რეალიზებას ახდენენ, გადაეცათ ფართო უფლებამოსილებანი: ფლობის, ექსპლუატაციის, მშენებლობის, დაფინანსების და ა.შ. საკითხებში.

სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა ასევე განისაზღვრება როგორც პრივატიზაციის პროგრამების სრულფასოვანი ჩანაცვლების სახე, რომელიც საშუალებას იძლევა, ერთი მხრივ, რეალიზებული იქნას კერძოსამეწარმეო ინიციატივის პოტენციალი, მეორე მხრივ - შენარჩუნდეს სახელმწიფოს საკონტროლო ფუნქციები ეკონომიკის სოციალურად მნიშვნელოვან სექტორებში. სახელმწიფო არ კარგავს მესაკუთრის უფლებას, ამასთან იზიდავს ბიზნესის რესურსებს პრობლემათა ფართო წრის გადასაჭრელად.

უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნესის მონაწილეობა პროექტების რეალიზებაში მოითხოვს პარტნიორობის, როგორც სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობის განსაკუთრებული სახის სამართლებრივ განმტკიცებას, რაც იწვევს მნიშვნელოვან ინსტიტუციონალურ ცვლილებებს "ხელისუფლება-ბიზნესის" ურთიერთობათა სისტემის შიგნით, რაც შესაძლებლობას იძლევა გაფართოვდეს მეწარმეთა მონაწილეობა ეკონომიკური, ორგანიზაციული, მმართველობითი და სხვა ფუნქციების

შესრულებაში. საქართველო თუკი ამ გზით წავა, მოუწევს სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის მრავალფეროვანი ფორმების ეკონომიკური და სამართლებრივი კვალიფიკაციის ურთულესი პროცესის გაცლა. ამასთან, მნიშვნელოვანია იურიდიულად სწორად შეფასდეს სახელმწიფოს როლი არა მხოლოდ როგორც მთავარი მარეგულირებლისა, არამედ როგორც საზოგადოებრივი ინტერესებისა და მოთხოვნილებების წარმომადგენლისა და დამცველისა, ე.ი. ის, რასაც ევროპულ იურიდიულ ტრადიციაში იგულისხმება საჯარო სამართლის, საჯარო ინტერესის, საჯარო სამსახურის, საჯარო-სამართლებრივ ქონებრივ ურთიერთობებისა და საჯარო-სამართლებრივ საკუთრების სახით.

მეორე მიდგომის თანახმად, რომელიც უკავშირდება სახელმწიფო პოლიტიკასა და მართვას, სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა არის სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობის საზღვარზე. ამასთან, არ არის არც პრივატიზაციის ინსტიტუტი და არც ნაციონალიზაციის ინსტიტუტი, არამედ არის სახელმწიფოს მიერ საზოგადოების წინაშე არსებული თავისი ვალდებულებების შესრულების ოპტიმიზირების ფორმა. ეს ვალდებულებები კი მდგომარეობს მოსახლეობისათვის საჯარო სიკეთეების შეუფერხებელ მიწოდებაში.

არსებობს ასევე სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის გაფართოებული გაგებაც როგორც ხელისუფლებისა და ბიზნესის კონსტრუქციული ურთიერთქმედებისა არა მარტო ეკონომიკაში, არამედ პოლიტიკაში, კულტურაში, მეცნიერებაში და ა.შ. ამ შემთხვევაში სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა გააზრებულია როგორც სახელმწიფოსა და მეწარმეთა კორპუსის პარტნიორობის ნებისმიერი ფორმა. ამასთან, ხელისუფლებისა და მართვის ორგანოების მიერ უფლებამოსილებათა გადაცემა არ შემოიფარგლება მხოლოდ საკუთრების უფლებებით: აქვე უნდა შევიდეს გადაწყვეტილებათა მიღების ზოგიერთი ფუნქციების დელეგირება ექსპერტიზის, კონსულტირების და ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებისა და მიზნობრივი პროგრამების ერთობლივი შემუშავების დროს.

ზოგადად, სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის განსაზღვრებას თუ შევეცდებით, ესაა სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის ურთიერთხელსაყრელი საშუალო და გრძელვადიანი თანამშრომლობა, რომელიც სხვადასხვა ფორმით რეალიზდება (დაწყებული სამუშაოების შესრულებაზე კონტრაქტებით, დამთავრებული სახელმწიფოსა და ბიზნეს-ასოციაციების კონსულტაციებით) და მიზნად ისახავს პოლიტიკურ და საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტას ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე.

<u>სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის ფორმები</u>. სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის ფორმების კლასიფიცირება სხვადასხვა საფუძველზე შეიძლება მოხდეს, მაგრამ ყველაზე გამოსადეგი კრიტერიუმი მოცემული ანალიზისათვის არის ხელისუფლებისა და ბიზნესის ურთიერთქმედების სფეროების მიხედვით გამიჯვნა. ტრადიციულად განიხილავენ სახელმწიფო-კერძო პარტნიორობას ეკონომიკისა და სახელმწიფო მართვის სფეროებში.

მსოფლიო პრაქტიკაში საზოგადოებრივი და კერძო სექტორების ეფექტური ურთიერთქმედების მრავალი მაგალითი არსებობს მსხვილმასშტაბიანი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების რეალიზების დროს. რაც უფრო მეტ ფუნქციებსა და უფლებამოსილებას იღებს საკუთარ თავზე ერთ-ერთი მხარე, რაც უფრო მეტია მისი მონაწილეობა პროექტის რეალიზებაში, მით უფრო მეტად ურთიერთქმედების მოცემული მოდელი გვაგონებს პრივატიზაციის ან ნაციონალიზაციის სქემას.

არსებობს პარტნიორობის ისეთი ფორმები, როგორიცაა ურთიერთობა კონტრაქტის საფუძველზე, იჯარის (ლიზინგის) ხელშეკრულება, შეთანხმება პროდუქციის გაყოფის თაობაზე, საინვესტიციო კონტრაქტი, კონცესიები, აქციონირება, კერძო კაპიტალის წილობრივი მონაწილეობა სახელმწიფო საწარმოებში (ერთობლივი საწარმოები).

ბიზნესისა და ხელისუფლების ურთიერთქმედების ტიპების საფუძველზე, გარკვეული პირობითობით შეიძლება გამოიყოს სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის სხვადასხვა მოდელები, მოსახერხებელი თეორიული გააზრებისათვის. პრაქტიკაში პარტნიორობა ერთმანეთში აერთებს რამდენიმე მოდელს. პარტნიორობის თითოეულ საბაზო მოდელს ახასიათებს ორგანიზაციის, დაფინანსების და კოოპერაციის სპეციფიკური თანაფარდობა.

ამ მოდელებიდან ერთ-ერთი აირჩევა იმის მიხედვით, თუ რა სფეროში რეალიზდება შეთანხმება. თუკი პარტნიორობის პროექტების მსოფლიო პრაქტიკას განვიხილავთ, გამოკვეთილია კონკრეტულ დარგებში ამა თუ იმ მოდელის ეფექტურობა.

ოპერატორის მოდელი ფართოდ გავრცელდა ნარჩენების გადამუშავებაში. მას ახასიათებს პასუხისმგებლობის მკაფიო გაყოფა კერძო პარტნიორობასა და სახელმწიფოს შორის სახელმწიფოს მიერ მაკონტროლებელი ფუნქციების შენარჩუნების პირობებში.

კოოპერაციის მოდელი გამოიყენება იქ, სადაც კონკრეტული მომსახურებები არასაკმარისად მკაფიოდაა გამოყოფილი და განსაზღვრული და ამდენად, ძნელია მათი გადაქცევა ისეთ ობიექტებად, რომლებიც გადასახადებით დაიბეგრება. ამ შემთხვევაში პარტნიორობა რეალიზდება სახელმწიფოსა და კერძო ინვესტორის ერთობლივი საპროექტო კომპანიის მეშვეობით.

კონცესიების მოდელი მოქმედებს დარგებში პროექტების რეალიზების ხანგრძლივი ვადით, აგრეთვე იმ შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფოდან კერძო პარტნიორისთვის საკუთრების უფლების გადაცემა გამოირიცხება პოლიტიკური ან სამართლებრივი მიზეზებით.

ხელშეკრულებითი მოდელი გამოიყენება ენერგეტიკაში, რომელშიც ინვესტიციები, პირველ რიგში, მიმართულია მიმდინარე დანახარჯების შემცირებისკენ. ამასთან, ეკონომია ამ შემცირებით არცთუ იშვიათად აჭარბებს საკუთრივ საინვესტიციო დანახარჯებს.

ლიზინგის მოდელი ყველაზე მისაღებია საზოგადოებრივი შენობების მშენებლობისათვის. მსოფლიოში დაგროვილია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და კერძო ბიზნესის პარტნიორობის ლიზინგური ფორმების ძალზედ დიდი გამოცდილება.

<u>სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის მექანიზმები</u>. იმის მიხედვით, თუ კერძო პარტნიორს რა მოცულობით გადაეცემა საკუთრებაზე უფლებამოსილება, როგორია მხარეთა საინვესტიციო ვალდებულებანი, პარტნიორებს შორის რისკების განაწილების პრინციპები, პასუხისმგებლობა სხვადასხვა სახის სამუშაოს შესრულებაზე, მათ შორის მშენებლობაზე, ექსპლუატაციასა და მართვაზე, გამოიყოფა პარტნიორობის შემდეგი მექანიზმები:

მექანიზმი BOT (Build, Operate, Transfer - მშენებლობა - ექსპლუატაცია, მართვა - გადაცემა). ეს მექანიზმი ძირითადად კონცესიებში გამოიყენება. ინფრასტრუქტურის ობიექტი იქმნება კონცესიონერის ხარჯზე, რომელიც მშენებლობის დამთავრების შემდეგ იღებს აშენებული ობიექტის ექსპლუატაციის უფლებას იმ ვადის განმავლობაში, რაც საკმარისია ჩადებული სახსრების ამოსაღებად. ამ ვადის გასვლის შემდეგ ობიექტი სახელმწიფოს უბრუნდება. კონცესიონერი იღებს ობიექტის გამოყენების, მაგრამ არა ფლობის უფლებას, მესაკუთრე სახელმწიფო რჩება.

მექანიზმი ო (უილდ, წნ, პერატე, თრანსფერ - მშენებლობა - ფლობა – ექსპლუატაცია, მართვა - გადაცემა). ამ შემთხვევაში კერძო პარტნიორი იღებს არა მარტო გამოყენების, არამედ ობიექტის ფლობის უფლებამოსილებასაც შეთანხმების ვადის განმავლობაში, რომლის გასვლის შემდეგაც ის გადაეცემა საჯარო ხელისუფლებას. არსებობს ასევე "შებრუნებული" თ-ი, რომლის დროსაც ხელისუფლება აფინანსებს და აშენებს ინფრასტრუქტურის ობიექტს, შემდეგ კი მიანდობს სამართავად კერძო პარტნიორს, რომელსაც უფლება აქვს თანდათანობით გამოისყიდოს მისგან ეს ობიექტი და თავის საკუთრებად აქციოს.

მექანიზმი BTO (Build, Transfer, Operate - მშენებლობა - გადაცემა - ექსპლუა-ტაცია, მართვა) გულისხმობს საჯარო ხელისუფლებისათვის ობიექტის გადაცემას მშენებლობის დამთავრებისთანავე. სახელმწიფოს მიერ მიღების შემდეგ ის გადაეცემა კერძო პარტნიორს გამოსაყენებლად, მაგრამ ფლობის უფლების გადაცემის გარეშე.

მექანიზმი BOO (Build, Own, Operate - მშენებლობა - ფლობა – ექსპლუატაცია, მართვა) რეალიზების დროს შექმნილი ობიექტი შეთანხმების ვადის ამოწურვის შემდეგ არ გადაეცემა საჯარო ხელისუფლებას, არამედ რჩება ინვესტორის განკარგულებაში.

მექანიზმი BOMT (Build, Operate, Maintain, Transfer - მშენებლობა – ექსპლუატაცია, მართვა - მომსახურება - გადაცემა) სპეციალური აქცენტი კეთდება კერძო პარტნიორის პასუხისმგებლობაზე მის მიერ აგებული ინფრასტრუქტურის ობიექტების შენახვასა და მიმდინარე რემონტზე.

შეთანხმება DBOOT -is (Desing, Build, Own, Operate, Transfer - პროექტირება - მშე-ნებლობა - ფლობა - ექსპლუატაცია, მართვა - გადაცემა) თავისებურება მდგომარეობს კერძო პარტნიორის პასუხისმგებლობაში არა მარტო ინფრასტრუქტურის ობიექტის მშენებლობაზე, არამედ პროექტირებაზეც.

DBFO-s ტიპის შეთანხმების (Design, Build, Finance, Operate - პროექტირება - მშენებლობა - ფინანსირება - ექსპლუატაცია, მართვა) შემთხვევაში, გარდა კერძო პარტნიორის პასუხისმგებლობისა პროექტირებაზე, სპეციალურად ხაზი ესმის მის პასუხისმგებლობას ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობის დაფინანსებაზე.

სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა პოლიტიკის სფეროში. პოლიტიკის სფეროში სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის დახასიათებისას, პირველ რიგში, უნდა შეეხოთ ლობიზმის ინსტიტუციონალიზებულ ფორმებს, რომლებიც გარკვეულ პოზიტიურ პოტენციალს ფლობენ. ის ხელს უწყობს დემოკრატიის პლურალისტური მოდელის და

საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებას გარდამავალი პერიოდის საზოგადოებებში. ლობიზმის ინსტიტუციონალურ ჩამოყალიბებას არცთუ მცირე წვლილი შეაქვს სახელმწიფო ხელისუფლებისა და საზოგადოების ეფექტური ურთიერთქმედების უზრუნველყოფაში, როდესაც პოლიტიკური პროცესის დინამიკაზე ზეგავლენას ახდენს სოციალური ჯგუფების სულ უფრო მეტი რაოდენობა. გარდა ამისა, ცივილიზებული ლობიზმი მოწოდებულია გააძლიეროს ხელისუფლების ინსტიტუტების მმართველობითი, გამანაწილებელი და სხვა ფუნქციები.

სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის ფორმები პოლიტიკურ სფეროში არის: ხელისუფლებისა და ბიზნესის წარმომადგენლების კონსულტაციები მეწარმეთა ასოციაციების ფარგლებში; სხვადასხვა დონის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების პროექტების დამოუკიდებელი ექსპერტიზა ეკონომიკისა და სხვა სფეროების ფარგლებში; სახელმწიფო პოლიტიკის ამა თუ იმ მიმართულების რეალიზებასთან დაკავშირებით წინადადებების მომზადება და შეტანა, შიდა ბაზრის დაცვა, ექსპორტიორების სახელმწიფო მხარდაჭერა; ხელისუფლებისა და მეწარმეთა გაერთიანებების, საქონლის მწარმოებელთა დარგობრივი კავშირების ურთიერთქმედების საინფორმაციო უზრუნველყოფა.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა არის მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური და, ფართოდ რომ ვთქვათ, სახელმწიფო პოლიტიკის ინსტრუმენტი, რომელიც ჩამოყალიბდა, ერთი მხრივ, სახელმწიფოსა და, მეორე მხრივ, სამოქალაქო საზოგადოებისა და მისი ცალკეული კორპორაციების ხანგრძლივი ურთიერთქმედების შედეგად.

დასავლეთის ქვეყნებში მოხერხდა ხელისუფლებისა და ბიზნესის მეტნაკლებად პარიტეტული ურთიერთობების დამყარება, ამ სახის პარტნიორობის რეგლამენტირება და მათი ინსტიტუციონალიზება ურთიერთქმედების სოციალური და პოლიტიკური ნორმების სახით.

პოლიტიკური რეჟიმი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ხელისუფლებისა და ბიზნესის პარტნიორობა, შეიძლება იყოს არა მარტო დემოკრატიული, არამედ ავტორიტარულიც. ამ შემთხვევაში მთავრობისა და კომპანიების კონსტრუქციული ურთიერთობა წარმოიშობა კორპორატივიზმის სისტემაში, რაც ხელს უწყობს ინტერესთა ბალანსის დამყარებას სახელმწიფოსა და პოლიტიკური სისტემის შემქმნელ ჯგუფებს შორის. თუმცა, სწორედ დემოკრატიის. სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის განვითარებული ფორმები იძლევიან შესაძლებლობას აიგოს სახელმწიფო-კერძო პარტნიორული ურთიერთობები, რომელთა დროსაც ხელმძღვანელობენ მხარეთა თანაბარუფლებიანობის, ვალდებულებათა აღების ნებაყოფლობის, მათ შესრულებაზე პასუხისმგებლობის, კანონმდებლობის დაცვის, მხარეთა ინტერესებში შემავალ პრობლემათა თავისუფალი განხილვის, პარტნიორების პოზიციების პასუხისმგებლობის პრინციპების საფუძველზე. სახელმწიფო და ბიზნესი დასავლეთში უკვე გახდნენ ისეთი პარტნიორები, რომლებიც არ ხელყოფენ ერთმანეთის ავტონომიურ სფეროებს და ერთმანეთისგან გარკვეულ დამოუკიდებლობას ინარჩუნებენ.

საქართველოში სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის დიდი გამოცდილება, გასაგები მიზეზების გამო, არ არსებობს, თუმცა მისი ცალკეული ფორმები მაინც გამოიყენება. მსოფლიო პრაქტიკაში არსებული მდიდარი შესაძლებლობების ათვისება კი ნამდვილად წაადგება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას და ხელისუფლებასა და ბიზნესს შორის ცივილიზებული ურთიერთობების დამკვიდრებას.

ჩვენს ქვეყანას უახლოეს მომავალში სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის სფეროში სიტუაციის რადიკალურად გაუმჯობესებისათვის მოუწევს დიდი მუშაობა. სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის ფორმებისა და მექანიზმების გამოყენებაში მსოფლიო პრაქტიკისა და საქართველოს სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების არასაკმარისი გამოცდილების გათვალისწინებით, საქართველოში საჭირო ხდება საკონცესიო კანონმდებლობის სრულყოფა და საბიუჯეტო შეზღუდვების აღმოფხვრა სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის ფინანსური სქემის მიხედვით. აუცილებელია მართვის ადექვატური სისტემა, მათ შორის ახალი მმართველობითი ორგანოს შექმნა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის განვითარებაზე, შესაბამისი უფლებამოსილებით. გადაუდებელი ამოცანაა აგრეთვე სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის საკითხებზე შესაბამისი კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ახალი სისტემის შექმნა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი /საქართველოს მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტის ავთანდილ სილაგაძის საერთო რედაქციით. თბილისი: საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, 2005.
2. Варнавский В. Г. Государственно-частное партнерство: некоторые вопросы теории и практики /МЭ и МО. М., 2011, №9. с. 41-50.
3. Public-Private Partnerships – the Government`s Approach. L., 2000.
4. Closing thi Infrastructure Gap: The Role of Public-Private Partnerships. NY, 2006.
5. User Guidebook on Implementing Public-Private Partnerships for transportation Infrastructure Projects in the United States. Wash., 2007.
6. საქართველოს 1994 წლის 28 ოქტომბრის 557-Iს კანონი „მეწარმეთა შესახებ“// www. parliament.ge.
7. საქართველოს 1994 წლის 21 დეკემბრის 616-Iს კანონი „საზღვარგარეთის ქვეყნებისა და კომპანიებისათვის კონცესიების გაცემის წესის შესახებ“//www. parliament.ge.
8. საქართველოს 1997 წლის 30 მაისის 743 - IIს კანონი „სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“//www. parliament.ge.
9. საქართველოს 2002 წლის 19 ივნისის 1519 - IIს კანონი „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“//www. parliament.ge.
10. საქართველოს 2007 წლის 3 ივლისის 5175 კანონი „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“//www. parliament.ge.

Public - private partnership: content, forms and mechanisms

Merab Vanishvili
Professor of Sukhishvili University
E-mail: merabvanishvili@yahoo.com
tel.: 598 113 753; (032) 261 69 12
Nino Vanishvili
PhD of Georgia's Technical University
E-mail: ninivanishvili@yahoo.com
tel.: 595 960 029; (032) 261 69 12

Resume

This article is made public - private partnership (Public-Private-Partnership, PPP) is to find out characteristics of the study abroad experience, and Georgia in an attempt to determine the possibilities of its use. In particular, there tanmimdevruladaa discussed the state and the business partnership with such important issues, such as public - private partnership concept, public - private partnership forms, public - private partnership mechanisms, public - private partnership policy, public - private partnership in the world of experience, state - private partnership problems and their solutions in Georgia.

ეკონომიკური კრიზისი: ინოვაციური განვითარების მართვის პრობლემები და ამოცანები

ლალი ვარდიშვილი
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი
სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი
E-mail: l.vardishvili@mail.ru Tel: 599 51 77 48

ეკონომიკური კრიზისების წარმოშობა ობიექტური კანონზომიერებაა და მისი გვერდის ავლა ეკონომიკური კვლავწარმოების პირობებში თითქმის შეუძლებელია. მსოფლიო ეკონომიკისათვის მნიშვნელოვანია მოხდეს კრიზისების სწორი და დროული პროგნოზირება,რათა წინასწარ შემუშავდეს ის ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს აღნიშნული კრიზისების რბილად გადატანას.

გლობალური საბაზრო ეკონომიკის კრიზისი რეალობაა და საქართველოს ეკონომიკის არც თუ მჭიდროდ ინტეგრირების ფონზე მისმა გაელენამ ეკონომიკის მდგრადობა მნიშვნელოვნად შეასუსტა.მართალია მშპ-ის რეალურმა ზრდამ წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით 8,2% შეადგინა, 2012 წლის მეორე კვარტლის მონაცემებით, მშპ-ში ყველაზე მაღალი წილი შემდეგ სექტორებზე დაფიქსირდა,როგორიცაა:ვაჭრობა (16,6%), ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (11,0 %); დამამუშავებელი მრეწველობა(10,4%), სოფლის მეურნეობა (8,6%). საქართველოს ეკონომიკა სტრუქტურულლად კვლავ პრობლემურ ფაზაში დარჩა, მართალია ტრანსპორტიც გეჭირდება, კავშირგაბმულობაც და ენერგეტიკაც, მაგრამ უპირველეს ყოვლისა გვჭირდება იმ სფეროების განვითარება, რომლებშიც რეალური მატერიალური ღირებულება იქმნება, რასაც ნაკლები ყურადღება ექცევა. საქართველო გლობალური კონკურენტუნარიანობის კუთხით არა თუ დაწინაურდა,არამედ საგრძნობლად ჩამორჩა საერთაშორისო თანამეგობრობას მაკროეკონომიკური სტაბილურობის, ბიზნესის განათლების, ბიზნესის „მოქნილობის“, ტექნოლოგიური მზადყოფნის და ინოვაციების დარგში, რის გამოც საბოლოოდ არა ინოვაციური, არამედ ეფექტიანობაზე ორიენტირებული ქვეყნების სიაშიც კი ვერ მოხედა.

საბაზრო ეკონომიკის კრიზისის პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მსგავსი სახის ინფორმაციის სისტემატიურ გამოქვეყნებას, რაც საზოგადოებას საშუალებას აძლევს მოელენათა განვითარების პულსს გრძნობდეს და საჭიროების შემთხვევაში დროულად ჩაერიოს კორექტირების მიზნით.

ისმის კითხვა, ამ პირობებში რა უნდა გაკეთდეს საქართველოში?

კრიზისთან ბრძოლა ეს იგივეა, რომ ვიბრძოლოთ უამინდობასთან ან ფიზიკურ საფრთხესთან (მიწისძვრა; წყალდიდობა...). ეს უაზრობაა, ჩვენ კი არ უნდა ვებრძოლოთ კრიზისს, არამედ უნდა ვმართოდ იგი,რომელიც მოიცავს რისკების ზუსტ შეფასებას და პროგნოზს, სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მიერ სწორი გადაწყვეტილების მიღებას და რისკების შესამცირებლად ეფექტური ზომების განხორციელებას. ქვეყანაში სტიმული უნდა მიეცეს ანტიკრიზისული პროგრამების გამოყენებას და გატარდეს ინოვაციური პოლიტიკა, რომლის მიზანია კელექის, მეწარმეობის, ადამიანური კაპიტალის და ცოდნის, „მწვანე“ ტექნოლოგიების და ინფრასტრუქტურული ინოვაციების, მათ შორის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ქსელების განვითარება.

ეკონომიკური კრიზისი არა მარტო ვერ გახდება ტექნოლოგიური და ინსტიტუციონალური ინოვაციების სამუხრუჭე, არამედ პირიქით ინოვაცია აპირებს გახდეს „ოქროს გასაღები“ პრობლემების გადაჭრის და ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის მდგრადი გზა.

ინოვაცია - ესაა პრინციპულად ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული საქონლის წარმოების, უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის, წარმოების ორგანიზაციისა და მენეჯმენტის თეისებრივი სრულყოფის პროცესი.

გლობალიზაციის პროცესში ჩართვა მოგვცემს იმის შესაძლებლობას რომ შემოვიტანოთ და დავნერგოთ განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში აპრობირებული მისაღები ტექნოლოგიები, განათლების ფორმები, ტიპები, სახეები, საგანმანათლებლო პროგრამები და ა. შ.

ინოვაცია და ცოდნა წარმოადგენს ძირითად ფაქტორებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ კრიზისიდან გამოსვლას და ქვეყნის მდგრადი განვითარების გზაზე გაყვანას. განათლების სისტემა, მეცნიერებასთან მჭიდრო კავშირში უნდა იყოს და ქმნიდეს იმ ტექნოლოგიურ-ინოვაციურ ბაზას, რომლითაც ქვეყანაში ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკა და მაღალტექნოლოგიური სექტორი ყალიბდება, რომელიც განვითარებულ სამყაროში ქვეყნების ეკონომიკური ზრდის ტემპს განსაზღვრავს. თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერება განიხილავს ცოდნას, როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ფაქტორს, ინვესტიციის ფორმას ადამიანურ კაპიტალში, რაზეც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ეროვნული წარმოება და საზოგადოების ცხოვრების დონე. ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესში შეინიშნება დიდი ინტერესი ინტელექტუალური რესურსების მიმართ, რაც ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკის განვითარებას უკავშირდება. ამ მხრივ ამ საქართველოში არ გვაქვს სახარბიელო მდგომარეობა.განვითარებული ქვეყნებისაგან განსხვავებით საქართველოდან ინტელექტი მხოლოდ გაედინება, რაც სხვადასხვა მიზეზებითაა განპირობებული, კერძოდ: ხელფასების სიმცირე, უმუშევრობა,

პროფესიული წინსვლის არარსებობა და ზოგადად მძიმე სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა.

მიგრაცია:

წლები	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
მიგრაციული სალდო (ათასი კაცი)	-35.2	-32.6	-27.8	-27.5	5.5	76.3	-12.1	-20.7	-10.2	34.2	18.1	20.2

წყარო. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

კონკრეტულად რაოდენობრივად ხარისხობრივი კვლევა იმის შესახებ, თუ რამდენმა მაღალკვალიფიციურმა სპეციალისტმა დატოვა სამშობლო, ჩვენთან არ ჩატარებულა. თუმცა ვარაუდობთ,რომ საკმაოდ მაღალია სხვა ქვეყნებთან შედარებით.

მაგრამ მორგენტაუსეს სიტყვები რომ მოვიშველიოთ ქვეყანა, რომელსაც არ ჰყავს საკმარისი მოსახლეობა საკუთარი ინდუსტრიული წარმოებისა და სამხედრო ცოცხალი ძალის დასაკომპლექტებლად, ვერასოდეს იქცევა პირველხარისხოვან სახელმწიფოდ (თუნდაც ერთ რომელიმე რეგიონში, როგორიც კავკასიაა).

ინოვაციები ასევე მნიშვნელოვანია ტექნოლოგიებშიც. ტექნოლოგიური სიახლეები გავლენას ახდენენ წარმოების ეფექტიანობაზე, ახალი სახეობის პროდუქციის შექმნაზე, მის რელიზაციაზე. ინფორმაციული ტექნოლოგიების სრულყოფითა და გამოყენებით

შესაძლებელი ხდება ახალი სახის მომსახურებასა და პროდუქციის შესახებ ინფორმაციის მოპოვება, მისი შენახვა და გავრცელება. ნობილია რომ ორგანიზაციები, რომლებიც თანამედროვე ტექნოლოგიებითაა აღჭურვილნი და დაკავშირებულნი არიან ახალი ტექნოლოგიების შემქმნელ მეცნიერებადტევად ორგანიზაციებთან, სწრაფად რეაგირებენ ყოველ სიახლეზე და კონკურენტუნარიანნი არიან. ტექნოლოგიური გარემოს ცვლილების ერთ-ერთი ხერხია ტექნოლოგიების გადაცემა ერთი ქვეყნიდან სხვა ქვეყანაში. ზოგიერთი ქვეყანა ტექნოლოგიების გადაცემის მომხრეა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტიმულირების ხარჯზე. სხვა ქვეყნებმა ტექნოლოგიური გარემოს სრულყოფას მიაღწიეს საკუთარ რესურსებზე და სამომხმარებლო ბაზრებზე შეღწევის სანაცვლოთ ტექნოლოგიების შემოტანის პირობით. მაგალითად, საუდის არაბეთმა ნავთობმომპოვებელ კომპანიებთან ხელი მოაწერა კონტრაქტს ნედლი ნავთობის მოპოვებაზე პირობით, რომ ეს კომპანიები შეასწავლიდნენ მათ სპეციალისტებს ნავთობის მოპოვების თანამედროვე მეთოდებს.

საქართველოში 2012 წლის 27 სექტემბერს ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრი დაარსდა მოქმედი მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ტექნიკური დახმარებისა და ბიზნეს მხარდაჭერის გასაწევად, ტექნოლოგიებზე წვდომის გაუმჯობესებისა და შესაბამისად მათი ეფექტურობის გაზრდის მიზნით. ცენტრის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს ინოვაციური კულტურის დამკვიდრებას საქართველოში და ტექნოლოგიების ტრანსფერს კვლევითი სფეროდან ეკონომიკის რეალურ სექტორში.

დღეს, როგორც არასდროს, საჭიროა ყველა სახელმწიფომ სწორად განსაზღვროს, როგორ უპასუხოს თანამედროვე გამოწვევებს, როგორ გადალახოს ეკონომიკური კრიზისით გამოწვეული პრობლემები, როგორ დასძლიოს და შესაბამისად, შექმნას ქვეყნის განვითარების ისეთი ეკონომიკური სტრატეგია, რომელიც გრძელვადიან პერიოდში უზრუნველყოფს სახელმწიფოს სტაბილურ განვითარებას. უნდა ხელი შეუწყოთ ადგილობრივი საქმიანი წრეების ახალ ინიციატივებს, ინოვაციურ გადაწყვეტილებებს, მათი საქმიანობის არეალის გაფართოვებასა და განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტი „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიმართულებები“; თბ 20012წ.

2. ივ.ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორთა კრებული-„საერთაშორისო ბიზნესი“ თბ. 2011 წ.

3.www.nplg.gov.ge

4.www.bfm.ge

Economic crisis: problems and tasks of innovative development management

Lali Vardishvili

Doctor of Economic Sciences Sukhishvili Teaching University

E-mail: l.vardishvili@mail.ru Tel: 599 51 77 48

Resume

In the country using anti-crisis programs should be stimulated and innovative policy aimed at development of research, entrepreneurship, human capital and knowledge, 'green' technologies and infrastructural innovations, including information and communication networks should be implemented. Economic crisis will not become not only an obstacle in technological and institutional innovations, but also, on the contrary, innovation is going to be a 'golden key' for solving problems and a sustainable way out of the economic crisis.

Информационное обеспечение управления бизнесом при подготовке решений

Титаренко Ирина Владимировна
кафедра бухгалтерского учета и аудита Высшего учебного заведения Укоопсоюза
«Полтавский университет экономики и торговли»
titarenko_22@mail.ru

Управление бизнесом можно представить как процесс получения информации, ее обработки, принятия решений, организации и контроля их исполнения. Важнейшей составной частью управления является принятие решений. Для выработки правильных, оптимальных управленческих решений, требуется полная, оперативная и достоверная информация.

Информация характеризует состояние управляемой и управляющей систем, а также внешней среды и служит основой для выработки управленческих решений. Информация в процессе управления является главным предметом и результатом труда руководителей и специалистов. На разных стадиях процесса управления роль ее неодинакова. К управленческой информации предъявляются определенные требования. Наиболее важные из них: достоверность, точность и объективность; полнота и достаточность сведений; своевременность и оперативность поступления; доступность: системность, комплексность и ритмичность поступления и др.

Среди многочисленных антикризисных мер, рекомендуемых экспертами руководителям предприятий малого и среднего бизнеса, интенсификация сбытовых усилий вызывает наименьшие возражения. Вместе с тем, даже владея методиками решения этого вопроса, но не обладая объективной информацией, организовать эффективное управление продажами невозможно. Таким образом, актуальным есть вопрос о том, какие процедуры сбора информации нужно запустить для того, чтобы наладить эффективную работу бизнеса.

Анализ существующих теоретических положений и практического опыта управления промышленными предприятиями показал, что в сфере информационного обеспечения остаются недостаточно изученными проблемы соответствия систем информационного обеспечения управления бизнес-процессами и деятельностью предприятия как таковой, недостоверности и неполноты информации, оценки экономической эффективности информационного обеспечения.

Теоретические основы сущности, задач и значимости информации в управлении бизнес-процессами представлены в работах отечественных и зарубежных ученых, как Ю. Бригхем, І.А. Бланк, Дж.В.Хорн, С. Росс, Ж. Перар, О.В. Карпенко, Н.Е. Рогоза, Л.М. Шимановська-Дианич, М.В. Макарова, С.Н. Петренко, И.А. Маркина, В.М. Федосов, В.М. Власова, В.М. Сутормина, Н.С.Рязанова и др.

Современная сложная и динамичная рыночная среда диктует новые требования к организации управления бизнесом. Не вызывает сомнений тот факт, что информация становится важнейшим ресурсом промышленного предприятия. Поэтому невозможно организовать эффективное управление бизнес-процессами без информационного обеспечения, которое играет ведущую роль в реализации этого аспекта деятельности предприятия. Именно поэтому необходимо уделять особое внимание формированию и оценке информационного обеспечения управления бизнес-процессами.

Полученные результаты в бизнесе играю главную важную роль деятельности. Для этого должна быть налажена система сбыта продукции (товаров, услуг). Выходя из этого, для

усовершенствования результатов работы бизнеса, предлагаем выполнение таких заданий с помощью информации, которая имеется в системе фирмы:

1. Выбрать принцип сегментации клиентского рынка компании.

2. Определить потенциал потребления продукции компании и конкурентную обстановку в различных сегментах рынка.

3. Определить наиболее привлекательные, целевые для компании сегменты.

4. Назначить для каждого менеджера зону ответственности, то есть набор целевых сегментов.

5. Установить планы продаж по сегментам, а значит по ответственным за них менеджерам, на основании результатов, достигнутых компанией в прошлом периоде, и утверждённых стратегических приоритетов.

У менеджеров должна быть поставлена задача обсудить с крупными клиентами прогнозы закупок и представить результаты в установленном формате. Руководители (менеджеры) отделов должны провести ревизию собранных данных с учётом знания степени оптимизма подчинённых и установить по каждому менеджеру плановый прирост реализации за счёт новых клиентов.

Кроме того, для оптимизации процессов управления бизнесом и осуществляющих выбор наиболее приемлемой системы информационного обеспечения можно предложить обратить внимание на альтернативы, которые могут выполнять сотрудники отдела продаж:

- увеличение рентабельности продаж в пределах своей компетенции;
- улучшение условий и дисциплины оплаты продукции компании покупателями;
- улучшение оборачиваемости склада готовой продукции;
- рост клиентской базы;
- увеличение доли компании в закупках клиентов;
- сбор маркетинговой информации от клиентов;
- своевременная управленческая отчётность;
- соблюдение нормативов сдачи бухгалтерской отчётности;
- корректное ведение данных в информационной системе;
- выполнение нормативов оперативной активности.

Таким образом, соблюдение таких заданий менеджерами низких и средних звеньев сбыта продукции (товаров, услуг), будет давать дополнительную управленческую информации в системе принятия решений бизнеса.

Информационные продукты являются как средством ведения деятельности, так и ее результатом. Следовательно, чтобы полноценно управлять деятельностью, необходимо синхронизировать и интегрировать движение информационных потоков с потоками работ и ресурсов, а это требует контроля, учета, анализа, планирования, координации - т. е. управления, централизованного и организационно согласованного.

Существующая в практике несогласованность объясняется особенностями функционирования крупных и средних компаний, в которых оперативное управление бизнесом осуществляется из разных локальных центров. Чем больше у генерального директора непосредственных подчиненных, тем более рассогласованными являются их действия, поскольку никто из руководителей не располагает полной информацией о текущем положении дел и состоянии ресурсов и решения зачастую принимаются без достаточных информационных оснований. Между тем компания в целом обладает всей полнотой информации, часть которой рассредоточена между членами организации.

Особенно важна работа с директивной информацией, которая задает направление изменений в организационной системе компании и ее процессах. Директивная информация

может быть представлена устными указаниями, письменными приказами и распоряжениями, резолюциями на документах, протоколами, планами, программами и т. п. Некоторые документы соединяют в себе свойства информации разных типов. Так, ознакомительное письмо может содержать в себе сведения о новых правилах оформления таможенных документов для отдела логистики и резолюцию генерального директора в адрес юридической службы о внесении изменений во внутренние нормативные документы. Поэтому, с одной стороны, копии документа необходимо разослать в соответствующие подразделения, а с другой - поставить на контроль исполнение резолюции генерального директора.

Таким образом, один документ инициирует движение информации по нескольким направлениям, каждое из которых должно быть учтено в рамках функций планирования и контроля доставки информации, а также исполнения директив, содержащихся в ней. Очевидно, что такой порядок требует соответствующей организации структур и процессов.

Выходя из этого, предлагаем создать новое подразделение и должности для работы с документами, информацией и техническими средствами поддержки. Однако интеграция функций информационного обеспечения в систему управления компаний не всегда эффективна. Именно по этой причине механическое наращивание численности персонала и подразделений ощутимого положительного результата не дает.

Следует, что для работы нового подразделения, которое предлагаем назвать «информационным управленческим центром». Такой центр будет представлять собой главный контрольно-регулирующий и организующий элемент подсистемы оперативного управления, соединяющей и направляющей информационные потоки, трудовые, материальные, финансовые ресурсы для достижения запланированных результатов. Для обработки полученных данных, выполнения их анализа и управленческих решений предлагаем привлечь сотрудников (специалистов) с других отделов, например, с бухгалтерии, финансово- планового отдела и др.

На основании полученных данных специалист (ы) будут осуществлять работы, которые в дальнейшем помогут при принятии управленческого решения:

- регистрация в базе данных (внесение записей и кодов, характеризующих документ и информацию);
- маршрутизация (установление этапов и ответственных за порядок работы с документом согласно действующим стандартам);
- координация порядка работы в соответствии с планом отдела оперативного управления и текущей ситуацией;
- контроль движения документов;
- составление регулярных и разовых отчетов по результатам управления документооборотом.

После обработки, полученную информацию передают менеджерам высших категорий, которые принимают необходимые и эффективные управленческие решения. Для выполнения принятых решений привлекаются необходимые сотрудники, между которыми распределяются обязанности по выполнению функций информационного обеспечения.

Следует отметить, что современные технологии обработки, хранения и накопления информации в любых видах являются наиболее действенными инструментами развития конкуренции и повышения конкурентоспособности в бизнесе. Информационные технологии на предприятиях существуют в виде разнообразных информационных систем и информационных комплексов, которые исторически группируются по областям создания конкурентных преимуществ.

Использование таких современных технологий дает преимущества по сравнению с другими методами, но не каждая фирма может выделить необходимые средства для их внедрения. Таким образом, следует учитывать все предложенные варианты для эффективного воздействия на принятие управленческих решений.

Представленные в работе принципы формирования информационного обеспечения и алгоритм управления бизнес-процессами, методический подход к оценке качества и расчету экономической эффективности систем информационного обеспечения могут использоваться при решении практических задач действующими промышленными предприятиями. Это подтверждает их апробация на действующих промышленных предприятиях.

Таким образом, цели и задачи данной статьи помогут получить эффективные результаты при формировании и оценки информационного обеспечения в управлении бизнес-процессами, как в процессе разработки решений, так и в качестве экономической эффективности от их принятия.

Успешное решение задач по информационному обеспечению управления бизнесом позволит превратить подготовку решений развития компании более прибыльной.

Список использованной литературы:

1. Афанасьев Э.В. Эффективность информационного обеспечения управления / Афанасьев Э.В., Ярошенко В.Н. М.: Экономика, 1987.
2. Белов В.С. Информационно-аналитические системы. Основы проектирования и применения / Белов В.С. Учебное пособие. — М: МЭСИ, 2004.
3. Бланк И.А. Финансовый менеджмент: Учебный курс. – 2-е изд., перераб. и доп. / Бланк И.А. – К.: Ника Центр, 2004. – 655 с.
4. Маклаков С.В. Создание информационных систем с AllFusion Modeling Suite / Маклаков С.В.. — М.:ДИАЛОГ-МИФИ, 2003.

ბიზნესის მართვის ინფორმაციული უზრუნველყოფა გადაწყვეტილების მიღებისას

ირინა ტიტარენკო

პოლტავის ეკონომიკისა და ვაჭრობის უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატია ახასიათებს სახელმწიფო ხელმძღვანელობას და მართვის სისტემებს, ასევე გარემოს, როგორც ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების მიღების საწყისს. აქტუალურია კითხვა იმის შესახებ, თუ რა სახის პროცედურებია საჭირო ინფორმაციის შეგროვებისათვის რათა დაიწყოს ბიზნესის სწორი და ეფექტური მუშაობა. ჩვენ გთავაზობთ ამოცანების ამოცანების განხორციელებას იმ ინფორმაციის საშუალებით, რომელიც წარმოდგენილია ფირმის სისტემაში. ჩვენ გირჩევთ შექმნათ ახალი ქვედანაყოფი და დოკუმენტებთან დაკავშირებული სამსახურეობრივი თანამდებობები, ინფორმაცია და ტექნიკური აღჭურვილობით მხარდაჭერა. საკითხთა წარმატებული გადაწყვეტა ბიზნესის მენეჯმენტის ინფორმაციულ უზრუნველყოფაზე საშუალებას მისცემს გადაწყვეტილების გარდაქმნათა მომზადებისათვის რათა კომპანია განვითარდეს და უფრო მომგებიანი იყოს.

Information providing for business management while making decision

Irina Titarenko

Poltava University of Economics and Commerce

Resume

Information characterizes the state guided and managing systems, and also environment and serves as basis for making of administrative decisions. Actual is a question about that, what procedures of collection of information it is needed to start in an order to put right effective work of business. We offer implementation of such tasks by means of information that is present in the system of firm. We suggest creating new subdivision and positions for work with documents, information and technical equipments of support.

The successful decision of tasks on the informative providing of management business will allow converting preparation of decisions of development of company more profitable.

რისკების შესწავლა და გათვალისწინება არის წარმატებული მმართველობითი აღრიცხვა

ნაირა ტაბატაძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ასოც.პროფესორი
Email: n.tabatadze@agruni.edu.ge, Tel: 598 85 24 55

<u>შესავალი.</u> მენეჯმენტის პროცესში საწარმოს მენეჯერთა წარმატებული საქმიანობა მოითხოვს, როგორც საწარმოო, საბუღალტრო, მარკეტინგის და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცოდნას, ასევე, ეფექტურობის მისაღწევად აუცილებელია , ტექნიკური უნარ-ჩვევების ფლობა. ამისათვის აუცილებელია საწარმოს მართვის სტრატეგიის ჩამოყალიბება, რომელიც მოიცავს მენეჯერების მიერ საწარმოში არსებული მდგომარეობის ანალიზს რაც თავის თავში გულისხმობს რისკების ანალიზს.

მიკროეკონომიკურ დონეზე სუბიექტის ეკონომიკური უსაფრთხოების მიღწევაში მნიშვნელოვანი როლი უკავია ოპერატიულ-ღირებულებით ანალიზს, რომელიც არის დანახარჯებისა და მწარმოებლურობის გაზომვის მეთოდი, დაფუძნებული ოპერაციებსა და დანახარჯების მატარებლებზე, რომლის მიზნებს წარმოადგენს:

დანახარჯების გაანგარიშება ძირეული ოპერაციების შესრულებაზე, მათი ურთიერთკავშირის გათვალისწინებით; დანახარჯების შემცირება და კორპორაციის მუშაობის შედეგიანობის ამაღლება; დანახარჯების ეფექტიანი მართვა;

<u>პრობლემის აქტუალობა</u>. ზემოთ დასახელებულ სტრატეგიულ ანალიზურ კელეეებს არსებითი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური სუბიექტის უსაფრთხოებისათვის,ოპერატიული ღონისძიებების შემუშავებაში სიტუაციური პრობლემების გადასაჭრელად, რათა თავიდან იქნას აცილებული სუბიექტის მიმართ სხვადასხვა სახის გაუთვალისწინებელი და მოსალოდნელი საფრთხეები.

პრაქტიკა მოწმობს, რომ ეკონომიკური სუბიექტის გრძელვადიანი მიზნების მიღწევა დამოკიდებულია, როგორც საგარეო, ისე შიდა ფაქტორებზე, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია სტრატეგიის შემუშავებისას.

შიდა ფაქტორებს მიეკუთვნება:

ა)ორგანიზაციული სტრუქტურა;

ბ) ეკონომიკური საქმიანობის მართვის სისტემის მოქნილობა;

გ)მარკეტინგის ორგანიზაცია;

მენეჯერთა საქმიანობის პრინციპები ეკონომიკური საქმიანობის სფეროებში.

გარე ფაქტორებს მიეკუთვნება:

ა)ეროვნული საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა;

ბ) საგარეო ეკონომიკური საქმიანოობის განვითარების დონე;

გ) მსოფლიო ინტეგრაციის განვითარების ტენდენციები.

კორპორაციის ძირითადი მიზნის მიღწევისათვის აუცილებელია კონკრეტული სტრატეგიული მიზნების ჩამოყალიბება, კერძოდ სავაჭრო ქსელის გაფართოება; პირდაპირი კაპიტალდაბანდებები ახალი საწარმოების შესაძენად; ერთობლივი საწარმოების გაფართოება; საეაჭრო მარკის ერთობლივი გამოყენება და სხვა.

საწარმოს მიზნებიდან გამომდინარე, აუცილებელია ჩატარდეს მრავალმხრივი ანალიზი, რომელიც მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

პირველ ეტაპზე უნდა ჩატარდეს შემდეგი ანალიზი:

ა)საექსპორტო საქონლის კონკურენტული უპირატესობა;

ბ)ადგილობრივ ბაზარზე საწარმოს მდგომარეობა;

გ) საწარმოს მდგომარეობა იმ საქონლისა და მომსახურების ბაზრის უცხოურ სეგმენტზე, რომლებსაც საწარმო უშვებს მოცემულ მომენტში.

მეორე ეტაპზე აუცილებელია მარკეტინგული ანალიზი. საწარმოსათვის მნიშვნელოვანია განისაზღვროს,როგორი იქნება ბაზარი უახლოეს მომავალში და როგორია ახალი ტექნოლოგიები.

ამრიგად, ეკონომიკური საქმიანობის სტრატეგიის შემუშავებისას,საწარმო იკვლევს საშინაო და საგარეო ბაზაარს, გლობალურ და ადგილობრივ მიზნებს, არჩევს საქმიანობისათვის მისთვის ყველაზე მისაღებ ზონებსა და ადგილობრივ მიზნებს,ამასთან ძირითადი მიზანი უნდა იყოს მარკეტინგის სფეროში სტრატეგიული სესაბამისობის მიღწევა. ენეჯერული გადაწყვეტილება გულისხმობს მიზნების განსაზღვრასადა კონკრეტულ საწარმოო სიტუაციაში მისი განხორციელების მიზნების და მათი მიღწევის პოტენციურ შესაძლებლობებს შორის.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სამეწარმეო საქმიანობის ერთ-ერთი დამახასიათებელი მომენტი არის საწარმოო რისკის არსებობა. შესაბამისად რისკის მოვლენების ღრმად და ყოველმხრივად შესწავლა საგრძნობლად შეამცირებს მოსალოდნელ მოვლენებში რისკის უარყოფით შედეგებს, ამიტომ მენეჯერს მოეთხოვება მისაღები მმართველობითი გადაწყვეტილებების მაღალი მეცნიერულ-პრაქტიკული დონის უზრუნველყოფა. ესევე დიდი მნიშვნელობა აქვს რისკის ფაქტორის გათვალისწინებას, რადგანაც მოქმედება სამეურნეო რისკის პირობებში დამოკიდებულია მმართველობით ხელოვნებაზე, მენეჯერის უნარზე- სრულად გამოიყენოს,როგორც თეორიული ცოდნა,ასევე პრაქტიკული გამოცდილება და ინტუიცია. რისკის მიზეზები შეიძლება იყოს ბაზარზე ფასების მოულოდნელი ზრდა ან შემცირება; სახელმწიფოს მიერ ისეთი საკანონმდებლო აქტების მიღება, რომელიც ცვლის საწარმოს პოლიტიკას; სტიქიური მოვლენები, სოციალური ძვრები და ა.შ.

მენეჯერული გადაწყვეტილების მიღების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

1.საწარმოო სიტუაციის ანალიზი და პრობლემის გამოვლენა;

2.პრობლემის გადაწყვეტის მიზნების დასახვა;

3.გადაწყვეტილების ინფორმაციული უზრუნველყოფა;

4.გადაწყვეტილების ალტერნატიული შემუშავება;

5.პრობლემის ოპტიმალური გადაწყვეტის გზების შერჩევა.

ამრიგად, საწარმოო რისკი ნიშნავს არასასურველ მოსალოდნელობას ინფორმაციული გაურკვეველობის პირობებში.

განასხვავებენ რისკის შემდეგ ძირითად სახეებს:

1.საწარმოო რისკი-განპირობებულია წარმოების პირობების შეცვლით ;

2. საბაზრო რისკი-გამოწვეულია პროდუქციასას დაწარმოების ფაქტორებზე ფასების მოულოდნელი ცვლილებით;

3. ფინანსური რისკი- დაკავშირებულია წარმოების აქტივების ფინანსურ უზრუნველყოფასთან.

4.უბედური შემთხვევის გამო ზარალის რისკი-მოსალოდნელი ზარალი ხანძრის, სტიქიური უბედურების ავარიების და ა.შ.

5. იურიდიული რისკი-დაკავშირებულია ქვეყანაში საკანონმდებლო ნორმებისა და სამთავრობო პროგრამების მოულოდნელ ცვლილებასთან.

<u>დასკვნები და წინადადებები</u>. მმართველობითი გადაწყვეტილების ანალიზიდან

გამომდინარე , შესაძლებელია რისკის გაკონტროლება და უარყოფითი ზემოქმედების შემცირება სხვადასხვა ხერხებით. კერძოდ

კომერციული რისკის-ბაზრისა და მომხმარებელთა სეგმენტის სერჩევაში უფრო მეტი ანალიტიკური მუშაობით; შუამავლების ზედმიწევნით შერჩევით; ბაზრის წინანსწარი ტესტირებით, საცდელი გაყიდვებით, ცვლილებების შეტანით პროდუქტში; კონკურენტების შესაძლო მოქმედებათა წინასწარ განჭვრეტით; ფასების ზედმიწევნით პროგნოზირება, რისკის ხარისხის სემცირება ჰეჯირების გზით.

ფინანსური რისკის-საწარმოს პრიორიტეტული მიმართულებების ზედმიწევნით გაანალიზება, წარმოებული პროდუქციის რენტაბელობის წინასწარი შეფასება; ხელშეკრულებაში წინასწარი გადახდის –ავანსის(100%) ჩართვა, ანგარიშსწორებაში აკრედიტივის ფორმის გამოყენება. წინასაკონტაქტო პერიოდში ანალიტიკური მუშაობა, რისკების გადანაწილება პროექტში სხვა ფირმების ჩართვის ხარჯზე.

ფინანსური რისკის შემცირების ერთ-ერთ არსებით ელემენტად დაზღვევა შეიძლება განვიხილოთ როგორც შესაძლებელ მნიშვნელოვან დანაკარგთა თავიდან აცილების გზა მცირე დანახარჯების გაწევის სანაცვლოდ.

შიდასაწარმოო რისკის- სოციალური პროგრამების შემუშავებით, კოლექტივში ჯანსაღი ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნით, დოკუმენტაციის მოძრაობის კონტროლით, პროფესიული მომზადებითა და გადამზადებით.

საქართველოში დღეს არსებული ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ეკონომიკური კრიზისის პირობებში, მნიშვნელოვანია საწარმოთა გადარჩენის სტრატეგიის ფორმირება, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია სწრაფი რეაგირება საბაზრო შესაძლებლობებზე რისკის პრობლემებსა და უსაფრთხო განვითარებაზე. გადარჩენის სტრატეგიის ძირითადი მიზნებიდან გამოვყოფთ: ფორმირებადი ბაზრისადმი საწარმოს ადაპტირების პრინციპს, სამეურნეო საქმიანობაში მიღწეული დონის შენარჩუნებას(სტაბილურობას), რესურსული პოტენციალის, განსაკუთრებით მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისა და მმართველობითი გუნდის შენარჩუნებას და სხვა კომპონენტებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯ.ს. ვან ჰორნი. ჟონ მ. ვაჰოვიჩი. ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები მეთორმეტე გამოცემა გამომც. "საქართველოს მაცნე" 2008წ.
2. ლიპარტია ზ. კორპორაციული ფინანსების მართვა პრაქტიკუმი. ამომც. "უნივერსალი" თბ. 2009წ.
3. სარჩიმელია რ. რისკის ელემენტები თბ. 2003წ.

Risk studying and considering is the successful managerial registration

Naira Tabatadze
Academic Doctor of Economics
Associated Professor of Georgian National University
Tel: 598852455
E-mail: n.tabatadze@agruni.edu.ge

Resume

As a result of existing economic situation in Georgia during the economic crisis it is significant to made up enterprises survival strategy with the help of which it is possible to perform a rapid reaction on market possibilities, the problems of risk and security development.

Due to these problems in the given work is described how it is possible for the manager to arrange with risks that means that the losses of the enterprise should be reduced to the minimum.

საგადასახადო დაბეგვრის აქტუალური საკითხები

იოსებ ფალელაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სრული პროფესორი
სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი
E-mail: i.palclashvili@gmail.com, Tel: 599 70 40 26

საგადასახადო სისტემა, რომელიც საგადასახადო პოლიტიკის ნაწილია საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს სახელმწიფოსა და გადასახადის გადამხდელებს შორის ურთიერთობის დარეგულირების საქმეში.

საგადასახადო სფერო მუდმივად რჩება პრობლემურ საკითხად ხელისუფლებასა და გადასახადის გადამხდელებს შორის. გადასახადების გადახდა არ არის სასურველი პროცესი, მაგრამ აუცილებელია სახელმწიფოს არსებობისათვის. კაცობრიობა არ იცნობს სახელმწიფოს, რომელმაც გადასახადების გარეშე შეძლო თავისი ფუნქციების წარმატებით შესრულება.

გადასახადის გადახდა სავალდებულოა, მაგრამ რა სიდიდის უნდა იყოს ის, დღემდე საკამათოა და ამ დარგის მცოდნეთათვის დისკუსიის საგანს წარმოადგენს. სწორედ ეს იწვევს საგადასახადო კანონმდებლობაში ხშირ ცვლილებებსა და მის მუხლებში შესწორებების შეტანის აუცილებლობას.

თვით ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებშიც კი საგადასახადო კანონმდებლობა რეფორმირებას დღემდე განიცდის. საქართველოში კი, უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში სამჯერ შეიცვალა საგადასახადო კოდექსი, რომლებშიც ათეულობით და ასეულობით ცვლილება შევიდა და ამჟამადაც არ შეწყვეტილა ეს პროცესი. ყოველივე ეს კი, როგორც სუბიექტურ, ისე ობიექტურ მოელენებს უნდა მიეწეროს. ფაქტი კი ის არის, რომ ყოველივე ეს გადასახადის გადამხდელებს, ძალზე ძვირად უჯდებათ, როგორც მატერიალურად ისე მორალურად. მათთვის გადასახადის გადახდის ვალდებულება არასასიამოვნო ემოციებსა და კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს იწვევს. ასე ყალიბდება დაბეგვრისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება მთელ საზოგადოებაში – როგორც სახელისუფლებო წრეებში, ისე გადასახადის გადამხდელებში. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია საგადასახადო დაბეგვრის თეორიული და მისი პრაქტიკულად ფუნქციონირების სიღრმისეული ანალიზი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი უნდა მიეკუთვნოს გადასახადების ფუნქციების, კერძოდ ფისკალური, მარეგულირებელი ფუნქციების ანალიზს, აღნიშნული ფუნქციების გამოყენება მიმართული უნდა იქნეს სახელმწიფოსათვის აუცილებელი ფინანსური რესურსების ფორმირებისა და ბიუჯეტში მათ აკუმულირებაზე. ასევე დაბეგვრის გაელენაზე ეკონომიკის განვითარების ტემპების დაჩქარებასა და ეკონომიკის სტრუქტურულ ცვლილებებზე, სამეწარმეო საქმიანობის განვითარებასა და საინვესტიციო აქტიურობაზე, მოხმარების სტიმულირებაზე, საგადასახადო შეღავათების მეშვეობით, ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობაზე.

გასათვალისწინებელია ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრება, იმასთან დაკავშირებით, რომ მეცნიერულად იქნეს შესწავლილი გადასახადების ზღვრული დონეები, რომლის ზემოთ გადასახადების ზრდა არასასურველი ხდება, გადასახადის ზრდა საშიშროებას წარმოადგენს და როცა მოსალოდნელია კატასტროფა. ყველა ეს ზღვრული დონეები ნათლადაა განსაზღვრული ეკონომიკურ თეორიაში და მათი

პრაქტიკაში გათვალისწინება მხოლოდ დადებითი შედეგების მომტანია.

ცნობილია, რომ საგადასახადო სისტემა ეფუძნება მთელ რიგ პრინციპებს. იმის მიუხედავად, რომ ამ სფეროში მომუშავე მეცნიერები და პრაქტიკოსები ამ პრინციპების რაოდენობისა და სახეების შესახებ ცალსახა აზრისანი არ არიან, მათ შორის მაინც ფიგურირებს ხუთი პრინციპი: სამართლიანობა (თანასწორობა), სარგებლიანობა, ეფექტიანობა, სიმარტივე და განსაზღვრულობა. ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერი ქვეყნის, და მათ შორის საქართველოს, საგადასახადო სისტემა ისე უნდა იყოს აგებული, რომ იცავდეს ამ პრინციპებს. ცნობილია, რომ საზღვარგარეთის მაღალგანვითარებული ქვეყნების საგადასახადო სისტემებიც ამ პრინციპებზეა აგებული. სხვა შემთხვევაში ისინი განვითარების ამ დონეს ვერ მიაღწევდნენ. რაც შეეხება საქართველოს საგადასახადო სისტემას, ცხადია საქართველოს საგადასახადო კოდექსიც აღიარებს ამ პრინციპებს, მაგრამ პრაქტიკულად სხვაა.

პირველი საგადასახადო კოდექსი საქართველოს პარლამენტმა 1997 წელს მიიღო, რამაც ქვეყნის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს ეტაპზე, უზარმაზარი როლი შეასრულა საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. კერძოდ მან ერთად მოუყარა თავი საგადასახადო სისტემის სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში გაბნეულ ცალკეულ ნაწილებს. მიუხედავად ამისა, მას პქონდა სერიოზული ნაკლოვანებები, რომელთა შესწორება შემდგომ წლებში გამოცემული 70-ზე მეტი საკანონმდებლო ცვლილებით განხორციელდა.

ექსპერტთა ნაწილი და გადამხდელები ადვილად ამჩნევენ, რომ მოქმედ საგადასახადო კოდექსში უამრავი ბუნდოვანი მუხლია ჩადებული, რომლებსაც შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები საკუთარი ინტერპრეტაციით კითხულობენ.

იმის გამო, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსში არ არის დაცული სიმარტივისა და ცალსახად განსაზღვრულობის პრინციპები, ეს იწვევს მეწარმეობის (ბიზნესის) შეზღუდვას. მეწარმეობის განვითარების სტიმულირება კი საგადასახადო კოდექსის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა.

2004 წლის საგადასახადო კოდექსის მიღებით საქართველოში მოქმედი 21 გადასახადი ახალ „საგადასახადო კოდექსში“, 6-მდე შემცირდა, რაც სრულიადაც არ ზღუდავს საქართველოს ხელისუფლებას ახდევინოს მეწარმეებს უფრო მეტი, ვიდრე ისინი ამას მაღალი გადასახადების შემთხვევაში გადაიხდიდნენ. ასე რომ, საქართველოში ამჟამად მოქმედი საგადასახადო კოდექსი არც ისე მარტივია.

რაც შეეხება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიერ გადასახადის სამართლიანობისა (თანასწორობისა) და სარგებლიანობის პრინციპების დაცვას, ამის შესახებ სარგებლიანობის პრინციპი გვამცნობს, რომ ადამიანები გადასახადს იმ სარგებლისთვის უნდა იხდიდნენ, რომელიც მათ მიიღეს სახელმწიფო სტრუქტურების მომსახურებიდან. ეს იმას ნიშნავს, რომ ის ადამიანები, ვინც სახელმწიფოსაგან მეტ სარგებელს იღებენ, მეტ გადასახადსაც უნდა იხდიდნენ. ცხადია, მანამ, სანამ იარსებებს სახელმწიფო, რომელიც ქმნის საზოგადოებრივ სიკეთეს და ამით ემსახურება მთელ თავის ხალხს, ეს პრინციპიც იარსებებს. მაგრამ ეს პრინციპი მარტო თეორიულად კი არ უნდა არსებობდეს, არამედ პრაქტიკულადაც უნდა ხორციელდებოდეს.

სამართლიანობის პრინციპის არსი ისაა, რომ გადასახადის გადამხდელი დაიბეგროს მისი ეკონომიკური შესაძლებლობების მიხედვით. ჰორიზონტალური სამართლიანობა საქართველოს საგადასახადო კოდექსით დაცულია, ანუ ყველა ერთნაირი გადახდისუნარიანი გადამხდელი ერთნაირი მოცულობის გადასახადს

იხდის, მაგრამ არ არის დაცული ვერტიკალური სამართლიანობის პრინციპი. ეს იმას ნიშნავს, რომ იმ გადამხდელებმა, რომლებსაც მეტი გადასახადის გადახდა შეუძლიათ (იმიტომ რომ მეტი აქვთ შემოსაელები), მეტიც უნდა გადაიხადონ ქვეყნის ბიუჯეტში. ასეა მაღალ განვითარებულ ქვეყნებში. მნიშვნელოვან ამოცანას წარმაოდგენს საგადასახადო სისტემის მართვის სრულყოფა. საგადასახადო სისტემის მართვა, უნდა მოიცავდეს ქვეყანაში საგადასახადო ურთიერთობებზე სპეციალური სახელმწიფო აპარატის მიერ მიზანმიმართულ ზემოქმედებას.

მნიშვნელოვანია საგადასახადო დაგეგმვის ოპტიმალური განხორციელებით ბიუჯეტის საგადასახადო შემოსაელების საერთო მოცულობისა და სტრუქტურის განსაზღვრის პროცესი, რომელიც მოიცავს სახელმწიფო, რეგიონალურ, ადგილობრივ თვითმმართველობის, ასევე საწარმოების და ფიზიკური პირების მიერ განხორციელებული საქმიანობის, კანონმდებლობით გათვალისწინებული დაბეგვრის სავარაუდო დონის განსაზღვრას.

ხშირად საგადასახადო კანონმდებლობაში სათანადო ყურადღება არა აქვს დათმობილი დაბეგვრის ოპტიმიზაციის როლს. დაბეგვრის ოპტიმატიზაცია, როგორც საგადასახადო დაბეგვრის ძირითადი ნაწილი, წარმოადგენს საწარმოების საგადასახადო გადასახდელების შემცირების მიმართულებით (მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში) ჩასატარებელ ღონისძიებებს, ამიტომ საგადასახადო დაბეგვრის ოპტიმალური ვარიანტის მიღება წარმოუდგენელია საგადასახადო ტვირთის გაანგარიშების გვერდის ავლით, ვინაიდან საგადასახადო ტვირთი სხვა არაფერია თუ არა ქვეყნის ჯამური საგადასახადო შემოსავლების ფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან, გამოხატული პროცენტებში, აქედან გამომდინარე ძალზე მნიშვნელოვანია ქვეყნის ჯამური საგადასახადო შემოსავლებისა და მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური მონაცემების ანალიზი, ეს ანალიზი კი ცალკეულ შემთხვევებში დისკუსიის საგანი ხდება და ურთიერთგამომრიცხავ მაჩვენებლებთან გვაქვს საქმე, რაც ყოველად მიუღებელია.

ცნობილია, რომ საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურაში არსებითი მნიშვნელობა აქვს პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების თანაფარდობას. პირდაპირი გადასახადების ზრდა ხელს უწყობს საგადასახადო ტვირთის სამართლიანად განაწილებას. განვითარებულ ქვეყნებში (აშშ, იაპონია, კანადა, ინგლისი) სჭარბობს პირდაპირი გადასახადები. არაპირდაპირი გადასახადები კი ძირითადად განვითარებადი ქვეყნებისთვის არის დამახასიათებელი. ამ მხრივ, საქართველოში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსაელები ადრეც და ეხლაც ძირითადად არაპირდაპირი გადასახადების ხარჯზე იზრდება, რაზეც მეტყველებს ქვემოდ მოყვალი დიაგრამაც.

პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების თანაფარდობა (შლნ. ლარი)



მომავალში პირდაპირი გადასახადების ამაღლებისათვის აუცილებელია სამეურნეო სფეროში შეიქმნას კეთილსასურველი საგადასახადო კლიმატი, უნდა გაიზარდოს ფიზიკურ პირთა და საწარმოთა რეალური შემოსავლები და ამაღლდეს საგადასახადო კულტურა, სრულყოფილი გახდეს საგადასახადო კანონმდებლობა.

ამრიგად, საბაზრო ეკონომიკის პირობებში უაღრესად იზრდება გადასახადების როლი ეროვნული ეკონომიკის რეგულირებასა და წინსვლაში. ამიტომ უდავოა, რომ ის სახელმწიფო ხელისუფლება მიაღწევს ეროვნული ეკონომიკის აღმავლობას და ფინანსურ სტაბილურობას, რომელიც ცდილობს მეწარმეობის სტიმულირების გზით ოპტიმალური საგადასახადო რეჟიმის დადგენა-გამოყენებას.

ახალი საგადასახოდო კოდექსით კანონმდებლების მთელი აქცენტი გადატანილია მთავრობის, ფინანსთა სამინისტროს, შემოსავლების სამსახურისა და სხვა დარგობრივი უწყებების მიერ შემუშავებულ ინსტრუქციებსა და მეთოდურ მითითებებზე. მიგვაჩნია, რომ ხშირი ცვლილებები და დამატებები არაა გამართლებული, თუმცა მასში გონიერული ცვლილებები მხოლოდ დადებითი შედეგების მომტანია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი
2. საგადასახადო კოდექსის განმარტებითი ინსტრუქციები, თბ. 2007
3. ნადარაია ლ., როგავა ზ., რუხაძე კ., ბოლქვაძე ბ. - საქართველოს საგადასახადოკოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი და მეორე, თბილისი 2012
4. უახლესი საკანონმდებლო ცვლილებები, მეთოდურ-პრაქტიკული ჟურნალი „გადასახადები და აღრიცხვა“ №6. 2011
5. ბახტაძე ლ. და სხვა - საგადასახადო საქმე, თბ. 2007
6. ტერაშვილი ნ. - საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკა, თბ, 2006
7. მესხია ი. ბასარია რ. საქართველოს საგადასახადო სისტემის სრულყოფის საკითხები, თბ. 2001
8. კაკულია რ. - ფინანსების ზოგადი თეორია, თბ. 2004

ინტერნეტ რესურსები:

1. http://economy.ge
2. http://geostat.ge
3. http://mof.ge
4. http://nbg.gov.ge

Actual issues of taxation

Ioseb Palelashvili
Academic Doctor of Economics, Full Professor
Sukhishvili Teaching University
E-mail: i.palelashvili@gmail.com,
Tel: 599 70 40 26

Resume

Tax system that is the part of tax policy presents essential leverage in the market economy conditions between the government and taxpayers to settle relations.

According to the new tax code the whole focus of the legislation is faced to the instructions and methodical notes collaborated by sectoral institutions of government, Ministry of finance, revenue office, ets. We consider that frequent changes and additions are not justified. Though reasonable changes will have positive consequences.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი ასპექტი

ლალი ოსაძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი
E-mail: l.osadze@gmail.com
სოფიო ცეცხლაძე - ბიზნესის და მართვის მაგისტრი

2011 წელი საქართველოსათვის ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის წლად არის მიჩნეული. ქვეყნის ეკონომიკური განვითარება მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) რაოდენობის მიხედვით განისაზღვრება, თუმცა, იგი ეკონომიკური კეთილდღეობის სპეციფიკურ მაჩვენებლად არის მიჩნეული, რადგან ის მხედველობაში არ ღებულობს ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებს, როგორიცაა თავისუფალი დრო, გარემოს მდგომარეობა, თავისუფლება ან სოციალური სამართლიანობა.

მშპ-ს ზრდამ 2011წ-ს 6,8% შეადგინა, რაც კრიზისამდელი პერიოდის 10%-იან ზრდაზე დაბალია, ინფლაციის მაჩვენებელმა, რომელიც წლის დასაწყისში გაიზარდა, შემოდგომიდან კლება დაიწყო. ინფლაციის და ფასების ზეწოლის პოტენციური ზრდის შესაკავებლად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა წლის დასაწყისში მონეტარული პოლიტიკა გაამკაცრა, ხოლო მას შემდეგ, რაც ინფლაცია მიზნობრივად შემცირდა, ანუ, 2011 წლის შუა პერიოდიდან, მონეტარული პოლიტიკა კვლავ შეარბილა. 2011 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი კვლავ მაღალი იყო. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების აღდგენა კრიზისამდელ დონემდე ვერ მოხერხდა, ფულადი გზავნილების შემოდინება კი საკმაოდ სტაბილური იყო. საქართველოსათვის, ისევე, როგორც კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონებისათვის, რუსეთის ეკონომიკური ზრდა ხელსაყრელი იყო ფულადი გზავნილების თვალსაზრისით, რაც 2012 წელსაც გრძელდება.

საქართველოს საგარეო ვალი, რომელიც განსაკუთრებით გლობალური კრიზისის დროს გაიზარდა, დიდია- საქართველოსათვის, როგორც ნავთობისა და გაზის ექსპორტიორი ქვეყნისათვის.

2011 წლის საქართველოს ნომინალური მშპ-ს მოცულობა 22,9452 მილიონ ლარს შეადგენდა, რაც 10%-იანი ზრდაა წინა წელთან შედარებით. (იხ. გრაფიკი 1). რეალური წლიური ზრდა, ანუ ინფლაციის მაჩვენებლით შესწორებული ზრდა 6,8%-ს უდრის. მშპ-ს დეფლატორს რაც შეეხება, იგი 2011 წლის პირველ კვარტალში ყველაზე მაღალი იყო (13,6%), თუმცა, ეს მაჩვენებელი მესამე კვარტალში 7,7%-მდე შემცირდა, ინფლაციის საერთო მაჩვენებლის შემცირების გამო, რომელიც საკვებზე ფასების სეზონურმა ცვლილებამ გამოიწვია. ამას გარდა, 2011 წლის მესამე კვარტალში მშპ-ის ზრდის ტემპი ყველაზე მაღალი იყო 2010 წლის მეორე კვარტლის შემდეგ, როდესაც რეალურმა ზრდამ 8,3% შეადგინა. თუმცა ეკონომიკას ჯერ არ მიუღწევია კრიზისამდელი 10%-იანი წლიური ზრდის მაჩვენებლამდე.

გრაფიკი 1



როგორც გრაფიკიდან ჩანს, მშპ-ის რეალური ზრდის პარალელურად იზრდება ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის მაჩვენებელიც, რომელიც 2011 წლის გაანგარიშებით, 3121 აშშ დოლლარს შედგენს. ეს მონაცემი 18%-იან მატებას აჩვენებს წინა წელთან შედარებით. მიუხედავად საერთო მონაცემების ზრდისა, მიგეანნია, რომ ეს ზრდა ინფლაციურმა ზეწოლამ შეანელა.

ბოლო ათწლეულში შთამბეჭდავი ეკონომიკური ზრდის მიუხედავად, საქართველოში კელავ პროგრესის ნაკლებობა იგრძნობა, ზოგიერთ წამყვან სფეროში. მაგალითად, ადამიანური განვითარების ინდექსის მიხედვით, საქართველო ამჟამად 75-ე ადგილზეა 187 ქვეყანას შორის (გაეროს ადამიანური განვითარების ანგარიშები, 2011). ამავე დროს, „ცხოვრების ხარისხის" მსოფლიო კელევის მიხედვით, რომელიც სხვადასხვა ქალაქების პოლიტიკურ, ეკონომიურ და სოციალურ-კულტურულ მდგომარეობას ითვალისწინებს, თბილისს ყველაზე დაბალი რეიტინგი ჰქონდა ევროპულ ქალაქებს შორის და 214-ე ადგილზე იყო (www.mercer.ge).

ცხოვრების დონის საერთაშორისო შედარებისათვის ხშირად ერთ სულ მასახლეზე მშპ-ს მაჩვენებელს- მსყიდველობითი უნარის პარიტეტს (ppp), იყენებენ. მსყიდველობითი უნარის პარიტეტი საშუალებას იძლევა, დადგინდეს, რამდენი ფულია საჭირო ერთი და იმავე ოდენობის საქონლისა და მომსახურების შესაძენად, სხვადასხვა ქვეყანაში. ამრიგად, ppp ყველაზე ობიექტური საზომია სხვადასხვა ქვეყნის ცხოვრების სტანდარტებში განსხვავების შესადარებლად, რადგან ეს საზომი ითვალისწინებს ქვეყანში ცხოვრების ღირებულებას და ინფლაციის მაჩვენებელს და არა გაცვლით კურსს, რომელიც შეიძლება არ იყოს წარმომადგენლობითი საზომი შემოსავლებს შორის რეალური განსხვავებების შესასწავლად. 2011 წლის მდგომარეობით საქართველო, რომლის ერთ სულზე მშპ-ის მაჩვენებელი (ppp) 5,459 საერთაშორისო დოლარს შეადგენდა (გრაფიკი 1) 11-ე ადგილზე იყო 181 ქვეყანას შორის. ეს მაჩვენებელი ბევრად ჩამოუვარდება მსოფლიოს საშუალო მშპ-ს ერთ სულზე (ppp), რაც ამჟამად 10,700 საერთაშორისო დოლარის ტოლია. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, საქართველოში ცხოვრების დონე მსოფლიოს საშუალო სტანდარტზე დაბალია.

გრაფიკი 2

მშპ სექტორულ ჭრილში (2011 წლის მდგომარეობით) www.geostat.ge



თუ დავაკვირდებით იმ სექტორებს, რომლებიც მშპ-ის ზრდას უწყობს ხელს, დაეინახავთ, რომ ყველაზე დიდი წილი მრეწველობაზე მოდის (18,3%). მრეწველობას მოსდევს ვაჭრობა (17,2%) და ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორი (11%.) აღსანიშნავია, რომ 2007 წლის შემდეგ პირველად აღინიშნა 6,1 %-იანი ზრდა სოფლის მეურნეობაში, სატყეო მეურნეობასა და თევზაობაში.

რატომ ხდება, რომ ეკონომიკური ზრდის პირობებში უმუშევრობა და არასრული დასაქმება კვლავ ქვეყნის ნომერ პირველ პრობლემად რჩება? საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ) ყურადღებას ამახვილებს იმ უცნაურ ფენომენზე, როგორიც არის ეგრეთ წოდებული „მწირი დასაქმების პირობებში" ეკონომიკური ზრდა ზოგიერთ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში. საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის მონაცემების მიხედვით, 2010 წელს უმუშევრობის ოფიციალური მაჩვენებელი 16,3%-ს შეადგენდა. ხოლო სსფ-ის არაოფიციალური ალტერნატიული მაჩვენებელი 30%-ს აღწევს. მუდმივად მაღალი უმუშევრობის პარადოქსი ძირითადად დასაქმების გენერირებადი სექტორების ნელი ზრდის შედეგია, როგორც ეს მე-2 გრაფიკში ჩანს. კერძოდ, სოფლის მეურნეობა, რომელშიც ოფიციალური სტატისტიკით, მოსახლეობის 50%-ია დასაქმებული, მშპ-ის მხოლოდ 9%-ს შეადგენს. სამწუხაროდ, საქართველო ფერმერული სფეროს გარეთ დასაქმების შექმნასაც ვერ ახერხებს. გარდა ამისა აღინიშნება რეალური ხელფასის მუდმივი მატება, რაც კომპანიებისათვის დაქირავებას შეუძლებელს ხდის, ვინაიდან გაზრდილი მოგება იმ ადამიანების ხელფასების მატებას ხმარდება, რომლების უკვე დასაქმებულები არიან. შსფ ასევე გამოყოფს დასაქმებულთა სამუშაო საათებში ცვლილებას.

2011 წელი საქართველოში მაღალი ინფლაციური ზეწოლით, სურსათსა და ნავთობპროდუქტებზე მსოფლიო ფასების მკვეთრი მატებით ხასიათდებოდა, რის შედეგადაც საქართველოში სავაჭრო დეფიციტი გაღრმავდა.

მუდმივმა ფისკალურმა დეფიციტმა ქვეყანაში ხელი შეუწყო დანაზოგების შემცირებას. ჭარბ სახელმწიფო ხარჯებს ჭარბი კერძო მოხმარება ახლავს თან, რაც ეროვნულ დანაზოგს ამცირებს და საგარეო ვალის აღებას აუცილებელს ხდის. ამიტომ ფისკალურ დეფიციტს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტიც ახლავს. მიმდინარე დეფიციტის დასაძლევად, საქართველოს მთავრობამ ფისკალური პოლიტიკის კონსოლიდირება არაპრიორიტეტული ხარჯების შემცირების გზით უნდა მოახდინოს.

ინფრასტრუქტურა, ტურიზმი და სოფლის მეურნეობა არის საქართველოს ეკონომიკის ის სამი პრიორიტეტი, რომლის განვითარების შედეგადაც უნდა მოხდეს საქართველოში ქვეყნის შიდა პროდუქტის გაორმაგება.

საქართველოში არჩევნების შედეგად მომხდარი დიდი პოლიტიკური ცელილება, იმედია ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებსაც მნიშვნელოვნად გაზრდის, რაც უმოკლეს ხანში ვერ განხორციელდება, მაგრამ სწორი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად ეტაპობრივად შესაძლებელია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივა, 2011წლის მიმოხილვა, 2012წლის მარტი
2. საქართველოს სტატისტიკური განვითარების მაჩვენებლები-2011წ, თბ.2012წ
3. გაეროს ადამიანური განვითარების ანგარიშები, 2011, თბ.2012წ
4. www.eprc.ge
5. www.geosiat.ge
6. www.imf.ge
7. www.mercer.ge

Some aspects of economy development in Georgia

Lali Osadze
Academic Doctor of Economics
Professor of Sukhishvili Teaching University
E-mail: l.osadze@gmail.com
Sofio Tsetskhladze - MBA

Resume

2011 is deemed to be a year of economic recovery in Georgia. GDP growth rate was 6.8%. Although economic indicators show the positive trend unemployment remains the problem number one. Fiscal policy caused the reduction of savings and provoked the growth of foreign debt.

Government has to reduce costs on less important cost items to address the current deficit. Infrastructure, tourism and agriculture are those three priorities after development of which, doubling the GDP is expected.

პროგრამული ბიუჯეტირება, როგორც სახელმწიფო ფინანსების მართვის ხარისხის გაუმჯობესების ინსტრუმენტი

ივანე ოქრომჭედლიშვილი
სუხიშვილის უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი
Email: jokro@yahoo.com Tel: 599 11 55 07
ზურაბ ბერიძე
სუხიშვილის უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი
E-mail: z.beridze@agruni.edu.ge, Tel: 579 18 91 89

მსოფლიო ეკონომიკის არასტაბილურობის და შეზღუდული რესურსების პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სახელმწიფო ფინანსების მართვის ხარისხის და საბიუჯეტო ხარჯების ეფექტიანობის ამაღლება. ამის მიღწევა შეუძლებელია სახელმწიფო საბიუჯეტო პროცესის განვითარების და სრულყოფის გარეშე.

სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს ფინანსურ გეგმას, რომელიც მოიცავს სახელმწიფო სექტორის დაწესებულებებს, რომელთა დაფინანსება ძირითადად ხდება გადასახადების ხარჯზე. საბიუჯეტო პროცესი (ბიუჯეტირება) შედგება ოთხი ეტაპისგან:

- *საერთო საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის შემუშავება*: ამ ეტაპზე ხდება მთავრობის ამოცანების და მიზნების განსაზღვრა, რომლებიც დაკავშირებულია საბიუჯეტო დეფიციტთან, სასესხო ვალდებულებებთან და საგადასახადო შემოსულობებთან. ამის საფუძველზე მიიღება გადაწყვეტილებები ერთობლივი შემოსავლების და ხარჯების შესახებ.
- *ბიუჯეტის მომზადება და მიღება*: საბიუჯეტო პროცესის აღნიშნულ ეტაპზე მთავრობა განსაზღვრავს დაფინანსების მოცულობებს და მიზნებს სახელმწიფო დაწესებულებების მიხედვით, რისი იურიდიულად გამყარებაც ხდება ბიუჯეტის შესახებ კანონით და საბიუჯეტო რეგულირების პარამეტრებით.
- *ბიუჯეტის შესრულება*: ნიშნავს გეგმის შესრულებას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში, კონტრაქტების დადების და სახსრების მიზნობრივი ხარჯვის ჩათვლით;
- *ბუღალტრული აღრიცხვა, აუდიტი და ანგარიშგება*: მოიცავს სახელმწიფო ხარჯებთან და შემოსავლებთან დაკავშირებული საბუღალტრო დოკუმენტაციის მომზადებას, ამ დოკუმენტაციის აუდიტს შიდა და გარე აუდიტორთა მიერ და ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშგების წარგენას სამთავრობო დაწესებულებებისათვის, სამინისტროებისათვის, პარლამენტისათვის და საზოგადოებისათვის.

პროგრამული (შედეგზე ორიენტირებული) ბიუჯეტირება წარმოადგენს ბიუჯეტის ფორმირების (შესრულების) სისტემას, რომლის ერთერთ უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს ურთიერთკავშირი დაგეგმილ (გაწეულ) საბიუჯეტო ხარჯებსა და მოსალოდნელ (მიღწეულ) შედეგებს შორის. ეს არის სახელმწიფო ფინანსების მართვის ხარისხის გაუმჯობესების მძლავრი ინსტრუმენტი, რომელიც იძლევა საშუალებას მოვახდინოთ დაფინანსების კონცენტრირება პრიორიტეტულ

მიმართულებებზე, მიეაღწიოთ დასახულ მიზნებს და მიეიღოთ დაგეგმილი შედეგები.

პროგრამული ბიუჯეტირების ძირითადი მიზანი მდგომარეობს საბიუჯეტო ხარჯების სოციალური და ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდაში. ტრადიციულთან შედარებით, პროგრამული ბიუჯეტირების უპირატესობას წარმოადგენს ფისკალური მდგრადობის ამაღლება, დარგობრივი უწყებების საქმიანობის ეფექტიანობის ზრდა, ბიუჯეტის უფრო მჭიდრო კავშირი სტრატეგიულ ამოცანებთან.

პროგრამული ბიუჯეტირების საფუძველს წარმოადგენს ხარჯების პროგრამული კლასიფიკაცია, რომლის სტრუქტურა განისაზღვრება სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებით და ამოცანებით. პროგრამული ბიუჯეტის ფორმირებისათვის, სამინისტროების და უწყებების ხარჯები უნდა დაიყოს მათ წინაშე მდგარი სახელმწიფო ამოცანების შესასრულებლად განსახორციელებელი საქმიანობის სახეობების მიხედვით. საქმიანობის ყველა სახეობისათვის შემუშავდება პროგრამა. ის უნდა მოიცავდეს მიზნების და ამოცანების, მათ მისაღწევად საჭირო რესურსების აღწერას, ასევე პროგრამის შესრულების შედეგიანობის მაჩვენებლებს და მათი შეფასების პროცედურებს. საბიუჯეტო განაცხადების შედგენა პროგრამული ბიუჯეტირებისას ხდება მიზნების და პროგრამების ჭრილში.

საბიუჯეტო დაგეგმარების პროგრამული წესის დანერგვა მოითხოვს შემდეგი პირობების დაცვას:

- პასუხისმგებლობის ცენტრების დადგენა და გამიჯვნა საბიუჯეტო სახრების განმკარგავი ერთი და იმავე უწყების სტრუქტურული ერთეულების მიერ ცალკე აღებული პრაგრამის და მასთან დაკავშირებული პროექტების რეალიზების უზრუნველყოფის გზით;
- პროექტების დაჯგუფების აუცილებლობა პროგრამის მიზნების მიხედვით, მაგრამ მათი დაფინანსების წყაროსგან დამოუკიდებლად;
- პროგრამული კლასიფიკაციით ხარჯების მაქსიმალურად სრული მოცვა. საწარმოთა და ორგანიზაციათა სუბსიდირება უნდა ატარებდეს მიზნობრივ ხასიათს და ექვემდებარებოდეს რაოდენობრივ შეფასებას ეფექტიანობის ინდიკატორებით.

ტრადიციული ბიუჯეტის შედგენა ხდება „ქვემოდან-ზემოთ". უწყებრივი ბიუჯეტების ჯამი (ქვედა დონე) იძლევა მთავრობის ბიუჯეტს (ზედა დონე). ამ შემთხვევაში რთულია მთელი ბიუჯეტის, მისი სალდოს და სხვა მონაცემების გაკონტროლება; რთულია საბიუჯეტო სახსრების განაწილების გაკონტროლება სექტორებს შორის (ეროენული თავდაცვა, განათლება, ჯანდაცვა და სხვა).

პროგრამული ბიუჯეტის შედგენა ხდება „ზემოდან–ქვემოდ". პირველ რიგში, მთავრობა „უშვებს" ხარჯების აგრეგირებულ ლიმიტებს: რამდენი დაიხარჯება სულ, რამდენი – ინვესტიციებზე, როგორი იქნება ინფლაცია, საბიუჯეტო დეფიციტი და ა. შ. მეორე რიგში, მთავრობა „უშვებს" სექტორულ ლიმიტებს, ანუ ანაწილებს ხარჯებს ძირითად სექტორებს შორის, ამასთან, სექტორის ჩარჩოებში ახალი ინიციატიევები შესაძლებელია დაფინანსდეს ძველი პროგრამების ხარჯზე. მესამე რიგში, მთავრობა ადგენს შიდასექტორულ ლიმიტებს – „ჭერებს" უწყებრივი ბიუჯეტებისათვის. და ბოლოს, მთავრობას შეუძლია პრაგრამების ცალკეული კომპონენტების ლიმიტირებაც, მაგალითად მიმდინარე ხარჯების (რომლებსაც უწყებები ანიჭებენ უპირატესობას კაპიტალური ხარჯების საზიანოდ).

პროგრამულ ბიუჯეტირებაზე წარმატებული გადასვლა შედგება ორი პრინციპისაგან – ნდობა და ანგარიშვალდებულება – და ოთხი ელემენტისაგან – ლიდერობა, სწორი ფინანსური მენეჯმენტი, მონაწილეობა და ინსტრუმენტარი.

ნდობა – პროგრამული ბიუჯეტირების ფუძემდებელი პრინციპია. აღნიშნულ კონტექსტში ეს სიტყვა ნიშნავს იმას, რომ მთავრობას და უწყების ხელმძღვანელობას სჯერათ პროგრამების მენეჯერთა შესაძლებლობების, მიიღონ საჭირო შედეგები ყველაზე ეფექტური და ეკონომიური სახით (ფასის და ხარისხის საუკეთესო კომბინაციით). საჭირო შედეგების მიღების შესაძლებლობა დამოკიდებულია აღნიშნული მიზნისათვის ხელმისაწვდომ რესურსებზე, და უწყება მზად არის გადასცეს ისინი პროგრამების მენეჯერთა განკარგულებაში.

ანგარიშვალდებულება – პროგრამის მენეჯერებმა უნდა აგონ პასუხი საკუთარ გადაწყვეტილებებზე, მოქმედებებზე და მათ შედეგებზე. მათ უნდა ჰქონდეთ მოტივი იყვნენ ანგარიშვალდებულები. სასჯელების და წახალისებების სისტემის გარეშე პროგრამული ბიუჯეტირება არ იქნება წარმატებული.

ლიდერობა – პროგრამული ბიუჯეტირების დანერგვისას აუცილებელია ძლიერი ლიდერობის გამომჟღავნება ყველაზე მაღალ დონეზე. მთავრობამ უნდა განაცხადოს თავისი გადაწყვეტილება ხმამაღლა და მკაფიოდ და მთლიანად ჩაერთოს საბიუჯეტო რეფორმაში. ფინანსთა სამინისტრომ უნდა მიუთითოს მოქმედების მიმართულებები და ჩაუდგეს სათავეში უწყებების გადასვლას პროგრამულ ბიუჯეტირებაზე, ხოლო უწყებები უნდა გაყვნენ ლიდერს.

მონაწილეობა – პროგრამული ბიუჯეტირების დანერგვა მოითხოვს ყველა სახელმწიფო მოხელის, განსაკუთრებით პროგრამების მენეჯერების მონაწილეობას. ეს არ არის უბრალოდ სისტემური ცვლილება. ეს არის ახალ პარადიგმაზე გადასვლა: აპრიორული კონტროლის ნაცვლად – ნდობა, პასიური მოლოდინის ნაცვლად – უწყებრივი კრეატულობა. ადმინისტრაციული სისტემა უნდა იყოს მოქნილი და იმავდროულად შეეძლოს მკაფიო პოლიტიკის და მკაცრი დირექტივების შემუშავება.

სწორი ფინანსური მენეჯმენტი – უნდა იყოს პრიორიტეტული ფინანსური ინფორმაციის კომპიუტერიზებული სისტემის, საიმედო და ყოვლისმომცველი საკასო მენეჯმენტის, საბუღალტრო აღრიცხვის და ფისკალური რეპორტაჟის განვითარება. სწორი ფინანსური მენეჯმენტის ძირითადი ელემენტების გარეშე ვერ მიიღწევა პროგრამების მენეჯერებისა და საპროგრამო მიზნების ანგარიშვალდებულება.

ინსტრუმენტარი – ახალი ინსტრუმენტების დანერგვა არ არის ყოველთვის შესაძლებელი, მაგრამ ყოველთვის სასურველია. პროგრამული ბიუჯეტირება მოითხოვს ინფორმაციის დიდ მოცულობას და ახდენს მის გენერირებას, რაც საჭიროებს საიმედო და ფართო ინფორმატიკულ ინფრასტრუქტურას.

პროგრამული ბიუჯეტირების პრინციპების დანერგვა წარმოადგენს საქართველოს მთავრობის ერთერთ უმთავრეს პრიორიტეტს, ვინაიდან საბიუჯეტო დაგეგმვის ტრადიციული მოდელი არ პასუხობს ქვეყნის მიმდინარე მოთხოვნილებებს. გასულ პერიოდში გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები სახელმწიფო სექტორის ფინანსების და ბიუჯეტის მართვის გაძლიერების მიმართულებით. 2004 წლიდან საბიუჯეტო პროცესების გასაუმჯობესებლად საქართველოს მთავრობა მუშაობს ბიუჯეტის მართვის საერთაშორისო პრაქტიკის და GFS 2001 კლასიფიკაციის გათვალისწინებით. საბიუჯეტო სისტემის გაძლიერებისათვის საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2005 წლიდან დაიწყო MTEF-ის (საშუალო ვადიანი ხარჯების ჩარჩო)

პრინციპების დანერგვა. აღნიშნული პროცესი ამკვიდრებს სტრატეგიული ბიუჯეტირების მიდგომას ფისკალურ პოლიტიკაში და ქმნის პროცესს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს რესურსების სახელმწიფო პრიორიტეტებისკენ მიმართვა და უნდა შექმნას სტაბილური მრავალწლიანი დაფინანსების პაკეტი სახელმწიფო პროგრამებისათვის. სტრატეგიული ბიუჯეტირების პროცესმა საბიუჯეტო პროცესში დაამკვიდრა ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების დოკუმენტი (BDD). აღნიშნული დოკუმენტი აერთიანებს სახელმწიფო პრიორიტეტებს და სახელმწიფო პროგრამებს და განსაზღვრავს 4 წლიან ფინანსირების ჭერებს მათთვის. ძირითადი მიმართულებებისა და მონაცემების დოკუმენტი მნიშვნელოვნად დაიხვეწა მისი შემოღების შემდეგ და დღეისათვის აერთიანებს ყველა მხარჯავი დაწესებულების პროგრამებს და პრიორიტეტებს. 2007 წლის საბიუჯეტო ხარჯების განაწილება მოხდა ფუნქციური სფეროების მიხედვით, რამაც შესაძლებელი გახადა განსაკუთრებული ეკონომიკური მნიშვნელობის ხარჯების ცალკე ჩვენება. ამით დაგეგმვის პროცესი გახდა უფრო დეტალური, გამჭვირვალე და მიზანმიმართული. 2008 წლის 1 იანვრიდან საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფულადი სახსრების ნაწილი სრულად შეესაბამება GFS 2001 კლასიფიკაციას.

სტრატეგიული ბიუჯეტირების პროცესის მხარდასაჭერად გატარებულ იქნა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ღონისძიებები. 2009 წლის 25 დეკემბერს მიღებულ იქნა საბიუჯეტო კოდექსი, რომელმაც შეცვალა მთელი რიგი არსებული კანონებისა და ერთ საკანონმდებლო დოკუმენტში გააერთიანა საბიუჯეტო კანონმდებლობა. საბიუჯეტო კოდექსში გათვალისწინებულია საერთაშორისო გამოცდილება სტრატეგიული ბიუჯეტირების პროცესში. საბიუჯეტო სისტემაში მოხდა პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტების დანერგვა. კოდექსის თანახმად, პროგრამული ბიუჯეტი არის მხარჯავი დაწესებულების მიერ დასახული პრიორიტეტების მისაღწევად განსახორციელებელი პროგრამების, პროექტების, ღონისძიებების და ბიუჯეტების მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორთა ერთობლიობა, ხოლო კაპიტალური ბიუჯეტი არის საინვესტიციო ხასიათის პროგრამული ბიუჯეტი.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 10 მარტის №284 განკარგულებით დამტკიცდა პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის გეგმა, რომლის თანხმად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფმა მხარჯავმა დაწესებულებებმა უნდა მოახდინონ ეტაპობრივად პროგრამულ ბიუჯეტირებაზე გადასვლა. აღნიშნული განკარგულებით დამტკიცებული გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების ზედამხედველობა და გეგმის შესრულების საერთო კოორდინაცია დაევალა ფინანსთა სამინისტროს.

2012 წლიდან სახელმწიფო ბიუჯეტი სრულად გადაეიდა პროგრამულ დაგეგმარებაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ საბიუჯეტო ხარჯების გაწევა უნდა მოხდეს არა რომელიმე სამინისტროს კონკრეტული ხარჯისათვის, არამედ კონკრეტული პროგრამისთვის. თუმცა, 2012 წლის ბიუჯეტი ვერ ჩაითვლება პროგრამულად, ვინაიდან ის აგებულია მხარჯავი დაწესებულებების საფუძველზე და არა პროგრამების. არ მოხდა პრიორიტეტების და მიზნების სრულყოფილად და მკაფიოდ განსაზღვრა, მათ მისაღწევად პროგრამების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების და შესრულების ინდიკატორების დადგენა. ასევე, არ განისაზღვრა პროგრამების შესრულებაზე პასუხისმგებლები და შესრულების ვადები.

პროგრამული ბიუჯეტირების ერთერთ მთავარ თვისებას წარმოადგენს მხარჯავი დაწესებულებებისათვის საბიუჯეტო ასიგნებების ათვისების პროცესში

თავისუფლების მინიჭება ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანხების გადანაწილების საკითხში. აქცენტი ამ შემთხვევაში კეთდება შედეგებზე, რომელთა მიღწევას აპირებს დაწესებულება, და არა ხარჯების მუხლების დეტალურ კონტროლზე და პროცესებზე, რომელთა მეშვეობითაც სამინისტრო ასრულებს დაგეგმილ ამოცანებს. აღნიშნული მიდგომა გულისხმობს სამინისტროებისათვის და იქ მომუშავე მენეჯერებისათვის მეტი თავისუფლების მინიჭებას მიზნების მისაღწევად საჭირო საწყისი რესურსების შერჩევის საკითხში. ამ პირობებში აუცილებელია მიღწეული შედეგებისათვის ანგარიშვალდებულების მაღალი ხარისხი.

პროგრამული ბიუჯეტირების გამოყენებას ხშირ შემთხვევებში თან ახლავს საბიუჯეტო ხარჯების მუხლებზე კონტროლის მნიშვნელოვანი შესუსტება. ძირითადი პრაქტიკული საკითხი მდგომარეობს იმაში თუ რა მოცულობით და რამდენად სწრაფად მოვხსნათ ეს კონტროლი. განვითარებად ქვეყნებში (მათ შორის საქართველოშიც) მიზანშეწონილად მიგვაჩნია პროგრამულ ბიუჯეტირებაზე გადასვლის საწყის ეტაპზე მუხლობრივი კონტროლის შენარჩუნება და მუხლებს შორის მხარჯავი დაწესებულების მიერ თანხების გადანაწილების გარკვეული ზღვრული ოდენობის არსებობა. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, მხარჯავ დაწესებულებებს აქვთ უფლება გადაანაწილონ თანხები პროგრამებს, ქვეპროგრამებსა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობით (მუხლი 31, პუნქტი 2). თუ მანამდე თანხის ერთი მუხლიდან სხვა მუხლში გადატანას (იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილება არ აღემატებოდა 5 %-ს) სჭირდებოდა პარლამენტის თანხმობა, დღეს მხარჯავ დაწესებულებას შეუძლია პროგრამის შიგნით თანხები გადაანაწილოს ფინანსთა მინისტრის თანხმობით. 5 %-ანი შეზღუდვა ერცელდება მხოლოდ მხარჯავი დაწესებულების პროგრამებს შორის თანხების გადანაწილებაზე (მუხლი 31, პუნქტი 3). ეს იმას ნიშნავს, რომ მხარჯავ დაწესებულებას შეუძლია ერთი რომელიმე მუხლიდან სხვა მუხლში გადაიტანოს თანხის 100 %. მაგალითად, თუ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯებისათვის დაგეგმა და საბიუჯეტო ასიგნებების სახით პარლამენტის მიერ დაუმტკიცდა 2 მილიონი ლარი, ის უპრობლემოდ გადაიტანს ამ თანხას პრემიების მუხლში.

საბიუჯეტო კოდექსის ზემოაღნიშნული მუხლი ასევე უადვილებს მხარჯავ დაწესებულებებს, თავიანთი ბიუჯეტების დაუდეერად და არასწორად დაგეგმვის შემთხვევაში, საბიუჯეტო წლის დასრულებამდე მაქსიმალურად „მოასწრონ" მათთვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების გახარჯვა, რაც იწვევს მათ არარაციონალურ და არაეფექტურ გამოყენებას.

როგორც ვხედავთ, საქართველში პროგრამული ბიუჯეტირების დანერგვის პროცესს თან ახლავს გარკვეული ხარვეზები და სირთულეები, რაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან ეს პროცესი მოითხოვს დროს და მასში ჩართული ყველა მხარის დიდ ძალისხმევას. მაგალითად, საფრანგეთში ახალი საფინანსო კანონმდებლობის შემუშავებასა და მიღებას დასჭირდა 10 წელიწადი. ძალიან მნიშვნელოვანია ამ პროცესში ფინანსთა სამინისტროს როლი. მან უნდა მოახდინოს შესაბამისი სახელმძღვანელოების, ინსტრუქციების შემუშავება და ტრენინგების ჩატარება. ბიუჯეტის დაგეგმვა იწყება მხარჯავ დაწესებულებებში და შესაბამისად, სამინისტროებსა და უწყებებში მენეჯმენტის თანამედროვე სისტემის დანერგვის, ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფის, ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის

პროგრამული ბიუჯეტირების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის, პრაქტიკული ცოდნის, გამოცდილების და მეთოდოლოგიის დახვეწისა და პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების გარეშე პროგრამული ბიუჯეტირების დანერგვა შეუძლებელია. არც ფინანსთა სამინისტრო და არც სხვა რომელიმე ორგანიზაცია არ მართვას რეგულარულ ტრენინგებს და სამუშაო შეხვედრებს ადგილებზე, რომლებზეც მხარჯავი დაწესებულებების პერსონალს და მინისტრების პასუხისმგებელ მოადგილეებს აუხსნიან და შეასწავლიან პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდიკას. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ფინანსთა სამინისტროში შეიქმნას სპეციალური სამსახური, რომელიც გარდამავალ პერიოდში აღმოუჩენს მხარჯავ დაწესებულებებს პრაქტიკულ დახმარებას პროგრამული ბიუჯეტების შედგენის საკითხში და ასევე განახორციელებს არსებული პროგრამების შესრულების მონიტორინგს.

პროგრამულ ბიუჯეტირებაზე გადასვლამ ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნის საფინანსო სისტემის სრულყოფას, ბიუჯეტის ფოკუსირებას სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნებზე, არსებული რესურსების ოპტიმალურად გამოყენებას დასახული სტრატეგიული მიზნების მისაღწევად, უნდა გაამარტივოს ბიუჯეტის სტრუქტურა, გაზარდოს მისი გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა ყველა დაინტერესებული პირისთვის. ამასთან, პროგრამული ბიუჯეტირების დანერგვისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას განვითარებული ქვეყნების გამოცდილება აღნიშნულ საკითხში, რათა მაქსიმალურად ავიცილოთ თავიდან მოსალოდნელი სირთულეები.

Program budgeting as a tool for improving the state finance management quality

Ivane Okromchedlishvili
Email:iokro@yahoo.com Tel: 599 11 55 07
Zurab Beridze
E-mail: z.beridze@agruni.edu.ge, Tel: 579 18 91 89

Resume

State budget policy represents the main part of the country's finance policy. Sustainability of the state finance system mainly is defined by condition of the budget process, and by planning, validation and implementation rules in expenditure part of the state budget, and also by controlling its accomplishment.

We should consider budget practice improvement as an important tool for increasing State finance effectiveness.

The strong tool for improving budget process and general public finance management quality is establishment of program budgeting principles in the state finance management system, and it's main goal is to increase social and economical effectiveness of expenditures.

Comparing to the traditional ways, the program budgeting advantage includes fiscal stability raising, perfection of department's branch effectiveness, and tight connection between the state budget and the strategic missions.

Transition to the program budgeting should assist in improvement of state finance system, budget focusing on social-economical development aims, optimal use of available resources for achievement of assigned strategic aims; it should simplify the budget structure, and increase its transparency and availability for every concerned person.

ინტერნეტ - უსაფრთხოება და ინფორმაციის დაცვის პრობლემების შესახებ საქართველოში

ციური ნოზაძე
დოქტორი, სრული პროფესორი
სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი
tsiurinozadze@gmail.com

კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარების პარალელურად სულ უფრო მატულობს კომპიუტერული კრიმინალის მასშტაბები. თუ რამდენიმე ათეული წლის წინ საზოგადოების თვალში კომპიუტერული დანაშაული უმნიშვნელო თაღლითობად აღიქმებოდაამჟამადუკვე ორგანიზებული დანაშაულის სახე მიიღო. მსოფლიოში ცნობილია უამრავი ფაქტი, როცა ინტერნეტის მეშვეობით ხდება მილიონობით თანხის მითვისება, ფინანსური და სხვა სახის მაქინაციების განხორციელება, საიდუმლო ინფორმაციის გატაცება

და ა.შ., რაც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ სტაბილურობას. ინფორმაციის უსაფრთხოება, ისევე როგორც ინფორმაციის დაცვა, კომპლექსური და რთული ამოცანაა, რაც მიმართულია უსაფრთხოების უზრუნველყოფისკენ და სპეციალური სისტემების დანერგვისკენ. ინფორმაციის დაცვა მთელი რიგი კომპანიებისთვის საკმაოდ პრობლემატური საკითხია და მოიცავს არა ერთ ამოცანას. ას შემდეგ, რაც ტექნოლოგიურმა პროგრესმა შეაღწია ყველა სფეროში – მათ შორის ბიზნესში, აქტიურად ხდება ინფორმაციის გაცვლა და გადაცემა. შაამაღ ძვირფასი და ღირებული ინფორმაციის გადინების და ინფორმაციის დაცვის კუთხით რასაც კომპანიისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს გამოკვეთილია სამი ძირითადი მიმართულება:

- მონაცემთა ერთობლიობა – იმ შეფერხებების თავიდან აცილება, რაც გამოიწვევს ინფორმაციის დაკარგვას. სევე მონაცემთა სრულიად განადგურების თავიდან აცილება;
- ინფორმაციის კონფიდენციალობა – კომპანიისთვის სასიცოცხლო და მნიშვნელოვანი ინფორმაციის დაცვა, დაშიფრა და მასზე კონტროლის დაწესება;
- წვდომა ინფორმაციასთან – ავტორიზებული მომხმარებლებისთვის წვდომა ინფორმაციასთან.

თითოეული ამ მიმართულებებით დაცვის კომპონენტებს წარმოადგენს:

ანტივირუსულიდაცვა – ანტივირუსული დაცვის გადაწყვეტილებების მიმართულებით წარმოდგენილია ამ სფეროს ლიდერი კომპანიების პროდუქცია და უახლესი ტექნოლოგიები. ეს ყველაფერი კი განკუთვნილია როგორც უბრალო მომხმარებლებისთვის, ისე მსხვილი კომპანიებისთვის და ორგანიზაციებისთვის.

მონაცემთა რეზერვირების გადაწყვეტილებები - კომპანიებისთვის, რომლებსაც გააჩნიათ გარკვეული IT ინფრასტრუქტურა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მონაცემთა რეზერვაციის სანდო გადაწყვეტილება, რაც ეხმარებაკომპანიებს თავი დაიზღვიონ მნიშვნელოვანი ინფორმაციის დაკარგვა/განადგურებისგან და შეინარჩუნონ ბიზნესის უწყვეტობა.

მონაცემთა მოპარეის აღკვეთის სისტემების დანერგვა, რაცკერძოკომპანიებსა და სახელმწიფო სტრუქტურებს ეხმარება თავიდან აიცილონ ინფორმაციის გადინებასთან და არასანქცირებულ მოპოვებასთან დაკავშირებული პრობლემები.

დღეისაღვის ინტერნეტი გახდა ჩვენი ცხოერების განუყოფელი ნაწილი. ძალიან ბევრი ადამიანი ყოველდღიურად იყენებს ინტერნეტს სხვადასხვა მიზნებისთვის, ამასთან აღსანიშნავია, რომ ინტერნეტს, მიუხედავად მისი მრავალი დადებითი მხრეებისა გააჩნია უარყოფითი მხარეებიც უსაფრთხოების კუთხით.

ინტერნეტ პორტალის http://isap.ge/internet_security 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს ზოგადი სტატისტიკური მონაცემებით საქართველოში მოსახლეობა 4 436.4 ათასია, აქედან:

- 1 300 000 ინტერნეტ მომხმარებელია (ITU 2010).
- 615 980 Facebook-ისმომხმარებელია (ივნისი 2011).
- 10.000-ზე მეტი IP მისამართია, რომელიც უკავშირდება ცნობილ Botnet ქსელებს.
- 2000-ზემეტი IP მისამართი რომელიც ყოველდღიურად ფიქსირდება საეჭვო ინტერნეტ აქტივობაში (ქსელის პორტის სკანერები, Post Scanner, botkompiuteri Bot, spami SPAM, დასხვა.)
- 100-ზე მეტი მავნე კოდის ანტი ვირუსისშემცველი ვებ გვერდია.
- 50 000-ზე მეტი დავირუსებული კომპიუტერია.

ელექტრონული ფოსტა ინტერნეტის ერთერთი ყველაზე გავრცელებული სამსახურია. სტატისტიკური მონაცემებით:

- მსოფლიოში არსებობს 3 მილიარდზე მეტი ელექტრონული ფოსტის მისამართი.
- 75% არის პერსონალური ხოლო 25% კორპორატიული ელ-ფოსტის მისამართი.
- ელ-ფოსტის მისამართების 49% განლაგებულია აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში
- 22 % ევროპაში, 14% ჩრდილო ამერიკაში და 15% დანარჩენიმ სოფლიოში.
- ყოველდღიურად იგზავნება 250 მილიარდზე მეტი ელექტრონული წერილი.

ამასთან, დღეს ინტერნეტში მომუშავე ადამიანებს ყველაზე დიდ საფრთხეს ვირუსები უქმნიან. ვინაიდან თავდაპირველად ელექტრონული ფოსტა არ იყო შექმნილი უსაფრთხოების მკაცრი ზომების გათვალისწინებით, რადგან მისი მიზანი იყო ტექსტური ინფორმაციის სრაფად და მარტივად გადაეცა ინტერნეტის საშუალებით საფოსტო მომსახურება შედარებით დაუცველია.

ევრმა არ იცის იმ საფრთხეების შესახებ, რომლებიც მათ კომპიუტერებს და პირად მონაცემებს ემუქრება. ფრო მეტიც, ისინი საფრთხეს უქმნიან პირად თუ კომპანიის მონაცემებს. სინამდვილეში, ბევრი ვერც კი ამჩნევს, რომ მათ სისტემებს რაიმე საფრთხე ემუქრება. ინტერნეტის მომხმარებლებს ხშირად არ აქვთ უსაფრთხოების სათანადო დაცვის სისტემები თავიანთ კომპიუტერებზე, რის გამოც ისინი ჰაკერებისა და სხვა კიბერდამნაშავეთა სამიზნედ ხდებიან. აუცველი კომპიუტერიდან ინტერნეტში შესვლით მომხმარებელი ხდება სპამის, ვირუსების და მრავალი სხვა მავნე პროგრამების მსხვერპლი. შესაბამისად, დაუცველია ისეთი სერიოზული დანაშაულებისგან, როგორიცაა პირადი მონაცემების მოპარვა ან კომპიუტერში შენახული მნიშვნელოვანი ინფორმაციის დაკარგვა, თუნდაცკომპიუტერისუკანონომიზენებისათვისბოროტადგამოყენება.

ინტერნეტის მომხმარებლის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მთავარი პრობლემა მათ საკუთარ კომპიუტერებს შეეხება და მათ არ იციან ან არ ესმით, თუ როგორ შეიძლება დაუცველი კომპიუტერების გამოყენება კიბერშეტევების განსახორციელებლად ან მავნე ვირუსული პროგრამების გასავრცელებლად. საჭიროა საზოგადოებისთვის სათანადო ცოდნის მიწოდება იმის შესახებ, თუ როგორ აკონტროლონ საკუთარი კომპიუტერები და იყვნენ პასუხისმგებლები თავიანთ მონაცემებზე. ამ საკითხთან დაკავშირებული რისკები მეტად მაღალია რომლის იგნორირება დაუშვებელია.

რომ არ აღმოჩნდეს კრიმინალების მსხვერპლი საჭიროა მომხმარებელმა თავად იზრუნოთ საკუთარი ელ-ფოსტის და წერილების უსაფრთხოებაზე და გამოიყენოს ელ-ფოსტის უსაფრთხოების დაცვის ისეთი რეკომენდაციები როგორიცაა:

1. უსაფრთხობრაუზერების გამოყენება;
2. პროგრამებისსშირიგანახლება (Updates);
3. ანტივირუსულიპროგრამების გამოყენება;

ვებგვერდების ონლაინ რეჟიმში შემოწმება უსაფრთხოებაზე(F-Secure browsing protection, Virus Total, BrightCloud) და მავნე კოდის ან ვირუსის არსებობაზე (WOT (Web of Trust)).

უნდა აღინიშნოს, რომ კიბერდანაშაულის აღკვეთა თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი გამოწვევაა. საქართველოშიც კიბერუსაფრთხოების პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დადგა 2008 წლის მოვლენების შემდეგ, როდესაც მასობრივი კიბერ-შეტევები განხორციელდა სამთავრობო და არასამთავრობო ინტერნეტ-

რესურსებზე. ამასთან, დიდ პრობლემას წარმოადგენს დანაშაულის ჩადენის ადგილის, მისი სუბიექტის და ა.შ. გამოვლენა რაც დღეისათვის ურთულეს ამოცანას წარმოადგენს. ყოველივე ეს ბუნებრივია, მოქმედებს ასეთი ტიპის დანაშაულის გამოძიებაზე. ამასთან, კომპიუტერულ დანაშაულოის ასაკეთად ჯერ-კიდევ არ არის საბოლოოდ ჩამოყალიბებული შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა. იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მარიამ ცაცანაშვილის გამნარტებით 2003 წლის საერთაშორისო სტატისტიკის თანახმად კომპიუტერულ დანაშაულთა 100%-დან, მხოლოდ 10%-ის შესახებ ხდება ცნობილი, ხოლო აქედან დანაშაულთა მხოლოდ 1%-ის გამოძიება ხერხდება.

კომპიუტერული დანაშაული ამა თუ იმ ქვეყანაში ამ ქვეყნის კომპიუტერიზაციისა და ინფორმატიზაციის საერთო პროცესის პარალელურად ვითარდება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ დღემდე ჩვენს ქვეყანაში კომპიუტერული დანაშაული არ მომხდარა, მაგრამ ფაქტია, რომ არც ერთი მათგანი ოფიციალურად არ დაფიქსირებულა. შესაბამისად, საქართველოში დღეს თითქმის არ არსებობს სასამართლო პრაქტიკა კომპიუტერულ დანაშაულთან დაკავშირებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ც. ნოზაძე, ს. ნოზაძე, ზ. თეტრუაშვილი. „კომპიუტერული ქსელები, ინტერნეტი, კომპიუტერული უსაფრთხოება“, თბილისი 2007.
2. ინფორმაციულისამართალი. მარიამცაცანაშვილი,2004
3. http://www.justice.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=306&info_id=2042
4. navigator.biometrics.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=5&info_id=458 - 77k

Internet – security and about the problems of information protection in Georgia

Tsiuri Nozadze
Doctor, Full Professor of
Sukhishvili Teaching University
E-mail: tsiurinozadze@gmail.com

Resume

Due to development of the internet and telecommunication systems one of the main call of the modern world became a cyber-crime. In Georgia, as in whole world the set of crime by means of computer technology is made.

For maintenance of information safety a number measure on improvement of legislative base, development of uniform politics of protection of the information, to strengthen of technical and technological services, application of advanced experience of the countries of the world, introduction of advanced technology of internet - safety in the Georgian internet area is necessary.

Thus, the increase a level knowledge of existing threat and about advanced methods and measures of protection is important.

Применение категории «режим использования» в контексте системного подхода к потенциалу развития предприятия

Педченко Н.С.
Вищее учебное заведение Укоопсоюза
Полтавський університет экономики и торговли
К.э.н., доцент кафедры финансов
E-mail pedchenko_ns@ukr.net Tel: +380976437944

Введение. Результаты фундаментальных принципов упорядочивания формирования и организации использования потенциала развития предприятия, внутренних механизмов согласованного функционирования его составляющих и взаимоотношения с внешней средой, требуют применения такого понятия в экономической науке как „режим использования".

Актуальность проблемы. Неоднозначность в понимании того, какие именно процессы и явления должно охватывать и включать в себя понятие „режим использования", требует детального исследования наполненности соответствующим содержанием указанной категории в контексте системного подхода к потенциалу развития при стратегическом управлении предприятием. Потенциал развития при стратегическом управлении предприятием предлагается рассматривать как систему, где дружат стимулы и ограничения, жесткая технология и инновации, безумная дисциплина и свободное творчество, нормативные требования и неформальные инициативы [8, с.35], что по нашему мнению и обеспечивает сбалансированность между объектами сформированного и использованного потенциалу развития. Именно такое соответствие, что лежит в основе развития как процесса совершенствования системы, и есть целью при стратегическом управлении предприятием. Ее достижение возможно лишь при условии четкого описания способа организации использования потенциала развития, комплекса методов и средств, которые будут применены для этого, системы принципов, на которые они при этом будут опираться. Это требует определенной трактовки категории „режим использования", подчеркивая его научную значимость и раскрытия эмпирических возможностей использования для исследования экономических процессов.

Описание методов. В основу проведенного исследования использован терминологический анализ на основе применения лексикологической точки зрения.

Полученные результаты. Понятие „режим" происходит от латинского „regimen" – управление, руководство [5]. По электронным толковым словарям украинского языка понятие „режим" означает: от совокупности методов и мероприятий в управлении; организованного порядка; закономерных изменений; до особого порядка для определенных сфер отношений; определенных условий, необходимых для обеспечения работы, функционирования, существования четко фиксированного порядка; системы мер, правил, ведение которых способствует достижению определенной цели; совокупности установленных правил, определенной цели или определяющий порядок действий; метода хозяйствования, направленного на экономное отношение, рациональное использование, устранение непроизводственных расходов и потерь [3]. Режим, в словаре А.Н.Азрилияна, предлагает рассматривать как систему обязательных принципов, правил, мероприятий, норм, установленных для определенного вида деятельности [2]. Отдельно выделяют режим экономический как институциональные условия организации хозяйственной деятельности в пределах определенной экономической системы [6,с.484] или режим экономии как принцип хозяйствования, предусматривающий достижение наилучших результатов при наименьших затратах, путем сохранения трудовых, материальных, финансовых резервов [9]. Предлагают рассматривать такие режимы как режим общий и особый [6, с.484]; поддержки,

согласованности, осознанного познания и восприятия, обеспечения единства, корректировки, удаления лишних [1, с.24].

По другой составляющей „режима использования", считаем необходимым уточнить возможность применение категории „использование потенциала" на основе некоторых терминологических пояснений. Чаще всего в экономической литературе ученными применяется такое словосочетание как „использование потенциала". Хотя предлагается и применение понятия „реализация потенциала", предусматривающее процесс превращения потенциала в конкретные и измеряемые результаты [7, с.97]. Проведем некоторый терминологический анализ и для этого применим лексикологическую точку зрения. Категория „использования", - по определению в толковых словарях, - обычно употребляется там, где надо усилить значение полезности, положительных последствий для инициатора применения [5]. Или применяется как употребление с пользой [4], когда категория „реализация" ассоциируется с воплощение в жизнь, его осуществлением, реальностью [4]. Исходя из авторского понимания сущностных характеристик потенциала развития предприятия как свойства системы „ресурсы, способности, инновации", то термин „использование", по нашему мнению, наиболее полно подчеркивает желание эффективного сочетания внутренних составляющих и их взаимодействие с внешней средой по обеспечению будущего с точки зрения его перспективности (полезности). По каждой отдельно составляющей, то ресурсы используются на предприятии, аналогично как и инновации. Если речь идет о „способностях", то лучше применить действительно термин „реализация" при благоприятных внешних условиях, но используя собственные способности. Учитывая приведенные аспекты, предлагаем остановится на определении „использовании потенциала" как более точном понятии, которое отражает не только процесс, но и его цель – обеспечение эффективности (пользы) от такого процесса. Исходя из этого, смысл использования потенциала развития предприятий и организаций потребительской кооперации предусматривает эффективную деятельность, направленную на социальные и экономические достижения, которые обеспечат перспективное будущее на основе полного раскрытия свойств системы „ресурсы, способности, инновации".

Приведенные выше логические рассуждения относительно категории „режим" и „использование потенциала", позволяют сформулировать цель и задачи исследования потенциала развития при его использовании. Так, целевая направленность исследования в контексте системного подхода к потенциалу развития предприятия будет заключаться в идентификации „режима использования" на соответствие объема сформированного и использованного потенциала развития предприятия. Соответственно, основные задачи будут подчинены обоснованию совокупности методов, направленных на определения уровня эффективности использования потенциала развития; правил, направленных на доведение его соответствия сложившемуся; и мероприятий, ориентированных на выявление резервов. Такие резервы касаются обеспечения сбалансированности между сформованным и использованным потенциалом развития, так и возможности установления соответствия между сформированным и необходимым для достижения развития на основе совершенствования системы.

Выводы. Исследования режима использования потенциала развития предприятий и организаций потребительской кооперации, исходя из приведенных выше подходов, заключается в четко установленном порядке, согласно которому определяется степень достижения эффективности деятельности на основе социальных и экономических достижений. Это возможно достичь с помощью методов, правил, мер, направленных на получение ценности от использования потенциала развития и соответствия целевым приоритетам функционирования предприятий и организаций потребительской кооперации.

Список использованной литературы:

1. Бай С.І. Про окремі засади налагодження взаємодії між складовими організації / С.І.Бай // Вісник КНУТД. - 2011. - №2. - С.22-26.
2. Большой экономический словар [Текст] / [ред. А.Н. Азрилияна]. – М. : Фонд „Правовая культура", 1994. – 528 с.
3. Большой энциклопедический словар [Електронний ресурс]. - Режим доступу: www.vedu.ru.
4. Великий тлумачний словник [Електронный ресурс]. - Режим доступа: Error! Hyperlink reference not valid.
5. Википендия – свободная энциклопедия [Електронний ресурс] – Режим доступу до словника: http://ru.wikipedia.org/wiki
6. Загородній А.Г. Фінансово-економічний словник / А.Г.Загородніх, Г.Л.Вознюк. – Львів: Видавництво Національний університет „Львівська політехніка", 2005. – 714 с.
7. Краснокутська Н.С. Потенціал торговельного підприємства: теорія та методологія дослідження [Текст]: монографія / Н.С.Краснокутська. - Харків: Харк. держ. ун-т харчування та торгівлі, 2010. - 247 с.
8. Сабадирьова А. Теоретичні основи організації потенціалу підприємства / А.Сабадирьова // Економіка підприємств. - 2010. - №1. - С.34-35.
9. Словник української мови: академічний тлумачний словник. - Режим доступу: http://sum.in.ua/s/spromozhnisti.

"გამოყენების რეჟიმის" მოხმარების კატეგორიის სისტემური მიდგომა ორგანიზაციის განვითარებისათვის

პედჩენკო ნ.ს.

პოლტავის ეკონომიკისა და ვაჭრობის უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნაშრომი შეიცავს საწარმოებისა და ორგანიზაციების პოტენციალის გამოყენებას სამომხმარებლო კოოპერატივების განვითარებისათვის, რაც დაფუძნებულია ტერმინოლოგიის ანალიზზე. იგი დადგენილია კარგად განსაზღვრული მიზნის მეშვეობით, რომელშიც დადგენილია შესრულების სოციალური და ეკონომიკური მიღწევები.

Systematic approach of "using regime" category for developing organization

Pedchenko N.S

Poltava University of Economics and Commerce

Resume

This article contains a study of the usage of potential of enterprises and organizations of consumer cooperatives development, based on the analysis of terminology. It's established through a well-defined order, under which the extent to which performance on the basis of social and economic achievements is determined.

მთელმნიშვნელობიანი ოპტიმიზაციის ამოცანის შესახებ

მიხეილ ნიკოლეიშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი
mikheilnikoleishvili@gmail.com Tel: 5 55 59 39 43
ალექსანდრე შანგუა
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
sashashangua@hotmail.com Tel: 5 95 30 35 70

ვთქვათ, მოცემული გვაქვს p სიგრძის "კუთხოვანა". უნდა ავაგოთ მართკუთხა პარალელეპიპედის ფორმის ყუთის კარკასი, ისეთნაირად, რომ ყუთის მოცულობა იყოს უდიდესი და წიბოების სიგრძეები იყოს არაუარყოფითი მთელი რიცხვები.

დასმული ამოცანის მათემატიკურტერმინებშიჩაწერაშეიძლება შემდეგი სახით:

x, y, z – ნატურალური რიცხვებია

$x + y + z = p,$

აღნიშნულ პირობებში უნდა ვიპოვოთ

$$\max(xyz : x, y, z \in \mathbb{N})$$

ზოგადად, ამოცანა შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ:

ფიქსირებული ნატურალური $n \geq 3$ და $p > 0$ დადებითი მთელი რიცხვისათვის, ვიპოვოთ ისეთი ნატურალური რიცხვები $x_1, \ldots, x_n \in \mathbb{N}$ რომელთა ჯამი $\sum_{i=1}^{n} x_i = p$ და გამოსახულება

$$\max\{f(x_1, \ldots, x_n) = \prod_{i=1}^{n} x_i\}$$

მიიღებს მაქსიმალურ მნიშვნელობას.

თუდასმულამოცანასგანვიხილავთდადებითინამდვილორიცხვებისათვის $x_1, \ldots, x_n \in \mathbb{R}$, მივიღებთცნობილამოცანას, რომლისთვისაც

$$\max\{f(x_1, \ldots, x_n) = \prod_{i=1}^{n} x_i\}$$

გამოსახულების მაქსიმუმი ტოლია $\left(\frac{p}{n}\right)^n$ დაესმაქსიმუმი მიიღწევა $x_1 = x_2 = \ldots = x_n = \frac{p}{n}$ წერტილებში.

როდესაც p უნაშთოდ იყოფა $n-$ ზე, მაშინ ამოცანის მთელ რიცხვებში ამონახსნიემთხვევა ზოგადიშემთხვევის შედეგს.

დებულება. როდესაც p უნაშთოდარიყოფა $n-$ ზე, მაშინ ზემოთ დასმული ამოცანის მთელ რიცხვებში ამოხსნა ჩაიწერება როგორც:

$$\max_{\mathbb{R}^n} f = \mathbb{E}1 + \varphi f \varphi ,$$

სადაც $q = \frac{p}{n}$ არის $\frac{n}{n}$ ფარდობის მთელი ნაწილი,ხოლო r არის $p-$ ს $n-$ ზე გაყოფისას მიღებული ნაშთი, ე.ი $p = nq + r$ და

$$x = \square = x = 1 + q ,$$

$$x = \square = x = q .$$

დამტკიცება. რადგანაც

$$\varphi^x = f .$$

არაუარყოფით მთელ რიცხვთა $\varphi\mathbb{E}x_0, \ldots, x_{n-1}$ ეულის კომპონენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ $\varphi^1 = p$ ტოლობას, ჩავწეროთ შემდეგი სახით:

$$x = q + r ,$$

სადაც $q = \frac{p}{n}$, ხოლო $r \square Z-$ მთელ რიცხვთა სიმრავლეს $\mathbb{E} = 1 \ldots, n$.

$$\varphi^x = nq + \varphi^1 = nq + r .$$

ცხადია, რომ $\varphi^x = xq + r = p$ და $\varphi^{-r} = r$.

$\square \ldots \square$ აღვნიშნოთ იმ ინდექსების სიმრავლე რომლებზეც $r > 0$ ყველა $i \square \varphi \ldots \varphi$ და $r \leq 0$ როდესაც $i \square \{1, \ldots, n\}(q+1), \ldots n\}$.

უტოლობიდან $i \leq r + \square + r \leq r$ ცხადია, რომ $i \leq r$.

ჩვენს აღნიშვნებში გვექნება:

$$\varphi^x = \varphi\mathbb{E}q + 1\mathbb{E} \leq \varphi\mathbb{E}q + 1\mathbb{E} \square \leq$$

უტოლობა

(რომლის დამტკიცება არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს) საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ დასმული ამოცანის პირობებში (და)

ამასთანავე, მაქსიმუმი მიიღწევა , რიცხვებზე, სადაც არის ს ზე გაყოფისას მიღებული ნაშთი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. ბენდუქიძე. მათემატიკა, სერიოზული და სახალისო. თბილისი 1988.
2. ზ. ნაცვლიშვილი, გ. ტაბიძე, რ. დანელია, ჯ. გიორგობიანი, მ. კუბლაშვილი. დისკრეტული მათემატიკის საფუძვლები. თბილისი 1990.
3. Р. Доффин, Э. Питерсон, К. Зенер. Геометрическоепрограммирование. М., «Мир», 1972.
4. Е. Гольштеин, Д. Юдин. Новыенаправлениявлинейном программировании. «Советское радио», 1966.
5. Ф. Беккенбах, Р. Беллман. Введение в неравенства. М., «Мир», 1965.
6. Д. Пойа. Математика и правдоподобные рассуждения. М., «Наука», 1975.

About optimizing task with whole significance

Mikheil Nikoleishvili
Sukhishvili University, Doctor of Economics
E-mail: mikheilnikoleishvili@gmail.com tel. 5 55 59 39 43
Alcqsandre Shangua
E-mail: sashashangua@hotmail.com tel. 5 95 30 35 70

Resume

Classical problem of optimization, to maximize under the constraint is investigated in the case, when the natural numbers are considered instead of real values. The explicit formulae to calculate the maximum of the product is elaborated.

სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგია საქართველოში

მანანა მშვიდლიშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული-პროფესორი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
m.mchedlishvili@aguni.edu.ge Tel: 599-711450

შესავალი. სასურსათო უსაფრთხოება არის საზოგადოების და მისი წევრების აუცილებელი საარსებო პირობა, რომელიც ოთხ ძირითად კომპონენტს მოიცავს:1.მოსახლეობის საჭირო რაოდენობის სურსათით უზრუნველყოფა; 2.დაბალანსებული კვება,3.სურსათის უვნებლობა;4.კვების მატერიალური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა.

პრობლემის აქტუალობა. სურსათის უვნებლობისა და ხარისხის მართვის მხრივ საქართველოში მძიმე მდგომარეობაა. სამომხმარებლო ბაზარი გაჯერებულია უხარისხო პროდუქციით. საკვები პროდუქტების ხარისხი და უვნებლობა, როგორც სართაშორისო და ეროვნული უსაფრთხოების კომპონენტი, პრიორიტეტული მიმართულებაა ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსსა და ევროკავშირში. საქართველოს სტრატეგიული ორიენტაცია აღნიშნულ სტრუქტურებთან ინტეგრაციის თვალსაზრისით სურსათის უვნებლობისა და ხარისხის მართვის აქტუალურობას ზრდის. საქართველოში ყოველდღიურ რაციონში დაბალია სურსათის ენერგეტიკული ღირებულება და სასურსათო უსაფრთხოების საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს არ შეესაბამება. ამასთან მცირდება ეროვნული სასურსათო პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფის დონე, იმპორტირებული სურსათის მოცულობის ზრდის ხარჯზე.

საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკა ეფუძნება "სასურსათო უსაფრთხოების პროგრამას", რომელიც ევროკომისიასთან მჭიდრო თანამშრომლობით მომზადდა. "სასურსათო უსაფრთხოების პროგრამა" წარმოადგენს სასურსათო დახმარების პროგრამის გაგრძელებას, რომელსაც ევროკავშირი საქართველოში 1994 წლიდან ახორციელებს. 1996 წლიდან ევროკავშირმა სასურსათო უსაფრთხოების პროგრამის ფარგლებში საქართველოს 90 მლნ. ევრო გამოუყო. ჩვენს ქვეყანაში მნიშვნელოვან ყურადღებას მოითხოვს სასურსათო დამოუკიდებლობის საკითხი, რაც სათანადოდ უნდა აისახოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში და რეალური სულა განხორციელდეს ამ მიმართულებით.

სასურსათო უსაფრთხოების სფეროში წესრიგის პოლიტიკის ჩარჩო პირობები განისაზღვრება საქართველოს კანონით "სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ'. აღნიშნული კანონი, სურსათისა და ცხოველთა საკვების ხარისხისა და უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის მექანიზმს უზრუნველყოფს. ევროკავშირის მოთხოვნით, მიღებული კანონის მთელი რიგი მუხლის მოქმედება შეჩერებულია. კანონის ამოქმედების შეფერხება ინსტიტუციონალური სისუსტით არის განპირობებული. სასურსათო უსაფრთხოების პრობლემებში გამოიკვეთა ინსტიტუციური და სამართლებრივი ბაზის გაუმართაობა. შესაბამისად, კანონის სრული ამოქმედება 2013 წლისთვის გადავადდა. აღნიშნული გარემოება კიდევ ერთხელ გვიჩვენებს სურსათის უსაფრთხოების სფეროს რეგულირების პრობლემებს.

საქართველოში საარსებო მინიმუმი სასურსათო უსაფრთხოების დაცვის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს უხეშად უგულებელყოფს. ყოველდღიურ რაციონში ძალზედ დაბალია იმ სურსათის ენერგეტიკული ღირებულება, რომელიც შრომისუნარიან მამაკაცს დღის განმავლობაში დაუდგინეს, ეს დღიურად 2300 კკალ-ს

არ აღემატება. ამ ციფრის თითქმის ნახევარი, დაახლოებით 47 %- პურსა და პურპროდუქტებზე მოდის. ორგანიზმისთვის აუცილებელი ხორცი და მისი პროდუქტები რაციონში მხოლოდ 6,67%-ს შეადგენს, რძე და რძის პროდუქტები 8 %-ით არის განსაზღვრული. საბოლოოდ ასეთი კვება ადამიანის ორგანიზმის დაუძლურებასა და თანდათანობით სიკვდილს ნიშნავს. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საქართველოში 2011 წლის სამომხმარებლო კალათა 288 დასახელების საქონლისა და მომსახურებისგან შედგება და აქედან 89 დასახელება სასურსათო პროდუქტზე მოდის. სასურსათო და უალკოჰოლო სასმელები სამომხმარებლო კალათის 30,3 %-ს შეადგენს, ხოლო ალკოჰოლური სასმელები 5,5%-ს, რაც მიანიშნებს სასურსათო პროდუქტის მნიშვნელობის დონეზე ქართულ სამომხმარებლო სივრცეში.

საქართველოში, შემოსავლების სიმცირის გამო, სურსათის შეძენისას მოსახლეობა ძირითადად არჩევანს აკეთებს საფასე ფაქტორის გავლენით და არა საქონლის ხარისხობრივი შეფასებით. ამ უკანასკნელის შემთხვევაშიც, მომხმარებელი სასურსათო პროდუქტის შეფასებას ახორციელებს გაუთვითცნობიერებლად. მას არა აქვს საკმარისი კვალიფიკაცია და ორიენტირებულია მხოლოდ საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და ცოდნაზე. სასურსათო პროდუქციის ქართველი მომხმარებლების და მწარმოებლების არაინფორმირებულობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკის გაღრმავებას. სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა კი პროცესის ყველა მონაწილეზე თანაბრად ნაწილდება: მწარმოებლებზე, ტექნოლოგებზე, დისტრიბუტორებზე, მომხმარებლებსა და მთავრობაზე.

სასურსათო უსაფრთხოების პრობლემებზე მოქმედი დემოგრაფიული საკითხების განხილვისას ხაზგასმას მოითხოვს ის ფაქტი, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა მთლიანი მოსახლეობის ნახევარს შეადგენს 46,9 %. შეინიშნება ამ მაჩვენებლის უმნიშვნელო შემცირების ტენდენცია, რაც ნაწილობრივ მიგრაციის და ურბანიზაციის ფაქტორით არის განპირობებული. ამასთან, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის უკანასკნელი მონაცემებით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების წილი ოჯახური მეურნეობების ფულად შემოსავლებში მხოლოდ 6 %-ია, რაც იმას ნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქტის 94 % საკუთარი მოხმარებისთვის იწარმოება. სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში არ იზრდება. ამასთანავე სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში კლების ტენდენციით ხასიათდება. ვითარებას ართულებს ისიც რომ 2006-2010 წლებში წარმოებული ხორბლის რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე შემცირდა და 11 კგ. შეადგინა. შემცირდა სიმინდის(32 კგ), ხილის (28 კგ), ყურძნის (27 კგ) და ხორცის (13 კგ) წარმოება ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის უცვლელობის პირობებში. სტაბილური მაჩვენებელი შენარჩუნდა კარტოფილის, რძისა და კვერცხის წარმოებისას. სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა მსოფლიო ბანკის მონაცემებით 1872 აშშ დოლარს შეადგენს წელიწადში. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ სოფლის მეურნეობა ამ ეტაპზე არ არის ორიენტირებული მდგრადი დარგის ინტენსიური განვითარების სტრატეგიაზე, რაც მიიღწევა თანამედროვე ინოვაციური და ტექნოლოგიური მიდგომების აქტიური დანერგვით.

მიღებული შედეგები. სასურსათო უსაფრთხოების სფეროში შემდეგი პრობლემები გამოიკვეთა: 1. გადაუჭრელია სასურსათო დამოუკიდებლობისა და სურსათით თვითუზრუნველყოფის პრობლემა; 2. გაუმართავია ინსტიტუციური და სამართლებრივი ბაზა; 3.შესამუშავებელია სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ ეროვნული

სტრატეგია; 4.არაეფექტიანია სასურსათო პროდუქტების მონიტორინგის მომსახურება;5. სოფლის მეურნეობის კლებადი პროდუქტიულობა.
6.სახეზეა კვების ჯაჭვში რისკების მართვის პრობლემები.

დასკვნები და წინადადებები. საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგია, მიმართული უნდა იყოს საქართველოში აგრარული სფეროს განვითარებისაკენ, რადგან სასურსათო დამოუკიდებლობის და სურსათით თვითუზრუნველყოფის გარეშე უსაფუძვლოა სასურსათო უსაფრთხოების დაძლევის მოლოდინი. აღნიშნულის მისაღწევად აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების გატარება: სოფლის მეურნეობაში ბიზნესისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა, აგრარული სფეროს განვითარებისთვის ინვესტიციების მოზიდვა, სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის, ირიგაციის და მელიორაციის სისტემის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლების, სასაწყობო და სარეალიზაციო ფართების და მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით და ფერმერებისათვის მათი წვდომის უზრუნველყოფა; საწვავით და სასუქით უზრუნველყოფა; აუცილებელია აგროსამრეწველო სექტორის განვითარება; კრედიტების ხელმისაწვდომობა;

საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს სასურსათო ბაზრის განვითარებისაკენ მსოფლიო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების, ტექნიკური, სამართლებრივი, საკადრო, კვლევითი და შიდა ბაზრის რისკ-მენეჯმენტის სისტემის სრულყოფის გზით. სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისიდან გამომდინარე, ქვეყანაში აგრარულ სექტორში უნდა შეიშუშავდეს თვითუზრუნველყოფაზე ორიენტირებული დარგობრივი სტრუქტურა, რომელიც პროდუქციის წარმოების მდგრადი განვითარების შესაძლებლობების დამკვიდრებას შეუწყობს ხელს. სასურსათო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიის შემუშავებაში გათვალისწინებული უნდა იყოს ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების დაძლევის გზები, რომლის საფუძველზეც მოხდება სასურსათო უსაფრთხოების სისტემის გაჯანსაღება და სურსათის მწარმოებელი კომპანიების კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.პ.კოღუაშვილი, თ.კუნჭულია, რას უნდა ითვალისწინებდეს საქართველოს აგრარული პოლიტიკის სტრატეგია ჟ.ეკონომიკა და ბიზნესი. თბ.2011წ. 11-12 №6
2.ანალიზი განხორციელდა სქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით. www.geostat.ge.

Food security strayegy in Georgia

Manana Mchedlishvili
Associated Professor of Caucasus International University
Academic Doctor of Economics
m.mchedlishvili@aguni.edu.ge Tel.: 599 71 14 50

Resume

Food Security Policy of Georgia should be aimed at the development of Food Markets through improving the System of Risk – Management of Internal Market, Competitive Production of World Market Demands, Technical, Juridical, Staff and Research. Through the Food Security point of view, in the country, in Agricultural Sector should be developed the self-reliance-oriented structural structure, which will promote the establishment of sustainable development opportunities of products production.

ფულის წარმოშობა და განვითარება

იოსებ მამესწარაშვილი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტი
სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

ფულის წარმოშობა საზოგადოების ცივილიზაციამ გამოიწვია. იგი, ერთი შეხედვით, ყველასათვის საკმაოდ ცნობილი და მარტივი ეკონომიკური ცნებაა, მაგრამ რაც უფრო ღრმად შევალთ მის სამყაროში, მით უფრო დავრწმუნდებით, რომ ფული გაცილებით უფრო რთული შინაარსის მატარებელია და უმრავლესობამ ცოტა რამ თუ იცის მის შესახებ. ეს არცაა გასაკვირი – ფულის სამყარო ხომ ეკონომიკური საქმიანობის ერთ-ერთი ურთულესი სფეროა.

შორეულ წარსულში, როდესაც პირველად ჩაისახა საქონლური გაცვლა, პირველყოფილი ტომების წინაშე დადგა, ერთი შეხედვით, გადაუჭრელი ამოცანა: როგორი საცვლელი თანაფარდობით შეეძლო ერთ, ვთქვათ, მესაქონლეობით დაკავებულ ტომს სამართლიანად გაეცვალა „ჭარბი“ ხორცი მიწათმოქმედი ტომის მიერ მოყვანილ მარცვლეულზე? დამაკმაყოფილებელი პასუხის პოვნა მაშინ შეუძლებელი იყო. ჯერ ხომ არც იყო საყოველთაოდ აღიარებული ექვივალენტი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა ყველა სხვა საქონელთა ღირებულების გაზომვა. ეს კი სწორედ ისაა, რასაც მოგვიანებით უწოდეს ფული.

ფულის წარმოშობის შესახებ უამრავი შეხედულება არსებობს, მათ ფონზე ყველაზე რეალურსა და ლოგიკურ წარმოდგენას ქმნის ორი თეორია: პირველი თეორიის მიხედვით, ფული არის შეთანხმების პროდუქტი და წარმოიშვა სუბიექტური ფაქტორის საფუძველზე. მეორე თეორიის მტკიცებით კი ფული წარმოიშვა ევოლუციის პროცესის შედეგად, რომელმაც ადამიანისაგან დამოუკიდებლად გამოიწვია საგანთა საერთო მასისგან ზოგიერთი მათგანის გამოყოფა და მისთვის გაცვლის ფუნქციის მიკუთვნება. ბუნებრივია, რომ საქონლის მრავალი სახეობიდან ერთი დასახელების გამოყოფამ ექვივალენტის როლში ბევრად გააადვილა საქონელგაცვლის პროცესი, მაგრამ არა იმდენად, რომ ეს ყოფილიყო დასასრული ამ მიმართულებით არსებული ძიებისათვის. სწორედ ანალოგიური სიძნელეების დასაძლევად ჯერ კიდევ ჩვ. წ/აღ.-მდე ზოგიერთ რეგიონსა და სახელმწიფოში დაიწყეს ჯერ კეთილშობილი ლითონების ზოდების, შემდეგ კი მათგან დამზადებული მონეტების გამოყენება (აგრეთვე, ცნობილია რკინის, ტყვიისა და სპილენძის შენადნობის გავრცელების მაგალითებიც). ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გამოიყენებოდა ვერცხლი და ოქრო. მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მონოპოლია გადადის ოქროზე.

ფულის ისტორიაში მონეტარული პერიოდი ახალი წელთაღრიცხვის ბოლო საუკუნეებამდე გაგრძელდა. არსებობის ხანგრძლივმა პერიოდმა დამაჯერებლად დაადასტურა ქაღალდის ფულის შემოღების აუცილებლობა. ლითონის ფულს ჭრიდა ყველა, მეფეც და თავადიც, ქალაქიც და სახელმწიფოც, მათი წონა და ხარისხი თანდათან კლებულობდა. მნიშვნელოვან სიძნელეებს ქმნიდა მისი დიდი რაოდენობის ტარება. ცნობილია ერთი ისტორიული შემთხვევა: XV საუკუნეში მოღვაწე იტალიელი მხატვარი კორეჯო საკუთარმა ჰონორარმა იმსხვერპლა. მან თავის ბოლო ნახატში აღებული გასამრჯელო – 25 კგ. სპილენძის მონეტები ტომრით რამდენიმე კილომეტრი ატარა და სახლში მისვლის წინ დაიღუპა.

ქაღალდის ფულის გამოშვების ტრადიციას საფუძველი ჩაეყარა VII საუკუნის ჩინეთში. იქ მიმოქცევაში იყო სპილენძის მონეტები, მათი შენახვა და გადათვლა საკმაოდ რთული იყო. ამიტომ იმპერატორ ლი ჯის განკარგულებით გამოშვებულ იქნა მაღალხარისხოვან ქაღალდზე დაბეჭდილი ფულის ნიშანი, რომელსაც „ჯაო-ძი" ეწოდა. აღნიშნული ფულის გადახურდავება ნებისმიერ დროს შეიძლებოდა სპილენძის მონეტებზე. ამით გამარტივდა ფულის მიმოქცევა, რამაც ქაღალდის ფულის პოპულარობა განაპირობა. ეს ფული დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა იმ ადამიანებზე, რომლებმაც ჩინეთში ამ პერიოდში იმოგზაურეს. მაგალითად, დიდი მოგზაური მარკო პოლო წერდა, რომ „ქაღალდის ფულის გამოშვება იმ მიზნის მიღწევის ახალი საშუალებაა, რომლისკენ ასე მიისწრაფოდნენ ალქიმიკოსები". XIII საუკუნეში ჩინგიზ-ხანი ქაღალდის ფულს შეუფერხებლად ცვლიდა ოქროზე, ამიტომ ფულის გაყალბება მკაცრ დანაშაულად ითვლებოდა. 1500 წლისათვის ჩინეთის მთავრობამ, ფულის ინფლაციასთან დაკავშირებით, შეწყვიტა ქაღალდის ფულის გამოშვება, მაგრამ იმ დროს არსებული კერძო ბანკები აგრძელებდნენ ქაღალდის ფულის ემისიას. დასავლეთის ქვეყნებში პირველი ქაღალდის ფული გამოუშვა აშშ-ს მთავრობამ (1862 წ.). დასაწყისში იგი გათვალისწინებული იყო სამოქალაქო ომის წარმართვის დასაფინანსებლად და „გრიბენკის" სახელწოდება მიიღო. მანამდე მიმოქცევაში არსებული ქაღალდის ფული ძირითადად ითვლებოდა შტატების ბანკნოტებად, რომლებსაც კერძო ბანკები უშვებდნენ შტატის მთავრობასთან შეთანხმებით. პირველობა აქ ეკუთვნოდა მასაჩუსეტსის შტატს (1690წ.).

ევროპაში ამერიკული გამოცდილება პირველმა საფრანგეთმა გამოიყენა. 1716-1720 წლებში ცნობილმა ბანკირმა, ჯონ ლომ დაიწყო სამეფო ბანკის ბანკნოტების ბეჭდვა. რუსეთში ქაღალდის ფული პირველად დამკვიდრდა 1769 წელს. ასე გავრცელდა მსოფლიოში ქაღალდის ფული, რომელმაც თანდათანობით გამოდევნა მიმოქცეციდან მონეტები.

საინტერესოა ზოგიერთი ისტორიული ცნობა ქართული ფულის შესახებ. საზღვარგარეთთან საქართველოს ისტორიულ კავშირებს მოწმობს ის ძველი მონეტები, რომლებიც მოჭრილია სხვა სახელმწიფოებში, ნაპოვნია საქართველოს ტერიტორიაზე და დაცულია ეთნოგრაფიულ მუზეუმებში. ანტიკური პერიოდის მონეტებიდან აღსანიშნავია კოლხური თეთრი, რომელიც მოჭრილია ჩვ. წ/აღ-მდე IV-III საუკუნეებში. პარალელურად, საქართველოში აღმოჩენილია ბერძნული, ეგვიპტის, ბოსფორის სამეფოს, პართიული, სასანური მონეტები. საქართველოსათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდი. დავითის მეფობის დასაწყისში იჭრებოდა ბიზანტიური ტიპის ვერცხლის მონეტები. საქართველო დავით აღმაშენებლის დროს ეწეოდა გაცხოველებულ ვაჭრობას საზღვარგარეთის ქვეყნებთან (არაბეთთან, ბიზანტიასთან, იტალიასთან, ეგვიპტესთან, ირანთან, ინდოეთთან). გაჩქონდათ შალი, ბამბა, აბრეშუმის ნაწარმი, ხალიჩები, კერამიკული და საოქრომჭედლო ნაწარმი. თბილისში ვაჭრობისათვის გავრცელებული იყო სელჯუკების, ჯალალედინის მონეტები, აგრეთვე დუკატი, დრამა, დანგი. თავის მხრივ, თბილისში მოჭრილი ფული ნაპოვნია ჩრდილოეთ რუსეთში, სკანდინავიის ქვეყნებში, აღმოსავლეთ გერმანიაში, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს საქართველოს აქტიურ სავაჭრო კონტაქტებზე საზღვარგარეთთან.

დავით აღმაშენებლის დროს განხორციელდა ფულის რეფორმა აღმოსავლურ ყაიდაზე, ვინაიდან იმ პერიოდში აღმოსავლურ ქვეყნებთან კონტაქტებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. შეიცვალა ფულის გარეგანი სახე, მონეტაზე გამოსახული იყო ცხენოსანი მეფე და არაბული წარწერა: „მეფეთა მეფე დავით გიორგის ძე მესიის

მახეილი“. ამით ქართველი მეფე ხაზს უსვამდა ქართველი ხალხის ერთგულებას ქრისტიანული სარწმუნოებისადმი. დავით აღმაშენებლის დროს ვერცხლის ფული შეიცვალა სპილენძის მონეტებით.

პარალელურად, საქართველოში მიმოქცევაში გამოშვებული იყო სპილენძის მონეტა, რომელსაც ამშვენებდა წარწერა ქართულ ენაზე: „ქრისტე, დავით მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა“. ასეთი ტიპის უნიკალური მონეტა ამჟამად დაცულია დიდი ბრიტანეთის ეროვნულ მუზეუმში. აღნიშნული სახის მონეტა უმთავრესად გამოიყენებოდა ქვეყნის ფარგლებში ვაჭრობისათვის.

ქუთაისის ეთნოგრაფიული მუზეუმის ნუმიზმატიკის ფონდში მოთავსებულია სპილენძის მონეტა, რომელზეც იკითხება თამარ მეფისა და მისი მეუღლის დავით სოსლანის სახელი. მონეტაზე არაბულ ენაზე იკითხება: „დედოფალი დედოფალთა, შვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, თამარი, ასული გიორგისა, მესიის თაყვანისმცემელი“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რ. კაკულია, გ. ხელაია, „ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია“, თბილისი, 2000;
2. რ. შენგელია, საფინანსო სამართალი, თბილისი, მერიდიანი, 2009;
3. მ. ვანიშვილი, „მიკრო და მაკროეკონომიკის საფუძვლები“, თბილისი, 2009;
4. კემბელი რ. მაკკონელი, სტენლი ლ. ბროუ – ეკონომიკსი, თბილისი, 1993;

Producing and developing of money

Ioseb Mamestsarashvili
Grigol Robakidze University-PhD
Assistant-professor of Sukhishvili Teaching University

Resume

Money is one of the greatest inventions of humanity. It fascinates people. It is suffered and labored. Money is the only thing which can not be used without realising from it. A person does everything for the money and the money does almost everything for the people.

Проблемы развития хозяйственных субъектов в Азербайджанской Республике

Керимов Эльсевар Нариман оглу
Азербайджанский Университет Кооперации
проректор по научной работе, к.е.н., доц.

Рыночная система хозяйствования, последовательно утвердившаяся в Азербайджане, базируется на предпринимательском типе экономической системы, где государство выполняет активную регулирующую функцию. При рыночной экономической системе предприниматель стал активным субъектом экономического процесса. В современных условиях в Азербайджане частный сектор создает более 84% ВНП страны. Поэтому исследование проблем развития хозяйственных субъектов и предпринимательства в нынешних условиях Азербайджана представляется весьма актуальной.

Выбор объекта исследования продиктован необходимостью изучения научно-практических проблем предпринимательской деятельности в период становления национальной экономики на базе рыночных отношений, с целью поиска резервов и разработки наиболее эффективных форм и направлений формирования и развития этих субъектов, научного обоснования его государственной защиты и стимулирования. Не случайно, в странах с переходной экономикой, в том числе в Азербайджане, в связи с переходом к рыночной экономике многие известные экономисты уделяют пристальное внимание важнейшим проблемам становления и развития предпринимательства, хозяйственной деятельности, его роли в экономике, особенностям его формирования и т.п. В последние годы в республике приобрела широкое признание необходимость обеспечения высоких темпов устойчивого социально-экономического развития. По мере экономического роста главной целью экономической деятельности является постепенно создание благоприятных жизненных условий для населения.

В основе обеспечения экономического роста лежат экономические реформы, проведенные в стране после достижения самостоятельности, направленные на развитие многоукладной экономики. Начиная 1995 года по 2010 год количество мелких предприятий выросло почти 3 раза, иностранных и совместных предприятий 3,2 раза (1). Переход рыночном отношениям и развитие предпринимательства требуют поддержки функционирования малых и средних предприятий (особенно в производственной секторе), способных ускорить социальные преобразования, предоставить широкую свободу выбора и дополнительные рабочие места, поднять уровень жизни населения, оперативно реагировать на изменения потребительского сектора активизировать структурную перестройку. Однако степень вовлеченности в трудовую деятельность населения, в настоящем и потенциальные возможности в перспективе, определяет необходимость поднятия уровня оплаты труда на этих предприятиях, для чего необходима государственная поддержка малого и среднего предпринимательства (2, р. 69)

Переход к рыночным отношениям и формирование предпринимательства республики сопровождается улучшением уровня жизни определенной группы населения, занятого в новых предпринимательских структурах. Достижение современных качеств социально-экономического роста и развитие хозяйственной деятельности, предпринимательства – взаимосвязанные процессы, предполагающие: решение проблем эффективной занятости; рациональное использование ресурсов; увеличение объема и качества продукции;

совершенствование отраслевой структуры; привлечение иностранных инвестиций; повышение доли потребительского сектора.

В Азербайджане под субъектами малого предпринимательства понимаются коммерческие организации, в уставном капитале которых доля участия Азербайджанской Республики, общественных и религиозных организаций (объединений), благотворительных и иных фондов не превышает 25%; доля, принадлежащая одному или нескольким юридическим лицам, не являющимся субъектом малого предпринимательства, не выше 25%, и в которых средняя численность работников не более предельных уровней: в промышленности, строительстве и на транспорте – 100 человек; в сельском хозяйстве и научно-технической сфере – 60, в оптовой торговле – 50, в розничной торговле и бытовом обслуживании – 30, в остальных отраслях и при осуществлении других видов деятельности – 50 человек. К субъектам малого предпринимательства также относятся физические лица, занимающиеся предпринимательской деятельностью без образования юридического лица (индивидуальные предприниматели). Малое предпринимательство в Азербайджане начало развиваться с конца 80-х гг. За это время принято уже более 50 законов и других нормативных актов по становлению и развитию данного сектора экономики. Но, современном этапе

развития основные эти нормативно-юридические документы не соответствует международным требованием.

По статистике количество малых и средних предприятий то растет, то уменьшается, многие из них не проходят юридическую перерегистрацию и пополняют теневой сектор. В середине 90-х гг. стала вводиться упрощенная система налогообложения, по которой малыми предприятиями могут быть только те структуры, где численность работающих не превышает 15 человек, независимо от вида деятельности (1). Таким образом, различные органы управления используют два критерия отнесения предприятий к малым по численности занятых: для статистической отчетности и для целей налогообложения. В настоящее время все большее распространение в налогообложении получает система вмененного дохода, когда малые предприятия используют другие критерии при расчете размеров будущего налога и корректируют его в зависимости от итогов работы в отчетном периоде. Но таком положения затрудняться точно определить роль и воздействия таких производственных предприятие в экономике страны.

Для развития малого и среднего предпринимательства, а также производственных предприятиях в республике должна обратить особое внимание по следующим направлениям:

* формирование инфраструктуры поддержки и развития малого и среднего предпринимательства;

* создание льготных условий использования субъектами предпринимательства государственных финансовых, материально-технических и информационных ресурсов, а также научно-технических разработок и технологий;

* установление упрощенного порядка регистрации субъектов малого и среднего предпринимательства, лицензирования их деятельности, сертификации их продукции, представления государственной статистической и налоговой отчетности;

* поддержка внешнеэкономической деятельности субъектов малого и среднего предпринимательства, включая содействие развитию их торговых, научно-технических, производственных, информационных связей с зарубежными организациями;

* организация подготовки, переподготовки и повышения квалификации кадров для этих предприятий.

В настоящее время в странах СНГ наблюдаются процессы, характеризующиеся незавершенностью формирования развитого сегмента малого и среднего предпринимательства.

В большинстве своем эти процессы связаны с теми трудностями, которые стоят перед экономикой вышеназванных стран, особенно перед субъектами, действующими в так называемой периферийной зоне. В целом в ряде наших стран, когда разговор заходит о проблемах предпринимательства, почему-то очень редко в качестве причины фигурирует отсутствие у государства четкой региональной регулирующем политики, направленной на стимулирование хозяйственного развития отстающих районов. Тем не менее, именно из-за ее отсутствия, разрыв между центром и периферией все больше увеличивается. В частности, в Азербайджанской Республике проблема депрессивных регионов стоит наиболее остро. Дело в том, что в большинстве этих регионов, за очень небольшим исключением, нет ни одного значительного предприятия или, скажем, нескольких эффективно работающих фирм и значит, уровень налоговой базы является очень низким. Подавляющее большинство всех ведущих субъектов экономики, а, следовательно, и предпринимательская активность, сосредоточен в Баку. Такая диспропорция в размещении производственного потенциала имела место и в прежние годы, однако в последнее время разрыв между центром и периферией приобрел более гипертрофированные формы. Так, на Апшеронском полуострове сосредоточены практически до 90% всех действующих производственных фондов страны (1). Этот факт приводит к тому, что значительная часть трудоспособного населения страны также концентрируется на территории Бакинской агломерации.

Таким образом, свыше трети населения Азербайджана в настоящее время проживает на территории составляющей 3 – 3,5% от общей площади страны. Кроме того, слабая хозяйственная база и соответственно, отсутствие достаточного числа рабочих мест делает процесс миграции населения из периферии в центр устойчивым явлением. В этой связи большое значение в республике имеет принятая в 2009 году, вторая по счету целенаправленная «Программа социально-экономического развития регионов Азербайджана на 2009-2013 г» (3).

Так или иначе, обнаруживается тенденция позволяющая говорить, что в отношении центра к периферии наметился определенный поворот. Выборочный подход к их решению должен быть индивидуальным. Но при всей индивидуальности подхода должна прослеживаться и очевидная системность, обеспечивающая устойчивость региональной политики государства. В Минэкомразвития республики периодически обращаются иностранные компании желающие инвестировать свои средства в экономику Азербайджанской Республики, государство же в сложившихся условиях, должно более активно направлять инвесторов в определенные, приоритетные для государства, ареалы и города и ограничивать размещение предприятий в Баку и прилегающих к нему экономически перенасыщенных зонах. Такая политика почти не требует государственных затрат и очень эффективно в период экономического роста. В данном случае вмешательство государства может быть осуществлено посредством воздействия на профессиональную переориентацию рабочих на месте, через изменение качества рабочей силы – государственное или частное переобучение – или через субсидии предпринимателям на создание и сохранение рабочих мест.

Кроме того, по отношению к местным хозяйствующим субъектам в регионах, особенно новым, государство должно использовать практику предоставления грантов и субсидий. Они могут быть разовыми, временными и постоянными в зависимости от характера деятельности. Государство должно активно участвовать и в процессе формирования региональных рынков. Но этом процессе надо особенно внимательно подойти проблему «Карабхским» конфликтам, которые пока не решено. Сегодня в развитых странах мира национальный рынок представляет собой систему региональных рынков. Современный региональный рынок представляет собой территориальную организацию сферы обращения, где происходит согласование интересов производителей и потребителей. Более того, региональный рынок имеет открытый характер и

развитые экономические связи с другими регионами и странами мира. Наша страна подходит к такому этапу своего развития, когда именно от состояния дел в регионах будут зависеть перспективы становления здорового и устойчивого национального рынка. Формирование региональных рынков в этой связи имеет исключительное значение, как с точки зрения прогнозирования развития локальных форм организации хозяйства, так и с точки зрения их влияния на состояние дел в национальной экономике в целом.

Это в свою очередь означает, что для хозяйствующих субъектов на местах необходимо создавать такие условия, которые позволяли бы им наиболее полно реализовывать свои возможности, опираясь в первую очередь на местную рыночную инфраструктуру. На наш взгляд, именно такой подход сегодня наиболее приемлем и безальтернативен по своей сути.

Успешное решение социально-экономических задач возможно только при значительном усилении конкурентоспособности Азербайджана, в том числе и конкурентоспособности менеджмента, бизнеса и человеческого капитала. На этой основе необходимо в течение ближайших лет модернизировать и реструктурировать предприятия, создать новые рабочие места, повысить экспортно-импортный потенциал. Эти установки выдвигают конкретные обязательства перед менеджментом, дают мощный импульс к его дальнейшему развитию и совершенствованию. Важный фактор поощрения к привлечению инвестиций – ускоренный рост частного сектора в экономике, в частности развитие малого и среднего предпринимательства. По нашим мнениям, в решение этих важных вопрос надо усиливать особое внимание на шести приоритетных направлениях.

Совершенствование государственного регулирования предпринимательства. Министерство Экономического Развития и Министерство Юстиции, в частности, обязаны периодически анализировать список видов деятельности, требующих лицензирования, и разрабатывать связанные с этим предложения, а также при участии Госстандарта – оказывать местным хозяйствующим субъектам, субъектам малого и среднего предпринимательства, методическую и организационную помощь в области стандартизации, сертификации продукции, совершенствовать правила сертификации продукции и услуг, производимых их на продукции. Предусмотреть также подготовку по повышению критериев определения субъектов малого и среднего предпринимательства и созданию механизмов их функционирования.

Финансовое и инвестиционное обеспечение развития субъектов малого и среднего предпринимательства. Минфин и Минэкономразвития республике должно усиливать работу над проектам законов «Об обществах взаимного страхования» и «Об инвестиционной деятельности»; проанализировать применение для субъектов малого и среднего предпринимательства, налога и неналоговых выплат по упрощенной схеме; Госкомстату с их участием создать микрокредитные схемы для различных социальных групп населения, желающих заниматься предпринимательской деятельностью, помочь кредитным союзам. Разработать механизм участия малого и среднего бизнеса в государственных инвестиционных программах и инвестиционной поддержке по модернизации промышленных предприятиях этого сектора; содействовать осуществлению пилотных инвестиционных проектов в области переработки сельскохозяйственной продукции, нефтехимической и химической промышленности.

Структурные преобразования и технологическое развитие субъектов малого и среднего предпринимательства.

Техническая помощь субъектов малого и среднего предпринимательства и развитие человеческого фактора. С участием Министерства образования и других ведомств предусмотрено также создать учебный центр субъектов малого и среднего предпринимательства, подготовить базовые учебные и методические программы и учебники

консультативной направленности, провести в Баку форум делового сотрудничества «Партнерство-СНГ» и ряд других акций.

Ускорение регионального развития предпринимательства. Для привлечения инвестиций в регионы совершенствовать составления карты инвестиционных проектов в стране, сформировать нормативно-правовую базу региональных механизмов экономического поощрения.

Усиление защиты прав предпринимателей. Для повышения ответственности органов регистрации хозяйственных субъектов Минэкономразвития и Минюст республики должны закончить подготовки предложения о внесении дополнений и изменений в Гражданский кодекс АР, а с участием Национального банка и Экономического суда – предложений по совершенствованию норм договорного права. Немало важно, также принятие юридических основ правительства «Об осуществлении надзора и проверок в сфере предпринимательства», что позволит законодательно закрепить список органов, проводящих проверку, и их компетенции.

Список использованной литературы

1. Статистический сборник Азербайджанской Республики, 2010 г.
2. Aid, Growth, and Poverty Art Kraay. The World Bank 1. Presentation for IMF Seminar on Foreign Aid and Macroeconomic Management Maputo, 2007.
3. «Программа социально-экономического развития регионов Азербайджана на 2009-2013 г».
4. Бусыгин А.Б. Предпринимательство. Москва, ИНФРА-М, 2007.
5. Управление организацией. Москва, ИНФРА-М, 2008.

Problems of development of economic subjects in the Azerbaijan Republic

Kerimov Elsever Nariman oqlu

resume

In article it is systematized and analyzed problems of development of economic subjects in the Azerbaijan Republic. Including, to pay special attention to economic and legal bases of the enterprise, the tendency formation and development of these subjects, their estimation a regional condition. It is determined the basic directions of development of small and average business, and also the industrial enterprises in republic.

ეკონომიკურ საკითხთა განვითარების პრობლემები აზერბაიჯანის რესპუბლიკაში

ელსევერ ნარიმან ოგლუ კერიმოვი

რეზიუმე

სტატიაში განხილული და გაანალიზებულია ეკონომიკური საკითხების განვითარების პრობლემები აზერბაიჯანის რესპუბლიკაში. განსაკუთრებული ყურადღების მიქცევით საწარმოს ეკონომიკურ და კანონიერ საფუძველზე, ტენდენციის ფორმირებასა და ამ საკითხთა განვითარებაზე, მათი შეფასება რეგიონალურ პირობებში. დადგენილია ძირითადი მიმართულებანი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის, აგრეთვე, ინდუსტრიული საწარმოებისა რესპუბლიკაში.

ბიზნესის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში

ნუგზარ იოსებაშვილი
ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სრული პროფესორი.
E-mail - n.losebashvill@agruni.edu.ge, Tel: 599 58 14 23

ლია ბერიძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
E-mail - beridzelia@rambler.ru , Tel: 577 44 44 86

თანამედროვე ეტაპზე ბიზნესმა რადიკალურად იცვალა სახე. დღეს მსოფლიოს ყველა ქვეყანა ჩართულია ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესში, ბიზნესი ხდება უფრო მაშტაბური, მოძრავი და დინამიური. ცდილობს დაიმკვიდროს ადგილი საერთაშორისო ბაზარზე, გახდეს კონკურენტუნარიანი და აიმაღლოს საკუთარი იმიჯი.

საქართველოს ეკონომიკა დღეევანდელ ეტაპზე ორიენტირებულია მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის გაღრმავებაზე. ამ მიზნით ხორციელდება ეკონომიკის ლიბერალიზაცია და ბიზნესის ხელშეწყობი გარემოს ჩამოყალიბება, რაც პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს კონკურენციის განვითარებასა და ურთიერთდაკავშირებულ საწარმოთა ქსელის განვითარების პროცესზე.

ბიზნესის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია შეფასებული იქნას ბიზნესის პოტენციალი და ქმედითუნარიანობა, განისაზღვროს მისი ძირითადი მიმართულებები. ბიზნესის შეფასებას აქვს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, იმიტომ, რომ სწორედ ბიზნესის შეფასების საშუალებითაა შესაძლებელი მეწარმეობრივი აქტივობის, ეკონომიკის ზრდის ტემპების და რესურსების, სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვისა და პროგნოზირების, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ხარისხის განსაზღვრა.

მიგვაჩნია, რომ ქვეყნისათვის ის სასარგებლო იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ რეალურად შეფასდება რესურსები, სამეწარმეო უნარი, გეოგრაფიული და ეკონომიკური ფაქტორები და ეს კრიტერიუმები არგუმენტირებული იქნება ინვესტორებისათვის.

აღსანიშნავია, რომ ბიზნესის განვითარება და სტრუქტურული სრულყოფა ნებისმიერ ქვეყანაში გარკვეულ პრობლემებს უკავშირდება. შეიძლება გამოვყოთ ის მთავარი პრობლემები, რომელიც შეიძლება არსებობდეს ბიზნესურთიერთობებში, კერძოდ: საბანკო პროდუქტების სიძვირე და ხელმიუწვდომლობა, შრომის ბაზარზე კვალიფიციური კადრების სიმცირე, ექსპორტის გარკვეული დონით შეზღუდულობა, ბიზნეს კულტურის დაბალი დონე, საკუთარი ბაზრის დაუცველობა უხარისხო პროდუქციისაგან, ინოვაციური ტექნოლოგიების არასრულყოფილება, საკუთრების მემკვიდრეობის დაცვა და უზრუნველყოფა.

არსებული პრობლემების გადასაჭრელად ბიზნესმა სისტემურად უნდა განახორციელოს გარე და შიდა სოციალური გარემოს კონტროლი.

წარმოების განვითარების და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მნიშვნელოვანი რეზერვია არსებული საგარეო ვაჭრობის რეჟიმის სრული რეალიზაცია, რომელსაც მიეკუთვნება: უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი. საქართველო როგორც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი, მისი წესდების შესაბამისად

სარგებლობს მისი წევრი 153 ქვეყანასთან სავაჭრო ურთიერთობებში „უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით“.

პრეფერენციათა განზოგადოებული სისტემა, რაც გულისხმობს ბენეფიცია ქვეყნებთან იმპორტირებულ საქონელზე საბაზო საიმპორტო ტარიფების შემცირებული განაკვეთების დაწესებას. საქართველო არის: ევროკავშირის, აშშ, იაპონიის, კანადის, შვეიცარიის და ნორვეგიის პრეფერენციათა განზოგადოებული სისტემის ბენეფიციარი.

თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი გულისხმობს შეთანხმების მონაწილე მხარეებს შორის ვაჭრობის განთავისუფლებას საბაჟო-საიმპორტო გადასახადებისაგან. გარდა ურთიერთშეთანხმებული გამონაკლისებისა, საქართველოს ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს სხვადასხვა ქვეყნებთან.

როგორც აღვნიშნეთ საქართველო სარგებლობს ევროკავშირის მიერ მინიჭებული განზოგადოებული პრეფერენციათა გაფართოებული სისტემით შ +რაც ითვალისწინებს საქართველოს ექსპორტის თითქმის უტარიფო დაშვებას ევროკავშირის ბაზარზე. ამ სტატუსის მიღებით საქართველოს შეუძლია ევროკავშირის ქვეყნრებში შეიტანოს 7200–მდე სახეობის პროდუქცია.

გარდა აღნიშნულისა, ევროკავშირი საქართველოს სთავაზობს „ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებას“. გაფართოებული ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება - FTA+ საქართველოს მნიშვნელოვან სარგებლიანობას მოუტანს, კერძოდ, გაეროს განვითარების პროგრამის კვლევის მონაცემებით მშპ - 7.6 %-ით გაიზრდება. ასევე ეკონომიკის ზრდის მნიშვნელოვანი რეზერვია ტურისტული და სასურსათო პოტენციალის გამოყენება. ამ დარგებში კარგად გათვლილი პროგრამა მოქმედებს და უახლოეს მომავალში ეს დარგები საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საექსპორტო მომსახურებად გადაიქცევა, რაც სოფლის მეურნეობის და ეკონომიკის სხვა სექტორების მნიშვნელოვან ზრდას განაპირობებს. ამისი ნათელი მაგალითია აჭარის რეგიონში მიმდინარე ტურისტული და აგროსერვისის ინფრასტრუქტურის სწრაფი ტემპით განვითარება.

ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ აჭარის რეგიონში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ბოსტნეული კულტურების წარმოებას, როგორც ადგილობრივი მოსახლეობის ისე ტურისტების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით. უკანასკნელ წლებში შეიქმნა და ექსპლუატაციაში შევიდა შპს „აიკონ ჯგუფი“ შპს „სენ სელექშენი“ შპს „V&T აგრო“ სასათბურე მეურნეობები სადაც იწარმოება სხვადასხვა სახის ბოსტნეული. გათვალისწინებულია სასათბურე მეურნეობის 10-15 ჰა-მდე გაზრდა. დღეისათვის დასაქმებულია 125 ადამიანი და გაფართოებასთან ერთად მათი რიცხვიც გაიზრდება. ამასთან მომხმარებელს მიეწოდება მაღალხარისხოვანი და ეკოლოგიურად სუფთა საადრეო ბოსტნეული.

საქართველო მრავალი დასახელების საქონლის სატრანზიტო დერეფანს წარმოადგენს. მოსალოდნელია, რომ სატრანზიტო მომსახურება საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტი გახდეს. მის საფუძველს იძლევა გეოგრაფიული მდებარეობა, მიმზიდველი ბიზნესგარემო, არაერთი ქვეყნის ინვესტორთა დაინტერესება. ბაქო–ერზრუმის გაზსადენის საშუალებით შესაძლებელია გაზის მიწოდება ევროპისათვის. ასევე მოსალოდნელია საავტომობილო და საზღვაო ტვირთბრუნვის მოცულობის ზრდა.

ახლო მომავალში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია რკინიგზასაც, რომელიც მრავალი წელია ემსახურება კაუკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების ტვირთების ტრანსპორტირებას. ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის ხაზის

მშენებლობის დამთავრებით ამოქმედდება პირდაპირი სარკინიგზო მაგისტრალი, რომელიც ევროპასთან დააკავშირებს ცენტრალური აზიის ქვეყნებს. აღნიშნული პროექტის შესრულებით, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა გახდება ევროპა-კავკასია-აზიის უმნიშვნელოვანესი სარკინიგზო დერეფანი.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანას საზღვაო ტრანსპორტით მომსახურების დიდი პოტენციალი გააჩნია ორი სტრატეგიული პორტის ბათუმის და ფოთის სახით.

საქართველოს პიდროელექტრო პოტენციალი გააჩნია და საესებით შესაძლებებლია მნიშვნელოვანი საექსპორტო საქონელი გახდეს. ამისათვის საჭიროა არსებული ჰიდროელექტრო სადგურების სიმძლავრეების გამოყენების გაუმჯობესება და ახალი ელექტროსადგურების მშენებლობა, სადაც მკაცრად დაცული იქნა ეკოლოგიური და სხვა ტექნიკური მოთხოვნები. მათ, როგორც განახლებადი ენერგიის წყაროს გლობალური დათბობის პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

ეკონომიკური პოლიტიკის ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტი უნდა გახდეს იმპორტშემცველი პროდუქციის წარმოების განვითარება. იმპორტირებული პროდუქტის მნიშვნელოვანი ნაწილი იმ საქონელთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა წარმოება ადგილზე შეიძლება და რაც მთავარია, უკეთესი ხარისხით. აღნიშნული პროდუქციის წარმოების გაფართოებით შესაძლებელია მათზე ადგილობრივი მოთხოვნის მთლიანად ან დიდი ნაწილით დაკმაყოფილება და შესაბამისად, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება.

დამატებით არგუმენტებს არ საჭიროებს ის დებულება, რომ ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია არსებული საექსპორტო პოტენციალის ოპტიმალურად გამოიყენება, შემდგომ კი, მისი გაზრდა. დამატებით კი უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამომხარებლო ბაზარი ნამდვილად ძალიან მცირეა, შედეგად კი ბიზნეს სუბიექტების განვითარებისათვის აუცილებელია საერთაშორისო ბაზრებზე გასვლა. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ გაიზარდოს მზა პროდუქციის ექსპორტის წილი.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბიზნესის განვითარების ერთ-ერთი მიზეზი სხვა ფაქტორებთან ერთად არის ის, რომ ბიზნეს სუბიექტთა უმრავლესობას ახასიათებს ბაზარზე თვითდამკვიდრებისა და კონკურენტუნარიანობის დაბალი მაჩვენებლები. მათთვის ჯერ კიდევ ხელმიუწვდომელია მნიშვნელოვანი ინფორმაციები ბაზრებისა და ბაზრობების განვითარების ტენდენციების შესახებ.

აღნიშნულ საკითხებს ბევრ განვითარებულ ქვეყანაში არეგულირებს სახელმწიფო, რასაც მნიშვნელოვანი ეფექტი მოაქვს. აუცილებელია გატარდეს ღონისძიება, რომლის შედეგადაც გაიზრდება მეწარმეების საერთაშორისო ბაზრებზე გასვლის შესაძლებლობები; მეტად ხელმისაწვდომი გახდება ინფორმაცია საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნებისა და პირობების შესახებ.

ჩვენის აზრით, საქართველოში არსებობს მზარდი მოთხოვნა საკონსულტაციო მომსახურებაზე. მათშორის მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსურ-საინვესტიციო, სამართლებრიეი და სხვა საკითხებზე. ეს პროცესი უზრუნველყოფს ცოდნისა და ჩვეევების სათანადო კავშირს, მეწარმეებს დაახლოვეს რისკისაგან, გაამყარებს საგარეო კავშირებს, აამაღლებს ბიზნესკულტურას.

საქართველოში ამ მიმართულებით მოქმედებს კომერციული სტრუქტურები, მათშორის ერთ-ერთი საყურადღებო სეგმენტია ბიზნესინკუბატორი. მიგვაჩნია, რომ ბიზნესინკუბატორები უნდა ფუნქციონირებდეს ბიზნესის ყველა სფეროში, მსხვილ კომერციულ სტრუქტურებში რომლებიც საჭირო რეკომენდაციებს და მიმართულებებს, ასევე რესურსების მოძიების საქმეში დახმარებას გაუწევენ მცირე და საშუალო ბიზნესს, ცალკეულ მეწარმეებს.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში პარტნიორობის და ქვეყნის კეთილდღეობის გაუმჯობესებას, ხელს უწყობს „ბიზნეს-ანგელოზები“ მაღალ ტექნოლოგიებში, ინტელექტში და კრეატიულ აზროვნებაში ინვესტირების მეშვეობით. უკანასკნელ პერიოდში „ბიზნეს-ანგელოზების“ საქმიანობის გააქტიურების მიზნით იქმნება სხვადასხვა სახის ქსელები. ასეთი „ბიზნეს-ანგელოზების“ ქსელები ფართოდაა გავრცელებული აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, ავსტრალიაში და სხვა

ქვეყნებში. უმეტეს შემთხვევაში, აღნიშნული ქსელები მოქმედებენ ინტერნეტის მეშვეობით.

ბიზნესისურთიერთობების სრულყოფისა და უცხოური ინვესტიციებისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნის მიზნით მიგვაჩნია, რომ შემუშავდეს საბანკო პროდუქტებთან ხელმისაწვდომობის, შრომის ბაზრისათვის კვალიფიციური კადრების მომზადების, ექსპორტ-იმპორტის დაბალანსების, საკუთრების დაცვის, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის, ბიზნეს კულტურის ამაღლების, საკუთარი ბაზრის დაცვის, ასევე საგარეო ვაჭრობის შესაძლებლობების ეფექტურად გამოყენების მექანიზმები;

ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას სჭირდება ხელშეწყობა, ერთის მხრივ, სახელმწიფოს მიერ სახელმწიფოს ინსტიტუციონალური მექანიზმების შემუშავებით და მეორეს მხრივ, პარტნიორული ურთიერთობებისა და კერძო სექტორის ძალისხმევათა გაერთიანებით. სახელმწიფომ უნდა გააგრძელოს ხელსაყრელი ბიზნესგარემოს ფორმირება, რომელიც წაახალისებს კონკურენციას, ხელს შეუწყობს კონკურენციის პოლიტიკის ინსტიტუტების განვითარებას და მიანიჭებს მათ საკმარის ძალაუფლებას და სტატუსს კონკურენციის პოლიტიკის ეფექტურად განხორციელებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. მესხია. საერთაშორისო ვაჭრობა. რედაქტორი ელადიმერ პაპავა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრკორესპონდენტი, თბ., 2011.
2. რ. გოგოხია, გ. დოღონაძე,. საქართველოს საგარეო ვაჭრობის ტენდენციები. „ეკონომიკა და ბიზნესი“ №6 2011 გვ. 37.
3. საქართველოს რკინიგზა http://www.railway.ge/?web=0&action=page&p_ id=289& lang=geo
4. ბათუმის ბიზნეს ინკუბატორი - http://www.bii.ge/?action= page&p_id =40&lang =geo
5. საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში“, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. 2011. www. economy.gov.ge

Business development possibilities In Georgia

Nugzar iosebashvili
Full professor of Georgia's Agrarian University,
Doctor of Economics..
E-mail: n.ioscbashvili@agruni.edu.ge, Tel: 599 58 14 23

Lia Beridze – Shota Rustaveli State university,
Academic Doctor of Economics
E-mail: beridzelia@rambler.ru , Tel: 577 44 44 86

Resume

Georgia today trays to integratedeeply in the world's economy, It is country's main economical orientation. They try to promote business area and form economic liberalization, all these influence on developing free competition and on the process of developing intercommunication between industries.

All these will help to develop country's economy; also it would soften social relationships and would give more working places.

კორპორაციის ფინანსური ანგარიშგების ზოგიერთი ასპექტი

ნაზი გვარამია
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
E-mail: nazi.gvaramia@mail.ru Mob: 5 58 56 57 58

საალრიცხვო საქმიანობის მსოფლიო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების როლი და მნიშვნელობა თანდათანობით იზრდება და იგი ნაკარნახეობა მსოფლიო ეკონომიკური გლობალიზაციის მასშტაბების ზრდით, რაც შესაბამისად გულისხმობს მსოფლიო კაპიტალის მონაწილეობას ცალკეული ქვეყნების ეკონომიკაში. აქედან გამომდინარე, დაინტერესებულ ინვესტორებს, კრედიტორებს და ა.შ. სჭირდებათ დროული და საიმედო ინფორმაცია დაბანდებული კაპიტალის სანაცვლოდ, შესაძლო ეკონომიკური სარგებლის მიღების შესახებ. ასეთი ინფორმაციის მიღება კი ცხადია შეუძლებელია ეროვნულ საალრიცხვო სისტემაში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების პრინციპების გათვალისწინების გარეშე.

საქართველოში სწორედ საბაზრო ურთიერთობების ტრანსფორმაციის დაჩქარების აუცილებლობამ განაპირობა ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის არსებული სისტემის გარდაქმნისა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრება და შემდგომი სრულყოფა. აქედან გამომდინარე, ბუღალტრულმა აღრიცხვამ შეიძინა განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა თანამედროვე მართვის სისტემაში, სადაც იგი მხოლოდ სამეურნეო ოპერაციათა რეგისტრაციით არ შემოიფარგლება და წარმოადგენს ფინანსური ინფორმაციის აუცილებელ ინსტრუმენტს, სამეურნეო საქმიანობასა და გადაწყვეტილების მიმღებ პირთა შორის დამაკავშირებელ რგოლს, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს სამეურნეო სუბიექტების საქმიანობის ხელმძღვანელობისა და მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად.

თანამედროვე ბუღალტრული აღრიცხვა საალრიხვო ციკლის შვიდ ეტაპს მოიცავს. მათ შორის, პირველი სამი ეტაპი ფინანსური გარიგებების სისტემატურ რეგისტრაციას ითვალისწინებს. ისინი ბუღალტრული ჩანაწერების სახით (Bookkeeping steps) არის ცნობილი.

1) ოპერაციების ჩაწერა ჟურნალებში (record transaction in a journal) – გარიგებების რეგისტრაცია ჟურნალებში ორმაგი ბუღალტრული ჩანაწერების ფორმით, ბუღალტრული აღრიცხვის ჩატარების საფუძველს წარმოადგენს. ჟურნალებიდან (ანგარიშებიდან) თითოეულს თავისი სახელწოდება გააჩნია (მაგალითად, "დაეალიანება მუშა- მოსამსახურეებზე").

2) ჟურნალიდან ბუღალტრულ მთავარ წიგნში (poisting) ოპერაციის გადატანის

პროცესი – ასეთ პროცედურას "დანაწილებას" უწოდებენ. მთავარი წიგნის (general ledger) გარდა, დამატებითი დამხმარე წიგნებიც (subsidiary ledger) არსებობს, რომლებიც ბუღალტრული გატარებების უფრო მეტად დეტალიზაციისათვის არის

საჭირო. თითოეული ოპერაცია მოითხოვს როგორც მინიმუმ, ორ ცვლილებას ბუღალტრულ ანგარიშებში. აღნიშნული ცვლილებები დასაწყისში ჟურნალ-ორდერებში ჩაიწერება, ხოლო შემდეგ კი – საბუღალტრო წიგნში განაწილდება.

3) ყველა აქტიურ და პასიურ ანგარიშებზე ჯამის გაკეთება, ანუ წინასწარი ბალანსის (preliminary balance) მომზადება – ჟურნალებიდან მონაცემების მთავარ და დამხმარე წიგნებში გადატანას, საფინანსო პერიოდის ბოლოს წინასწარი ბალანსის მომზადება ახლავს თან. როგორც კი წინასწარი ბალანსი მზად იქნება, ბუღალტრული ჩანაწერების სტადიები დამთავრებულად ითვლება.

ბუღალტრული აღრიცხვის ციკლის **დანარჩენი ოთხი ეტაპი** ბუღალტრული აღრიცხვის ეტაპებად (Accounting steps) იწოდება.

4) რეგულატივების გაანგარიშება (calculate adjustments) –განხორციელებული გარიგებების დასრულებადობის შესაბამისად მარეგულირებელი გატარებები ხორციელდება;

5) დარეგულირებული (საცდელი) ბალანსის (prepare trial balance) მომზადება- როგორც კი რეგულატიეები განხორციელდება, საცდელი ბალანსი მზადდება, რომელიც წინასწარ ბალანსს რეგულატორების შედეგებთან აერთიანებს;

6) ფინანსური ანგარიშგების მომზადება (prepare financial statements) – აღნიშნულ ეტაპზე დაგროვილი ბუღალტრული მონაცემები კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესადგენად გამოიყენება;

7) არააკუმულირებადი ანგარიშების დახურვა (close noncimulative accounts) – დასკვნით ეტაპზე კომპანიის ფინანსური საქმიანობის შედეგების დაჯამება ხორციელდება. "შემოსავლებისა და ხარჯების ჯამური ანგარიშის" დახურვის შედეგად მიღებული მოგების, ან ზარალის ჯამი საკუთარი კაპიტალის ანგარიშზე გადაიტანება.

შემოსავლების შესახებ ანგარიშგება – ბუღალტრული ბალანსისაგან განსხავებით, არა განსაზღვრული თარიღისათვის დგება, არამედ იგი კომპანიის საქმიანობის შედეგის, მისი კაპიტალის დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში (როგორც წესი – ერთი წელი), გამოყენების შესახებ წარმოდგენას იძლევა. აღნიშნული ანგარიშგების შინაარსი კორპორაციის ეფექტური მუშაობის **პროგნოზირებისათვის** ინფორმაციის მნიშენელოვან წყაროს წარმოადგენს.

IAS-ი (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები) და CAAP-ი (აშშ-ში გამოყენებადი საერთაშორისო ბუღალტრული პრინციპები), შემოსავლების შესახებ ანგარიშგებაში შემადგენლების ფორმატსა და სტრუქტურაზე შეზღუდვებს არ აწესებენ. შემოსავლების შესახებ ანგარიშგების წარმოდგენის ფორმატის შერჩევისას, კომპანიებს თავისუფლების მნიშენელოვანი ხარისხი გააჩნიათ. არსებობს მისი გაანგარიშების ორი მეთოდი: **ერთნაბიჯიანი** და **მრავალნაბიჯიანი.**

ერთნაბიჯიანი მეთოდის შემთხვევაში შემოსავლების შესახებ ანგარიშგების პოზიციები **ორ კატეგორიად** დაიყოფა: ამონაგები და შემოსავლები; ხარჯები და ზარალი. მოგების მაჩვენებლის მიღება ერთ ნაბიჯად – შემოსავლების საერთო

ჯამიდან ხარჯების საერთო ჯამის გამოკლების მეშვეობით ხორციელდება. ასეთ მეთოდს ერთნაბიჯიანს იმიტომ უწოდებენ, რომ კორპორაციის საოპერაციო მოგების გაანგარიშებისათვის მხოლოდ ერთი ნაბიჯია საჭირო.

ქვემოთ მოტანილია შემოსავლების შესახებ ანგარიშგების მაგალითი, რომელიც ერთნაბიჯიანი მეთოდით არის აგებული. (იხილეთ ცხრილი 1)

ანგარიშგება შემოსავლების შესახებ (ერთნაბიჯიანი მეთოდი)

ცხრილი 1

ამონაგები და შემოსავლები (revenue and Gains):
ამონაგები რაელიზაციიდან, ფასდაკლებისა და საქონლის დაბრუნების ღირებულების გამოკლებით (Sales revenue , sales returns and allowances, Less)
პროცენტული შემოსავლები და დივიდენდები (Interest and dividend revenue)
შემოსავლები აქტივების ამოღებისაგან (Gain on Retirement of assets)
ჯამი ამონაგებისა და შემოსავლების (Total Revenue and Gains)
ხარჯები და ზარალი (Exspenses and losses)
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება (Cost of Goods Sold)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები (General and Administrative Exspenses)
ამორტიზაციის ხარჯები (Depreciation expense)
პროცენტული ხარჯები (Interest Revenue)
დანაკარგები დროებითი ინვესტიციებისაგან (Losses on Temporary investment)
გადასახადი მოგებაზე (Income taxes)
ჯამი ხარჯებისა და ზარალის (Total exsenses and Losses)
სუფთა მოგება (Net Income)

მრავალნაბიჯიანი მეთოდი ითვალისწინებს შემოსავლების შესახებ ანგარიშგებაში ცალ-ცალკე იყოს მითითებული ყველა ის ოპერაცია, რომელიც ასახავს კომპანიის ძირითად და ფინანსურ საქმიანობას, საგადასახადო აღრიცხვას, კომპანიის ფილიალების საქმიანობას, რომელთა ანგარიშგება არ არის კონსოლიდირებული კომპანიის საკუთარ ანგარიშგებასთან. სწორედ ამით აიხსნება აღნიშნული ტერმინის სახელწოდება – **მრავალნაბიჯიანი,** რადგანაც, მთლიანობაში კორპორაციის სუფთა მოგების მისაღებად, რამდენიმე წინასწარი ნაბიჯის გაკეთება, ანუ საქმიანობის ცალკეული სახეობების მიხედვით სწორედ შუალედური ჯამების გაანგარიშება არის საჭირო.

როგორც დასავლეთის ქვეყნების საქმიანობის პრაქტიკა გვიჩვენებს, დროთა განმავლობაში კორპორაციების სულ უფრო მეტმა რაოდენობამ დაიწყო ამ მეთოდის გამოყენება. შემოსავლების შესახებ ანგარშგებაში მუხლები ვერტიკალურად ზემოდან ქვემოთ თანმიმდევრულად არის მოყვანილი (running form). მასში ჩაირთვება საქონლის გაყიდვიდან და შემოსავლების სხვა სახეობებიდან ამონაგების ჯამი, ყველა დანახარჯებითა და კაპიტალდაბანდებებით.

მრავალნაბიჯიანი მეთოდის უპირატესობა ეჭვს არ იწვევს, რადგანაც იგი კორპორაციის საქმიანობის შედეგების შესახებ უფრო სრულ ინფორმაციას მოი-ცავს. კორპორაციები უფლებამოსილი არიან ზემოთ აღნიშნული ნებისმიერი მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, შემოსავლები და ხარჯები დააკვალიფიცირონ ისე, რომ ისინი კორპორაციის საქმიანობის თავისებურებებს საუკეთესოდ შეესაბამებოდნენ.

შემოსავლების შესახებ ტიპიური მრავალნაბიჯიანი ანგარიშგება შემდეგ კომპონენტებს მოიცავს: (იხილეთ ცხრილი 2)

ამონაგები პროდუქციის რალიზაციიდან (Sales Revenue) ანგარიშგების დასაწყისში აისახება, როგორც შემოსავლის მთავარი წყარო. თუ კომპანია პროდუქციის წარმოებით კი არა, არამედ ტვირთის გადაზიდვით იყო დაკავებული,

მაშინ აღნიშნულ მუხლს " შემოსავალი ძირითადი საქმიანობიდან" (Operating Revenues) ეწოდება. შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან შეიძლება აღირიცხოს წარდგენილი ანგარიშების ან შესრულებული სამუშაოს მოცულობის მიხედვით. პირველი ხერხი მასიური წარმოების საქონლის გაყიდვიდან ამონაგების აღრიცხვისათვის გამოიყენება; მეორე კი – წარმოების მსხვილ ობიექტებში (სპეცშეკვეთებში), მშენებლობასა და პროფესიონალური მომსახურების სფეროში (აუდიტორული მომსახურება) წარმოებული შემოსავლების აღრიცხვისათვის.

ანგარიშგება შემოსავლების შესახებ (მრავალნაბიჯიანი მეთოდი)

ცხრილი 2.

I. **ამონაგები რეალიზაციიდან** (Sales Revenue)
ფასდაკლება და საქონლის დაბრუნებები (Sales returns and allowances)
2. **სუფთა გაყიდვები** (Net Sales)
3. **რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება** (Cost of Goods Sold)
4. **ერთობლივი შემოსავალი** (Gross income) (2-3)
5. **სავაჭრო, საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები** (Selling, General and Administrative Exspenses):
. სარეკლამო ხარჯები (advertising expenses)
. ხარჯები ცვეთასა და ამორტიზაციაზე (depreciation and amortization expenses)

. ხარჯები უიმედო ვალებზე (Bad debts expenses)

. ხარჯები დაზღვევაზე (Insurance expenses)

. სხვა საეაჭრო, საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები (Othen administrative expenses)

6. საოპერაციო შემოსავალი (Operating income) (4-5)

7. ფინანსური შემოსავლები და შემონატანები (Financial Income):

. პროცენტული შემოსაელები (Interest Revenue)

. შემოსავლები მოწყობილობების ამოღებიდან (Gain on Retirement of Equipment)

. შემოსაელები დივიდენდებიდან (Dividends Revenue)

. შემოსავლები დროებითი ინვესტიციებიდან (Gain on Temporary investment)

. მიღებული საიჯარო გადასახადი (Rental Fees Reseived)

8. ფინანსური ხარჯები და ზარალი (Other Exspenses and losses):

. პროცენტული ხარჯები (Interest Exspenses)

. ზარალი მოწყობილობების ამოღებიდან (Loss of Retirement of Equipment)

. გადახდილი საიჯარო გადასახადი (Rental Fees Payment)

9. სუფთა მოგება გადასახადით დაბეგვრამდე (Net Income Before Taxes) (6+7-8)

10. გადასახადი მოგებაზე (Income taxes)

11. შემოსავალი გაგრძელებადი ოპერაციებისაგან (Income from Continuing Operations)

12. სუფთა მოგება (Net income)

ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა მიმოქცევაში (Common Shares Outstanding)

სუფთა მოგება ერთ ჩვეულებრივ აქციაზე (Earnings per Common Share)

კორპორაციის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულების განსაზღვრას, რომლის წინაპირობა მათი სწორი შეფასებაა. ეს პროცესი რეგულირდება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტით (ბასს 2-ით), რომლის თანახმადაც, მარაგების გაყიდვის შემდეგ მათი პირვანდელი ღირებულება აღიარებულ უნდა იქნას იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი შემოსავალი, ე.ი. უნდა მოხდეს გაყიდული ფასეულობის ჩამოწერა მარაგის შემადგენლობიდან. ამ მიზნით კი აუცილებელია ჩამოსაწერი ფასეულობის თვითღირებულების დადგენა. წლის განმაელობაში მარაგების შემადგენლობა მუდმივად იცვლება და ცვალებადია მათი

შესყიდვის ფასებიც. აქედან გამომდინარე, ხშირად ძნელია გაყიდული კონკრეტული საქონლის შეძენის თვითღირებულების დადგენა. ბასს 2 წარმოადგენს თვითღირებულების განსაზღვრის სამ მეთოდს. კერძოდ, დასაშვები მეთოდებია: იდენტიფიცირებული ფასების, "ფიფო" და საშუალო შეწონილი თვითღირებულების. განვიხილოთ თოთოეული მათგანი:

სპეციფიკური იდენტიფიკაცია. ცალკეული სახის ფასეულობების, რომლებიც არ არიან ურთიერთშემცვლელი, აგრეთვე სპეციფიკური პროექტისათვის წარმოებული საქონლისა და მომსახურების თვითღირებულება უნდა განისაზღვროს მათი ინდივიდუალური დანახარჯების სპეციფიკური იდენტიფიკაციით. იდენტიფიცირებული ფასების გამოყენება უფრო ხელსაყრელია მაშინ, როდესაც კომპანია ეაჭრობს რამოდენიმე დასახელების, შედარებით ძვირადღირებული საქონლით. ამ მეთოდის გამოყენების დროს აუცილებელია ინდივიდუალური ბარათების წარმოება ცალკეული დასახელების საქონლის მიხედვით, შეძენის თვითღირებულების გათვალისწინებით. ამიტომ მის გამოყენებას კომპანიები თავს არიდებენ მაშინ, როდესაც მრავალი დასახელებისა და ურთიერთშემცვლელი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობით ეაჭრობენ.

მეთოდი FIFO (First In – First out) – მარაგების შეფასების აღნიშნული მეთოდის არსი მდგომარეობს შემდეგში: სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ელემენტების გაყიდვისას მათი შეძენის ფასსა და რიგითობას ყურადღება არ ექცევა, რაც იმას ნიშნავს, რომ არ ხდება ცალკეული ელემენტის გასვლის აღრიცხვა ინდივიდუალური ფასებით. იგულისხმება, რომ პირველად გავიდა ის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა, რომელიც პირველად იყო ნაყიდი ან წარმოებული. გასული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თვითღირებულების განსაზღვრის მიზნით აუცილებელი არ არის მათი მოძრაობის აღრიცხვა, საკმარისია მხოლოდ შეძენის ფასების კავშირის დადგენა წინასწარ გაკეთებულ დაშვებასთან.

საშუალო შეწონილი ღირებულება. საშუალო შეწონილი ღირებულება ემყარება პერიოდის განმავლობაში შეძენილი ან წარმოებული სასქონლო მატერიალური ფასეულობის საშუალო შეწონილ თვითღირებულებას. მისი გამოთვლის მიზნით, პერიოდის დასაწყისში არსებული მარაგის მთლიან თვითღირებულებას ემატება პერიოდის განმავლობაში შემოსული ფასეულობის მთლიანი თვითღირებულება და იყოფა პერიოდის დასაწყისში არსებული მარაგისა და შემოსული ფასეულობის რაოდენობის ჯამზე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა მეთოდის გამოყენებას განსხვავებულ ფინანსურ შედეგებამდე მივყავართ, რაც თავის მხრივ ნიშნავს იმას, რომ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თვითღირებულების განსხვავებულ მეთოდებს განსხვავებული მოგება და აქედან გამომდინარე, მოგების გადასახადი შეესაბამება. ამიტომ კომპანიებმა დამოუკიდებლად უნდა გააკეთონ არჩევანი და მიიღონ გადაწყვეტილება ამ თუ იმ მეთოდის გამოსაყენებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზ. ლიპარტია, ნ.გვარამია, ე. ლანჩავა. ეკონომიკური ანალიზი. თბ; გამომცემლობა "უნივერსალი"; 2007 წ.
2. ნ. ძიმციშვილი, ნ.გვარამია, მ. ნაჭყებია. ფინანსური ანგარიშგება. თბ; გამომცემლობა "უნივერსალი"; 2007 წ.
3. საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება. თბ; 2008 წ.
4. ა. ხორავა, ნ. კვატაშიძე, ნ. სრესელი, ზ. გოგრიჭიანი. ბუღალტრული აღრიცხვა. თეორია, ფინანსური აღრიცხვა ბასს-ით. თბ., 2011 წ.

Some aspects of the Corporation's financial reporting

Nazi Gvaramia
Doctor of Economics, Associated professor
Of Sukhumi State University

Resume

The scientific work describes the seven stages of the modern accounting cycle and sets forth detailed description of each stage accordingly as well as the form of presenting reports on the incomes of a corporation, while selecting those companies have an important level of independency. The two methods of drawing up a report on incomes – one-level and multi-level, are presented in the work; the disadvantage of the multi-level method which is approved by the practice of activities of western countries in the modern period has been analyzed.

According to the above mentioned, the scientific work describes each component of the accounts which shows the results of corporation activities, and presents the mechanism on the basis of which corporations have the right to classify their incomes and revenues according to their opinion so that they comply with the peculiarities of their activities in the best manner.

წარმოების პროცესი და ეკოლოგიური სიტუაცია

ვაჟა გურაბანიძე

ქუთაისის უნივერსიტეტისა და

აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

E-mail: vazhagurab@mail.ru Tel: 591-693-758

წარმოების განვითარებისა და ბუნების კავშირურთიერთობის პრობლემას დიდი ხანია ექცევა მეცნიერთა ყურადღება. კვლევის პროცესში მხედველობაში მისაღებია არამარტო ის, რომ პირველი ახდენს გავლენას მეორეზე, არამედ ისიც, რომ ეკოლოგიური ფაქტორები თავის მხრივ გაელენას ახდენენ წარმოების სრულყოფაზე, მის განვითარებაზე. ამასთან, ეს გაელენა იმდენად ძლიერია, რომ აჩქარებს ან ანელებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, მის წინსვლას. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ეტაპზე წარმოების განვითარებისა და ეკოლოგიური ფაქტორების ურთიერთმოქმედებას თავისებურება ახასიათებს. ეს თავისებურება განპირობებულია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გაელენითა და მისი მასშტაბებით. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგების არაგონიერული გამოყენება იწვევს ბუნებრივი რესურსების შემცირების პროცესის დაჩქარებას, ბუნების გაჯუჯყიანებას და რაც მთავარია, ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევას, რასაც არასასურველი შედეგი მოაქვს საზოგადოებისათვის.

საზოგადოებაში, სადაც ადგილი აქვს ბუნებრივი სიმდიდრის არაოპტიმალურად გამოყენებას, წარმოების სოციალურ-ეკონომიკურად დაუსაბუთებელი პროექტის შესაბამისად განვითარებას, ბუნების დაცვის, მისი გაჯანსაღების საკითხი უფრო მწვავედ დგას. განვითარებულ ქვეყნებში ბუნების დაჯუჯყიანება განპირობებულია არა იმდენად მაღალი ინდუსტრიალიზაციის დონით, რამდენადაც მეურნეობრიობის მეთოდით.

ნებისმიერ ქვეყანაში ბუნების დაცვა, მისი რესურსების რაციონალური გამოყენება და გაფართოებული კვლავწარმოება უნდა მიმდინარეობდეს ეკონომიკურ კანონთა სისტემის მეცნიერულად შეცნობილი მოთხოვნების შესაბამისად. ბუნების დაცვა, მისი რესურსების რაციონალური გამოყენება და კვლავწარმოება სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის პროცესია და ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარების საფუძველია.

ბუნება, მისი რესურსები წარმოების პროცესის ბუნებრივი ბაზაა, რადგან მატერიალური დოვლათის წარმოების პროცესში ფაქტობრივად ყოველთვის მონაწილეობს არამარტო პიროვნული და წარსული შრომის შედეგად შექმნილი ნივთობრივი ფაქტორები, არამედ ეკოლოგიურიც. ამ უკანასკნელს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს. აღნიშნულის უთუობაზე მიუთითებს ის, რომ დედამიწა საზოგადოების საზრდოს თავდაპირველი საკუჭნაოც არის და შრომის საშუალებათა თავდაპირველი არსენალიც. დედამიწა წარმოებას აძლევს ნედლეულს, რომელსაც იგი იყენებს შრომის საშუალებების დასამზადებლად. ამიტომ, ბუნებრივია, წარმოების განვითარების, მისი ეფექტიანობის პროგნოზირებისა

და პროექტირების დროს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ბუნებრივი ფაქტორის გავლენაც. აქედან გამომდინარე მიზანშეწონილია კლავწარმოების ობიექტად იქცეს ეკოლოგიური ფაქტორებიც და მოხდეს მათი გაუმჯობესებული გაფართოებული კლავწარმოება.

ნებისმიერი ქვეყნის პერსპექტიულ-ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებების მიხედვით საწარმოო ხასიათის ღონისძიებებში შეტანილი უნდა იქნეს ბუნების დაცვა, მისი რესურსების რაციონალური გამოყენება. აქედან გამომდინარე, ამ მიმართულებით გაწეული ხარჯები საწარმოო ხასიათისაა და უნდა შევიტანოთ საწარმოო დანახარჯებში, რადგან ეს უკანასკნელნი მონაწილეობენ წარმოების პროცესში. აქედან ცხადია, წარმოების ეფექტიანობის გაანგარიშების დროს მხოლოდ იმ ეკონომიკური ხასიათის დანახარჯების გათვალისწინება, რომელიც საჭიროა მთლიანი ეროვნული პროდუქტის წარმოებისათვის საკმარისი არაა. ამიტომ, აუცილებელია აგრეთვე ბუნებრივი პირობების დაცვისა და კლავწარმოების დანახარჯების მხედველობაში მიღება. ამ უკანასკნელიდან ნათელია, რომ ქვეყნის ეკონომიკის დაჩქარებული განვითარების საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას.

წარმოების პროცესის სრულფასოვნად წარმართვასა და ეკოლოგიური სიტუაციის გათვალისწინებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია უნარჩენო ტექნოლოგიების დანერგვას. ტერმინი უნარჩენო ტექნოლოგია პირველად გამოიყენეს აკადემიკოსებმა სემიონოვმა და პეტრიაკოვ-სოკოლოვმა. ამის შემდეგ ამ ტერმინს ფართოდ იყენებენ როგორც ჩვენთან, ისე საზღვარგარეთ. უნარჩენო ტექნოლოგია მოითხოვს ცოდნის, მეთოდებისა და საშუალებების პრაქტიკულ გამოყენებას, რათა უზრუნველყოფილი იქნას ბუნებრივი რესურსებისა და ენერგიის ყველაზე რაციონალური გამოყენება და გარემოს დაცვა.

უნარჩენო და მცირენარჩენიანი საწარმოო პროცესის გამოყენება წარმოადგენს სამრეწველო საწარმოსაგან გარემოს დაცვის პრობლემის რადიკალურ საშუალებას. გამწმენდი ნაგებობები ვერ უზრუნველყოფენ ტოქსიკური ნარჩენების ლოკალიზაციას, ხოლო უფრო სრულყოფილი სისტემების გამოყენება კი დაკავშირებულია დიდ დანახარჯებთან.

უნარჩენი ტექნოლოგიის ან წარმოების ტერმინის ქვეშ იგულისხმება არამარტო გარკვეული პროდუქციის წარმოების ტექნოლოგია, არამედ მთლიანად წარმოების პრინციპისა და ფუნქციონირების ორგანიზაცია, რომლის დროსაც ჩაკეტილ ციკლში ხდება ნედლეულის ყველა კომპონენტისა და ენერგიის რაციონალური გამოყენება (პირველადი ნედლეულის რესურსები-წარმოება-მოხმარება-მეორადი ნედლეულის რესურსები), ე.ი. ამ შემთხვევაში არ ირღვევა ბიოსფეროში ჩამოყალიბებული ეკოლოგიური წონასწორობა.

მცირენარჩენიანი ტექნოლოგიები წარმოადგენენ შუალედურ საფეხურს უნარჩენო ტექნოლოგიის წარმოების შექმნის გზაზე. ამ შემთხვევაში არ ირღვევა დადგენილი სანიტარული ნორმები, მაგრამ ნარჩენები მაინც წარმოიქმნება, რომელთა დამარხვა და უტილიზაცია აუცილებლობას წარმოადგენს და დაკავშირებულია დამატებით ხარჯებთან.

უნარჩენო ტექნოლოგიის განვითარების ძირითადი მიმართულებებია:

- აირების გამწმენდი ისეთი სისტემების შექმნა, რომლებიც იქნებიან ეფექტურნი და შეიცავენ აირბრუნვის ციკლებს;

- ჩამდინარე წყლების გაწმენდის მიზნით უნარჩენო სქემებისა და წყალბრუნვის სისტემების შემუშავება;

- საწარმოო ნარჩენების გადამუშავებისა და გამოყენების სისტემების შექმნა;

- ტერიტორიულ-სამრეწველო კომპლექსების შექმნა ნედლეულისა და ნარჩენების ჩაკეტილი სისტემით.

უნარჩენო ტექნოლოგიის უპირატესობებია:

- ჩამდინარე წყლების ადგილზე გასუფთავება და საწარმოო ციკლში ხელახალი ჩართვა;

- სუფთა წყლის დაზოგვა მისი მრავალჯერადი გამოყენების გზით;

- ატმოსფეროში მავნე ნივთიერებების გამოყოფის მინიმიზება ან შეწყვეტა.

თანამედროვე პირობებში მეტად აქტუალურია ეკონომიკის ეკოლოგიზაციის საკითხი. ეს კავშირი რეალური გახდა ანთროპოგენული ფაქტორის ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების მეცნიერულად გააზრების შემდეგ, რომელიც ნეგატიურ გავლენას ახდენს როგორც გარემოზე, ისე ადამიანის ჯანმრთელობაზე. ეკოლოგიური კრიზისი არის ტრადიციული ეკონომიკური პოლიტიკის რეზულტატი (შედეგი), როდესაც ექსპლუატირებული გამოდის არამარტო სამუშაო ძალა, არამედ ბუნებრივი რესურსები. პროდუქციის თვითღირებულების შემცირება ხდება გარემოს გაჭუჭყიანების ხარჯზე.

ეკოლოგიზებული ეკონომიკით მომუშავე საწარმოები უსაფრთხოა ადამიანის ჯანმრთელობისათვის და არ არის დაფუძნებული მხოლოდ მოგების მიღების პრინციპებზე. წარმოების ეკონომიკის ეკოლოგიზაცია მოითხოვს როგორც წარმოების ძირითადი მიმართულების, ასევე მოხმარების ხასიათისა და კულტურის შეცვლასაც.

ძირითადი პირობა ეკონომიკის ეკოლოგიზაციისა შემდეგია:

- სამართლებრივი და ორგანიზაციული პირობების შექმნა რაციონალური ბუნებათსარგებლობისათვის:

- ისეთი სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის შექმნა, რომელიც ეკონომიკას გადაიყვანს ბუნებათსარგებლობის ოპტიმიზაციაზე;

- უნარჩენო წარმოების შექმნა და საწარმოო ნარჩენების მინიმიზება;

- მწყობრი ანგარიშის სისტემა, სადაც პროდუქციის წარმოების დროს მასში მთლიანად იქნება ასახული ბუნებრივი რესურსების ღირებულება.

ზემოთქმულის განხორციელების საფუძველი კი იქნება ახალი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს ახალი ტიპის საწარმოების შექმნას. სწორედ ახალი ტიპის საწარმოების პირობებში გახდება შესაძლებელი ცხოვრების

სასურველი დონის მიღწევა. ცხოვრების დონე, როგორც ვიცით გულისხმობს სოციალურ-ეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემას, რომლის ერთ-ერთი ელემენტია მატერიალური დოვლათის წარმოებისა და მოხმარების მოცულობა. ამ უკანასკნელიდან გამომდინარე არ იქნება სწორი, ყოველგვარი კომენტარის გარეშე ვაღიაროთ, რომ ცხოვრების დონე პირდაპირ უარყოფით გავლენას ახდენს ბუნებაზე, არამედ ისინი უნდა წარმოვიდგინოთ დიალექტიკურ კავშირში. ცხოვრების დონე ბუნებაზე უარყოფით გავლენას ახდენს მხოლოდ ამ უკანასკნელის არაგონიერული გამოყენების დროს.

უდავო ჭეშმარიტებაა, რომ საზოგადოების ცხოვრების დონე არ დაიყვანება მხოლოდ მატერიალური მოთხოვნილებების რაოდენობრივ მაჩვენებლებამდე, არამედ იგი ითვალისწინებს ადამიანის მატერიალური, კულტურული, სულიერი და ეკოლოგიური მოთხოვნილებების ყოველმხრივ პარმონიულ დაკმაყოფილებას. ბუნებას და ეკონომიკურ განვითარებას შორის წინააღმდეგობის დაძლევა წარმოებს მეცნიერულად შედგენილი ეკონომიკური და სოციალური განვითარების ღონისძიებების საფუძველზე.

ადამიანს ავიწყდება, რომ ის მცენარეებისა და ცხოველების მსგავსად ბუნების შვილია და სწორედ ბუნებისადმი მეტ-ნაკლებად ფრთხილმა დამოკიდებულებამ მიაღწევინა XXI საუკუნემდე. ავიწყდება ისიც, რომ ბუნებას ადამიანის გარეშე არსებობა შეუძლია, ადამიანს კი ბუნების გარეშე არა. ისიც არსანიშნავია, რომ რაც ციეილიზებულია საზოგადოება, რაც წიგნიერია, მით ძლიერია მისი ბუნებაზე მოქმედება; ადამიანის ბუნებაზე მოქმედება გარდაუვალია, მაგრამ ეს გარდაუვალი მოქმედება არ უნდა იყოს მტრული, ყაჩაღური, თორემ იგი ერთხელაც გადაიქცევა სასმელად უვარგის წყლად, მოწამლულ კვების პროდუქტებად ან მომაკვდინებელ მზის სხივებად ან წარღნად მოველინება კაცობრიობას.

რომ ვიცოდეთ, როგორი უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება ბუნების მიმართ, ეკონომიკური მეცნიერების ღრმა ცოდნასთან ერთად აუცილებლად უნდა ვიცოდეთ „ბუნების ბუნება“. ამისათვის აუცილებელია თაობების ეკოლოგიური განათლება და აღზრდა. ამ საკითხთან დაკავშირებით შესანიშნავ რჩევებს იძლევა უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II: „... განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეკოლოგიურ საკითხს, კერძოდ, გამწვანების პრობლემებს. ჩვენს ბავშვებს უნდა ვასწავლოთ ნერგების გამოყვანა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. და თუკი ბავშვი თვითონ გამოიყვანს ნერგს, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი აუცილებლად გაუფრთხილდება ნარგავებს და შეიყვარებს ბუნებას. ჩვენი ხე-ტყე არის საქართველოს ფილტვები და საქართველოში მცხოვრებთა ჯანმრთელობა. ჩვენი ბავშვები უნდა გავაცნოთ საქართველოს ეკოლოგიურ პრობლემებს“.

ამდენად, ეკონომიკური საკითხების ეკოლოგიური გააზრება-გაანალიზება, ბუნების რესურსების ოპტიმიზაცია, სოციალურ-ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემაა. ამასთან, ბუნება მთელი საზოგადოების, მისი ყოველმხრივი თავისუფალი განვითარებისა და ქვეყნის ეკონომიკური ზრდის უშრეტი წყაროა. სწორედ ამიტომ, საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბუნებრივი რესურსების რაციონალურ

გამოყენებას და მის კვლავწარმოებას. ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის მშენებლობაში წარმატებების მიღწევა ყოველთვის ეკონომიკასა და ეკოლოგიას შორის კორელაციის სრულფასოვნად შეცნობის შედეგია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1) ლემონჯავა.პ., ბუნების გამოყენების ეკონომიკა, გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი 2011წ. (318 გვ.)

2) მიქაძე ი., ეკოლოგია, თბილისი 2006წ. (318 გვ.)

3) მღედელი ბასილ ახვლედიანი, შიხაშვილი გ., ბაკაშვილი ნ., მართლმადიდებლური თეოლოგიური ეკონომიკისა და მართვის საფუძვლები, გამომცემლობა „მერიდიანი", (368გვ.)

4) ქაჯაია გ., ეკოლოგია (გამოყენებითი ეკოლოგიის საკითხები). თბილისი 2005წ. (224 გვ.)

Process and ecological situation of manufacture

Vazha Gurabanidze- Doctor of Economics,

Ass. Professor of Kutaisi and Ak. Tsereteli State University

vazhagurab@mail.ru Tel: 591693758

Resume

Ecological analyzing of economic issues, optimization of natural resources are problems of social and economic and state importance. Besides, nature is the inexhaustible resource of free development of the whole society and economic development of the country. That is why, on the modern step of society development, the main attention shall be paid to rational utilization and production of natural resources. Achieving progress in building economics of any country always is the result of valuable cognition of correlation between economics and ecology.

საქართველოს სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სისტემა და მისი სრულყოფის გზები

ლევან გრიგალაშვილი
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
E-mail:grigalashvililevan.ccg@gmail.com Tel: 593-73-39-45

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის გაჩენა და უფრო და უფრო განაპირობებს თანამედროვე სახელმწიფო ფინანსური კონტროლის დამკვიდრების აუცილებლობას. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მიერ ფინანსური კონტროლი ყოველთვის ხორციელდებოდა, დღევანდელ პირობებში იგი უფრო აუცილებელი გახდა, რომელიც უშუალოდ გამომდინარეობს საბაზრო ეკონომიკის ბუნებიდან და მისი მრავალფეროვნებიდან. ფინანსური კონტროლი სახელმწიფოს მართვის ერთ ერთი ძირითადი ფუნქციაა, რომელზედაც ბევრადაა დამოკიდებული ქვეყნის დემოკრატიულ საწყისებზე განვითარება.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფინანსური კონტროლის გაძლიერების აუცილებლობას განაპირობებენ ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: სამეურნეო სუბიექტების დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი სახელმწიფო და კერძო სექტორებში; სახელმწიფო სტრუქტურების უფლებების გაფართოება და იმავდროულად პასუხისმგებლობის გაზრდა არსებული საკანონმდებლო გარემოს პირობებში; სახელმწიფო სახსრების ხარჯვისა და სახელმწიფო ქონების გამოყენების შესახებ საზოგადოებისათვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობა; სახელმწიფო სახსრების გამოყენების ეფექტიანობის უზრუნველყოფა; სახელმწიფოს, კერძო სექტორისა და მოქალაქეების ფინანსური ინტერესების დაცვა, სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაში სახელმწიფოსათვის ხელშეწყობა; საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოებასა და განაწილების ყველა ეტაპზე ფინანსური რესურსების რეზერვების გამოვლენა.

სახელმწიფო ფინანსურ კონტროლს ექვემდებარებიან: სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები; სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოები და ორგანიზაციები; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები საწარმოები და ორგანიზაციები; საჯარო სამართლისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები.

სახელმწიფო ფინანსურ კონტროლს ახორციელებენ მაკონტროლებელი ორგანოები, რომლებიც მთლიანობაში ქმნიან ერთიან სისტემას, თუმცა თითოეული მათგანი შექმნილია კონკრეტული ამოცანების შესასრულებლად. ამასთანავე, დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო სტრუქტურებთან ერთად კონტროლს ახორციელებენ დამოუკიდებელი არასამთავრობო სტრუქტურები, კერძო ფირმები, რაც თავის მხრივ ქვეყანაში ფინანსური დისციპლინის შენარჩუნებისა და განმტკიცების საფუძველია.

სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ორგანოთა ფუნქციები ზოგადად შეიძლება შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:

- ბიუჯეტის შემოსულობების კონტროლი;
- ბიუჯეტის გადასახდელების კონტროლი;
- სახელმწიფო და მუნიციპალური ქონების გამოყენების კანონიერებისა და მიზნობრიობის კონტროლი;

- არასაბიუჯეტო ფონდების გამოყენების ეფექტიანობის კონტროლი;

- სახელმწიფო ბიუჯეტიდან და არასაბიუჯეტო ფონდებიდან სახსრების საბანკო დაწესებულებებში მოძრაობის კონტროლი;

- საგალუტო, სადაზღვეო, საბაჟო საქმიანობის კონტროლი და სხვ.

ზემოაღნიშნულ ფუნქციებს სხვადასხვა ქვეყანაში ასრულებენ ამისათვის შექმნილი ორგანოები, რომლებიც ძირითადად იწოდებიან, როგორც საანგარიშო პალატა, კონტროლის პალატა, აუდიტორული ოფისი, კონტროლის კომიტეტი და სხვ. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გარე ფინანსურ კონტროლთან ერთად ხორციელდება შიდა კონტროლიც ამისათვის სპეციალურად შექმნილი სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით.

საკითხის შესწავლით ირკვევა, რომ დღეისათვის საქართველოში სახელმწიფო ფინანსურ კონტროლს ახორციელებენ სხვადასხვა სახელისუფლებო და არასამთავრობო სტრუქტურები, რომელთა ფუნქციები, ამოცანები და უფლება-მოვალეობები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

საქართველოს პარლამენტი. საქართველოს პარლამენტი მისი კანონშემოქმედებითი ფუნქციებიდან გამომდინარე სახელმწიფო კონტროლის განხორციელების ერთ-ერთი მთავარი ორგანოა. ადგილებზე ამ ფუნქციას ასრულებენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოები. მათ მიერ სახელმწიფო ფინანსური კონტროლი ხორციელდება უპირველეს ყოვლისა ბიუჯეტის პროექტების განხილვისა და დამტკიცების, აგრეთვე მათი შესრულების ანგარიშის დამტკიცების დროს. ამ მიზნით პარლამენტში შექმნილია საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოებში, საბიუჯეტო კომისიები, რომელთა ამოცანებში შედის საბიუჯეტო შემოსულობებისა და გადასახდელების მონიტორინგი, ამ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოთხოვა საბიუჯეტო პროცესის მონაწილე ნებისმიერი სტრუქტურისა თუ ცალკეული ორგანიზაციისაგან. მათ შეუძლიათ განახორციელონ შერჩევითი კონტროლი, ამისათვის შექმნან სპეციალური კომისიები, მოიწვეიონ სპეციალისტები და სხვ.

საქართველოს პარლამენტი და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოები კონტროლს ახორციელებენ ძირითადად სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების პროექტების განხილვა-დამტკიცებით, წლიური და მიმდინარე ბიუჯეტის შესრულებაზე აღმასრულებელი ორგანოების ანგარიშის მოსმენა-განხილვის მეშვეობით, აგრეთვე მაკონტროლებელი ორგანოებისა და ცალკეული სამსახურების მიერ ჩატარებული შემოწმებების შედეგების ანალიზის საფუძველზე და სხვ.

საქართველოს მთავრობა. საქართველოს მთავრობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს ზოგადად სახელმწიფო კონტროლს და კონკრეტულად ფინანსურ კონტროლსაც, ცალკეული სამინისტროებისა თუ უწყებების ანგარიშების მოსმენით, აგრეთვე მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებაზე მუდმივი მონიტორინგის მეშვეობით. კონსტიტუციური უფლებამოსილების შესაბამისად აღმასრულებელი ხელისუფლების, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელების, მთავრობის საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფის, ანალიტიკური, ინფორმაციული და სხვა მასალების მომზადების, აგრეთვე მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის ხელშეწყობის მიზნით შექმნილია მთავრობის კანცელარია, რომელიც უზრუნველყოფს სამინისტროებისა და

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების საქმიანობის კოორდინაციასა და კონტროლს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. სახელმწიფო ფინანსური კონტროლის განხორციელების საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. იგი ახორციელებს რა სახელმწიფო მმართველობას საფინანსო-საბიუჯეტო და საგადასახადო სფეროში, უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიაზე საბიუჯეტო და საგადასახადო კანონმდებლობის დაცვასა და შესრულების კონტროლს; ახორციელებს ეკონომიკური დანაშაულის სფეროში პრევენციულ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას, მოკელეევასა და წინასწარ გამოძიებას. ზემოაღნიშნულ ფუნქციებს ფინანსთა სამინისტრო ახორციელებს მისი მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის — შემოსავლების სამსახურის, აგრეთვე საგამოძიებო და სახაზინო სამსახურების მეშვეობით.

შემოსავლების სამსახური. შემოსავლების სამსახური დაკისრებულ მოვალეობებს ასრულებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და მასში შემავალი სტრუქტურული ერთეულებისაგან ქმნის სამსახურის ერთიან ცენტრალიზებულ სისტემას. კონტროლის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულებია: აუდიტის დეპარტამენტი, მომსახურების დეპარტამენტი, საგადასახადო პრევენციის დეპარტამენტი, გაფორმების დეპარტამენტი და ეკონომიკური საზღვრის დაცვის დეპარტამენტი. აღნიშნული დეპარტამენტები სპეციალიზებული სტრუქტურული ერთეულებია და წარმოადგენენ სამსახურის შემადგენლობაში შემავალ საგადასახადო ორგანოებს, რომლებიც თავიანთი ფუნქციების განხორციელებისას მოქმედებენ სახელმწიფოს სახელით.

აუდიტის დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციებია: საგადასახადო შემოწმებები, საგადასახადო კონტროლისათვის გადასახადის გადამხდელთა შერჩევა, კონტროლის ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება, საგადასახადო შემოწმებების მომზადებისა და ჩატარების პროცედურული სტანდარტების შემუშავება და სხვ.

მომსახურების დეპარტამენტი ახდენს აქციზური მარკების, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ნიშნების, ავტოგასამართ სადგურებში მრიცხველი მექანიზმების ლუქების გაცემას, გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო აღრიცხვას და პირადი აღრიცხვის ბარათების წარმოებას, გადასახადების გადახდაზე მონიტორინგს, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფისა და სხვა ღონისძიებს.

საგადასახადო პრევენციის დეპარტამენტის ფუნქციებში შედის ისეთი საკონტროლო ფუნქციები, როგორიცაა: საგადასახადო რეგისტრაციის გარეშე მომუშავე პირთა გამოვლენა, გადასახადის გადამხდელის საქმიანობაზე მიმდინარე კონტროლის განხორციელება ქრონომეტრაჟის, საკონტროლო შესყიდვის, დათვალიერებისა და ინვენტარიზაციის მეშვეობით ად სხვ.

საგადასახადო კონტროლი ხორციელდება ისეთი ფორმებით, როგორიცაა მიმდინარე კონტროლი და საგადასახადო შემოწმება.

მიმდინარე კონტროლის პროცედურებია: ქრონომერტაჟი, საკონტროლო შესყიდვები, დათვალიერება, ინვენტარიზაცია, საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვის კონტროლი და სხვ.

საგადასახადო შემოწმება კონტროლის ძირითადი ფორმაა. შემოწმება შეიძლება იყოს კამერალური და გასვლითი.

კამერალური საგადასახადო შემოწმება ტარდება საგადასახადო ორგანოში წარდგენილი მონაცემების საფუძველზე, ხოლო გასელითი, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილების საფუძველზე.

გაფორმების დეპარტამენტის ფუნქციებია: სასაქონლო ოპერაციათა მონიტორინგი, ზედამხედველობა და ანალიზი. სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებებისა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელება, გაფორმების ეკონომიკური ზონის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესვლის, გასვლის, დგომის, მთლიანობისა და ლუქების კონტროლი და სხვ.

ეკონომიკური საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ფუნქციებია: სახელმწიფო ზედამხედველობას დაქვემდებარებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების აღრიცხვა და გადადგილებაზე კონტროლი, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას სამგზავრო დოკუმენტებში შესაბამისი აღნიშვნების განხორციელება, სახელმწიფო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების მიმართ სახელმწიფო კონტროლის სპეციალური საშუალებების გამოყენება და სხვ.

საგადასახადო კონტროლს ახორციელებს მხოლოდ საგადასახადო ორგანო. სხვა მაკონტროლებელ ორგანოებს ეკრძალებათ გადასახადის გადამხდელის საქმიანობის საგადასახადო კონტროლი, მოსამართლის ბრძანების გარეშე.

საგამოძიებო სამსახური არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება, რომელსაც გააჩნია სპეციალური სამართალდამცავი ორგანოს სტატუსი. საგამოძიებო სამსახური ახორციელებს საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით მის ქვემდებარეობას მიკუთვნებულ საქმეთა წინასწარ გამოძიებას და კანონმდებლობით დადგენილ სხვა ფუნქციებს. საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში მას გააჩნია კონტროლის ისეთი მნიშვნელოვანი ფუნქციები, როგორიცაა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა პრევენცია და გამოვლენა, საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში დანაშაულის და კორუფციულ გარიგებათა პრევენცია, აღკვეთა და გამოვლენა, კომპეტენციის ფარგლებში ინფორმაციის მოპოვება, მისი ანალიზი; დანაშაულის გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელება და სხვ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას. ხაზინა არის სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრების ფინანსური კონტროლის უმნიშვნელოვანესი ორგანო. იგი საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის დასაწყისში ჩამოყალიბდა და უკანასკნელ პერიოდში განვითარების მნიშვნელოვან დონეს მიაღწია. მისი ძირითადი ფუნქციებია: სახელმწიფო ბიუჯეტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობების აღრიცხვა, ანგარიშგება და ანგარიშსწორება; საბიუჯეტო თანხების ხარჯვა დამტკიცებული წლიური საბიუჯეტო კანონის შესაბამისად, სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის ოპერატიული მართვა აღრიცხვა და ანგარიშება.

ფინანსური კონტროლის ფუნქციებიდან უნდა გამოიყოს ისეთი, როგორიცაა:

შემოწმებისა და ანალიზის მიზნით მიოთხოვოს მხარჯავი დაწესებულებებისგან ფინანსური ანგარიშებისა და ბალანსების წარმოდგენა;

გახსნას და დახუროს საბანკო დაწესებულებებში ანგარიშები და განსაზღვროს მათი მოქმედების რეჟიმი;

მიიღოს გადაწყვეტილება საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ანგარიშების გახსნისა და დახურვის თაობაზე;

მართოს და გადაანაწილოს მის განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრები სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე;

საბიუჯეტო ორგანიზაციებს მოსთხოვოს საგადამხდელო და საანგარიშსწორებო საბუთებთან დაკავშირებული დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენა;

შეზღუდოს გადასახდელების გაცემა მის მომსახურებაზე მყოფ ორგანიზაციებზე;

მხარჯავი დაწესებულებების მიერ დადგენილ ვადებში ბუღალტრული ანგარიშგების წარმოუდგენლობის შემთხვევაში შეუჩეროს მათ ამ მოთხოვნის შესრულებამდე ყველა სახის დაფინანსება და სხვ.

საქართველოს ეროვნული ბანკი. საქართველოში სახელმწიფო საბანკო კონტროლის განხორციელების სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კანონი" საქართველოს ეროვნული ბანკის" შესახებ და საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების შესახებ". ფინანსური კონტროლის აღნიშნული სახეობა მიმართულია საბანკო კრედიტების ეფექტიანი გამოყენებისა და საგადამხდელო დისციპლინის განმტკიცებისგან. კრედიტის დაბრუნებადობის პრინციპი საბანკო კონტროლის საფუძველია, ხოლო თვით კონტროლი არის კრედიტის დაბრუნების აუცილებელი პირობა.

ფინანსური კონტროლის თვალსაზრისით საქართველოს ეროვნულ ბანკს ფართო უფლებები გააჩნია. აქედან შეიძლება გამოიყოს მისი ისეთი ფუნქციები, როგორიცაა: საბანკო საქმიანობის ლიცენზირებისა და ზედამხედველობის ფუნქცია, ქვეყნის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის განსაზღვრა; საბანკო ოპერაციებზე ლიმიტებისა და პროცენტული განაკვეთების, აგრეთვე ბანკების მიერ ეროვნულ ბანკში შესანახი საეალდებულო რეზერვების განსაზღვრა. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია კომერციული ბანკების მიმართ გაატაროს გადამჭრელი ღონისძიებები, კერძოდ, შეუწყვიტოს მათ აქტიური ოპერაციები, დააკისროს ფულადი ჯარიმა, გაუზარდოს საეალდებულო რეზერვების ნორმები, გააუქმოს საბანკო ოპერაციების წარმოების ლიცენზია, ჩაატაროს რევიზია-შემოწმებები.

ეროვნილი ბანკის ფუნქციებს შორის უნდა გამოვყოთ კრედიტებისა და საპროცენტო განაკვეთების კონტროლი, რომელსაც ეროვნული ბანკი ახორციელებს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ჩარჩოებში დროებითი პირობებისა და შეზღუდვების დაწესებით. კომერციული ბანკები და სხვა საკრედიტო დაწესებულებები ვალდებული არიან დაიცვან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული ეკონომიკური ლიმიტები.

მეტად მნიშვნელოვანია აგრეთვე საბანკო კონტროლის განხორციელება გადასახადების ამოღების საქმეში. ჯერ ერთი, რომ ბანკები გამოდიან საგადასახადო აგენტის როლში მრავალრიცხოვანი კლიენტების საგადასადო ვალდებულებების შესრულების თვალსაზრისით, მეორეც, ბანკები თანამშრომლობენ რა საგადასახადო ორგანოებთან, აწვდიან მათ კანონით განსაზღვრულ ინფორმაციას გადასახადის გადამხდელთა შესახებ.

ეფექტური კონტროლის განხორციელების მიზნით საქართველოს ეროვნული ბანკი კანონმდებლობის თანახმად ქმნის შიდა აუდიტორიულ სამსახურს რომლის ფუნქციაა შიდა კონტროლის განხორციელება, განსაკუთრებით კი ბანკის სტრუქტუ-

რული ქვედანაყოფების საქმიანობისა და ოპერაციების პერიოდული რეეიზიების ჩატარება.

ქვეყანაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მიზნით „უკანონი შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად საქართველოს ეროვნულ ბანკთან შექმნილა საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური. სამსახურის საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი. მასთან შეთანხმებით ფინანსური მონიტორინგის სამსახური მონიტორინგის განმახორციელებელი პირებისაგან იღებს ინფორმაციას საეჭვო გარიგებებზე. აანალიზებს მას და აწვდის შესაბამის ორგანოებს; ადგენს საეჭვო გარიგებაზე ანგარიშგების ფორმას; იღებს ინფორმაციას ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოდან, აგრეთვე ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირისაგან, რომლებიც ასრულებენ საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებებს და სხვ.

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო. მაკონტროლებელი და სამართალდამცავი ორგანოები თავიანთი ფუნქციების შესრულების პროცესში ხშირად საჭიროებენ კვალიფიციურ საექსპერტო დასკვნებს. ამ მიზნით შექმნილია საჯარო სამართლის იურიდიული პირი, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო. მისი ძირითადი მიზანია კვალიფიციური ექსპერტიზებისა და გამოკვლევების ჩატარება და შესაბამისი დასკვნების მომზადება.

ექსპერტიზის ბიუროს ფუნქციებში განსაკუთრებით აღსანიშნავია საფინანსო კონტროლის მიზნით საბუღალტრო ექსპერტიზისა და აუდიტის ჩატარება, მათ შორის შიდა აუდიტი და ინსპექტირება. აღნიშნულ ფუნქციას ასრულებს ბიუროში შექმნილი სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტი. მისი ძირითადი ამოცანაა სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე სასამართლოს, პროკურორის, გამომძიებლის, საქმეში მონაწილე მხარის ან უფლებამოსილი პირის მოთხოვნის საფუძველზე სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზების ჩატარება და შესაბამისი დასკვნის გაცემა, კერძოდ საბუღალტრო ექსპერტიზა, ქონების შეფასება, ინვენტარიზაციის ჩატარება, სამშენებლო-ეკონომიკური და ელექტროტექნიკური ექსპერტიზები და სხვ.

საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური. საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური სახელმწიფო ფინანსური კონტროლის უმაღლეს ორგანოა, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება საქართველოს პარლამენტს და წარმოადგენს აგრეთვე მისივე კონტროლის ქვეშ მყოფ ორგანიზაციას. მისი საქმიანობის ძირითადი მიზნებია, ხელი შეუწყოს სახელმწიფო სახსრების, სახელმწიფოს სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერებისა და მიზნობრიობის დაცვას, ეფექტიანობას, ეროვნული სიმდიდრის, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრების დაცვას, ასევე საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის პრინციპებია: ობიექტურობა, დამოუკიდებლობა, საჯაროობა, პროფესიონალიზმი. სახელმწიფო აუდიტის სამსახურს დიდი უფლებამოსილებები გააჩნია, რაც გამოიხატება შემდეგში: იგი ახორციელებს აუდიტს კანონით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში; უფლებამოსილია ჩაატაროს ექსპერტიზა და გასცეს დასკვნები საფინანსო და ეკონომიკური სფეროების მარეგულირებელი საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების პროექტებზე, ასევე იმ პროგრამებზე, რომელთა

დასაფინანსებლად განსაზღვრულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების სახსრების გამოყენება ან რომლებიც გაელენას ახდენს ამ სახსრების ფორმირებაზე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორული უფლებამოსილების მაღალი ხარისხი იმითაც დასტურდება, რომ მისი კომპეტენცია ერცელდება საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების ორგანოებზე, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე, საქართველოს ეროვნულ ბანკზე, სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებზე, სხვადასხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებზე.

მის წინაშე დასახული ამოცანების შესასრულებლად სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამოწმებს: სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ხარჯვასა და შესრულებას, ბიუჯეტების პროექტების შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობასა და კანონიერებას, შიგა და გარე სახელმწიფო ვალების ფორმირებასა და მართვას, საკრედიტო და საფინანსო დაწესებულებებში სახელმწიფო სახსრების მოძრაობის კანონიერებას, საქართველოს დიპლომატიური სამსახურის საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობას, საჯარო სამართლისა და არაკომერციული იურიდიული პირების სახსრებისა და ქონების ხარჯვასა და გამოყენებას, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრების მართვასა და განკარგვას; ახორციელებს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგს კანონით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში. იგი უფლებამოსილია ჩაატაროს არაგეგმური აუდიტი საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის, საპარლამენტო უმცირესობის მოთხოვნით ან თავისიენე გადაწყვეტილებით.

ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსური კონტროლი. ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის ფინანსური კონტროლი ხორციელდება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად. კონტროლის ფორმებია: სახელმწიფო ზედამხედველობა, აუდიტი, დამოუკიდებელი აუდიტი, შიდა აუდიტი და ინსპექტირება. არც თუ ისე დიდი ხნის წინ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის ფინანსური კონტროლი არ შედიოდა ცენტრალური მაკონტროლებელი ორგანოების მოვალეობებში. ამჟამად ეს ხარვეზი გამოსწორებულია.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სახელმწიფო ზედამხედველობა ხორციელდება „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის აუდიტს ახორციელებს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური. დამოუკიდებელი აუდიტი ტარდება მოწვეული დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ არა უმეტეს წელიწადში ერთხელ. იგი არ ატარებს საეალდებულო ხასიათს და შეიძლება ჩატარდეს საკრებულოს წევრების ერთი მესამედის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში და დასკვნა წარედგინება საკრებულოს, ეგზავნება საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს და ქვეყნდება საჯაროდ.

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ითვალისწინებს აგრეთვე შიდა აუდიტის ჩატარებას. იგი ხორციელდება

„სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ“ საქართველოს კანონისა და გამგეობის (მერიის) დებულების შესაბამისად. შიდა აუდიტის განმახორციელებელ სუბიექტებს განსაზღვრავს საკრებულო გამგეობის ან მერიის დებულებით. შიდა აუდიტი მოიცავს თანამდებობის პირებისა და თანამშრომლების მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა დებულებების, შინაგანაწესის, ინსტრუქციების და სამუშაო პროცესის მარეგულირებელი სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნათა დაცვის კონტროლს.

საზოგადოებრივი კონტროლი. დემოკრატიულ საზოგადოებაში ცალკეულ არასახელმწიფო ინსტიტუტებსა და მთლიანად მოსახლეობას სახელმწიფო ფინანსური სახრების გამოყენებაზე მონიტორინგის განხორციელების ფართო შესაძლებლობები გააჩნია. ამ მიზნით საქართველოში შექმნილი არასამთავრობო ორგანიზაციები თვალყურს ადევნებენ საბიუჯეტო სახსრების გამოყენებას, ატარებენ გამოკვლევებს და ფართო საზოგადოებას აწვდიან შესაბამის ინფორმაციას. მეტად მნიშვნელოვანია საზოგადოების კონტროლი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე. იგი გამოიხატება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობით, კერძოდ ამომრჩეველს უფლება აქვს მოახდინოს საკრებულოს დადგენილების პროექტის ინიცირება, მონაწილეობა მიიღოს საკრებულოს სხდომებში, მოისმინოს თვითმმართველობის თანამდებობის პირთა და საკრებულოს წევრების საჯარო ანგარიში. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები თავის მხრივ ვალდებულნი არიან წარუდგინონ მოსახლეობას ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ. მიხედავად იმისა, რომ კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე საზოგადოების კოტროლის გარკვეულ საშუალებას იძლევა, ეს ფუნქცია საქართველოში დღეისათვის სათანადო დონეზე ვერ ხორციელდება. განსაკუთრებით ეს ეხება საზოგადოების მხრივ ფინანსური კონტროლის განხორციელებას, რაც მომავალში უფრო ქმედითი უნდა გახდეს.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ირკვევა დღეისათვის საქართველოში სახელმწიფო ფინანსურ ცონტროლს მრავალი ორგანო ახორციელებს. მათი სამართლებრივი და ორგანიზაციული სრულყოფისათვის გასატარებელ ღონისძიებებს შორის შეიძლება გამოეყოთ შემდეგი:

კონტროლის განმახორციელებელ ორგანოთა მრავალფეროვნების პირობებში საჭიროა შეიქმნას დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსური კონტროლის სამართლებრივ-მეთოდოლოგიური საფუძვლების შემუშავებას და კონტროლთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების პროექტების ექსპერტიზას. აღსანიშნავია, რომ დღესდღეობით ეს ფუნქცია არც-ერთ მაკონტროლებელ ორგანოს არ გააჩნია;

დაჩქარდეს აუდიტორული საქმიანობის მეთოდოლოგიური უზრუნველყოფა, კერძოდ, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების ბაზაზე შემუშავდეს აუდიტის ეროვნული სტანდარტები. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ეს მიდგომა სრულ თანხვედრაში იქნება ევროკავშირის წევრი ქვეყნების სახელმწიფო კონტროლის რეგულირების სისტემასთან;

საჭიროა ჩამოყალიბდეს შიდა და გარე ფინანსური კონტროლის ერთიანი სისტემა, ერთიანი მეთოდოლოგიისა და საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე. ამასთან დაკავშირებით უპრიანია სახელმწიფო სტრუქტურებში არსებული შიდა აუდიტის სამსახურები იმყოფებოდნენ (ორმაგი) ერთის მხრივ მთავარი სახელმწიფო

მაკონტროლებელი ორგანოს და მეორეს მხრივ სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელობის დაქვემდებარებაში.

ქვეყანაში საფინანსო წესრიგის დამყარება დიდად არის დამოკიდებული მოქმედ საკანონმდებლო-ნორმატიულ აქტებზე. ჯერ კიდევ გეხვდება ისეთი აქტები, რომლებიც იძლევიან საბიუჯეტო სახსრების არაეფექტურად და უყაირათოდ გამოყენების საშუალებას. აქედან გამომდინარე გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია სათანადო კვალიფიციური ექსპერტების გამოყენებით ჩატარდეს საკანონმდებლო-ნორმატიული აქტების გადასინჯვა (რევიზია), მათში ე.წ. „ხვრელების“ აღმოფხვრის მიზნით. ეს ქვეყნის ბიუჯეტს მისცემს დიდ ეკონომიას და მინიმუმამდე დაიყვანს სახსრების უყაირათოდ ხარჯვის შემთხვევებს;

მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის როლი საკანონმდებლო-ნორმატიული აქტების პროექტებზე დასკვნების მომზადებაში, რაც იმაში გამოიხატება, რომ ფინანსურ კონტროლსა და აუდიტთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების პროექტები აუცილებლად დაექვემდებაროს მასთან შეთანხმებას.

გამოკვლევებიდან ირკვევა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტორული შემოწმებების რიცხვი თანდათან მცირდება. მთელი რიგი საბიუჯეტო ორგანიზაციები და საჯარო სამართლის იურიდიული პირები კონტროლს მიღმაა დარჩენილი. აქედან გამომდინარე პირველი რიგის ამოცანაა კონტროლის უწყვეტობის პრინციპის უზრუნველყოფა, ისეთი სტრატეგიული გეგმების შედგენა, რომელიც გამორიცხავს რომელიმე სამეურნეო სუბიექტის „ჩრდილქვეშ“ დარჩენას;

მიზანშეწონილად მიგვაჩნია სახელმწიფო აუდიტის სამსახური სტრუქტურული მოწყობის უნიტარული სისტემიდან გადაიიდეს დეცენტრალიზებულ სისტემაზე, რომელიც გულისხმობს საქართველოს რეგიონებში წარმომადგენლობების (აუდიტორული ბიურო ან აუდიტორული ოფისი) არსებობას;

უნდა ჩამოყალიბდეს აუდიტორთა გადამზადების ქმედითი სისტემა და დაჩქარდეს სახელმწიფო სექტორის აუდიტორის კვალიფიკაციის მინიჭების სისტემის ამოქმედება;

მაკონტროლებელმა ორგანოებმა უნდა იმოქმედონ საზოგადოების დაკვეთით, იყონ მათი წარმომადგენელი საჯარო ფინანსების ადმინისტრირებაში. არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოების მიერ ამ ორგანოთა საქმიანობაზე მეთვალყურეობის გაუმჯობესების მიზნით საჭიროა კიდევ უფრო გამჭვირვალე გახდეს მაკონტროლებელ ორგანოთა საქმიანობა, სავალდებულო ხასიათი მიიღოს მათი საქმიანობის შედეგების საჯაროდ გამოქვეყნებამ.

State financial supervision control system of Georgia and ways of improvement

Levan Grigalashvili
Doctor of Economic Sciences, Professor
E-mail:grigalashvililevan.ccg@gmail.com Tel: 593-73-39-45

Resume

The work discusses state financial control system of Georgia. Functions of main supervision bodies are characterized; proposals for improving financial control are elaborated.

პრიორიტეტები

ნაილი გაგნიძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
სუხიშვილის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
E-mail: nailigagnidze@ymail.com Tel: 555 419 796
თეა ბიჭიკაშვილი
ბუღალტერ-აუდიტორი
E-mail: teabiwikashvili@ymail.com Tel:568 659 393

საუკუნის პირველი ათწლეული, ისევე როგორც გასული საუკუნის ბოლო წლები მსოფლიო ეკონომიკაში გლობალიზაციის პროცესი მიმდინარეობს. ეს კი აუცილებელს ხდის ეროვნულმა ეკონომიკამ აწარმოოს ისეთი ხარისხისა და ფასის საქონელი, რომლითაც შეძლებს კონკურენტულ ბრძოლაში წარმატებების მიაღწევას.

ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ქვეშ, იგულისხმება:

1. ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაღალი, საშუალოვადიან პერიოდში სტაბილური ტემპების მიღწევის უნარი;
2. წარმოების ფაქტორთა მწარმოებლურობა;
3. ქვეყანაში წარმოებული საქონლის და შესაბამისად მწარმოებლების უნარი.

ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა ეკონომიკური განვითარებისა და პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საყრდენია, რომელიც დიდ გაელენას ახდენენ ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე.

კონკურენტული ბრძოლა ძირითადად სამ სხვადასხვა დონეზე მიმდინარეობს, ესენია: 1. კონკურენტული ბრძოლა გლობალურ დონეზე, 2. რეგიონალური ბაზრები და 3. შიდა ბაზრები.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია შიდა ბაზრის კვლევა და მასზე კონკურენტული
უპირატესობის მიღწევა.

დღეისათვის საქართველოსათვის კონკურენტულ უპირატესობის მიღწეის ხელისშემშლელ ფაქტორებად შეიძლება ჩაითვალოს:

1. მოსახლეობის ცხოვრების დაბალი დონე და შესაბამისად დაბალი მსყიდველობითუნარიანობა;
2. განათლებისა და მეცნიერების დაბალი დონე;
3. შიდა ინვესტიციების დაბალი დონე;
4. კრედიტებზე მაღალი საპროცენტო განაკეთი და არასატარიფო ბარიერების არსებობა;
5. წარმოებული პროდუქციის მაღალი ენერგოტევადობა და მაღალი ფასი ენერგომატარებლებზე;
6. დაბალი ტექნოლოგიური დონე;
7. წარმოებული პროდუქციის დაბალი ხარისხი;
8. მოძველებული მოწყობილობა-დანადგარები;
9. იაფი და ხშირ შემთხვევაში დაბალი კვალიფიკაციის მუშახელი;
10. მონოკულტურული, ყოფილ საბჭოთა ბაზარზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობა, რესურსული დამოკიდებულება;
11. სუსტი ინფრასტრუქტურა და ა.შ.

ამასთან ერთად დღეისათვის საქართველოს აქვს კონკურენტული უპირატესობებიც:

1. იაფი მუშახელი;
2. კლიმატური პირობები;
3. გეოგრაფიული მდებარეობა;
4. ლიბერალური კანონმდებლობა.

აქედან გამომდინარე საქართველოსათვის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით მინიმუმ ორი უმნიშვნელოვანესი ამოცანა უნდა გადაიჭრას. პირველი ეხება პროდუქციის ფასს, ხოლო მეორე კი მის ხარისხს. სწორედ საფასო კონკურენციის მეშვეობით მიიღწევა კონკურენტული უპირატესობა.

სამწუხაროდ საქართველოს შიდა ბაზარზეც კი ქართული პროდუქცია, მათ შორის სოფლის მეურნეობის პროდუქცია მარცხდება. მაგალითად მეფრინველეობის სფეროში მიუხედავად ხარისხობრივი უპირატესობისა, საქართველოს სამომხმარებლო ბაზარი უცხოური, იაფი პროდუქტითაა გაჯერებული.

მსოფლიოს არცერთი განვითარებული ქვეყნები არ ცდილობენ კონკრენტული უპირატესობის მიღწევას ყველა იმ საქონლისა და მომსახურების მიხედვით, რომელთა წარმოებაც პოტენციურად შესაძლებელია. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს იმ დარგებს, რომლებშიც გარკვეულ ბაზრებზე უპირატესობის მიღწევაა შესაძლებელი. ერთ-ერთი დარგი, რომელთა კონკურენტუნარიანობის გაზრდას საქართველოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, მიგვაჩნია რომ არის სოფლის მეურნეობა და კვების მრეწველობა.

საქართველოში დასაქმებულთა ნახევარზე მეტი (დაახლოებით 54%) სოფელში ცხოვრობს და სოფლის მეურნეობაში მუშაობს. თუმცა მათ მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება მთელი დამატებული ღირებულების მხოლოდ 8%-ს შეადგენს.

1990 წელს, რომელიც სულაც არ იყო საქართველოსათვის საუკეთესო წელი, სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი მშპ-ს 34,7% იყო, ხოლო ეს მაჩვენებელი 1994 წლისათვის 40%-მდე გაიზარდა, 2006 წელს მხოლოდ 11% შეადგინა, 2009 წელს კი ნადირობაში, სატყეო მეურნეობასა და თევზჭერაში ერთად მთლიანი სოფლის მეურნეობაში გამოშვების მშპ-ის მხოლოდ 8,7% იქნა წარმოებული. საინტერესოა, რომ სოფლის მეურნეობის არა მარტო მთლიან შიდა პროდუქტში წილია შემცირებული, არამედ 2003 წელთან შედარებით შემცირებულია წარმოების მოცულობა 15,1%-ით. 2003 წლის შემდეგ მხოლოდ 2005 წელი იყო, როდესაც რეალურ მაჩვენებლებში სოფლის მეურნეობაში წარმოებული საქონლის ღირებულებამ 2003 წლის მაჩვენებლებს გადააჭარბა. ცხადია, ეს მაჩვენებელი გვიჩვენებს, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობა ვერანაირ კონკურენტულ ბრძოლაში ვერ მიაღწევს წარმატებას, ვერც ქვეყნის შიგნით და ვერც ქვეყნის გარეთ, რადგან რამდენიმე სერიოზული მიზეზი არსებობს. მათ შორის, შეიძლება გამოვყოთ:

სოფლის მეურნეობაში მიწების დაქუცმაცებულობა;
გასაღების ტრადიციული ბაზრების დაკარგვა;
ტექნიკური და ტექნოლოგიური აღჭურვის დაბალი დონე;
ინოვაციების დაბალი დონე და ხარისხის მონიტორინგის სისტემების არარსებობა.

ყოველივე აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ წარმატების მიღწევა კონკურენტულ ბაზარზე, შეუძლებელი იქნება სოფლის მეურნეობაში კონკურენტუნარიანობის მიღწევის გარეშე, რადგან გასათვალისწინებელია ისიც, რომ სოფლის მეურნეობა ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების ერთ-ერთი

ქვაკუთხედია. მსოფლიოს ბევრი, პატარა ქვეყანა, მაგალითად ისრაელის სოფლის მეურნეობა აწარმოებს არა მარტო ამ ქვეყნისთვის საკმარის, მაღალხარისხიან, იაფ პროდუქციას, არამედ მათ ექსპორტში სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი მაღალია. მიუხედავად იმისა, რომ ისრაელის სახელმწიფოს შექმნის პირველ წლებში სოფლის მეურნეობაში სერიოზული პრობლემები იყო. უკვე გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მან მოახერხა, რომ სურსათზე მოთხოვნილების 90%-ს თავად აწარმოებდა, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები მისი კვების პროდუქტების დარჩენილი ნაწილის იმპორტს ყოფნიდა.

ისრაელის აგრარული სექტორის საფუძველს კოოპერაცია და ფერმერული მეურნეობები შეადგენს. სწორედ კოოპერაციები ამუშავებენ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 70%-ზე მეტს, და მათ განკარგულებაში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის 75%-ია. ისრაელში, სასოფლო-სამეურნეო მიწის 90% სახელმწიფო საკუთრებაშია. მიუხედავად ამისა, კოოპერაციაზე დაფუძნებული აგრარული მეურნეობები ეკონომიკურ კავშირებს წმინდა საბაზრო ურთიერთობებზე ამყარებენ. მათსა და მომხმარებელს შორის შუამავალი კი სამომხმარებლო, გადამამუშავებელი და სხვა სახის კოოპერაციებია.

სწორედ შრომის ამგვარი დანაწილება გახდა წარმატების ერთ-ერთი საფუძველი. გლეხი, ფერმერი არ არის დაკავებული გადამამუშავებლის ან მყიდველის ძიებით. აწყობილი პროცესი კი საბანკო, სადაზღვეო და სხვა ფინასურ დაწესებულებებს მეტ შესაძლებლობას აძლევს დააკრედიტოს და დააზღვიოს წარმოების პროცესი. შეიძინოს ან არენდით აიღონ ტექნიკა და ტექნოლოგიები, შეამცირონ მუდმივი დანახარჯები, დანერგონ ინოვაციები. სწორედ ამგვარადაა შესაძლებელი, როგორც შიდა ბაზარზე, ისე განსაკუთრებით რეგიონულ და გლობალურ ბაზრებზე კონკურენტული წარმატების მიღწევა.

ამასთანავე კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის მნიშვნელოვანია ინვესტიციების მოზიდვა, კონკურენტუნარიანობის შეფასების მექანიზმის შექმნა და დანერგვა. აღნიშნული მექანიზმის შემუშავების პროცესში შესწავლილი უნდა იქნეს როგორც საქართველოში, ისე რეგიონში მიმდინარე პროცესები. აღნიშნული ანალიზი საფუძვლად უნდა დაედოს, როგორც კონკურენტუნარიანობის ამაღლების, ისე საინვესტიციო სტრატეგიის შემუშავებას და უცხოელ ინვესტორთა მოზიდვას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.ხადური ნ. საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის მაკროეკონომიკური დეტერმინანტები. 3 2005

2.სტატისტიკის ეროვნული სამსახური, .. www.geostat.ge.

3.ხადური ნ. საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობისანალიზი და პერსპექტივები. 2010.

4.საქართველოს ფინასსთა სამინისტრო, www.mof.ge

Sectoral priorities of Georgia's competitiveness

Naili Gagnidze, Doctor of Economy
Associated professor of Sukhishvili Teaching University
Tea Bitchikashvili -Accountant auditor

Resume

The work about "Sectoral priorities of Georgia's competitiveness" discusses basic principles of competitiveness and agricultural development priorities of Georgia as agrarian country. We consider that agricultural development is one of the most important bases for country's food security.

ურთიერთკავშირი სტრატეგიულ დაგეგმვას, ბიზნეს დაგეგმვასა და ბიუჯეტირებას შორის

თამარ დუდაური

კონომიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი,

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

E-mail: tamro_dudka@yahoo.com Tel: 593 61 21 35

შესავალი. ყოველი ხელმძღვანელი ზრუნავს კომპანიის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებისა და დასახული მიზნების მიღწევაზე, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს, როგორც მის ასევე აქციონერებისა და ინვესტორების მოლოდინს. ბოლოს და ბოლოს წარმოიშვება იმის გაგება, რომ აუცილებელია შეიქმნას მართვის ისეთი სისტემა, რომელიც განახორციელებდა დასახული მიზნების მიღწევას.

თანამედროვე ტექნოლოგიები გულისხმობენ კომპანიის მართვის ისეთი მექანიზმების შექმნას, რომლის საშუალებითაც მისი საქმიანობის ეფექტიანობის სტრატეგიული მაჩვენებლები იქნებიან გაერთიანებულნი სისტემაში, სტრატეგიულ ინიციატივებსა და ამ სტრატეგიების შესრულების კონკრეტულ ღონისძიებებთან მისეზ-შედეგობრივი კავშირებით.

პრობლემის აქტუალობა. კომპანიის უმრავლესობაში დაგეგმვა, ბიუჯეტი, პროგნოზირება და ანგარიშგება განიხილება, როგორც ერთმანეთისაგან იზოლირებული პროცესები, რომლებიც მოითხოვენ სხვადასხვა ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების მიღებას. ამასთან ავიწყდებათ, რომ თითოეული ეს პროცესი არის კონკრეტული ნაბიჯი სტრატეგიული მიზნების მიღწევის გზაზე.

კვლევითი კომპონენტის აღწერა. მენეჯერების მმართველობითი საქმიანობა შეიძლება შევადაროთ ავტომობილით მგზავრობას. მოგზაურობის მიზნისა და დანიშნულების საბოლოო წერტილის შერჩევა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესია. აღნიშნულ ეტაპზე თქვენ გადაწყვეტთ, რომელი ავტომობილით უნდა გაემგზავროთ დანიშნულების ობიექტამდე და რა მიზანს ისახავსგამგზავრება. შემდეგ ადგენთ ბიზნეს-გეგმას და პასუხობთ კითხვებს: რომელი გზით გაემგზავრებით, რა სირთულეებს შეიძლება შეხვდეთ გზაში და რომელ სასტუმროში გაჩერდებით ღამით. ამის შემდეგ უნდა განსაზღვროთ მოძრაობის საშუალო სიჩქარე, გაიანგარიშოთ მგზავრობის მთლიანი დრო, მგზავრობისათვის საჭირო ბიუჯეტი და გაანაწილოთ იგი ეტაპების მიხედვით. შემდეგ უნდა ჩაჯდეთ ავტომობილში და დაიწყოთ მოძრაობა. აღნიშნულ შემთხვევაში ბიუჯეტირების სისტემა წარმოადგენს ავტომობილის ელემენტებისა და ხელსაწყოების ერთიანობას, რომელთა დახმარებითაც თქვენ უნდა მართოთ ავტომობილის სიჩქარე; განსაზღვროთ საწვავის რაოდენობა; ზეთის დონე

და ა.შ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყოველივე ის რაც ხელს შეგიწყობთ გზის უახლოესი მონაკვეთის დანახვასა და არსებული რესურსების შეფასებაში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს გზაზე მოძრაობა. თქვენი მანქანის ფარებით გზის მონაკვეთის განათების სიშორე არის დაგეგმვის ჰორიზონტი. ამ ჰორიზონტის ჩარჩოებში, მიიღებთ მხოლოდ ტაქტიკურ, მიმდინარე გადაწყვეტილებებს: რომელი სიჩქარის რეჟიმი უნდა იქნეს შერჩეული, როდის და რომელ ავტოგასამართ სადგურზე უნდა იქნეს შეუსებული საწვავის მარაგი, რომელ კვების ობიექტთან შეჩერდებით და სხვა. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია რეალური სურათის იმასთან შესაბამისობა, რაც აღწერილი გაქვთ ბიზნეს-გეგმაში. თუ სურათი შეესაბამება მოსალოდნელს და ხელსაწყოები გვიჩვენებენ რესურსების საკმარის სიდიდეს, მაშინ თქვენ სწორ გზაზე იმყოფებით.თუ უცებ შეიცვლება გარემო და ხელსაწყოები გვიჩვენებენ, რომ რესურსები თაუდება, მოგიხდებათ მიმდინარე რეჟიმში გამოასწოროთ არსებული სიტუაცია და მოახდინოთ მასთან ადაპტაცია.აღნიშნულ შემთხვევაში აუცილებლად დაიწყებთ წინასწარ დასახული გეგმის კორექტირებას. თუ გადახრები იქნება უმნიშვნელო, მაშინ შეცვლით მხოლოდ ბიუჯეტს ე.ი. ტაქტიკურ გეგმას.თუ სიტუაცია სერიოზულად შეიცვლება, მაშინ მოგიწევთ ბიზნეს-გეგმის მაჩვენებლების ცვლილება.მაგრამ შესაძლოა მოხდეს ისეც, რომ შესაცვლელი გახდეს გრძელვადიანი მიზნები და თავიდან დაიწყოთ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი.

ამრიგად, მგზავრობის პროცესში, თქვენ იყენებთ სტრატეგიული დაგეგმვის ინსტრუმენტებს, ბიზნეს-დაგეგმვასა და ბიუჯეტს, როგორც მმართველობითი საქმიანობის განუყოფელ ატრიბუტს. ნათელია, რომ ვერ მიაღწევდით სასურველ შედეგს, თუ არ გეცოდინებოდათ მგზავრობის მიზანი, მისი მიმართულება და ამისათვის რა უნდა მოგემოქმედათ დროის კონკრეტულ მომენტებში.

ანალოგიური სიტუაცია გვაქვს ბიზნესშიც. თუ დარღვეულია დაგეგმვის პროცედურა, მაშინ მხოლოდ ბიუჯეტს არ შეუძლია ეფექტურად შეუწყოს ხელი მენეჯერს კომპანიის მართვის საქმეში.მაგრამ თუ ბიუჯეტის სისტემა მთელი მოცულობით არ ფუნქციონირებს, მაშინ მენეჯერს გაუჭირდება კომპანიის მართვა და მისი წარმართვა დასახული მიზნისაკენ. ე.ი. სტრატეგიული დაგეგმვა, ბიზნეს-დაგეგმვა და ბიუჯეტი უნდა იყოს დასახული სტრატეგიული მიზნების მიღწევის თანმიმდევრული და ურთიერთდაკავშირებული ეტაპები.

ბიუჯეტი მჭიდროდ არის დაკავშირებული სტრატეგიულ გეგმასთან, მაგრამ შეიცავს უფრო მეტ დეტალურ ინფორმაციას. ბიუჯეტის არსი მოიცავს ფინანსური სახსრების განაწილებას, ადამიანური კაპიტალისა და სხვა აქტივების აღწერას. ანგარიშგება კი წარმოადგენს ბიუჯეტის ჩამოყალიბების პროცესის განუყოფელ

ნაწილს, იგი საშუალებას იძლევა შეფასდეს კომპანიის მოძრაობა დასახული მიზნისაკენ. მას დასახული მიზნებისაკენ მოძრაობის პროცესში შესაძლოა შეხვდეს მოულოდნელი წინააღმდეგობა ან პირიქით, გამოჩნდეს ახალი შესაძლებლობები, რომლებიც არ იყო გათვალისწინებული გეგმის შედგენის დროს. ზოგიერთ შემთხვევაში ახლად წარმოშობილი შესაძლებლობების გამოუყენებლობამ შესაძლოა ნეგატიური გაელენა იქონიოს კომპანიის ბიზნესზე. ისევე როგორც საგზაო ნიშნები უჩვენებენ მოგზაურს თუ რამდენად მიუახლოვდა იგი დანიშნულების ადგილს და აძლევენ მიმართულებას მის მოძრაობას, ასევე პროგნოზები, რომელსაც ადგენს კომპანიის მენეჯმენტი, მოხაზავს განვითარების ვექტორს და გვიჩვენებს, რა შეიძლება მოხდეს თუ ორგანიზაცია გადაწყვეტს შეცვალოს თავისი მოძრაობის მიმართულება. რიალური პროგნოზების შესადგენად ასევე აუცილებელია სიტუაციის პერმანენტული თვალყურის დევნება. ხანდახან კომპანისათვის, პირიქით, აუცილებელია მოძრაობის მიმართულების მკვეთრად შეცვლა, რათა შედეგად მიღწეულ იქნეს დასახული მიზნები.

მიღებული შედეგები. ზოგადად, კომპანიაში გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს ლიდერის მიერ, რომელსაც იღებს პროგნოზებზე და საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით. გეგმის ადაპტაცია მიმდინარე სიტუაციასთან, მისი შეფასება და კორექტირება უნდა მიმდინარეობდეს განუწყვეტლივ, და არა მხოლოდ ფინაფსური წლის ბოლოს, როცა დგება ანგარიში და განმარტებითი ბარათი კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ. ამდენად, სტრატეგიული დაგეგმვა, ბიუჯეტის შედგენა, პროგნოზირება და ანგარიშგება – სტრატეგიული მიზნებისაკენ კომპანიის მოძრაობის პროცესის შემადგენელი ნაწილებია. ისინი შეიცავენ სტრატეგიის რიალიზაციის არსს. ხოლო, თუ არ იქნებიან ურთიერთდაკავშირებულნი, მაშინ არ მისცემენ მას სტრატეგიას რიალიზაციის საშუალებას.ამის მიუხედავად ხშირ შემთხვევაში საქმე სწორედ ასეა. მაგალითად, მენეჯერებს ხშირად აეალებენ შეადგინონ ბიუჯეტი, ამასთან მათ არ მიუწედებათ ხელი ინფორმაციაზე, რომელიც ეხება კომპანიის სტრატეგიულ მიზნებს, ან პროგნოზირების შედეგებს. ეს იგივეა, რომ დავსვათ გზის არ მცოდნე ადამიანი, თვალებ ახვეული მანქანის საჭესთან და მოვთხოვოთ მას მიეიდეს დანიშნულების ადგილამდე რაც შეიძლება სწრაფად.

იმისათვის, რომ მიღებულ იქნეს მნიშნელოვანი შედეგები, აუცილებელია მენეჯერებს მივცეთ შესაძლებლობა დაინახონ და გაანალიზონ შექმნილი სურათი მთლიანობაში: მიზანი, გეგმა, პროგნოზი, ქმედებები და ბიუჯეტი. ასევე წარმოიშვება სხვა პრობლემაც, ესაა რიგი კომპანიების არაელასტიურობა, შეუძლებლობა მოერგოს წარმოშობილ სიტუაციას. ზოგიერთი კომპანიის მენეჯერებს აეიწყდებათ ისეთი მნიშნელოვანი ფაქტორის გათვალისწინება, როგორიცაა გარემო პირობების

ცვლილებები, ისინი განუწყვეტლივ იცვლებიან. არც კლიენტები და არც კონკურენტები არ არიან გაყინული სუბსტანციები და მათი ქმედებების განსაზღვრა არ არის ადვილი. სტრატეგიის რიალიზაცია – როგორც მანქანის მართვა – მოითხოვს განუწყვეტელ დახვეწასა და ცვლილებებს. სამწუხაროდ არსებული ტექნოლოგიების უმრავლესობა, რომლებიც ხელს უწყობს კომპანიის ბიზნეს პროცესებს არ გამოირჩევა განსაკუთრებული ელასტიურობით. იმის მიუხედავად, კომპანიის საინფორმაციო სისტემები იქნებიან თუ არა შედარებით ელასტიურნი, არსებობს კიდევ ერთი წინააღმდეგობა, რომელსაც ხვდებიან კომპანიები. ისინი სხვადასხვა პროცესების გაძღოლისათვის იყენებენ სხვადასხვა საინფორმაციო სისტემებს. მაგალითად, სტრატეგიული გეგმა დგება, როგორც ტექსტური დოკუმენტი Word-ში, ბიუჯეტი ცხრილების სახით Excel-ში, ხოლო ანალიზი OLAP-ის ინსტრუმენტების გამოყენებით. ყველა ეს დოკუმენტი აღმოჩნდება ურთიერთდაუკავშირებელი, გამოსაყენებლად რთული და ადამიანურ ფაქტორთან დაკავშირებულ რისკზე დამოკიდებული (ვინაიდან ყოველივე ამის დამუშავება ხდება ხელით).

დასკვნები და წინადადებები. მსოფლიოში შექმნილია მრავალი ინფორმაციული სისტემა, რომელშიდაც შესაძლებელია ყველა პროცესის ერთად განხილვა და დამუშავება. ასეთი სისტემებია, მაგალითად ERP, BPM და სხვა.მათ გააჩნიათ როგორც თავისი დადებითი ისე უარყოფითი მხარეები. მათი შერჩევა ხდება ინდივიდუალურად კომპანიის მენეჯერების მიერ. საზოგადოდ, როდესაც სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტისას ERP სისტემა აღარ არის საკმარისი იყენებენ BPM კლასის სისტემებს, რომლებიც მოიცავს ანალიზის გაფართოებულ შესაძლებლობებს.

“თუ თქვენ არ მოისურვებთ ცვლილებების გატარებას, მაშინ გარანტიას გაძლევთ, რომ ამას სხვა გააკეთებს თქვენს მაგიერ” – ეს არის კომპანია General Electric-ის ყოფილი ხელმძღვანელის ჯეკ უელჩის სიტყვები[2].ე.ი. იმისათვის რომ გავლენა ვიქონიოთ მოვლენებზე და არ დავრჩეთ განზე, აუცილებელია ცვლილებები.

ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ კომპანიები რომლებიც მოქმედებენ სწრაფად ცვლადი დარგების ბაზრებზე, განიხილავენ თავიანთ სტრატეგიებს წელიწადში ორჯერ. გასაგებია, რომ ასეთი დინამიურობა მოითხოვს ბიზნეს-პროცესების ადექვატურ დარეგულირებას.

2004 წელს სტრატეგიული დაგეგმვის ნაციონალური საბჭოს (აშშ) კონფერენციაზე, მისმა თავმჯდომარემ დ. ალენმა მიმართა რა დამსწრე საზოგადოებას თქვა: „დღევანდელი სამყარო ტურბოლენტურია. ყოველ წუთს რაღაცა იცვლება: ხდება ეკონომიკების ნგრევა, პოლიტიკური რეჟიმების ცვლილება, იცვლებიან მთავრობები, წარმოიშვებიან და ქრებიან კომპანიები, იქმნება ახალი

ტექნოლოგიები, რომლებიც უარყოფენ ადამიანის აზროვნების ადრეულ მიღწევებს და ყოველივე ეს ახდენს თანამედროვე ბიზნეს-ორგანიზაციებისათვის ახალი გამოწვევების ფორმირებას. ბიზნეს-გარემოს ცვალებადობის მაღალი ხარისხი და განუსაზღვრელობის ზრდა მოითხოვს სტრატეგიისადმი ახალ მიდგომას, რომელიც გაითვალისწინებდა ბაზრის ცელილების პოტენციურ ქაოტურობას"[3].

თანამედროვე ეტაპზე საქართველოში მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენით შემცირდა ეკონომიკური ზრდა და გაიზარდა ინფლაცია.ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება საწარმოების (კომპანიების) მენეჯერების სტრატეგიულ აზროვნებას, რათა მათ სწრაფად ცელად გარემო პირობებში შეძლონ კომპანიის საქმიანობის წარმართვა იმდაგვარად, რომ მიღწეულ იქნეს დასახული სტრატეგიული მიზნები. საინფორმაციო სისტემები საქართველოში ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია, ამიტომ სახელმწიფოს მხრიდან დიდი ძალისხმევაა საჭირო, რათა შესაძლებელი გახდეს ახალი ინფორმაციულ-ტექნიკური სისტემების დანერგვა. რისი განხორციელებაც შესაძლებელია საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესებითა და მიზნობრივი პროგრამების განხორციელებით. ყოველივე ეს კი საშუალებას მისცემს საქართველოს ეკონომიკას უკეთ დაძლიოს მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შედეგები და ჩამოყალიბდეს მომავალი საქართველოს ეკონომიკური წინსვლის წინაპირობები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://www.cfin.ru/management/finance/planning_and_budgeting.shtml
2. Коняхина В., Грачев В. Стратегия процесов. Использование ARis в создании стратегически-ориентированной организации. 2007.
3. www.oracle.com/global/ru/oramag/feb2007/tema_aris_m_str.html
4. http://www.strategyplus.org/history.shtml

Interrelation of Strategic Planning, Business Planning and Budgeting

Tamar Dudauri - Associated professor of
Caucasian International University
E-mail: tamro_dudka@yahoo.com Tel: 593 61 21 35

Resume

The article considers one important problem of the economics as the achievement the long-term aims in business, that implicates such logically consecutive actions, which are dictated to business by the long-term aims. The scheme of the interconnection of the strategically planning the business-planning and the budget-creation are given. Also the number of questions, the realization of which helps to overcome the economic crisis results, is considered. All this above said will give Georgian economy opportunity to solve results of world economic crisis and to formed strategic plans to develop future economy of Georgia.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული სავაჭრო ურთიერთობები და სამომავლო პერსპექტივები

ნათია დაღელიშვილი
კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი (CIESR) – პროგრამების კოორდინატორი;
სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი მოწვეული პროფესორი;
თსუ-ის დოქტორანტი E-mail: ndaghelishvili@ciesr.org Tel: 593 14 53 61
მიხეილ ძაგანია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
E-mail: mishadzagania@yahoo.com Tel: 597 18 26 25

შესავალი

ექსპორტის გაფართოვება და სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავება ნებისმიერი ქვეყნისთვის მუდმივ საზრუნავს წარმოადგენს. შედეგი პირდაპირპროპორციულად აისახება მოსახლეობის სოციალურ კეთილდღეობასა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე. საქართველოსთვის აღნიშნული თემატიკა განსაკუთრებით აქტუალური გახდა 2006 წელს რუსეთის მიერ ქართულ პროდუქციაზე დაწესებული ემბარგოს შემდეგ. რის შედეგადაც ჩვენ დავკარგეთ ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორის ბაზარზე წვდომა. დღის წესრიგში დადგა ალტერნატიული ბაზრების მოძიება და ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაცია.

პრობლემის აქტუალობა

უკვე გვაქვს იმის ფუფუნება, რომ ევროკავშირის წარმომადგენელი ოფიციალური პირებისაგან ხშირად ვისმენთ კომპლიმენტებს ევროკავშირთან საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის წინგადადგმული ნაბიჯების შესახებ – დაწყებულია მოლაპარაკებები ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ, 2011 წელს ძალაში შევიდა ევროკავშირსა და საქართველოს შორის საეზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის ხელშეკრულება (რაც საფუძველია ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის) და ა.შ.

ევროკავშირთან ეკონომიკურ ინტეგრაციაზეა აწყობილი ქვეყნის სამოქმედო კურსი. რადგან ევროკავშირის ბაზარს ალტერნატივა არ გააჩნია მსოფლიოში – საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკისა და ევროსტატის მონაცემებზე დაყრდნობით, ასეთი სურათი იხატება: ევროკავშირის მოსახლეობა 2011 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით 502,5 მლნ ადამიანია, 2010 წლის მშპ – 16,3 ტრლნ. დოლარი, რაც ერთ სულ მოსახლეზე 32 500 დოლარს შეადგენს. საოჯახო მეურნეობების მოხმარებამ 2008 წელს 7,2 ტრლნ. ევრო შეადგინა, დანაზოგები მშპ–ს 11,3%, ხოლო ინვესტიციები კი 18,4%–ია; მაშინ როდესაც აშშ-ს მშპ – 14,7 ტრლნ. დოლარია, ჩინეთის მშპ – 5,9 ტრლნ. დოლარი (ერთ სულ მოსახლეზე 4300 დოლარი), ინდოეთის მშპ – 1,5 ტრლნ. დოლარი; რუსეთის მშპ – 1,5 ტრლნ. დოლარი, ხოლო საქართველოს მშპ – 11,3 მლრდ. დოლარი (იხ. დიაგრამა №1).

დიაგრამა №1

მოლიანი შიგა პროდუქტი 2010 წლის მონაცემებით
(ტრლნ)



ამდენად, საქართველოსთვის ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობების ახალ ეტაპზე გადასვლა და ღრმა და ყოველისმომცველი სავაჭრო სივრცის არსებობა სამომავლო პერსპექტივათაგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია.

საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობები

აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორული ურთიერთობები რუსეთის ემბარგომდე გაცილებით ადრე დაიწყო. საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები შემდეგი ქრონოლოგიით ხასიათდება:

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება (PCA). 1996 წელს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან დაწყებული მოლაპარაკებები დასრულდა ლოგიკური შედეგით – 1999 წელს ძალაში შევიდა საქართველო-ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება. პირველ ეტაპზე შეთანხმება 10 წლის ვადას გულისხმობდა, თუმცა ავტომატურად ყოველ წელს 1 წლით გრძელდება. პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება აუქმებს კეოტებს ვაჭრობის სფეროში და იცავს ინტელექტუალური, საწარმოო და კომერციული საკუთრების უფლებას.

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის პროგრამა (ENP). ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა შემუშავდა 2004 წელს, ევროკავშირის გაფართოების შემდეგ. მისი მიზანი იყო ევროპასა და ახალ მეზობლებს შორის ახალი გამყოფი ხაზების მოხსნა და სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა. სამეზობლო პოლიტიკა მიზნად ისახავს ევროკავშირსა და მის მეზობელ ქვეყნებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთდაახლოების პროცესის მხარდაჭერას და მისი საშუალებით ევროკავშირი თავისი საზღვრების

გარშემო დემოკრატიის, სტაბილურობისა და კეთილდღეობის გავრცელებას უწყობს ხელს.

პრეფერენციების ზოგადი სისტემით (GSP+). 2005 წლის დეკემბერში საქართველომ ევროკავშირისაგან პრეფერენციების ზოგადი სისტემით (GSP+) სარგებლობის უფლება მიიღო. GSP+ საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტირებული საქონლის საბაჟო გადასახადებისგან გათავისუფლებასა და ტარიფების ცალმხრივად შემცირებას ითვალისწინებს. აღნიშნული პრეფერენციები ვრცელდება საქართველოში წარმოებული 7200 დასახელების პროდუქციაზე.

„აღმოსავლეთის პარტნიორობა“ (EaP). 2009 წლის 7 მაისს პრაღის სამიტზე ოფიციალურად შეიქმნა ძალაში “აღმოსავლეთის პარნიორობის” ინიციატივა – ევროკავშირსა და ექვს პარტნიორ ქვეყანას (სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსი, საქართველო, მოლდოვის რესპუბლიკა და უკრაინა) შორის პოლიტიკური ასოცირების და შემდგომი ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა. აღნიშნული პარტნიორობის ფარგლებში ევროკავშირი პარტნიორებს სთავაზობს უფრო მაღალი დონის პოლიტიკურ ასოცირებას და ძირითად სფეროებში კავშირების კიდევ უფრო გააქტიურებას. აღმოსავლეთის პარტნიორობის ფარგლებში ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყანას შორის ორმხრივი თანამშრომლობა შემდეგი მიმართულებებით განეითარდება: 1) ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების (DCFTA) შეთანხმება და მიღება; 2) გადაადგილება და უსაფრთხოება; 3) ენერგეტიკული უსაფრთხოება; 4) ეკონომიკური და სოციალური განვითარების მხარდაჭერა.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების (DCFTA) შეთანხმება. თავისუფალი ვაჭრობა საბაჟო ტარიფებისა და ქვოტების გარეშე ვაჭრობას გულისხმობს. ტარიფების გარდა არსებობს ე.წ. არასატარიფო ბარიერები ვაჭრობაში. ღრმა და ყოველისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება აქცენტს სწორედ ამ არასატარიფო ბარიერების მოხსნაზე აკეთებს, რაც პარტნიორებს შორის ვაჭრობაში თანაბარი პირობების არსებობისთვის და საერთო “თამაშის წესებით” ხელმძღვანელობისთვის არის საჭირო. ამისკენ არის ასევე მომართული ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრინციპული შეთანხმებები, როგორიც არის ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომების, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის, სახელმწიფო შესყიდვების და სუბსიდიების შესახებ. ამდენად, ვაჭრობასთან დაკავშირებული ევროპული სტანდარტების 1/3 დაკმაყოფილება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნების შესრულებით მიიღწევა.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილს თუ გავითვალისწინებთ, სამომავლო პერსპექტივა სწორედ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცეს უკავშირდება. ყურადღება გავამახვილოთ აღნიშნულ ტერმინზე და განვასხვაოთ იგი ევროკავშირთან ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობისაგან.

მრავალმხრივი თანამშრომლობა (Multilateral track) – მრავალმხრივი გზა წარმოადგენს ჩარჩოს, რომლის ფარგლებში ევროკავშირი და აღმოსავლეთ პარტნიორები ერთად, ჯგუფურად მუშაობენ საერთო ამოცანების გადაჭრაზე მრავალმხრივი ფორმატი ემსახურება აღმოსავლეთ სამეზობლოს მიზნების განხორციელებას ოთხი პრიორიტეტული (თემატური) პლატფორმის და რამდენიმე ფლაგმანი ინიციატივის საშუალებით.

ორმხრიეი თანამშრომლობა (Bilateral track) – ორმხრივი თანამშრომლობის მიზანია ევროკავშირსა და თითოეულ აღმოსავლეთ პარტნიორს შორის ურთიერთობის გაღრმავება. ამის მიღწევა ხდება ორმხრიეი შეთანხმებების, მაგალითად, ასოცირების შესახებ შეთანხმების, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანმხების, ვიზების გამარტივეების შესახებ ორმხრივი დიალოგის, სხვადასხვა სფეროში (ეკონომიკა, ენერგეტიკა, გარემოს დაცვა, ტრანსპორტი, კულეევა და ა. შ.) უფრო მჭიდრო ორმხრიეი თანამშრომლობის და ტექნიკური დახმარების საშუალებით. აღმოსავლეთ პარტნიორობა არსებულ ორმხრიე სახელშეკრულებო ურთიერთობებთან ერთად განხორციელდება. მისი განხორციელება პარტნიორებს შორის განსხვავებებზე და მათთვის შემუშავებულ პირობებზეა დამოკიდებული.

აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივა ბუნებრივად წინა პლანზე წევს კითხვას - არის თუ არა EaP გზა ევროკავშირის წევრობისკენ? პასუხი ცალსახაა: არა, არ არის. EaP ფარგლებში მიღწეული ეკონომიკური ინტეგრაციის დონე არ იქნება ინდივიდუალური ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანების შანსების განმსაზღვრელი. დაფინანსება ქვეყნების მიხედეით 2013 წლიდან ხორციელდება პრინციპით – "მეტი მეტი სანაცვლოდ": მეტი მხარდაჭერა ევროკავშირის მხრიდან პარტნიორი ქვეყნის მიერ დემოკრატიული რეფორმების გზაზე მეტი წინსვლის სანაცვლოდ აღმოსავლეთის პარტნიორობის მონაწილე 6 ქვეყნისთვის.

სამომავლო პერსპექტივები – აღმოსავლეთის პარტნიორობის საგზაო რუკა ეკონომიკური ინტეგრაციისა და ევროპულ პოლიტიკასთან კონვერგენციის ფარგლებში 2012-2013 წლებისთვის გულისხმობს შემდეგი მიზნების განხორციელებას.

ვაჭრობის და ვაჭრობასთან დაკავშირებული სფეროს რეგულირებაში თანამშრომლობა, რომელიც დაკავშირებულია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ტერიტორიებთან;

დაბეგვრისა და სახელმწიფო ფინანსების სფეროში გაფართოებული თანამშრომლობა;

საბაჟო უწყებათა თანამშრომლობა და ვაჭრობის ხელშეწყობა (აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ამოცანები საბაჟო სფეროში შესულია საბაჟო უწყებათა თანამშრომლობის სტრატეგიულ ჩარჩოში, რომელიც შეთანხმებულია პარტნიორ ქვეყნებთან ევროკავშირის აღმოსავლეთ საზღვარზე საბაჟო უწყებათა თანამშრომლობის შესახებ მაღალი დონის ორ სემინარზე "საბაჟო უწყებები 2013 წელს", რომლებიც გაიმართა 2011 წლის აპრილში ბუდაპეშტში და 2011 წლის ოქტომბერში კრაკოვში);

შრომის ბაზრისა და სოციალური პოლიტიკის სფეროში თანამშრომლობა;

მაკროეკონომიკურ და ფინანსურ სტაბილურობასთან დაკავშირებული თანამშრომლობა;

- გარემო და კლიმატის ცვლილება;
- ტრანსპორტი;
- მცირე და საშუალო საწარმოებთან დაკავშირებული პოლიტიკა;
- საინფორმაციო საზოგადოება;
- სტატისტიკა;
- საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან თანამშრომლობა.

<u>დასკვნები და წინადადებები</u>

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებობს ორმხრივი მზაობა სამომავლო მჭიდრო თანამშრომლობასა და ურთიერთობების გაღრმავებასთან დაკავშირებით. ჩვენი ქვეყნის ევროსტრუქტურებთან დაახლოებისათვის ევროკავშირის მიერ გაწეული დახმარება (როგორც ფინანსური, ისე არაფინანსური) უაღრესად მნიშვნელოვანია. ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის არსებობა იქნება საფუძველი საქართველო-ევროკავშირს შორის სამომავლო სავაჭრო ურთიერთობის საფუძველი.

2013 წლისთვის ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი დაფინანსება შეადგენს 70 მილიონ ევროს, რაც ჩვენი ქვეყნის სტრუქტურული რეფორმებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ზემოაღნიშნული საგზაო რუკის კომპონენტების შესრულება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებს და სამომავლოდ დადებით ასახვას ჰპოვებს საქართველოს თითოეულ მოქალაქეზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „აღმოსავლეთის პარტნიორობა და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა“, კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი, თბილისი, 2011, 192 გვ.
2. *Joint Declaration of the Prague EaP Summit*, Council of the European Union, Brussels 2009, p. 6.
3. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სიტყვარი, http://www.enpi-info.eu/main.php?id=403&id_type=2;
4. აღმოსავლეთის პარტნიორობის საგზაო რუკა 2012-2013 წლებისთვის;
5. აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის ვებ-საიტი, http://eapnationalplatform.ge/?lang=geo;
6. ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, http://eeas.europa.eu/delegations/georgia/eu_georgia/political_relations/political_framework/eastern_partnership/index_ka.htm.

Existing trade relations between Georgia and European Union and further prospects

Natia Daghelishvili

Caucasus Institute of Economic and Social Research (CIESR) _ Program coordinator;

Professor of Sukhishvili Teaching University

PhD of TSU E-mail: ndaghelishvili@ciesr.org **Tel: 593 14 53 61**

Mikheil Dzagania

PhD of Georgia's Technical University

E-mail: mishadzagania@yahoo.com **Tel: 597 18 26 25**

Resume

Having active trade relations with EU is very important to Georgia. Once EU decided to start negotiations on Deep and Comprehensive Free Trade Area (DCFTA) with Georgia, we've to face challenges - the aim of the DCFTA is to foster mutual trade by lifting barriers to trade as well as by introducing EU norms and standards in third countries. Creation of DCFTA leads to such countries integration with EU internal market, and is supposed to contribute to their development.

დასაქმების პოტენციალი შიდა ქართლის რეგიონში

ლალი სრესელი

სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი

Tel: 598 72 36 08; E-mail: lalisrescli@yahoo.com

უმუშევრობა საქართველოში მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური საკითხების ნუსხაში პირველ ადგილს იკავებს. ბოლო წლებში ეკონომიკაში განხორციელებული მნიშვნელოვანი რეფორმების მიუხედავად, ქართულ ეკონომიკაში ისევ რჩება უმუშევრობის და არასრული დასაქმების მაღალი დონე. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, სიღარიბის დონე ქვეყანაში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა და დამოკიდებულება სამთავრობო დახმარებებზე გაიზარდა. მდგომარეობა განსაკუთრებით რთულია შიდა ქართლის რეგიონში. 2007 წელსაც კი(2008 წლია აგვისტოს ომამდე) შიდა ქართლი ითვლებოდა ერთ-ერთ უღარიბეს რეგიონად. ომმა მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა. ომის შედეგად მიყენებული ფიზიკური ზარალის აღმოფხვრა შედარებით სწრაფად მოხდა, თუმცა ომმა მაინც მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია შიდა ქართლს. რეგიონს დაეკარგა 6600 ახალი იძულებით გადაადგილებული პირი, ბევრისთვის შემცირდა ვაჭრობის შესაძლებლობა და, რაც ალბათ ყველაზე უარესია, დარჩა საფრთხის შეგრძნება და ნდობის ნაკლებობა ბიზნესის მხრიდან.

ომის შემდგომ პერიოდში ბევრი პრობლემა შემსუბუქდა პუმანიტარული დახმარების წყალობით. ორი წლის შემდეგ ამ დახმარების დიდი ნაწილი ამოიწურა და აუცილებელია განვითარების პროექტების დაწყება რეგიონში. გასათვალისწინებელია მთავარი პრობლემა - შიდა ქართლის ეკონომიკის იმ სექტორების იდენტიფიცირება, რომლებიც ყველაზე მეტ სარგებელს ნახავენ დახმარების შემდეგ. რომელ სექტორშია სამუშაო ადგილების შექმნის ყველაზე დიდი პოტენციალი და რა სირთულეები აქვს ბიზნესს რეგიონში?

შიდა ქართლში 2011 წლის 1 სექტემბერის მონაცემებით 17 798 ბიზნეს-სუბიექტი იყო რეგისტრირებული, სადაც 9 737 კაცი იყო დასაქმებული.

ძირითადი სექტორები შიდა ქართლის რეგიონში, სადაც არსებობს დასაქმების დიდი პოტენციალი არის კვების და სასმელი პროდუქტების წარმოება, მშენებლობა, სამშენებლო და ხის მასალების წამოება.

აღნიშნული სექტორებიდან, კვებისა და სასმელების წარმოების სექტორი არის ყველაზე დიდი დამსაქმებელი და გასულ წელს ყველა სხვა სექტორზე უკეთ მოახერხა ძალების აღდგენა. გაცილებით უფრო მეტ კომპანიას ჰქონდა ზრდა ,ვიდრე კლება. ეს დაკავშირებულია ადგილობრივ სოფლის მეურნეობის წარმოებასთან, და მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობაში ფორმალურად ცოტა ადამიანია დასაქმებული, ამ სექტორში გაცილებით უფრო მეტი სამუშაოს და შემოსავლების გენერირება ხდება, ვიდრე რეგიონის ნებისმიერ სხვა სექტორში, სადაც ფორმალურად მეტი დასაქმებაა. კვების და სასმელების წარმოება ასევე ყველაზე მეტად არის წარმოდგენილი ქვეყნის და საერთაშორისო დონეზე - ყველა სხვა სექტორთან შედარებით, წარმოებული პროდუქციის მეტი წილი იყიდება შიდა

ქართლის და ქვეყნის გარეთ. და, ბოლოს, გადამუშავებული საკვები და სასმელები არის იმპორტის ძალიან მსხვილი კატეგორია, რაც ნიშნავს, რომ არსებობს ადგილობრივ ბაზარზე იმპორტის ჩანაცვლების შესაძლებლობა.

გადამუშავებული ვაშლის წარმოებას განსაკუთრებული პოტენციალი აქვს, რადგან შიდა ქართლზე მოდის საქართველოს ვაშლის წარმოების 65% და ასევე ვაშლისაან წარმოებული პროდუქტების ექსპორტის 25%

ასევე იზრდება რეგიონში მშენებლობის სექტორი და მასში საკმაოდ მაღალი დასაქმების დონეა. ამ სექტორში ასევე არის კვალიფიცირებული კადრების მწვავე ნაკლებობა, ამიტომ საჭიროა ამ სფეროში ტრენინგების ჩატარება და საჭირო კვალიფიკაციებით სექტორის უზრუნველყოფა. სამშენებლო მასალების წარმოება ასევე გადის ქვეყნის და საზღვარგარეთულ ბაზრებზე.

რეგიონის სამი ყველაზე დიდი სექტორია „მრეწველობა“, „სოფლის მეურნეობა“ და „სახელმწიფო მმართველობა“. მიუხედავად იმისა რომ მრეწველობამ და სახელმწიფო მმართველობამ საგრძნობი ზრდა განიცადეს ბოლო წლებში, სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვნად დაეცა, არა მხოლოდ პროცენტული ,არამედ აბსოლუტური მაჩვენებლითაც.

თუმცა, დასაქმების მხრივ,სოფლის მეურნეობაშია სავარაუდოდ თავმოყრილი დასაქმებულთა ნახევარზე მეტი. შიდა ქართლში არის სოფლის მეურნეობის რამდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულება. ბოლო ორ წელს საქართველოში წარმოებული ხორბლის 35%, ბოსტნეულის !5% და ვაშლის 65% შიდა ქართლზე მოდიოდა.

„დასაქმებულთა“ კატეგორიაში მყოფებიდან, სრულ განაკვეთზე მომუშავეთა რაოდენობა შედარებით მცირეა, შიდა ქართლში „დასაქმებულების“ 27% არის კლასიფიცირებული ,როგორც „დაქირავებული“. თითქმის ყველა დანარჩენი არის თვითდასაქმებული.რომ შევიქმნათ წარმოდგენა იმაზე თუ რა მდგომარეობაა სექტორებში ფორმალური დასაქმების კუთხით,უნდა განვიხილოთ რეგისტრირებული და აქტიური კომპანიები რეგიონში. რეგიონში არსებული რეგისტრირებული და აქტიური კომპანიებიდან, თითქმის ნახევარი არის მცირე სავაჭრო მაღაზიები.

ბიზნესის განვითარება, რომელიც გადამწყვეტ როლს ასრულებს დასაქმების და უმუშევრობის პრობლემის გადაჭრისას, შიდა ქართლის რეგიონში რამდენიმე მნიშვნელოვან პრობლემას აწყდება. ეს არის : ბიზნეს გარემო

ბაზრების ხელმისაწვდომობა

ფინანსების ხელმისაწვდომობა

ტექნოლოგიების გამოყენება

ადამიანური რესურსი

ბიზნეს გარემოს განხილვისას, მაღალი გადასახადები შიდა ქართლში რეგისტრირებული კომპანიების 10 %-მა დაასახელა, როგორც პრობლემა.დიდ კომპანიებს კი ეს თითქმის არ უხსენებიათ. თუმცა კითხვაზე რა წაახალისებდა ინვესტიციებს ყველაზე მეტად 71%-მა დაასახელა გადასახადების შემცირება, ხოლო 54%-მა საგადასახადო სისტემის გამარტივება.

კომპანიების დიდი ნაწილი ადგილობრივ ბაზარზეა ორიენტირებული, ეს ფაქტორიც ბიზნესის ზრდის ხელისშემშლელ ფაქტორად სახელდება.

კომპანიების საქმიანობის ისეთი სფეროები, როგორიცაა ვაჭრობა, ჯანდაცვა სოციალური მომსახურება, რესტორნები, სასტუმროები და მშენებლობა, თავის არსით ადგილობრივ ბაზარზეა ორიენტირებული, თუმცა ისეთი სექტორები, როგორიცაა წარმოება და სოფლის მეურნეობა (სექტორები, რომელთაც შეუძლია ქვეყნის და უცხოურ ბაზრებზე გასვლა) კომპანიების მხოლოდ 19%-მა გაყიდა თავისი საქონლის 2/3-ზე მეტი შიდა ქართლის გარეთ და მხოლოდ 4%-მა ანუ სულ თორმეტმა კომპანიამ განახორციელა ექსპორტი. თორმეტიდან რვა ექსპორტიორი არის კვების სექტორთან დაკავშირებული. აქედან ოთხი აწარმოებს ვაშლის პროდუქციას და მთლიანად გააქვს საზღვარგარეთ, ერთი აწარმოებს ღვინის ექსპორტს, ერთი აწარმოებს კონსერვებს, ხოლო დანარჩენ ორ კომპანიას ექსპორტზე გააქვს დაუმუშავებელი სოფლის მეურნეობის პროდუქცია. ოთხი კომპანიიდან, რომელიც არაა დაკავშირებული კვების მრეწველობასთან ორი აწარმოებს სამშენებლო მასალებს,ხოლო დანარჩენი ორი ხის წარმოებაზე მუშაობს.

შიდა ქართლის გარეთ საქონლის გატანის დაბალი მაჩვენებელი იმაზე მიუთითებს, რომ სირთულეს წარმოადგენს ბაზრების ათვისება.

კომპანიებმა ასევე მნიშვნელოვან პრობლემად დაასახელეს ფინანსების ხელმისაწვდომობა, ხოლო ინვესტიციების ყველაზე მნიშვნელოვან წამახალისებელ ფაქტორად კომპანიების 77%-მა „სესხის გაიაფება“ დაასახელა.

ის სექტორები, სადაც დასაქმების პოტენციალი არსებობს, ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებული გარკვეული პრობლემების წინაშე დგანან.

კომპანიების 57%-ში დასაქმების მხრივ არაფერი შეცვლილა გასულ წელს.ხოლო კომპანიების რიცხვი სადაც თანამშრომლების მატება ან კლება იყო, დაახლოებით თანაბარია. თუმცა იმ კომპანიების რაოდენობა,სადაც მნიშვნელოვნად შეამცირეს თანამშრომლები, ორჯერ მეტია იმ კომპანიების რაოდენობაზე, სადაც თანამშრომლების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ყველაზე დიდი კლება იყო ვაჭრობის, სასტუმროების და რესტორნების სექტორში.

დასაქმების მხრივ ზრდა აღინიშნება კვების წარმოების, სოფლის მეურნეობის და მშენებლობის სექტორებში.

გარკვეული სირთულის წინაშე დგანან კომპნიები რაიმე კონკრეტული კვალიფიკაციის თანამშრომლების პოვნის მხრივ. ზოგიერთ სექტორში გაცილებით იოლია კვალიფიციურ კადრების მოძებნა, ვიდრე სხვაგან. მშენებლობის, ჯანდაცვის სექტორში ორჯერ უფრო რთულია კადრების მოძებნა, ვიდრე საშუალოდ. ხოლო ვაჭრობაში კადრების მოძებნა ორჯერ უფრო იოლია, ვიდრე ეს საშუალოდ არის შესაძლებელი. იმ პროფესიების ჩამონათვალი, რომელთა მოძიება კომპანიებს უჭირთ დიდია. მათგან გამოიყოფა თერთმეტი ყველაზე გავრცელებული პროფესია, ესაა: მცხობელი, დურგალი შემდუღებელი გამყიდველი, მზარეული, მენეჯერი, ოფიციანტი, საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტი, ელექტრიკოსი, ზეინკალი სანტექნიკოსი. გამოკითხვის მიხედვით, კომპანიების 15% აწარმოებს საკუთარი თანამშრომლების სისტემატიურ ტრენინგს. კომპანიების ზომის მიუხედავად, კომპანიების უმეტესობა ტრენინგის არ ჩატარების მიზეზად ასახელებდა ფინანსების

ნაკლებობას. შიდა ქართლში არსებული კომპანიების 7% აცხადებს რომ რეგულარული ურთიერთობა აქვს სახელობო განათლების სექტორთან.

2011 წლის 25 სექტემბრის მონაცემებით 289 სამუშაოს მაძიებელმა გაიარა პროფესიული გადამზადების ტრენინგი. კონსულტაციისა და დასაქმების ცენტრის მეშვეობით დასაქმებულია 608 ადამიანი.

გორის კონსულტაციისა და დასაქმების ცენტრი თანამშრომლობს ორგანიზაციებთან, კომპანიებთან და სთავაზობს ბენეფიციარებს გადამზადებას, დასაქმების პერსპექტივას შემდეგ სფეროებში: ვაჭრობა, ტურიზმი, სამშენებლო კომპანიები, მომსახურების სექტორი: რესტორნები, სასტუმროები, ბანკები და ფინანსური დაწესებულებები, სახელმწიფო კომპანიები, ნავთობის საწარმოო სადისტრიბუციო კომპანიები და სხვა.

კონსულტაციისა და დასაქმების პროექტის განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში გაიცა 62 გრანტი და დაფინანსდა 41 ბიზნესი, პურის საცხობი, ხალხური ხელსაქმის სახელოსნო, ავეჯის წარმოება, ავტო სახელოსნო, სამკერვალო, ხის საამქრო, ლითონის დამუშავების სახელოსნო, წისქვილი და სხვა.

მეწარმეობა, როგორც დასაქმების წყარო, ეკონომიკური ზრდის ლოკომოტივად არის მიჩნეული, ამიტომ ბიზნესის კეთებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი გზაა დასაქმების დონის ასამაღლებლად. საქართველოში ბიზნესის კეთების ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორებია; ფინანსების ხელმისაწვდომობა, ინფლაცია და არაადექვატური განათლების მქონე მუშახელი. ამიტომ მთავრობამ და შესაბამისმა უწყებებმა უნდა იმუშაონ ამ შეზღუდვების აღმოფხვრაზე, რათა მეწარმეობა სწრაფად განვითარდეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ეკონომიკური პოლიტიკს კვლევის ცენტრის კვლევა - დასაქმებისა და უმუშევრობის ტენდენციები საქართველოში. 2011 წ. ნოემბერი
2. www.economy.ge category=48 lang=geo8dn=1034
3. www.bfm.ge society /2661-jobs.html.
4. www.shidakartli.gov.ge /page=enterp8lang+geo
5. www.geostat.ge

Employment potential in Shida Kartli region

Lali Sreseli

Professor of Sukhishvili Teaching University

Tel: 598 72 36 08; E-mail: lalisreseli@yahoo.com

Resume

The work discusses problems of employment in Shida Kartli region and further actions are proposed to improve the situation in this direction.

სექცია №2

ა გ რ ა რ უ ლ ი
მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ე ბ ი

სექციის თავმჯდომარე:
ნელი გოგინაშვილი

საქართველოს ხორბლის დირსება

პეტრე ნასყიდაშვილი, ვალერი სუხიშვილი,
ია ნასყიდაშვილი, ქეთევან მგელდლიშვილი
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია
ხუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი

საქართველო უძველესი მიწათმოქმედების ქვეყანაა და წარმოადგენს კულტურული ხორბლის მრავალი სახეობის, მათ შორის "პურის ხორბლის – პური ჩვენი არსობისა" – რბილი ხორბლის, წარმოშობის სამშობლოს. ეს დასტურდება იმ ფაქტით, რომ ხორბლის ბოტანიკურ გვარში (Triticum L.) შემავალი სახეობებიდან, დღეგანდელ საქართველოს ტერიტორიაზე, აღმოჩენილი და აღწერილი იქნა 16 სახეობა, რაც შეადგენს, ხორბლის გვარში შემავალ სახეობათა 76 %-ს. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ საქართველოში აღმოჩენილი და რეგისტრირებულია, ხორბლის სახეობებში შემავალი 160 ზე მეტი სახესხვაობა და აგრეთვე, აბორიგენული ჯიშ-პოპულაციათა, ფორმათა და რასათა (150-ზე მეტი) მეტად დიდი მრავალფეროვნება.

გარდა სახეობათა, აბორიგენულ ჯიშ-პოპულაციათა, ფორმათა და რასათა მეტად დიდი მრავალფეროვნებისა, საქართველო მსოფლიო სხვა ქვეყნებს შორის გამოირჩევა ხორბლის ენდემური და უნიკალური სახეობების მრავალფეროვნებით. საქართველოში წარმოიშვნენ და ხალხური სელექციით შეიქმნა ხორბლის ენდემური ისეთი სახეობები, რომელთა მსგავსი არ გვხვდება მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში – ასეთი სახეობებია:

1. ჩელტა ზანდური – ტეტრაპლოიდური (2ნ=28) ზანდური (T. timopheevii Zuk.),
2. პექსაპლოიდური (2ნ=42) ზანდური (T. zukovskyi Men. et Erz.),
3. ქართული (კოლხური) ასლი (2n=28) (T. georgicum Dekapr.-T. paleo colchicum Men. et Er.),
4. ხორბალი მახა (T. macha Dekapr. et Men.), ხორბლის გვარში შემავალი პირველი პექსაპლოიდური სახეობაა (2n=42), რომელმაც დასაბამი მისცა "პურის ხორბლის – პური ჩვენი არსობისა" – რბილი ხორბლის (T. aestivum L.) წარმოშობას,
5. ქართული ხორბალი – დიკა (T. carthlicum Nevskyi – T. dica Sich. 2n=28). ეს სახეობა იქცა "კოსმოპოლიტ" სახეობად და "შეიჭრა" საქართველოს მეზობელ ქვეყნებშიც.

ამრიგად, ხორბლის გვარში შემავალი კულტურული ისეთი სახეობები, რომლებიც ეკოლოგიურად ძალიან ახლოს დგანან ხორბლის ველურ სახეობებთან, შემონახულია მხოლოდ საქართველოს აგროკულტურაში, ნაპოვნია მის არქეოლოგიურ განათხრებში და ცნობილია ქართველი ხალხის ლექსიკაში.

საქართველოს ხორბლის სახეობათა ენდემიზმისა და პოლიმორფიზმის მაღალმა დონემ საფუძველი მისცა ქართული ხორბლის დიდ მკელევარს ლ. დეკაპრელევიჩს ჯერ კიდევ 75 წლის წინ წამოეყენებინა დებულება იმის თაობაზე, რომ საქართველო ხორბლის კულტურულ სახეობათა წარმოშობის და მათი მრავალფეროვნების ძირითადი კერათაგანია. შემდგომში ეს დებულება დასაბუთებული იქნა ქართველი, ახლო და შორეულ საზღვარგარეთის ქვეყნებში მოღვაწე მრავალი მეცნიერის მიერ ჩატარებული გამოკელევებითაც.

საქართველოში დღემდეა შემორჩენილი მატერიალური კულტურის ენდემური ელემენტები, მათ შორის მეტად მნიშვნელოვანია კილიანი ხორბლის ასაღები ორიგინალური და მარტივი იარაღი "შნაქი", ანტიკური საბერძნეთის ისტორიკოსების (ქეროდოტე, ქსენოფონტე) შრომებში ვხვდებით ცნობებს ძველ საქართველოში ხორბლის მრავალ სახეობათა გავრცელების შესახებ. ქართული კულტურის დიდი მკვლევარი ივანე ჯავახიშვილი სწორედ ამ გამოკვლევებს ეყრდნობოდა, როცა აღნიშნა, რომ ეს მრავალფეროვნება არა მარტო მიწათმოქმედთა შედეგია, არამედ ალბათ საქართველოშიც იყვნენ ისეთი მკვლევარები, როგორც კატონი, კოლუმელა, პლინიუსი.

საქართველოს ხორბლის ენდემური სახეობები საინტერესოა, როგორც თეორიულად, ისტორიულად, ასევე სელექციური და პრაქტიკული თვალსაზრისით. მათი შესწავლით შესაძლებელი გახდა ეკონომიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სახეობის რბილი ხორბლის ევოლუციის აღდგენა. ცნობილია, რომ რბილი ხორბლის ისტორია გარკვეული დონით ადამიანთა კულტურის ისტორიაა.

საქართველოს ხორბლის ენდემურმა სახეობებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვეს სელექციური თვალსაზრისით. დადგენილი იქნა, რომ მათ გენოტიპშია გენები, რომლებიც განაპირობებენ დაავადებების და მავნებლების მიმართ ფენომალურ კომპლექსურ გამძლეობას – იმუნიტეტს (ხორბალი ტიმოფეევი, ხორბალი ჟუკოვსკი და ხორბალი ქართლიკუმი). ამ სახეობათა გამო საქართველო აღიარებულია იმუნური ხორბლის სამშობლოდ.

საქართველოს ხორბლის ენდემური სახეობების შესწავლით დადგენილი იქნა, რომ მათ გენოტიპშია ისეთი გენები, რომლებიც განსაზღვრავენ მარცვალში ცილის და ცილაში შეუნაცვლებელ ამინომჟავათა მაღალი დონით წარმოქმნას (ხორბალი ტიმოფეევი, ხორბალი ჟუკოვსკი, ხორბალი ქართლიკუმი, ხორბალი მახა). ამ სახეობათა გამო საქართველო მიჩნეულია მაღალხარისხოვანი ხორბლის სამშობლოდ.

აღნიშნული გენების პარალელურად, საქართველოს ხორბლის ენდემური სახეობების და აბორიგენული ჯიშ-პოპულაციების გენოტიპში, მსოფლიო მეცნიერების ისტორიაში პირველად ლ. ლ. დეკაპრელევიჩის მიერ აღმოჩენილი იქნა გენები, რომლებიც განაპირობებენ ევოლუციური თვალსაზრისით დადებით, ხოლო პრაქტიკულ – სელექციური თვალსაზრისით უარყოფით გენეტიკურ მოვლენას – პიბრიდულ ნეკროზს, რის გამოც საქართველო მიჩნეულია პიბრიდული ნეკროზის აღმოჩენის სამშობლოდ.

მსოფლიოში ხორბლის სელექციაში წარმატებით არის გამოყენებული იმუნური და მარცვლის მაღალი ხარისხის მჭონე, საქართველოს ხორბლის ტეტრაპლოიდური სახეობები ზანდური და დიკა. ამ სახეობების საფუძველზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მიღებულია იმუნური, მარცვლის მაღალი ხარისხის მჭონე, მაღალი და მყარ მოსავლიანი სასელექციო საწყისი მასალა (დონორები) თანამედროვე ინტენსიური ტიპის საშემოდგომო, საგაზაფხულო და ორთესლა ჯიშების და პიბრიდული ხორბლის მისაღებად.

საქართველოს ხორბლის ენდემური სახეობების საფუძველზე შეიქმნა ტეტრაპლოიდური, ჰექსაპლოიდური და ოქტაპლოიდური მრავალი ახალი სახეობა და ჯიშები.

საქართველოს ხორბლის ენდემური სახეობების შესახებ არსებული ციტოლოგიური, გენეტიკური, ციტოგენეტიკური, ფილოგენეტიკური, ბოტანიკური, ემბრიოლოგიური, ფიზიოლოგიური და სელექციური გამოკვლევები, და აგრეთვე, პრაქტიკა დამაჯერებლად ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ კოლხური ხორბლის პოპულაციები მახა და ზანდური წარმოქმნილია საქართველოს მიწა-წყალზე. არსად სხვაგან ხორბლის ევოლუციის ამგვარი ეტაპები წარმოდგენილი არ არის, მხოლოდ ქართველ ხალხშია დაცული ხორბლის

პირველადი კულტურული ფორმები, რომელთა შემდგომი ევოლუციისა და განახლების შედეგად წარმოიშვა მსოფლიოს მიწათმოქმედების საწარმოო ჯიშები.

ქართული ხორბალი და მისი ენდემური სახეობები იყო და არის მსოფლიო ტრიტიკოლოგთა ყურადღების ცენტრში, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მხოლოდ მათ შორისაა შემორჩენილი კულტურის პირველადი ფორმები, ველურ ფორმებისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით, მეორეც, მხოლოდ საქართველოშია დაცული ხორბლის გვარის პოლიპლოიდური რიგი – 2n=14, 2n=28, 2n=42 და მესამეც, მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ხორბლებს შორისაა სოკოვანი დაავადებებისადმი და მავნებლებისადმი გამძლე სახეობები, სახესხვაობები, ჯიშები, ფორმები და რასები.

საქართველოში, ხორბლის უნიკალური ენდემური სახეობების გარდა, წარმოიშვა რბილი ხორბლის (T. aestivum), მაგარი ხორბლის (T. durum), ხორბალ ქართლიკუმის (T. carthlicum) – დიკას მეტად თავისებური, ორიგინალური და ძვირფასი აბორიგენული ჯიშ-პოპულაციები, ფორმები და რასები, რომელთა წარმოქმნა განხორციელდა ხორბლის ენდემური სახეობების წარმოქმნის ძირითადი კერის მახლობლად. ეს ჯიშ-პოპულაციები საქართველოში წარმოდგენილი არიან, როგორც აბორიგენული ეკოლოგიური ჯგუფების სახით. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფიზიოლოგიური და მორფოლოგიური ნიშნებისა და თვისებების მკვეთრი გენეტიკური კონტრასტებით. მათი გენოტიპი პრაქტიკულ-სამეურნეო, სელექციური და გენეტიკური თვალსაზრისით ძვირფასი ნიშან-თვისებების გამაპირობებელი გენების მატარებელია. აბორიგენულ ჯიშ-პოპულაციებისათვის დამახასიათებელია საქართველოს მეტად ჭრელი, თავისებური კლიმატურ-ნიადაგობრივ პირობებისადმი მკვეთრად მაღალი ადაპტაციის უნარი, დაავადებებისადმი და მავნებლებისადმი გამძლეობა, მაღალ პროდუქტიულობა, გადიდებული ბარტყობის უნარი, ფერტილობის აღმდგენლობის უნარი, თავთავიდან მარცვლების ჩაცვენისადმი გამძლეობა, მარცვალში ცილის და ცილაში შეუნაცვლებელი ამინომჟავების გადიდებული შემცველობა, დაფქვისა და პურცხობის მაღალი უნარჯ, მყარი მოსაელიანობა. ყველა ამ მაჩვენებლის მიხედვით გამოირჩევიან რბილი ხორბლის აბორიგენული ჯიშ-პოპულაციები (ხულუგო, თეთრი და წითელი იფქლი, კორბოულის დოლის პური, ახალციხის წითელი დოლის პური, თიანეთის დოლის პური, ქართლის თეთრი და წითელი დოლის პურები, გომბორულა, ლაგოდეხის გრძელთავთავა, რაჭულა) და სელექციური ჯიშები (დოლის პური 35-4, დოლის პური 18-46, ძალისურა 35-3, თბილისური 5, თბილისური 8, ეარძია, დედა, მუხრანი, ლომთაგორა 123) ხორბალ ქართლიკუმის ჯიშები (დიკა 9/14, ქართლის დიკა, ჯავახეთის დიკა) და მაგარი ხორბლის ჯიშები (შავფხა, თაეთუხი 19/28).

მართალია, ქართული ხორბლის ენდემურ სახეობებს და აბორიგენულ ჯიშებს ამჟამად ფართო საწარმოო მნიშვნელობა არ აქვთ შედარებით დაბალი მოსაელიანობის გამო, მაგრამ გაანიათ ისეთი ძვირფასი სამეურნეო და ბიოლოგიური თვისებები, რომლებიც აუცილებელი კომპონენტებია ხორბლის ინტენსიური ტიპის მაღალმოსაელიანი ჯიშებისათვის, ესაა კომპლექსური იმუნიტეტი, ტოლერანტობა, ზამგრძნობიარობა, ამინომჟაეებით ბალანსირებული ცილების შემცველობა, დაფქვისა და პურისცხობის მაღალი თვისებები და სხვა.

როგორც აღვნიშნეთ, ქართულ ხორბალს ფართო საწარმოო მნიშვნელობა აღარ აქვს, მაგრამ მცენარეთა გენეტიკოსები და სელექციონერები მათ იყენებენ, როგორც დონორებს სხვადასხვა სამეურნეო და ბიოლოგიური ნიშნების და თვისებების გასაუმჯობესებელ, თუნდაც მაღალიმუნური საწყისი მასალის შესაქმნელად.

ცნობილია, რომ ხორბალს ყველაზე მეტ ზიანს აყენებს ჟანგა სოკოები, რომლებიც ე.წ ობლიგატურ პარაზიტებს განეკუთვნებიან და მხოლოდ მცენარის ცოცხალ ქსოვილზე სახლდებიან. საქართველოს ხორბლის ენდემურმა სახეობამ დიკამ ევოლუციის მანძილზე კარგად "შეისწაელა" ამ ბარბაროსული მტრის "ოინები" და გამოიმუშაეა მისგან თაედაცვის

ძალიან მარტივი, მაგრამ უაღრესად ორიგინალური მექანიზმი – უჯრედების თვითმკვლელობა, როცა მცენარის ფოთოლზე მოხვდება ჟანგას სპორები და იწყებს პათოლოგიურ პროცესს, ამ დროს მასპინძელი მცენარე იწყებს საკუთარი უჯრედების სიკვდილს, პარაზიტის სპორის ირგელიე წარმოიქმნება მკვდარი უჯრედების წრე და პარაზიტს "დაატყვევებს" ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. მცენარის გამძლეობის ასეთ მექანიზმს ზემგრძნობიარობას უწოდებენ.

ქართველი მეცნიერების მიერ ბოლო პერიოდში განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის საფუძველზე დადგენილია ქართული ხორბლის კიდევ ერთი ნიშანთვისება – რადიაციის გაზრდილი ფონისადმი შედარებით კარგი გამძლეობა.

ქართლის დოლის პურებისათვის კი დამახასიათებელია დაავადებათა მიმართ მაღალი ტოლერანტობის დონე. ხორბლის ეს ჯიშები დაავადებების სიძლიერისა და ინტენსიურობის ექვივალენტურად არ აქვეითებენ მარცვლის მოსავალს.

ამრიგად, საქართველოს ხორბლის უნიკალური ენდემური სახეობები და აბორიგენული ჯიშები მეტად საჭირო ნიშან-თვისებათა კომპლექსის მქონეა. ამიტომ ჩვენი წინაპრების მიერ შექმნილი და დღემდე მოტანილი ეს ოქროს ფონდი საკეთესო გენეტიკური წყაროა, მათ საფუძველზე თანამედროვე ინტენსიური მიწათმოქმედებისათვის საჭირო ჯიშების მისაღებად.

Dignity of Georgian wheat

Petre Naskidashvili, Valeri Sukhishvili,
Ia Naskidashvili, Ketevan Mchedlishvili
Agricultural Scientific Academy of Georgia
Sukhishvili Teaching University

Resume

The work describes that Georgia is the oldest country of cultivation and it represents the homeland origin of wheat. It is confirmed that 76 per cent of wheat family types are found in Georgia. More than 44 per cent of wheat breeds are only in Georgia. Except abundance of endemic types more than 160 types of the above-mentioned types are registered in Georgia. And, also, variety of aborigine breed-population.

Endemic types of Georgian wheat are very interesting with their theoretical, historical, selective and practical views. After studying Georgian wheat it is determined that Georgia is the homeland of high-quality wheat.

In addition, in the genotype of the Georgian endemic types and aborigine breed-populations some other genes were identified. They determined earlier, short and strong stalk forming, steadiness against fungal diseases and pests. Because of this Georgia is recognized as a homeland of immune wheat.

Except the above-mentioned genes the first genes were found out in Georgia in the genotype of the Georgian endemic types and aborigine breeds. They determine hybrid necrosis. Because of this Georgia is recognized as a homeland of discovering hybrid necrosis.

Georgian wheat and its endemic types are in the spotlight of world's triticologists. The first hubs are only among them and polyploidy order – 2n=14, 2n=28, 2n=42 of wheat botanic family is reserved only in Georgia. Only Georgian wheat can be durable against fungal diseases and pests.

On the basis of Georgian wheat endemic types many other species, breeds; forms and selection materials were formed. Therefore this golden fund established by our ancestors is the best genetic source to form necessary breeds for contemporary intensive cultivation.

ზოგიერთი ისტორიული ცნობა "პურის" შესახებ

პეტრე ნასყიდაშვილი, ვალერი სუხიშვილი,
ია ნასყიდაშვილი, ქეთევან მჭედლიშვილი
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია
სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი

ქართულ ენაში და საერთოდ, თითქმის ყველა ენაში არ არსებობს ისეთი ძლიერი სიტყვა, როგორიც არის "პური", რომელიც ქართულში ხორბლის სინონიმადაც იხმარება. ას შეუძლია ფრთები შეასხას ლირიკული ლექსის სტრიქონებს, და ამავე დროს იქცეს ცივილიზაციის შესახებ სამეცნიერო კვლევის საფუძვლად.

პურის დასაბამი იყო მიწათმოქმედების დაწყება. გავიხსენოთ ღვაწლმოსილი მეცნიერის აკადემიკოს ე. ეერნალსკის სიტყვები " მიწათმოქმედების აღმოჩენამ 600 თაობის წინ გადაწყვიტა კაცობრიობის მომავალი".

პური ადამიანთა კვების უმნიშვნელოვანესი პროდუქტია, წლიდან წლამდე დედამიწის მზარდი მოსახლეობის გამოსაკვები სასურსათე პროდუქტია, აუცილებელი საშუალებაა. პური ყველაზე წმინდაა მათ შორის, რაც დღეს ადამიანის გონების კარნახით, შრომითა და ტალანტით იქმნება.

უძველესი დროიდან დაწყებული ადამიანებს შეგნებული ჰქონდათ პურის განსაკუთრებული მნიშვნელობა და მისი უდიდესი ღირებულება, ამავე დროს მათ კარგად ჰქონდათ გათვითცნობიერებული, რომ პურს ბუნებრივი წარჩომავლობა აქვს, რის გამოც ხორბლის მარცვლის შეფასებას ლეგენდებსა და მითებში თავისებურად გამოხატავდნენ (ასახავდნენ), აღმერთებდნენ, მიიჩნევდნენ, რომ მათთვის ხორბალი წმინდაა, ძვირფასია და სიცოცხლისათვის აუცილებელი.

პურს არ ჰყოლია ერთი შემქმნელი. ეს შეუძლებელიცაა, რადგანაც პური არ არის ისტორიული კერძობა, პური ისტორიული განზოგადებაა. შეიძლება ითქვას, რომ ის ყოველდღიურად, კონკრეტულად ხილვადია, მაგრამ მაინც განზოგადებაა. საქართველოში არ არსებობს სოფელი, ქალაქი, დასახლება, და ასევე მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა, რომელიც ხოტბას არ ასხამდეს მძიმე შრომით მიღებულ პურს, არ ქმნიდეს ლეგენდებს, თქმულებებს, მითებს, ანდაზებს და ბრძნულ გამონათქვამებს.

გავიხსენოთ ის ღრმა აზრები, რომელიც ასახულია პურის საქებად გამოთქმულ ანდაზებში: "გლეხმა რა იყიდა-პურიო", "რა დამოკიდებულებაც გვაქვს პურისადმი, ის დამოკიდებულება გვაქვს საქმისადმი", "ვინც არ გაირჯება პურსაც ვერ მისწვდებაო", "ყველას სჯობია პურის პატრონიო", "თბილი პური თვალის წყალიაო", "პური თვალის ჩინიაო", "პური და გული სტუმარსა, წავა და შინ მოაგონდებაო", "პური-სახელმწიფოა, ოქრო და ვერცხლი-ლითონი, ხორბალი და ჭეავი-სიცოცხლე". ამ ანდაზების სიბრძნეს ეხმიანება შემდეგი ანდაზებიც: "ეინც პურს დააბიჯებს- დაბრმავდებაო" და სხვა მსგავსი გამონათქვამების ჩამოთვლა ნამდვილად შეუძლებელია.

საქართველოში და საერთოდ მსოფლიოში, "პურის" მრავალი რიტუალი და ნიშანი არსებობს, მათი ჩამოთვლა შეუძლებელია. გავიხსენოთ მხოლოდ რამოდენიმე მათგანი: "თუ წეროს ნისკარტში თაეთავს შევნიშნავთ, კარგ მოსავალს უნდა ველოდოთ", "იმისათვის, რომ გაიგო კარგი დიასახლისი შემოგყავს ოჯახში თუ არა, პური გამოაცხობინე", მიწაზე გადაგდებული პური დიდი უბედურების ნიშანია" და სხვა.

პური განახლება და სიხარულია, არსებობის დასაბამია. იგი უფრო მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი საკვები. პური თვით სიცოცხლის სინონიმია, მისი ტოლფასიც არის. მემატიანე არ იცნობს ცივილიზაციას, რომლის განვითარება მიწათმოქმედების გარეშე შესაძლებელი ყოფილიყო. ამიტომ პური ზნეობრივი კატეგორიაა. "ვინც არ იცის რა არის პური და შრომა", - წერდა გამოჩენილი პედაგოგი ვ. სუხომლინსკი, არ შეიძლება იყოს თავისი ერის შვილი, იგი კარგავს საუკეთესო სულიერ თვისებებს, ხდება განდეგილი, პატივისცემის უღირსი, გადაიქცევა უსახო არსებად. პურის დაფასება არ შეუძლია იმას, ვისაც დავიწყებული აქვს შრომა, ოფლი და დაღლილობა.

დიახ, დედამიწაზე გაჩნდა უდიდესი საოცრება – პური. საშემოდგომო ხორბლის სიმწიფენე, თავთავის სიმძიმე, მარცვლის მზის ზვირთცემა, თუ სურნელოვანი პურის კვერი-ეს ყველაფერი პურია. პური ყოველთვის იყო დღესასწაული, საფიცარი და სადიდებელი-სხვადასხვა დროს მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის, მაგრამ საქართველოსათვის განსაკუთრებულად ამაღლებული, ერისათვის ყოველთვის ერთნაირად წმინდა და პატივსაცემი.

"პურის" ღირსებას და მისდამი დიდ პატივისცემასა და მოკრძალებას ემსახურება ბრძნული სიტყვები: "თუ არ შეგაწუხა შიმშილმა, სუფრას არ მიუჯდე, პურზე ძვირფასი არაფერია; ხელდაუბანელი სუფრას არ მიუჯდე, პურზე სუფთა არაფერია; ქუდმოუხდელი სუფრას არ მიუჯდე, პურზე ხანდაზმული არავინაა; სანამ კარგად არ მოგშიედება სუფრას ნუ მიუჯდები, იცოდე პურის ფასი; ხელდაუბანელი სუფრას არ მიუჯდე და პურს ხელი არ მოჰკიდო, ეს პურის შეურაცხოფაა."

რამდენადაც უხვი არ უნდა იყოს სუფრა, რამდენი ფანტაზია და ოსტატობა არ უნდა გამოიჩინოს კულინარმა, პურზე გემრიელს და საჭიროს ვერაფერს მოიგონებს. პურზე მნიშვნელოვანი არაფერია არა მარტო სუფრაზე, არამედ მთელ ცხოვრებაში, და მაინც, რას ნიშნავს "პური ჩვენი არსობისა?"

"პური ჩვენი არსობისა" – ნიშნავს ადამიანის სიცოცხლისათვის აუცილებელს, იმას რის გარეშეც შეუძლებელია ადამიანის არსებობა.

მხატვრულ ლიტერატურაში, სამეცნიერო ნაშრომებსა და პოლიტიკურ მოღვაწეთა გამოსვლებში მოყვანილია პურის განმარტება. მაგალითად, უშაკოვის ცნობილ ლექსიკონში შეტანილია პურის ექვსნაირი განმარტება: 1-მარილიან წყალში გახსნილი ფქვილისაგან გამომცხვარი სასურსათო პროდუქტი; 2-იგივე პროდუქტი, რაიმე განსაზღვრული ნაწარმის სახით; 3-მარცვალი, რომლისაგანაც მზადდება ეს პროდუქტი; 4-რომლის მარცვლისაგან მზადდება ფქვილი და ბურღული; 5-სარჩო, სურსათი, კმაყოფა, რჩენა; 6-გასამრჯელო. მაგრამ ეს განმარტებები ვერ ამოწურავს "პურის" მნიშვნელობის სიღრმეს. პურის ცნების განზოგადებულ განმარტებად შეიძლება მიჩნეული იქნეს ცნობილი მეცნიერის ტომირიაზეევის გამონათქვამი პურის შესახებ, რომ პური ადამიანის გონების ერთ-ერთი უდიდესი გამოგონებაა, ისეთი ემპირიული აღმოჩენაა, რომ შემდგომში სამეცნიერო კელეევები მხოლოდ ამტკიცებენ ამ მარადიულ ჭეშმარიტებას.

ადამიანის სიცოცხლისათვის აუცილებელი პური იძენდა განსაკუთრებულ საკვებ მნიშვნელობას ძლიერი სოციალური ცვლილებების ჟამს, როდესაც მიმდინარეობდა სხვადასხვა მოვლენების მკვეთრი საზოგადოებრივი გადაფასება. ფრანგული დიდი რევოლუციის წევრი, მღელვარებით აღსავსე, იმ პერიოდის ერთ-ერთი შესანიშნავი მომქმედი პირი – აფთიაქარი, ქიმიკოსი, აგრონომი, მეცნიერების შორის ერთ-ერთი პირველი მეცნიერი იყო, ფრანგი ანტუან ოგიუსტ პერმანტიე, რომელმაც პურის ცხობის ხელოვნებაში გამოიყენა სამეცნიერო ცოდნა, დაგეიტოვა საოცრად ზუსტი და ხატოვანი გამონათქვამი "პური ბუნების დიდსულოვანი საჩუქარია, ისეთი სურსათი, რომლის შეცვლა რაიმე პროდუქტით შეუძლებელია. ავადმყოფობის დროს პურის გემოს შეგრძნების უნარი იკარგება ყველაზე

გვიან, ხოლო გემოს შეგრძნების აღდგენა, გამოჯანმრთელების ნიშანია. პურის მიღება შეიძლება დრე-ღამის ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ასაკში. პური მატებს გემოს ყველა სხვა პროდუქტს, და ითვლება ცუდი და კარგი საჭმლის მონელების ძირითად მიზეზად. რასაც არ უნდა მივამატოთ პური, ხორცს ან რაიმე სხვა კარგს, ის არ კარგავს თავის მომხიბვლელობას. პური იმდენად ესაჭიროება ადამიანს, რომ დაბადებიდანვე, მის გარეშე არსებობა წარმოუდგენელია და ეს გრძელდება სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე.

ადამიანის ოცნება პურზე სათავეს იღებს შორეული წარსულიდან. შეიძლება ითქვას, რომ ერების ისტორია და მთლიანობაში ჩვენი კაცობრიობის ისტორია არის პურისათვის მძიმე, ძალღონის გამომლევი ბრძოლა.

ეგვიპტის ერთ-ერთი წერილობითი დოკუმენტი-უდიდესი ფარაონ ჯიხარის ხანის ე.წ. შიმშილის სტელა – მოგვითხრობს შეიდი მოუსავლიანი, გამანადგურებელი წლის შესახებ, ხოლო რამოდენიმე ათასწლეულის შემდეგ, ანუ ორმოცი საუკუნის უკან, ფარაონ ხანმა დატოვა შთამომავლობისათვის შემდეგი ჩანაწერი: "მე გავცემდი ბრძანებებს რათა დათესილიყო მარცვლეული, და მე მიყვარდა მოსავლის ღმერთი, არავინ შიმშილობდა ბრზანებლობის დროს". ეს უიშვიათესი შემთხვევაა, მაგალითია იმისა, როდესაც მბრძანებელს ეამაყებოდა არა საკუთარი სასახლეების სიმდიდრე და ბრწყინვალება, ომები და საქმენი საგმირონი, არამედ საკუთარი ხალხის დაპურება.

პური პურის მეგობარია. ამ სიტყვებში იმალება პურის ნაირსახეობათა მრავალფეროვნება; საქართველოში ე სარის "დედას პური"; სომხეთში "ლავაში"; აზერბაიჯანში "ჩურეკი", უზბეკეთში "გოჯი" და "პულატა" (უმარილო პური), ყაზახეთში "დამერ-კარა", ლიტვაში – მსხვილი დაფქვილი ჭვავის მრგვალი პური, უკრაინული "პალიანიცა" (ფეჩის სიმხურვალისაგან დაბრაწული ხრასუნა ქერქით), რუსეთში – სარატოვის "კალაჩინი", ნაირნაირი ფუნთუშები, ბლინები, "ჭვავის პური", "ბოროდინი", "ორლოვსკი". საქართველოში, ახლო და საზღვარგარეთის ქვეყნებში სულ ცხვება პურფუნთუშეული ნაწარმის 800-ზე მეტი ნაირსახეობა. ახალ სახეობათა პურის გამოცხობა გრძელდება.

მშვენიერი პურის კეცი ჩვენს მაგიდაზე – ეს უამრავი ადამიანის საკუთარი საქმის ჭეშმარიტი ოსტატობის ერთობლივი შრომის შედეგია. მაგრამ პური მაინც ყანიდან იწყება.

Some historical notes about "bread"

Petre Naskidashvili, Valeri Sukhishvili,
Ia Naskidashvili, Ketevan Mchedlishvili
Agricultural Scientific Academy of Georgia
Sukhishvili Teaching University

Resume

The work describes that there is not such strong word as bread in Georgian language and generally in 90 per cent of the whole world countries. In Georgian language this word is used as a synonym of wheat. It can make wings to lyric poem lines and at the same time it can become the basis of scientific research centre about civilization.

Cultivation was the beginning of the "bread" and finding it out 600 generations ago the future of the mankind was decided. To understand the meaning of the "bread" we propose readers to read work completely and provide us with known opinions.

მეცნიერული კვლევა-ძიების მიღწევები სოფლის მეურნეობის აღმავლობის საფუძველთა საფუძველია

ვალერი სუხიშვილი
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი

მე-20 და 21-ე საუკუნის მეცნიერულმა მიღწევებმა არნახული პროგრესი განიცადა კაცობრიობის განვითარებისა და ადამიანთა მატერიალურ – სოციალური პირობების გაუმჯობესებისათვის. მსოფლიოს წამყვან მეცნიერებთან ერთად განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ქართველ მეცნიერებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. სოფლის მეურნეობაში ეროვნული დარგების მეცნიერულ განვითარებას მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს ცნობილმა მეცნიერებმა ლეონარდე დეკაპრელევიჩმა, პეტრე ნასყიდაშვილმა, ნიკო კეცხოველმა, ნიკოლოზ ლაჰჟეპიანმა, გიორგი ბადრიშვილმა, მარიამ სიხარულიძემ, გიორგი კვაჭაძემ, ნანა რუსიტაშვილმა, ნიკოლოზ ხომიზურაშვილმა, ნატროშვილმა, ირაკლი ბათიაშვილმა და მრავალმა სხვა გამოჩენილმა ქართველმა მოღვაწემ, რომელთა სიმრავლემ და მაღალკვალიფიციურმა მეცნიერულმა მიღწევებმა საქართველოს სოფლის მეურნეობის აღმაველობაში განსაკუთრებული როლი ითამაშეს.

სწორედ მათი დამსახურებით ჩამოყალიბდა საქართველოში სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები მეხილეობაში, მევენახეობაში, მემცენარეობაში, მეცხოველეობაში, მიწათმოქმედებაში, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავების ტექნოლოგიაში, ირიგაციასა და სხვა დამხმარე დარგებში. ამის შედეგი იყო ის, რომ საქართველოს თითქმის ყველა რაიონში მოქმედებდა ამ კვლევითი ინსტიტუტების საცდელი და ჯიშთა გამოცდის სადგურები. ამ ბაზებზე იქმნებოდა ახალი უხვმოსავლიანი ჯიშები, ყალიბდებოდა ძველი და ახალი ჯიშების გენოფონდები.

სამწუხაროდ ცნობილი მოვლენების გამო ეს გენოფონდები განიავდა და განადგურდა. უფრო სამწუხაროა ის, რომ ფუნქცია დაკარგა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ, რომელიც კოორდინაციას უწევდა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების, საცდელი სადგურებისა და ჯიშთა გამოცდის ფუნქციების საქმიანობას. ფაქტიურად აღარ ფუნქციონირებს ისეთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები, როგორიცაა მეხილეობა-მევენახეობის და მელვინეობის; მიწათმოქმედების; მცენარეთა ბიოქიმიის; ნიადაგმცოდნეობის; აგროქიმიისა და მელიორაციის; აგრარული რადიოლოგიისა და ეკოლოგიის; სუბტროპიკული მეურნეობის; მეაბრეშუმეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები თავისი სრულფასოვანი საყრდენი საცდელი ბაზებითა და სადგურებით.

სწორედ ამ ფაქტორებმა და მეცნიერების ფუნდამენტური პირობების უგულებელყოფამ მიიყვანა საქართველოს სოფლის მეურნეობა სრულ განადგურებამდე. ისიც მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესმა ასპარეზიდან განდევნა

გამოცდილი მეცნიერები, საუკეთესო სპეციალისტები, რომლის რეაბილიტაციას ერთი ათეული წელიც არ ეყოფა.

დღეს აქტიურად საუბრობენ სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, რაც მეტად მნიშვნელოვანია და მომავლის იმედსაც იძლევა, მაგრამ ტექნიკურ აღჭურვილობასთან და სარწყავი სისტემების აღდგენა-გაფართოებასთან ერთად უმნიშვნელოვანესია მეცნიერული კადრების აღზრდა, სპეციალისტების მომზადება, რომელიც დღეს საეალალო მდგომარეობაშია.

საეალალოა ისიც, რომ საქართველოს აგრარულმა უნივერსიტეტმა დაკარგა თავისი ძირითადი ფუნქცია და აგრონომიული კადრების მომზადებას ამჟამად მცირე პროცენტიღა უკავია, რომელმაც წარსულში უდიდესი როლი შეასრულა აგრარული კადრების მომზადებაში, ასევე ასპარეზიდან გაქრა საქართველოს ზოოვეტ ინსტიტუტი და რამოდენიმე ამ დარგის კოლეჯები.

მიმაჩნია, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ განგაშის ზარებს უნდა უსმოს, რამეთუ პირველ რიგში დაფინანსდეს სამეცნიერო კვლევის დარგები, ხელი შეუწყოს თანამედროვე მოთხოვნილების აგრარული კადრების მომზადებას და მათ დასაქმებას.

სუხიშვილის უნივერსიტეტის რექტორატმა ჯერ კიდევ სამი წლის წინ წამოიწყო ამ მიმართულებით პროგრამის განხორციელება, რისთვისაც დაფუძნდა აგრარული და სატყეო სპეციალობის ფაკულტეტი, თუმცა შექმნილი პირობების გამო განეიცდით კონტიგენტის სიმცირეს, რაც განპირობებულია სახელმწიფო სტრატეგიის უქონლობისა და ამ დარგში დასაქმების ნაკლები გარანტიების გამო. მიუხედავად იმისა, რომ მცირე ჯგუფიანი აგრარული სპეციალობები ჩვენთვის წამგებიანია, ამ სპეციალობებს მაინც ვინარჩუნებთ მომავლის პერსპექტივების იმედით. უფრო მეტიც – ჩვენ უნივერსიტეტში ჩამოვაყალიბეთ აგრარულ - ეკონომიკური სამეცნიერო კვლევითი განყოფილება, რომელიც ეწევა ამ დარგის სამეცნიერო კვლევით სამუშაოებს, ატარებს სამეცნიერო კონფერენციებს ადგილობრივ და საერთაშორისო მასშტაბებით. ამ კვლევით განყოფილებასთან ერთად ფუნქციონირებს სტუდენტთა სამეცნიერო კვლევის ცენტრი, რომელიც პროფესორებთან და სამეცნიერო კვლევით განყოფილების დახმარებით ატარებენ ნაყოფიერ სამეცნიერო კვლევით სამუშაოებს და მიღწევები განიხილება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებზე. საჭიროა ასეთი მიმართულებით ინტენსიურად იმუშაონ საგანმანათლებლო დაწესებულებებმა.

მიმაჩნია, რომ მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გათვალისწინებული ერთი მილიარდის გამოყოფა მეტად წინ გადადგმული ნაბიჯია, მაგრამ მეცნიერული დარგების აღდგენისა და სრულყოფილი მართვის სტრუქტურების გარეშე ეს გამოყოფილი თანხა ნაკლებ პერსპექტიული იქნება.

რაც მთავარია, სოფლის მეურნეობაში უნდა შეიქმნას მართვის ეფექტური სისტემა კოოპერატიულ-ფერმერულ მოდელზე დაყრდნობით. დიახ, დღეს თითქოს მოქმედებენ ფერმერები, თვითშემოქმედების პრინციპებზე, ისიც ერთეულებს წარმოადგენენ და ვერაფითარ შედეგს აღწევენ ქვეყანაში ერთიანი სისტემის და მყარი კანონების უქონლობის გამო. ძირითადად საქართველოს სოფლის მეურნეობა წარმოდგენილია წვრილი გლეხური (წვრილ მესაკუთრე) მეურნეობებით, რომლებიც

პირად მოთხოვნილებებსაც ვერ იკმაყოფილებენ და პროდუქციის გასაღების სისტემის უქონლობის გამო ინდივიდუალურად უხდებათ გადამყიდველებით გაძეძგილ ბაზარში თითო ოროლა კალათით ვაჭრობა. ეს პროცესი მეტად წამგებიანია გლეხისთვის და ხშირად გზის ხარჯებში უნდება რეალიზებული პროდუქციის შემოსავალი.

ამიტომ გადაუდებელ აუცილებლობად მიმაჩნია სოფლის მეურნეობის მთლიანი მართვის სისტემის რეორგანიზაცია. აქ შეიძლება მრავალი ვარიანტის სხვადასხვა მოდელის შემოთავაზება ქართულ ტრადიციებზე დაყრდნობით, გერმანული, შვედური, ინგლისური ფერმერული მართვის მოდელების დამუშავება და შერწყმა ადგილობრივ პირობებთან.

მიზანშეუწონელია ისიც, რომ რაიონებში შემოიღეს მთავარი აგრონომის საშტატო ერთეული, რომელსაც არაეითარი ფუნქცია არ გააჩნია და ზოგ შემთხვევაში არასპეციალისტიც კი დაინიშნა ამ საქმეში.

მიმაჩნია, რომ რაიონებში უნდა შეიქმნას ფერმერული კავშირები, რომელსაც რეგიონის ცენტრში ეყოლება დემოკრატიულ პრინციპებზე არჩეული მართვის ორგანო, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ტეხნიკით, შხამქიმიკატებით, სხვა საჭირო ინვენტარით ფერმერთა მომსახურებაზე ან ტეხნიკის მიყიდვაზე, აგრეთვე პროდუქციის გასაღების უზრუნველყოფაზე. ამასთან ერთად წერილ გლეხური მეურნეობები უნდა გაერთიანდნენ (ნებაყოფლობით) ფერმერულ კავშირებში, რომელსაც ეყოლება დემოკრატიულად არჩეული მართვის სისტემა (ორგანო). რა თქმა უნდა მთავრობის მიერ შემუშავებული საერთო პრინციპებისა და დებულებების ფარგლებში, კანონმდებლობით გამყარებული წესდების შესაბამისი საქმიანობით.

ამასთან ერთად სისტემის ჩამოყალიბებისა და შემდგომი სწორი მოქმედებისათვის მიზანშეწონილად მიმაჩნია შეიქმნას კომისია გამოცდილი სპეციალისტებისა და ცნობილი მეცნიერების შემადგენლობით, რომელიც შეიმუშაევებს საქართველოს პირობებისათვის მსოფლიო გამოცდილების კვალობაზე, სოფლის მეურნეობის მართვის სისტემის კანონმდებლობის შესაქმნელად. ამ კომისიაში მიზანშეწონილი იქნება ყველა რაიონიდან ერთი ან ორი კვალიფიციური სპეციალისტი იყვეს შეყვანილი. რაც აუცილებელია საქართველოს სხვადასხვა კუთხის მრავალფეროვნების და განსხვავებული პირობების გამო.

ჩვენი გამოცდილების პრაქტიკამ და მრავალი ქვეყნის მიერ სოფლის მეურნეობაში გატარებულმა რეფორმებმა ნათლად დაგვანახა, რომ წერილ გლეხური მეურნეობა არარენტაბელურია, გაცილებით მეტ წარმატებებს მიაღწიეს იმ ქვეყნებმა, სადაც განხორციელდა მიწის წერილ მესაკუთრეთა გაერთიანება მსხვილ ფერმერულ მეურნეობებად, უმეტესად კოოპერაციული გაერთიანებების პრინციპით. ასე მაგალითად, გერმანიაში ომის შემდგომ პერიოდში განხორციელდა მიწის წერილ მესაკუთრეთა გაერთიანება მსხვილ ფერმერულ მეურნეობებად, რომელიც გაცილებით რენტაბელური გამოდგა ადრე არსებულ წერილ გლეხურ მეურნეობებთან შედარებით და ყველასთვის ცნობილია გერმანიაში აგრარული სექტორის მიღწევები, ასეთივე რეფორმები განხორციელდა შვედეთში, სადაც ომამდე არსებული 296227 ფერმერული მეურნეობა გაერთიანების შედეგად 50 წლის განმავლობაში შემცირდა 91485

ერთეულამდე, რამაც დიდი შედეგები მოუტანა ფერმერებს და სახელმწიფოს. აშშ-ს ფერმერულ მეურნეობებში კი ყველაზე წარმატებულად ითვლება ის ფერმერული მეურნეობა, რომლის ფართობი 1000 და 2000 ჰა-ს აღემატება.

თუნდაც ყოფილ საბჭოთა კავშირის პირობებში არსებული კოლმეურნეობებისა და მეურნეობების მართვის პირობებში, მიუხედავად მათი ბევრი მანკიერი მხარისა, კოლმეურნეობები და მეურნეობები უკეთეს მოდელს წარმოადგენდა პროდუქციის წარმოების სიუხვისა და რენტაბელობისათვის, ვიდრე შემდგომ დაქუცმაცებული წვრილ მესაკუთრეთა მეურნეობები. ამის შედეგად სოფლის მოსახლეობის სოციალური და ეკონომიური პირობები მკვეთრად გაუარესდა. ამის გამო 2-ჯერ და მეტად შემცირდა პროდუქციის წარმოება, გართულდა მისი ორგანიზებული რეალიზაცია, რამაც თითოეული ოჯახის შემოსავალზე კატასტროფული შედეგი იქონია.

აქედან დასკვნა ერთია, დაუყონებლივ უნდა გადავიდეთ წვრილ მესაკუთრეთა ფერმერულ მეურნეობათა გაერთიანებებზე და შევქმნათ სრულყოფილი მართვის სტრუქტურა სოფლის მეურნეობაში.

Achievements of scientific research are main principles of agricultural growth

Valeri Sukhishvili

Doctor of Agricultural Sciences, Professor,

Rector of Sukhishvili Teaching University

Resume

First of all it is essential for the development of agriculture to restore functioning of scientific research centers with its experimental bases of agricultural sector. In addition it is necessary to elaborate regional and local democratic management structures in accordance with local conditions that will be based on voluntary principles and help small owners and farmers to create cooperative association. It will contribute of production profitability and arranging farming better management.

ავთანდილ ზედგინიძე,
სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი
ეკონომიკის. მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
Tel: 551 99 25 87

ცნობილია, რომ საქართველოში მიმდინარეობს ეკონომიკური რეფორმები, რომელთა მიზანია საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნათა საფუძველზე ეროვნული მეურნეობის სრულფასოვანი აღორძინება და მდგრადი განვითარება, ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება. ამ საპატიო ამოცანის წარმატებით განხორციელებაში თავისი როლი უნდა შეასრულოს საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთმა დარგმა სატყეო მეურნეობამ. ტყეების ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოყენების თვალსაზრისით საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლში ნათქვამია, რომ „ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს“ [1].

ტყის მნიშვნელობა:

თავისთავად ცხადია, უწინარეს ყოვლისა განისაზღვრება, მისი როგორც ადამიანის საარსებო ბუნებრივი გარემოს უმნიშვნელოვანესი ფუნქციით, ამავე დროს არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ტყე საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის უმნიშვნელოვანესი რგოლია, ეროვნული სიმდიდრის ძალზე მნიშვნელოვანი ნაწილია. ტყით დაფარულია ქვეყნის საერთო ჯართობის ორმოცი პროცენტი, მერქნის მარაგი კი 435 მლნ. კუბ. მეტრს წარმოადგენს. ასეთ რესურსებს არ ფლობს ბევრი ქვეყანა, მათ შორის ჩვენს რეგიონში. ამასთან პირდაპირ უნდა ითქვას, რომ საქართველოში საბაზრო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე პირობებში ამ უდიდეს პოტენციურ შესაძლებლობას ვერ ვიყენებთ რაციონალურად და ეფექტიანად, საკმარისია ითქვას, რომ ტყის მეურნეობის წილი ქვეყნის შიდა პროდუქტში, მხოლოდ პროცენტის მეათედს ოდნავ აღემატება.

აღსანიშნავია ისიც, რომ 1995-1997 წლებში შემუშავებული იქნა სატყეო მეურნეობის აღორძინებისა და განვითარების სახელმწიფო

პროგრამა რომელშიც მოცემული იყო დარგის წინაშე მდგომი ამოცანები: სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე (მერქნიული, არამერქნიული და სხვ.) არსებული რესურსების ათვისების, გამოყენებით და კვლავწარმოების ღონისძიებები, სატყეო დარგის მმართველობის ფორმები, დაფინანსების წყაროები, კადრების მომზადების წესები და სხვ. სამწუხაროდ შემუშავებული პროგრამა ფარატინა ქაღალდზე დარჩა და სხვადასხვა სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო პრაქტიკულად ვერ განხორციელდა.

უფრო მეტიც 2000 წლიდან დაწყებული 2012 წლის ჩათვლით რამოდენიმეჯერმე შეიცვალა სატყეო დარგის გაძღოლისა და მართვის, ბუნებრივი რესურსების ათვისება-გამოყენების ფორმები რამაც წინა პლანზე წამოიწია ისეთი პრობლემების გადაწყვეტა, როგორიცაა:

1. მოსახლეობაზე საშეშე მერქნით უზრუნველყოფის პრობლემა;
2. ტყის ხანძრებისაგან დაცვის პრობლემა;
3. ტყის აღდგენის პრობლემა;
4. ტყეთსარგებლობაში არსებული პრობლემები;
5. დარგის დაფინანსებისა დას ხვა პრობლემები.

აქვე უნდა ითქვას, რომ ეკონომიკის რეგულირების საქმეში საქართველოს საკმაოდ შთამბეჭდავი მიღწევების ფონზე სატყეო მეურნეობის ჯერჯერობით სრულყოფილად არ შეეხება ოპტიმალური ფორმის რეორგანიზაცია. ამ მეტად სპეციფიკური დარგის გარდაქმნა ტრაფარეტების საფუძველზე ვერ მოხერხდება. მაგრამ დღეისათვის მთელი სიმწვავით იგრძნობა ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური ეკოლოგიური და პოლიტიკური შერწყმის საფუძველზე ტყეების დაცვის, კვლავწარმოების, ტყის რესურსების სარგებლობის და სატყეო მრეწველობის სფეროში სახელმწიფოებრივი სტრატეგიის შემუშავებისა და განვითარების აუცილებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე მინდა გამოვთქვა ჩვენი მოსაზრებები სატყეო სექტორში ზემოდ დასახელებული პრობლემებისა და მათი გადაწყვეტის გზების შესახებ.

1. მოსახლეობის საშეშე მერქნით უზრუნველყოფის პრობლემები.

მიუხედავად სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ საკითხის არაერთგზის დაყენებისა, ქვეყანაში დღემდე არ არის შემუშავებული ხე-ტყის ნედლეულის სათბობად გამოყენების სხვა ალტერნატიული ნედლეულით (ქვანახშირი, ტარიფი, ბუნებრივი გაზი და სხვა) შეცვლის ეროვნული პროგრამა. ამას ემატება ისიც, რომ

მოსახლეობა თავისი დაბალი მყიდველობითი უნარიანობის გამო ვერ იძენს სხვა სახის სათბობ რესურსებს (6 რომლითაც რაიონის მოსახლეობის მომარაგებას ცდილობენ კომერციული სტრუქტურები(6 რის გამოც მოსახლეობის, ლტოლვილების და საბიუჯეტო ორგანიზაციების გათბობის ძირითად საშუალებად ისევ შეშა რჩება.

ალტერნატიული პროგრამის შემუშავებისას ჩვენი მოსაზრებით აუცილებელია დაზუსტდეს რაიონების მიხედვით მოსახლეობისათვის გამოსაყენებელი სათბობის სახე(6 იმ რაიონების ნუსხა და საშეშე მერქნის ოდენობა, სადაც სათბობ საშუალებას ძირითადად შეშა წარმოადგენს. აღნიშნული ინფორმაციის შემდგომ უნდა შემუშავდეს და მთავრობის მიერ დამტკიცდეს მოსახლეობის შეშით მომარაგების პროგრამა.

2. ტყის ხანძრებისაგან დაცვის პრობლემა.

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით მწვავედ დგას ტყის ხანძრებისაგან დაცვის საკითხი. სატყეო დეპარტამენტის მიერ არაერთგზის იქნა დასმული საკითხი ტყის ხანძრების ოპერატიულად ლიკვიდაციის მიზნით ტყის ხანძრებისაგან დაცვის ღონისძიებები სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში გათვალისწინებული ყოფილიყო დაცულ მუხლად. მაგრამ ეს საკითხი დადებითად არ იქნა გადაწყვეტილი, რის გამოც შესაბამისი სამსახურები ხანძრის შემთხვევაშიც კი უარს აცხადებენ ბიუჯეტით გათვალისწინებული ტყის დაცვის ღონისძიებებზე გამოყოფილი თანხების გაცემაზე, როგორც ამას ჰქონდა ადგილი წინა წლებში.

3. ტყის აღდგენის პრობლემა. საქართველოს ტყეებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტყის აღდგენა-განახლების ღონისძიებების გატარებას, კერძოდ: ტყის გაშენებას ღია, სარეკონსრუქციო და ეროზირებულ, აგრეთვე ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის ჭრაგაელილ, დაბალი სიხშირისა და დაბალი პროდუქტიულობის ფართობებზე.

უნდა აღინიშნოს, მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებშიც კი ტყის ხელოვნური გაშენება მიზნობრივ-პროგრამულ ხასიათს ატარებს. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით იქნა შემუშავებული საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 31 დეკემბრის №782 ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული პროგრამა „ტყე“, [2], სადაც ტყის აღდგენა-განახლების ღონისძიებებში მთავარი ყურადღება დაეთმო მიზნობრივ-

სპეციალიზირებულ (კაკლების, თხილის, ნუშის, აკაციის, და სხვ.) პლანტაციების გაშენებას, რომლის ფართობები ეკოლოგიურ ეფექტიანობასთან ერთად ექსპლუატაციაში შესვლიდან მნიშვნელოვან დამატებით შემოსავალს მისცემდა ქვეყნის ბიუჯეტს. თუმცა სამწუხაროდ პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები მისი დაუფინანსებლობის გამო ვერ განხორციელდა. აქედან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია გამოიახოს წყაროები აღნიშნულ პროგრამების დასაფინანსებლად. შესაბამისად დიდი ყურადღება მიექცეს ტყის აღდგენის ღონისძიებების ჩატარებას საქართველოს ყველა რეგიონში ჭრაგავლილ ფართობებზე.

4. ამჟამად ხე-ტყის დამზადება-გადამუშავებით დაკავებულნი არიან კერძო სტრუქტურები, საჭიროა შეიქმნას და დაინერგოს უშუალოდ ტყეში დასაქმებული მეწარმეებით მომზადების სისტემა, რადგან დღეს ტყეს უდიდეს ზიანს აყენებს არაპროფეისონალების მიერ რესურსების მოპოვება, რომელთაც მხოლოდ სურვილი გააჩნიათ და არა აქვთ ტყეში მუშაობის გამოცდილება, უნარ-ჩვევებიდ არ გააჩნიათ ხე-ტყის დასამზადებელი სრულყოფილი, თანამედროვე ტექნიკური საშუალებები, ვერ ერკვევიან ელემენტარულ გარემოს დაცვით მოთხოვნებში, რის გამოც გარემოს დაზიანებასთან ერთად, ადგილი აქვს თვით დასაქმებულთა დაზიანება-დასახიჩრებას და სიკვდილიანობის ფაქტებსაც.

აღნიშნულის გამო სავალდებულო სერტიფიცირებას უნდა დაექვემდებაროს სატყეო დარგში მომსახურეობა, ანუ სატყეო-სამეურნეო საქმიანობის (ხე-ტყის დამზადება-გამოზიდვა, სატყეო-სამეურნეო გზების მშენებლობა) განხორციელება, რისთვისაც აუცილებელია მომქმედ კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა. ეს ხელს შეუწყობს მაღალ პროფესიულ დონეზე მეწარმე სუბიექტების დასაქმებას.

5. დარგის დაფინანსების პრობლემა. ქვეყანაში ამჟამად მოქმედი საფინანსო და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად ყველა სახის შემოსავალი, რომელიც მიიღება სახელმწიფო ტყის ფონდის ბუნებრივი რესურსების სარგებლობისათვის გადასახადის სახით მიემართება სახელმწიფო (ადგილობრივ) ბიუჯეტში, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხორციელდება დარგის დაფინანსება. ანუ ტყის დაცვის, აღდგენისა და კვლავწარმოების ფინანსური უზრუნველყოფა. ფაქტიურად სრულდება პირველი ნაწილი, ხოლო მეორე ნაწილი სატყეო დარგის დაფინანსება მცირდება. რაც უარყოფით გავლენას ახდენს ტყის ფონდის

მდგომარეობაზე, ვინაიდან არ ხდება ტყის ხელოვნურად გაშენების ხელშეწყობა და სრულფასოვანი დაცვა. რაც თავის მხრივ ხელს უწყობს უკანონო ტყეთსარგებლობას და ბიუჯეტში შენატანების შემცირებას.

სატყეო დარგის დაფინანსების სრულყოფის მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია, რომ ბუნებრივი რესურსების სარგებლობიდან მიღებული შემოსავლებიდან 60 პროცენტი დარჩეს რეგიონალურ სატყეო სამმართველოს დაქვემდებარებაში, ხოლო 40 პროცენტი ჩაირიცხოს სახელმწიფო ბიუჯეტში. ეს საშუალებას მისცემს რეგიონალური სატყეო სამმართველოების სახელმძღვანელოებს მიზნობრივად დააფინანსოს ის სატყეო უბნები, რომლებიც ყველაზე მეტად ეწევიან ტყეების მოვლა-დაცვას და კვლავწარმოების სამუშაოების ფართოდ ჩატარებას.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია. ოფიციალური ტექსტი. თბ., 2005. გვ. 13.
2. საქართველოს სატყეო მეურნეობის დარგის აღორძინებისა და მისი შემდგომი განვითარების სახელმწიფო ეროვნული პროგრამა. – „ტყეა“. თბ., 1997.

Some of the problems in the forestry sector and ways of solution

Avtandil Zedginidze,
Doctor of Economic sciences, Professor
Tel: 551 99 25 87

Resume

It is known that economic reforms are implementing in nGeorgia. Their aim is to revival national agriculture on the basis of market economic demands, sustain development and to improve social-economic conditions of the country's population. Forestry industry should fulfill its role to implement this task successfully. In accordance with this the article proposes problems and ways of solution of forestry development.

წონასწორობის დინამიკური ხასიათი და სტატიკა

დიანა ტატუნაშვილი

სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი

ქიმიური რეაქციის შესწავლისას საჭიროა ორი საკითხის გარკვევა:

1. როგორია მოცემული რეაქციის სიჩქარე?
2. რამდენ ხანს გრძელდება რეაქცია მოცემული მიმართულებით?

მთავარი განსილვის საგანია ქიმიურ სისტემებში დინამიური წონასწორობა და რა კავშირშია იგი პირდაპირი და შებრუნებული რეაქციების სიჩქარეებთან. ამისათვის იყენებენ ლე შატელიეს პრინციპს, რომელიც საშუალებას გვაძლევს წინასწარ განვსაზღვროთ სხვადასხვა ცვლილებების გავლენა წონასწორულ სისტემაზე.

დინამიკური წონასწორობა უფრო თვალნათელი რომ გახდეს, განვიხილოთ ზოგიერთი მაგალითები.

ყველა ჩვენთაგანმა იცის, თუ რატომ ორთქლდება ღვინო ჭურჭლიდან, ან სველი ტანსაცმელი მზეზე სწრაფად რატომ შრება. მაგალითები გვიჩვენებენ, რომ მოლეკულები (როგორც ბუნებრივი, ასევე სინთეზური) ადვილად ტოვებენ თხევად მდგომარეობას და უხილავ ნაწილაკებად მიემათებიან ჰაერში „სამოგზაუროდ“.

ჩვენ გვსმენია ღვინის კოლექციების შესახებ, რომლებიც ასეული წლების მანძილზე სარდაფებშია შენახული, ხოლო შემდეგ კოლოსალურ თანხებში იყიდება. დაბეჭდილ ღვინოში კი გარეგნულად თითქოს არაფერია შესამჩნევი. რა თქმა უნდა, ღვინოში რაღაც გარეგნული ცვლილებები მიდის (მაგ: ნალექის წარმოქმნა). საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ სანამ ღვინო მშვიდად დევს ღვინის საწყობში, შესამჩნევი მოლეკულური „ურთიერთობა“ ბოთლის შიგნით სითხესა და აირს შორის არ მიმდინარეობს. თუმცა მოლეკულების მოძრაობა ბოთლში გრძელდება. შეუმჩნეველად და უხმაუროდ მოძრაობენ დახურულ ოთახში ჰაერის მოლეკულები, ცოცხალ უჯრედებში მემბრანების გავლით განუწყვეტლივ შედიან საჭირო და მარტივი მოლეკულები უჯრედებში. მოძრაობა არ წერდება მყარ სხეულებსა და კრისტალებშიც კი. სისტემებში ყოველთვის მიმდინარეობს თვალით უხილავი ნაწილაკების მოძრაობა. გაზებში მკვეთრი და სწრაფი, შედარებით ნელი სითხეებში და მყარ სისტემებში. სისტემები, რომლებიც სტატიკური გეგმვენება, სინამდვილეში დინამიკურ მდგომარეობაშია. სისტემის ეს შინაგანი „დაძაბულობა“, რომელიც გარეგნულად მშვიდი გეგმვენება, ქიმიაში ცენტრალურ როლს თამაშობს.

განვიხილოთ თუ რას წარმოადგენს წონასწორობა „მოლეკულურ დონეზე“. იოდის სპირტის წყალხსნარში გახსნის მაგალითზე სურათზე გამოსახული სისტემა იმყოფება წონასწორულ მდგომარეობაში. სპირტისა და წყლის ნარევში ხსნიან კრისტალურ იოდს მანამდე, სანამ ხსნარი არ გახდება გაჯერებული. ამის შემდეგ იოდის გახსნა შეჩერდება და შეფერილობაც აღარ შეიცვლება.

იოდის კრისტალის გახსნისას ხსნარში გადადის კრისტალის შრის ზედაპირზე მყოფი მოლეკულები. გახსნის პროცესის სიჩქარე დამოკიდებულია კრისტალების მდგრადობასა და ტემპერატურაზე. თუ გახსნა გრძელდება, მაშინ იზრდება იოდის მოლეკულების კონცენტრაცია ხსნარში.

დროდადრო ხსნარში მყოფი იოდის მოლეკულა ეჯახება იოდის კრისტალის ზედაპირს და რჩება მასზე. ამ პროცესს უწოდებენ კრისტალიზაციას. მისი სიჩქარე იზრდება ხსნარში იოდის კონცენტრაციის გაზრდით.

ჩვენ განვიხილეთ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პროცესი. მოცემულ ტემპერატურაზე, კრისტალის ზედაპირიდან მოლეკულები მუდმივი სიჩქარით გადადიან ხსნარში. ამით იზრდება ხსნარის კონცენტრაცია. მეორეს მხრივ გახსნილი მოლეკულები მუდმივად ეჯახებიან კრისტალის ზედაპირს და ილექებიან მასზე, რის შედეგადაც მცირდება მოლეკულების კონცენტრაცია ხსნარში. როდესაც გახსნილი ნივთიერების კონცენტრაცია განსაზღვრულ სიდიდეს მიაღწევს, რომლის დროსაც გახსნისა და დალექვის სიჩქარე ერთნაირი გახდება, სისტემაში აღარ მოხდება ცვლილება. თუმცა დალექვისა და გახსნის პროცესი ეუჩერებლად მიმდინარეობს, მაგრამ წონასწორობა არ ირღვევა და გახსნილი იოდის რაოდენობა მოცულობის ერთეულში მუდმივია. ე.ი. იოდის გახსნის პროცესი წონასწორულ მდგომარეობაშია.

მოლეკულები მოძრაობენ ძალიან დიდი სისწრაფით. კუშმამ და მილერმა ჩაატარეს თვალსაჩინო ექსპერიმენტი.

იოდის გახსნის პროცესის შესწავლისას სპირტის წყალხსნარში მოლეკულურ დონეზე აღმოჩნდა რომ წონასწორობას აქვს დინამიკური ხასიათი. იგივე შეიძლება ითქვას ორთქლის წნევაზეც.

თუ წყალს 200ჩ-ზ მოეთავსებთ თავდახურულ კოლბაში, მაშინ მისი ზოგიერთი მოლეკულა გადაის ორთქლისებრ ფაზაში. წყლის მოლეკულების გადასვლა აირად ფაზაში იწვევს პარციალური წნევის მომატებას. ბოლოს შეწყდება წნევის მომატება და წყლის ორთქლის პარციალური წნევა გაუტოლდება გაჯერებული ორთქლის წნევას, რის შედეგადაც დამყარდება წონასწორობა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ წყლის ზედაპირიდან მოლეკულების აორთქლება გრძელდება წონასწორობის დამყარების შემდეგაც. წყლის მოლეკულებმა „არ იციან“ იმის შესახებ, რომ წყლის ორთქლის პარციალური წნევა გაჯერებული ორთქლის წნევის ტოლია. ორთქლის ფაზაში გადასული მოლეკულები ქაოსურად მოძრაობენ, ეჯახებიან სითხის ზედაპირს და იქ რჩებიან (სითხეში) ე.ი. აორთქლებისა და კონდენსაციის სიჩქარეები გათანაბრდება.

მოსწავლეებს შეიძლება გავაცნოთ ექსპერიმენტი, რომელიც მილერისა და კუშმას მიერ იყო დაყენებული.

მოლეკულები მოძრაობენ ძალიან დიდი სისწრაფით, რომლის საშუალებითაც განსაზღვრეს გაზურ ფაზაში არამარტო საშუალო, არამედ მოლეკულათა განაწილების სიჩქარე. A ჭურჭელიდან „გამოიტყორცნებიან“ მოლეკულების უმრავლესობა. ტიხარის დახმარებით, რომელსაც B ხვრელი აქვს, წარმოიქმნება ე.წ. მოლეკულების კონა, რომელშიც ნაწილაკები მოძრაობენ ისე, რომ არ ეჯახებიან ერთმანეთს, მანამ, სანამ არ მოხვდებიან C ცილინდრის ტორსზე, რომელსაც სპირალისებური ჭრილი აქვს. ცილინდრის ბრუნვის სიჩქარე რეგულირდება, ხოლონაწილაკები, რომლებიც გაიელიან ჭრილში, რეგისტრირდებიან D დეტექტორით. ეს თითქმის მარტივი დანადგარი სინამდვილეში საკმაოდ კარგადაა კონსტრუირებული. სპირალურ ჭრილში გაძვრებიან მხოლოდ ის მოლეკულები, რომლებსაც აქვთ განსაზღვრული სიჩქარე (ნაწილაკები, რომლებიც მოძრაობენ ოდნავ დიდი ან ოდნავ ნაკლები სიჩქარით აწყდებიან ჭრილის კედელს, ანუ „ქრებიან“). თუ ცნობილია ცილინდრის ბრუნვის სიჩქარე ადვილად შესაძლებელია განისაზღვროს იმ ნაწილაკების სიჩქარე, რომლებიც დეტექტორამდე აღწევენ. ხოლო ცილინდრის ბრუნვის სიხშირის ცვლა იძლევა საშუალებას ვიპოვოთ სხვა მოლეკულების რიცხვი, რომლებიც განსხვავებული სიჩქარით იტყორცნებიან.

შედეგი, რომელიც მილერმა და კუშმამ მიიღო, კარგად დაემთხვა თეორიულ გაანგარიშებებს, რაც ეფუძნება გაზების კინეტიკურ თეორიას, რომელიც ჯერ კიდევ XIX საუკუნეში იყო დამუშავებული.

ზემოთ განხილული დინამიკური წონასწორობის (რამდენიცაა შემოსავალი, იმდენიეე გასავალია) რეალიზება და გამოკვლევა ადვილი შესაძლებელია. წარმოიდგინეთ აბაზანა, რომელიც განსაზღვრულ დონემდეა წყლით სავსე. მაშინაც კი, როდესაც აბაზანის წყლის გასასვლელი ღიაა, ადვილად შეგვიძლია შევინარჩუნოთ წყლის საჭირო დონე, თუ ონკანიდან მომავალ წყლის ნაკადს დავარეგულირებთ. წყალი აბაზანაში მუდმივად იცვლება (ე.ი. ის ჩაედინება და გამოედინება), მაგრამ მისი დონე რჩება უცვლელი. ორი პროცესი - ჩადენა და გამოდენა - იმყოფებიან დინამიკურ წონასწორობაში.

დინამიკურ წონასწორობას შეიძლება დავუპირისპიროთ სტატიკური, როდესაც სისტემა და მასში მოქმედი ძალები რეალურად გაწონასწორებულია. გავიხსენოთ, როგორ მოძრაობს თოკზე მოსიარულე კაცი ან რაგბის გულშემატკივრებისათვის ცნობილი სიტუაცია. როდესაც ორიეე გუნდი ბურთის მოპოვებისათვის „შეშდებიან" რამდენიმე წამით. ამგვარი დაძაბული მდგომარეობები მუდმივად წარმოიქმნებიან სისტემებს შორის და მათ შიგნით. ადვილი ქარმოსადგენია მათი დამანგრეველი პოტენციალი და ის კატასტროფული შედეგები, რომლებიც შესაძლებელია სტატიკური წონასწორობის რღვევისას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Л. Гузей; В. Сорокин. Энергетика и кинетика химических реакций. Московского унив. 1992.г.

2. ო. გაბრიჩიძე. ზოგადი ქიმია, „განათლება" თბილისი 1998 წ.

3. Химия в школе 2002 г.

Balance of dynamic character and statistics

Diana Tatunashvili

Sukhishvili Teaching University

Resume

Two main issues appear at the time of studing chemical reaction. Firstly, what is a speed of reaction and secondly how long it last dynamic balance in chemical system is a main thing of discussion. The invisible particles move permanently in the system, they move sharply and quickly in gas, more slow in liquid and solid system. System, which looks like static it is dynamic in reality. This inside "density" of system, which looks like quiet outwardly, plugs a central role in chemistry.

ეკონომიკური აღმავლობის და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ასპექტები საქართველოში
(მეფუტკრეობის მაგალითზე)

ნიკოლოზ მესხი
საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი – დოქტორანტი
meskhinika@gmail.com
ივანე მესხი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი – სტუდენტი
ivane.meskhi@yahoo.com Tel: 5 97 17 03 91

შესავალი მეფუტკრეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უმთავრესი და მნიშვნელოვანი დარგია. ფუტკრის პროდუქტები (თაფლი, ცვილი, შხამი, რძე, ყვავილის მტვერი, დინდგელი) ძველთაგანვე იპყრობდა ადამიანის ყურადღებას, როგორც მაღალხარისხოვანი საკვები და სამკურნალო საშუალებები.

მრავალი წლის ღრმა მეცნიერული გამოკვლევებით დამტკიცდა, რომ ქართულ ფუტკარს სხვა ჯიშების ფუტკრებისაგან განსხვავებით გააჩნია: თვინიერება, ნაყრობისადმი ნაკლები მიდრეკილება, მაღალი პროდუქტიულობა და სხვა სასარგებლო-სამეურნეო თვისებები [1]. ამჟამად ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით საქართველოში 128 ათასი ფუტკრის ოჯახია.

1999 წელს მეფუტკრეთა ასოციაციის მიერ ფონდ "ევრაზიის" მხარდაჭერით საქართველოს 22 რაიონში ჩატარდა მეფუტკრეობის მონიტორინგი. მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ ყველა შესწავლილ რაიონში ფაქტიურად 2-3-ჯერ მეტი ფუტკრის ოჯახია ვიდრე ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებში. ეს გვაფიქრებინებს, რომ ამჟამად საქართველოში 250-300 ათასი ფუტკრის ოჯახია, მეფუტკრეების საერთო რიცხვი კი დაახლოებით 30-50 ათასი (ზუსტი სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს).

ერთი ფუტკრის ოჯახის თაფლპროდუქტიულობა 5-7 კგ-ია. აქედან გამომდინარეობს, რომ საქართველოში ყოველწლიურად 1000-1500 ტონა ან მეტი თაფლი მზადდება. მიღებული თაფლის უდიდესი ნაწილი მოიხმარება ადგილზე [2,3]. საქართველოს მოსახლეობა ამჟამად 4.5 მილიონია, აქედან გამომდიანრეობს, რომ ერთ სულ მოსახლეზე თაფლის მოხმარება 250-350 გრამს შორის მერყეობს. ეს საკმაოდ მაღალი ციფრია, თუ გავითვალისწინებთ ჩვენი მოსახლეობის დაბალ მსყიდველობით უნარს. რეალურად, ეს ციფრი შეიძლება უფრო მაღალიც კი იყოს, რადგან საქართველოში თაფლის მოხმარების საკმაოდ დიდი ტრადიცია არსებობს, თუმცა მოწეული თაფლის ნაწილის რეალიზაცია მაინც ვერ ხერხდება.

კვლევის ობიექტი და მეთოდები საკვლევი ობიექტი არის საკმაოდ ფართო და ბევრ კრიტერიუმს მოიცავს. ამ საკითხთან დაკავშირებით ერთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა საუბარი (წინასწარ დამუშავებული კითხვარის მეშვეობით) მეფუტკრეობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სპეციალისტებთან. იგულისხმება, სოფლის მეურნელობის სამინისტროს თანამშრომლები, ეკონომიკის სამინისტროს დარგობრივი განვითარების მუშაკები და ის ადამიანები, ვინ უშუალოდ დაკავებულია მეფუტკრეობით - როგორც ბიზნესით. მათდამი დასმული კითხვები იყო ზოგადი,

თუმცა მიღებული პასუხები ნათლად ასახავს დარგში არსებულ პრობლემებს, მათი გადაჭრის გზებს და განვითარების პერსპექტივებს.

კვლევის შედეგები დაკვირვებამ და ანალიზმა გვაჩვენა, რომ ბოლო პერიოდში საქართველოში მეფუტკრეობის განვითარების ტემპმა საგრძნობლად იკლო. მიზეზი მრავალია:

- მეფუტკრეობაში თანამედროვე სიახლეებისა და ტექნოლოგიური მიღწევების დანერგვის დაბალი დონე;
- წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების ზრდა;
- კვალიფიციური კადრების არარსებობა;
- ექსპორტის არარსებობა;
- სათაფლე მცენარეების გაჩეხვა.

მეფუტკრეობის განვითარებისათვის მეტად მნიშვნელოვანია თანამედროვე საწარმოო დაწესებულებების და მეფუტკრეობის საცდელი სადგურების, ასევე სანაშენე ორგანიზაციების დაარსება.

საქართველოში დეფიციტურია მეფუტკრეობისათვის საჭირო მედიკამენტები; სპეც. ტანსაცმელი; სპეციალური დიდი ტევადობის (20-40ტ) შემრევები, რომელიც გამოიყენება თაფლის კუპაჟირებისას ერთგვაროვნების მისაღწევად და თაფლის გაყიდვისწინა დამუშავებისას მასში წყლის შემცველობის შესამცირებლად; თაფლის სატრანსპორტო სპეციალური კონტეინერები; უჟანგავი ფოლადისაგან დამზადებული წვრილი ინვენტარი (თაფლის საწურები, შესანახი და სატრანსპორტო ჭურჭელი); მინის ტარა (რომლის იმპორტი სომხეთიდან ხორციელდება) და სხვ. რაც არის მწარმოებლებისთვის ძირითადი პრობლემა, ასევე თაფლის თვითღირებულების და შესაბამისად ფასის ზრდის წინაპირობა.

აღსანიშნავია, რომ კადრების არ არსებობის გამო ნაკლებად ხდება ცვილის, შხამის, რძის, ყვავილის მტვრის, დინდგელის წარმოება. ეს ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ არ არსებობს შესაბამისი სასწავლო დაწესებულები ან კურსები.

მთავარი პრობლემა, რომელიც მთლიანად განსაზღვრავს წარმოების ზედა ზღვარს არის ის, რომ თაფლის ექსპორტი პრაქტიკულად არ ხდება. პრობლემა საერთაშორისო სერთიფიკატის მოპოვებაა - იმის გამო, რომ საქართველოში არ არსებობს თაფლის ლაბორატორია, რომელიც დააკმაყოფილებს ევროპულ სტანდარტებს და გასცემს სათანადო სერტიფიკატს (საქართველოში არის რამდენიმე ლაბორატორია, საქართველოს სახსტანდარტი, ანასეულის ლაბორატორია, რომლებიც გასცემენ სერთიფიკატებს, თუმცა მათი დასკვნას არ სცნობს დასაელეთი, რადგან იქ გაცილებით მეტი რაოდენობის კომპონენტების დაზუსტებას ითხოვენ. მაგალითად, ყველანაირი მეტალის, ნახშირწყლების შემცველობას, რადიაციის დოზების, კუთრი წონის დადგენას და ა.შ.). აქედან გამომდინარე, მწარმოებლებმა სერთიფიკატი საზღვარგარეთ უნდა აიღონ, ამასთან საქართველოში საშუალო ბიზნესად ითვლება 5-7 ტონა თაფლის წარმოება, უცხოური სტანდარტებით კი ზემოთ აღნიშნული ციფრი 25 ტონამდე იზრდება. შესაბამისად თაფლის ექსპორტიც პრაქტიკულად არ ხდება.

არსებობს ამ დარგის განვითარების შემდეგი გზები:

- თანამედროვე საწარმოო დაწესებულებების, მეფუტკრეობის საცდელი სადგურებისა და სანაშენე, სადამტვერო ორგანიზაციების აგება და დაარსება. ასევე საჭირო ინვენტარის წარმოება.

- პროდუქციის წარმოება უახლესი ტექნოლოგიებითა და მეთოდებით, პროდუქტის თვითღირებულების შესამცირებლად.
- შესაბამისი სასწავლო კურსებისა და ტრენინგების ჩატარება კვალიფიციური კადრების შესაქმნელად.
- ევროპული სტანდარტების დამაკმაყოფილებელი ლაბორატორიების შექმნა.
- ხელისუფლების მიერ ქმედითი ღონისძიებების გატარება, კერძოდ თაფლოვან კულტურების ჭრაზე (ცაცხვი, წაბლი და სხვ.) ზედამხედველობის გაძლიერება.

საქართველოში უფრო სამოყვარულო მეფუტკრეობაა განვითარებული. დღეისათვის მხოლოდ რამდენიმე მეფუტკრეა, რომელიც 300-დან 700 ოჯახამდე ფუტკრის სკას ფლობს. ისინი მეფუტკრეობის დარგში გარკვეულ ამინდს ქმნიან. უფრო კონკრეტულად კი ფუტკრის ოჯახების რაოდენობა და თაფლის წარმოება საქართველოში მოცემულია 1 და 2 დიაგრამებზე.

დიაგრამა 1



დიაგრამა 2

როგორც დიაგრამებიდან ჩანს ბოლო წლების მონაცემებით საქართველოში იზრდება თაფლის წარმოება.

დასკვნები და წინადადებები კვლევის შედეგებიდან გამომდინარე შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გაკეთება:

თუ ქვეყანაში გააზრებულ მენეჯმენტსა და სწორ სტრატეგიას გამოვიყენებთ, თუ იქნება სათაფლე მცენარეები და ხელსაყრელი ბუნებრივი კლიმატური პირობები, მაშინ შესაძლებლობა გვექნება, მაღალი ტემპებით განვავითაროთ ჩვენთვის სასურველი დარგი - მეფუტკრეობა. კლიმატური პირობებიდან გამომდინარე მეფუტკრები წელიწადში ორჯერ და ზოგ შემთხვევაში სამჯერ იღებენ მოსავალს. მეფუტკრეობის განვითარება აუცილებლად გამოიწვევს საქართველოს გადაქცევას იმპორტიორიდან ექსპორტიორ ქვეყნად ამ დარგში, ეს შექმნის დამატებით სამუშაო ადგილებას და იქნება უამრავი ოჯახისათვის შემოსავლის მთავარი წყარო, ასევე მნიშვნელოვნად გააძლიერებს საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობას. მეფუტკრეობის განვითარებამ სასურველი შედეგს, რომ მიაღწიოს, აუცილებელია სახელმწიფოს მხარდაჭერა.

გამოიკვეთა ქვეყანაში მეფუტკრეობის სამეცნიერო ბაზის არსებობის აუცილებლობა რაც ხელს შეუწყობს მეფუტკრეებს, მისცემს რჩევა-დარიგებასა და რეკომენდაციებს.

მომავალში განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ფუტკრის მეურნეობის დახვეწა-გაუმჯობესებაზე, პროდუქციის მარაგის უწყვეტობაზე, მეფუტკრეების პროფესიულ განვითარებაზე, რაც გაზრდის პროდუქტიულობას და აამაღლებს მეფუტკრეობის ეფექტიანობასა და რენტაბელობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. წიღელაძე ბ. დინდგელი – ფუტკრის მნიშვნელოვანი პროდუქტი. ჟ. საქართველოს მეფუტკრეობა 2 2003 გვ. 20
2. ჭაღალიძე ა. – ყვავილის მტვერისა და დინდგელის წარმოების რეზერვები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. დისერტაცია გვ. 30
3. andRulaZe d., frangulaSvili v., mefutkreoba. gamomcemloba „ganaTleba 1982 gv 254

www.putkari.ge

www.mefutkreoba.blogspot.ge

www.moa.ge

Agricultural aspects of sustain development and economic growth in Georgia (Example of beekeeping)

Nikoloz Meskhi

PhD – Georgia's Agrarian University meskhinika@gmail.com

Ivane Meskhi

Student – TSU ivane.meskhi@yahoo.com Tel: 597 17 03 91

Resume

Aspects of economic and agriculture growth on beekeeping example are given in this article. The result showed, that right management and strategy plan of beekeeping development will good background for economic and agriculture growth in Georgia.

კეთილშობილი დაფნის ადრე შერჩეული მაღალზეთიანი ფორმების გენერაციული თაობის შესწავლის შედეგები

ლია კოპალიანი
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი
შორენა კაპანაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
E-mail: shor-ka@mail.ru Tel: 591 244 047

დაფნა ერთ-ერთი მსოფლიოში გავრცელებული სუბტროპიკული კულტურაა. დაფნის მცენარე და მისგან მიღებული მზა პროდუქტები მრავალმხრივ გამოყენებას პოულობს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. დაფნის კულტურა ნაკლებშრომატევადია, იძლევა დიდ შემოსავალს და ამასთან ის კარგად ეთანაწყობა სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებს, რაც ხელს უწყობს სუბტროპიკულ სოფლის მეურნეობაში ბუნებრივ და შრომითი რესურსების რაციონალურ გამოყენებას. საინფორმაციო წყაროების თანახმად დაფნის მცენარისაგან მშრალ ფოთოლს და ეთეროვან ზეთს სამრეწველო მასშტაბით, გარდა დაფნის წარმოშობის გენცენტრის ქვეყნებისა, მსოფლიოს მრავალ სხვა ქვეყანაში ამზადებენ.

საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების მიერ ჩატარებულია ფართო მასშტაბის კვლევითი სამუშაოები დაფნის მოვლა-მოყვანის პროგრესული ტექნოლოგიების შემუშავების, მისი წარმოების თვითღირებულების შემცირების და რიგი სხვა საკითხების გადაწყვეტის თვალსაზრისით.

მიუხედავად ამისა, დაფნის კულტურის შესწავლის ხაზით ჯერ კიდევ ბევრი საკითხია შესასწავლი. ცნობილია, რომ სამრეწველო მასშტაბით გავრცელებული ერთ-ერთი სახეობა – კეთილშობილი დაფნა – Laurus nobilis – რთულ პოპულაციას წარმოადგენს. ის შედგება მორფო-ბიოლოგიური ნიშნებითა და ეთერზეთის შემცველობის მიხედვით ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული ფორმებისაგან. აღნიშნულ ფაქტს ადგილი აქვს საქართველოში გავრცელებულ დაფნის მცენარეებშიც.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, სამეურნეო თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს დაფნის მაღალპროდუქტიული როგორც მოსავლიანობის, ისე ზეთშემცველობის მიხედვით, კომერციული ვარიაციის შერჩევას და წარმოებაში დანერგვას, რაც საშუალებას მოგვცემს ვაწარმოოთ მაღალი სამეურნეო მაჩვენებლის ფორმების შერჩევა მცენარეთა მორფო-ბიოლოგიური თავისებურებების მიხედვით.

კვლევები ვაწარმოეთ კეთილშობილი დაფნის ადრე გამორჩეული მაღალპროდუქტიული ფორმების ზეთშემცველობაზე გინზბურგის აპარატის მეთოდით.

ცხრილი 1

ზეთშემცველობა მაღალზეთიანი ფორმების თესლნერგებში

№	მცენარის დასახელება	მცენარის ადგილმდებარეობა	ზეთშემცველობა ფოთოლებში, %
1	КЗ-1	ხობი	0,31
2	БВ-1	ხეთა	0,61
3	F-1	ზესტაფონი	0,706
4	F-2	ზესტაფონი	0,801
5	F-4	ზესტაფონი	0,960
6	F-32	ზესტაფონი	0,971
7	Т-1	ქეთაისი	0,277
8	ГОГ	ზესტაფონი	0,253
9	F-34	ზესტაფონი	1,71
10	№18	ზესტაფონი	1,85
11	С-1	წყალტუბო	1,75
12	Н-4	ქუთაისი	1.70
13	НТ1	ჩოხატაური	0,65

სურ. 1. დაფნის ფორმა №18-ის თესლნერგები

ყველაზე მაღალზეთიანი ფორმა №18-ის შემთხვევაში შესწავალი იქნა 100 თესლნერგი. თესლები მილებულია თვითდამტვერეის გზით (სივრცობრივი იზოლაცია)

დასკვნა: თესლნერგებზე ეიზუალური დაკვირვების შედეგად დადგენილი იქნა, რომ მათი უმეტესობა დედა მცენარისაგან დიდად არ განსხვავდება. შეინიშნება უმნიშვნელო განსხვავება, რაც საეარაუდოდ განპირობებულია თესლნერგების ზრდა-განვითარების პირობების გავლენით და არა გენეტიკური ნიშნებით. ანუ ადგილი აქვს ფენოტიპურ ცვალებადობას.

მიკროსკოპული მეთოდით აღმონაცენის ფოთლებში ეთერზეთის შემცველობაზე დაკვირვებისას, აღმოჩნდა, რომ თითქმის ყველა მცენარე ინარჩუნებს დედა მცენარის ნიშან-თვისებებს, როგორც ბიო-მორფოლოგიური ნიშნებით, ასევე ზეთშემცველობითაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გეწაძე გ. კაპანაძე შ. – "კეთილშობილი დაფნის – Laurus nobilis – სახეობა პოპულაციაში მაღალზეთიანი ფორმების გამორჩევის შედეგები". საერთაშორისო სამეცნ. პრაქტიკული კონფერენცია – "სუბტროპიკული ზონის დარგების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები". ქუთაისი. 2010წ. გვ. 97-99.

The results of the study of the generative generations of pre-chosen forms of bay laurel

Lia Kopaliani – Associated Professor
Shorena Kapanadze - PhD
Akaki Tsercteli State University
E-mail: shor-ka@mail.ru
Tel: 591 244 047

Resume

The article presents the results of a study whose purpose was to find out what generation may develop in terms of composition of essential oil from seedlings, which were obtained as a result of sexual reproduction high grease forms of laurel. It turned out that almost all the observed plant to maintain the quality of the parent plants, both in the bio-morphological characters and composition of essential oil.

კეთილშობილი დაფნის მცენარის სხვადასხვა ფორმის ფოთლებში ეთერზეთის დაგროვების ზოგიერთი თავისებურება

ლია კოპალიანი
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი.
როლანდ კოპალიანი
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი
E-mail: shor-ka@mail.ru Tel: 591 244 047

კეთილშობილი დაფნა მარადმწვანე მერქნიანი სუბტროპიკული მცენარეა, რომელიც მიეკუთვნება ხმელთაშუა ზღვისპირეთის იმ მცენარეთა მრავალრიცხოვან ჯგუფს, რომელთაც ადამიანი სამეურნეო საქმიანობის ადრინდელ პერიოდში გაეცნო და სხვადასხვა დანიშნულებისათვის გამოიყენებდა. მრავალმხრივმა ძვირფასმა თვისებებმა ხელი შეუწყვეს დაფნის კულტურას სამშობლოს გარეთ ფართოდ გავრცელებაში.

ამჟამად დაფნა მსოფლიოს ასამდე ქვეყანაში გეხვდება და ყველგან დიდი პოპულარობით და სამეურნეო ეფექტიანობით ხასიათდება. საქართველოში დაფნა ცნობილია უძველესი დროიდან. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, დაფნის სამშობლოდ ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებთან ერთად კოლხეთიც შეიძლება ჩაითვალოს.

დასაელეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში დაფნის კულტურის განვითარება და სამრეწველოდ გავრცელება გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან დაიწყო..

დაფნა კომპლექსური გამოყენების მცენარეა. მის ერთ-ერთ მეტად მნიშვნელოვან პროდუქტს ეთეროვანი ზეთები წარმოადგენს, რომლებსაც ის შედარებით მეტი რაოდენობით შეიცავს ფოთლებში. სამრეწველო მასშტაბით გავრცელებულია მხოლოდ ერთი სახეობა – კეთილშობილი დაფნა – Laurus nobilis. ეს სახეობა რთულ პოპულაციას წარმოადგენს, რომელიც შედგება მორფოლოგიური ნიშნებით ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული ფორმებისაგან. დაფნის ამ სახეობა-პოპულაციაში ეთეროვანი ზეთის შემცველობის მიხედეით დიდ მრავალფეროვნებას აქვს ადგილი, რომელიც მერყეობს 0,8-დან 3,33%-მდე ნედლ ფოთოლში. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ პოპულაციაში უმეტესობა დაბალზეთიანი ფორმებია, მაღალზეთიანი იშვიათად გამოერევა.

საქართველოში დაფნის ეთერზეთის სამრეწველო წარმოება 1940 წელს დაიწყეს, რომელმაც მაღალი შეფასება დაიმსახურა და საერთო აღიარება მოიპოვა კვების მრეწველობის, მედიცინის და სხვა დარგებში. დაფნის ეთერზეთის გამომუშავების დღევანდელი დონე ვერ აკმაყოფილებს ამ დარგების მოთხოვნილების ყოველწლიურ ზრდას დაფნის ეთერზეთზე, ამიტომ დასაელეთ საქართველოს ფერმერები და სხვა დაინტერესებული პირები ათეულობით ჰექტარზე აშენებენ დაფნის პლანტაციებს, რომელიც ჯერ-ჯერობით ნელი ტემპით მიმდინარეობს და საჭიროებს მეტ ყურადღებას.

გამოყენების ხასიათისა და ქიმიური შემადგენლობის მიხედვით დაფნის ეთეროვანი ზეთები პირობით შეიძლება ჯგუფებად დაიყოს – კვების მრეწველობის, სამედიცინო, საპარფიუმერო-კოსმეტიკის, ტექნიკური და დანიშნულებით, რომლებიც ხასიათდებიან მაღალი ბიოლოგიური აქტიურობით.

დაფნის ყველა ფორმა შეიცავს ეთერზეთს მეტ-ნაკლები რაოდენობით. ჩვენ მიზნად დავისახეთ გადმოგვეცა დაფნის ფოთლებში ეთერზეთის დაგროვების საკითხების კვლევებისას მიღებული ზოგიერთი მონაცემი, კერძოდ, თუ როგორია ჩვენს კლიმატურ-

ნიადაგურ პირობებში დაფნის სხვადასხვა სახეობის ფოთლებში ეთერზეთის პროცენტული შემცველობა და მისი ცვალებადობა წელიწადის დროების მიხედვით.

ცდისათვის საჭირო საანალიზო მასალის აღება წარმოებდა 2010-2012 წლებში წინასწარ შერჩეული მცენარეებიდან. ანალიზებისათვის საშუალო ნიმუშების დამზადებას ვახდენდით მცენარის საცდელი ფორმების მიხედვით ცალ-ცალკე ყოველი თვის მესამე დეკადაში. ანალიზებისათვის საშუალო ნიმუშებიდან ვიღებდით 100 გრამ მასალას. ანალიზები კეთდებოდა ორჯერადი განმეორებით წერეთლის სახ. უნივერსიტეტის ლაბორატორიაში, გინზბერგის მეთოდით, რომელიც ეთერზეთის წყლის ორთქლით გამოხდის პრინციპს ემყარება. ჩატარებული ანალიზების შედეგები წარმოდგენილია ცხრილში.

ცხრილი 1

დაფნის ფოთლებში ეთერზეთის სეზონური დაგროვების დინამიკა

ნიმუშის დასახელება	ნიმუშის წონა, გრ.	ზეთშემცველობა ნიმუშში, %											
		2009 წ.			2010 წ.			2011 წ.			საშუალო		
		მაისი	აგვისტო	ოქტომბერი	მაისი	აგვისტო	ოქტომბერი	მაისი	აგვისტო	ოქტომბერი	მაისი	აგვისტო	ოქტომბერი
№18	50 50	1,81	1,8	1,85	1,82	1,78	1,87	1,80	1,79	1,86	1,83	1,79	1,86
C-1	50 50	1,7	1,68	1,71	1,71	1,67	1,75	1,66	1,65	1,72	1,69	1,66	1,72
H-1	50 50	1,5	1,48	1,56	1,46	1,40	1,58	1,5	1,48	1,56	1,48	1,45	1,56

ცხრილი 2

დაფნის პერსპექტიული – მაღალზეთიანი ფორმების ზეთშემცველობის განსაზღვრის შედეგები

№	ფორმის დასახელება	ეთეროვანი ზეთის შემცველობა						ეთეროვანი ზეთის შემცველობის საშუალო, %
		განსაზღვრის თარიღი	ზეთშემცველობა - %	განსაზღვრის თარიღი	ზეთშემცველობა - %	განსაზღვრის თარიღი	ზეთშემცველობა - %	
1	№18	31.08.2009	1,803	10.11.2010	1,900	05.11.2010	1,850	1,851
2	C 1	31.08.2009	1,704	10.08.2010	1,750	05.11.2010	1,730	1,728
3	H-4	23.10.2009	1,734	10.08.2010	1,700	05.11.2010	1,722	1,719

ცხრილიდან ჩანს, რომ წინასწარ შერჩეული, ეთეროვანი ზეთის შედარებით მაღალი შემცველობით გამორჩეული ფორმები - №18, C-1 და H-1 ფოთლებში ეთერზეთის რაოდენობრივი შემცველობით წლის პერიოდების მიხედვით განსხვაედებიან ერთმანეთისაგან.

ფოთლებში ეთერზეთის შემცველობა წლის პერიოდების მიხედვით განსხვაებულია და საკმაოდ დიდ ფარგლებში მერყეობს. ეთერზეთის უფრო მაღალი შემცველობა აღინიშნება გაზაფხულის და შემოდგომის პერიოდში. ზემოთაღნიშნული დაფნის მცენარის ორი ფორმა შეიძლება ერთდროულად ერთნაირი წარმატებით იქნას გაშენებული სამეურნეო მიზნებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერაია ი., ხაბეიშვილი ე., თაედუმაზე კ. – სუბტროპიკული ტექნიკური კულტურები. გამომც. "განათლება". 1984 წ.
2. Воронцов В. В. – Лавр Благородный – Краснодарское книжное издательство. 1964.

Some peculiarities of ether oil accumulation in various forms of leaves of the Noble Laurel

Lia Kopaliani – Associated Professor
R. Kopaliani – Full Professor
Akaki Tsereteli State University
E-mail: shor-ka@mail.ru
Tel: 591 244 047

Resume

There are presented some researches about the percentage of ether oil in different forms of the Laurel leaves according to the different periods of the year and observations of the Laurel leaves morphological peculiarities' attitude towards the ether oil content.

ტყის დაცვა, ფსილიდოფაუნის გავრცელება ტყის კულტურებზე მდინარეების: პატარა ლიახვის და მეჯუდის ხეობების მაგალითზე

ზაქარია გინტური
სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი
სუხიშვილის უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი
E-mail: Z. Ginturi@mail.ru Tel: 599 50 28 65
მაია ტუღუში
სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი
სუხიშვილის უნივერსიტეტი ასოცირებული პროფესორი
E-mail: Tugushimaya@yahoo.com Tel: 555 542 540

ტყეების ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების, მათი ხარისხობრივი მდგომარეობის გაუმჯობესების, სახეობათა დაცვის და ბიოლოგიურად მდგრადი კორომების შენარჩუნების მიზნით ტყეების დაცვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ტყის დაცვის ღონისძიებებს შეადგენს ტყის დაცვა ხანძრებისაგან, მაქნებელ–დაავადებათაგან, უკანონო ჭრებისაგან და სხვა. ტყეებს და სატყეო მეურნეობებს დიდ ზიანს აყენებს ტყის მავნებლები, მათი გამოელენის მიზნით, ჩვენს მიერ მდინარეების პატარა ლიახვის და მეჯუდის ხეობებში ტყის სახეობებზე შესწავლილი იქნა ფსილიდოფაუნა.

ფსილიდები (Hemiptera, Psyllidea) მცირე ზომის (1–5 მმ), ნაკლებად მოძრავი მწერებია. ფიტოფაგებია – იკვებებიან მხოლოდ ყვავილოვან მცენარეთა (Angiospermae) ვეგეტაციური ორგანოების ახალგაზრდა ნაყოფების ქსოვილთა წვენებით.

ფსილიდები გავრცელებული არიან გლობალურად ყველა ბუნებრივ ზონასა და მთის სარტყელში. მსოფლიოში აღწერილია დაახლოებით 2600 სახეობა, ყოფილ სსრკ ტერიტორიაზე რეგისტრირებულია 500–ზე მეტი სახეობა, კავკასიის ფსილიდოფაუნა – 212 სახეობაა საქართველოსთვის დადგენილია 160–მდე სახეობა[1] მაგრამ მეჯუდისა და პატარა ლიახვის ხეობაში ფსილიდოფაუნის კომპლექსური გამოკვლევა არ ჩატარებულა და ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა ტყის კულტურებში უცნობი ფსილიდოფაუნის თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით შესწავლა.

საკვლევი რაიონი მოიცავს მდინარეების პატარა ლიახვის და მეჯუდის ხეობებს. აღმოსავლეთით ესაზღვრება ხარულის ქედი, დასავლეთით – გუდისის ქედი – დიდი და პატარა ლიახვის წყალგამყოფი; ჩრდილოეთი საზღვარი გადის ბერმუხ–ერმანის ქედებზე; სამხრეთ საზღვარი კავკასიონის მთისწინეთისა და დაბალმთიან ზონას შორისაა. [2]

მდინარეების პატარა ლიახვის და მეჯუდის ხეობების ჰავა ზომიერად ნოტიოა [3] აღნიშნული ტერიტორია ეკუთვნის კავკასიონის სამხრეთი კალთის გეობოტანიკური ოლქის ლიახვ–რეხულას გეობოტანიკურ რაიონს. [4]

შესწავლილი ტერიტორიის ზონალურობა ასეთია:

1. მთისწინეთის და დაბალმთის მუხნარ–რცხილნარი ტყის სარტყელი (ზღვის დონიდან 600–1000 მ–დან – 1400 – 1500 მ–მდე). სადაც ქართულ მუხასთან და რცხილასთან ერთად გვხვდება ცაცხვი, იფანი, წიფელი და სხვა.

2. საშუალმთის წიფლის ტყეების სარტყელი (ზ.დ. 1400–1500 მ–დან 1800–2000 მ–მდე), სადაც შერეულია რცხილა, არყი, ნეკერჩხალი, მაღალმთის მუხა და სხვა.

3. სუბალპური სარტყელი (ზ.დ. 1800–2000 მდან– 2500 მ–მდე). აქ გვხვდება არყის ტყეები და დეკიანები.

4. ზღვის დონიდან 2500 მ–ზე ზევითაა ალპური სარტყელი.

აღნიშნულ რეგიონში ჩვენ შევისწავლეთ ფსილიდოფაუნა ტყის სახეობებზე წიფელი, არყი და ნეკერჩხალი.

წიფელი – შედის წიფლისებრთა ოჯახში და მსოფლიოში ითვლის 15–მდე სახეობას. კავკასიაში და კერძოდ საქართველოში გავრცელებულია აღმოსავლეთის წიფელი (აგუს ორიენტალის), რომელიც ჩვენი ტყეების მთავარ ედიფიკატორს წარმოადგენს. ერთსახლიანი მცენარეა სქეს გაყოფილი ყვავილებით.

წიფელი ჩრდილის სახეობაა, აქეს ნაცრისფერი თხელი ქერქი. სითბოს საშუალოდ მომთხოვნია. დიდ მოთხოვნას უყენებს ნიადაგის და ჰაერის ტენიანობას მეზოფილია, კარგად ეითარდება ღრმა და პუმუსით მდიდარ ნიადაგებზე. გვხვდება როგორც ქირიან, ისე უკირო ნიადაგებზე. არის ქარქცევადი . მრავლდება თესლით და ძირკვის ამონაყარით (50–60 წლამდე), ნაყოფმსხმოიარობს 40–50 წლის ასაკში. ნაყოფმსხმოიარობის პერიოდულობა 2–3 წელიწადია. [5] წიფელზე გავრცელებულია ფსილიდები თრიოზა ლორასსიცაე; პსალავა პოლეგონი ორიევე სახეობა მეზოთერმული, პოლიზონალური სახეობებაა; აღნიშნული ფსილიდები წელიწადში ერთი თაობის სახით ვითარდება. იზამთრებს იმაგოს სახით. წიფელზე მათ მიერ მიყენებული დაზიანება უმნიშვნელოა.

მაღალმთის ნეკერჩალა – (Acer trautvetteri) - ტანდაბალი 10–15 მ. სიმაღლის ხეა სწრაფმზარდი. ლამაზი მცენარეა, განსაკუთრებით შემოდგომით როცა ვარჯი უხვადაა დაფარული წითელი ფერის ფრთიანი ნაყოფებით. მოითხოვს საშუალოდ ტენიან ნიადაგს, გვხვდება ტყის ჟომრალ და მთა–მდელოს ნიადაგებზე ერცელდება ზღვის დონიდან 1700–2700 მეტრამდე. [5]

ნეკერჩხალზე ბინადრობს და აზიანებს Rhinocola aceris -ის მეზოთერმული, პოლიზონალური სახეობა, წელიწადში გააჩნია ერთი თაობა, იზამთრებს იმაგოს სახით. დაზიანება უმნიშენელოა.

არყი (Betula Litvinowii) – ტანდაბალი 16–18 მ–ის სიმაღლის ხეა. გავრცელებულია ზღვის დონიდან 1800–2500 მ–ის ფარგლებში. სინათლის მომთხოვნი და სიცივის ამტანია უმეტესად ჩრდილოეთ ფერდობებზეა გავრცელებული. ნიადაგის მიმართ ნაკლებ მომთხოვნია, სწრაფმზარდი, პიონერი სახეობაა [5]

არყზე ეცრელდება შემდეგი სახეობის ფსილები – Psylla hartigi Flor; Psylla alni; P.foersteri - აღნიშნული სახეობები მეზოთერმული პოლიზონალური სახეობებია, წელიწადში ერთ თაობას იძლევა, იზამთრებს იმაგოს სახით. დაზიანება უმნიშენელოა. (სურ. 1)

არყის ... Psylla alni ...
... გამოყვანილ ფსილიდების ...

კვლევის შედეგებით გამოელინდა, რომ წიფელზე ეხვდებით ფსილების 2 სახეობას, ნეკერჩხალზე – 1 სახეობას, არყზე – 3 სახეობას. ამჟამად მათ არ ახასიათებთ მასიური გამრავლება და ტყისთვის მნიშენელოვანი ზიანის მოტანა არ შეუძლიათ. აღნიშნული

ფსილების მასიური გამრავლების შემთხვევაში რეკომენდირებული იქნება ქიმიური საშუალებები – დეცისის 0,2% ხსნარი და ბი–58 0,2% ხსნარის გამოყენება. [6]

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბათიაშვილი ი.გეგეჭკორი ა. – ფსილიდების კვლევის ზოგიერთი შედეგი საქართველოში; სასოფლო–სამეურნეო ინსტიტუტის შრომათა კრებული ტ. 30–31. თბილისი 1970.

2. მარუაშვილი ლ. საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, თსუ, 1970.

3. კორძახია მ. საქართველოს ჰავა, თბილისი 1961

4. ქეაჩაკიძე რ. საქართველოს გეობოტანიკური რაიონები. თბილისი, 2000

5. აბაშიზე ი. დენდროლოგია თბილისი, 1985 წ.

6. გეგეჭკორი ა. გინტური ზ. – ახალი პრეპარატების გამოცდის შედეგები ფსილიდების ზოგიერთი სახეობის მიმართ შიდა ქართლში – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. №12, 2005 .

Psilla spreading on forest tracts in little Liaxvi and Mejuda gorge's example

Zaqaria Ginturi
Academic Doctor of Agriculture
Assistant Professor of Sukhishvili Teaching University
Z. Ginturi@mail.ru 599 50 28 65
Maia Tugushi
Academic Doctor of Agriculture
Assistant Professor of Sukhishvili Teaching University
Tugushimaya@yahoo.com 555 542 540

Resume

Varieties of Psylla were researched in gorges of rivers little Liaxvi and Mejuda, different kinds of Psylla: Trioza lorassicae, Aphalave polygon, were discorerd. On beech Psylla hartigi Flor; Psylla alni, P. foersteri on birch and Rhinocola aceris on maple.

All above mentioned kinds of Psylla are mesothermic and polyzone. Its massive spreading is not noticed.

ციტრუსოვანთა ნარგაობის აღდგენა-განვითარებისა და გაუმჯობესებული ჯიშების დანერგვის შესაძლებლობები და პერსპექტივები

ლეილა ებრალიძე
სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი
გიორგი ჯაბნიძე
სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი
(ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

მეციტრუსეობა საქართველოს სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი და წამყვანი დარგია. სასიამოვნო გემოენების ოქროსფერი ნაყოფები, თავისი დიეტური და არომატული თვისებებით ყოველთვის იპყრობდა ადამიანის ყურადღებას. მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ ციტრუსები მაღალრენტაბელური კულტურებია. მათი გაშენებისა და მოვლა-მოყვანისათვის

გაწეული ხარჯები, უხვმოსავლიანობის გამო, მოკლე დროში ანაზღაურდება, ამიტომაც აშენებენ მათ ყველა კონტინენტის75-ზე მეტ ქვეყანაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო კომისიის მონაცემებით (2010), ციტრუსოვანთა ბაღებს დაახლოებით 1,9 მილიონი ჰექტარი უკავია, ხოლო წლიური წარმოება 50 570 ათას ტონას შეადგენს, აქედან ფორთოხალზე მოდის-33 581, მანდარინზე-7 834, ლიმონზე- 3. 177, გრეიპფრუტზე-3.963 ათასი ტონა.

ახლო წარსულში ციტრუსებს საქართველოში მთელი სასოფლო-სამეურნეო საკარგულების 0,62% და დამუშავებული მიწების 1,75% ეკავა.

თუმცა წარმოებული სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის ღირებულებაში მათი წილი 7,7 %-ს შეადგენდა. საქართველოში

თუმცა წარმოებული სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის ღირებულებაში მათი წილი 7,7 პროცენტს შეადგენდა. საქართველოში დამზადებული ციტრუსოვანთა ნაყოფს 65-68 პროცენტი აჭარაზე მოდიოდა. გროტექნიკური მიღებაა შესაძლებელი. მაგრამ, სამწუხაროდ, ბოლო ათწლეულის მანძილზე ქვეყანაში განვითარებული მოვლენების გამო, მეციტრუსეობამ საქართველოში და მათ შორის აფხაზეთშიც არსებითი დეგრადაცია განიცადა. არგის შესაძლებლობები ამჟამად მხოლოდ 25-30%-თაა გამოყენებული. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ბოლო 5 წლის განმავლობაში საქართველოში წარმოებული ციტრუსის მოცულობა შეადგენს: 2006 წელს 52,2 ათას ტონას და 2007 წელს 98,9 ათას ტონას, 2008 წელს 55,2 ათას

ტონას, 2009 წელს 93,6 ტონას და 2010 წელს 52,1 ათას ტონას, 2011 წელს 66,5 ათას ტონას, რაც კატასტროფულია პოტენციალთან შედარებით.

ცხრილი 1

ციტრუსოვანთა ნაყოფების წარმოება საქართველოში (ათასი ტონა)

წლები	ათასი ტონა	მათ შორის	
		ოჯახური მეურნეობის წილი, %	სასოფლო სამეურნეო საწარმოთა წილი%
2006	52,2	99,7	0,3
2007	98,9	100.0	0,0
2008	55,2	99,5	0,5
2009	93,6	99,9	0,1
2010	52,1	99,9	0,1
2011	66,5	99,9	0,1

რეგიონების მიხედვით შედარებით უკეთესი მდგომარეობაა აჭარაში (ცხრილი 2) გასაგები მიზეზების გამო აფხაზეთში წარმოებული პროდუქციის მონაცემები არ მოგვეპოვება მაგრამ ზეპირსიტყვიერი გადმოცემებით იქ კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაა: ცალკეული სახეობების მიხედვით საქართველოში ყველაზე მეტად იწარმოებს მანდარინი, შემდეგ ლიმონი და ბოლოს ფორთოხალი, ხოლო სამეგრელოს და გურიაში-ლიმონი

დღევანდელ საქართველოში მეციტრუსეობის განვითარების პრობლემები დღევანდელ საქართველოში მეციტრუსეობის განვითარების პრობლემები არ შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი კანონების კონტექსტით, იგი განსაკუთრებულ მიდგომას და სახელმწიფოებრივ ხედვას საჭიროებს. მას აუცილებლად ესაჭიროება სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა და მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე ტენდენციების გათვალისწინებით სასწრაფო რეაბილიტაცია.

ცხრილი 2

ციტრუსების წარმოება რეგიონების მიხედვით (ათასი ტონა)

რეგიონი	2006	2007	2008	2009	2010	2011
საქართველო	52,2	98,9	55,2	93,6	52,1	66,5
აჭარის ა. რ.	31,9	80,5	32,6	78,2	24,7	37,4
სამეგრელო და ზემო სვანეთი	9,0	5,3	5,9	2,8	3,1	3,2
იმერეთი	-	-	-	-	0,1	0,1
გურია	11,3	13,1	16,7	12,5	24,2	26,8

უკანასკნელ წლებში მთავრობის მიერ გაცხადებული პოლიტიკა სოფლის მეურნეობის შესახებ ქმნის რეალურ პირობებს, რომ შედარებით მოკლე პერიოდში მოხდება დარგის განვითარება. ციტრუსოვანთა პროდუქციის წარმოების ზრდა უნდა განხორციელდეს როგორც ფართობების გადიდებით, ასევე მოსავლიანობის გაზრდის ხარჯზე.

ჩვენი მიზანია წარმოვიდგინოთ ის ძირითადი აგროტექნოლოგიური ღონისძიებათა სისტემა, რაც აუცილებელია ციტრუსოვანთა ნარგაობების აღდგენა-განვითარებისა და პროდუქციის მაქსიმალური გაზრდისათვის.

ჩვენში არსებული ციტრუსოვანთა ბაღები სამოცდაათ წელზე და უფრო მეტი ხნისაა. თეორიულად და პრაქტიკულად დამტკიცებულია, რომ ეს მცენარე მაღალპროდუქტიულია 50-55 წლის ასაკამდე, შემდეგ მოსავალი თანდათანობით მცირდება და ნებისმიერი აგროღონისძიებების გატარებაც კი არ იძლევა სასურველ შედეგს.

აღნიშნული საკითხის გადაჭრის ერთ-ერთ ეფექტურ ღონისძიებად ციტრუსების პლანტაციების გაახალგაზრდავება წარმოადგენს, კერძოდ, ბიოლოგიურად მობერებული მცენარეები უნდა შეიცვალოს ადგილობრივ პირობებთან უკეთ შეგუებული უხვად და სტაბილურად მსხმოიარე ადრემწიფადი ჯიშებით, კლონებითა და ფორმებით. ამორტიზებული ხეების ახალგაზრდა ნარგაობით ჩანაცვლება გაზრდის მოსავლიანობას, შესაბამისად ამაღლდება ეკონომიკური ეფექტიანობა და რამდენიმე წელიწადში მიეიღებთ მთლიანად გაახალგაზრდავებულ პლანტაციებს.

ინანსური თვალსაზრისით აღნიშნული ღონისძიება რომ ეკონომიკურად მომგებიანი იქნება, ამას ჩვენი გაანგარიშებაც ადასტურებს; ამორტიზებული მცენარეები ჰა-ზე საშუალოდ იძლევა 6,6 ტონა ნაყოფს, ახალგაზრდა (25 წლის) კი 30 ტონას, რასაც ყოველწლიურად ფერმერებისა და კერძო მესაკუთრეებისათვის დამატებითი მოგების მოტანა შეუძლია.

მეციტრუსე ფერმერების მოგება განისაზღვრება სტანდარტული და არასტანდარტული ნაყოფის სარეალიზაციო ფასების მიხედვით. მარკეტინგული პრობლემების მოგვარებისას საადრეო ჯიშების 1 კგ ნაყოფის ფასი 1 ლარს გადააჭარბებს , არასტანდარტული ნაყოფის ღირებულება 40-50 თეთრი იქნება. ქედან გამომდინარე, როცა საადრეო ნადარინის ხეედრითი წილი ფერმერულ მეურნეობებში 60-70 %-ს მიაღწევს, მაშინ ფერმერი 1 ჰა მანდარინის ბაღიდან დაახლოებით 3500-4000 ლარის შემოსავალს მიიღებს.

ამ პრობლემის გადაწყვეტისათვის აუცილებელია სადედ ბაღებისა და ახალი სანერგეების მოწყობა. უნდა ეცადოთ, მიეიღოთ მაღალხარისხიანი სტანდარტული კალმები, რისთვისაც განსაკუთრებული პირობებია საჭირო: კერძოდ, ნიადაგის აგროწესებით განოყიერება, ნორმალური ტენის, ტემპერატურის, ჰაერაციის, ნიადაგში არსებული სასარგებლო მიკროორგანიზმების ცხოველმყოფელობის უზრუნველყოფა და ა. შ.

საჭიროა რაც შეიძლება გავხანგრძლივოთ ნაყოფების მსხმოიარობის პერიოდი, რომლის გადაჭრა შეიძლება მხოლოდ ციტრუსოვანთა განლაგების სტრუქტურაში ჯიშობრივი შეფარდების დაცვით, ანუ მანდარინის სამრეწველო ასორტიმენტში ისეთი ჯიშების ჩართვით, რომლებიც ნაყოფების მომწიფებას სხვადასხვა პერიოდში მოახდენენ, ამასთან ექნებთ უხვი მოსავალი და ნაყოფის უკეთესი ხარისხი. წარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს გეგმით, ბაღების განახლება უნდა მოხდეს, ახალი, გაუმჯობესებული, სხვადასხვა დროს მწიფადი და საადრეო ჯიშებით, რომლებიც უკვე გამოცდილი და აპრობირებულია საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში,

სადაც მეციტრუსეობა ტრადიციული და მთავარი დარგია. უნდა გავზარდოთ ფორთოხლისა და ლიმონის ბაღების ხვედრითი წილიც, რაც ასევე მომგებიანი იქნება. მაგალითად, ფორთოხალი და განსაკუთრებით მისი ნატურალური წვენი სულ უფრო პოპულარული და მოთხოვნადი ხდება მთელ მსოფლიოში.

ციტრუსოვნების ახალი, გაუმჯობესებული ჯიშების გამოყვანის და წარმოებაში დანერგვის მხრივ სხვა ქვეყნებმა ძალიან გაგვისწრეს, ისევე როგორც სხვა დარგებში. ჩვენთან ეს პროცესი ცნობილი პოლიტიკური და ეკონომიკური სირთულეების გამო ჩამორჩა. მისასალმებელია, რომ დღევანდელი ხელისუფლების მიერ სხვადასხვა ქვეყნებიდან შეძენილი და ჩამოტანილია ციტრუსოვანთა ნერგები: მანდარინის, ფორთოხლის, ლიმონისა და პომელოს 5 სახეობის, 50 ჯიშის ციტრუსოვანთა სანერგე მასალა. ქედან 14 ჯიში მანდარინია. 1სინი დააპიკირეს ჩაქვის სანერგე მეურნეობის კვალსათბურებში, გამოაზამთრეს და სწორედ ახლა გადაიტანეს სადედე ნაკვეთზე. აქ გაშენებული ნარგავებიდან აიღებენ სანამყენე კვირტებს ციტრუსოვანთა ნერგების მასობრივი წარმოებისათვის.

სადედე ნაკვეთზე ციტრუსოვანთა ნარგავები, ჯიშების მიხედვით, უბნებად და სექციებადაა გაშენებული და ეტიკეტირებული. აქ სწრაფად შეიძლება ნებისმიერი ჯიშის მიგნება. აქაა სექტემბრიდან ნოემბრის ჩათვლით მწიფადი ჯიშები, უვირუსო, გაუმჯობესებული თვისებების და მაღალხარისხოვანი ნაყოფით. ეფიქრობთ, რომ ახალმა ჯიშებმა ჩვენს პირობებში უკეთ იხაროონ და უკეტესი მოსავალიც მოგვცეს, როგორც ეს სხვა კულტურების - მაგალითად, ჩაის, ხეხილის, ბოსტნეულის, შემთხვევაში მოხდა.

ამ მხრივ არ უნდა დავიიწყოთ, ასევე დღემდე არსებული მანდარინის ჯიშებს შორის , ყველაზე საუკეთესო ჯიში – ტიახარა უნშიუ, რომლის ნაყოფები ოქტომბრის პირველ დეკადაში მწიფდება და კარგადაა შეგუებული ადგილობრივ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებს. აღნიშნული ჯიში 35%-ით მეტ მოსავალს იძლევა დარაიონებულ ჯიშ – უნშიუსთან შედარებით და თანაც გამოირჩევა ნაყოფის უკეთესი ხარისხით.

მეცნიერ-პრაქტიკოსების დაკვირვებით რეკომენდებულია ჩვენი რეგიონისთვის გასაერცელებლად ლიმონის შემდეგი ჯიშები: 1) ქართული ლიმონი; 2) მეიერი. ფორთოხლის ჯიშებიდან ყურადღებას იმსახურებს: 1) ვაშინგტონ-ნაველი; 2) ნეაპოლიტანური და სხვა, რომელტა ნერგების წარმოება რეგიონში არასაკმარისია, ამ დროს კი მოსახლეობის მხრიდან მათზე მოთხოვნილება ძალზედ დიდია.

იმდინარე მომენტისათვის სხვადასხვა სუბტროპიკული კულტურების ნერგების გამოყვანა წარმოებს არაორგანიზებულად, ცალკეული გლეხური მეურნეობის დონეზე, რომელიც არ ატარებს ინტენსიურ ხასიათს დ ავერ პასუხობს კულტურათა გაერცელების თანამედროვე მოთხოვნებს. ამასთან აღსანიშნავია,რომ ორგანიზებული სანერგე მეურნეობები ფაქტიურად აღარ არსებობს, ამიტომ მოსახლეობის ერთეული პირები ნერგების გამოყვანას ახორციელებს საკარმიდამო ნაკვეთში მოწყობილ მიკრო სანერგეებში, არააპრობირებული, ზოგჯერ კი არა პერიოდულად მეწლე ხეებიდან აღებული კალმებით.

გამონაკლისი შემთხვევაა – მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული და რეგიონში განხორციელებული ორი პროექტი, ერთი ჩაქვის სამეცნიერო ცენტრში და მეორე "ციტრუსების ნერგების გამოყვანა პოლიეთილენის პარკებში და მათი დემონსტრირება-გავრცელება ფერმერულ მეურნეობებში", სადაც ძირითადი ყურადღებაა დათმობილი ნერგებიას პოლიეთილენის პარკებში გამოყვანაზე, მისი უპირატესობა შემდეგში მდგომარეობს: ნერგების რეალიზაცია - დარგვა მუდმივ ადგილზე შეიძლება ჩატარდეს წლის სამ პერიოდში (გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა), ფესვთა სისტემის მთელი მასა დაუზიანებლად შენარჩუნებულია და ნერგის გახარების უნარყ 100%-მდეა, ამასთან

შედარებით ტრანსპორტაბელურია, არ აჩერებს ზრდას გადარგვის შემდეგ და 1-2 წლით ადრე შედის მსხმოიარობაში, ასევე გაადვილებულია გამოზამთრება.

პოლიეთილენის პარკებში ნერგების გამოყვანის ტექნოლოგიის ეკონომიკური ეფექტიანობა შედარებით მაღალია კერძოდ, 1 ექტარზე ჩვეულებრივი წესით მიიღება 50 ათასი ძირი სტანდარტული ნერგი, ხოლო პოლიეთილენის პარკებში 400 ათასი ძირი. ღენტაბელობის დონე პირველ შემთხვევაში 5%-ია, მეორეში კი 60%. ამგვარად, პოლიეთილენის პარკებში გამოყვანით 8-ჯერ უფრო მეტი სარგაჟი მასალა მიიღება ფართობის ერთეულზე, ვიდრე ჩვეულებრივი წესით გამოყვანის დროს. უკანასკნელ წლებში მთავრობის მიერ განხორციელებული პოლიტიკა სოფლის მეურნეობის აღორძინების შესახებ ქმნის რეალურ პირობებს, რომ შედარებით მოკლე პერიოდში მოხდება დარგის განეითარება, იმ ძირითად აგროტექნოლოგიურ ღონისძიებათა გათვალისწინებით, რაც აუცილებელია ციტრუსოვანთა ნარგაობების აღდგენა-განეითარებისა და პროდუქციის მაქსიმალური გაზრდისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაზეთი "აჭარა" გვ. 3-4. 2012 წ.
2. გ. ჩხაიძე – სუბტროპიკული კულტურები. ბათუმი, 2003 წ.
3. რ. ჯაბნიძე – ჩაი და ციტრუსები. თბილისი, 2004 წ.
4. რ. ქარაია – ციტრუსოვანთა ახალი სახეობების და გაუმჯობესებული ჯიშების დანერგვის შესაძლებლობები და პერსპექტივები. თბ. საერთ. სამეც. კონფერ. კრებული. 2011 წ.
5. ლ. ებრალიძე-მანდარინ უნშიუს ამორტიზებული პლანტაციის განახლება აჭარის პირობებში. 2005 წ. დისერტაცია.

Possibilities and perspectives to implant the new kinds

of citruses and improved species

Leila Ebralidze – Academic Doctor of Agriculture

George Jabnidze - – Academic Doctor of Agriculture

Batumi Shota Rustaveli State University

Resume

In connection with the high food, medical and big economic importance citrus takes a due place in agriculture of Georgia. Unfortunately, in recent time the branch has undergone notable degradation – is used 20-23% of potential possibilities. The early rehabilitation of citrus growing in Georgia. In article examined pressing questions modern state citrus.

There are present the medical and nourishment worth of fruit of Grapefruit and Pompelmoss; The possibilities of the use of its branches and wood; some agricultural character of diffused introduction implants and local hybrids in the subtropics moisture of Georgia. There is discussed the matters about the modern crises conditions of citruses and some consideration to uproot them.

ნანა ჯაბნიძე
სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი
რეზო ჯაბნიძე
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მყარი ბაზის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ადგილობრივი ნიადაგობრივ-კლიმატური პირობებისადმი მისადაგებული ტრადიციული და არატრადიციული სასოფლო-სამეურნეო კულტურების გამოყენება და გავრცელება.

ამ მხრივ ერთ-ერთ მნიშვნელოვან რენტაბელურ და პერსპექტიულ კულტურად გვესახება სტევია (Stevia Rebaudiana Bertoni), რომელიც საქართველოსათვის არატრადიციულია. სტევიას ფოთლისა და მისგან მიღებული პრეპარატების წარმოება პატენტებითაა დაცული და ძვირადღირებულია. აქედან გამომდინარე საქართველოში შემოტანილი სტევიას სამეურნეო-ბიოლოგიური, აგროტექნიკური ნიშანთვისებებისა და გამრავლების საკითხების შესწავლა და კულტურაში დანერგვა მეტად აქტუალურია.

სხვა სუბტროპიკული კულტურებისგან განსხვავებით სტევია ნაკლებ ზიანდება მავნებლებითა და დაავადებებით. ეს აიხსნება იმით, რომ მცენარეზე სისტემატიური მრავალჯერადი მწვანე ფოთლის აღება მნიშვნელოვანწილად აცილებს მავნებელ-დაავადებებს და აჯანსაღებს მცენარეს. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას მავნებელ-დაავადებები არ აზიანებს. ამიტომაც პლანტაციის მოვლის აგროტექნიკურ ღონისძიებათა სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლას, მით უმეტეს, რომ მათ გამრავლებას ხელს უწყობს ტენიანი სუბტროპიკული რაიონების ხელსაყრელი კლიმატურ-ნიადაგობრივი პირობები.

ინტროდუცირებული სამკურნალო და საკვები კულტურების სიახლის გამო, მათი მავნე ფაუნა ჩვენში ჯერჯერობით ნაკლებადაა შესწავლილი. პროფილაქტიკური და სხვა ღონისძიების დასადგენად საჭირო შეიქნა გამოყენებულიყო მავნებელთა სახეობრივი შედგენილობა. ამ მიზნით აღნიშნულ რეგიონში, სტევიას მცენარეთა მავნე ფაუნის შესწავლა ტარდებოდა ბოლო ათი წლის განმავლობაში.

სტევიას მცენარეთა მავნე ფაუნა წარმოდგენილია, უმთავრესად ტენიანი სუბტროპიკების ზონაში გავრცელებული ნაირჭამია სახეობებით, ხოლო სპეციალიზირებულ სახეობათა რიცხვი ჩვენს პირობებში მეტად შეზღუდული აღმოჩნდა.

საველე და ლაბორატორიული ექსპერიმენტების ჩატარების შედეგად გამოვლენილი იქნა სტევიას მცენარის ფიტოპათოგენური ორგანიზმები სახეობრივი კუთვნილების დადგენით, ასევე მოვახდინეთ უმთავრეს დაავადებათა თავისებურებების დინამიკის შესწავლა.

დაკვირვების წლებში ჩვენს საცდელ ნაკვეთებზე უპირატესად შეინიშნებოდა ფესვებიდან ჭკნობა, რომელიც დიდ ზიანს აყენებს სტევიას მცენარეს. ამ დაავადების გარეგნული ნიშნები პირველად შეიმჩნევა ვეგეტაციის შუა პერიოდში, ეი მცენარის ინტენსიური ზრდის პერიოდში ყლორტების წარმოქმნის ფაზაში. პირველად ფოთლებზე ჩნდება შავი და წითელი ლაქა, რომლებშიც ხდება ქსოვილების დაღუპვა. შემდგომში დაავადება სხვა ნაწილებზეც გადადის, ასეთი მცენარეების ზრდა – განვითარება ფერხდება, ზოგიერთი მცენარე კი ხმება.

მცენარის მავნე ორგანიზმებისაგან დაცვის მიზნით, გამოკვლევები ტარდებოდა ღია გრუნტში და კვალსათბურებში, შემუშავებული მეთოდიკის მიხედვით. ფიტოსანიტარული მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა შემდეგი მავნებლები: 1. ორანჟერიის ფრთათეთრა – Traleurodes vaporarium (Westwood); 2. რბილი ცრუფარიანა – Coccus hesperidum N; 3. დაავადების გამომწვევი სოკოები – Botrytis, Fusarium - ის და Rizoctonia-ს გვარებიდან. მათ გარდა სტევიას მცენარეს აზიანებს ფესვების დაავადება, რომელიც იწვევს მცენარეების ჩაწოლას.

ორანჟერიის ფთათეთრას ახასიათებს მასობრივი გამრავლება სათბურის პირობებში. სტევიის საცდელ ნაკვეთებში ის თითქმის 4 ბალით იყო გავრცელებული. მავნებლისგან მოტანილი ზიანი დიდია, რადგან მას ფოთლებიდან გამოაქვს ყველა ის ძვირფასი ნივთიერება, რომელიც ამ მცენარეს გააჩნია. მცენარე დაზიანების გამო კარგავს სასაქონლო ღირებულებას და ის გამოუსადეგარია, მაღალი დაზიანების შემთხვევაში კი ხმება. მავნებელი იძლევა 12 თაობას, აქედან ჩანს, რომ მავნებლის რიცხობრიობა მცენარეზე პროგრესულად მატულობს. ამის გამო მცენარეს უჭირს ნაზი ყლორტების წარმოქმნა, რადგან ყველა სამარაგო ნივთიერება ხმარდება მავნებლის განვითარებას. ორანჟერიის ფრთათეთრას წინააღმდეგ მრავალი ინსექტიციდის გამოყენება შეიძლება, მაგრამ ისინი იწვევენ მცენარის ფიტონციდური თვისებების გაუარესებას, რასაც უარყოფითი შედეგები მოყვება. ამ შემთხვევაში აუცილებელია ბიოლოგიური მეთოდის გამოყენება. ამ მავნებლის სპეციალიზირებული ენტოფაგია ენკარზია – Encarsia formosa Gahan, რომელიც სეზონური კოლონიზაციის მეთოდით გაშვებული უნდა იქნეს მავნებლის წინააღმდეგ.

სათბურის ფრთათეთრას წინააღმდეგ შეიძლება გამოყენებულ იქნას აგრეთვე მიკრობიოლოგიური მეთოდიც – ენტომოპათოგენური სოკო Verticillium lecanii, რომელიც ეფექტური საშუალებაა მავნებლის წინააღმდეგ. ის გამოიყენება სუსპენზიის სახით, ფოთლის ქვედა მხარეზე დასახლებულ ფრთათეთრაზე და მის სიკვდილიანობას იწვევს 4 დღის შემდეგ.

რბილი ცრუფარიანა. პოლიფაგი კოქციდია, რომელიც გავრცელებულია მთელ მსოფლიოში როგორც ორანჟერეებში, ასევე ბუნებრივ პირობებში. ზომიერი კლიმატის დროს ის კარგად ვითარდება და იძლევა 2-3 თაობას. ამ მავნებლის მიერ დაზიანებული მცენარე ყვითლდება, ჭკნება და იღუპება კიდეც. მავნებლის წინააღმდეგ შეიძლება ბიოლოგიური მეთოდების გამოყენება. ჩვენს პირობებში აკლიმატიზებული ჩვეულებრივი ოქროთვალას და კოქციდინების ზოგიერთი სახეობები ამცირებენ რბილი ცრუფარიანას რიცხოვნობას.

რბილი ცრუფარიანას წინააღმდეგ იქ, სადაც ენტომოფტორულ სოკოს Cephalosporium lecani-isa და პარაზიტებს მათთვის არახელსაყრელი მეტეოროლოგიური

პირობების გამო არ შესწევთ უნარი, დაძლიონ რბილი ცრუფარიანას რიცხობრიობა, შეიძლება გამოვიყენოთ ფოსფორორგანული და მინერალური ზეთები. კონტაქტური პრეპარატებიდან კარგ შედეგს იძლევა ტრიქლორმეტაფოსის 0,2-0,3 პროცენტიანი (200-300 გრ. 100 ლიტრა წყალზე) ემულსიის შესხურება. შესაძლებელია სხვა ფოსფორორგანული პრეპარატების გამოყენებაც. მაგალითად, ფოსფამიდის 0,2-0,3 პროცენტიანი ემულსია და ა. შ.

წაგრძელებული ბალიშა ცრუფარიანა (Chloropulv-Inaria Floccifera). ცრუფარიანა მატლისა და იმაგოს ფაზაში სახლდება მცენარის ფოთლებსა (უმთავრესად ქვედა მხარეზე) და ყლორტებზე და მათი წუწნით იკვებება. ინტენსიური გამრაველების ღროს სტევიას გამერქნებულ ორგანოებზე-ტოტებსა და ღეროზე სახლობს. ის მცენარეს პირდაპირ და არაპირდაპირ ზიანს აყენებს. პირდაპირი ზიანი იმაში გამოიხატება, რომ ცრუფარიანას ინტენსიური გამრაველებისას სტევიას ფოთლების დაზიანებისას და უჯრედშორისი წვენის დაკარგვის გამო, კვირტები აღარ ვითარდება, არ იშლება და მოსავალი საგრძნობლად მცირდება. ამასთან ფოთლები, ქლოროფილის შემცირების გამო, კარგავს ბუნებრივ, მწვანე ფერს, ჭკნება და ბოლოს სცვივა. მწერი მცენარეს არაპირდაპირ ზიანს აყენებს იმით, რომ მატლისა და იმაგოს მიერ უხვად გამოყოფილ თხელ ექსკრემენტებზე სახლდება სიშავის გამომწვევი სოკო კაპნოდიუმი. იგი მურივით გადაეფინება მთელ მწვანე მასას და გამერქნებულ ორგანოებს, რის შედეგადაც ფოტოსინთეზი ჯერ ნელდება, შემდეგ კი ასიმილაციისა და დისიმილაციის პროცესები სრულად წყდება. ამას მოსდევს საფროფიტული სოკოებით დაფარული ფოთლების ცვენა, წაგრძელებულ ბალიშა ცრუფარიანას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ჩაუტარებლობის შემთხვევაში მცენარე მთლიანად ხმება.

ცრუფარიანას სხვადასხვა ასაკის მატლები იზრდებიან ტოტებზე და ფესვთან ახლოს. გაზაფხულზე განაგრძობენ ზრდას და საკვერცხეზე ჩანთაში კვერცხს დებენ. 10-12 დღის შემდეგ იჩეკებიან მატლები. იკვებებიან გვიან შემოდგომამდე.

წაგრძელებული ბალიშა ცრუფარიანას წინააღმდეგ ტარდება ბრძოლის დიფერენცირებული ღონისძიებები. იმ პლანტაციებში, სადაც მავნებელი ინტენსიურადაა მოდებული, საჭიროა გასხვლის ჩატარება და განასხლავის იქვე დაწვა ან პლანტაციის ადრე გაზაფხულზე ფუმიგაცია.

ჩვენს მიერ განხილული სხვადასხვა დაავადებებიდან სტევიას მცენარის ზრდა-განვითარებაზე სხვა უარყოფით ფაქტორებთან ერთად უნდა აღინიშნოს სხვადასხვა სოკოვანი ავადმყოფობების ზეგავლენა, კერძოდ ამ კულტურების მოვლა-მოყვანას აფერხებს ხმობის გამომწვევი სოკო — Sclerotium rolfsii Sacc გავრცელება. ჩვენს ყურადღებას სოკოს ბიოლოგიურ თავისებურებებსა და მის მავნეობაზე შევაჩერებთ.

სამხრეთული სიდამპლის პირველი სიმპტომები მცენარეზე შეიმჩნევა ფესვის ყელთან ნიადაგის ზედაპირზე. მცენარის ღეროს დაავადებული ნაწილი მუქდება, შემდეგ იწყება გარეგანი ლპობა, რომელიც თანდათანობით ღეროს შიგა უჯრედებში ვითარდება.

ფოთლები იწყებს გაყვითლებას ფესვის ყელთან, ნიადაგის შეხების ადგილას ვითარდება თეთრი ფერის მიცელიუმი. სოკოს შეჭრა მცენარეში უფრო მეტად ხდება მექანიკური დაზიანების ადგილებიდან, თუ ნიადაგში არის ინფექციის წყარო

სამხრეთული ფესვის სიდამპლის სოკოსათვის დამახასიათებელია ნაყოფიერება ე.წ. სკლეროციუმები, ისინი ღივდებიან და ადვილად იჭრებიან მცენარეში. ისინი ნიადაგში სიცოცხლის უნარიანობას ინარჩუნებენ ოთხ წლამდე.

დაავადების გავრცელება ხდება მიცელიუმის ნაწილებით ქარის, წყლის, სამუშაო იარაღების, მწერების მიერ გადატანის გზით. დაავადება ნაკეთზე ვითარდება უმეტესად კერობრივად. აღნიშნული დაავადების მიმართ მცენარე განსაკუთრებით მგრძნობიარეა ყვავილების და თესლის განვითარების პერიოდში. სტევიას მცენარეები სამხრეთული ფესვის ყელის სიდამპლით ღია გრუნტში ავადდებიან მთელი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში, მაქსიმუმს აღწევს სავეგეტაციო პერიოდის მეორე ნახევარში აგვისტო–სექტემბერში, ასე რომ პათოგენობა უფრო მცენარის ძველი ქსოვილებისათვისაა დამახასიათებელი.

სამხრეთული სიდამპლის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების დადგენა რთულია, რადგან ის ნიადაგის სოკოა და აავადებს მცენარეთა დიდ ჯგუფს, როგორც ერთწლიანი ასევე მრავალწლიანი 60 სახეობის მცენარე ავადდება აღნიშნული სოკოთი ჩვენს ქვეყანაში, ხოლო მსოფლიოში 200-ზე მეტი. აქედან გამომდინარე მათ წინააღმდეგ ბრძოლა რთულია, ვინაიდან სოკო ეგუება სხვადასხვა გარემო პირობებს; ვითარდება ფართო ტემპერატურულ ზღვრებში, ტენიან და მჟავე ნიადაგებში.

ლიტერატურული მონაცემების საფუძველზე სამხრეთული ფესვის სიდამპლის წინააღმდეგ გამოყენებული უნდა იქნეს ბრძოლის კომპლექსური ე.წ. ინტეგრირებული მეთოდი, რაც გულისხმობს აგროტექნიკურ, ქიმიურ, ბიოლოგიურ ღონისძიებათა ერთობლიობას.

ქიმიური ბრძოლის ღონისძიებების – ფუნგიციდების გამოყენება სამკურნალო მცენარეებზე არ არის რეკომენდირებული, გარდა ნიადაგის სადეზინფექციო საშუალებებისა, რომლებითაც მცენარეთა გადარგვამდე ხდება ნიადაგის წინასწარი დამუშავება.

ჩვენს მიერ ასევე ისწავლებოდა სტევიას მავნებლები, რომელთაგანაც განსაკუთრებით გამოირჩევა **ფოთლების ყავისფერი ლაქიანობა (COLLETOT-RICHUM CAMMELIAE),** რომელიც გავრცელებითა და მავნეობით ყველაზე მნიშვნელოვანი დაავადებაა. აზიანებს სტევიას ყლორტებსა და ფოთლებს. ავადდება, როგორც ახალგაზრდა, ისე ძველი, უხეში ფოთლები. ნორჩი ფოთლების დაავადება უმთავრესად კიდეებიდან იწყება: პირველად ვითარდება ყვითელი ლაქა, რომელიც თანდათანობით დიდდება და ყავისფერდება. ხშირად ერთ ფოთოლზე რამდენიმე ლაქა ჩნდება და მაშინ ფოთლის ფირფიტის დიდი ნაწილი ხმება. ძველი ფოთლების დაავადებების შემთხვევაში ასეთი პროცესი ნელი ტემპით მიმდინარეობს და ავადმყოფობის გაჩენის შუა სტადიაში მოწითალო ყავისფერი გადაჰკრავს. საბოლოოდ ძველი ლაქები ცენტრალური ნაწილიდან იშლება და ფოთოლი ცვივა.

ყლორტები ცალცალკე ფოთლის ჟუნწიდანაც ავადდება. ორივე შემთხვევაში ნორჩი ყლორტი მურა ფერის ხდება, ელასტიურობას კარგავს, ფოთლები სცვივა და ხმება.

რადგანაც სტევიას ფოთოლი საკვებად გამოიყენება, ლაქიანობის წინააღმდეგ აგროტექნიკურ ღონისძიებებს ვიყენებთ. ქიმიურ ღონისძიებებს მხოლოდ მაშინ მივმართავთ, როცა დაავადება ფართოდ ვრცელდება.

აგროტექნიკური ღონისძიებებიდან აღსანიშნავია მცენარის გასაძლიერებლად სასუქების შეტანა. ორგანული და მეტადრე, აზოტიანი სასუქები ჭარბად არ უნდა შევიტანოთ, რათა დაავადებას ხელი არ შევუწყოთ. მცენარე უნდა გაიწმინდოს დაავადებული ფოთლებისა და ტოტებისაგან, რის შემდეგ ისინი ნაკვეთებიდანაც უნდა გავიტანოთ და დავწვათ.

ქიმიური ღონისძიებებიდან მიღებულია ბორდოს სხნარის შესხურება, რომელიაც უნდა ჩატარდეს მცენარეზე ფოთლის კრეფისა და გასუფთავების შემდეგ, ვიდრე ახალი ზრდა არ დაიწყებოდეს. მეორე შესხურება სანერგეებში და პლანტაციებში ზაფხულის დასაწყისში უნდა ჩატარდეს.

დაკვირვების წლებში სტევიას მცენარეების საცდელ ნაკვეთზე ჩატარებული გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ არნიშნული კულტურის დაავადებებიდან გავრცელების ინტენსივობით და მავნეობის ხარისხით გამოირჩევა ნაცარი, რაც დასტურდება ლიტერატურული მონაცემებითაც, რის გამოც აღნიშნული დაავადება გახდა ჩვენი შესწავლის ძირითადი ობიექტი, მისი უარყოფითი შეზღუდვის მიზნით.

დაავადებების გავრცელების აღრიცხვა ხდებოდა ვეგეტაციის მთელ პერიოდში, ხოლო განვითარების ინტენსივობა ისაზღვრებოდა 5 – ბალიანი სისტემით, რომელიც კარგად აისახება წარმოდგენილ ცხრილში

სტევიას მცენარეზე ნაცრის გავრცელება – განვითარების ინტენსივობა 2004 – 2010 წ.წ.

გავრცელების წლები	გავრცელება %	განვითარების ინტენსივობა %
2004	21,7	11,1
2005	19,2	9,7
2006	39,5	21,2
2007	31.1	18.1
2008	25,2	12,3
2009	33,7	19,4
2010	29,4	17,2

ცხრილში მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ ექსპერიმენტის ჩატარების წლებში სტევიას მცენარეზე ნაცრის გავრცელება მერყეობდა 19,2 – 39, 5 %-ის ფარგლებში, დაავადებამ მაქსიმალურ განვითარებას მიაღწია 2006 წლის უხვნალექიან პერიოდში, ხოლო ყველაზე ნაკლები განვითარება და ინტენსიობა დაფიქსირდა 2005 წლის სავეგეტაციო პერიოდში, რაც გამოწვეულია გვალვებისა და მაღალი ტემპერატურის შედეგად.

მიღებული მონაცემების საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მაცხებელ – დაავადებათა გავრცელება – განვითარება პირდაპირ კავშირშია კლიმატურ პირობებთან (ტემპერატურა, უხვი ატმოსფერული ნალექები), მცენარეთა სიხშირე გაადგილებასთან, ნიადაგის ფიზიკო – ქიმიურ თვისებებთან და სხვა ფაქტორებთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ხურციძე ალ., წუწუმია დ., ჭანტურია მ. – სტევიას მცენარიდან ეკოლოგიურად სუფთა ნედლეულის მიღების აგროტექნოლოგია კოლხეთის დაბლობზე. სსაუ შრომათა კრებული. ქუთაისი. 2010 წ. გვ. 3-7.
2. ჯაბნიძე რ; ჯაბნიძე ნ. – სტევიას (ტკბილი ორფოთოლას) ფენოლოგიური ფაზების, ზრდა-განვითარებისა და გამრავლების საკითხების შესწავლა აჭარის პირობებში. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე". №15. თბ. 2009. გვ. 49-53.
3. კუტუბიძე ვ., თაქართქილაძე ო., ეჯერნინა ნ. – სტევია პერსპექტიული და მომგებიანი კულტურა. გაზეთი განთიადი. 20. II-1990. გვ. 3-4.
4. გოძიაშვილი ბ., ჩებატარიოვა მ. – სტევია პერსპექტიული კულტურა. სსაუ-ს სამეცნიერო შრომათა კრებული. 2008 წ. გვ. 217-219.

The study of question of biological features and the reproduction of

Stevia in the conditions of Adjara

Nana Jabnidze – Academic Doctor of Agriculture

Rezo Jabnidze- Academic Doctor of Agriculture –Full Professor

Batumi Shota Rustaveli State University

Resume

Withal, the use of agricultural holdings becomes more rational due to cultivation of the alien cultures of Stevea in Georgia. Studying of the raw materials of Stevea and productions received from it will allow to use raw materilas more effectively, besides as much as possible keeping biologically active substances that has the big practical value at an increasing demand for raw materials of Stevia and maintenance of the industry with it.

მეცხოველეობის განვითარების აქტუალური პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები

სულიკო ბერიძე
სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი-სრული პროფესორი
შუქურა გორგილაძე-ჯაბნიძე
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს სოფლის მეურნეობის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ქვეყნის მოსახლეობის მაქსიმალურად შესაძლებელი დაკმაყოფილება მემინდვრეობის, მეცხოველეობის და სხვა ძირითადი დარგების მიერ წარმოდგენილი მაღალხარისხიანი, უსაფრთხო და მცირე თვითღირებულების მქონე პროდუქციით (მარცვალი, ბოსტნეული, კარტოფილი, ყურძენი, ხილი, ხორცი, რძე, კვერცხი და სხვა.).

ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის ერთ–ერთი პრიორიტეტული დარგია მეცხოველეობა, ხოლო მისი განვითარებისათვის აუცილებელი საკვები ბაზა ძირითადად წარმოდგენილია მთის ბუნებრივი საკვებ–სავარგულებით, სადაც წარმოებული სრულფასოვანი, მაღალი ყუათიანობის და ამაგე დროს დაბალი თვითღირებულების მქონე საკვების (თივა, მწვანე მასა) თითქმის 60% საკვები ერთეულების მიხედვით სწორედ ბუნებრივი სათიბ–საძოვრებიდან მიიღება.

საქართველოში უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში მიმდინარე სხვადასხვა სახის კატაკლიზმების ფონზე აგრარული სფერო, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის მოთხოვნა სურსათზე და მრეწველობისა – ნედლეულზე, ჯერ კიდევ არ არის გამოსული კრიზისული მდგომარეობიდან, რაც მთელი რიგი მიზეზით არის განპირობებული სოფლად მეურნეობები დაქუცმაცებული, ექსტენსიური და ნატურალური ხასიათისაა; შეინიშნება სასოფლო–სამეურნეო ტექნიკის სიმცირე და ფინანსური სიდუხჭირის გამო არსებული ტენიკის გამოყენების დაბალი დონე, ამის გამო მაღალია ცოცხალი გამწევი ძალის გამოყენებისა და ხელით შრომის ხვედრითი წილი; დაბალია სოფლად მიკროსესხებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი და სახეზეა სოფლის მეურნეობაში დაზღვევის სისტემის განუვითარებლობა. ეს უკანასკნელი კი განსაკუთრებით საჭირო და აუცილებელია ქართველი მეურნისათვის იმ მიზეზის გამო, რომ უკანასკნელ წლებში კლიმატური პირობების მკვეთრი ცვლილების გამო (ხშირი წვიმები, წყალდიდობა, გვალვა, ცხოველებისა და ფრინველების ეპიდემიური დაავადებები და სხვ.) გვიან გაზაფხულზე და ზაფხულის დასაწყისში მასიურად ნადგურდება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში, როგორც ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობები, ასევე ადგილი აქვს პირუტყვისა და ფრინველის დახოცვის ფაქტებს. ამის გამო ამ სფეროში დასაქმებული შინამეურნე და ფერმერი დიდ მატერიალურ დანაკარგს განიცდის, რისი ანაზრაურებაც სადაზღვეო სისტემის განუვითარებლობის გამო სრულად ვერ ხერხდება.

ბოლო წლებში ქვეყანაში დაფიქსირდა მეცხოველეობის თითქმის ყველა ქვედარგის შემცირების ტენდენცია. მაგ: იკლო მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის

სულადობამ 162,7 ათასი სულით. მათ შორის, ღორის – 308,2 ათასი სულით; ფურ–კამეჩისა –108,7 ათასი სულით; გაიზარდა ცხვრისა და თხის სულადობა 46,2 ათასი სულით; ამ პერიოდში იკლო ფრინველის რაოდენობამ 2230,4 ათასი ფრთით; მინიმუმამდე დაეცა აბრეშუმის პარკის წარმოება; შემცირდა რძის წარმოება 53,1 ათასი ტონით; უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ფუტკრის ოჯახების რაოდენობა – 158,9 ათასი სკით.

მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება ყველა კატეგორიის მეურნეობებში 2000–2009 წლებში შემცირდა: ხორცი დაკლული წონით – 107,9 ათასი ტონიდან – 53,3 ათას ტონამდე; რძე – 618,9 ათასი ტონიდან – 551,4 ატას ტონამდე; მატყლის წარმოება – 1,9 ათასი ტონიდან – 1,8 ათას ტონამდე; გაიზარდა მხოლოდ კვერცის წარმოება 361,4 მილიონი ცალიდან – 430,6 მილიონ ცალამდე.

უკანასკნელ ათწლეულში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, აგრარული სფეროს მახასიათებელი ყველა მაჩვენებელი მკვეთრად მცირდება. განსაკუთრებით კატასტროფული მდგომარეობაა მეღორეობაში. აღნიშნულ პრიოდში დედა ღორის სულადობა 174 ათასიდან შემცირდა 35,9 ათასა,დე, ე. ი. 4,8-ჯერ. ამის შედეგად, გოჭის ნამატი 1417,8 ათასიდან შემცირდა 211 ათასამდე, ე. ი. 6,7-ჯერ. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა შემცირდა 18%-ით, ხბოს და ზაქის ნამატი - 15%-ით, ფრინველის სულადობა - 27%-ით.

ამასთანავე მკვეთრად იზრდება პირუტყვისა და ფრინველის დაცემის მაჩვენებელი. კერძოდ, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაცემა 25,1 ათასი სულიდან გაიზარდა 76,1 ათასამდე, ე. ი. 3-ჯერ; ღორის დაცემა - 23,2 ათასიდან - 32,1 ათასამდე. ე. ი. 1,4-ჯერ; ცხვრისა და თხის დაცემა 17,1 ათასი სულიდან - 26,8 ათასამდე, ე. ი. 1,6-ჯერ; ყველა სახის ფრინველის დაცემა - 614,4 ათასიდან - 2592,7 ათას ფრთამდე, ე. ი. 4,2-ჯერ. აღნიშნულ პერიოდში იზრდება პირუტყვისა და ფრინველის დაცემის როგორც აბსოლუტური მაჩვენებლები, ისე დაცემის დონე. კერძოდ, განხილულ პერიოდში ყოველ 100 სულზე, ჩვენი გაანგარიშებით მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაცემის მაჩვენებელი 2 - დან გაიზარდა 7,5 - მდე, ხოლო 100 ფრთა ქათამზე გაანგარიშებით 6,6-დან - 38,8-მდე.

მეცხოველეობაში მიმდინარე უარყოფითი ტენდენციები აისახა პროდუქციის წარმოების მოცულობაზეც. კერძოდ, ხორცის წარმოება 107,9 ტონიდან შემცირდა 54,3 ათას ტონამდე, ე. ი. 2-ჯერ. რძის წარმოება 618,9 ათასი ტონიდან შემცირდა 551,4 ათას ტონამდე, ე. ი. 10%-ით.

სასიამოვნო გამონაკლისს წარმოადგენს ფუტკრის ოჯახების რაოდენობა, რაც 133,2 ათასი სკიდან გაიზარდა 256,5 ათასამდე, ე. ი. 1,9-ჯერ. წარმოებული თაფლის მოცულობა გაიზარდა 2-დან - 2,5 ათას ტონამდე. მოცემულ პერიოდში ასევე იზრდება ფურისა და ფურ-კამეჩის საშუალო წველადობა, ხბოსა და ზაქის ნამატი 100 დედა-პროდუქტზე გაანგარიშებით, იზრდება კვერცხის წარმოება. გაცილებით საგანგაშო მდგომარეობაა მემცენარეობაში. ხორბლის წარმოება 2000-2009 წლებში 89,4 ათასი ტონიდან შემცირდა 54 ათას ტონამდე, ხოლო ხორბლის საშუალო მოსავლიანობა 1,9 ტონიდან ჰექტარზე - 1,1-მდე. შემცირდა ყველა ერთწლიანი კულტურების წარმოება. კერძოდ: ქერის - 2-ჯერ; კარტოფილის - 28%-ით; ბოსტნეულის - 2-ჯერ. ერთადერთი

სასიამოვნო გამონაკლისი მემცენარეობაში არის ლობუიოს წარმოება, რომელიც 2000-2011 წლებში 2,6-დან გაიზარდა 10,2 ათას ტონამდე, ე. ი. 4-ჯერ.

საბჭოური „აგრომრეწველობის“ სისტემის დანგრევისა და ჩვენს სინამდვილეშიც ამ დარგის საკუთარი შესაძლებლობების ამარა დარჩენის შემდეგ, მისი ოპტიმიზაცია გამართლებულია, მაგრამ რაკი ექსტენსიური განვითარების შესაძლებლობები შეზღუდულია, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს დარგის ინტენსიფიკაციას – პირუტყვის ჯიშობრივ გაუმჯობესებას, მტკიცე საკვები ბაზის შექმნას, დაავადებებთან ბრძოლას და ამ საფუძველზე პროდუქტიულობის გაზრდას.

საერთო პირუტყვის საკვები ბაზა ყოველთვის მტკივნეული პრობლემა იყო რეგიონის მეცხოველეთათვის. ეს მხოლოდ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს როდი ეხება. აჭარას მთაგორიანობისა და მცირემიწიანობის, ასევე დარგობრივი სპეციალიზაციის გამო, ყოველთვის აკლდა მარცვლეული, ამიტომაც მოსახლეობაში ნაკლები იყო წვრილფეხა პირუტყვისა და ფრინველის რაოდენობა, თუ არ ჩავთვლით ფერმერებს, რომლებიც საკვებით ცენტრალიზებული წესით მარაგდებიან. ეს ტენდენცია დღესაც გრძელდება, მიუხედავად იმისა, რომ პრივატიზაციის შემდეგ ასობით ჰექტარი ამორტიზებული ჩაისა და ციტრუსის პლანტაციები სიმინდის ყანებმა შეცვალა.

როდესაც მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ადგილობრივი მტკიცე საკვები ბაზის შექმნაზე ვამახვილებთ ყურადღებას, გასათვალისწინებელია სათიბ–საძოვრების მოვლა–პატრონიბის პრობლემა. ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, როცა ამ მხრივ მეტი შესაძლებლობები იყო, ჭირდა ეს საქმე. ათეულობით ჰექტარს უსარგებლო ბუჩქნარი და ეკალ–ბარდი იკავებდა. წარმოვიდგინოთ ახლა რა მდგომარეობა იქნება ამ მხრივ, როცა მას შემდეგ სათიბ–საძოვრების გაკულტურებისათვის არავის უზრუნია. განვითარებული მეცხოველეობის ქვეყნებში კი ეს საქმე უმაღლეს დონეზეა, დაწყებული სიდერატების, ბალახეულების თესვით, სასუქების შეტანით და ა. შ.

უმაღლეს დონეზეა დამუშავებული პირუტყვის კვების რაციონიც მისი ბიოლოგიური თავისებურებების, ჯიშის, პროდუქტიულობის, ფიზიოლოგიური მდგომარეობის და საკვების ხარისხისა და მრავალფეროვნების მიხედვით. რეგიონში დარგის ოპტიმიზაცია იმასაც გულისხმობს, რომ ამ სტანდარტებს მიუახლოვდეთ მაინც, რაკი ჯოგის რაოდენობრივი ზრდის შესაძლებლობები შეზღუდულია და არ უნდა ავიღოთ ორიენტაცია, შავი – ჭრელი და ველის წითელი ჯიშის მაღალპროდუქტიულ პირუტყვზე. ადგილობრივი უფრო პატარა ტანის და დაბალპროდუქტიული პირუტყვის პროდუქტიულობა სწორედ სრულფასოვანი კვებით უნდა გავზარდოთ, რადგანაც პირუტყვის სრულფასოვანი კვება მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს მეცხოველეობის განვითარებაში, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ჯოგის ჯიშობრივი გაუმჯობესება. აჭარის მეცხოველეობა დღეს ადგილობრივი ჯიშის პირუტყვითაა წარმოდგენილი, რომელიც საკმაოდ დაკნინებულია. ეს გამოიწვია პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესებისა და ხელოვნური განაყოფიერების სისტემის, ასევე ხალხური სელექციის მოშლამ. აჭარის მოსახლეობა ადგილობრივთან ერთად ძველთაგანვე უპირატესობას აძლევდა მეგრულ, ე. წ. კვარაცხელიას და კაეკასიური წაბლა ჯიშის საქონელსაც. ხალხური სელექციის გზით მიღებული მათი ნაჯვარი უკეთესი იყო და თავადაც გაუმჯობესებულ თაობებს იძლეოდა. სასურველია აღდგეს ეს პრაქტიკა.

ბოლო დროს პირუტყვ–ფრინველის ხორცი ქვეყნის მასშტაბით 30–40 პროცენტით გაძვირდა. რეგიონში მსხვილფეხა პირუტყვის ხორცი ბაზარში ერთი კილოგრამი 10–დან 12 ლარამდე ღირს. საფირმო მაღაზიებში – 10–დან 15 ლარამდე. თურქების მიერ გახსნილ სპეციალურ მაღაზიებში ე. წ. ფილე 18 და 20 ლარიც კი ღირს, რადგანაც მათ ვერავინ ასწრებს მომწოდებლებისაგან ხორცის შესყიდვას და უფრო მეტსაც უხდიან. იმის გამო, რომ მაღაზიებში მიაქვთ, საზღვარგარეთაც საკმაოდ ბლომად გააქვთ სხვადასხვა სახით. ალბათ ამიტომაცაა, რომ ბაზარზე გამოსატანად უხვირო ხორცი რჩება. აგროსტრუქტურებში იმედოვნებენ, რომ ქვეყანაში ხორცზე მოთხოვნის ზრდას და გაძვირებას უნდა მოჰყვეს სოფლად მოსახლეობის დაინტერესება პირუტყვ–ფრინველის გამოზრდის მხრივ, ცხადია, აჭარაშიც და არა მხოლოდ მთაში მეცხოველეობის ტრადიციულ მუნიციპალიტეტებში, არამედ ბარშიც, ხელვაჩაურშიც და ქობულეთშიც, მაგრამ ასეთი რამ ჯერჯერობით არ შეიმჩნევა.

და კიდევ ერთი კარგი შესაძლებლობა, რომლის გააქტიურებაც მეტ სტიმულს მისცემს აჭარის მეცხოველეობის განვითარებას. ესაა რეგიონის მეცხოველეების თანამშრომლობა ქვეყნის სხვა რეგიონების მეცხოველეებთან, როგორიცაა, მაგალითად, მეზობელი მესხეთ–ჯავახეთი, სადაც ამ დარგში მდიდარი გამოცდილება აქვთ. იქედან გამოჰყავდათ ჯიშიანი პირუტყვი, გადმოჰქონდათ და დღესაც გადმოაქვთ თივა, მარცვლეული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ს. ყამარაული–წარმოების ორგანიზაცია და მართვა ფერმერულ მეურნეობებში. თბილისი, 2008 წ.

2. რ. ჯაბნიძე, ე. გოგუაძე–სასოფლო–სამეურნეო ეკოლოგია. ბათუმი, 2003 წ.

3. საქართველოს სოფლის მეურნეობა, სტატისტიკის დეპარტამენტის კრებული. თბილისი, 2009 წ.

Actual Problems of livestock development and issues of solving them

Suliko Beridze-

Academic Doctor of Agriculture, Full Professor

Shuqura Gorgiladze-Jabnidze

Shota Rustaveli State University

Resume

Over the past five years of XXI century the number of animals and their productivity decreases in Georgia, which is caused by many interrelated problems. However, local breeds are characterized by high potential productivity.

Organizational matters only make full use of the genetic potential productivity of local breeds of animal and birds and, thus, will almost completely satisfy the domestic market with products of animal origin.

თვითდამტვერილი ხაზების საერთო კომბინაციური უნარის შესწავლის შედეგები

ნანა ალავერდაშვილი
სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი.
სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი.
E-mail: alaverdashvilin@Yahoo.com
მარიამ ხარებაშვილი
საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი
E-mail: mariamkharebashvili@yahoo.com

საქართველოში სიმინდის კულტურას სახალხო მეურნეობაში გამოყენების და აგრეთვე დაკავებული ფართობის და ხვედრითი წილის მიხედვით პირველი ადგილი უკავია, ამიტომ ამ კულტურის მოსავლიანობის გადიდება ყოველთვის ყურადღების ცენტრში იყო.

საქართველოში სიმინდი უნიეერსალური კულტურაა. მას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მარცვლის წარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების საქმეში.

სიმინდი სხვა მარცვლოვან კულტურებთან შედარებით ყველაზე მაღალმოსავლიანია. განსაკუთრებით კარგად იყენებს მაღალ აგროტექნიკურ ფონს და ორმაგად ანაზღაურებს მის მოყვანაზე დახარჯულ ხარჯებს.

მიუხედავად იმისა, რომ დღემდე შექმნილი ჯიშები და ჰიბრიდები გამოირჩევიან ძვირფასი ნიშანთვისებებით, ისინი საჭიროებენ რიგ ნიშანთვისებათა გაუმჯობესებას. თანამედროვე ტიპის ჯიშებისა და ჰიბრიდების შესაქმნელად აუცილებელია სელექციურ მუშაობაში გამოყენებული იქნეს ქართული სიმინდის მრავალფეროვანი ძვირფასი გენოფონდი. პირველი რიგის ამოცანად უნდა იქნეს მიჩნეული საქართველოს სიმინდის აბორიგენულ-პოპულაციებიდან თვითდამტვერილი ხაზების მიღება, მათი კომბინაციური უნარიანობის დადგენა და პერსპექტიული კომბინაციების შექმნა. ამასთანავე შეჯვარებაში გამოყენებული უნდა იქნას უცხოური ჯიშებიდან და ჰიბრიდებიდან მიღებული საუკეთესო ხაზები.

ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა საქართველოს ადგილობრივი ჯიშების უცხოურ-მაღალპეტეროზისულ ჰიბრიდებთან შეჯვარებით მიღებულ მეორე ციკლის ხაზებში შეგვესწავლა თვითდამტვერილი ხაზების საერთო კომბინაციური უნარი.[1]

დასახული მიზნის მისაღწევად ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკვლევა მიმდინარეობდა შემდეგი ძირითადი ამოცანის გადასაწყვეტად.

-თვითდამტვერილი ხაზების მიღება ინცუხტის გამოყენებით;

-თვითდამტვერვის ჯერადობის დადგენა კონსტანტური, გამოთანაბრებული და ჰომოზიგოტური ხაზების მისაღებად;

-თვითდამტვერილი ხაზების საერთო და სპეციფიკური კომბინაციური უნარიანობის დადგენა;
-სიმინდის აბორიგენული ჯიშებიდან მიღებული თვითდამტვერილი ხაზების შეფასება ჰიბრიდულ კომბინაციებში;
-მეორე ციკლის თვითდამტვერილი ხაზების მიღება და მათი სელექციური ღირებულებების დადგენა;
-გამოგვეელინა პერსპექტიული ხაზები და მაღალპეტეროზისული ჰიბრიდები.

კვლევები მიმდინარეობდა 1997-2011 წლებში, გორის რაიონის სოფელ ახალსოფლისა და მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანის ტერიტორიაზე მაღალ აგროტექნიკურ და სარწყავ ჰირობებში. ნიადაგურ კლიმატური ჰირობებით აღნიშნული პუნქტები ძირითადად მსგავსია, თუმცა არის განსხვავებებიც.

ნიადაგი ახალსოფელში მდელოს ყავისფერი კორბონატულია, მუხრანში ყავისფერი, პუმურის შემცველობა სახნავ ფენაში ახალსოფელში 3.2%-ია, მუხრანში-3.9%[1]

საწყის მასალად გამოკვლევებისათვის გამოყენებული იქნა ხაზების მისაღებად ადგილობრივი ჯიშები: ავჯამეთის თეთრი, აბაშური ყვითელი, იმერული ჰიბრიდი, ქართული კრუმი, გეგუთის ყვითელი, კაჟოვანა ყვითელი, კაჟოვანა თეთრი და უცხოური მაღალპეტეროზისული ჰიბრიდები: ვარვიკი 800, პიონერი 325.

თვითდამტვერილი ხაზების მიღება წარმოებდა 1997-2007 წლებში სტანდარტული მეთოდით. ხაზების საერთო და სპეციფიკური კომბინაციური უნარის განსაზღვრა ტარდებოდა დადგენილი მეთოდიკით 2-4 ტესტერის გამოყენებით. საერთო კომბინაციური უნარის შესწავლა მიმდინარეობდა 1997-2007 წლებში ტოპკროსის მეთოდით.

ტესტჰიბრიდები შეიქმნა 1998-1999 წლებში. მათი ანალიზი განხორციელდა 2000-2001 წლებში. მაღალი საერთო კომბინაციური უნარით გამორჩეული ხაზები 2002-2003 წლებიდან გამოყენებული იქნა როგორც საწყისი მასალა სხვადასხვა ტიპის ჰიბრიდების მისაღებად. ჰიბრიდების გამოცდა ტარდებოდა 2003-2011 წლებში.

ხაზების გამორჩევა კომბინაციური უნარის მიხედვით მეტად რთული პროცესია; ხაზების ისეთი სასარგებლო ნიშნების მიხედვით გამორჩევითა და შექმნით, როგორიცაა: დაავადებებისა და მავნებლების მიმართ გამძლეობა, გვალვის ამტანიანობა, ადრეულობა, ჩაწოლისადმი გამძლეობა, ფენოფაზებისა და მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით მცენარეთა გამოთანაბრება და სხვა, არ მთავრდება მათი სრული შესწავლა; ამასთან მთავარია გამოირკვეს ხაზების შინაგანი გენეტიკური თვისება ანუ ჰიბრიდულ წყვილში მაღალი და ხარისხოვანი მოსავლის მოცემის უნარი.

კომბინაციური უნარი არის ხაზის ან ჯიშის გენეტიკურად განსაზღვრული მემკვიდრული ნიშან-თვისება, სხვა ფორმებთან შეჯვარებით ჰიბრიდულ წყვილში გამოამჟღავნოს პროდუქტიულობა და ცხოველმყოფელობა. ამასთან ის ჯიში ან ხაზი, რომელმაც ასეთი შეჯვარების დროს მოგვცა მეტი მოსავალი, იქნება მაღალი კომბინაციური უნარის მქონე და პირიქით.

თვითდამტვერილი ხაზების კომბინაციური უნარის განსასაზღვრავად ამჟამადარსებობს მხოლოდ ერთადერთი საიმედო გზა-საანალიზო შეჯვარება და ნაჯვართა გამოცდა. დაამტკიცებულია, რომ თვითდამტვერილი ხაზების შეჯვარება ჯიშთან წარმოადგენს ხაზების წინასწარი შესწავლის სწრაფ და დამაკმაყოფილებელ მეთოდს. [1,3]

ხაზების წინასწარი შეფასებისათვის საჭიროა საერთო კომბინაციური უნარის ზუსტად ცოდნა, საერთო კომბინაციურ უნარში იგულისხმება ჰეტეროზისის საშუალო სიდიდე, რაც ყველა პიბრიდულ კომბინაციაში შეიმჩნევა.

კომბინაციური უნარის ცვალებადობა უპირველესად დამოკიდებულია მშობლიური წყვილის გენეტიკურ ბუნებაზე.

ჩვენი მონაცემებითაც დამტკიცდა, რომ როგორც საერთო ისე სპეციფიკური კომბინაციური უნარის განსაზღვრისას, გარდა შესაჯვარებელი წყვილების გენეტიკური ბუნებისა, მასზე გავლენას ახდენს წლის კლიმატური პირობები და აგროტექნიკის ფონი.

კარგი ამინდისა და მაღალი აგროტექნიკის პირობებში იზრდება კომბინაციური ეფექტი-პიბრიდთა მოსავლიანობის მატება მშობლიურ ფორმებთან და სტანდარტებთან შედარებით გაცილებით დიდია; პირიქით, ცუდი ამინდისა და აგროტექნიკის პირობებში კომბინაციური უნარი პიბრიდულ თაობებში ძალზე მცირდება. ამ დროს ზოგჯერ პიბრიდულ კომბინაციათა მასავალი უტოლდება ან ჩამორჩება უარესი მშობლის მოსავალს.

ჩვენს მიერ მიღებული თვითდამტვერილი ხაზების საერთო კომბინაციური უნარის შესწავლა დავიწყეთ ე. წ. ადრეული გამოცდის წესით პირველ თაობიდან. შეფასების მეთოდად გამოვიყენეთ ტოპკროსი და თავისუფალი დამტვერვა, ხოლო უკანასკნელი თაობის ხაზების სპეციფიკური კომბინაციური ბუნების დასადგენად გამოვიყენეთ-დილელური შეჯვარება. ტესტერებად სხვადასხვა დროს გამოვიყენეთ ჯიშები-საგუიანო ქართული კრუგი, აჯამეთის თეთრი, იმერული პიბრიდი, მარტივი ხაზთაშორისი პიბრიდი K 64 23/, ხაზები ეირ 44 მ, 133 ტ და ხაზთაშორისი ჰიბრიდი ისკრა-/26×27/ ტ.

საანალიზო შეჯვარებას ვატარებდით იზოლირებულ ნაკეთებზე ბუნებრივი დამტვერიანების პირობებში. ჯიშების შეთხვევაში ტესტერი ავიღეთ მამა დამამტვერიანებლად, ხოლო ხაზები – დედად. ამ უკანასკნელის მცენარეების კასტრაციას ვაწარმოებდით ხელით. მარტივ პიბრიდებსა და ხაზებს ტესტერად ვიყენებდით მდედრობით ფორმებად. ამ უკანასკნელის შემთხვევაში საანალიზო შეჯვარებას ვახდენდით ხელოვნური დამტვერიანების გზით.

პიბრიდოლოგიური ანუ ხაზების გენეტიკური ბუნების შეწავლის მიზნით საანალიზო ნაჯვარებს ვსწავლობდით საკონტროლო გამოცდაში წყვილთა მეთოდით, ხოლო პერსპექტიულ პიბრიდებს ვსწავლობდით წინასწარი და საკონკურსო გამოცდაში სტანდარტული მეთოდით, ჯიშთაგამოცდის სახელმწიფო კომისიის მეთოდიკის შესაბამისად. სტანდარტებად ვიყენებდით მშობლიურ ტესტერს და დარაიონებულ ფორმას.

ხაზების საერთო კომბინაციური უნარის შესწავლის შედეგები მოტანილია 1-ლ ცხრილში სადაც მოცემულია ძლიერი და სუსტი კომბინაციური უნარის ხაზების პიბრიდების რაოდენობა ჯიშებისა და თაობების მიხედვით.

ხაზების საერთო კომბინაციური უნარიანობის შესწავლის შედეგები

საწყისიჯიში	თაობა	გამოცდილიჰიბრიდ.კომ	მოსავლიანობითგადაა ჰ. სტანდ.ს	%%	მოსავლიანობითჩამორჩნ. სტანდ.ს	%%
1	2	3	4	5	6	7
აჯამეთისთეთრი	1-ლი	118	74	62,7	44	37,3
	მე-2	204	128	62,6	76	37,4
	მე-3	118	61	50,9	57	49,1
	მე-4	46	25	54,4	21	45,6
	მე-5	14	9	64,3	5	35,7
	მე-6	5	5	100		
	მე-7	5	4	80	1	20
	მე-8	5	4	80	1	20
	მე-9	6	5	83,3	1	16,7
	მე-10	9	1	11,1	8	88,9
1	2	3	4	5	6	7
აბაშურიყვითელი	1-ლი	49	23	46,3	26	53,7
	მე-2	62	24	38,7	38	6,3
	მე-3	49	28	57,1	21	41,9
	მე-4	52	38	73,1	14	26
	მე-5	17	11	64,7	6	35,3
	მე-6	6	5	83,3	1	16,7
	მე-7	5	4	80	1	20
	მე-8	3	3	100		
	მე-9	12	8	66,7	4	33,3
	მე-10	5	1	20	4	80

1	2	3	4	5	6	7
ქართულიკრუგი	1-ლი	90	36	39,5	54	60,4
1	2	3	4	5	6	7
	მე-2	104	46	44,9	58	55,1
	მე-3	98	82	83,7	16	16,3
	მე-4	76	50	65,8	26	34,2
	მე-5	33	14	42,4	19	57,6
	მე-6	18	11	61,1	7	38,9
	მე-7	15	11	73,3	4	26,7
	მე-8	10	8	80	2	20
	მე-9	5	5	100		
	მე-10	10	4	40	6	60
1	2	3	4	5	6	7
იმერულიჰიბრიდი	1-ლი	150	89	60,8	61	39,3
	მე-2	54	25	60,3	29	53,7
	მე-3	50	38	76	12	24
	მე-4	28	20	643	8	25,7
	მე-5	12	5	41,7	7	48,3
	მე-6	9	7	77,8	2	22,2
	მე-7	8	6	75	2	25
	მე-8	7	5	71,4	2	28,6
	მე-9	3	1	33,3	2	66,7
	მე-10	6	2	33,3	4	66,7

საერთოდ ჰეტეროზისული ხაზების ყველაზე მეტი რიცხვი უჩვენა მიღებული იმერული ჰიბრიდებიდან და აჯამეთის თეთრიდან. ყველაზე ნაკლები კი აბაშური ყვითელიდან. იმერული ჰიბრიდის შესწავლილ 358 ხაზიდან 219 ანუ 61,2-მა პროცენტმა საანალიზო შეჯვარებისას აჯობა მოსავლიანობით შესადარებელ ფორმებს.[2,3]

სიმინდის ოთხიეე ჯიშიდან მიღებული სხვადასხვა თაობის თვითდამტვერილი ხაზების უმეტესობა წარმოადგენს მდიდარი გენეტიკური ბუნების ბიოტიპებს, გამოცდილ და შესწავლილ 1806 ხაზიდან 1070 ანუ 59.2 პროცენტი ხასიათდება მაღალი საერთო კომბინაციური უნარიანობით. ეს ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ქართული კრუგი, აჯამეთის თეთრი, იმერული ჰიბრიდი და აბაშური ყვითელი წარმოადგენენ საუკეთესო გენოფონდს ინტენსიური ტიპის, მაღალი ჰეტეროზისული ჰიბრიდების მშობლიური ფორმების მისაღებად.

დასკვნა: თვითდამტვერილი ხაზების გენეტიკური ბუნების შესწავლის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ტესტერის სწორად შერჩევას. ისე როგორც სხვა მკვლევარების, ჩვენი მონაცემებიც ამტკიცებს, რომ ტესტერად სასურველია გამოვიყენოთ ორი ან სამი ფორმა. მათ შორის ერთი აუცილებელია იყოს ხაზების მშობელი ჯიში ხოლო სხვა მარტივი ხაზთაშორისი ჰიბრიდები ან ჯიში.

ხაზების საერთო კომბინაციური უნარის შესწავლის პირველ ეტაპზე ტოპკროსის გამოყენების ჩვენი შედეგები დაემთხვა ყოფილ საბჭოთა და უცხოური მეცნიერების მონაცემებს, ამ მეთოდის გამოყენებით მრავალფეროვანი საწყისი მასალიდან ადრეულ თაობაში გამოვარჩიეთ უეტესი სახეები და გამოვიწუნეთ არა სასურველი. ეს ხაზები ეს ხაზები შეიძლება წარმატებით იქნას გამოყენებული ყველა ტიპის მაღალმოსავლიანი ჰიბრიდების შესქმნელად.

ჩვენს ნიერ მიღებული მონაცემებით მტკიცდება, რომ ტოპკროსის მეთოდი საუკეთესოა სიმინდის ხაზების საერთო კომბინაციური უნარის შესაფასებლად. იგი საკმაო სიზუსტით და შედარებით სწრაფად იძლევა ინფორმაციას შესწავლილი ხაზების საერთო კომბინაციურ უნარზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნ. ალავერდაშვილი (2012) სიმინდის ადგილობრივი ჯიშებიდან და მაღალჰეტეროზისული ჰიბრიდებიდან თვითდამტვერილი ხაზების მიღება და მათი სელექციური ღირებულება. გამომცემლობა „ფარნავაზი". გვ. 98-120.
2. ც. სამადაშვილი, ხ. დობორჯგინიძე (2009) ზოგიერთ კულტურულ მცენარეთა კერძო სელექცია. გამომცემლობა „საზოგადოება ცოდნა". თბილისი. გვ. 225.
3. ი. საათაშვილი, პ. ნასყიდაშვილი, ო. ლიპარტელიანი (2009) სიმინდის ჰეტეროზისულ მცენარეთა კერძო სელექცია. გამომცემლობა „საზოგადოება ცოდნა". თბილისი. გვ. 275.

Results of united combination ability studying of pollination lines

Nana Alaverdashvili
Academic Doctor of Agriculture.
Sukhishvili Teaching University.
E-mail: alaverdashvilin@Yahoo.com
Mariam Kharebashvili
Academic Doctor of Engineering Sciences
Sukhishvili Teaching University
E-mail: mariamkharebashvili@yahoo.com

Resume

The work presents foreign, local Sorts with foreign – highheterozoly hybrid by given in the second cycle tines, study general combination ability in Georgia. Searching went on in 1997-2012 in the village Akhalsopeli, region of Gori and Mukhrani district of Mtskheta. The most number of lines were given from Imeretion hybrid and from Adjameti white. From Imeretion hybrid was studied 958 lines, 219 or 61, 2% for anylysis during. excceled fruitfulness forms of compare. These lines can be used succcssfully to create highheterozoly hybrids.

ალექსანდრე აფციაური
ასოცირებული პროფესორი საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
შალვა აფციაური
დოქტორანტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მოჭრილი ხის ღეროს მარტივი ანალიზი არსებობს ორი სახის ძველი – სტანდარტული და ახალი პროფ. შ. და ა. აფციაურების. თვით მარტივი ანალიზი იყოფა ორ ნაწილად: საველე და კამერალურ სამუშაოებად.

საველე სამუშაოები. მოჭრილი ხის ღეროს ანალიზი ტარდება როგორც პრაქტიკულ-სამეურნეო, ისე სატყეო-სამეცნიერო და კელეევითი სამუშაოების ჩატარების დროს. საანალიზო (სამოდელო) ხე შეიძლება იყოს საშეშე ან სამასალე კატეგორიის. ეს, რა თქმა უნდა დამოკიდებულია ზემოთ ჩამოთვლილ სამუშაოთა ხასიათზე.

საანალიზოდ შერჩეულ ხეს და მის ადგილმდებარეობას მოჭრამდე აღწერენ ტაქსაციურად და ეს მონაცემები შეაქვთ მარტივი მეთოდის საანალიზო ხის სპეციალურ ფორმაში, რომელსაც **სამოდელო ხის მარტივი ანალიზის სატაქსაციო ბარათი ეწოდება.**

სამოდელო ხის ბარათი შედგება ოთხი გვერდისაგან და ხუთი განყოფილებისაგან (იხ. დანართი 1).

ბარათში შესატანი მონაცემები ბარათშივეა მითითებული.

ამის შემდეგ იჭრება ეს ხე, რომელიც უნდა გასუფთავდეს (გაისხიპოს) ტოტებისაგან, რომ დარჩეს მხოლოდ შოლტი (ხის ღერო უტოტოდ ძირკვის გადანაჭერიდან კენწერომდე). გასუფთავების დროს ყურადღება უნდა მიექცეს, რომ ხის კენწერო არ დაიკარგოს.

თუ ხე შედგება რამდენიმე განშტოებისაგან (კაპებისაგან), საჭიროა ყველა განშტოების გასუფთავება ტოტებისაგან და მონაცემების აღება.

შემდეგი მოქმედებები დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი მეთოდით ვაპირებთ სამოდელო ხის მარტივი ანალიზის ჩატარებას – ძველით თუ ახალი მეთოდით.

ახალი მეთოდი შემოთავაზებულია პროფესორ შალვა და ალექსანდრე აფციაურების მიერ და გამოაქვს მეტყევე-მეცნიერთა, ტაქსატორთა და პრაქტიკაში ამ მიმართულებით მოღვაწეთა შესაფასებლად.

განსხვავება ამ მეთოდებს შორის არის სამოდელო ხის ღეროდან ასაღებ მონაცემთა რაოდენობა: ძველი მეთოდით ხის ღერო იყოფა

ორმეტრიან მორებად, ხოლო ახალი მეთოდით – ხის ღერო იყოფა ათ ტოლ ნაწილად და იღება მხოლოდ 5 მონაცემი, მიუხედავად ხის სიგრძისა.

შედარებისათვის შეეარჩიეთ ფიჭვის და წიფლის საანალიზო ხეები, რომლებიც მოჭრილია სვანეთის ხაიშის სატყეოს ფიჭვნარებში და აფხაზეთის გაგრის სატყეოს წიფლნარებში, რომელთა საველე მასალები და ამ მასალების კამერალური დამუშავებით მიღებული ძირითადი სატაქსაციო ნიშნების შედეგები მოცემული გვაქვს სქემებ'ხე და ცხრილებში.

სქემა –ზე მოცემულია ფიჭვის სამოდელო ხის მონაცემები:



ფიჭვის სამოდელო ხის კლასიკური ბველი და ახალი მეთოდით მოპოვებული მონაცემების მიხედვით შედგენილი სატაქსაციო ბარათის მეორე გვერდი

კლასიკური მეთოდით			ახალი მეთოდით			სატაქსაციო ნიშნები	
						მეთოდები	
კვეთისსიგრძე (მ)	D_1 (სმ)	V(მ³)	კვეთის სიგრძე (მ)	D_1 (სმ)	V(მ³)	კლასიკური	ახალი
1	2		4	5	7	8	9
1	44	0,304				F= 0,455	F= 0,433
3	42	0,277	0.1	41,6	0,8690		
5	40	0,251	6,4			q= 0,65	q= 0,66
7	38	0,227					
9	37	0,215	0,3	36,2	0,6590	θv= 0,013	θv= 0,013
11	36	0,204	6,4				
13	35	0,192				Z_V = 0,036	Z_V = 0,038
15	29	0,132	0,5	28,0	0,3936		
17	27	0,115	6,4			P_z = 1,9%	P_z = 2,0%
19	18	0,051				$V_{საშ.}$=1,6	$V_{საშ.}$=1,6
21	18	0,051	0,7	8,0	0,0320	სასაქ. კლასი	სასაქ. კლასი
23	14	0.031	6,4			1	1
25	9	0,013					
27	6	0,006	0,9	2,0	0,0013		
29	2	0,0002	6,4				
		Σ V= 2,1			Σ V= 2,03		

მეთოდის დასახელება	ძირითადი სატაქსაციო მახასიათებლები						
	A (წ)	D_t (სმ)	H (მ)	V ($მ^3$)	θ_v ($მ^3$)	Z_v ($მ^3$)	P_z (%)
1. კლასიკური	157	44	31,6	2,066	0,012	0,036	1,8
2. ახალი	157	44	31,6	1,955	0,013	0,036	1,8
სხვაობა	–	–	–	– 0,18 $მ^3$ – 2,4%	+ 0,01 + 0,5	–	–

სქემა –ზე მოცემულია წიფლის სამოდელო ხის მონაცემები:

სქემა



წიფლის სამოდელო ხის კლასიკური ბეველი და ახალი მეთოდით მოპოვებული მონაცემების მიხედვით შედგენილი სატაქსაციო ბარათის მეორე გვერდი

კლასიკური მეთოდით			ახალი მეთოდით			სატაქსაციო ნიშნები	
						მეთოდები	
ჯგუფის სიერცე (მ)	$D_ა$ (სმ)	V, ($მ^3$)	ჯგუფის სიერცე (მ)	$D_ა$ (სმ)	V, ($მ^3$)	კლასიკური	ახალი
1	2	3	4	5	7	8	9
1	71	0,792				F= 0,353	F= 0,477
3	59	0,547	0,1	59,3	1,7664		
5	56	0,493	6,4			q= 0,56	q= 0,66
7	52	0,425					
9	50	0,393	0,3	50,6	1,2806	θv= 0,022	θv= 0,021
11	48	0,362	6,4				
13	46	0,332				Z_V = 0,025	Z_V = 0,026
15	42	0,277	0,5	39,0	0,7642		
17	36	0,204	6,4			P_Z = 3,3%	P_Z = 3,4%
19	33	0,172					
21	28	0,127	0,7	25,4	0,3241	$V_{საშ}$=4,38^3	$V_{საშ}$=4,28^3
23	24	0,091	6,4				
25	20	0,063				სასაქ. კლასი	სასაქ. კლასი
27	16	0,040	0,9	12,4	0,0774	I	I
29	10	0,016	6,4				
31	4	0,007					
	Σ V= 4,38^3			Σ V= 4,28^3			

მეთოდის დასახელება	ძირითადი სატაქსაციო მახასიათებლები						
	A (წ)	D_1 (სმ)	H (მ)	V ($მ^3$)	$θ_V$ ($მ^3$)	Z_V ($მ^3$)	P_Z (%)
1. კლასიკური	190	70	32,1	4,335	0,022	0,025	3,3
2. ახალი	190	70	32,1	4,213	0,021	0,026	3,4
სხვაობა	–	–	–	– 0,122 – 2,8%	– 0,001	0,001	– 0,1

დასკვნა: როგორც ფიჭვის, ისე წიფლის საანალიზო ხეების ორივე მეთოდით მიღებული სატაქსაციო ნიშნების მახასიათებლები და მათ შორის ძირითადი მახასიათებელი, საანალიზო ხის მოცულობა ±2,8÷2,4%-ის ფარგლებშია, რაც ამჟამად ხის მოცულობის განსაზღვრისათვის ±10%-ზე ნაკლებია და როგორც კრიტერიუმი გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ ორივე სახეობისათვის მიღებული შედეგები უმნიშვნელო სხვაობით ხასიათდება და გვაძლევს უფლებას, რომ ახალი მეთოდის უპირატესობა უცილობლად მივიჩნიოთ.

გამოყენებული ლიტარატურა:

1. შ. აფციაური - სატყეო ტაქსაციის პრაქტიკუმი, 1964 წ.

2. ვ. მირზაშვილი - სატყეო ტაქსაცია, 1960 წ.

A simple analysis of the cut tree stem

Aleqsandre Aptsiauri
Associated Professor, Georgia's Agrarian University
Shalva Aptsiauri
PhD, Georgia's Agrarian University

Resume

Features obtained by taxation marks of analyzing pine and beech trees and among them the main feature - capacity of analyzing tree is within ±2,8÷2,4%. Nowadays to determine tree's capacity is less of ±10% and as the criteria gives us reason we can conclude that obtained results for both of trees have minor difference. And we can consider that preference of the new method is essential.

აჭარის სუბტროპიკულ ზონაში ლიმონ მეიერის ახალი ფორმების პროდუქტიულობის მაჩვენებლები

შოთა ლამპარაძე
სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი
ნოდარ ბერიძე
სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი
გული კონცელიძე
სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი
(შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

მსოფლიო ბაზარზე ნედლ ხილსა და ბოსტნეულს შორის ციტრუსოვნებზე მოთხოვნილების მიხედვით პირველი ადგილი უკავია, მოხმარების მოცულობით კი მხოლოდ ვაშლი უსწრებს.

მანდარინის, ფორთოხლის და ლიმონის მსხვილი მწარმოებლები არიან ესპანეთი, აშშ, მაროკო, ეგვიპტე, თურქეთი, ისრაელი და ჩინეთი. ლიმონით, მანდარინით და ფორთოხლით ამარაგებენ მსოფლიო ბაზარს აგრეთვე, ურუგვაი, არგენტინა, ავსტარლია, საბერძნეთი, იტალია და ბრაზილია.

ლიმონი ყველგან ითელება ძვირფასი სამკურნალო თვისებების მქონე ნაყოფად, რადგან სხვა ციტრუსოვნებთან შედარებით მდიდარია C ვიტამინითა და ორგანული მჟავეებით. იგი საშუალო ზომის მარადმწვანე მცენარეა, ტროპიკული კლიმატის პირობებშია წარმოშობილი და ზამთრის შესვენების პერიოდი არ აქვს, ახასიათებს რემონტატულობა ე.ი. ხელსაყრელ გარემოში მთელი წლის მანძილზე შეუძლია აქტიური ვეგეტაცია.

იგი ციტრუსოვნებს შორის, ყველაზე ნაკლებ ყინვაგამძლეა. ახალგაზრდა ყლორტები, ყვავილი და ნაყოფი -2-3^0 ტემპერატურაზე, ფოთლები და ერთწლიანი ტოტები -5-6^0 ზე, ხოლო მთლიანად მცენარე მინუს 7-8^0-ზე იღუპება. ლიმონისათვის დამახასიათებელია ღია მწვანე ფერის ფოთლები, რომლებიც საშუალოზე დიდი ზომისაა, კიდედაკბილული, ტოტები მახვილი კუთხითაა მიმაგრებული, მოქნილი და ეკლიანია. ყვავილები სურნელოვანი მარტოულია ან პატარა მტევანა ყვავილედში შეკრებილი და მოთავსებულია ფოთლის იღლიაში. გვირგვინის ფურცლები ოვალურია, ჯამის ფოთლები ოდნავ დაკბილული. მტვრიანები 20-40. ნაყოფი საშუალოდან მსხვილ ზომამდე წონით 90-110გ-ია, აქვს წაგრძელებული, კვერცხისებური ფორმა, ხასიათდება ბლაგვი ძუძუკით. კანი ზომიერად სქელი ან თხელია, მომწიფებისას ყვითლდება, რბილობი ნაზი, გემო სასიამოვნო, უხვწვნიანი, წილაკი 9-12 ცალი, თესლი მრავალი. რბილობის ქიმიური შემადგენლობა: შაქარი–6-7 %, წყალი–87,5 %, ვიტამინი C 75,5 მგ/%.

ლიმონის ზოგიერთი ჯიში რემონტატულია, მაგრამ, ძირითადად, გაზაფხულზე ყვავილობს. გავრცელებულია მისი მრავალი ჯიში და ფორმა, რომლებიც ერთმანეთისაგან ბიომორფოლოგიური თავისებურებებით განსხვავდებიან. ლიმონის

ჯიშებისა და ფორმების სიმრავლე იმითაცაა განპირობებული, რომ მას რიგ ქვეყნებში თესლით ამრავლებენ და თაობაში ახალი ფორმები წარმოიქმნება.

გამორჩევის შედეგად აჭარაში სელექციონერმა პროფესორმა შოთა ლამპარაძემ მრავალწლიანი დაკვირვებების შედეგად, მიიღო ახალი პერსპექტიული ფორმები, რომელთაც დიდი სამეურნეო ღირებულება აქვთ და უმეტესობა ხასიათდება დადებითი თვისებებით, მაღალი და მყარი მოსავლიანობით, ადრეული მწიფადობით, ნაყოფის მაღალი ხარისხით, შედარებით მაღალი ყინვაგამძლეობით, ნაკლებ მეწლეობით და სხვა.

ამრიგად ციტრუსოვანთა და, კერძოდ, ლიმონ მეიერის ახალი ფორმების პერსპექტიულობის შესწავლა, მათ შორის ინტენსიური აგროტექნიკისა და რიგთაშორისებში ნიადაგის მოვლის ხერხების დახვეწა, ხელს შეუწყობს დასახული პროგრამის წარმატებით განხორციელებას მოსავლიანობის ამაღლებისა და წარმოების გადიდების თვალთახედვით, რაც ჩვენი კვლევის აქტუალობასაც განსაზღვრავს.

2001-2006 წლებში ესწავლობდი ლიმონის გამორჩეული ფორმების მოსავლიანობასა და ნაყოფის ბიოქიმიურ მაჩვენებლებს. კვლევის შედეგად დავადგინეთ, რომ პერსპექტიული ფორმები, საკონტროლოდ აღებული მთელი რიგი სამეურნეო ნიშნებითა და ნაყოფების ხარისხით მეიერის ჯიშს საგრძნობლად სჭარბობს, როგორც შესავალში აღვნიშნეთ, ციტრუსოვან კულტურებს შორის ლიმონს, სამკურნალო და დიეტური თვისებების გამო, გამორჩეული ადგილი უჭირავს. მისი ნაყოფი დიდი რაოდენობით შეიცავს ვიტამინებს, მინერალურ მარილებს, მიკრო-ელემენტებს, პექტინოვან ნივთიერებებს და ფიტონციდებს. მისგან მზადდება გამაგრილებელი სასმელები, ცუკატები და სხვა.

შავი ზღვის სანაპიროს სუბტროპიკულ ზონაში გავრცელებული ლიმონის ჯიშებიდან (ქართული, უეკლო, ვილაფრანკა, ლისბონი, ეურიკა, დიოსკურია, მეიერი და სხვა) ყველაზე ფართო სამრეწველო მნიშვნელობა აქვს მეიერს. იგი, სხვა ჯიშებთან შედარებით, ხასიათდება ყინვაგამძლეობით, უხეი და რეგულარული მსხმოიარობით, ნაყოფის ადრე მომწიფებით და მავნებელ–დაავადებათა მიმართ მედეგობით. მისი ბიოლოგიური თვისება „რემონტატულობაა", რაც, საშუალებას იძლევა, მაღალი და სწორი აგროტექნიკის პირობებში, წელიწადის ნებისმიერ დროს მოსახლეობა უზრუნველყოთ ძვირფასი ნაყოფით.

დღემდე არსებული ქართული ლიმონის სამრეწველო ბაღებიდან ერთეული ეგზემპლარები შემოგვრჩა, რადგან 1940-1941 წლებში იტალიიდან შემოტანილმა სოკოვანმა დაავადებამ – მალესკომ (ლიმონის ხმელა) თითქმის მთლიანად გაანადგურა ქართული და სხვა ჯიშების ლიმონის ნარგაევები. მის დაკნინებას ხელი შეუწყო ბოლო ათწლეულში საქართველოში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა მდგომარეობამ.

კვლევებით დადგინდა, რომ ლიმონ მეიერის ახალი ფორმები – ფერია, ციხისძირი და ალამბარი, ისინი მთელი რიგი ნიშანთვისებებით (მოსავლიანობა, ნაყოფის ხარისხი) ჩვენში ფართოდ გავრცელებული ლიმონის სამრეწველო ჯიშ მეიერზე საკმაოდ მაღლა დგას. მრავალწლიანი ექსპერიმენტის საფუძველზე

ესაზღვრაედით საცდელი ფორმების მოსაელიანობას და ნაყოფის ხარისხობრიე მაჩვენებლებს. მონაცემები ასახული გვაქვს პირველ და მეორე ცხრილებში.

როგორც ცხრილებიდან ჩანს, საცდელი ფორმები მოსაელიანობით, საკონტროლოდ აღებული მეიერის ჯიშის ლიმონისაგან საგრძნობლად განსხვავდება. მაგალითად: მეიერის ჯიშის საკონტროლო ლიმონის მოსაელიანობა ერთ ძირზე უდრიდა 12,4 კგ-ს, ერთ პექტარზე კი — 20,7 ტონას, პერსპექტიული ფორმებისა კი (ალამბარი, ციხისძირი და ფერია) - შესაბამისად 14,8; 15,9 და 17,0 კგ-ს, რაც ჰექტარზე გაანგარიშებით შესაბამისად შეადგენს 24,6; 26,5 და 28,4 ტონას. ამრიგად, საცდელი ფორმების მოსაელიანობა საკონტროლოს 19-37 %-ით სჭარბობს.

მეიერის ჯიშთან შედარებით (82,9 გრ) ჩვენს მიერ შერჩეული ფორმები მსხვილ ნაყოფს იყითარებს — (ალამბარი 84,0 გრ, ციხისძირი 85,2 გრ და ფერია 86,1 გრ). ლიმონის ნაყოფის ხარისხის ძირითად განმსაზღვრელ ბიოქიმიურ მაჩვენებლებს მჟავიანობა და C-ვიტამინი (ასკორბინის მჟავა) წარმოადგენს, ამიტომ ძირითადად ამ მაჩვენებლებზე გავამახვილეთ ყურადღება (ცხრილი 2).

სასოფლო-სამეურნეო კულტურას აქვს უნარი, გარკვეული რაოდენობით გადაამუშაოს მასში შეღწეული ნიტრატული აზოტი და სხვა საკვები ელემენტები, წარმოქმნას ორგანული ნაერთები, მაგრამ თუ მცენარემ ისინი ჭარბი რაოდენობით შეითვისა, ნაწილი ეგეტატიურ ორგანოებსა და ნაყოფში გროვდება და ხარისხს მნიშვნელოვნად აფუჭებს. სადღეისოდ ყველა განვითარებულ

ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცევა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიღებას, რისი ფასებიც შესაბამისად მაღალია.

ნაყოფის ქიმიური შედგენილობა მეტად ცვალებადია, რაც გეოგრაფიული მდებარეობის აქტიური ტემპერატურათა ჯამის ჯამური თვისებების, ნიადაგურ-კლიმატური პირობების, მინერალური კვებისა და თვით მეცნარეზე ნაყოფის განლაგების მიხედვითაც კი განსხვავებულია. ამიტომაც გადავწყვიტეთ, შეგვესწავლა ლიმონის ცალკეული ფორმების ნაყოფის ბიოქიმიური და ეკოლოგიური მაჩვენებლები.

მჟავიანობის შედარებით მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევა ფერია და ციხისძირი, რომელთა ნაყოფის წვენში იგი შეადგენს 4,7 და 4,65 %-ს. მეიერის ნაყოფის წვენში კი 4,52 %-ია. საკონტროლოსთან შედარებით მჟავიანობა ასევე მაღალია საცდელი ფორმების ნაყოფის კანსა და რბილობში. საცდელი ფორმების ნაყოფის მაღალ ღირსებაზე მიუთითებს C ვიტამინის მაღალი შემცველობას, რომელიც ფერიას, ციხისძირის და ალამბრის ნაყოფების წვენში შესაბამისად — 34; 32 და 31,3 %-ს, საკონტროლოში კი 29 %-ს შეადგენს. C ვიტამინის შემცველობის მხრივაც, იგივე კანონზომიერება ვლინდება საცდელი ფორმების ნაყოფის კანსა და რბილობში.

გამოკვლევებით დასტურდება, რომ ლიმონის ახალი პერსპექტიული ფორმები მთელი რიგი სამეურნეო ნიშნებით — მოსაელიანობით, ნაყოფის ხარისხით ბევრად უკეთესია, ვიდრე ჩვენში ფართოდ დარაიონებული ჯიშის მეიერი.

ცხრილი 1

ლიმონ მეიერის პერსპექტიული ფორმების მოსავლიანობა (2001-2006 წლების საშუალო)

ვარიანტები	ნაყოფის რაოდენობა 1 ძირ ხეზე		ნაყოფის საშუალო წონა გრ	მოსავლიანობა	
	ცალი	კგ		ტ/ჰა	%
მეიერი (საკონტროლო)	150	12,4	82,9	20,7	100
ფერია	197	17,0	86,1	28,4	137,2
ციხისძირი	186	15,9	85,2	26,5	128,0
ალამბარი	176	14,8	84,0	24,6	118,8

ცხრილი 2

ლიმონ მეიერის პერსპექტიული ფორმების ნაყოფების მექანიკური და ბიოქიმიური მაჩვენებლები. (2001-2006 წლების საშუალო)

ვარიანტები	ნაყოფის შემადგენელი ნაწილები	მშრალი ნივთიერება %	წყალი %	მჟავიანობა %	მონოშაქარი %	ინვერტირებული შაქარი %	საქაროზა	ზოგადი შაქარი	ვიტამინი C მგ %
მეიერი (კონტროლი)	კანი	76	24	0,85	4,9	6,65	0,99	5,89	3,20
	რბილობი	82	18	2,21	4,0	5,50	4,20	8,20	0,55
	წვენი	-	-	4,52	2,52	2,61	1,18	3,70	29,0
ფერია	კანი	80	20	0,95	5,60	6,97	1,30	6,90	3,24
	რბილობი	86	14	2,47	4,21	5,78	4,70	8,91	0,81
	წვენი	-	-	4,70	1,93	2,95	0,96	2,89	34,0
ციხის ძირი	კანი	78	22	0,93	5,40	6,92	1,00	6,40	3,22
	რბილობი	84	16	2,45	4,15	5,75	4,50	8,65	0,80
	წვენი	-	-	4,65	2,15	2,94	1,11	3,26	32,0
ალამბარი	კანი	77	23	0,91	5,30	6,84	1,15	6,45	3,21
	რბილობი	83	17	2,42	4,10	5,71	4,65	8,75	0,78
	წვენი	-	-	4,58	2,46	2,90	1,12	3,58	31,3

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გოლიაძე შ. – მალსეკოგამძლეობაზე ლიმონის სელექციის პრობლემისათვის. ჟურნ. „სუბტროპიკული კულტურები“ 1, 1966. გვ. 63-67.
2. ვარდუკაძე დ. – ლიმონის მცენარეთა მსხმოიარობის ბიოლოგიური თავისებურებანი ანასეულის პირობებში, ჟურნ. „სუბტროპიკული კულტურები“, 1975. გვ. 27-24.
3. ჩხაიძე ი. – ლიმონის გამოცდის შედეგები დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ეკოლოგიურ პირობებში. ჟურნ. „სუბტროპიკული კულტურები“, 3, 1975. გვ. 57-61.
4. ცანავა ვ., ლომინაძე შ. - „აზოტიანი სასუქების და საკვები ელემენტების გავლენა ლიმონის პროდუქტიულობასა და ნიადაგის ნაყოფიერებაზე", ჟურნ. „სუბტროპიკული კულტურები", 1994. 2. გვ. 103-112.
5. ჯაბნიძე რ. – ჩაი და ციტრუსები. თბილისი, 2004 წ. გვ. 340-520.

Studying of the selected forms of Meyer Lemon in Adjara conditions

Shota Lamparadze
Academic Doctor of Agriculture
Nodar Beridze
Academic Doctor of Agriculture
Guli Koncelidze
Academic Doctor of Agriculture
Shota Rustaveli State University

Resume

Actuality of the theme, aim of researched and its theoretical and methodological basis are discussed in the introduction. With regard of the subsequent development of subtropical fruit-growing in our country, much attention is paid to the expansion of the assortment of citrus, through the introduction of high productive sorts of lemon, provided a good climate and soil conditions.

Thus, exploring of the perspective of the now citrus forms, in particular of Meyer lemon, also the ways of improving of soil by new scarifying ways with the help of intensive farming contributes to the successful implementation of the program, increasing productivity that determines the validity of our research.

სექცია №3

ეკოლოგია

სექციის თავმჯდომარე: ნელი გოგინაშვილი

მინერალური ელემენტების შეთვისება და მათი გამოყენების კოეფიციენტი Triticum durum–ის მიერ შიდა ქართლის ბიოცენოზებში

ნელი გოგინაშვილი
სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
E-mail: nc.goginashvili@gmail.com
Tel: 5 (99) 33 73 41

უდიდესია მინერალური კვების ელემენტების როლი მცენარის სიცოცხლისათვის. მრავალი მათგანი უშუალოდ შედის ისეთი ორგანული ნაერთების შემადგენლობაში (ცილები, ნუკლეოპროტეიდები, ქლოროფილი და სხვ.), რომლებიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ მცენარეში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესებში. მინერალური ელემენტები დიდ გავლენას ახდენენ უჯრედების კოლოიდების მდგომარეობაზე, საზღვრავენ პროტოპლაზმის შეღწევადობის ხარისხს და მის წყალშეკავების უნარს, მონაწილეობენ პლანტარული მასშტაბის რეაქციის ანუ ფოტოსინთეზის პროცესში და უშუალო გაელენას ახდენენ მის ინტენსიობასა და სხვა პროცესებზე. ეს ელემენტებია: N, P, K, Mg, S, Fe, Zn, Cu, Mo და სხვ., რომელთა ბიოეფექტურობა უკვე მრავალი ასეული წელია ცნობილია ადამიანისათვის, მაგრამ კონკრეტულად ბიოსინთეზზე მათი მოქმედების ყველა დეტალი დღეისათვის დადგენილი არ არის. მაგალითად, კვების ესა თუ ის ელემენტი უშუალო გაელენას ახდენს ფოტოსინთეზზე თუ ექსპერიმენტებში აღრიცხული მისი დადებითი მოქმედება, შედეგია ამ ელემენტის საერთოდ მცენარეზე პოზიტიური ზეგაელენისა.

მინერალური ელემენტები ნიადაგიდან მცენარეში შედის იონური ფორმით, მათი უმეტესობა მონაწილეობას იღებს ამა თუ იმ ორგანული ნაერთის ბიოსინთეზში.

აზოტი სიცოცხლის საფუძველის – ცილის მთავარი კომპონენტია. გარდა ამისა, ეს ელემენტი შედის ისეთი უმნიშვნელოვანესი ნივთიერებების შემადგენლობაში, როგორიცაა ქლოროფილი, ზოგიერთი ვიტამინი, ფერმენტები. აზოტით ნორმალური კვება ხელს უწყობს მცენარეთა ზრდის სტიმულაციას, ფოთლის ზედაპირის ფორმირების დაჩქარებას, ფოტოსინთეზის პროდუქტიულობის ამაღლებას. აზოტით ჭარბმა კვებამ შეიძლება გამოიწვიოს არასასურველი ეფექტი – ვეგეტატიური მასის უხვად განვითარება და მომწიფების შენელება [1].

ფოსფორი გვხვდება ცილებში, ლიპიდებში, ნახშირწყლებში, ნუკლეინის მჟავებში, ვიტამინებში. ფოსფორი – ფოსფორმჟავას მირილების სახით ფართოდ არის წარმოდგენილი როგორც თავისუფალი, ისე ბმული სახით. ფოსფოსრილების შედეგად მატულობს ნაერთების რეაქციის უნარი, იცვლება ცილების ფიზიკურ-ქიმიური თვისებები. ფოსფორი მონაწილეობს სუნთქვასა და ფოტოსინთეზის პროცესებში, აზოტის შენაერთებისა და ნახშირწყლების წარმოქმნასა და გარდაქმნაში. ტყუილად არ უწოდა გეოქიმიის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა ა.ე. ფერსმანმა ფოსფორს „სიცოცხლის და აზროვნების ელემენტი“. ფოსფორით ნორმალური კვება აჩქარებს მცენარეთა განვითარებას, აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს, ხელს უწყობს აზოტის და სხვა ელემენტების შეთვისებას. თუმცა, ფოსფორის მცენარეში ჭარბი რაოდენობით შესვლა ამოკლებს საეგეტაციო პერიოდს, რაც ამცირებს სასაქონლო პროდუქციის გამოსავალს [2].

კალიუმის იონები დიდი რაოდენობითაა მცენარეულ უჯრედში. აქ ისინი ასიმეტრიულადაა განაწილებული და განსაზღვრავენ უჯრედის მოსვენებითი პოტენციალის ფორმირებას. კალიუმი მონაწილეობს ცილოვან და ნახშირწყლების ცელაში, აძლიერებს ამინომჟავებიდან ცილების სინთეზს, ხელს უწყობს ფოტოსინთეზის პროდუქტების გარდაქმნას, პროტოპლაზმის წყალშეკავებითი უნარის გაძლიერებას, რაც თავის მხრივ ამაღლებს მცენარის გვალვაგამძლეობას [3].

როგორც მინერალურ ელემენტთა ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური როლის განხილვიდან ჩანს, მცენარეულ ორგანიზმში მათი თანაფარდობის დარღვევა იწვევს მთელ რიგ ნეგატიურ ცვლილებებს.

მინერალური ელემენტების ზემოთ აღნიშნული ბიოლოგიური როლი აუცილებელს ხდის მცენარის ელემენტური შედგენილობის შესწავლას, მათ გამოტანას მცენარეული პროდუქციით და რაც მთავარია, კვების ელემენტების გამოყენების კოეფიციენტის დადგენას ეკოლოგიურ ფაქტორებთან დაკავშირებით.

აღნიშნული საკითხების შესასწავლად ექსპერიმენტი ტარდებოდა ი. ლომოურის სახელობის საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გორის საცდელ სადგურში გეოგრაფიული ქსელის სტაციონარულ ცდებში ბ. დოსპეხოვის მეთოდიკის საფუძველზე [4]. კვლევა ტარდებოდა თესლბრუნვაში მინდვრის კულტურათა შემდეგი მორიგეობით: 1 – სარგებლობის I წლის იონჯა, 2 – სარგებლობის II წლის იონჯა, 3-5 – საშემოდგომო ხორბალი, 5 – შაქრის ჭარხალი, 6 – საშემოდგომო ქერი, 7 – სიმინდი. თესლბრუნვა გაადგილებული იყო სამ მინდორზე კულტურათა აღნიშნული თანმიმდევრობით. ფოსფორ-კალიუმის ორ ფონზე ($P_{60}K_{30}$, $P_{90}K_{60}$) იცდებოდა აზოტის შემდეგი დოზები (კგ/ჰა): I, II წლის იონჯისათვის – 30,45,60, მარცვლეული კულტურებისათვის – 90,120,150, შაქრის ჭარხლისთვის – 120,150,180.

ნაშრომში განხილულია საშემოდგომო ხორბლის (ჯიში მუხრანი) ერთი როტაციის შედეგები. ხორბლის მარცვალსა და თანმდევ პროდუქციაში განისაზღვრა აზოტის, ფოსფორისა და კალიუმის რაოდენობა საყოველთაოდ მიღებული მეთოდებით (აზოტი – კელდალის, ფოსფორი და კალიუმი – ალოვან ფოტომეტრზე) ამავე ინსტიტუტის და მისი საცდელი სადგურის ლაბორატორიებში. მცენარეში საკვები ნივთიერების შემცველობის საფუძველზე დადგენილ იქნა აღნიშნულ ელემენტთა გამოტანა მცენარის მიერ და მინერალური სასუქებიდან მათი გამოყენების კოეფიციენტი მ. კაიუმოვის ფორმულით [5]:

$$K = \frac{B \cdot x}{D_1} \cdot 100$$

სადაც K - საკვები ელემენტების გამოყენების კოეფიციენტი სასუქიდან, %.

$B \cdot x$ – ნამატი მოსავლით გამოტანილ საკვები ელემენტების რაოდენობა კგ/ჰა.

D – საკვები ელემენტის დოზა, კგ/ჰა.

ცდები დაყენებული იყო მდელოს ყავისფერ, კარბონატულ, მექანიკური შედგენილობით მძიმე თიხნარ, საშუალო ნაყოფიერების, სარწყავ ნიადაგზე, რომლის ქიმიური მაჩვენებელი ნიადაგის 0-20 სმ პორიზონტში შემდეგია: ჰუმუსი – 2,85%, ჰიდროლიზური აზოტი – 5,67 მგ/100გ., მოძრავი ფოსფორი – 1,22 მგ/100გ., გაცვლითი კალიუმი – 43 მგ/100გ. ნიადაგში, კარბონატობა – 13,7%, ნიადაგის არეს რეაქცია – P - 7,2.

მინერალური სასუქების ოპტიმალური დოზის დადგენა სხვადასხვა ნიადაგურ-კლიმატური პირობებისათვის, უპირველეს ყოვლისა დაკავშირებულია მცენარის ქიმიურ შედგენილობასა და საკვები ელემენტების გამოტანასთან.

ჩვენს მიერ ჩატარებული ქიმიური ანალიზის შედეგებით ((ცხრილი 1) ირკვევა, რომ ხორბლის ძირითადი (მარცვალი) და თანმდევი (ნამჯა) პროდუქცია მკვეთრად განსხვავდება მინერალური ელემენტების შემცველობის მიხედვით, კერძოდ, აზოტის და ფოსფორის დაგროვება მნიშვნელოვნად მაღალია მარცვალში და შესაბამისად შეადგენს 1,92-2,17% და 0,91-1,13%, ხოლო კალიუმის შემცველობა, პირიქით – მეტია ნამჯაში და მერყეობს 1,36-1,86%-ის ფარგლებში. NPK შემცველობის თანაფარდობა მარცვალში შეადგენს: 3:2:1, ხოლო ნამჯაში – 2:1:8.

ცხრილი 1

საკვები ელემენტების შემცველობა ხორბლის მცენარეში, %

№	ვარიანტები	მარცვალში			ნამჯაში		
		N	P	K	N	P	K
1	საკონტროლო	1,92	0,91	0,56	0,34	0,10	1,36
2	$N_{120}K_{60}$	2,03	1,08	0,61	0,39	0,16	1,57
3	$N_{120}P_{90}$	1,92	1,10	0,65	0,38	0,14	1.43
4	$P_{60}K_{30}$ – ფონი I	1,94	0,95	0,57	0,39	0,12	1,48
5	$P_{60}K_{30} + N_{90}$	2,04	1,04	0,63	0,42	0,18	1,70
6	$P_{60}K_{30} + N_{120}$	2,05	1,05	0,64	0,43	0,20	1,70
7	$P_{60}K_{30} + N_{150}$	2,04	1,09	0,67	0,49	0,22	1,64
8	$P_{90}K_{60}$ – ფონი II	2,00	1,01	0,59	0,41	0,15	1.57
9	$P_{90}K_{60} + N_{90}$	2,12	1,07	0,67	0,51	0,20	1.71
10	$P_{90}K_{60} + N_{120}$	2,15	1,10	0,68	0,49	0,24	1,80
11	$P_{90}K_{60} + N_{150}$	2,17	1,13	0,65	0,53	0,26	1.86

მცენარეში საკვები ელემენტების შემცველობის და მოსავლის საფუძველზე განვსაზღვრეთ ცალკეული ორგანოების მიერ გამოტანილი N, P_2O_5, K_2O-ს რაოდენობა. შედეგები მოტანილია მე-2 ცხრილში, საიდანაც ირკვევა, რომ მცენარის ორგანოებში საკვლევი ელემენტების შემცველობის ანალოგიურად, მარცვლის მიერ გამოტანილი აზოტის რაოდენობის ვარირება საკმაოდ მაღალია და ვარიანტების მიხედვით 27,3-81,5 კგ/ჰა ფარგლებში ცვალებადობს, ფოსფორის – 12,9-41,7 კგ/ჰა, ხოლო კალიუმის – 7,9-25,3 კგ/ჰა/ ნამჯის მიერ გამოტანილი ბიოელემენტები კი ასეა განაწილებული: აზოტი და ფოსფორის რაოდენობა ვარიანტების საშუალო მონაცემებით შესაბამისად, თითქმის 4 და 5-ჯერ ნაკლებია მარცვლით გამოტანილ ამავე ელემენტების რაოდენობასთან შედარებით, ხოლო კალიუმი, პირიქით – მეტია 3-ჯერ.

ცხრილი 2

საკვები ელემენტების გამოტანა ნიადაგიდან ხორბლის მცენარის მიერ

№	ვარიანტები	მოსავალი ც/ჰა	მარცვალში		
			N	P_2O_5	K_2O
	მარცვალი				
1	საკონტროლო	14,2	27,3	12,9	7,9
2	$N_{120}K_{60}$	24,2	49,1	26,1	14,8
3	$N_{120}P_{90}$	29,2	56,1	32,1	19,0

4	$P_{60}K_{30}$ – ფონი I	16,1	31,2	15,3	9,2
5	$P_{60}K_{30} + N_{90}$	27,6	56,3	27,9	17,4
6	$P_{60}K_{30} + N_{120}$	35,0	71,7	36,7	22,4
7	$P_{60}K_{30} + N_{150}$	32,9	67,1	36,0	22,0
8	$P_{90}K_{60}$ – ფონი II	16,3	32,6	16,5	9,6
9	$P_{90}K_{60} + N_{90}$	28,2	59,8	30,2	18,9
10	$P_{90}K_{60} + N_{120}$	37,9	81,5	41,7	25,3
11	$P_{90}K_{60} + N_{150}$	34,7	75,3	39,2	22,5
	± P% =	2,73			
	± HCP_{05} ც/ჰა =	0,85			
	ნ ა მ ს ი ო				
1	საკონტროლო	15,5	5,3	1,6	21,1
2	$N_{120}K_{60}$	34,5	13,5	5,5	54,2
3	$N_{120}P_{90}$	30,2	11,5	4,2	43,2
4	$P_{60}K_{30}$ – ფონი I	26,2	10,2	3,1	38,8
5	$P_{60}K_{30} + N_{90}$	32,5	13,6	5,8	55,2
6	$P_{60}K_{30} + N_{120}$	27,0	11,6	5,4	45,9
7	$P_{60}K_{30} + N_{150}$	37,5	18,4	8,2	61,5
8	$P_{90}K_{60}$ – ფონი II	24,0	9,8	3,6	37,7
9	$P_{90}K_{60} + N_{90}$	35,5	18,1	7,1	60,7
10	$P_{90}K_{60} + N_{120}$	35,0	17,2	8,4	63,0
11	$P_{90}K_{60} + N_{150}$	41,0	21,7	10,7	76,3
	± P% =	3,02			
	±HCP_{05} ც/ჰა =	1,13			

ჩვენს მიერ დადგენილი იქნა აგრეთვე გამოტანილი საკვლევი ელემენტების როგორც საერთო რაოდენობა, ისე 1 ცენტნერი მარცვლით გამოტანა (ცხრილი 3). ეს უკანასკნელი მაჩვენებელი უფრო რეალურად ასახავს NPK-ს შორის თანაფარდობას, რომელიც შეადგენს: 2:1:2.

ცხრილი 3

NPK-ს გამოტანა საშემოდგომო ხორბლის მოსავლით კგების პირობებთან დაკავშირებით

№	ვარიანტები	საერთო გამოტანა, კგ/ჰა			1ც მარცვლით გამოტანა, კგ		
		N	P_2O_5	K_2O	N	P_2O_5	K_2O
1	საკონტროლო	32,6	14,5	29,0	2,30	1,02	2,04
2	$N_{120}K_{60}$	62,6	31,6	69,0	2,59	1,30	2,85
3	$N_{120}P_{90}$	67,6	36,3	62,2	2,32	1,24	2,13
4	$P_{60}K_{30}$ – ფონი I	41,4	18,4	48,0	2,57	1,14	2,98
5	$P_{60}K_{30} + N_{90}$	69,9	33,7	72,6	2,53	1,22	2,63
6	$P_{60}K_{30} + N_{120}$	83,3	42,1	68,3	2,38	1,20	1,95
7	$P_{60}K_{30} + N_{150}$	85,5	44,2	83,5	2,60	1,34	2,54
8	$P_{90}K_{60}$ – ფონი II	42,4	20,1	47,3	2,60	1,23	2,90

9	$P_{90}K_{60} + N_{90}$	77,9	37,3	79,6	2,76	1,32	2,82
10	$P_{90}K_{60} + N_{120}$	98,7	50,1	88,3	2,60	1,32	2,33
11	$P_{90}K_{60} + N_{150}$	97,0	49,9	98,8	2,80	1,44	2,85

როგორც განხილული მონაცემებიდან (ცხრილი 1-3) ჩანს, როგორც თითოეული საკვები ელემენტის შემცველობა, ისე მათი გამოტანილი რაოდენობა საკმაოდ დინამიურია და უმეტეს შემთხვევაში თითოეული ელემენტის დოზის ზრდის პროპორციულად მატულობს. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს აზოტის მზარდი დოზებით მცენარის კვებისას. ასე მაგალითად, $P_{90}K_{30}$ ფონზე N_{90}, N_{120}, N_{150} დოზის შეტანისას, ამ ელემენტის საერთო გამოტანა შეადგენს, შესაბამისად: 69,9; 83,3 და 85,5 კგ/ჰა. ამასთან, აზოტის ერთი და იგივე დოზა $P_{90}K_{60}$ ფონზე უფრო ეფექტურია $P_{60}K_{30}$ დოზასთან შედარებით, რაც ჩვენი აზრით, დაკავშირებული უნდა იყოს მცენარის მიერ აზოტის შეთვისების პროცესზე ფოსფორ-კალიუმის (განსაკუთრებით ფოსფორის) დადებით გავლენასთან. რამდენადმე მსგავსი შედეგებია მიღებული ჩვენს მიერ სხვადასხვა კულტურებზე ჩატარებული ცდებით [6-8].

მცენარის პოტენციური შესაძლებლობების რეალიზებისათვის საჭიროა მეცნიერულად დასაბუთებული სასუქების დოზების დადგენა, რომლის განსაზღვრისათვის სხვა ეკოლოგიურ ფაქტორებთან ერთად, აუცილებელია მინერალური სასუქიდან საკვები ელემენტების გამოყენების კოეფიციენტის დადგენა. გაანგარიშების შედეგები მოტანილია მე-4 ცხრილში, საიდანაც ჩანს, რომ აზოტის გამოყენების კოეფიციენტი საშუალოდ 36,4%-ია, ფოსფორის – 20,6%, ხოლო კალიუმის 43,5%.

ცხრილი 4

საშემოდგომო სორბლის მიერ

საკვები ელემენტების გამოყენების კოეფიციენტი

№	სასუქის დოზა, კგ/ჰა			ნამატი მოსავლით გამოტანა, კგ/ჰა			სასუქიდან გამოყენების კოეფიციენტი, %		
	N	P_2O_5	K_2O	N	P_2O_5	K_2O	N	P_2O_5	K_2O
1	0								
2	NP		60			26,1			43,5
3	NK	90			18,5			20,6	
4	–			–			–		
5	90			28,5			31,7		
6	120			41,9			34,9		
7	150			44,1			29,4		
8	–			–			–		
9	90			35,5			39,4		
10	120			56,3			46,9		
11	150			54,6			36,4		

ჩვენს მიერ დადგენილი იქნა მინერალური სასუქების ოპტიმალური დოზები, კერძოდ, $N_{120}P_{90}K_{60}$, რომელიც უზრუნველყოფს მარცვლის შედარებით მაღალ მოსავალს – 37,9 ც/ჰა, აზოტის დოზის შემდგომ 150 კგ/ჰა-მდე გაზრდა არაეფექტურია. რეკომენდებული დოზების გამოყენებისას ყველაზე მაღალია აგრეთვე საკვები ელემენტების გამოყენების კოეფიციენტი: N – 56,3%, P_2O_5 – 20,6%, K_2O – 43,5%.

მაშასადამე, შიდა ქართლის პირობებში საშემოდგომო ხორბლის მარცვლის მაღალი მოსავლის უზრუნველსაყოფად (თესლბრუნვის რგოლში) კვების მინერალური ელემენტების ოპტიმალური დოზაა $N_{120}P_{90}K_{60}$, სადაც მცენარის მიერ გამოტანილი საკვები ელემენტების საერთო რაოდენობა (ძირითადი პროდუქცია + თანმდევი პროდუქცია) შეადგენს (კგ/ჰა): N – 98,7, P_2O_5 – 50,1, K_2O – 88,3, ხოლო 1 ცენტნერ მარცვალზე გადაანგარიშებით გამოტანა შეადგენს შესაბამისად: 2,60; 1,32; 2,33 კგ-ს. თანაფარდობა გამოტანილ NPK-ს შორის შეადგენს დაახლოებით 2:1:2.

ლიტერატურა

1. ჩხაიძე გ. მცენარეთა ფიზიოლოგია. თბილისი, 2003. 391 გვ.
2. ალექსიძე ნ. ზოგადი ბიოქიმიის საფუძვლები. თბილისი, თსუ, 2005. 549 გვ.
3. Минеев В.Г. Агрохимия и биосфера. М., Колос, 1984. 245 с.
4. Доспехов Б.А. Методика полевого опыта. 2-е изд., перраб. и доп., М., Колос, 1968, 236 с.
5. Каюмов М.К. Справочник по программированию урожаев. М., Россельхозизат, 1977. 188 с.
6. გოგინაშვილი ნ. ზოგიერთი მძიმე ლითონის დაგროვება მარცვლოვანთა (Graminae) ოჯახის მცენარეებში. საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია „სუბტროპიკული ზონის დარგების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები“, მიძღვნილი აკადემიკოს გ. ჩხაიძის 80 წლის იუბილისადმი. სუბტროპიკული მეურნეობის სოხუმის სასწავლო უნივერსიტეტი. ქუთაისი, 2010, გვ. 127-128.
7. გოგინაშვილი ნ., ღოლიჯაშვილი დ., მუმლაძე ნ. მინერალური კვების ელემენტების გავლენა საშემოდგომო ხორბლის მარცვლის ბიოქიმიურ შედგენილობაზე. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 19, თბილისი, 2007, გვ. 286-288.
8. Гогинашвили Н. Тяжёлые металли в зерне кукурузы при разных условиях минерального питания. Химический журнал Грузии, т. 6, №1, 2006, с. 95-97.

Assimilation of mineral elements and their use
Of ratios Triticum durum in the Shida Kartli biocenose

Neli Goginashvili
Full Professor of Sukhishvili Teaching University
E-mail: ne.goginashvili@gmail.com
Tel: 5 (99) 33 73 41

Resume

According to many trials (in seed circulation) on brown soils of Shida kartli Region (Georgia), the eating elements of wheat varies (kg/ha): N – 32,6-98,7; P_2O_5 – 14,5-50,1; K_2O – 29,0-98,8; which on one piece of corn counts (kg): N – 2,30-2,76; P_2O_5 – 1,02-1,44; K_2O – 2,04-2,90; and the ratio between NPK is 2:1:2. The optimal amount of a plant potential is $N_{120}P_{90}K_{60}$. The highest coefficient (%) of using eating elements from fertilizer while using mentioned dozes is the following: N – 56,3; P_2O_5 – 20,6; K_2O – 43,5.

ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ტერიტორიებიდან გამოყოფილი მიკროორგანიზმების იდენტიფიცირება და დეტოქსიკაციური პოტენციალის გამოკვლევა

მარიამ ხარებაშვილი
საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი,
სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი,
E-mail: mariamkharebashvili@yahoo.com
ნანა ალავერდაშვილი
სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი,
სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი,
E-mail: alaverdashvilin@yahoo.com

გარემოს დამბინძურებლებს შორის ყველაზე ფართოდაა გავრცელებული ნავთობი და ნავთობპროდუქტები, რომლებიც ყოველწლიურად მილიონობით ტონობით იღვრება ნიადაგსა და ოკეანეებში [1, 2]. საქართველოსათვის ეს პრობლემა რეალურად დადგა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ამოქმედების შემდეგ, რადგან აღნიშნულ ნავთობსადენზე ავარიის შემთხვევაში მოხდება მისი ისედაც მცირემიწიანი ფონდის მნიშვნელოვანი დაბინძურება, ეს კი მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს საქართველოს უნიკალურ ბიომრავალფეროვნებას. ნახშირწყალბადები წარმოადგენენ ერთ–ერთ ძალზე საშიშ კარცინოგენულ, სწრაფად გავრცელებად და ბუნებრივ პირობებში ძნელად დეგრადირებად დამბინძურებლებს [3, 4]. ნავთობის შემადგენელი ტოქსიკური ნახშირწყალბადები გროვდება ცხოველურ და მცენარეულ ქსოვილებში და მავნე ზემოქმედებას ახდენს მრავალი ორგანიზმის სიცოცხლისუნარიანობაზე [5, 6]. განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს ნავთობპროდუქტებით დაბინძურებულ ნიადაგებზე აგროტექნიკური დამუშავება.

მრავალი მკვლევარის მიერ შესწავლილი და აღწერილია ნავთობის ასიმილაციის უნარის მქონე შტამები, რომლებიც ძირითადად ბაქტერიებსა და ბაზიდიალურ ანუ თეთრი ლპობის გამომწვევ სოკოებს მიეკუთვნებიან [2,4,7]. შედარებით ნაკლებადაა შეწავლილი მიკროსკოპული სოკოების დეტოქსიკაციის უნარი.

ამჟამად, მეტად აქტუალურია ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ნიადაგების ბიორემედიაციის შესაძლებლობის შესწავლა მიკროსკოპული სოკოების გამოყენებით. ნავთობპროდუქტების დესტრუქტორი შტამის დეტოქსიკაციური პოტენციალის გამოკვლევა.

ნავთობპროდუქტების დეგრადაციის უნარის მქონე მიკროსკოპული სოკოების შტამების შერჩევის მიზნით საქართველოს ნავთობის ჭაბურღილებისა და მილსადენების მიმდებარე ტერიტორიებიდან გამოვყავით მიკროსკოპული სოკოების 90 კულტურა. ნიმუშები აღებული იყო სართიჭალისა და ნინოწმინდის ჭაბურღილებიდან, 10-10 გასაშუალებული ნიმუში. (ნიადაგების ნიმუშები აღებულია 50სმ რადიუსში - ხუთი სხვადასხვა ადგილიდან, 15სმ სიღრმიდან) კულტურები გამოყოფილია უშუალოდ ჭაბურღილის სიახლოვეს (მაღალი დაბინძურება) და მისგან 10-15 მ დაშორებით (შედარებით დაბალი დაბინძურება). მიკრობიოლოგიური ჩათესვის წინ ვახდენდით ნიადაგის ნიმუშების წინასწარ დამუშავებას და ჩათესვას ვახორციელებდით ეკასმანის ნიადაგების განზავების მეთოდითა და ნიადაგის პირდაპირი ჩათესვის მეთოდით. შემდეგ განზავებებით - 1/10, 1/100, 1/1000, 1/10000 -

იმისათვის რომ სუსპენზიის თითოეულ თაიისუფლად მოცურავე უჯრედს საკვებ არეზე მოხვედრისას მოეცა კოლონია. გამოყოფილ მიკროსკოპულ სოკოებში დაეადგინეთ დომინანტური გვარები. შედეგები მოცემულია ნახ. 1.



ა ბ

ნახ. 1. მიკროსკოპული სოკოების შეხვედრის სიხშირე სართიჭალისა და ნინოწმინდის ნავთობის ჭაბურღილების მიმდებარე ტერიტორიებიდან გამოყოფილ კულტურებს შორის.

ა) მაღალი დაბინძურების ნიადაგი

ბ) დაბალი დაბინძურების ნიადაგი

ცდის პირობები: ტემპერატურა–30^{0}C, pH 4,5—5,5. მყარ საკვებ არეზე კულტივირების ხანგრძლივობა– 10 დღე.

რიგორც მოსალოდნელი იყო, დაბალი დაბინძურების ნიადაგები ხასიათდებიან მიკროსკოპული სოკოების მრავალფეროვნებითა და მრავალრიცხოვნობით მაღალი დაბინძურების ნიადაგებთან შედარებით.

ნიადაგის ნიმუშები აღებული იყო აგრეთვე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობის მილსადენის მიმდებარე ტერიტორიებიდან. შედეგები მოტანილია ნახ. 2.



ნახ. 2. მიკროსკოპული სოკოების შეხვედრის სიხშირე ნავთობის მილსადენების მიმდებარე ტერიტორიებიდან გამოყოფილ კულტურებს შორის

ცდის პირობები: ტემპერატურა–30^{0}C, pH-4,5—5,5; მყარ საკვებ არეზე კულტივირების ხანგრძლივობა– 10 დღე

სკრინინგი მიმდინარეობდა ჩაპეკის მყარი მოდიფიცირებული არეზე, (გ/ლ): გლუკოზა - 30; $NaNO_3$ – 9,1; KH_2PO_4 - 1; $MgSO_4 \times 7H_2O$ - 0,5; KCl - 0,5; $FeSO_4 \times H_2O$ - 0,002; აგარ-აგარი – 20; (pH 3,5-4,2) და უნივერსალურ მყარ არეზე: ლუდის ბადაგი - 0,5 ლ (7^0 B); ონკანის წყალი - 0,5 ლ; აგარ-აგარი - 20გ. (pH 5,5-6,0). ორივე არეში ნახშირბადის ერთადერთ წყაროდ შეტანილი იყო ნედლი ნავთობი სხვადასხვა კონცენტრაციებით (10 გ/ლ; 20 გ/ლ; 30 გ/ლ, 40 გ/ლ; 50 გ/ლ). ჩასათეს მასალად აღებული იყო მყარ საკვებ არეზე 10 დღის განმავლობაში 30^0C ტემპერატურაზე გაზრდილი კულტურების კონიდიების სუსპენზიები. პეტრის თასები მყარი, ნავთობისშემცველი საკვები არეებით, რომლებზეც ჩათესილი იყო საკვლევი კულტურები, თავსდებოდა თერმოსტატში 25-30^0C ტემპერატურაზე 10 დღის განმავლობაში. გაზრდილი მიკროსკოპული სოკოების აღწერა წარმოებდა მე-3, 5, 7 და მე-10 დღეს. მიკროსკოპული სოკოების მიერ ნავთობპროდუქტების ათვისების უნარი ფასდებოდა კულტურების ზრდის ინტენსიობის მიხედვით, ეიზუალურად, სამბალიანი სისტემით. მიღებული შედეგები წარმოდგენილია №1 ცხრილში.

ჩაპეკის მოდიფიცირებულ და უნივერსალურ მყარ არეებზე კულტურების ზრდის ინტენსიობის შედარებამ გვიჩვენა, რომ კულტურები ორივე არეზე თითქმის ერთნაირი ინტენსიობით იზრდება.

ცხრილი 1.

ნავთობით დაბინძურებული ტერიტორიებიდან მიკროსკოპული სოკოების კულტურების ზრდა ნავთობ-პროდუქტების სხვადასხვა კონცენტრაციების შემცველ მყარ საკვებ არეებზე

კულტურები	ზრდის ინტენსიოტა									
	უნივერსალური არე					ჩაპეკის მოდიფიცირებული არე				
	10გ/ლ	20გ/ლ	30გ/ლ	40გ/ლ	50გ/ლ	10გ/ლ	20გ/ლ	30გ/ლ	40 გ/ლ	50გ/ლ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
Aspergillus flausi B 4-4	+++	++	+	-	–	+++	++	+	-	–
Aspergillus niger J3-4	+++	+++	+++	+	–	+++	+++	+++	+	-
Aspergillus niger J 3-6	+++	+++	+	–	–	+++	++	+	–	–
Aspergillus niger T 1-1	+++	++	+	–	–	+++	++	+	–	–
Aspergillus sp. N3-5	+++	+++	++	+	–	+++	++	++	+	–
Aspergillus terreus J2-3	+++	+++	+++	+	–	+++	+++	+++	+	–
Aspergillus versicolor	+++	+++	+	–	–	+++	++	+	–	–

J2-4										
Aspergillus wenti J1-2	+++	+++	+++	+	–	+++	+++	+++	+	–
Chaetomium sp. J1-4	+++	+++	++	+	–	+++	+++	++	+	–
Chaetomium sp. J3-3	+++	+++	+++	+	–	+++	+++	+++	+	–
Fusarium monoliforma S 2-6	+++	++	+	–	–	+++	++	+	–	–
Gymnoascus sp. J2-1	+++	+++	+++	+	–	+++	+++	+++	+	–
Mucor sp. K1-1	+++	++	+	–	–	+++	++	+	–	–
Mucor sp.R6-1	+++	+++	++	–	–	+++	++	+	–	–
Penicillium sp. B4-1	+++	++	+	–	–	+++	++	+	–	–
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
Penicillium sp. S 3-6	+++	++	+	–	–	+++	++	+	–	–
Rhizopus sp. S 1-2	+++	++	+	–	–	+++	++	+	–	–
Trichoderma lignorium XM 3-2	+++	+++	++	+	–	+++	+++	++	+	–
Trichoderma lignorium XM 3-3	+++	+++	+++	+	–	+++	+++	+++	+	–
Trichoderma viride J 3-1	+++	+++	+++	++	+	+++	+++	+++	+	+
Trichoderma viride J 3-5	+++	+++	+++	+	–	+++	+++	+++	+	–
Trichoderma viride Ts 2-1	+++	+++	+	–	–	+++	++	+	–	–
Trichotecium S1-6	+++	++	+	–	–	+++	++	+	–	–
Spicaria sp. XM3-4	+++	++	+	–	–	+++	++	+	–	–
Sp. X 7-1	+++	++	+	–	–	+++	++	+	–	–
Sp. M 9-2	+++	+++	+	–	–	+++	++	+	–	–

მიღებული მონაცემებიდან დადგინდა, რომ ნავთობპროდუქტების კონცენტრაციის მომატებისას იცვლებოდა შტამების მორფოლოგიური თვისებები. კერძოდ, შემცირდა კულტურების კოლონიების დიამეტრი, ასევე შეფერხებული იყო კოლონიების ზრდის სიჩქარე, თუმცა ფერი და სპორომატარებლობა შენარჩუნებული ჰქონდათ.

ასიმილირებული და დეგრადირებული ნავთობპროდუქტების რაოდენობრივი შეფასებისათვის შეეარჩიეთ შემდეგი კულტურებია: *Chaetomium* sp. J3-3, *Trichoderma lignorium* M3-3, *Trichoderma viride* J3-1, *Gymnoascus* sp. J2-1, *Aspergillus* sp. J1-2, *Aspergillus terreus* J2-3, *Aspergillus niger* J3-4; *Trichoderma viride* J3-5.

ოპტიმალური ტემპერატურის დასადგენად აღნიშნული კულტურებს ვზრდიდით 5-55^{0}C-მდე, 5^{0}C-ის ინტერვალით – მყარ აგარიზირებულ საკვებ არეზე. ნაზარდს ვაფასებდით კულტურალურ-მორფოლოგიურ თვისებებზე დაყრდნობით, აღწერას ვაწარმოებდით მე-3, მე-5, მე-7 და მე-10 დღეს. ტემპერატურის ოპტიმუმად მიღებული იყო სოკოების კულტურების მაქსიმალური ნაზარდი, რომელიც ისაზღვრებოდა კოლონიის დიამეტრის ზომითა და ზრდის სიჩქარით,შედეგები მოყვანილია ცხრილ №2-ში

ცხრილი 2.

ნავთობის ასიმილირების უნარის მქონე კულტურების ზრდა-განვითარება სხვადასხვა ტემპერატურაზე

№	კულტურა	ტემპერატურის დიაპაზონი, რომელშიც ეზრდება კულტურა, ^{0}C	ზრდის ოპტიმალური ტემპერატურე ^{0}C	კულტურის დახასიათება
1	*Aspergillus Niger* J3-4	15-50^{0}C	35-40^0 C	თერმო-ტოლერანტი
2	*Aspergillus venti* J1-2	20-50^{0}C	40^0 C	თერმო-ტოლერანტი
3	*Aspergillus terreus* J2-3	15^0-50^{0}C	40^{0}C	თერმო-ტოლერანტი
4	*Chaetomium sp.* J3-3	30^0-50^{0}C	40-45^{0}C	თერმოფილი
5	*Gymnoaseus sp.* J2-1	15^0-45^{0}C	35^{0}C	თერმო-ტოლერანტი
6	*Trichoderma viride* J3-1	15^0-40^{0}C	30^{0}C	მეზოფილი
7	*Trichoderma viride* J3-5	15^0-40^{0}C	30^{0}C	მეზოფილი
8	*Trichoderma lignorium* M3-3	15^0-40^{0}C	25^0-30^{0}C	მეზოფილი

მიკროსკოპულ სოკოებს ვზრდიდით ჩაპეკის მოდიფიცირებულ თხიერ არეში ($NaNO_3$ – 9,1; KH_2PO_4 - 1; $MgSO_4 \cdot 7H_2O$ - 0,5; KCl - 0,5; $FeSO_4 \cdot H_2O$ - 0,002; გლუკოზა – 30;

ალაოს ღივები – 2გ/100მლ, (pH 5,0): ჩასათეს მასალად აღებული იყო მყარ აგარიზებულ არეზე გაზრდილი 10-დღიანი კულტურების კონიდიების სუსპენზია.

დესტრუქტორი შტამების სკრინინგისას თხიერ არეში შერჩეული შტამების ნავთობთან ერთად ვამატებდით ნახშირბადის წყაროს – გლუკოზას. სიღრმული კულტივირება მიმდინარეობდა 750 მლ-იან ერლენმეიერის კოლბებში, სანჯღრეველაზე 200 ბრ/წთ, 30–40°C-ზე, 72–96 სთ-ის განმავლობაში. კულტურალურ ხსნარში დარჩენილი ნავთობის რაოდენობას ვსაზღვრავდით წონითი მეთოდით. კონტროლად აღებული იყო სუფთა საკვები არე ნავთობისა და კულტურის გარეშე. 100%-ად ვთვლიდით საკვებ არეში შეტანილი ნავთობის საწყის რაოდენობას.

საკვებ არეში ნარჩენი ნავთობის % - ული რაოდენობით ვაფასებდით მიკროსკოპული სოკოების ბიოდეგრადაციის უნარს. მიღებული შედეგები მოცემულია მე-3 ნახაზზე.



1 *Aspergillus Niger J3-4*

2 *Aspergillus venti J1-2*

3 *Trichoderma viride J3-5*

4 *Chaetomium sp. J3-3*

5 *Aspergillus terreus J2-3*

6 *Gymnoaseus sp. J2-1*

7 *Trichoderma lignorium M3-3*

8 *Trichoderma vi.*

ნახ. 3. ნავთობის ბიოდეგრადაცია მიკროსკოპული სოკოების მიერ

ცდის პირობები: ტემპერატურა 30–40°C. კულტივირების ხანგრძლივობა 72–96 სთ ნავთობის კონცენტრაცია საკვებ არეში 30გ/ლ

როგორც ნახ. 3-დან ჩანს, ნავთობი თითქმის 100%-ით აითვისა *Trichoderma viride J* 3-1

ჩატარებული კელეევების შედეგად დადგინდა და აღმოჩნდა, რომ შესწავლილი კულტურიდან 26 კულტურა კარგად იზრდება ნავთობპროდუქტების დაბალ კონცენტრაციაზე (10გ/ლ), 16 კულტურა – 20 გ/ლ-ზე; 8 კულტურა კარგად გაიზარდა მაღალ კონცენტრაციაზე (30გ/ლ) და მხოლოდ 1 კულტურა საშუალოდ გაიზარდა 40 გ/ლ კონცენტრაციაზე. დადგენილია დესტრუქტორი შტამების ექსტრემოფილობის ხარისხი. ნავთობის მაღალ (30გ/ლ) კონცენტაციაზე მზარდი შტამებიდან გამოვლენილია 1 თერმოფილი, 4 თერმოტოლერანტი, 3 მეზოფილი კულტურა დადგენილია ნავთობის მაღალაქტიური დესტრუქტორი შტამების კულტივირების პირობები, მიკროსკოპული სოკოს შტამი *Trichoderma viride J3-1* ნავთობის მაქსიმალურ რაოდენობას ითვისებს, რაც მიუთითებს შტამების მაღალ დესტრუქციულ აქტივობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Глазовская В.А. Ремедиация нефтезагрязненых почвенных экосистем. Москва, Изд-во «Наука», 1988.264 с.
2. M. Kharebashvili, I. Khokhashvili, L. Qutateladze. "Biodegradation of Oil Products by Microscopic Fungi " Proc. Georgian Acad. Sci. Biol. Ser. B. Vol 4, #4 2006 pp86-91
3. გაჯიევი-შენგელია დ., არეშიძე გ. ნავთობქიმიის საწყისები, თბილისი 1999
4. Абдрахмонов, Т. А. Влияние загрязнений почвы нефтью и нефтепродуктами на сс микрофлору -Материалы IV съезда почвоведов и агрохимиков Узбекистана. – Ташкент, 2005. - С. 208–209
5. Акатова Е.В., Алтынцева О.В., Плотникова Е.Г., Сахаровский В.Г., Филонов А.Е., Кошелева И.А. Деградации нафталина в условиях высокой солености среды сообществом микроорганизмов. «Экология 2004: эстафета поколений» Биотехнология защиты окружающей среды. с. 1-6.
6. Rittmann, B. E. et. al. In Situ Bioremediation, second edition. Noyes Publications, Park Ridge, 1994.New Jersey. pp. 61-63, 205, 219-220
7. Warcup S.H. The soil-plate method for isolation of fangi from soil-Nature,1950,166,#4502,p.117

Allocated microorganism identification and research potential detoxification of the polluted teritories by oil products

Mariam Kharebashvili
Academic Doctor of Engerring Sciences
Sukhishvili Teaching University,
E-mail: mariamkharebashvili@yahoo.com
Nana Alaverdashvili
Academic Doctor of Engerring Sciences
Sukhishvili Teaching University,
E-mail: alaverdashvilin@yahoo.com

Resume

Among the microscopic fungi obtained from oil-polluted territories of Georgia were reveled oil-destructing strains of microscopic fungi. 90 cultures are separated. Between the tested 90 strains were selected 8 strains with high (30mg/l) oil-destructing abilities. The extent of extremophilicy of the destructor strains was determined. Among the strains, growing at a high concentration of oil (30mg/l) 1 thermopiles, 4 thermotolerants and 3 mesophils were revealed. Conditions of cultivation of high active oil-destructor strains have been established. It was demonstrated that strain of the microscopic fungi *Trichoderma viride J3-1* assimilated maximal amount of oil at 30°C. This indicats to high destructive activity of the strains and makes possible of their application in bioremidation technologies of oil-polluted soils. Selected strain is non-toxic and non pathological.

ამერიკული თეთრი პეპლის ფენოლოგიური განვითარების თავისებურებანი აჭარის სუბტროპიკულ ზონაში

მირანდა წეროძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
miranda.tserodze@gmail.com Tel: 577 74 54 34

შესავალი: ამერიკული თეთრი პეპელა *(Hyphantria cunea Drury, რიგი – ეპიდოპტერა ქერცლფრთიანები ანუ პეპლები, ოჯახი - Arctiidae)* პოლიფაგი მწერია, იკვებება 600-ზე მეტი სახეობის მცენარით, ხეხილის, ტყის ჯიშების, დეკორატიული მცენარეების, ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების ფოთლებით. აფუთქარების პერიოდებში იწვევს მცენარის ფოთლებისგან სრულ გაშიშვლებას რის შემდეგაც დაზიანებულ მცენარეზე ქერქიჭამიები სახლდებიან. როცა მცენარეზე ამერიკული თეთრი პეპელა მაენებლობს ზედიზედ რამდენიმე წელი, მცენარე კნინდება და ხმება [1,2].

მატლები პირველ ხანებში იკვებებიან მცენარეთა ზედა, ნორჩი ფოთლებით, შემდეგ თანდათან გადაადგილდებიან ქვემოთ და უკან ტოვებენ დაჩონჩხილ, აბლაბუდაში გახვეულ ტოტებს, ზოგჯერ მთელ ხესაც კი. აბლაბუდის ბუდეები უმეტესად როგორც წესი (100-დან 98-99 შემთხვევაში), განლაგებულია მცენარის პერიფერიულ ნაწილებში, აქედან 53% თავმოყრილია შუა იარუსზე 4-8 მეტრის სიმაღლეზე, 30% – ქვედა იარუსზე და 17% – ზედა იარუსზე. 29% გეხვედება მცენარის ვარჯის აღმოსავლეთით, 15% – დასავლეთით და 8% ჩრდილოეთით [3,4,5].

საქართველოში მაენებელი პირველად აღინიშნა 1976 წელს სამტრედიის რაიონში. მიუხედავად მის წინააღმდგ ჩატარებული ღონისძიებებისა, დასავლეთ საქართველოში თანდათანობით ფართოვდება მწერის გავრცელების არეალი, ვინაიდან სწორედ დასავლეთ საქართველოში არის მისი არსებობისათვის ხელსაყრელი პირობები: კლიმატი, ტრანსპორტისა და ტეირთბრუნვის ინტენსიობა, რკინიგზისა და გზატკეცილების გასწვრივ მკვებავი მცენარეების სიმრავლე (განსაკუთრებით თუთა, ჭადარი, ნეკერჩხალი, კაკალი, თხილი და სხვ.), რელიეფი (ბუნებრივი ბარიერის არ არსებობა) და სხვ. მაენებლის ბიოეკოლოგიიდან გამომდინარე ის ძირითადად დაბლობ რაიონებში და მთისპირა ადგილებში გვხვდება (ზღვის დონიდან 200-350 მ-ზე).

აჭარაში ამერიკული თეთრი პეპელა პირველად გამოჩნდა 1990 წელს. დღეისათვის მან მოიცვა აჭარის დაბლობი რაიონები და მთისწინა ზოლი, სადაც მავნებლის გავრცელების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი არის რა თქმა უნდა კლიმატი [6]. ათპ-ს ბიოლოგიური თავისებურებანი, პლასტიკურობა გარემო პირობების ცვალებადობის მიმართ ადვილი შეგუება არეალის სწრაფი გაფართოება ქმნის საშიშროებას, რომ იგი დროთა განმავლობაში აღმოსავლეთ საქართველოშიც გავრცელდეს [7], ამიტომ მავნებლის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური ღონისძიებების შემუშავებისთვის მისი ეკოლოგიის საფუძვლიან შესწავლას ენიჭება განსაკუთრებული ყურადღება.

კვლევის ობიექტი და მეთოდები: ხეხილოვანი და ტყე პარკის ფოთლოვანი მცენარეების მავნებელის ამერიკული თეთრი პეპლის, როგორც კვლევის ობიექტის შერჩევა მოვახდინეთ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- მავნებლის გამრაელებისა და გავრცელების ხასიათი;
- დაზიანების ხარისხი;
- საკვები მცენარეების რიცხვის გაზრდა სახეობრივი

რაოდენობა და ზრდის ტენდენცია;

- ზიანის ეკონომიკური და ეკოლოგიური მაჩვენებლები.

ფიტოსანიტარული დიაგნოსტიკის მიზნების მისაღწევად ვიყენებთ ეკოლოგიურ მეთოდებს. ფენოლოგიური გამოკვლევებისთვის და პროგნოზისთვის კი - მინდვრის დაკვირვებებს და აღრიცხვებს, ასევე ლაბორტორიული ექსპერიმენტებს, რომელთა საშუალებით ვსაზღვრავდით მწერის ზრდა-განვითარების ტემპერატურული ზღვარს აქტიურ ტემპერატურათა ჯამის მეთოდის გამოყენებით, რადგან ეს ზღვარი არის შედარებით მუდმივი მავნებლის ყველა თაობის ან ცალკეული ფაზების განვითარებისთვის.

სტაციონალური მინდვრის ცდები ფენოლოგიაზე ტარდებოდა აჭარის შავიზღვისპირა სუბტროპიკულ ზონაში 2009-2011 წლებში. რის საფუძველზეც დადგინდა ათპ-ს განვითარების ყველა სტადიის განვითარების დასაწყისი და ხანგრძლივობა. ეფექტურ ტემპერატურათა ჯამის განსაზღვრისთვის მავნებლის თითოეული სტადიის ფაქტიური განვითარების დროს დამუშავებული იქნა ყოველდღიური მეტეოროლოგიური მონაცემები.

<u>კვლევის შედეგები:</u> ვინაიდან აჭარა მთაგორიან ტერიტორიას წარმოადგენს, ვერტიკალური ზონალობის მიხედვით იცვლება ათპ-ს გავრცელება. ჩვენი კვლევის მიზანი იყო მავნებლის გამოჩენის ვადების, განვითარების ფაზების და თაობათა რაოდენობის განსაზღვრა და მათი კავშირი სეზონურ ცვალებადობასთან და სითბურ პირობებთან აჭარის სუბტროპიკულ ზონაში, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ ტარდებოდა მეტეოროლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით და ბიოლოგიური მონიტორინგის საფუძველზე.

კვლევებით დადგინდა, რომ ათპ მუდმივად ვითარდება 21^0 C. ორივე თაობის ფენოლოგიური მონაცემები მოცემულია №1 ცხრილში.

ათპ-ს განვითარება აჭარაში წლების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება: გაზაფხულზე გამოზამთრებული ჭუპრებიდან პეპლების გამოფრენის ვადებზე გავლენა მოახდინა ტემპერატურულმა პირობებმა. პეპლების გამოფრენა მოხდა მაისის შუა რიცხვებში 20.05.2009 და 15.05.2011 როცა ეფექტურ ტემპერატურათა ჯამი იყო 214^0 და 190^0 C. უფრო გვიან დაფიქსირდა 2010 წელს (30.05).

2010 წელს მაისის შუა რიცხვებში (მეორე დეკადიდან) შეინიშნებოდა საშუალო დღე-ღამური ტემპერატურის კლება, რამაც შეაფერხა პეპლების გამოფრენა. აციებებისას (II დეკადა) ჰაერის საშუალო ტემპერატურა ღამით დაეცა 3,5-4,5^{0}C – მდე, რაც მავნებლისთვის იყო კრიტიკულ ზღვარს დაბლა. ასეთ არახელსაყრელ პირობებში შეჩერდა პეპლების გამოფრენა, ხოლო გამოფრენილები იღუპებოდნენ გამოფრენიდან მესამე დღეს. შემდეგ ტემპერატურული ფონი გაიზარდა ოპტიმალურამდე, რამაც პეპლების აქტიურ გამოფრენას შეუწყო ხელი და მაისის მესამე დეკადიდან აღინიშნებოდა პეპლების მასიური ფრენა. ტემპერატურის ცვალებადობამ გაზაფხულზე გამოიწვია პეპლების მაღალი სიკვდილიანობა და გაჭიანურდა გამოფრენის ვადებიც, რომელიც გაგრძელდა ივნისის II დეკადამდე.

მატლები ბუნებრივ პირობებში განვითარდა ივნისის მეორე დეკადის ბოლოს 34-40 დღის ხანგრძლივობით, ჰაერის საშუალო ტემპერატურაზე 16.0-19.6^{0}C, ტენიანობით 77%.

მატლების მასიური გამოჩეკა 2009 და 2011 წლებში დაიწყო მაისის ბოლოს, მაშინ, როდესაც 2010 წელს იგი შეინიშნებოდა 19 ივნისს ანუ ეს პროცესი გახანგრძლივდა 20 დღით. შესაბამისად გახანგრძლივდა აბლაბუდას ქსელის გამოწნა და მატლების განვითარების ვადებიც. აქედან გამომდინარე 2010 წელს მაისში არსებული დაბალი ტემპერატურის გამო გაზაფხულის თაობის ზრდა განვითარების დრო გახანგრძლივდა დაახლოებით 15 დღით. ანალოგიურად, მეორე თაობის პეპლების გამოფრენა, კვერცხდება, მატლების განვითარება და ბოლოს დაჭუპრება შეიმჩნეოდა 10-15 დღით გვიან.

ცხრილი №1

ათპ-ს ფენოლოგია აჭარის სუბტროპიკულ ზონაში
(2009-11წწ)

განვითარება	განვითარების ფაზა	ფაზები და ეფექტურ ტემპერატურატა ჯამი							
		ფაქტიურად წლების მიხედვით						საშუალო	
		2009		2010		2011			
		თარიღი	ეტჯ °C	თარიღი	ეტჯ °C	თარიღი	ეტჯ °C	თარიღი	ეტჯ °C
I	პეპლების გამოფრენა	20.05	214	30.05	41	15.05	90	13.05	115
	კვერცხდება	22.05	234	4.06	175	18.05	107	25.05	172
	მატლების გამოჩეკვა	31.05	337	19.06	296	30.05	243	7.06	292
	აბლაბუდას ქსელის გამოწნა	12.06	442	30.06	398	12.06	340	18.06	393
	დაჭუპრება	8.07	681	21.07	595	7.07	564	12.07	613
II	პეპლების გამოფრენა	21.07	836	5.08	791	20.07	712	26.07	780
	კვერცხდება	24.07	872	6.08	803	22.07	738	28.07	804
	მატლების გამოჩეკვა	4.08	995	17.08	918	1.08	868	7.08	927
	აბლაბუდას ქსელის გამოწნა	16.08	1115	26.08	1016	10.08	983	17.08	1038
	დაჭუპრება	12.09	1319	19.09	1181	3.09	1211	11.09	1237

2011 წელს მატლებმა დაჭუპრება დაიწყეს იელისის პირველ დეკადაში, ხოლო მასიური დაჭუპრება დაიწყო თვის ბოლოსათვის, რაც გაგრძელდა 2 კვირის განმავლობაში. ჰაერის ტემპერატურა ამ პერიოდში იყო 18.6 ^{0}C, ხოლო ეტჯ 564-592 ^{0}C. 2009 წელთან შედარებით მოხდა იელისის პირველ რიცხვებში (ეტჯ 681 ^{0}C), ხოლო 2010 წელს იელისის მეორე დეკადაში (ეტჯ 595-595^{0}C).

ონტოგენეზის პერიოდში მავნებლის დაჭუპრება ხდებოდა მაღალი ტემპერატურის დროს, საშუალოდ 1-3.9^{0}C, რომელიც გრძელდებოდა 8-12 დღე.

პირველი პეპლების ფრენა შეიმჩნეოდა ივლისის მესამე დეკადაში (2009-2010) და აგვისტოს დასაწყისში (2011). ამ პერიოდში ატჯ მერყეობდა 715...836^{0}C.

ფენოლოგიაზე საუბრისას აუცილებელია განისაზღვროს თითოეული სტადიის განვითარების ხანგრძლივობაც (ცხრილი 2).

ცხრილი 2

ათპ-ს ზრდის ფაზების განვითარების ხანგრძლივობა

წელი	განვითარების ხანგრძლივობა დღეები								
	I თაობა				II თაობა				III თაობა
	კვერცხი	მატლი	ჭუპრი	სულ I თაობა	კვერცხი	მატლი	ჭუპრი	სულ II თაობა	სულ I თაობა
2009	9	38	16	63	10	35	10	55	118
2010	16	35	10	61	11	33	11	57	118
2011	12	37	13	62	10	33	10	53	115

როგორც ცხრილიდან ჩანს I და II თაობის განვითარება საშუალოდ მიმდინარეობს 53-დან 65 დღემდე. გაზაფხულის თაობაში კვერცხის განვითარების ხანგრძლივობა საშუალოდ შეადგენს 15 დღეს, ხოლო ზაფხულის თაობის 10 დღეს. პირველი და მეორე თაობის მატლების განვითარების ხანგრძლივობა საშუალოდ მერყეობს 33-დან 38 დღემდე. I თაობის ჭუპრების განვითარებას საშუალოდ სჭირდება 10-16 დღე. მეორე თაობისას კი შესამჩნევად ნაკლები დრო - საშუალოდ 10 დღე, რაც გამოწვეულია მაღალი ტემპერატურით. მთლიანად ორიეე თაობის განვითარებას კი საშუალოდ სჭირდება 115-118 დღე.

ყოველიეე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია ფენოლოგიური კალენდრის აგება. ფენოპროგნოზირება ეფუძნება ჩვენს სამწლიან კვლევებს. ფენოგრამის მეთოდი გვაძლევს თვალსაჩინო სურათს მავნებლის განვითარებაზე დეკადური სიზუსტით (ცხრილი 3).

ცხრილში კარგად ჩანს, მავნებლის ამათუ იმ სტადიის განვითარება:

- გამოზამთრებული პეპლების გამოფრენა - მაისის I–II დეკადა;
- კვერცხდება (1 თაობა) – მაისის I –II დეკადა;
- I თაობის მატლების გამოჩენა მაისის III დეკადა-ივნისის I დეკადა;
- I თაობის მატლების დაჭუპრება–ივნისის III დეკადა- ივლისის I დეკადა;
- I თაობის პეპლები – ივლისის II-III დეკადა;
- II თაობის კვერცდება – ივლისის II-III დეკადა;
- II თაობის მატლები – აგვისტოს I-II დეკადა
- II თაობის დაჭუპრება – აგვისტოს III დეკადა – სექტემბრის II დეკადა.

<u>დასკვნები და წინადადებები</u>: კვლევის შედეგებიდან გამომდინარე შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გაკეთება:

- სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლებისაგან დაცვისათვის მნიშვნელოვანია ბიოლოგიური მონიტორინგი ანუ ფიტოსანიტარული მდგომარეობის

სისტემატიური შეფასება. ფიტოსანიტარული სიტუაციის გაგება კი მოიცავს მავნებლის გავრცელების, ფენოლოგიის, განვითარების ფაზების, პოპულაციის სტრუქტურის, მისი მორფოფიზიოლოგიური მდგომარეობის ცოდნას და სხვა, რომელიც განსახორციელებლად გამოიყენება აქტურ ტემპერატურათა ჯამის მეთოდი, რითაც შესაძლებელი მრავალწლიური ფენოლოგიური კალენდრის შედგენა 10-15 დღის სიზუსტით.

• ათპ-ს განვითარება აჭარის სუბტროპიკულ ზონაში ხასიათდება სტაბილურობით. გაზაფხულის თაობის განვითარების ხანგრძლივობა აჭარის სუბტროპიკულ ზონაში კვერცხდებიდან ჭუპრობამდე საშუალოდ გრძელდება 60-65 დღე. ზაფხულის თაობაში კი 53-60 დღე. საერთო ჯამში ორიეე თაობის განვითარების ხანგრძლივობა საშუალოდ 115-118 დღე. თუმცაღა გაზაფხულის დაბალი ტემპერატურა და მოსული ნალექები ახანგრძლიეებენ მაენებლის ზრდა-განვითარების დროს.

მოცემულ კვლეევებს აქვს როგორც თეორიული ასეეე პრაქტიკული მნიშვნელობა. რადგანაც ამერიკული თეთრი პეპლის ფენოლოგიური ვადების, შესწავლის საფუძველზე იოლია მათი შესაბლო გავრცელების პროგნოზირება, კერების მონიტორინგი და სხვ. რაც შესაბამისად ბრძოლის ეფექტური ღონისძიებების სწორად დაგეგმვის საშუალებას იძლევა.

ცხრილი 3



gamoyenebuli literatura:

1. Smith I.M., Mc Namara D.G., Scott P.R., Morris K.M. Data Sheets on Quarantine Pest Utgivare: CAB International in association with EPPO 1997 p.1425
2. Weiser J. Nemoci hmizu.- Praha: Academia. 1966 p. 554
3. Чураев И.А. Американская белая бабочка (Hyphantria cunea Drury) и система мероприятий по ликвидации её очагов: Автореферат канд. дисс./Л. 1958 с. 19
4. Чураев И.А. Американская белая бабочка.- М.: Изд. сельхоз. лит., и плакатов, 1962 с.103
5. Jenser G., Balazs K., Marko V. The possibilities of IPM in thevHungarian sour-xherry ochards. Bullrtin –oilb/spor 24(5)2001 p.73-77
6. ედილაშვილი ლ. ამერიკული თეთრი პეპელა და მისი რიცხოვნობის ცვალებადობა აჭარაში. ავტორეფერატი 2008 გე.5-6
7. მერვანიძე ა., მემარნე გ., მესხიძე ა., წეროძე მ.- „საკარანტინო მავნებლის ამერიკული თეთრი პეპლის ბიოლოგიის შესწავლა და ეკოლოგიურად უსაფრთხო ბრძოლის ღონისძიებების შემუშავება"- მცენარეთა იმუნიტეტის ინსტიტუტის შრომათა კრებული ტ. 2 ქობულეთი 2009 გვ. 83

Pecularities of phenological development of American white butterfly in Ajara subtropical zone

Miranda Tserodze
PhD of Batumi Shota Rustaveli State University
E-mail:miranda.tserodze@gmail.com
Tel: 577 74 54 34

Resume

Phenological characteristics of American white butterfly in Adjarian subtropical zone is described in this article, which is useful for insects prognosis, as well as making fast and effective events against the pest.

Research showed that development of pests in Adjarian subtropical zone is stabile. Deviation from the terms of stages in the first half of spring and summer is ± 3 days, the second half of summer and autumn is ± 4-6 days.

The length of the first generation is 60-65 days, of the second generation - 53-60 days. Totally, an average of day's duration in both generations is 115-118 days.

ზამთრის მზომელას (*Operophtera brumata*) ეკოლოგიური თავისებურებანი საქართველოში

ნიკოლოზ მესხი
საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის - დოქტორანტი
E-mail: meskhinika@gmail.com

შესავალი: მზომელები (*Geometridae*) ქერცლფრთიანთა (*Lepidoptera*) რაზმის ფიტოფაგი მწერებია, რაც განსაზღვრავს მათ უარყოფით სამეურნეო მნიშვნელობას აგრო და ბუნებრივ ცენოზებში. მზომელებს ახასიათებთ პერიოდული მასობრიობა გამრავლება და სერიოზულ საფრთხეს მწვანე ნარგაობებს. ცნობილია მზომელების 35000-მდე სახეობა და ფართოდ არიან გაერცელებული მსოფლიოს სხვადასხვა ადგილზე [1,2].

მზომელების ოჯახის წარმომადგენლებს შორის თავისი უარყოფითი მნიშვნელობით უდაოდ გამოირჩევა ზამთრის ზომელა (*Operophtera brumata*), რომელიც არამარტო ხეხილოვანი კულტურების, არამედ ტყის მთელი რიგი წიწვოვანი და ფოთლოვანი ჯიშების სერიოზული მავნებელია.

ზამთრის მზომელას მკვებავი მცენარეების სია ითელის ასამდე სახეობის მსხმოიარე და დეკორატიულ ტყის ჯიშებს (მუხა, წიფელი, არყი და სხვ.) ასევე ხეხილოვან კულტურებს: (ატამი, ვაშლი, ალუბალი, ქლიავი, კომში, გარგარი და სხვ.) [3].

საქართველოს პირობებში დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ ზამთრის მზომელას მატლები კვების პროცესში უპირატესობას ანიჭებენ ვაშლის კულტურას, უფრო ხარბად იკვებებიან ყვავილებსა და ნაყოფებზე. გაზაფხულზე ახლადგამოჩეკილი მატლები კოკრებს ახვევენ აბლაბუდის ქსელში და ღრღნით აზიანებენ მათ [4].

ფოთლის გაშლისას კი ისინი ჯერ მის წვეროებს აზიანებენ, შემდეგ გადადიან ფოთლის ქვედა მხარეზე და მთლიანად ღრღნიან მას. დაკვირვებით აღმოჩნდა, რომ ზამთრის მზომელა ნაყოფებსაც აზიანებს, რის შედეგადაც ნაყოფებზე ჯამისებრი ორმოები წარმოიშობა. მატლები ღრღნით აზიანებენ ყვავილის გვირგვინის ფურცლებს, მტვრიანებსა და ბუტკოს. მატლი დაზიანებულ ყვავილს თხელ აბლაბუდაში ახვევს [5].

აქედან გამომდინარე დიდია ზამთრის მზომელას მიერ ხეხილოვან კულტურებზე მიყენებული ზარალი. სწორედ ამიტომ ჩვენი კვლევის მიზანი იყო შეგვესწავლა და დაგვეზუსტებინა მავნებლის ეკოლოგია მცენარეთა დაცვის საკითხების უკეთ გადაწყვეტისთვის.

კვლევის მეთოდები: მავნებლის ეკოლოგიის შესასწავლად ვიყენებდით მინდვრის დაკვირვებებს და აღრიცხვებს, ასევე ლაბორატორიულ ცდებს, რომელთა საშუალებით ვსაზღვრავდით მწერის ზრდა-განვითარებისა და გავრცელების თავისებურებებს.

ჩვენს მიერ შესწავლილი და დაზუსტებული იქნა პოსტემბრიონალური განვითარების ხანგრძლივობა, მავნებლის მეზამთრეობა და გამოზამთრების ადგილი, ასევე სქესობრივი პროდუქცია, რომელიც აუცილებელია მავნებლის პროგნოზირებისთვის.

ზამთრის მზომელას სქესობრივი პროდუქციის დასადგენად ვიღებდით მკვებავი მცენარის ტოტებს და მათზე ვასახლებდით თითო დედალსა და მამალს. სქესობრივი წყვილის ინდივიდები ჭუპრიდან გამოსელისთანავე თავსდებოდა იზოლატორში, სადაც დამატებითი კვლევებისათვის პეპლებს ვუქმნიდით სათანადო პირობებს (შაქრის ხსნარი, ბაქმაზი და სხვ.)

<u>კვლევის შედეგები:</u> ზამთრის მზომელა ზამტარს ატარებს კვერცხის ფაზაში. კვერცხებს დებს კვირტის ახლოს ტოტებსა და ღეროს ნაპრალებში. კვერცხის პროდუქცია არის 250-დან 300 ცალამდე. მისი კვერცხები საგრძნობლად გამძლენი არიან სხვადასხვა უარყოფითი კლიმატური ფაქტორების მიმართ, როგორიცაა: დაბალი ტემპერატურა, ქარები, ნალექები და სხვ. სწორედ ამით აიხსნება, რომ ისინი თითქმის უვნებლად იტანენ მკაცრ ზამთარს [6].

საქართველოში მეზამთრეობისა და დაზამთრების ადგილის შესასწავლად ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა დაკვირვებები თბილისის შემოგარენში (ცხრილი №1).

ცხრილში №1

ზამთრის მზომელას მოზამთრე ფაზის აღრიცხვის შედეგები მცენარის ორგანოების მიხედვით

(თბილისის შემოგარენი 2010წ.)

№	კულტურის დასახელება	კვერცხის რაოდენობა 1 ბირზე						ხელ. არრიცხული კვერცხების რაოდენობა (ც)	აღრიცხვის თარიღი
		შტამბი		დედა ტოტები		2–3 წლიანი ტოტები			
		ც	%	ც	%	ც	%		
1	ატამი	8	18,6	23	53,4	12	28	43	2.IV
2	მსხალი	12	20	30	50	18	30	60	11. IV
3	ვაშლი	28	19,1	85	58,2	33	22,7	146	11. IV
საშუალო		16	19,2	46	53,9	21	26,9	83	

როგორც წარმოდგენილი ცხირილიდან ჩანს, ზამთრის მზომელა ზამთრობს ხეხილოვან მცენარეებზე, რომელთა შორის უპირატესობას ვაშლის კულტურას

ანიჭებს მაენებელი ზამთარს ატარებს კვერცხის სახლით კვირტის ფუძეებში, ტოტებსა და ღეროს ნაპრალებში. პროცენტულად კი უფრო მეტად კვერცხები მოთავსებულია დედა ტოტებზე.

მწერის განვითარებაში ვარჩევთ ორ პერიოდს: ემბრიონულს, ეი კვერცხში ჩანასახის განვითარება რომელიც მთავრდება მატლის ფორმირებითა და გამოჩეკით; პოსტემბრიონული განვითარების პერიოდს, რომელიც მოიცავს მოელენებს მატლის გამოჩეკიდან იმაგოს მიღებამდე.

პოსტემბრიონული განვითარება, მწერთა სხვდასხვა ჯგუფების მიხედვით სხვადასხვა ფორმით მიმდინარეობს, ზამთრის მზომელას, როგორც ქერცლფრთიანთა რაზმის წარმომადგენელს, ახასიათებს სრული გარდაქცევა. მატლი ჭიისებრი ფორმისაა, მოძრაობს, იკვებება, იზრდება, რამდენჯერმე იცვლის კანს და შემდეგ ჭუპრდება. ჭუპრში რთული პროცესები მიმდინარეობს, მისგან ვღებულობთ ზრდასრულ ფაზას – იმაგოს [7].

გამოზამთრებული კვერცხებიდან მატლების გამოჩეკვა იწყება აპრილში, კვირტების გაშლის დაწყებისთანავე, როდესაც დღეღამური საშუალო ტემპერატურა 10 გრადუსია. ისინი ღრღნით აზიანებენ მცენარის როგორც კვირტებს, ისე შემდგომში გაშლილ ფოთლებს, ნაყოფებსა და სხვ.

მატლები ზრდის დამთავრების შემდეგ აბლაბუდის ძაფზე ეკიდებიან, ეშვებიან მიწაზე და ნიადაგში 10 – 15 სმ სიღრმეზე იჭუპრებენ. დაჭუპრება მთიან ზონაში დაახლოებით შუა მაისში მიმდინარეობს. მატლები ნიადაგში 2 – 3 თვეს დიაპაუზის მდგომარეობაში ატარებენ. შემდეგ ჭუპრდებიან და დაახლოებით იქტომბერ ნოემბერში გამოფრინდებიან პეპლები [8].

პოსტემბრიონალური პერიოდის მიმდინარეობაზე განსხვავებული მოსაზრებები არსებობს და ჩვენ ამ საკითხზე ჩატარებული იქნა კელევა, რომლის შედეგები მოცემულია № 3 ცხრილში.

როგორც ცხრილიდან ჩანს, საშუალო დღე-ღამურ ტემპერატურის 16–20 გრადუსზე ზამთრის მზომელას პოსტემბრიონალური განვითარებისათვის საჭიროა 70–80 დღე.

მავნეობის პროგნოზირებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქეს სქესობრივ პოტენციალსაც. ზამთრის მზომელას სქესობრივი პროდუქცია ძალზედ ცვალებადია. თუ ჩვეულებრივ წლებში მხოლოდ ერთეული პეპლები დებენ კვერცხებს და ისიც ძალიან მცირე რაოდენობით, მასობრივი გამრავლების წლებში მათი კვერცხის პროდუქცია რამდენიმე ასეულს აღწევს. პოსტემბრიონალური განვითარების ხანგრძლივობის შესახებ ცდის შედეგები მოცემულია № 4 ცხრილში.

ცხრილის შედეგებიდან ჩანს, ზამთრის მზომელას დედლების მიერ კვერცხდება გრძელდება 8–9 დღის განმავლობაში. თვით სქესობრივი პროდუქცია კი არ აღემატებოდა ცდაში 213–ს. საშუალოდ კი მან შეადგინა 181,4.

ცხრილი 3

ზამთრის მზომელას პოსტემბრიონალური განვითარების ხანგრძლივობა ლაბორატორიულ პირობებში 2010 წ.

№	მატლების გამოცვეკის დასაწყისი	დაჭუპრების დასაწყისი	პეპლების გამოფრენის დასაწყისი	ჰიდროთერმული პირობები		პოსტემბრიონალური განვითარების ხანგრძლივობა დრეებში
				ტემპერატურა	ტენიანობა %	
1	10/IV	20/V	20/IX	16 - 20^0	89	81
2	12/IV	23/V	25/IX	"	"	79
3	15/IV	26/V	28/IX	"	"	76
4	18/IV	29/V	31/IX	"	"	73
5	21/IV	2/VI	5/X	"	"	70

ცხრილი №4

ზამთრის მზომელას სქესობრივი პროდუქცია (ლაბორატორიულ პირობებში, 2010 წ)

ცდის №	თარიღი										სულ	კვერცხდების ხანგრძლივობა დღეებში
	26/IX	27/IX	28/IX	29/IX	30/IX	1/X	2/X	3/X	4/X	5/X		
1	–	4	16	25	17	18	17	7	2	0	116	8
2	9	40	28	31	43	24	16	12	5	1	209	9
3	7	23	31	24	26	22	20	18	6	2	179	9
4	–	7	42	29	23	26	28	23	12	0	190	8
5	7	22	30	36	25	41	28	20	4	0	213	9
საშუალო	7,7	19,2	29,4	29	26,8	26,2	23,8	16	5,8	1,5	181,5	8,6

დასკვნები და წინადადებები: 1. ზამთრის მზომელა არის პოლიფაგი მწერი. ის არამარტო ხეხილოვანი კულტურების, არამედ ქარსაფარი და მინდორსაცავი ტყის ზოლებში მთელი რიგი წიწვოვანი და ფოთლოვანი ჯიშების სერიოზული მაგნებელია. ახლადგამოსული მატლი ღრღნის კვირტის შიგთავსს, რომელსაც ახვევს აბრეშუმის ქსელში, რაც საგრძნობლად აფერხებს

კვირტების ნორმალურ გაშლას. ფოთლების გაშლისას მატლები აზიანებენ ფოთლის წვეროებს, შემდეგ კი გადადიან ფოთლის ქვედა მხარეზე და იწყებენ ფოთლებზე ნაწილების ამოჭმას, ე.ი. ფოთლების სკელეტირებას. მატლები ღრღნით აზიანებენ ყვავილობის დროს გვირგვინის ფურცლებს, მტვრიანებსა და ბუტკოს. მატლი დაზიანებულ ყვავილს თხელ აბლაბუდაში ახვევს, ნაყოფის დაზიანების შემთხვევაში, ნაყოფზე ჯამისებრი ორმოები წარმოიშობა.

2. საქართველოში ზამთრის მზომელა წელიწადში იძლევა ერთ თაობას.

3. ზამთრის მზომელა ზამთრობს კვერცხის ფაზაში მკვებავი მცენარეების კვირტების ფუძეში, ზოგ შემთხვევაში ტოტებისა და ღეროების ქერქის ნაპრალებში. კვერცხიდან მატლი იჩეკება გაზაფხულზე, აპრილში, კვირტების გაშლისთანავე, როდესაც დღეღამური საშუალო ტემპერატურა 10–11 გრადუსია.

ახალგამოჩეკილი მატლები იკვებებიან, იზრდებიან, ეითარდებიან და ივნისში ამთავრებენ ზრდა-განვითარებას. შემდეგ აბლაბუდის ქსელით ეშვებიან მიწაზე და ნიადაგში 10-15 სმ სიღრმეზე იჭუპრებენ. ჭუპრის ფაზა ივნისიდან ოქტომბერ-ნოემბრამდე გრძელდება, რის შემდეგ გამოდიან პეპლები, რომლებიც დამატებით არ იკვებებიან. განაყოფიერების შემდეგ იწყებენ კვერცხების დებას.

4. ზამთრის მზომელას სქესობრივი პროდუქცია შეადგენს; მინიმუმი 10 კვერცხი, მაქსიმუმი 200 კვერცხი.

5. პოსტემბრიონალური განვითარების პერიოდი, რომელიც განისაზღვრება მატლის გამოჩეკიდან იმაგოს მიღებამდე, შეადგენს 7-8 თვეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ზამთრის მზომელას ეკოლოგიური თავისებურებების შესწავლა მნიშვნელოვანია მისი გავრცელების პროგნოზირებისთვის და შესაბამისად ბრძოლის ეფექტური ღონისძიებების დაგეგმვის თვალსაზრისით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.Fletcher D.S. Geometridae, The generic names of moths of the world. London 1979 p. 30-31

2. Koch M. Wir bestimmen schmetterlinge. Berlin 1976 p. 100-1003

3. გ. ყანჩაველი, შ. სუბატაშვილი „სატყეო ენტომოლოგია" თბილისი 1968 გვ. 105

4. ე. დიდმანიძე, საქართველოს მზომელები, თბილისი 2001წ. გვ. 20

5. Bleszinski S. Klucze do oznaczania owadow polski, Warszawa 1965 p. 36-40

6. Новожилов Ю. Вредители сада. Ж. „ Защита и карантин растений." N7, 2005 с. 63

7. ი. ბათიაშვილი, ა. ბაღდავაძე. ჩვენი მეხილეობის ახალი მავნებლები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. თბილისი 1972 გვ. 50-54

8. ი. ბათიაშვილი. „კონტინენტური მეხილეობის და ხილის მავნებლები საქართველოში" თბილისი 1948 გვ. 56-60

Ecological characteristics of Operophtera brumata in Georgia

Nikoloz Meskhi –

PhD of Georgia's Agrarian University

E-mail: meskhinika@gmail.com

Resume

Ecological characteristic of *Operoptera brumata* is described in this article. Were adjusted duration of postembryonic development, sexual products, overwintering period and place of winter moth, which is useful for prognosis and making fast and effective events against the pest.

ატმოსფერული ნალექების P^{II} ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე

ნუნუ ნაკაშიძე
სოფლის მეურნეობის დოქტორი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასისტენტ-პროფესორი
E-mail: nununakashidze@mail.ru Mob: 593 32 50 68

ატმოსფერო დედამიწის აიროვან გარსს წარმოადგენს. ატმოსფერული ჰაერი უშრეტ ბუნებრივ და სიცოცხლისათვის აუცილებელ რესურსებს მიეკუთვნება. თანამედროვე პირობებში ადამიანის სამეურნეო საქმიანობიდან გამომდინარე ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობა მეტად დამაფიქრებელია, რადგანაც გამუდმებით იზრდება მრეწველობის სხვადასხვა დარგებიდან, სოფლის მეურნეობიდან, ენერგეტიკული სექტორიდან, ავტოტრანსპორტიდან, ატომური ელექტროსადგურებიდან და სხვა წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა ატმოსფეროში გაფრქვევები და ატმოსფეროს გაჭუჭყიანება, რომელიც დღესდღეობით გლობალურ ეკოლოგიურ პრობლემას წარმოადგენს.

ატმოსფეროს დამაბინძურებლები შეიძლება იყოს ბუნებრივი და ხელოვნური ანუ ანთროპოგენური წარმოშობის. ბუნებრივ დამაბინძურებლებს მიეკუთვნება ვულკანებისა და ხანძრებისაგან წარმოქმნილი მტვერი, სპორები, მარილით გაჯღენთილი ზღვის ბრიზები და ნისლი, ეროზირებული ნიადაგების მტვერი, უდაბნოების წვრილი ქვიშა, მცენარეთა მტვერი, მიკროორგანიზმები და ა.შ. ბუნებრივი დამაბინძურებლები არ იწვევენ ჰაერის შედგენილობაში არსებით ცვლილებებს, მხოლოდ კატასტროფების შემთხვევაში შეუძლიათ ჰაერის სერიოზული დაბინძურება.

ხელოვნური დაბინძურების წყაროს წარმოადგენს მრეწველობის, ტრანსპორტისა და საყოფაცხოვრებო . გამონაბოლქვები, რომლებიც შეიცავენ სხვადასხვა ზომის არაწვად ნაწილაკებს, მტვერს, ჭვარტლს, ნაცარს, ქიმიურ დამაბინძურებლებს, რომელთა შორის მნიშვნელოვანია ნახშირჟანგი, ნახშირორჟანგი, გოგირდისა და აზოტის ჟანგეულები, ნახშირწყალბადები, მძიმე მეტალები, რადიაქტიური ნივთიერებები და ა.შ. [1].

სატრანსპორტო და საწარმოო გამონაბოლქვებიდან ატმოსფეროში მოხვედრილი გოგირდისა და აზოტის ოქსიდები ატმოსფერულ ტენთან ურთიერთქმედებისას გარდაიქმნებიან მჟავეებად და ზრდიან წვიმის წყლის მჟავიანობას. წვიმის წყლის P^{H}–

ის საშუალო მნიშვნელობა 5,6-ს შეადგენს, ხოლო მჟავა წვიმების შემთხვევაში კი 2-4,5-ის ფარგლებში მერყეობს. ეკოლოგიურ საფრთხეს წარმოადგენენ არა თავად მჟავური წვიმები, არამედ მათი მოქმედებით გამოწვეული მთელი რიგი უარყოფითი ეკოლოგიური შედეგები [2].

საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოდენილი ნალექები ჩვეულებრივ ნეიტრალური ან სუსტი მჟავა ხსნარებია. რესპუბლიკის ნალექების 80%-ის P^H 5,00-7,00-ს შორის მერყეობს. იშვიათად, მაგრამ მაინც ადგილი აქვს მჟავა წვიმების ჩამოდინებას. ატმოსფერული ნალექების ქიმიური შედგენილობა და ჯამური შემცველობა კანონზომიერად იცვლება დღე-ღამისა და წელიწადის სეზონების მიხედვით. ნალექების ჯამური შემცველობა მაქსიმალურია დღისით და წლის თბილ პერიოდში. სხვადასხვა მიზეზების გამო წვიმის წყლის ჯამური შემცველობა 1,2-1,8 ჯერ მეტია თოვლთან შედარებით. HCO_3^- იონების მცირე შემცველობის გამო შავი ზღვის სანაპირო ზოლის ატმოსფერული ნალექების P^H 5-5,5 ფარგლებში იცვლება. მჟავური ოქსიდების (CO_2, SO_2, SO_3 , NO_2) კონცენტრაციების ზრდა ნალექების pH-ის მკვეთრ რეაგირებას იწვევს[3].

აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენი სამუშაოს მიზანს შეადგენდა ატმოსფერული ნალექების (წვიმისა და თოვლის) P^H -ის მნიშვნელობების დადგენა ბათუმის ტერიტორიაზე. აღსანიშნავია, ის რომ დღეისათვის ბათუმში არ ფუნქციონირებს მძლავრი სამრეწველო საწარმოები და ატმოსფეროს გაჭუჭყიანება ძირითადად მოდის ავტოტრანსპორტზე და შ.ჰ.ს. „ბათუმის ნავთობტერმინალზე."

საანალიზო სინჯების აღება ხდებოდა საავტომობილო ტრასის სარფი-ქობულეთის მიმდებარე ტერიტორიებიდან 2011 წლის შემოდგომიდან მომდევნო წლის შემოდგომის ჩათვლით, საყოველთაოდ მიღებული მეთოდით. ანალიზური სამუშაოები ჩატარდა pH–მეტრით (პოტენციომეტრით) ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. ატმოსფერული ნალექების pH-ის მნიშვნელობების შესახებ მიღებული მონაცემები მოცემულია 1-ელ ცხრილში. როგორც მონაცემებიდან ირკვევა ატმოსფერული ნალექების pH-ის მნიშვნელობები იცვლება 4-7-ის ფარგლებში. წვიმის წყლის P^H სუსტი მჟავა და ნეიტრალური ხდება ხანგრძლივი და ძლიერი წვიმების შემდეგ. ნელი, ჟუჟუნა წვიმების დროს P^H იცვლება 5-5,5-ის ფარგლებში. ექსპერიმენტის დროს მხოლოდ ერთხელ დაფიქსირდა წვიმის წყლის P^H -ის მნიშვნელობა 4 გაზაფხულზე, მაისის მეორე დეკადაში, რაც გამოწვეული უნდა ყოფილიყო ქარების გაელენით აირთა კონცენტრაციის ცვლილებით.

ცხრილი 1

ატმოსფერული ნალექების ქ.ბათუმის ტერიტორიაზე

სინჯების აღების დრო	ნალექების სახე	pH	სინჯების აღების დრო	ნალექების სახე	pH
29.09.2011 10^{20}	ჟუჟუნა წვიმა	5	22.05.2012 14^{00}	ძლიერი წვიმა	6,6
29.09.2011 11^{40}	ძლიერი წვიმა	5,5	27.05.2012 10^{00}	საშუალო წვიმა	6
30.09.2011 9^{45}	ძლიერი წვიმა	6	14.06.2012 21^{05}	ჟუჟუნა წვიმა	5
30.09.2011 11^{00}	ძლიერი წვიმა	7	18.06.2012 8^{00}	ძლიერი წვიმა	6,6
19.01.2012 11^{30}	პირველი თოვლი	5,5	16.07.2012 20^{40}	ძლიერი წვიმა	5
1.02.2012 22^{00}	თოვლი	6,8	18.07.2012 8^{00}	ძლიერი წვიმა	6,3
2.02.2012 10^{00}	თოვლი	7	9.08.2012 8^{00}	ნელი წვიმა	5,2
8.02.2012 11^{20}	საშუალო წვიმა	5,3	11.08.2012 20^{10}	ნელი წვიმა	5,3
16.04.2012 21^{30}	ნელი წვიმა	5,5	16.08.2012 11^{30}	ნელი წვიმა	5,5
20.05.2012 21^{00}	საშუალო წვიმა, ჭექა-ქუხილით	6,7	19.08.2012 17^{40}	ნელი წვიმა	5,2
21.05.2012 2^{30}	ძლიერი წვიმა	4	20.08.2012 18^{00}	ნელი წვიმა	5,2
22.05.2012 9^{30}	საშუალო წვიმა	5,5	30.08.2012 9^{00}	ძლიერი წვიმა	5,5

როგორც ცხრილიდან ჩანს, 20.05. –ში აღინიშნებოდა საშუალო სიძლიერის წვიმა, რომლის P^H ნეიტრალურია. წინა დღეები იყო თბილი, ქროდა თბილი ქარები, ტემპერატურამ საგრძნობლად აიწია და 33^0-ს მიაღწია. 20.05. –ში შუადღის შემდეგ ამინდი საგრძნობლად შეიცვალა, ტემპერატურა დაეცა 19^0-მდე, ამოვარდა ძლიერი ქარი, თან ერთვოდა ჭექა-ქუხილი ძლიერი წვიმით. ამასთან წვიმა დიდხანს არ გაგრძელებულა. ღამის 11 საათის შემდეგ ქარი ჩადგა და წამოვიდა ნელი წვიმა, რომლის წყალბადმაჩვენებელი შუაღამისას 4-ის ტოლი დაფიქსირდა.

მიღებული შედეგებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობა ბათუმის მიდამოებში, მასში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა შემცველობა, რომლებიც გავლენას ახდენენ ნალექების ქიმიურ შედგენილობაზე, საგანგაშო არ არის, მაგრამ ზდკ-ზე რამდენადმე მეტია, რაც აისახება ნალექების წყალბადმაჩვენებლის მნიშვნელობებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, ატმოსფეროში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციის შემცირება, დაჭერა და გაუნებელყოფა, რაც გამწმენდ დანადგართა გამართული მუშაობით მიიღწევა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჟორჟოლიანი ც. გორდაძე გ. ბუნების დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება. გამომცემლობა ქუთაისის სასწავლო უნივერსიტეტი „ლამპარი", ქუთაისი, 2010, გვ.715
2. ბუცხრიკიძე ბ. თურქაძე ც. კვანტიძე ე. ცუცქირიძე ნ. ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის საფუძვლები. კაკი წერეთლის სახელმწიფო უნიეერსიტეტი, ქუთაისი, 2008. გვ.180
3. სუბატაშვილი გ. ქავჭაია გ. გარემო და ადამიანი. თბილისის სახელმწიფო უნიეერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2001, გვ.157

P^H of atmospheric precipitation on Batumi territory

Nunu Nakashidze – Doctor of Agricultural Sciences
Batumi Shota Rustaveli State University
Assistant-Professor

Resume

In accordance with the obtained results, it is clear that the values of P^H atmospheric precipitations are changed according to the periods of the years within the limits of 4-7. P^H weak acid of the rain water and neutral values are observed as a result of prolonged and heavy rains. During soft rains P^H is changed within the limits of 5-5, 5 and in case of strong winds it is lower than 5. Generally, the consistency of the polluting materials in atmosphere to be studied on the research territory is higher than limit admitted concentration, which is reflected on P^H data. This circumstance indicates at making measurements for reducing harmful materials scattered in the atmosphere.

ბიოპროდუქტების წარმოების სამართლებრივი რეგულირება საქართველოში

ნინო მიროტაძე
სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი
E-mail: mirotadzen@gmail.com

სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება, ეკოსისტემის წონასწორობის შენარჩუნება, ქიმიურ ინდუსტრიაზე ნაკლებ დამოკიდებულება და მომხმარებელთა ინტერესების გათვალისწინება, სულ უფრო პოპულარული ხდება ეკოლოგიურად სუფთა სასურსათო პროდუქტების წარმოების განვითარების საქმეში.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგს სოფლის მეურნეობა წარმოადგენს, რომლის პროდუქციის გადამუშავებასა და რეალიზაციაზეა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკის სულ მცირე 1/3. ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის მნიშვნელოვანი ნაწილი აგრალურ პროდუქციაზე მოდის, მისი კომერციალიზაციის დაბალი დონე და მასში ოჯახური მეურნეობების დომინირება, პრობლემებთან ერთად სწორედ ორგანული პროდუქტის წარმოების გაფართოების შესაძლებლობას იძლევა, რომელიც უკანასკნელ წლებში მზარდი მოთხივნით სარგებლობს მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში.

ეკოლოგიურად სუფთა, ანუ ბიოპროდუქციის გაყიდვების მოცულობა ბოლო ათწლეულში განვითარებული სამყაროს ქვეყნებში სწრაფად იზრდება. ჩვენს ქვეყანას კი, მისი უნიკალური ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე აქვს ძალიან კარგი პერსპექტივა გახდეს ბიოპროდუქციის სერიოზული მწარმოებელი და კონკურენტუნარიანი ექსპორტიორი ევროკავშირის ქვეყნებისათვის. საექსპორტო ბაზრების ასათვისებლად მნიშვნელოვანია როგორც ტრადიციული წარმოების ბაზის გაფართოვება, ისე სპეციალიზაცია ორგანული პროდუქტების წარმოებაში.

ამჟამად, საქართველოს აგრობიომრავალფეროვნება, რომელიც კულტურულ მცენარეთა წარმოშობის წინააზიურ ცენტრად ითვლებოდა მძიმე მდგომარეობაშია. მრავალი მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურა დაიკარგა ან დაკარგვის საფრთხის წინაშე დგას. საკმაოდ სწრაფად მიდის გენური ეროზიის პროცესი. ცხადია მცენარეთა დაცვის როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისა და მთლიანად ეკოსისტემისათვის განუზომელია.

მძიმე მდგომარეობაშია ქართული ბაზარიც, საესეა შხამ-ქიმიკატებითა და გენმოდიფიცირებული ორგანიზმებით გაჯერებული იმპორტული პროდუქციით. მოშლილია ხარისხის კონტროლის სისტემა. ძირითადი მწარმოებელი რეგიონებიდან შემოდის როგორც ნიტრატებით,

ისე პესტიციდებით და მძიმე მეტალებით გაჯერებული, გენური ინჟინერიით და რადიონუკლეიდური ნივთიერებებით დაბინძურებული სოფლის მეურნეობის პროდუქტები, და ჩვენს მოსახლეობას კი პრაქტიკულად ალტერნატივა არ გააჩნია. არსებული ვითარება სასწრაფო ზომების გატარებას საჭიროებს სახელმწიფოებრივ დონეზე.

საქართველოს სამეცნიერო და საექსპერტო პოტენციალის მიმოხილვამ აჩვენა, რომ მიზანმიმართული კვლევები თანამედროვე ბიოტექნოლოგიების გამოყენების, პროდუქტების წარმოების, ბუნებაში ინტროდუქციის, ინვაზიის პრევენციის, მიმოქცევის კონტროლისა და რისკების მართვის თვალსაზრისით არ ჩატარებულა, თუ არ ჩავთვლით ცალკეულ სამეცნიერო და არასამთავრობო ჯგუფებს ან მოკლევადიან პროექტებს. სამეცნიერო თვალსაზრისით საკითხის სუსტად და ფრაგმენტულად შესწავლის გამო არ არსებობს ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმების უსაფრთხო მიმოქცევის რეგულირების მეთოდოლოგიები. ტრანსსასაზღვრო გადაადგილების, შექმნის, გამოყენებისა და ბუნებაში გამონთავისუფლების პირდაპირი რეგულირების განმსაზღვრელი კანონმდებლობა. ბიოუსაფრთხოებისა და ბიოტექნოლოგიის საკითხები პრაქტიკულად უგულვებელყოფილია იმ კანონებშიც კი, სადაც ლოგიკურად ეს ასპექტები ჩართული უნდა იყოს. მომხმარებლები და ბიზნეს სექტორი არ არის ინფორმირებული ამ სფეროში თავისი უფლებებისა და ვალდებულებების, აგრეთვე პასუხისმგებლობის შესახებ.

დღეისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია თანამედროვე ბიოტექნოლოგიის მეთოდებისა და მათ შედეგად მიღებული ორგანიზმების გამოყენებისას ბიოუსაფრთხოების სათანადო დონის უზრუნველყოფა ამისთვის არსებობს უმკაცრესი საკანონმდებლო ნორმატიული აქტები, საერთაშორისო და ევროკავშირის დირექტივები, რომელიც ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოებას არეგულირებს. ეს იოლი საქმე არაა, იმიტომ, რომ ასეთი პროდუქციის წარმოება არ გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ ხარისხიანი სუფთა პროდუქციის წარმოებას, ის პარალელურად გარემოს დაცვის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში თანდათანობით განიდევნა ადგილობრივი მარცვლეული კულტურები. აქედან გამომდინარე, საყოველთაო პრობლემად იქცა ბიომრავალფეროვნების გაქრობის თავიდან აცილება. მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან ეკოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებით რამდენიმე საერთაშორისო კონვენცია შედგა. კერძოდ, 1972 წელს პარიზში შედგა მსოფლიოს კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია იუნესკოს ეგიდით; 1973 წელს ვაშინგტონში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს დაცვის პროგრამის ჩარჩოში - ველური ფაუნის და ფლორის გადაშენებადი სახეობებით ვაჭრობის კონვენცია; 1979 წელს ბონში -

მიგრირებადი ველური ცხოველების დაცვის კონვენცია; და ბიოუსაფრთხოების სათანადო დონის უზრუნველყოფის მიზნით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1992 წლის რიო-დე-ჟანეიროს გარემოსა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციაზე (United Nations Conference on Environment and Development, Rio de Jeneiro, 1992) იქნა მიღებული მეტად მნიშვნელოვანი კონვენცია „ბიომრავალფეროვნების შესახებ". აღნიშნული კონვენციით აღიარებულ იქნა, რომ თანამედროვე ბიოტექნოლოგიით მიღებული გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმები ახალ საფრთხეს უქმნიან ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას და რომ მათ გამოყენებასთან დაკავშირებული რისკის მინიმუმამდე შესამცირებლად აუცილებელია სათანადო მარეგულირებელი სისტემების შექმნა.

გენმოდიფიცირებული ორგანიზმების რეგულირების ჩარჩოების განსაზღვრისას მთავარ ამოცანას პოტენციურად მნიშვნელოვან სარგებელსა და გარემოსა და ადამიანთა ჯანმრთელობის გარანტირებულ უსაფრთხოებას შორის სათანადო ბალანსის დამყარება წარმოადგენდა. ცხადი იყო, რომ ბიოუსაფრთხოების უზრუნველყოფა და რეგულირების ეფექტური სისტემების შექმნა, განსაკუთრებით გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ტრანსსასაზღვრო გადაადგილების კონტექსტში, შეუძლებელი იქნებოდა მსოფლიოს ყველა ქვეყნის კოორდინირებული მიდგომის გარეშე. სწორედ ამ მიზნით, ბიომრავალფეროვნების კონვენციის ფარგლებში 2000 წელს შემუშავდა საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი – ბიოუსაფრთხოების კარტახენას ოქმი, რომელიც ძალაში შევიდა 2003 წლის 11 სექტემბერს.

კარტახენის ოქმის მიზანს წარმოადგენს უსაფრთხოების სათანადო დონის დაცვა (ადამიანის ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების საფრთხის გათვალისწინებით) თანამედროვე ბიოტექნოლოგიის მეთოდებით მიღებული ისეთი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენებისას, რომელთაც შეუძლიათ უარყოფითი ზეგავლენა იქონიონ ბიოლოგიურ მრავალფეროვნებაზე. ოქმი ძირითადად მოდიფიცირებული ორგანიზმების ტრანსსასაზღვრო გადაადგილების საკითხებს ეხება და საშუალებას აძლევს იმპორტიორ, ანუ მიმღებ ქვეყანას, დაიცვას თავისი ეკოსისტემა შესაძლო უარყოფითი ზემოქმედებისგან.

2000 წელს გლობალური გარემოს დაცვის ფონდის (GEF) საბჭოს სესიაზე დამტკიცდა „ბიოუსაფრთხოების ეროვნული სისტემების განვითარების" პროგრამა, რომლის ძირითად ამოცანას სხვადასხვა ქვეყანაში ბიოუსაფრთხოების ეროვნული სისტემების ფორმირების, კარტახენას ოქმთან მიერთებისა და მისი მოთხოვნების რეალური განხორციელების ხელშეწყობის მიზნით სათანადო საფუძვლების შექმნა

წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ საქართველოში, აღნიშნული პროგრამის ეგიდით, პროექტის განხორციელება დაიწყო 2002 წელს და მასზე კოორდინაციის გაწევა დაევალა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს.

გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების (გმო) გაკონტროლება დღეს ჩვენს ქვეყანაში საერთოდ არ ხდება და საქართველოს ტერიტორიაზე მათი მოხვედრის ძირითად წყაროს ტრანსსასაზღვრო გადაადგილება წარმოადგენს, აქედან გამომდინარე მეტად მნიშვნელოვანია ბიოუსაფრთხოების კარტახენას ოქმის რატიფიცირება. ცხადია, გრძელვადიან პერსპექტივაში გმო-ის რეგულირება ჩვენს ქვეყანაში მოითხოვს აგრეთვე შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებასა და განვითარებას, რაც, თავის მხრივ, გარკვეულ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული. ბიოუსაფრთხოების კარტახენას ოქმის რატიფიცირების შემთხვევაში, მატერიალურ-ტექნიკური პოტენციალის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ პროგრამებს განახორციელებენ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები (გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა – UNEP, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი GEF და სხვ.).

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არსებობს ბიოლოგიური უსაფრთხოების ეროვნული კანონი, რომლის ძირითადი დანიშნულებაა გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების შექმნის, მოხმარების და ტრანსპორტირების მართვა და რეგულაცია. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა კი არც კანონის და არც კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების დონეზე არ არეგულირებს გენმოდიფიცირებულ ორგანიზმებთან დაკავშირებულ საკითხებს (გარდა "ბიოლოგიური აგროწარმოების განხორციელების შესახებ" საქართველოს კანონისა – III თავი, მუხლი 8 – რომელიც კრძალავს ცხოველთა საკვები დანამატების სახით გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათი პროდუქტების გამოყენებას).

ასეთი კანონის მიღებამდე ტრანსგენური ცოცხალი ორგანიზმების წარმოებაზე და იმპორტზე მორატორიუმია გამოცხადებული. უკვე დღეს აუცილებელია შემუშავდეს ის ღონისძიებები, რომელთა საშუალებითაც განხორციელდება მოსახლეობის ჯანსაღი კვების პოლიტიკის წარმართვისათვის სწორი გადაწყვეტილებების მიღება. მომხმარებელი უნდა ფლობდეს სრულყოფილ ინფორმაციას, თუ რა სახის პროდუქციას ყიდულობს. ევროკავშირის მრავალ ქვეყანაში საკვებში გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ინგრედიენტების სახით 0,9%-ის

არსებობის შემთხვევაში ევრორეგულიაციებით სავალდებულოა მისი პროდუქტის ეტიკეტზე აღნიშვნა.

საგულისხმოა, რომ მთელს მსოფლიოში ასეთი პროდუქცია გაცილებით იაფი ღირს და მასზე მოთხოვნაც არსებობს, აქედან გამომდინარე მსოფლიოში ყოველწლიურად იზრდება გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების წარმოება. დღისათვის გამოყვანილია ბრინჯის, რაფსის, სიმინდის, სოიოს, პომიდვრის, კარტოფილის, თამბაქოს და სხვა კულტურების ჯიშები, რომლებშიც შეყვანილია აგრობაქტერინის ტოქსინები და რომლებიც რეზისტენტულნი არიან დაავადებების, მავნებლების და ჰერბიციდების მიმართ. ბაქტერიული გენით მიღებული ტრანსგენური კულტურების მოსაელიანობა 30-35%-ით მღალია და 40%-ით უფრო რენტაბელური, მაგრამ მათ გამოყენებას პოტენციური რისკები გააჩნია, ესენია: 1. ტრანსგენების ინტროგრესია ანუ მტვრის მარცვლებით გენეტიკური ინფორმაციის არაკონტროლირებადი გადატანა, რასაც თან სდევს გენეტიკური დაბინძურება. ეს თავის მხრივ გამოიწვევს: ბიომრავალფეროვნების შემცირებას და განადგურებას; ბუნებრივ ეკოსისტემებზე მათ უარყოფით ზემოქმედებას; კულტურული ჯიშების გაქრობას;

2. ტრანსგენური ორგანიზმებით სასარგებლო (არასამიზნე) მწერების დაზიანება;

3. ტრანსგენური მცენარეებით გამომუშავებული ინსექტიციდური ტოქსინების მიმართ რეზისტენტულობის გამომუშავება; 4. მოსალოდნელი ეკოლუციური რისკი; 5. ადამიანის ჯანმრთელობაზე ხანგრძლივად ზემოქმედების შესაძლო უარყოფითი შედეგები.

ამჟამად საქართველოში მიმდინარეობს ბიოტექნოლოგიის იმ მეთოდების ათვისება, რომელიც საშუალებას იძლევა დადგენილ იქნეს ჩვეულებრივ და გენეტიკურად მოდიფიცირებულ კულტურებს შორის განსხვავება. ამას საფუძვლად უდევს მოლეკულური კლონინგის ლაბორატორიული გამოკვლევების მეთოდიკა აგარის ჟელეზე ელექტროფორეზის გამოყენებით. ეს პირველ რიგში საჭიროა იმისათვის, რომ კონტროლი დავაწესოთ ჩვენს ქვეყანაში გენური ინჟინერიის პროდუქციის იმპორტზე, რაც მნიშვნელოვნად აამაღლებს ექსპორტიორი ქვეყნების თვალში საქართველოს იმიჯს და არ მისცემს მათ საშუალებას მიკვლევადობის გარეშე აწარმოონ ასეთი პროდუქციის საქართველოში ექსპორტი.

პირველ რიგში, უმთავრესია შეიქმნას შესაბამისი კანონმდებლობა. ამასთან სათანადო ინფრასტრუქტურა, სპეციალური ლაბორატოირები უნდა მოქმედებდნენ, სადაც მზა პროდუქტი გენმოდიფიცირებული ინგრედიენტის შემცველობაზე შემოწმდება, ამ პირობების

დაკმაყოფილების შემდეგ შესაძლებელი იქნება გენმოდიფიცირებულ პროდუქტებზე ეტიკეტირების განხორციელება, რაც მიღებული პრაქტიკაა განვითარებულ ქვეყნებში.

აშშ-სა და ევროგაერთიანების მარეგულირებელი ნორმებით დადგენილია ორგანული წარმოების ეტიკეტების შემდეგი კატეგორიები:

ეტიკეტი –„100% ორგანული შემადგენლობის პროდუქტი."

95% ორგანული შემადგენლობის პროდუქტებიშეიძლება დახასიათდეს როგორც ორგანული.

ამ კატეგორიას განეკუთვნება პროდუქტი, რომელიც დამზადებულია ორგანული შემადგენლების მინიმალურად დაშვებული რაოდენობით, ანუ 70%-ით, ასეთი ტიპის პროდუქციას შეიძლება მიენიჭოს ეტიკეტი „დამზადებულია ორგანული ინგრედიენტებით."

იმ შემთხვევაში, თუ ორგანული შემადგენელი პროდუქტში 70%-ზე დაბალია, მწარმოებელს ეტიკეტირებაში სიტყვა „ორგანულის" გამოყენების უფლება აღარ აქვს. მომხმარებელთათვის ინფორმაციის მისაწოდებლად მას აქვს უფლება ეტიკეტზე განათავსოს დეტალური ინფორმაცია წარმოებული პროდუქტის შემადგენლობის შესახებ. ცხადია, ზემოთმოყვანილი სქემა ორგანული წარმოების, და შესაბამისად, ეტიკეტირების დახვეწილი სისტემის არსებობას გულისხმობს. მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში ეს სისტემა უკვე დიდი ხანია დანერგილია.

ორგანული პროდუქტის სერთიფიცირებისა და ეტიკეტირების მიმართულებით ამჟამად მსოფლიოში რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაცია მუშაობს ორგანული სოფლის მეურნეობის მოძრაობის საერთაშორისო ფედერაცია (IFOAM), ორგანული წარმოების გაუმჯობესების ასოციაცია (OCIA) და ორგანიზაცია „ეკოცერტი."

საერთაშორისო სტანდარტების დაახლოების მიმართულებით განსაკუთრებით აღსანიშნავია მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისა (WHO) და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ გასული საუკუნის 60-იან წლებში შექმნილი კოდექს ალიმენტარიუსის კომისია, რომელიც მომხმარებელთა ინტერესების დასაცავად ადგენს სურსათისა და საკვები პროდუქტების რეფერენტულ სტანდარტებს, რომლებზედაც შემდგომში დაფუძნებულია ქვეყანათა ჯგუფებისა და ცალკეული ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობა. ა მ ორგანიზაციამ შეადგინა 186 სტანდარტი საკვები პროდუქტებისათვის, 9 სტანდარტი ეტიკეტირების სფეროში, 5 სტანდარტი ჰიგიენის სფეროში, 3 სტანდარტი რისკის შეფასების სფეროში და სხვა მრავალი სტანდარტი და მარეგულირებელი დოკუმენტი ინსპექტირების, საკვებდანამატების,

რეგიონული პოლიტიკისა და სხვა სფეროებში. აგრეთვე მოამზადა სტანდარტები ორგანული წარმოების სერთიფიცირებისა და ეტიკეტირების სფეროშიც.

ორგანული წარმოება საქართველოში რეგულირდება კანონით „ბიოაგროწარმოების შესახებ." ეს კანონი ეფუძნება საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს, ადგილობრივ კანონებსა და კონსტიტუციურ ნორმებს. ამ კანონის მიხედვით ბიოწარმოების სერთიფიცირებას ახორციელებს აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებული შემფასებელი უწყება, რომელსაც ორგანული სერთიფიკატის გაცემის უფლება ენიჭება. კანონი უშვებს ორგანული პროდუქტის საერთაშორისო აკრედიტებული ორგანოს მიერ სერთიფიცირებასაც. ეტიკეტი გაიცემა მხოლოდ შესაბამისი აკრედიტებული ორგანოს ნებართვის საფუძველზე. ეტიკეტზე მითითებული უნდა იყოს შემფასებელი ორგანოს სამარკო ნიშანი და სიტყვა ბიოპროდუქცია. საბოლოო ჯამში, ეტიკეტი მხოლოდ კანონმდებლობისა და საერთაშორისო ანალოგებთან შესაბამისი სტანდარტების განუხრელი დაცვით მიიღება.

საქართველოში სერთიფიკაციას ახორციელებს მასერტიფიცირებელი ორგანო შპს "Caucascert"-ი (ბიო სერთიფიცირების ორგანოა, რომელიც 2005 წლის ოქტომბერში დაარსდა შეზღუდული პასუხიმგებლობის კომპანიის სტატუსით. შპს "Caucascert"-ი შეეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მიერ დაფინანსებული "სამხრეთ კავკასიაში ორგანული სასოფლო-სამეურნეო წარმოების განმტკიცების" რეგიონალური პროექტის მხარდაჭერით შეიქმნა, რასაც HEKS - EPER-ი უწევდა კოორდინირებას. კომპანიის მთავარ მიზანს ბიოლოგიური პროდუქტების მწარმოებლებისთვის ხარისხის სერთიფიცირებისა და ინსპექციის კონტროლის უზრუნველყოფა წარმოადგენს, მათი ბიოლოგიურ ბაზრებზე გასვლის ხელშეწყობის მიზნით.

შპს "Caucascert"-ი იყენებს ხარისხის სისტემას, რომელიც შეესაბამება ISO/IEC 65 "უწყებათა მიერ გასათვალისწინებელი ზოგადი მოთხოვნები, რომლებიც წარმოების სერთიფიცირების სისტემებს იყენებენ". მისი ბიოლოგიური სტანდარტი შემუშავებული იქნა FAO-ს კოდექს ალიმენტარიუსის საფუძველზე, რომელიც ევროსაბჭოს რეგულაცია (EEC) N 2092/910-ის ეკვივალენტურია.

2006 წლის ოქტომბერში, შპს "Caucascert"-მა და სომხეთის სერთიფიცირების ორგანო შპს "ECOGLOBE"-მა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ხარისხის სისტემების სრული შერწყმის შესახებ. ამის

მიზანია საერთო აკრედიტაცია EN 45001/ISO 65 მიხედვით ბიოლოგიური სოფლის მეურნეობის პროდუქტების სერტიფიცირების სფეროში. საერთო ხარისხის სისტემას ეწოდება "Green Caucasus", რომლის ერთობლივი მფლობელობის უფლება ენიჭება "Caucascert" და "Ecoglobe"-ს.

2007 წელს "Green Caucasus" ხარისხის სისტემა შეაფასა გერმანიის საერთაშორისო აკრედიტაციის უწყებამ (DAP), რომლის საფუძველზეც 2008 წლის იანვარში შპს "Caucascert"-სა და შპს "Ecoglobe"-ს მიენიჭა აკრედიტაცია. აკრედიტაციის სფერო მცენარეულ პროდუქტებს მოიცავს და "Caucascert"-ის სერთიფიკატი ძალაშია ევროკავშირის ფარგლებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://www.garemo.itdc.ge/storage/assets/bsap_gc.pdf - საქართველოს ბიომრავალფერო-ვნების დაცვის სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა
2. "Monsanto Sues North American Farmers", Friends of the Earth Biotech Mailout, Volume 5, Issue 2, 15th March 1999.
3. "Genetic Engeneering and World Hunger", Corner Hous Briefing 10, October 1998;
4. "IFOAM-2000 – 13th Scientific Conference of IFOAM in Basel, Proceeding of the conference; Vandana Shiva, Biopiracy: The plunder of Nature and Knowledge, Green Books, 1998, p.73;
5. http://gmoinfo.jrc.it
6. http://efsa.eu.int
7. http://www.biodiv.org/biosafety/protocol.shtml

Legal regulation of producing bio-products in Georgia

Nino Mirotadze

Assistant Professor of Sukhishvili Teaching University

E-mail: mirotadzen@gmail.com

Resume

For the purpose of stable development of agriculture and balance of eco-systems, maintenance of bio-diversity, freeing the mentioned from depending on chemical industry completely or partially and also for the purpose of considering the customers' interests who are interested in healthy food and ecologically clean environment, also for regulating the market functioning and protecting the customers from falsification it is rather important to provide the relevant level of bio-safety for which the strictest legislative normative acts exist, also the international and European Union directives and relevant regulatory systems, which regulate in their turn the production of ecologically pure products.

აჭარის დაცული ტერიტორიების ტყის მცენარეთა ტიპოლოგია

რუსლან დავითაძე-დოქტორანტი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აჭარის დაცული ტერიტორიები მიეკუთვნება კოლხეთის ბოტანიკურ პროვინციას, რომელიც ნ. კუზნეცოვმა (1909წ.) სმელთაშუაზღვეთის ოლქში გამოჰყო პონტოს ტყეების სახით. ამ პროვინციისთვის დამახასიათებელია უძველესი მცენარეული დაჯგუფებანი, რომელთა ფლორისტული შემადგენლობაც ძირითადად მესამეული პერიოდის რელიქტებითაა წარმოდგენილი. თავიანთი ფართო გავრცელებით რელიქტები თავისებურ ელფერს აძლევენ მცენარეულ საფარს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა კოლხეთის სამხრეთი ნაწილი ე.წ. ბათუმის სანაპირო ანუ შავი ზღვის აჭარის სანაპირო. პროფესორი ა.ნ. კრასნოვი (1913წ.) მას სამხრეთ კოლხეთს უწოდებდა და აღნიშნავდა, რომ იგი წარმოადგენს „თითქოს სხვა ბიოლოგიური ოლქის ერთგვარ კუნძულს“. ზღვისპირა აჭარაში გავრცელებულია კოლხეთის ფლორის ძირითადი ბირთვის შემადგენელი მერქნიანი და ბალახოვანი მცენარეების ყველა უძველესი ტიპი. ასეთებია, მაგალითად: მერქნიანთაგან – პონტოს შქერი, სმირნოვის შქერი, უნგერნის შქერი, წყავი, მედვედეევის არყი, პონტოს მუხა, მელიქაური, თაგვისარა, ძმერხლი. ბალახოვნებიდან – Primula megasaefolia Boiss, Sumphytum thericum Stev, Ranunculus ampelophyllus S. et L და სხვ. აგრეთვე არასპეციალურ-კოლხური რელიქტები – ლაფანი, ჰიმენოფილუმი, სამეფო გვიმრა და ა.შ.

ზღვისპირა აჭარის ჩრდილოეთ ნაწილში, სადაც დაცული ტერიტორიები მდებარეობს, სამხრეთ ნაწილის მსგავსად წარმოდგენილია ფლორისა და მცენარეულობის ყველა უძველესი ელემენტით. კოლხეთის ტყეების ეს მონაკვეთი, რომელსაც ა. კოლაკოვსკი (1958წ.) ბათუმის რაიონს უწოდებს, გამოირჩევა არა მარტო აღნიშნული უძველესი ელემენტების სიმრავლით, არამედ მათი სიცოცხლის ნირითაც.

მაღალი სინოტივის გამო ტყეებში ხშირად გვხვდება ხეებზე ეპიფიტურად მოზარდი ხავსები, გვიმრები, ბალახოვნები და ბუჩქებიც კი. თბილი და ნოტიო ჰავა მცენარეებს საშუალებას აძლევს დაეუფლონ ამა თუ იმ მიზეზით გათავისუფლებული ნიადაგის ყოველ მტკაველს. მეწყერებისა და სხვა ფიზიკური მოვლენების შედეგად გაშიშვლებული ნიადაგი პირველსავე საეგეტაციო პერიოდში იფარება ბალახოვნებისა და მაყვლის სამოსელით, რომელშიც მალე თავს იჩენს ხეებისა და ბუჩქების თეითნათესი. მცენარეული საფარის ასეთი სწრაფი და მძალერი განვითარებით ზღვისპირა აჭარა მსოფლიოს ნამდვილ სუბტროპიკულ ოლქებს უახლოვდება.

მესამეულის ბოლოს (პლიოცენში) აჭარა-გურიაში ახლანდელ სუბალპურ სარტყლამდე ერცელდებოდა მდიდარი სუბტროპიკული ტყე მრავალი ტროპიკული ელემენტით. გოდერძის უღელტეხილიდან აღნიშნულია გვიმრების, პალმის, მაგნოლიის, დაფნის, ხურმის და სხვათა მრავალი ნამარხი სახეობა, რომლებიც ამჟამად აღარ არიან. ტყეებში ჭარბობდა მარადმწვანე ხეები, მაგრამ მესამეულის შემდგომი აცივების შედეგად მრავალი სახეობა ამოწყდა. მარადმწვანე მერქნიანებმა

ტყის ქვედა იარუსში გადაინაცვლა, ხოლო ზედა იარუსში უძველესთაგან შემოგვრჩა ფოთოლმცვენი ფორმები, ძირითადად წიფელი და წაბლი. ამომწყდარი სახეობების ადგილი დაიკავეს უფრო ახალგაზრდა, ახალ პირობებში გამომუშავებულმა ფორმებმა. წიფელი, წაბლი, პონტოს შქერი, წყავი, მაღალი მოცვი და სხვები მრავალ რელიქტურ ბალახოვანთან ერთად დიდ ფართობზე ქმნიან გაბატონებულ დაჯგუფებებს. ამაშია ზღვისპირა აჭარის და მასთან ერთად, დაცული ტერიტორიების მცენარეულობის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება.

მრავალფეროვანი მთა-გორაკიანი რელიეფი განაპირობებს მცენარეულობის ვერტიკალურ სარტყლიანობას. ამასთან, აჭარის დაცული ტერიტორიები ერთადერთია, რომელიც ვრცელდება ზღვის ნაპირიდან ალპურ სიმაღლეებამდე და მხოლოდ მასშია სრულად წარმოდგენილი ამ რეგიონის სიმაღლითი თავისებურებები.

დაცული ტერიტორიების მცენარეულობა ვერტიკალური სარტყლიანობით მიეკუთვნება ა. დოლუხანოვისა და მ. სახოკიას (1941წ.) მიერ დადგენილ კოლხურ ტიპს, რომელშიც რ. გაგნიძე (1970წ.) გამოყოფს აჭარა-ჭანეთის ვარიანტს. ხეობა'ში წარმოდგენილია:

- ფოთლოვანი ზაფხულმწვანე ტყეების სარტყელი;
- სუბალპური (ტყე-მდელოს) სარტყელი;
- ალპური (ხალიანი მდელოს) სარტყელი.

კინტრიშის ხეობაში ტყის სარტყელი რამდენიმე საფეხურითაა წარმოდგენილი (დაბლობის მცენარეულობა, შერეული კოლხური ტყე, წაბლნარები, წიფლნარები).

აკადემიკოს ნ. კეცხოველის (1960წ.) მიერ მოცემული საქართველოს მცენარეულობის კლასიფიკაციის საფუძველზე კინტრიშის ხეობის მცენარეულობის ძირითადი ტიპები, ფორმაციები და მათი ვერტიკალური განაწილება ასე გამოიხატება:

ტყის სარტყელი 0-დან 2000-2100 მეტრამდე ზღვის დონიდან:

ზღვისპირა დაბლობის მცენარეულობა 0-დან 15-25 მეტრამდე;

სანაპირო ქვიშების მცენარეულობა;

ჭაობების და გუბურების მცენარეულობა;

სარეველა მცენარეულობა.

ტყის მცენარეულობა 15-25-დან 2000-2100 მეტრამდე:

შერეული კოლხური ტყე 15-25-დან 550-600 მეტრამდე;

წაბლნარი 550-600-დან 1150-1200 მეტრამდე;

წიფლნარი 1150-1200-დან 2000-2100 მეტრამდე;

შქერიანი აზონალურია (სარტყელში).

სუბალპური სარტყელი 2000-2100-დან 2300-2350 მეტრამდე:

სუბალპების ტყეები 2000-2100-დან 2200-2250 მეტრამდე;

სუბალპების ბუჩქნარები 2100-დან 2350 მეტრამდე;

სუბალპური მაღალბალახეულობა 2000-დან 2200 მეტრამდე;

სუბალპების მდელოები 2100-დან 2350 მეტრამდე.

ალპური სარტყელი 2300-2350-დან 2596 მეტრამდე.

ზღვისპირა დაბლობის მცენარეულობა. დაბლობის მცენარეულობა ძირითადად მეორადია და წარმოდგენილია ჰიდროფიტული ბალახოვნებით. გორაკ-ბორცვებისაკენ დაბლობის ტყეს შერეული ხასიათი ჰქონდა და მოიცავდა აგრეთვე კოლხურ მუხას, წაბლს, ლაფანს, რცხილას და სხვ., რომელთა შორისაც იყო იელი, მაღალი მოცვი, ეკალღიჭი, ღეჭეკეცი და კატაბარდა. ამჟამად ტყე მთლიანად გაჩეხილია, ჭაობის უდიდესი ნაწილი კი – ამომშრალი. არსებული ტყიდან აქა-იქ შემოგვრჩა მურყანი, აგრეთვე, გადანაგრებზე მოზარდი კოლხური მუხა, წაბლი, ლაფანი. დაბლობის უდიდესი ნაწილი სუბტროპიკული კულტურების პლანტაციებმა, ყანებმა და ბაღ-ბოსტნებმა დაიკავა.

დაბლობის სარეველა მცენარეულობა. დაბლობის უდიდეს ნაწილში გავითარებულია მეტწილად სარეველებისაგან შემდგარი მეორადი, წარმოებული მცენარეულობა, გეობოტანიკოსებისათვის ეს მცენარეულობა ნაკლებად საინტერესოა, რადგან სარეველები არ ქმნიან მყარ ცენოზებს და მუდმივ ცვალებადობას განიცდიან. სამაგიეროდ, იგი ძალიან საინტერესოა ფლორისტული თვალსაზრისით, ანთროპოგენულმა ფაქტორმა, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, დაბლობის ფლორა დიდად შეცვალა და გაამდიდრა უცხოური ელემენტებით, ადგილობრივთან ერთად აქ გვხვდება მსოფლიოს სხვადასხვა ოლქის მრავალი წარმომადგენელი, რომელთაც თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ, არა მარტო სახეობრივი მრავალფეროვნებით, არამედ გავრცელების ინტენსივობითაც, მათი უმეტესობა გზადმოყოლილია და სუბტროპიკული კულტურის სარეველებს წარმოადგენს. მცენარეები აქ გაერცელებულია ძირითადად პლანტაციებს შორის გამოუყენებელ ადგილებში, მაგალითად, რკინიგზის მიწაყრილთან 30 $მ^2$ ფართობზე ერთი აღწერის დროს შენიშნულია Rubus sanguineus Friv, Capsella bursa pastoris (L.), Amaranthus albus L., Tagetes minuta L., Lactuca saligna L. და სხვ. სულ 43 სახეობა. ზოგიერთი saxeoba Phytolacca americana L., Lespedeza striata L., Datura stramonium L. და სხვ. სარეველა არაა, მაგრამ მეორად ცენოზებში გვხვდება. სარეველების გვერდით შემორჩენილია ტყის ელემენტებიც Prunella vulgaris L., Cardamine pectinata Pall და სხვ, რომელთა გავრცელებაც შეცველილ პირობებში მეტად შეზღუდულია.

ტყის მცენარეულობა. ტყის მცენარეულობა ხეობის მცენარეულობის ძირითადი ტიპია. ქობულეთის სატყეო მეურნეობისა და კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალის ტყის მოწყობის მასალების (1963-1964წწ.) მიხედვით, მას უჭირავს 20375 ჰექტარი ფართობი, რაც მთელი საკვლევი ტერიტორიის 72%-ია, აქედან ტყით დაფარულია 19738 ჰა, ანუ 97%, ხოლო 3% მოდის ტყის მდელოებსა და ველებზე, რომლებიც აქა-იქ გეხვედება ტყეებში. ჰავა, ნიადაგები, ზოგიერთი ლოკალური ანთროპოგენული და სხვა ფაქტორების კომპლექსი განაპირობებს მცენარეულობის სიჭრელეს, რომელშიც კარგად მოჩანს ვერტიკალური ზონალობა და

ექსპოზიციურობა. ზღვის დონიდან სიმაღლის ზრდასთან დაკავშირებით ტყე წარმოდგენილია 3 ძირითადი ფორმაციით: შერეული ტყით, წაბლნარით და წიფლნარით, შედარებით მცირეა რცხილნარები, მურყნარები და მსხვილი ბუჩქნარების ფორმაცია შქერიანი, რომლებიც ნაკლებად ექვემდებარება ვერტიკალურ სარტყლიანობას.

შერეული კოლხური ტყე. ეს ტყე ხეობის ტყის მცენარეულობის პირველი საფეხურია, რომელიც ა. გროსჰეიმმა (1930წ.) კოლხეთში გამოყო. ამჟამად, 200-250 მეტრამდე ტყე გაჩეხილია და მხოლოდ აქა-იქ შეიძლება ვნახოთ მისი სახეშეცვლილი შთენილები. აქ მცენარეულობა ძალიან შეცვლილია და მრავალი გზადმოყოლილი, რუდერალური და სარეველა სახეობითაა წარმოდგენილი. მეორადი ტყის შთენილებში და მათ ირგვლივ ხშირად გვხვდება ისეთი უცხო სახეობები, როგორიცაა ხებუერა, Muscanthus sinensis Anderss, Phytolacca americana L. Frigcron canadensis L. და სხვ.

შერეული ტყე შედარებით უკეთესად შემონახულია ზღვის დონიდან 250 მეტრის ზევით. თბილი და ნოტიო ჰავის გამო შერეული ტყის მცენარეულობა განსაკუთრებით მდიდარია. აქ გვხვდება ხეობაში გავრცელებული რელიქტური ხეების დიდი უმეტესობა. ქვეტყე მდიდარია მარადმწვანე ბუჩქებით და ლიანებით. ბალახოვან საფარშიც ბევრია მესამეულის რელიქტი. აკადემიკოსი ნ. კეცხოველი (1960წ.) მას განიხილავს, როგორც რელიქტურ ტყეს და კოლხურ ლეშამბიან და მარადმწვანე ქვეტყიან ტყეს უწოდებს. აქ უმნიშვნელოვანესი ხის სახეობებია: კაკასიური რცხილა, წაბლი, წიფელი და კოლხური მუხა, რომლებიც ქმნიან შერეული დაჯგუფების სხვადასხვა ვარიანტს – რცხილნარ-წიფლნარს, რცხილნარ-მუხნარს, რცხილნარ-წაბლნარს, წაბლნარ-წიფლნარს, წაბლნარ-რცხილნარ-წიფლნარს და რცხილნარ-მუხნარ-წაბლნარს. ერთდროულად გვხვება ურთხელი, იფანი, ლაფანი, კავკასიური ხურმა, ბალი, პანტა, მაუალო, ხართუთა, აგრეთვე გაველურებული ცრუაკაცია და ხებუერა, რომლებიც კიდევ უფრო ამდიდრებენ შერეულ ტყეს. შერეული ტყე გაჩეხვის შემდეგ ხშირად რცხილნარით იცვლება, წაბლი, წიფელი და მუხა შეცვლილ ეითარებაში სულ უფრო უკან იხევენ. მეტად პროგრესულია ჩვეულებრივი მურყანი, თუმცა იგი უფრო ტენიან გარემოს ირჩევს.

მეტად მდიდარი და თავისებურია შერეული ტყის ქვეტყე. მიჯრით მოზარდი მრავალი მარადმწვანე და ფოთოლმცვენი ბუჩქი, რომლებიც ნაირიარუსიან შეკრულ ქვეტყეს ქმნიან, ბუნების სიუხვის ნამდვილ განსახირებას წარმოადგენენ. მარადმწვანეთაგან უხვად წარმოდგენილია პონტოს შქერი, წყავი, ბზა, ძმერხლი; შედარებით იშვიათად – მელიყაური, წყავმაზა და თაგვისარა. ფოთოლმცვენთაგან ჩვეულებრივია: ხეჭრელი, თხილი, იელი, ჩვეულებრივი ჯონჯოლი, მაღალი მოცვი, მდგნალი. ხისმაგვარ ფორმებს წარმოადგენენ პონტოს შქერი, წყავმაზა, ჩვეულებრივი ჯონჯოლი, ძახველი და კიდობანა (Evonymus europaea L.). დანარჩენი ტიპიური ბუჩქია, თუმცა თხილი, იელი, მაღალი მოცვი მსხვილ ზომებს აღწევენ. ბზა ტყის სიღრმეში იშვიათად შედის, ხოლო მდინარისა და მისი შენაკადების გასწვრივ დამახასიათებელ ასპექტს ქმნის. ხანგრძლივი უსისტემო ჭრის შედეგად ბზის მსხვილი ეგზემპლარები შედარებით ნაკლებია და იგი მეტწილად მოზარდი თვითნათესითაა წარმოდგენილი.

ბუჩქების გავრცელებასთან დაკავშირებით შერეული ტყე შეიძლება განვასხვაოთ ბუჩქოვანი ქვეტყის სხვადასხვა ვარიანტითაც, როგორიცაა,

მაგალითად: ქვეტყე პონტოს შქერისაგან, წყავისაგან, შერეული მარადმწვანე ბუჩქისაგან, მარადმწვანე და ფოთოლმცვენი ბუჩქებისაგან, თხილისაგან, იელისაგან, შერეული ფოთოლმცვენი ბუჩქებისაგან.

მეტად დამახასიათებელია ლიანები, ამათგან უფრო მნიშვნელოვანია კოლხური სურო და ეკალღიჭი, რომლებიც ტყეს თავისებურ იერს აძლევენ, სურო ჩრდილის მოყვარულია და მეტწილად ტენიან პირველად ტყეებშია გავრცელებული. ეკალღიჭი სინათლის მოყვარულია, არ ერიდება სიმშრალეს. გავრცელებულია ტყისპირებსა და მეორად ტყეებში. ტყის სიღრმეში იშვიათად გვხვდება, სოფლებში აქა-იქ შემონახულ პირველადი რცხილნარის შთენილებში ეეებერთელა რცხილის ხეები თვით კენწერომდეც კი ეკალღიჭის ისეთ ხშირ ქსელშია ხოლმე გახვეული, რომ სწორედ მასზეა ნათქვამი „ჩიტი კურკანტელს ვერ გაიტანსო“. ტყეში არის აგრეთვე, ჯიქა, კატაბარდა, სვია, ძაღლის სატაცური და სხვ.

ბალახოვნებით შერეული ტყე ღარიბია, ფართოფოთლოვანი ტყის ხშირი ხეთადგომა და ძლიერ განვითარებული მარადმწვანე ბუჩქოვანი ქვეტყე მეტად ჩრდილავს ნიადაგს და აფერხებს ბალახოვანი საფარის განვითარებას, მაგრამ მაღალი ტენიანობისა და სითბოს პირობებში მცენარეები მაინც პოულობენ თავიანთ ადგილს. ესენია ჩრდილის ამტანი და ჭარბი ტენის მოყვარული სახეობები. ზოგი მათგანი ხეებზე ეპიფიტურ ცხოვრებას ეწევა. ასეთებია: გვიმრები Polypodium serratum (W) Futo, P. vulgare L., Asplenium trichomanes L., Cardamine impatiens L. და სხვ. ბალახოვნებთან ერთად შეიძლება ვნახოთ მსხვილი ზომის ცაცხვის, წაბლის და რცხილის ხავსიან ხეებზე მოზარდი ბუჩქები და ხეებიც კი. ასეთია: რცხილა, პონტოს შქერი, მაღალი მოცვი და სხვ. მდინარეთა გასწვრივ ვიწრო ხევებში გვხვდება შერეული ტყის საფეხურისთვის განსაკუთრებით დამახასიათებელი უძველესი რელიქტები. Hymenophyllum thunbridgense (L.), Sm. primula megasaefolia Boiss. et bal. da Campanula macaschwili E. Busch. მეორადი ბალახოვანი ცენოზებისთვის ჩვეულებრივია Qeum urbanum L., Agrimonia eupatoria L. და სხვ., რაც მოსახლეობის ზეგავლენასთანაა დაკავშირებული. შედარებით მშრალ და ნათელ ფერდობებზე ხშირად გვხვდება ჭანური ზამბახი, ლამაზა და კავკასიური ხარისძირა. სახეობათა უმეტესობა თავმოყრილია ვიწრო ხეებში ჩამომდინარე პატარ-პატარა ნაკადულების გასწვრივ. ნაირბალახოვანი ცენოზები თითქოს კრიჭაში უდგანან ტყეს და სწრაფად იჭერენ გათავისუფლებულ ადგილებს. მერქნიანთა და ბალახოვანთა შორის ბრძოლაში თავისთავად მერქნიანები იმარჯვებენ. ეს ტყის ამ საფეხურის დამახასიათებელი თავისებურებაა. მაგრამ მოსახლეობის გამუდმებული ჩარევა ბრძოლის სასწორს ბალახოვანთა მხარეზე ხრის.

შერეული ტყის მცენარეულობა თავისებური ფენოლოგიითაც ხასიათდება. ზოგიერთი სახეობა ხანგრძლივად ან წელიწადში ორჯერ, მათ შორის ზამთარშიც ყვავილობს. ესენია მესამეულის რელიქტები – პონტოს შქერი, იელი, წყავი და სხვა მრავალი ბუჩქი და ბალახოვნები – LuZula forsteri (Sm.), Dc. Galanthus woronowi Losinsk., Saxifraga cymbalaria L., Ulex europaeus L., Veronica filiformis Smith., Bellis perennis L., Gnaphalium affine D. Don. აკადემიკოსი გულისაშვილი (1964წ.) ზღვის დონიდან 600 მეტრამდე მდებარე შერეულ კოლხურ ტყეს სუბტროპიკულ ტყეებს აკუთვნებს.

ამჟამად 500-800 მეტრის სიმაღლეზე გვხვდება ყველაზე ხნიერი და დიდი ზომის ხეები. მაგალითად, 840 მეტრის სიმაღლეზე შერეულ ტყეში (მთა საწირავის ჩრდილო-

აღმოსავლეთის ფერდობი) დგას ცაცხვის რამდენიმე ბუმბერაზი ხე. ერთ-ერთი მათგანის ღეროს გარშემოწერილობა 11,17 მეტრია. მასზე შემოხვეული კოლხური სუროს ღეროს დიამეტრი 12 სმ-ს აღემატება. იქვეა ურთხელის რამდენიმე ხე, რომლეთა ღეროების დიამეტრი 2 მეტრს არემატება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რ. ვასაძე, რ. დავითაძე-აჭარის ტყეების თანამედროვე მდგომარეობა და პრობლემები. სამეცნიერო კონფერენცია "დედამიწა-გლობალური ბუნებრივი კატაკლიზმები და ტყეები". ბათუმი, 2012 წ.
2. ზ. მანველიძე-აჭარის ტყეების ბიომრავალფეროვნება და მათი ეკოლოგიური როლი. კოლოგიური პრობლემები. თბილისი, 2000 წ.
3. შ. ხიდაშელი, ე. პაპუნიძე-აჭარის ტყეები. საბჭოთა აჭარა, 1976 წ.
4. გ. გიგაური-საქართველოს ტყის ბიომრავალფეროვნება. თბილისი, 2000 წ.
5. რ. ჯაბნიძე, ე. გოგუაძე-სასოფლო სამეურნეო ეკოლოგია. ბათუმი, 2003 წ.

Plant typology in protected areas of Ajara

Ruslan Davitadze – Phd

Batumi Shota Rustaveli State University

Resume

In the following article is discussed fauna of protected areas in Ajara: Mtirala national park and Kintrishi protected areas. There are following kinds of animals. Their area of distribution and modern conditions are discussed. In the given protected territories, those kinds of animals which are brought in the red book. Promoting the conservation of fauna in protected areas will increase the number of tourists, interested in such kind of activity.

სექცია №4

საერთაშორისო ურთიერთობები

სექციის თავმჯდომარე:
მანანა გაგოშიძე

გლობალური სედვის ასპექტები

მანანა გაგოშიძე
სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორი
E-mail: mananagagoshidze@yahoo.comTel:599-75-22-78
ნატალია ბიწაძე
სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი ასოცირებული პროფესორი
E-mail: nataliabicadze@mail.ru Tel:551-77-00-12

კაცობრიობის გლობალური განვითარების იდეა ახალი არ გახლავთ, თუმცა გლობალისტიკის, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო მიმართულების ინსტიტუციონალიზაცია XX საუკუნის 60-70-იან წლებში დაიწყო.

გასული საუკუნის უკანასკნელმა მესამედმა კაცობრიობის ბედი სრულიად განსაკუთრებულ, ახალ თვისებებსა და ფაქტორებს დაუქვემდებარა, რაც გლობალური პროცესების თანდათანობითმა გაფართოებამ განაპირობა. კაცობრიობის სამომავლო განვითარების განმსაზღვრელმა გეოპოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული, ეკოლოგიური, ტექნოლოგიური, კულტურული ფაქტორების არსებობისა და მოქმედების არეალის თანდათანობითმა გაფართოებამ და გაძლიერებამ მეცნიერებას უბიძგა მსოფლიოს გლობალიზაციის მიმართულებათა ისტორიის შესწავლისა და პერსპექტივების კვლევა-ძიებისაკენ.

რაციონალობის კლასიკურ ტიპს ენაცვლება პოსტმოდერნისტული სილაღე, უწყვეტი დიფერენციაცია;კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა წინა ასწლეულში მეცნიერების მიერ შემუშავებული პარადიგმები და კონცეფციები. სამეცნიერო უნივერსალიებიც მოძველებულად იქნა მიჩნეული და მისი ადგილი შემეცნებითი პერსპექტივების პრინციპული მრავალგვარობის იდეამ შეცვალა. გაქრა სამეცნიერო ცოდნის მაღალი სტანდარტები და ავტორიტეტები. როგორც ფრანგი ფილოსოფოსი ფუკო აღნიშნავს, პოსტმოდერნიზმმა გონების წინააღმდეგ "აჯანყების უფლება" გამოაცხადა. მსოფლიო სამეცნიერო რუკაზე განხორციელდა რადიკალური ინვერსია – პირველ პლანზე გამოვიდა მიკროდონე, მიკროპროცესები, ცენტრიდანული ტენდენციები, ლოკალიზაცია, ფრაგმენტაცია, ინდივიდუალიზაცია და ეს მდგომარეობა პოსტმოდერნისტულმა მეცნიერებამ ბუნებრივად მიიჩნია.

დღეს იცვლება გლობალურ პრობლემათა პრიორიტეტები. მსოფლიოში პოლიტიკასა და ეკონომიკას შორის წინააღმდეგობა, ძალადობის აღზევება, უკიდურესი სიღარიბისა და უმაღლესი სიმდიდრის შერწყმა, საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხე, ნარკომანიისა და დამნაშაულობის ზრდა, გარემოს აღმავალი ტემპით მიმდინარე დაბინძურება - აი, არასრული ჩამონათვალი იმ გლობალური ნიშნებისა, რომელიც თანამედროვე საზოგადოებრიობის სერიოზულ წუხილს იწვევს.

დღეს გლობალისტიკაში ისახება სამყაროს ახალი სურათი, რომელიც სირთულით, არახაზოვნებით, განუსაზღვრელობით, შეუქცევადობით გამოირჩევა. გლობალური სამყაროს ასეთი პარადიგმა მოითხოვს თანამედროვე ცივილიზაციათა გლობალურ დიალოგში პოლიტიკური კონსენსუსის ახალი

კონცეფციის ძიებას, რომელიც უნდა გამომდინარებდეს არა უნიფიკაციისა და ინტერესთა შეთანხმების შესაძლო პრეზუმციიდან(როგორც ეს ადრე იყო), არამედ სხვადასხვა კულტურის ადექვატური გაგებისა და ფასეულობათა შეთანხმების პრეზუმციიდან.

უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში გლობალური პრობლემების შესწავლით დაკავებულმა მეცნიერებმა XX1 საუკუნის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირითად მიმართულებებად მიიჩნიეს:

- ხარისხობრივად ახალი სირთულის ეკოლოგიური პრობლემების-გარემოში ტოქსიკური ნივთიერებების შემცირების "კვალსათბურის ეფექტის" შერბილების, ოზონის ფენის გაქრობის, მჟაეური წვიმების საფრთხის გადაწყვეტა;
- ენერგეტიკის განვითარება, კლიმატის დათბობის ტენდენციების გათვალისწინებით;
- დაუბალანსებელი ეკონომიკური ზრდა;
- მართვის უნარის კრიზისი;
- დედამიწის მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა და წყლის რესურსების არსებობა;
- მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა და მიგრაციული ნაკადები;
- ძერები მსოფლიო გეოპოლიტიკურ სიტუაციებში და ა.შ.

გლობალიზაცია, როგორც მოგეხსენება ერთობ მრავალმიმართულებიან პროცესს წარმოადგენს, მისი მომავალი წინასწარგანსაზღვრული არ არის, ამიტომაც არის მეტად მნიშვნელოვანი გლობალური პროცესების ისტორიული დინამიკის შესწავლა და შემდგომ მისი შესაძლო მიმართულებებისა და ხანგრძლივი პერსპექტივების განსაზღვრა. ცნობილი ესპანელი მოაზროვნე ხოსე ორტეგა ი გასეტი აღნიშნავდა: " ისტორიული ცოდნის დაუფლება ცივილიზაციის განვითარებისა და მისი განუხრელი პროგრესის უპირველეს გარანტად უნდა მიგვაჩნდეს, მაგრამ იმიტომ კი არა, თითქოს მას შეუძლია გადაგვაჭრევინოს ახალი ცხოვრებისეული კონფლიქტები, არამედ იმიტომ, რომ წარსული გამოცდილების ცოდნამ შეიძლება თავიდან აგვაცილებინოს გარდასულ ეპოქათა შეცდომების გამეორება"(1)

პროფესორ ბ. ლუტიძის თვალსაზრისით, გლობალიზაცია უნდა განვიხილოთ როგორც შეუქცევადი პროცესი. მსოფლიოს ხალხები და ქვეყნები ისევე ვერ დაუბრუნდებიან წინაგლობალურ მდგომარეობებს, როგორც აწმყო წარსულს. მათი მოძრაობა შესაძლებელია მხოლოდ ერთადერთ – გლობალურ ურთიერთდამოკიდებულებათა გაღრმავება-განმტკიცების და არა საერთო-საკაცობრიო მაგისტრალებიდან გადახვევისა და თვითიზოლაციის გზით. (2) გვ.47

ჯ.ბაილისი და სმიტი გლობალიზაციის სხვადასხვა ასპექტს განასხვაებენ: მისი ერთ-ერთი ასპექტია ინტერნაციონალიზაცია. გლობალიზაცია სწორედ ინტერნაციონალიზაციაა, რამდენადაც მასში იგულისხმება სახელმწიფოთა შორის კავშირების გააქტიურება და საზღვრების როლის თანდათანობითი შემცირება.

გლობალიზაციის მეორე ასპექტია ლიბერალიზაცია. გლობალიზაცია ლიბერალიზაციად წარმოგვიდგება, რამდენადაც ის არის სახელმწიფოებრივი

შეზღუდვების შემცირება და ღია, ინტეგრირებული ეკონომიკის განხორციელება მოსახლეობის თავისუფალი მიმოსვლით.

გლობალიზაციის მესამე ასპექტს ავტორები ხედავენ ეგრეთ წოდებულ უნივერსალიზაციაში. უკანასკნელში გულისხმობენ მატერიალური და სულიერი ღირებულებების ფართოდ გავრცელებას მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში;

გლობალიზაციის მეოთხე ასპექტად ბაილისი და სმიტი განიხილავენ ეგრეთ წოდებულ ვესტერნიზაციას, პირველ რიგში, მის ამერიკულ ფორმას.

დაბოლოს, გლობალიზაციის თეალსაჩინო ასპექტია თავისებური "დეტერიტორიზაცია", როცა გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, მანძილი და ტერიტორიული საზღვრები თავიანთ პირვანდელ მნიშვნელობას კარგავს.(3) გვ.48

იგივე ავტორები ხაზგასმით განასხვავებენ გლობალიზაციას ინტერნაციონალიზაციისაგან. მათი აზრით, ინტერნაციონალიზაცია გულისხმობს ურთიერთობის ზრდასა და გაძლიერებას ეროვნულ დონეზე ანუ სახელმწიფოებს შორის. ინტერნაციონალიზაციის შედეგად, სახელმწიფოებმა შეიძლება ძლიერი ურთიერთგავლენა მოახდინონ ერთმანეთზე, ბევრი რამით დაუახლოვდნენ ერთმანეთს; მაგრამ ისინი მაინც რჩებიან ერთმანეთისაგან განსხვავებულ და განცალკევებულ ერთეულებად. საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფოები, როგორ მჭიდრო კავშირშიც უნდა იყვნენ ერთმანეთთან, ცხადია, ნათლად გამოკვეთილი საზღვრებით არიან ერთმანეთისაგან გამიჯნულნი. მისგან განსხვავებით, გლობალური მსოფლიო გულისხმობს ზეტერიტორიულ და ზენაციონალურ სამყაროს, სადაც სახელმწიფოებრივი საზღვრები არავითარ როლს არ უნდა თამაშობდეს. მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობები და გლობალური ურთიერთობები შესაძლებელია თანაარსებობდნენ. დღევანდელი მსოფლიო სწორედ ამის მაგალითია. იგი ერთდროულად არის ინტერნაციონალიზებულიც და გლობალიზებულიც. პელდის აზრით, გლობალიზაცია შეიძლება მივიჩნიოთ პროცესად, რომელიც გულისხმობს სოციალური ურთიერთობებისა და ურთიერთკავშირების სივრცითი ორგანიზაციის ტრანსფორმაციას. უ. ბეკის აზრით, გლობალიზაცია წარმოადგენს დიალექტიკურ პროცესს, რომელიც ქმნის ტრანსნაციონალურ სოციალურ კავშირებსა და სივრცეებს, აუფასურებს ლოკალურ კულტურებს დ ახელს უწყობს ეგრეთწოდებული "მესამე კულტურის" წარმოქმნას.(4) ყველა ზემოთქმულიდან ჩანს, რომ გლობალიზაციის მთავარი ნიშანია სახელმწიფო და ეროვნული საზღვრების მოშლა, ეროვნული ეკონომიკის გლობალური ეკონომიკით, ეროვნული კულტურის გლობალური კულტურით, ხოლო ეროვნული ცნობიერების გლობალური ცნობიერებით შეცვლა. გლობალიზაცია და ნაციონალიზმი თანამედროვე ეპოქის მთავარი დაპირისპირებული ძალებია და მათ შორის წინააღმდეგობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს კიდეც თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის შინაარსს. გლობალიზაცია დენაციონალიზაციას ნიშნავს.(4)

როგორც საყოველთაო და უაღრესად მრავალმხრივი მოვლენა გლობალიზაცია ყოველდღიურ ცხოვრებაში თავს მრავალი ფორმით იჩენს:

კომუნიკაციის თვალსაზრისით, იგი წარმოჩინდება კომპიუტერული ქსელის, ტელეფონების, ელექტრო ფოსტის, ფიჭური კავშირგაბმულობის და სხვა მსგავსი საშუალებების უპრეცედენტო გაერცელებითა და რაოდენობრივი ზრდით. ყოველივე ეს საშუალებას აძლევს ინდივიდებს უშუალოდ, მყისიერად დაუკავშირდნენ ერთმანეთს, მიუხედავად მათი ადგილმდებარეობისა და სახელმწიფო საზღვრებისა. დრომ და მანძილმა თავისი ადრინდელი მნიშვნელობა ფაქტიურად დაკარგა.

ორგანიზაციების თვალსაზრისით, გლობალიზაცია გამომჟღავნდა კომპანიების, ასოციაციების თუ სააგენტოების სწრაფი ზრდით, ისინი ფუნქციონირებენ, როგორც ტრანსნაციონალური სუბიექტები. კერძოდ, ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა "ნისან კორპორეიშენი", "გადავარჩინოთ ბავშვები" ან "მსოფლიო ინტელექტუალური საკუთრების" ორგანიზაცია. საკუთარი მოვალეობის არეალად ისინი მიიჩნევენ მთელ პლანეტას; ხოლო თავიანთ უკვე არსებულ ან პოტენციურ კლიენტად თელიან კაცობრიობას მთლიანად.

ეკოლოგიური თვალსაზრისით, გლობალიზაცია თავს იჩენს გლობალური ეკოლოგიური პრობლემების სახით. ეს პრობლემებია: გლობალური დათბობა, ოზონის ხვრელები, ატმოსფეროს გაბინძურება, დედამიწის მრავალფეროვნების დაქვეითება, გაუდაბნოება, ჰიდროსფეროს და მდინარეების გაჭუჭყიანება და ასე შემდეგ. არც ერთი ეს პრობლემა არ შეიძლება შეიზღუდოს ცალკეული ქვეყნების საზღვრებით და ცალკე აღებულ არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია მათი გადაჭრა. ეკოლოგიური პრობლემები მსოფლიოს, როგორც ერთიანი მთლიანისა და განუყოფელის, გლობალური პრობლემაა.

პროდუქტების თვალსაზრისით, გლობალიზაციის გამოვლენაა ე.წ. "გლობალური ქარხნები", რომლებიც ფართოდ გავრცელდნენ ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში, განსაკუთრებით, მიკროელექტრონულ მრეწველობაში.

ფინანსურ ურთიერთობებში გლობალიზაციის შედეგია საკრედიტო ბარათების საყოველთაო გაერცელება და ზოგიერთი ვალუტის (დოლარი, ევრო) ფაქტიურად ყველგან მიმოქცევა.

სამხედრო სფეროში გლობალიზაციის გამოვლინებად ითვლება გლობალური კონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები და სადაზვერვო სატელიტები. მართალია, 1990-1991 წლების ომი სპარსეთის ყურეში, ფორმალურად ერაყისა და კუვეიტის სახმელეთო ბრძოლა იყო, მაგრამ მასში თანდათან ჩაერთვნენ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები თავიანთი ულტრათანამედროვე შეიარაღებით. ხოლო მათი გადასროლა საომარი მოქმედების თეატრში ნებადართული იყო გლობალური სამთავრობო დაწესებულების – გაეროს მიერ.

გლობალიზაციასთან არის დაკავშირებული მრავალი ნორმა, რომელიც მართავს ჩვენს ცხოვრებას; მათ შორის – ათასობით ტექნიკური სტანდარტი, აგრეთვე ადამიანის უფლებები. ეს და სხვა მუდმივად მზარდი ნორმები და წესები პირველ რიგში საყოველთაოა და ნაკლებად ემორჩილება სახელმწიფო-ეროვნულ ინტერესებს.

ბოლოს, გლობალიზაცია თავს იჩენს ჩვენს ყოველდღიურ ფიქრებში; ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში მცხოვრები ადამიანი წინა თაობებზე მეტად

აცნობიერებს მთელ მსოფლიოს თაეის საცხოერისად. ამიტომ ის თაეისი ცნობიერებით უფრო და უფრო ხდება "მსოფლიო მოქალაქე".

ჩვენ ვზივართ საკუთარ სახლში და ტელეეიზიით ეუყურებთ, თუ რა ხდება მოცემულ მომენტში ბუენოს-აირესსა და პეკინში; მობილურით ველაპარაკებით ნიუ-იორკში; გვაცვია ჯინსები, ვსვამთ კოკა-კოლას და მივირთმეეთ ჩისბურგერს; ინტერნეტის საშუალებით ეკითხულობთ უახლეს პარიზულ გაზეთებს და, მისსიეე დახმარებით, სახლიდან გაუსელელად ეყიდულობთ საჭირო ნივთს; ევროკავშირი გვისაზღვრავს პროდუქტებზე ფასებს და შორეულ საფინანსო ბირეებზე მომხდარი ცელილებები მაშინვე აისახება ჩვენს ბიუჯეტზე, გაეროს სამხედრო დამკეირეებლებს აქეთ მინდობილი წესრიგის შენარჩუნება აფხაზეთში, ცხინვალის რეგიონის პრობლემა კი ეუთოს გადასაწყეეტია, ეს ჩეეულებრივ მოელენად გეეჩეენება, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არაფერი ამის მსგავსი არ იყო უწინ, როცა ჩვენი მშობლები ბავშეები იყვნენ, აქედან ძალიან ბეერი რამ უცნობი იყო მაშინაც, როცა ჩვენ ეიყავით ბავშვები. ჩვენი შვილები გაცილებით მეტად გრძნობენ გლობალიზაციას. დღეს ჩვენ აღარ ვართ მარტო ერთი ქეეყნის მოქალაქეები, შეიძლება ითქვას რომ ჩვენ ერთიან მსოფლიოში ეცხოერობთ.

გლობალიზაცია, როგორც დავინახეთ, ახალი მოელენაა მსოფლიო ისტორიაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ხოსე ორტეგა ი გასეტი. მასების ამბოხი.თბ. "ხომლი",1993
2. ლუტიძე ბ. გლობალიზაცია, არსი, პრობლემები. თბ, თსუ გამომც. 2003.
3. დავითაშვილი ზ. ნაციონალიზმი და გლობალიზაცია. ფონდი ღია საზოგადოება, თბ. მეცნიერება, 2003.
4. ბეკი ულრიხ. რა არის გლობალიზაცია. გლობალიზმის შეცდომები. პასუხები გლობალიზაციაზე / გერმანულიდან თარგმნა თინათინ დიდებულიძემ. –თბ. ელფი, 2003.

Aspects of global vision

Manana Gagoshidze
Full Professor of Sukhishvili Teaching University
E-mail: mananagagoshidze@yahoo.comTel:599-75-22-78
Natalia Bitsadze
Associated Professor of Sukhishvili Teaching University
E-mail: nataliabicadze@mail.ru Tel:5 51-77-00-12

Resume

There are diverse aspects of globalization: internationalization, liberalization, universalization, westernization, deterritorization etc.

Globalization has been manifested in various spheres such as communicational, institutional, environmental, products, financial, military, etc.

“სოციალური სიკვდილი” და ტრანსსოციოლოგიის მოდელი

კახა ქეცბაია
სოციოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი
სუხიშვილის უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი
E-mail: KetsbaiaK@mail.ru Tel: 599-39-31-07

ცნობილმა ფრანგმა მოაზროვნემ ჟან-ფრანსუა ლიოტარმა, რომელმაც კაცობრიობას პოსტმოდერნული მდგომარეობის დადგომა ამცნო (იხ. ლიოტარის „პოსტმოდერნული მდგომარეობა“) პოსტთანამედროვე საზოგადოებაში ადამიანითა ერთფეროვანი ყოველდღიური ცხოვრების წესი შემდეგნაირად დაახასიათა: – რადიოში რეგის უსმენენ და კინოში ვესტრენს უყურებენ. ლანჩზე მაკდონალდსში მიდიან, ხოლო სადილს ადგილობრივი სამზარეულოს რესტორნებში მიირთმევენ; ტოკიოში ფრანგულ სუნამოს ხმარობენ და რეტროს სტილის ტანსაცმელი აცვიათ პონკონგში. ასე ხდება ყველგან. მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში. ლიოტარის თქმით, ეს ყოველივე პოსტთანამედროვე საზოგადოების ეფემერული სოციალური ყოფის ცალკეული ფრაგმენტებია, რომელიც ცხოვრების ახალი სტილისა და სტრატეგიის წარმოშობაზე მიუთითებენ.

დღეს უკვე არავინ არ დავობს იმაზე, რომ კაცობრიობა პოსტკლასიკურ, პოსტთანამედროვე ეპოქაში იმყოფება, რომელიც მთელი რიგი „უცნაური სიურპრიზებით“ გამორჩევა. ამ პროცესის ერთ-ერთი პირველი მაცნე ფრიდრიხ ნიცშე იყო. რომელმაც თამამად განაცხადა „ღმერთის სიკვდილის“ შესახებ. „ღმერთის სიკვდილი“ „ადამიანის სიკვდილსაც“ ნიშნავდა, მაგრამ „დამცრობილ და დამდაბლებულ,“ ფუფუნებას, კომფორტსა და ყოველდღიურ ცხოვრებისეულ წვრილმანებს გამოდევნებულ კაცობრიობას ნიცშეს ამ ნათქვამისათვის სათანადო ყურადღება არ მიუქცევია. საბოლოოდ კი ყოველივე იმით დამთავრდა, რომ „ღმერთის მკვლელმა“ კაცობრიობამ „ადამიანიც მოკლა“ (ბოდრიარი). თუკი XX საუკუნე „ღმერთის სიკვდილით“ არის გამორჩეული, XXI საუკუნისათვის ამგვარი გამორჩეულობის ნიშანი „ადამიანის სიკვდილი“ იქნება.

შექმნილ რეალობას კარგად ესადაგება ნიცშეს მიერ აზროვნების სისტემური წესის ურაყოფა და მის ნაცვლად ფრაგმენტაციული დისკურსი, აფორისტული მაქსიმებითა და სენტენციებით ოპერირება; ღირებულებათა რადიკალური გადაფასება და ონტოლოგიური ნიჰილიზმი; აბსოლუტური შეცმარიტების უარყოფა და რაციონალური აზროვნების („კანონმდებელი გონების“) ინტერპრეტაციით („ინტერპრეტაციული გონებით“) ჩანაცვლება; ნიცშეს ამგვარი მსოფლმხედველობიდან არც ისე შორი მანძილია დერიდას დეკონსტრუქციამდე.

ნიცშეს შემდეგ ჰაიდეგერია ის, ვინც ხელსაყრელ ინტელექტუალურ სივრცეს ქმნის პოსტთანამედროვე აზროვნებისათვის. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს ჰაიდეგერის მიერ გონების კრიტიკა, რომლის მიხედვითაც იგი ინსტრუმენტული და პრაგმატული გახდა. ჰაიდეგერის თქმით, ამგვარი გონების უმაღლესი ფორმა

ტექნიკაა, რომელიც ჰუმანიზმისათვის ადგილს არ ტოვებს. „ჰუმანიზმის პორიზონტზე ბარბაროსობა ჩნდება.“ ამ შემთხვევაში ჰაიდეგერს ბევრი რამ დაეჯერება, რადგანაც პოსტთანამედროვე საზოგადოებაში დეჰუმანიზაცია რეალური ფაქტია.

სოციალური თვალსაზრისით, პოსტთანამედროვე საზოგადოება იგივე მომხმარებლური საზოგადოებაა. მისი ძირითადი ნიშანი პრაგმატიზმი, მერკანტილიზმი და ცინიზმია. „წმინდა გონების კრიტიკის“ ავტორისაგან განსხვავებით სლოტერდაიკმა „ცინიკური გონების კრიტიკით“ (1983 წ.) მიანიშნა, რომ ამჟამინდელი ცინიზმი განმანათლებლობის იდეალების გაუფასურებითაა გამოწვეული. პოსტმოდერნმა ადამიანთა ცნობიერებაში კულტურული პარადიგმების ცვლილებები და ტრანსფორმირება გამოწვია. პოსტთანამედროვე ადამიანმა არა მხოლოდ უარი თქვა ჭეშმარიტებაზე, არამედ ბუდოვანი და გაუგებარი გახადა მისი სტატუსი; მან დიადი და ამაღლებული მორალური და რელიგიური, ეგზისტენციალური მიზნებისადმი ინტერესი დაკარგა. კულტურა მასკულტურად, შინაარსიანი და საზრისიანი ცხოვრება ცარიელ, ეფემერულ და ვირტუალურ რელობად გადაიქცა, რომელმაც ადამიანი ნამდვილ სინამდვილეს მოსწყვიტა. საზოგადოება „სპექტაკლის საზოგადოება“ გახდა, რომელიც რეკლამისა და მედიის ტოტალურ ძალაუფლებაზეა დამყარებული. რეალური პოლიტიკა პოლიტ-ტექნოლოგიებმა, ხოლო საზოგადოების ისტორიული განვითარება „შოუ-ხელისუფლებამ“ შეცვალა; ამ ტიპის საზოგადოებაში ყველაფერი – სექსუალური ცხოვრებით დაწყებული ფეხბურთითა და პოლიტიკით დამთავრებული, თეატრალიზებულია. ამიერიდან პოლიტიკა აღარ არის ადამიანის სერიოზული საქმიანობა. იგი ძალზე ხმაურიანი სანახაობა და ემოციური განტვირთვის ადგილია, ხოლო ნამდვილი პოლიტიკოსი ის არის, რომელიც კარგ შოუსა და სანახაობას მოიფიქრებს და დადგამს. ამიტომაც თანამედროვე პოლიტიკური ბატალიები რეეოლუციებით არ სრულდება. გართობაზე ორიენტირებული კარნავალური პოლიტიკა რეეოლუციური გარდაქმნებისაგან შორს დგას. ასეთ ვითარებაში პოლიტიკა ტრანსპოლიტიკად, საზოგადოება კი ტრანსზოგადოებად გადაიქცევა.

პოსტმოდერნი ინტელექტუალთა სასაფლაოა (ლიოტარი), რადგანაც ის ცვლის ინტელექტუალთა მდგომარეობას საზოგადოებაში. ტრადიციული საზოგადოების ინტელექტუალთა ფენა პოსტმოდერნისტულ საზოგადოებაში გამოუსადეგერი ხდება („ჩარეცხილები“). პოსტმოდენმა მათ ყველაფერი წაართვა და ისტორიის სანაგვეზე მოისროლა. შემოქმედისა და მოაზროვნის ადგილი ე. წ. ექსპერტმა დაიკავა. პიროვნება კი ზომბით იქნა ჩანაცვლებული, რომელიც ყოველგვარ პიროვნულ ღირსებასა და დამოუკიდებელ აზროვნებას მოკლებულია და მხოლოდ სიტუაციების შესაბამისი უნარ-ჩვევების ამარაა დარჩენილი. განათლების სისტემა კი მსგავსი უნარ-ჩვევების ფორმირებაზეა ორიენტირებული. მოდერნისტულ საზოგადოებაში ინტლექტუალებს წამყვანი პოზიციები ეკავათ კულტურის, ხელოვნების, განათლების, პოლიტიკისა და იდეოლოგიის სფეროში. პოსტთანამედროვე საზოგადოებამ მთლიანად წაართვა მათ ეს ადრინდელი პრივილეგიები. თუკი მათ ადრე ადამიანები „ბასტილიის ასაღებად“ მიჰყავდათ, ახლა უკვე ამისათვის აღარ სცალიათ, რადგან

საკუთარი კარიერისათვის ზრუნვით არიან დაკავებული და ამისათვის ათასგვარ კონკურსებში უწევთ მონაწილეობის მიღება. ამიერიდან ისინი მმართველი და კანონმდებელი ელიტარული გონების პრეტენდენტები კი არ არიან, არამედ კონკრეტული ფუნქციის შესრულებაზე აკეთებენ ორიენტაციას. ლიოტარის თქმით, სარტრი იყო უკანასკნელი ინტელექტუალი, რომელსაც „მართებული საქმის“ სჯეროდა. დღეს ასეთი რამ ილუზიაა, რომლისთვისაც ადგილი არ რჩება. ლიოტარის მიხედვით, შემოქმედის ადგილი უნიჭო და დამოუკიდებელი აზროვნების უნარს მოკლებულმა ადამიანებმა დაიკავეს. მოდერნისტული ეპოქის ინტელექტუალები პოსტმოდენისტულმა რეალობამ კარგა ხანია საფლავს მიაბარა (იხ. ლიოტარის „ინტელექტუალის საფლავი“).

პოსტმოდერნისტულ საზოგადოებაში ტიპური გავრცელებული ფიგურაა „იაპი“ – ცალკეული კონკრეტული ფუნქციების შესრულებაზე ორიენტირებული „ახალგაზრდა პროფესიონალი მოქალაქე.“ იგი საშუალო ფენის წარმომადგენელია, რომელიც კლასიკური გაგებით „ინტელექტუალურ კომპლექსებს“ აბსოლუტურად მოკლებულია და მხოლოდ მისი თანამედროვე განათლებისა და ცივილიზაციის სიკეთეებით ცხოვრობს. მან ზედმიწევნით იცის ცხოვრებით ტკბობა და, რაც ყველაზე მთავარია, როგორ იშოვოს ფული. მისი ცოდნის არსენალი ბიზნეს-გეგმის დაწერით, კომპიუტერის (ბოდრიარის მიხედვით, „ადამიანური გონების ხელოვნური პროთეზის“) ცოდნითა და პირადი კარიერული წარატების მიღწევისათვის საჭირო უნარ-ჩვევებით ამოიწურება. ერთი სიტყვით, ის ქალაქის ცივილიზაციის კაცია, რომელსაც სოფლის ბუნებრივი გარემო ცუდად ხდის. ნიცშეს სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი კაცი კი არ არის, არამედ „კაცუნაა.“ მისთვის სამშობლო და მსგავსი მორალი იდეალები არაფრისმთქმელი სიტყვებია.

პოსტთანამედროვე საზოგადოებაში კიდევ უფრო გაერცელებული ფიგურაა ზომბი – დაპროგრამებული არსება („მანქურთი“), რომელიც ყოველგვარ პიროვნულ ღირსებას და დამოუკიდებელ აზროვნებას მოკლებულია. ეს არის მასის კაცი. იგი იმ მაგნიტოფონს ჰგავს, რომელიც ტელევიზორზეა მიერთებული და მის გარეშე მოქმედება და ფუნქციონირება არ შეუძლია.

პოსტთანამედროვე საზოგადოების ადამიანი მოკლებულია ყოველგვარ ასკეტიზმს. ის მხოლოდ ერთი დღისთვის ცხოვრობს. იგი ფაქტობრივად არ ფიქრობს ხვალინდელ დღეზე, ხოლო შორეული მომავალის ცნება მისთვის სრულიად უცხოა. მისი ცხოვრების მთავარი სტიმული პროფესიული და ფინანსური წარმატებაა, რომელსაც უნდა მიაღწიოს არა ცხოვრების ბოლოს, არამედ ამწუთას, ახლა და აქ. რაც შეიძლება მალე. ამ ამოცანის შესასრულებლად კი ცხოვრების ნებისმიერი წესი, სტილი და სტრატეგიაა მისაღები. თუნდაც ყველაზე ამორალურიც კი. თუკი მოდერნისტული საზოგადოების ადამიანი იტყოდა: „აქა გდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს,“ პოსტმოდერნისტული საზოგადოების ადამიანი იტყვის: „ვდგავარ იქ სადც მინდა და როგორც მინდა.“ ამიტომ მას კლასიკური გაგებით მყარი, ერთხელ და სამუდამოდ მოცემული საყრდენი არა აქვს. მისთვის არ არსებობს ისეთი ცნებები, როგორებიცაა მემარჯვენე, მემარცხენე ან ცენტრისტი. შესაბამისად, არც მსგავსი

იდეოლოგიები. იგი ე. წ. „სოფტ-იდეოლოგიის“ მომხრეა, რომელშიც მშვიდობიანად თანაარსებობს ისეთი ფაქტები და მოვლენები, რაც ადრე ერთმანეთთან შეუთავსებელი და წინააღმდეგობრივი იყო. მსგავსი ვითარება რაღაც ნეოფატალიზმის მსგავს მოთოხს ქმნის, რომელშიც ადამიანი უმწეოდ გამოიყურება. იაპი ერთი შეხედვით თითქოს აქტიური, მოქმედი და თვითდაჯერებულია, მაგრამ მას მაინც არ მიეყენება აღორძინებისდროინდელი ფორმულა: „ადამიანი, რომელმაც საკუთარი თავი თვითონ შექმნა,“ რადგანაც შექმნილ ახალ სოციალურ სინამდვილეში ბევრი რამ შემთხვევითობაზე და თამაშზეა დამოკიდებული. იგი ვერ იტყვის, რომ ყველაფერი ნულიდან დაიწყო და ყოველივეს თვითონ მიაღწია. ამიტომაც არის ამგვარ საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული ათასგვარი ლატარეა და სათამაშო ბიზნესი.

პოსტთანამედროვე საზოგადოებაში დაკარგულია ინტერესი ყოველგვარი მიზნებისადმი. აქ არ არსებობენ დიადი მიზნები, იმიტომ რომ ზოგადად მიზანი არ წარმოადგენს არანაირ ღირებულებას. პოლ რიკიორის თქმით, დღეს შესამჩნევია „მიზნების ატროფია და საშუალებების ჰიპერტროფია.“ რაც ამ მიზნებითა და იდეალებით იმედგაცრუებამ გამოიწვია. მათ ვერ შესარულეს თავიანთი პირობა. ვერც ერთმა მოდერნისტულმა იდეამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. ამიტომ ადამიანებს მომავლის იმედი გაუქრა. იგი თითქოს ვიღაცამ მოიპარა.

მოდერნისტული საზოგადოება და ადამიანი ისტორიულობით ხასიათება. ის ისტორიულ დროში არსებობს. დროის ამგვარი აღქმა პოსთანამედროვეობაში უარყოფილია. მან ამოწურა თავისი თავი. ამიერიდან ადამიანი სიერცით აზროვნებაზეა ორიენტირებული, რადგანაც რეალობა რომელშიც ის აღმოჩნდა ჰიპერრეალობას წარმოადგენს, რომელშიც დროის ტრადიციული გაგება გამოუსადეგარია.

საზოგადოების პოსტმოდერნისტული ტრანსფორმაცია ყველაზე მეტად მტკივნეულად აისახება კულტურაზე. ამ შემთხვევაში კულტურული მეინსტრიმის რადიკალურ ცვლილებასთან გვაქვს საქმე.

პოსტთანამედროვე საზოგადოებაში გაბატონებულ მდგომარეობას იკავებს მასკულტურა, ხოლო მასში მოდა და რეკლამა. შექმნილ ახალ რეალობაში მოდა იმ როლსა და ფუნქციას ასრულებს, რასაც მოდერნისტულ საზოგადოებაში მითოსი, რელიგია, ფილოსოფია და მეცნიერება ასრულებდა. ის მოიცავს ყოველივეს და აკანონებს, რადგანაც ყოველივე რასაც მოდა არ შეხებია მიუღებლად ითვლება, არსებობის უფლება არა აქვს და კულტურის ელემენტად არ აღიქმება. ეს მეცნიერულ თეორიებსაც შეეხება. დღეს ყურადსაღები მხოლოდ მოდური მეცნიერული თეორიებია, რომელთა ღირებულება არა შინაგანი ღირსება და ჭეშმარიტების წედომაა. არამედ გარეგნული ეფექტები და მიმზიდველობაა. მოდაზე საუბრისას უნდა გვახსოვდეს, რომ ის ძალზე ჭირვეული ფენომენია, რომლის წინასწარ განჭვრეტა თითქმის შეუძლებელია. მისი ამგვარი ბუნება გარკვეულწილად მთელი პოსტთანამედროვე საზოგადოების არამყარი ბუნების განსაზღვრელი ხდება. მისი არამყარი, ეფემერული და მოუხელთებელი ბუნების შედეგად პოსტთანამედროვე

საზოგადოების წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელი ხდება. ფრანგი სოციოლოგის ჟ. ლიოვეცის თქმით, ამგვარი საზოგადოება სიცარიელისა და ეფემერულობის იმპერიას წარმოადგენს.

აქვე აღსანიშნავია აგრეთვე ის, რომ პოსტმოდენისტულ ტრანსფორმაციის განიცდიან ისეთი მყარი და ტრადიციული სოციალური ინსტიტუტები, როგორებიცაა ოჯახი და რელიგია. ამის მაგალითებია ე. წ. „ერთჯერადი ოჯახების გაჩენა," „თავისუფალი სექსუალური ცხოვრების" პროპაგნდა და სხვა. რელიგიის სფეროში ადამიანისა და საზოგადოების დესაკრალიზაცია, რელიგიური ცხოვრების ვირტუალიზაცია, პროფანაცია და ა. შ.

პოსთანამედროვე საზოგადოებაში თითქმის ყველაფერი თეატრალიზებულია. ნებისმიერი სახის მოვლენა პრაქტიკულად ეფემერული სპექტაკლისა და შოუს ნაწილებია მხოლოდ.

პოსტთანამედროვე საზოგადოებისა და ადამიანის ეს ფრაგმენტული დახასიათება იმისთვის დაგვჭირდა, რომ გვეჩვენებინა თუ რა გამოწვევების წინაშე იმყოფება მოდერნისტული სოციოლოგია, რომელიც რადიკალური პოსტმოდენისტული სოციოლოგიის წარმომადგენლის ჟან ბოდრიარის მიხედვით, უძლურია მათ წინაშე. ამიტომ დღის წერიგში დგება ალტერნატიული სოციოლოგიის შექმის აუცილებლობა. პოსტმოდერნისტული დისკურსი კითხვის ნიშნის ქვეს აყენებს მოდერნისტული სოციოლოგიის, არა როგორც ეპისტემოლოგიის, არამედ ზოგადად, როგორც საზოგადოების შესახებ თეორიის არსებობას. ბოდრიარის თქმით, მოდერნისტულმა სოციოლოგიამ ამოწურა თავისი თავი. უფრო მეტიც, დღეს მისი კვლევის საგანი, როგორც ასეთი არ არსებობს. მოდერნისტული სოციოლოგია სოციუმის ტოტალობაზე იყო ორიენტირებული, რაც პოსტთანამედროვე სოციოლოგიაში მიუღებელია. ტოტალურმა სოციუმმა ტოტალური დეკონსტრუქცია განიცადა. გარდა ამისა კლასიკურ სოციოლოგიაში საზოგადოების ტიპოლოგიის განმსაზღვრელი ფაქტორი ეკონომიკა იყო, რაც პოსტთანამედროვე სოციოლოგიამ უარყო. მის მიხედვით, ტრადიციული გაგებით ეკონომიკა, ტრანს და ვირტუალურმა ეკონომიკამ შეცვალა. თუკი მოდერნისტული სოციოლოგიის საგანი მოდრენისტული საზოგადოება იყო და თანამედროვე გაგებით სოციოლოგია, ამ ტიპის საზოგადოების ანალიზის შედეგად გაჩნდა. დღეს სახეზეა მოდერნისტული საზოგადოების ტრანსსაზოგადოებად გადაქცევა, რომლის შესწავლაში მოდერნისტული სოციოლოგია უძლურია. პოსტსაზოგადოება პოსტსოციოლოგიამ უნდა გაანალიზოს, რომელიც ახალი განზომილების სოციოლოგია იქნება. რასაც ბევრი თანამედროვე მკვლევარი სოციოლოგიის სიკვდილად მიიჩნევს, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის. ამ შემთხვევაში სოციოლოგიის ახალ, არამოდერნისტულ მოდელზეა საუბარი, რომელსაც კვლევის მოდერნისტულისაგან განსხვავებული საგანი გააჩნია. ბოდრიარის მიხედვით, ეს მართლაც კლასიკური სოციოლოგიის სიკვდილია, რადგანაც კლასიკური გაგებით სოციალური სინამდვილე უკვე აღარ არსებობს. ამას ბოდრიარის ენაზე „სოციალურის სიკვდილი" ჰქვია.

ამიერიდან პოსტსოციოლოგიის საგანია პოსტსაზოგადოება, ე. წ. ჰიპერსაზოგადოება (ამგვარი საზოგადოება ბოდრიარმა აღწერა თავის მხატერულ-ფილოსოფიურ ესეიში „ამერიკა“). მოდრენისტული სოციოლოგია სოციალურის მარადიულობის შესახებ შეხედულებას ამკვიდრებდა. თუმცა ამგვარი შეხედულების მართებულობა დღეს კითხვის ნიშნის ქვეშ უნდა დავაყენოთ, რამდენადაც ამიერიდან სოციალური სიმულირებულია. ის მასა, რომელიც პოსტთანამედროვე საზოგადოებას ქმნის, სოციალურობას, სოციალურ ბუნებას მოკლებეულია ანუ რაიმე სახის სოციოლოგიურ რეალობას არ წარმოადგენს. სოციალურ რეალობას ვირტუალური ჰიპერსაზოგადოება ჩაენაცვლა, რომელიც სოციალურის ახალ განზომილებას წარმოადგენს. ბოდრიარის აზრით, მას რაიმე სახის კონკრეტული განსაზღვრულობა არ გააჩნია. გარკვეულობის არ ქონაა მისი გარკვეულობა. საზოგადოების ამ ახალი ტიპის – პოსტსაზოგადოების ანალიზმა, ბოდრიარი მისდა უნებლედ სოციოლოგიის ახლი ტიპის – პოსტსციოლოგიის იდეამდე მიიყვანა. ამიტომ ბოდრიარის სამიზნედ იქცა მომხმარებლური საზოგადოება თავისი რეკლამით, ყოველდრიურობით, ტოტალური თავისუფლებითა და სიმულაციებით. დიდ ნარაციებზე უარის თქმამ სოციოლოგიაში ახალი მოდელის – პოსტსოციოლოგიის აუცილებლობა გამოიწვია. სოციოლოგიის ამგვარი მოდელის აე-კარგიანობაზე დღეს საუბარი ძალზე ძნელია. თუ როგორ იქნება მისი მომავალი ამას ალბათ დრო გვაჩვენებს.

"The Social Death " and a Model of Transsociology

Kakha Ketsbaia
Doctor of Sociological Sciences
Professor of Sukhishvili Teaching University
E-mail: KetsbaiaK@mail.ru Tel: 599-39-31-07

Resume

Postmodern transformations of man and society set new challenges to modern sociology which failed to answer them. Therefore it became necessary to form an alternative sociology. Postmodern discourse questions existence of modern sociology not as epistemology but as a theory of society in general. As Baudrillard shows modern sociology has exhausted itself, even more, nowadays it has no subject to study. Modern sociology was oriented to totality and it is unacceptable for postmodern sociology. Total society underwent total deconstruction. Besides, in classical sociology economics was the factor determining typology of society. Postmodern sociology rejects such a position. According to postmodern sociology economics in a traditional sense of the word is replaced by trans and virtual economics. If the subject matter of modern sociology was modern society and sociology came into existence in result of analysis of such type of society, today we see that modern society has turned into trans-society and modern sociology is unable to study it. Post-society is to be analyzed by post-sociology which will be a sociology of a new dimension though many contemporary scientists think that it is death of sociology. But it is not correct. In this case we speak about a new non-modern model of sociology which has a different subject of research. A new type of society has replaced modern society and consequently traditional sociology is replaced by trans-sociology.

ქვეყნის ტერიტორიაზე ეკონომიკური და დემოგრაფიული ექსპანსიის საფრთხეები და მათი საწინააღმდეგო ქმედებები

გელა ხუციშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
სუხიშვილის უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი
Tel: 579-19-10-01
ზვიადი სუხიშვილი
საჯარო მმართველობის IV კ. სტუდენტი

მესამე ათწლეულის დასაწყისისათვის მნიშვნელოვნად გაფართოვდა და ნაკლებად პროგნოზირებადი გახდა სახელმწიფოს უსაფრთხოების სფეროში შესაძლო პრობლემათა სპექტრი, რომელთაც შეუძლიათ სერიოზული საფრთხე შეუქმნან თვით სახელმწიფოს არსებობას.

ყოველი სახელმწიფოს პოლიტიკის უმთავრესი პრინციპი უნდა იყოს: სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის და საზღვრების ურღვეობის პრინციპების ურთიერთპატივისცემა.

როგორც ცნობილია, სახელმწიფო სუვერენიტეტში მოიაზრება, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფოს ხელისუფლების უზენაესობა, დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება საერთაშორისო ურთიერთობებში და სხვა სახელმწიფოების სუვერენიტეტის პატივისცემა, რაც საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერტობების ძირითადი პრინციპია და ოფიციალურად დამტკიცებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებითა და სხვა საერთაშორისო აქტებით.
არ არსებობს არცერთი სახელწმიფო, რომელიც არ აღიარებს სუვერენიტეტის ძირითად პრინციპებს. განსაკუთრებით, როცა საკითხი ეხება მისსავე სახელმწიფოს ტერიტორიებს.

მესამე ათასწლეულის დასაწყისში საგრძნობლად იმატა ცალკეული სახელმწიფოების სუვერენიტეტის ხელყოფის საფრთხებმა, განსაკუთრებით პოსტ-საბჭოურ სივრცეში ახლადწარმოქმნილ ქვეყნებში. სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობაზე თავდასხმა ან მისი ხელყოფის მცდელობა რა ფორმითაც არ უნდა ელინდებოდეს იგი საფრთხეს უქმნის ქვეყნის სუვერენიტეტს.
ერთ-ერთი გავრცელებული პრაქტიკა სახელმწიფოს სუვერენიტეტის ხელყოფისა, არის ქვეყნის ცალკეულ მონაკვეთებზე ან მთლიანად სახელმწიფოში ეკონომიკური და დემოგრაფიული ექსპანსიის პერმანენტული განცორციელება.
საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ნებისმიერ სახელმწიფოს ყოველთვის ჰქონდა საკუთარი ინტერესების ფართო სპექტრი, რომელიც ნაწილობრივ ან მთლიანად არ ემთხვეოდა მეზობელი, მათ შორის პარტნიორი სახელმწიფოს ინტერესებს.

ნებისმიერი სახელმწიფოსათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეკონომიკური ინტერესების მდგრადობა, ხოლო ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციისათვის ბრძოლა, როგორც წესი ქვეყანაში წარმოშობს არასტაბილურობას.

ეროვნული ინტერესების პრიორიტეტების განსაზღვრა და მათი სწორი გადაბმა ქვეყნის პოტენციალზე იძლევა შესაძლებლობას მოიძიებს ერთადერთი და მართებული არჩევანი, რომლის რეალიზებაც საშუალებას მისცემს სახელმწიფოს დაიმკვიდროს ადგილი მსოფლიო ეკონომიკის სფეროში, რაც პოლიტიკური დამოუკიდებლობის უმნიშვნელოვანესი პირობაა. თანამედროვე ისტორია გვიჩვენებს, რომ ეკონომიკურ ურთიერთობებში რეალური ადგილის დამკვიდრება მხოლოდ იმ ქვეყნებს შეუძლიათ, რომლებსაც შესწევთ ძალა, უზრუნველყონ თავისი სახელმწიფოს ეკონომიკური დამოუკიდებლობა გეოპოლიტიკურ სივრცეში. ამასთან

აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს მთელი რიგი წამყვანი სახელმწიფოების მცდელობანი აქტიური ქმედებებით გაზარდონ თავიანთი გავლენა გეოპოლიტიკურ სივრცეში.

ცნობილი დასავლელი პოლიტიკოსების მოსაზრებები ნათელყოფს, რომ წამყვანი სახელმწიფოების ხელისუფლებები და პოლიტიკური წრეები არც თუ დიდი ენთუზიაზმით ეკიდებიან მნიშვნელოვან საკვანძო გეოპოლიტიკურ რეგიონებში მდგრადი ეკონომიკური და პოლიტიკური ძალის მქონე დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმოქმნას. ამ პროცესზე ზემოქმედების მნიშვნელოვანი ბერკეტია სუვერენული სახელმწიფოს ეკონომიკური და დემოგრაფიული ექსპანსიის ხელშეწყობით მისი ტერიტორიული დაშლა.

თითოეული დამოუკიდებელი სახელმწიფო თუ იგი დაინტერესებულია თავისი სუვერენიტეტით, მზად უნდა იყოს წინ აღუდგეს თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე უცხო სახელმწიფოს ეკონომიკურ ექსპანსიას.

„ექსპანსიის" ცნებას ორგვარი გაგება აქვს:

წამყვანი სახელმწიფოს, საზოგადოებრივი ჯგუფების, ორგანიზაციების გავლენის სფეროების გაფართოება, ძალადობრივი, იძულებითი ლობისტების მეშვეობით ან სხვა რაიმე ფორმით.

პირველსაწყისი არეალის მიღმა ნებისმიერი ინტერესების გაფართოება, გავრცელება.

სწორედ ზემოთქმული ეკონომიკური ექსპანსიის ნიშნები ახასიათებს პოსტსაბჭოურ სივრცეში ახალწარმოქმნილ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს, რომელსაც განვითარებული სახელმწიფოები ახორციელებენ. ამგვარი პროცესების ლოგიკური შედეგი იქნება დამოუკიდებელი სახლმწიფოების ფაქტობრივი სუვერენიტეტის ლიკვიდაცია და მათი რეგიონებად დაყოფის პროცესი.

პრაქტიკულად დადასტურებულია, რომ გარე ეკონომიკური ექსპანსია ჩვეულებრივად ფრიად მრავალფეროვანი ფორმითა და მეთოდებით მიმდინარეობს. იგი ფაქტიურად მოიცავს პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს ყველა სასიცოცხლო სფეროს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოსტსაბჭოურ სივრცეში წარმოშობილი დამოუკიდებელი სახელმწიფოებისათვის ეკონომიკური ექსპანსია სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს, მაგრამ კიდევ უფრო დამანგრეველია მისი შედეგები აქტიური დემოგრაფიული ექსპანსიის ფონზე. ამგვარი მრავალსახეობით ექსპანსიის საბოლოო შედეგი შეიძლება გახდეს ჯერ ეკონომიკური დამოუკიდებლობის, ხოლო შემდეგ ქვეყნის სუვერენიტეტის საბოლოო დაკარგვა და ქვეყნის დაშლა რამდენიმე სახელმწიფო წარმონაქმნად.

ეკონომიკური ექსპანსია პირველყოვლისა მიმართულია პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სასიცოცხლო მნიშვნელობის ინტერესების დეზორიენტაციისაკენ, როგორც სახელმწიფოს მთელს ტერიტორიაზე, ასევე განსაკუთრებით მის განაპირა სასაზღვრო რეგიონებში განსაკუთრებული ფარული ზეწოლის ქვეშ ექცევა ეკონომიკურ სფეროში პიროვნების კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების პრინციპები.

ამგვარი ზეწოლის მახასიათებლებია:

მოქალაქეთა ქონებრივი უსაფრთხოების ხელყოფა;

მაქსიმალური მოგების მიღება მოქალაქეთა ტოტალური ძარცვის ხარჯზე, მათთვის მინიმალური მატერიალური საშუალებების ჩამორთმევა;

ეროვნული თანხმობის დარღვევა, მთლიანად სახელმწიფოში და განსაკუთრებით მის საზღვრისპირა რეგიონებში;

ეკონომიკურ ურთიერთობებში კრიზისული პროცესების გამოწვევა;

პერიფერიებში ეკონომიკური და სოციალური დონის დაქვეითება;

ქვეყნის ეკონომიკური და ტერიტორიული მთლიანობის თანდათანობით დაკარგვა.

ეკონომიკური სფეროს სული პარალიზება მრეწველობის ძირითადი დარგების ფაქტიური ლიკვიდაციის გზით;

მეზობელ სახელმწიფოებთან ეკონომიკური კავშირების მოშლის პროვოცირება, ახალი კავშირების შექმნის პროცესის დამუხრუჭება და უკვე არსებული გასაღების ბაზრის სრული დაკარგვა;

ქვეყნის სტრატეგიული სასიცოცხლო ობიექტების პრივატიზაცია და ამ პროცესში კორუფციული გარიგების წახალისება;

ამგვარი ქმედებების საბოლოო მიზანია სახელმწიფოს, როგორც მსოფლიო ეკონომიკის დამოუკიდებელი სუბიექტის ლიკვიდაცია. ამ ღონისძიებების განხორციელება ძირითადში სხვადასხვა ჯგუფის „მრჩეველების" და საზოგადოების ორგანიზაციებისა და სხვათა მეშვეობით ხდება.

ხშირ შემთხვევაში პროცესების დაჩქარების მიზნით ეკონომიკური ექსპანსია გადახლართულია დემოგრაფიულ ექსპანსიასთან. ამგვარი ფაქტები ძირითადში საზღვრისპირა რაიონებში ხორციელდება. ამ მიზნით აქტიურად მოქმედებენ სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები, რომელთა ფინანსირება საზღვარგარეთ დაფუძნებულია „ფონდებისა" და საეც სამსახურეობის მიერ ხდება, მათი საქმიანობა მაპროვოცირებელ როლს თამაშობს. ქვეყნის განაპირა რაიონების ჩამოცილების და გეოპოლიტიკურად დომინირებული სახელმწიფოს ნაწილებად დაყოფის საქმეში.

ინტენსიურად იზრდება არალეგალურ მიგრანტთა ნაკადი მეზობელი სახელმწიფოებიდან და მესამე ქვეყნებიდან ვითარდება არალეგალური ეკონომიკური საქმიანობა მიწის და ტყის დიდი მასივები საკანონმდებლო ლაფსუსების გამო საეჭვო მოქალაქეობის მქონე პირების ხელში ხვდება. ამ ტერიტორიაზე იქმნება ახალი დასახლებები. გარკვეული ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად აბორიგენი მოსახლეობა ტოვებს მამაპაპისეულ საცხოვრისს. ამგვარი ვითარების ფონზე სერიოზულად იძაბება ურთიერთობები ადამიანთა ცალკეულ ჯგუფებს შორის.

ეკონომიკური და დემოგრაფიული ექსპანსიის მძიმე შედეგების გასანეიტრალებლად საჭიროა ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე კომპლექსური ღონისძიებების გატარება, რომელიც უნდა იყოს არა მარტო კარგად გათვლილი, არამედ რეალიზებადიც.

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ექსპანსიის საწინააღმდეგოდ გატარებული ღონისძიებები სასაზღვრო რაიონებში ერთიანი სისტემის შემადგენელი ნაწილი გახდეს, იყოს დეტალურად დაგეგმილი, ორგანიზებულად ხარისხიანი, აქტიური და მუდმივმოქმედი.

ეკონომიკური და დემოგრაფიული ექსპანსიის ნაწინააღმდეგო მოქმედების ეფექტურობიდან გამომდინარე – აუცილებელია:

მაღალეფექტური საკანონმდებლო ბაზა;

აღმასრულებელი ხელისუფლების კონკრეტული მიზანმიმართული მოქმედება;

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ურთიერთმოქმედება ცენტრალური ხელისუფლების აღმასრულებელ სტრუქტურებთან;

მეზობელ მოსაზღვრე სახელმწიფოების შესაბამის სტრუქტურებთან მჭიდრო სამართლებრივი და პრაქტიკული საქმიანობა;

ეკონომიკური და დემოგრაფიული ექსპანსიის საწინააღმდეგო მოქმედება ხელისუფლებისაგან მოითხოვს:

არ დაუშვას ქვეყნის ეკონომიკური სუვერენიტეტის დაკარგვა;

სრულიად გამორიცხოს ქვეყნის ტერიტორიული ცვლილებები და უზრუნველყოს სოციალურ-დემოგრაფიული სტაბილურობა.

ნებისმიერი სახელმწიფო იმისდამიუხედავად როგორი ურთიერთობა აქვს მეზობელ სახელმწიფოებთან ეკონომიკურ და დემოგრაფიულ საკითხებში პირველ

ყოველისა, საკუთარი ეკონომიკური და სოციალური ინტერესებით ხელმძღვანელობს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად მეზობელ სახელმწიფოებთან კეთილმეზობლური დამოკიდებულებებისა ეროვნული ინტერესების პრიმატი ყოველთვის უნდა დომინირებდეს.

ეკონომიკური და დემოგრაფიული ექსპანსიისაგან ქვეყნის და განსაკუთრებით მისი სასაზღვრო რაიონების დასაცავად გასატარებელია მთელი რიგი გადაუდებელი ღონისძიებები. მათგან უმნიშვნელოვანესია:

ნორმალური საკანონმდებლო აქტების შემუშავება, რომლებიც ხელს შეუშლიან ეკონომიკური და დემოგრაფიული ექსპანსიის გავრცელებას ქვეყნის ტერიტორიაზე ან მის ცალკეულ რეგიონებში;

სასაზღვრო, საბაჟო, საემიგრაციო, ვეტერინალური და ფიტოსანიტარული კონტროლის ეფექტურობის ამაღლება;

ეფექტურობის დეზინფორმაციის სრული აღმოფხვრა;

ქვეყნიდან კაპიტალის, სტრატეგიული მნიშვნელობის რესურსების და საქონლის გატანის აღკვეთა, ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის აუცილებელი დაცვა ნებისმიერი ხელყოფისაგან.

ქვეყნის განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში, მის ტერიტორიულ და შიდა წყლებში სხვა სახელმწიფოთა მიერ ზღვის ბიოლოგიური რესურსების მტაცებლური მოპოვების აღკვეთა.

ქვეყნის ეკონომიკაზე უცხო ქვეყნების კაპიტალის გადამწყვეტი გაელენის შეჩერება;

საზღვარგარეთის ბაზრებზე ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური პოზიციების აღდგენის ხელშეწყობა;

უცხოელი პარტნიორების მიერ ფორსირებული ეკონომიკური კავშირების სისტემის განეიტრალება, როგორც საფრთხის, რომელიც თანდათან გადააქცევს ქვეყანას სხვა განვითარებული სახელმწიფოებისათვის ნედლეულის დანამატად, რათა არ მოხდეს ქვეყნის მთლიანი დამოკიდებულება ტექნოლოგიებისა და პროდუქციის ექსპორტზე;

ქვეყნის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის ეკონომიკური დაზვერვის სამსახურების საქმიანობის აღკვეთა;

შიდა მიგრაციული ცენტრისკენული პროცესების შეჩერება.

დემოგრაფიული ექსპანსიის საწინააღმდეგო ზომების გამკაცრება და წარმოქმნილი მძიმე დემოგრაფიული ფონის დაუყოვნებლივ განეიტრალება. განსაკუთრებით საზღვისპირა რაიონებში.

ემიგრანტულ ორგანიზაციებთან დიასპორებსა და წარმომადგენლებთან, სხვადასხვა ფონდებთან პროფილაქტიკური მუშაობის გატარება.

მოსახლეობის მიგრაცია განსაკუთრებით განაპირა სასაზღვრო რაიონებიდან ქვეყნის შიგნით მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია ეკონომიკური და დემოგრაფიული ექსპანსიის ხელშეწყობისათვის.

ეს პროცესი გაელენას ახდენს რეგიონის ეკონომიკური მოღვაწეობის დაქვეითებისა და შემდგომ მთლიანად შეწყვეტაზე: მცირდება და შემდგომში მთლიანად წყვეტს თავის საქმიანობას სამრეწველო საწარმოები, სათბობენერგეტიკული კომპლექსები, სოციალური სფეროს საწარმოები, ამ ჯაჭვური რეაქციის შედეგად მთლიანად სუსტდება რეგიონის პოტენციალი.

იმავდროულად, მეზობელი სახელმწიფოს გამოთავისუფლებული მოსახლეობა პერმანენტურად იწყებს დასუსტებული სასაზღვრო რეგიონის შეესებას, ფაქტიურად არალეგალური მიგრაციის გზით, ეს ხალხი იწყებს აქტიურ სამეურნეო საქმიანობას, ხოლო მოგვიანებით ავითარებს საწარმოო სფეროს.

საბოლოოდ ამგვარ ქმედებას ეძლევა სეპარატისტული შინაარსი და შესაძლოა კონკრეტული რეგიონის ძირითადი სახელმწიფოდან მოწყვეტა გამოიწვიოს.

დიდი სახელმწიფოების ინტერესების დაპირისპირება ხშირად ლოკალური ეთნოკომფლიქტების მაპროვოცირებელია, რომლებიც ერთ-ერთი დაინტერესებული

მხარის მიერ იმართება. უკანასკნელი ათწლეულის პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ დიდი სტრატეგიული ინტერესები იწვევს არა ფართო, არამედ მიკრორეგიონალურ შეჯახებებს იმ შემთხვევაში, თუ ინტერესების სფეროში მოქცეული რეგიონი თავისი სოციალურ – ეკონომიკური და ეთნიკური მდგომარეობით მომზადებულია პროვოკაციისათვის.

დასასრულს, ნებისმიერი სახელმწიფოს პოლიტიკა და განვითარების სტრატეგია უნდა ბაზირებდეს ორ საფუძველზე პუმანური მიმართულება სამართლებრივი ხელისუფლება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია 1995 წ.
2. საქართველოს კანონი მოქალაქეობის შესახებ 1993 წ
3. ლ. მელიქიშვილი – უსაფრთხოების სტრატეგიის ეთნიკური ასპექტები თბილისი 2002 წ.
4. ოქსანა ანტონენკო – სახელმწიფოებრიობა და უსაფრთხოება „გაყინული გაურკვეველობა" 2006 წ. გვ. 270
5. ლ. ალექსიძე – მოსახლეობა და საერთაშორისო სამართალი 1998 წ. გვ. 171

Threats of economic and demographic expansion in the country and opposite actions

Gela Khutsitshvili
Doctor of Historical Sciences
Professor of Sukhishvili Teaching University
Tel: 579-19-10-01
Zviad Sukhishvili
Student of Sukhishvili Teaching University

Resume

The work discusses possible threats of economic and demographic expansion in the country. Some aspects of elimination and neutralization of the above – mentioned threats are analyzed.

სამხედრო საქმის ორგანიზაცია საქართველოში
ა)უძველესი დროიდან ახ.წ. V საუკუნის ბოლომდე
ბ)შუა საუკუნის VI-ის ბოლოდან XVIII ს-ის ბოლომდე

გელა სუციშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
სუხისვილის უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი
Tel: 579-19-10-01
თეონა მოსიაშვილი
საერთაშორისო ურთიერთობების II კ. სტუდენტი

პირველყოფილი საზოგადოების დროს, მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონიდან გამომდინარე, ომი ამ სიტყვების სრული მნიშვნელობით (ე.ი. პოლიტიკური ხასიათის ორგანიზებული შეიარაღებული ბრძოლა) არ წარმოებდა. ადგილი ჰქონდა მხოლოდ შედარებით მცირე მაშტაბის შეტაკებებს ტომთა შორის შურისძიების ნიადაგზე ან საძოვართა და სანადირო თუ სათევზაო სავარგულებისათვი. ბრძოლა წარმოებდა იმაზე იარაღით, რომლითაც შრომობდნენ ან ნადირობდნენ.

სახელმწიფოს გაჩენის შემდეგ ომი მათი რეგულარული ფუნქცია ხდება და ომების წარმოებისათვის იქმნება სპეციალური შეიარაღებული ორგანიზაცია - ლაშქარი. მისი ბრძოლისუნარიანობა დამოკიდებული იყო რიგ ფაქტორებზე, რომელთაგან აღსანიშნავია: წარმოების განვითარების დონე, ჯარების დაკომპლექტების პრინციპი, ტექნიკური აღჭურვილობა, სამხედრო ოსტატობა და საბრძოლო მორალური განწყობა.

წარმოდგენილ თემაში ჩვენ შევეხებით: სამხედრო საქმის ორგანიზიას საქართველოში მის განვითარების ეტაპებსა და დაკომპლექტების პრინციპებს საქართველო თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით უძველესი დროიდან იზიდავდა დიდ იმპერიებს, რომლებიც ძალუმად ცდილობდნენ ჩვენს ქვეყანაში გაბატონებას.

საბრძოლო სულს ქართველ კაცს პატარაობიდანვე უნერგავდნენ, სამხედრო მნიშვნელობა ენიჭებოდა ნადირობას, სხვადასხვა სახის სპორტულ და ხალხურ თამაშობებს საცხენოსნო სპორტის ისეთ სხაობებს, როგორიცაა ყაბახი, ისინდი, მარულა, მკერდაობა, მთიდან დაშვება და სხვა. ისინი წარმოადგენენ მომავალი მეომრის გაწვრთნის ერთ-ერთ საშუალებას. სწორედ ამას გულისხმობს ბიზანტიაში მოღვაწე ცნობილი ქართველი მხედართმთავარი გრიგოლ ბაკურიანის ძე, როდესაც ქართველ კაცზე ამბობს: „ქართველნი ვართ ნათესავით მხნენი და მხედრობით აღზრდილნი და მარადის ჭირეულისა ცხოვრებას ჩვეულნო".

კოლხებისა და იბერიელების სამხედრო საქმის ორგანიზაიაცს შესახებ საკმაოდ მწირი ცნობები გაგვაჩნია, თუმცა ზოგადი წარმოდგენის შექმნას ეს მონაცემები მაინც იძლევიან. ძირითადი წყარო ასურეთისა და ურატრტუს მეფეთა წარწერებია, სადაც საუბარია მათ ბრძოლაზე ქართველურ ტომებთან, უძველეს ქართულ სახელმწიფოებრივ გაერთიანებებში (კოლხეთი-კოლხა-დიაოხი) ასურულ ბერძნულ თუ ურარტული წყაროების ცნობით ჩამოყალიბებულ სამხედრო სისტემა არსებობდა.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა განსაზღვრავდა მეფის თუ ადგილობრივი დიდებულების მიერ გამოყვანილი ჯარი, ასევე ციხე-სიმაგრეთა მთელი სისტემა. ქართველური ტომების სამხედრო საქმის ორგანიზაციის შესახებ ერთ-ერთ პირველ დოკუმენტურ აღწერილობას ვხვდებით ძ.წ. V საუკუნის ბერძენ ავტორ ქსენოფონთან. იგი პროფესიით სამხედრო იყო, რომელიც სპარსეთის მეფის კიროსის ჯარში მსახურობდა. სამშობლოში დაბრუნებისას მან ქართველური ტომებით დასახლებულ ტერიტორიაზე იმოგზაურა. ქსენოფონტე მოგვითხრობს ერთ-ერთ ქართველურ ტომთან მაკრონებთან მოლაპარაკების ამბავს.

ქართლის სამეფოს ჩამოყალიბების შემდეგ ბუნებრივია, სახელმწიფო მნიშვნელოვნად ზრუნავდა მძლავრი სამხედრო ორგანიზაციის შექმნაზე, ფარნავაზის ადმინისტრაციული რეფორმები, შეიძლება მივიჩნიოთ იგივე სამხედრო რეფორმებად, ვინაიდან ერისთავი რეგიონიდან გამომავალ ჯარის სარდლად ითვლებოდა და სპასპეტს ემორჩილებოდა. ძვ. წ. I საუკუნეში რომის ექსპანსიის შედეგად საქართველო რომის გაელენის ქვეშ მოექცა. იგი ხან რომის სამხედრო მოკავშირეა, ხან უპირისპირდება მას. ფარსმან I და ფარსმან II საქართველოს ეგიდით ქმნიან სამხედრო კოალიციებს ჩრდილო კავკასიელი ტომების მონაწილეობით. ისევე, როგორც მთელს მსოფლიოში ომი სახელმწიფოს რეგულარული ფუნქცია ხდება და ომების წარმოებისათვის იქმნება სპეციალური შეიარაღებული ორგანიზაცია – ლაშქარი. მისი ბრძოლის უნარიანობა დამოკიდებული იყო რიგ ფაქტორებზე, რომელთაგან აღსანიშნავია: ჯარების ორგანიზაციული-საშტატო პრინციპები, რომელიც ძირითადად მილიციურ პრინციპებზე იყო აგებული. დაკომპლექტების მილიციური პრინციპები გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში ქვეყნის თავისუფალი მოქალაქეობის გაწვევას ლაშქარში, რომელიც ომის დამთავრების შემდეგ ისევ იშლებოდა. ძველი აღმოსავლეთის სამხედრო ორგანიზაციის პრინციპი საქართველოშიც ერცელდებოდა ამიტომ შეგვიძლია ანალოგიის გათვალისწინებით ვიმსჯელოთ ქართული ჯარის ორგანიზაციის ფუნომენზე. სამხედრო სამსახურში 17 წლიდან იწვევდნენ, მეომარი 45 წლამდე ლაშქრობაში მონაწილეობდა, 45 წელზე ხნიერი კი რეზერვში იმყოფებოდა ან გამაგრებულ პუნქტებს იცავდა.

მილიციის გარდა ქართულ შეიარაღებულ ძალებში ისევე, როგორც ძველ სახელმწიფოებში. პროფესიონალ მეომართაგან შემდგარი მუდმივი სამხედრო ფორმირებებიც შედიოდა. ეს იყო მეფეთა გვარდია. ქართველური ტომების შეიარაღებულ ორგანიზაციაში ჯარის მთავარი გვარეობა, როგორც წესი, ქვეითი ლაშქარი იყო. თუმცა მსუბუქი კავალერიაც საგრძნობ ძალას წარმოადგენდა.

ძვ. წ. VIII-VII-II-ში ამიერკავკასიას გრიგალივით გადაუარეს ევრაზიის ველებიდან შემოჭრილმა მომთაბარე ტომებმა – კიმერიელებმა და სკვითებმა. სამხედრო საქმის განვითარების თალსაზრისით ამან ჩვენს წინაპრებს მსუბუქად შეიარარებული ცხენოსან მოისართა ტაქტიკა და საჭურველი გააცნო. სკვიტებთან და კიმერიელებთან შეჯახებებში მიღებული გამოცდილება დაემატა იმ ცოდნას, რაც ქართველურ ტომებს დაგროვილი ჰქონდათ ძველი აღმოსავლეთის მძიმედ შეიარარებულ მეომრებთან ბრძოლების შედეგად ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ქართულ სამხედრო ორგანიზაციაში. გარკვეულ როლს ასრულებდნენ ჩრდილო კავკასიის მეომარი ტომების რაზმები. თანამედროვე ჩეჩნების, ინგუშების, დაღესტნელების, ოსებისა და სხვა ხალხების წინაპრები, მოქირავნეობისა და მოკავშირეების საფუძველზე მოდიოდნენ იბერიის მეფეთა სამსახურში. ჩრდილო-

კაკასიელთა ძალებს იბერები, როგორც წესი, დიდი სამხედრო კომპანიის დაწყების წინ იწვევდნენ.

ისტორიული წყაროები მოწმობენ, რომ იბერიას, თავისი სამხედრო ძლიერების ხანაში სამხედრო ძალების სრული მობილიზაციის შემთხვევაში შეეძლო გამოეყვანა მრავალრიცხოვანი ლაშქარი, დაახლოებით 60-80 ათას მეომრამდე. ამ ძალების ერთ მეოთხედს ე.ი. 15-20 ათას კაცს, ცხენოსანი ჯარი შეადგენდა.

მოქნილი სამხედრო ორგანიზაცია, ჯარების მაღალი ბრძოლისუნარიანობა, საბრძოლო საულისკვეთება და სამხედრო ხელოვნება, ქვეყნის გეოგრაფიული თავისებურებანი და ციხესიმაგრეთა განვითარებული სისტემა – აი ის სტრატეგიული ფაქტორები, რომლებმაც განაპირობეს ქართლის (იბერიის) სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება და განვითარება ხშირი ომებისა და უცხოელთა შემოსევის პირობებში.

საქართველოს სამხედრო პოლიტიკაში გარდამტეხი როლი შეასრულა ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან ახალმა რელიგიამ მთლიანად შეცვალა სახელმწიფო იდეოლოგია და სრულიად ახალი ფასეულობები დაამკვიდრა საზოგადოებაში ახალმა საგარეპოლიტიკურმა ორიენტირებმა ცვლილებები მოახდინა ქვეყნის სამხედრო დოქტრინაზე და შესაბამისად სამხედრო საქმის ორგანიზაციულ განეითარებაზე.

V საუკუნის II ნახევარში ქართლის სამეფოს ბრძოლის დამოუკიდებლობისათვის სათავეში ედგა ვახტანგ I გორგასალი. ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსს ჯუანშერს საინტერესო ცნობები აქვს დაცული ქართული ლაშქრის შემადგენლობასა და მის ორგანიზაციულ მოწყობაზე ლაშქარს წინ უძღოდა თოროსან ცხენებზე ამხედრებული მძიმედ შეჯურვილი რაზმი, მათ უკან იდგა ასევე მძიმედ შეიარაღებული. ქეცითი შუბოსანთა ჯარი, რომელსაც კელაე მსუბუქი კავალერია მოჰყვებოდა. აქვე იყო სარეზერვო ჯარი,



პერიოდს VI-ის მეორე ნახევრიდან XVII-ის შუა ხანებამდე ეწოდება შუა საუკუნეები. ეს მსოფლიო-ისტორიული ეპოქა ხასიათდება საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ფეოდალიზმის ბატონობით, რომელიც განელო მსოფლიოს ქვეყნების დიდმა ნაწილმა, მათ შორის საქართველომ.

ფეოდალური ურთიერთობების განმტკიცებასთან ერთად სახალხო მილიცია თანდათანობით გაქრა, ვინაიდან ქრება თავისუფალი გლეხობა, ანუ ის სოციალური ფენა, რომელიც მილიციისათვის ძირითად კადრებს იძლეოდა. მოსახლეობა დაიყო ორ მთავარ კლასად მებატონე ფეოდალებად და ყმა გლეხებად. ფეოდალური ურთიერთობები შემდგომმა ფაღრმავებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ქვეყნის სამხედრო ორგანიზაციაში. ბარში სამხედრო საქმე მთლიანად ფეოდალების (აზნაურების) მიერ იქნა მონოპოლიზებული. სამხედრო სამსახური საქართველოში ისევე როგორც დასავლეთ ევროპაში კასტური გახდა. მაგალითად „ეეფხისტყაოსანში" რუსთაველი მკვეთრად განასხავებს გლეხის და მხედარ მოლაშქრეთა საზოგადოებრივ ფუნქციებს: „რაცა ვის ბედმა მისცეს დასჯერდეს და მას უბნობდეს, მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს". სახალხო მილიცია, როგორც შეიარაღებული ორგანიზაციის ძირითადი ფორმა, შემოინახა მხოლოდ მთიან რაიონებში, სადაც ფეოდალურ ურთიერთობებს ღრმა ფესვები არ გაუდგიათ და მოსახლეობის მთავარი სოციალური ფენა თავისუფალი გლეხობა იყო.

საქართველოში აზნაურთა ცხენოსანი მილიცია, ფეოდალურ იერარქიაზე იყო დაფუძნებული. მსხვილი ფეოდალები (დიდებულები, დიდი აზნაურები) უშუალოდ მეფის დროშის ქვეშ საკუთარი ვასალების ლაშქარი გამოყავდათ. ყმა-აზნაურები ეკლესიასაც ჰყავდა

საქართველოს გაერთიანების შემდეგ (XI-ის ბოლო და XI ს-ის დასაწყისში) ქვეყნის სამხედრო ორგანიზაციამ შემდგომი განვითარება ჰპოვა თუ წინა პერიოდში შეიარაღებული ძალების უმაღლესი საორიენტაციო ერთეული იყო საერისთავოს ლაშქარი, სახელმწიფოს ტერიტორიის ზრდასთან ერთად სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულების რაოდენობის ზრდამ გამოიწვია ახალი, უფრო მსხვილი გაერთიანების საჭიროება, რომელიც რამოდენიმე საერისთავოს ძალებისაგან იქნებოდა შედგენილი, როგორც ჩანს უკვე XII პირველ ნახევარში სამეფოს სამი მთავარი სამხედრო რეგიონის ბაზაზე (1. აფხაზეთი, ანუ დასავლეთ საქართველო, 2. სამხედრო საქართველო და 3. ქართლი) ჩამოყალიბდა 1. აფხაზეთის ლაშქარი, ანუ შიდა სპა, 2. ზემო ლაშქარი; 3. ქართლის ლაშქარი.

ბრძოლაში ამ ერთეულებს, გარკვეულწილად ტაქტიკური დამოუკიდებლობა გააჩნდათ. შემდგომში ამ გაერთიანებათა რაოდენობამ ოთხს მიაღწია და მათ ბაზაზე შეიქმნა სამხედრო ოლქების სადროშობის სისტემა.

ამგვარად, ქართული ფეოდალური შეიარაღებული ორგანიზაციის მთავარი შემადგენელი ნაწილი აზნაურთა ცხენოსანი მილიცია იყო, გარდა ამისა, მეფეებსა და მთავრებს ჰყავდათ მცირერიცხოვანი მუდმივი რაზმები (ტაძრეულები). მთიელთა ქეეითი ლაშქარი, თავისი მნიშვნელობით ჩამოუვარდებოდა აზნაურთა მხედრობას.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს დავით აღმაშენებლის ეპოქა (1089-1125), რომლის მეფობით იწყება ფეოდალური საქართველოს „ოქროს ხანა", მან გაზარდა შეიარაღებული ძალების შემადგენლობა, მან ჩამოყალიბა მუდმივი ჯარის ახალი ფორმირება – მონასპა, რომელიც 5 000 მეომარს ითელიდა და გაქრისტიანებული უცხოელებისაგან შედგებოდა. გარდა ამისა, მეფემ სამხედრო სამსახურის პირობით აღმოსავლეთ ევროპის ველებიდან საქართველოში გადმოასახლა ყივჩაღთა დიდი რაოდენობა (40000 მეომარი, მათი ოჯახებით). ყივჩაღთა სამსახური მილიციური ხასიათის იყო. აღმოსავლეთ საქართველოს სასაზღვრო რაიონებში განსახლებული მათი ტომობრივი ჯგუფები ტრადიციულ მესაქონლეობას მისდევენ, საზღვრებს იცავდნენ და საჭიროების შემთხვევაში მსუბუქი ცხენოსანი რაზმები გამოჰყავდათ. მაქსიმალური ძალა, რომელიც დავითის ყივჩაღებს შეეძლოთ გამოეყვანათ ერთ ლაშქრობაში, სავარაუდოთ არ აღემატებოდა 15-20 ათას ხმალს, რაც ცხადია, ცოტა არ იყო მთლიანად კი დავით აღმაშენებელს თავისი მეფობის ბოლო წლებში შეეძლო ველზე გამოეყვანა 60 ათასი მეომარი.

ფეოდალურმა საქართველომ ძლიერების მწვერვალს მიაღწია თამარ მეფის (1184-1213) მმართველობის ხანაში. მისი შეიარაღებული ძალები შედგებოდნენ მუდმივი კონტიგენტის, მილიციისა და დამხმარე რაზმებისაგან. ლაშქრის ყველაზე მასობრივი სახეობა ფეოდალური მილიცია იყო, დაკომპლექტებული ტერიტორიულ-ტომობრივი პრინციპით – მესხები, ტაოელები, აფხაზები, კახები, ქართლელები და ა.შ. დამხმარე ძალებს შეადგენდნენ ვასალური სამფლობელოებიდან გამოყვანილი რაზმები და აგრეთვე, მოკავშირეთა და მოქირავნეთა რაზმები. ეს უკანასკნელი ძირითადად (ჩერქეზული, ჩეჩნურ-ინგუშური ტომები) ჩრდილო კავკასიიდან მოდიოდა მთლიანობაში XIII ს-ის პირველ მეოთხედში საქართველოს შეეძლოს ველზე გამოეყვანა 60-90 ათასიან მეომართა არმია, ამ ძალების დიდ ნაწილს კარგად შეიარაღებული და გაწვრთნილი ცხენოსანი ჯარი შეადგენდა.

ქართული ლაშქარი ბრძოლაში „დროშების" მიხედვით ეწყობოდა, დროშა – სამხედრო ოლქიდან (სადროშოდან) გამოსული ფეოდალური მოლიციის და მასთან მიმაგრებულ რაზმებს აერთიანებდა. სულ საქართველოში ოთხი სადროშო იყო.

1. მეწინავე სადროშო (სამხრეთ საქართველოს საერისთავები).
2. მემარჯვენე სადროშო (დასავლეთ საქართველოს საერისთავები).
3. მემარცხენე სადროში (კახეთ-ჰერეთი)
4. მეფის სადროშო (ქართლი)

ამ ეპოქის მნიშვნელოვანი სამხედრო ფენომენია რაინდობა, თუმცა ეს ფენომენი კლასიკურად ევროპულია რაინდობის აღორძინება ევროპაში IX საუკუნიდან იწყება და თავის პიკს XI-XIV საუკუნეში მიაღწია. საქართველოშიც რაინდული ტიპის ორგანიზაციების არსებობა IX-X საუკუნეებიდანაა საყარაულო. ქართულ წერილობით წყაროებში პროფესიონალი მეომრის ზედწოდებად ჩანს „ჭაბუკი" და „მოყმე".

საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი პერიოდია გიორგი V ბრწყინვალეს ეპოქა. ამ ეპოქის სამხედრო წარმატებათა მნიშვნელობაზე მიანიშნებს ის გარემოება, რომ მონღოლები იძულებულნი შეიქმნენ გაეყვანათ თავისი საოკუპაციო ჯარები საქართველოდან. XIV ს-ის 30-იანი წლებიდან მონღოლები საქართველოში თავის ნაცვალსაც ვეღარ ნიშნავდნენ. სამწუხაროდ საქართველოს სამხედრო ისტორიაში ბურუსით არის მოცული XIV ს-ის შუა პერიოდის მოვლენები. ამ პერიოდში რამდენჯერმე იფეთქა საქართველოში შავი ჭირის ეპიდემიამ, რომელმაც მნიშვნელოვნად შეამცირა ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა. მეცნიერთა აზრით, შესაძლოა სწორედ ამ ეპიდემიამ იმსხვერპლა გიორგი V ბრწყინვალე. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, ქვეყნის თავდაცვის უნარიანობა მნიშვნელოვნად შემცირდა.

XIV – XV საუკუნის მიჯნაზე ეითარდება სამხედრო ორგანიზაციის სფეროში მთელს მსოფლიოში კარდინალურად იცვლება. შემოდის ცეცხლსასროლი იარაღის ახალი ტიპები, მათ შორის „ბომბარდირი", რომელიც მოგვიანებით ლითონის მძიმე ჭურვებს ისროდა. XV საუკუნეში ევროპაში უკვე აქტიურად დაიწყეს ქვემეხების ჩამოსხმა. იმავდროულად, შეიარაღებაში შემოდის ინდივიდუალური ცეცხლსასროლი იარაღი. ცეცხლსასროლი იარაღის გამოგონებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოახდინა სამხედრო ტაქტიკაზე და სტრატეგიაზე. ბრძოლა უფრო დისტანციური გახდა, ცხადია ყოველივე ზემოთ თქმულმა გავლენა იქონია სამხედრო ორგანიზაციის საქმეზეც.

XV საუკუნის მიწურულს საქართველო სამეფო-სამთავრობოდ დაიშალა. ქართლი, კახეთის, იმერეთის. სამეფოებმა სამცხე-საათაბაგომ ცალკე სამხედრო ორგანიზაციები შექმნეს, მართალია, მათ ერთიანი საქართველოს სამხედრო გამოცდილებაზე დააფუძნეს თავიანთი სისტემა, მაგრამ გარკვეული სახეცვლილება მაინც განხორციელდა, რადგან ძალები და საშუალებები მნიშვნელოვნად დაიკლასა. ქართლსა და იმერეთში სადროშოებს დიდებულები განაგებდნენ, იმერეთში იყო არგვეთის, რაჭის და ოკრიბა-ლეჩხუმის სადროშოები. ქართლში მეწინავე სადროშოს წარმოადგენდა ქვემო ქართლი (სომხეთ-საათაბაგო), მისი სარდალი იყო ბარათაშვილი. მემარჯვენე სადროშო იყო ზემო ქართლი, მას ამილახვარი სარდლობდა. მემარცხენე სადროშო სამუხრანბატონოს, ქსნისა და არაგვის საერისთავოს მოიცავდა. მას მუხრანბატონი სარდლობდა. მეოთხე მეფის სადროშო იყო, რომელშიც საეკლესიო ლაშქარიც ერთიანდებოდა მის სარდალს მეფე ნიშნავდა. კახეთში სადროშოს ეპისკოპოსი ედგა სათავეში. მეწინავე სადროშოს სათავეში ბოდბელი ეპისკოპოსი ედგა. მარჯვენა სადროშოს ნეკრესელი ეპისკოპოსი, მემარცხენე სადროშოს რუსთაველი ეპისკოპოსი. მეოთხე სადროშოს მეფის მიერ დანიშნული პირი ხელმძღვანელობდა.

XVIII საუკუნის კავკასიის პოლიტიკაში უკვე აქტიურად ერევა რუსეთის სახელმწიფო. რუსეთ საქართველოს სამხედრო ალიანსის ყველაზე რეალური გამოვლინება იყო ვახტანგ VI-სა და პეტრე I-ს შორის. ურთიერთობა და ერთობლივი ლაშქრობის სურვილი ირანის წინააღმდეგ, მაგრამ ეს სამხედრო კოალიცია ვერ

შედგა. ვახტანგ VI-ის სახელთანაა დაკავშირებული ქართული სამართლის რეფორმა, ვახტანგისეულ „სამართლის წიგნში" საგანგებოდაა საუბარი მეომრის ვალდებულებებზე.

ცალკე მუხლები ეთმობა ჯარში გაწვევას, ღალატს, ალაფის აღებას, გარდაცვლილი მეომრის გაძარცვას და სხვა. XVIII საუკუნის შუა ხანებიდან ქართლ-კახეთში უკვე აშკარად შეიმჩნევა სამხედრო რეფორმის გატარების აუცილებლობა. ფეოდალური ლაშქარი ვერ ამართლებდა დაკისრებულ ვალდებულებას, საჭირო იყო რეფორმა არმიაში. თეიმურაზ II-მ 1755 წელს პირველად სცადა ასეთი რეფორმის განხორციელება და „მონაცვლე ლაშქარი" შექმნა, მაგრამ ამ რეფორმის განხორციელება ვერ მოხერხდა. მხოლოდ, 1974 წელს შეძლო ერეკლე II-მ ეს გეგმა სისრულეში მოიყვანა და „მორიგე ლაშქარი" ჩამოაყალიბა, თუმცა არც ამ სამხედრო ნაწილმა იარსება დიდხანს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქართლის ცხოვრება
2. საქართველოს ისტორია ნ. ასათიანი გამოცემა 2007 წ.
3. ოთხტომეული საქართველოს ისტორია.

Organization of military affairs in Georgia
A) From BC to the end of fifth century AD
B) From the end of sixth century to the end of eighteenth century of medieval

Gela Khutsitshvili
Doctor of Historical Sciences
Professor of Sukhishvili Teaching University
Tel: 579-19-10-01
Teona Mosiashvili
Student of Sukhishvili Teaching University

Resume

The work discusses developing periods of Georgia's Military affairs from ancient times to the end of 18th century in two periods. Features of forming military organization, efficiency determining factors and tact of military organization.

ოჯახის როლი ბავშვის რელიგიური ცნობიერების ჩამოყალიბებაში საერთაშორისო სამართლის მიხედვით

ზაზა ვაშაყმაძე
სუხიშვილის უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი
E-mail: zvashakmadze@mail.ru

ეს თემა ძალზე საინტერესო და სათუთი გახლავთ. ერთის მხრივ იმიტომ, რომ ამ კუთხით ბევრი ნამუშევარი არ არსებობს თეოლოგიური და სამართლებრივი კუთხით და მეორეც საკითხი ეხება ბავშვებს, ჩვენს მომავალ თაობას, შვილებს, რომლებმაც მომავალში ხელში უნდა აიღონ ქვეყნისა და საზოგადოების სადავეები, და მნიშვნელოვანია ის თუ რა მრწამსისა და შეგნებისანი გაიზრდებიან. ამ თემაში და ზოგადად საკითხის გარკვევისას მნიშვნელოვანია ოჯახის ინსტიტუტის გააზრება და განსაზღვრება რელიგიურ-სამართლებრივი კუთხით.

ტერმინი ოჯახი თურქული წარმოშობისაა და ნიშნავს სახლს. ქართულში მის სინონიმად გამოიყენება სახლი, სადგომი, რომელიც ქმრისა და ცოლშვილისაგან შედგებოდა. [3:10] ოჯახი გახლავთ სოციალური ინსტიტუტი, ფენომენი, საზოგადოებრივი წარმონაქმნი რომელიც შეიქმნა ადამიანთა მოდგმის განსაზღვრულ ეტაპზე. თავიდანვე ოჯახი არ იყო ისეთი წარმონაქმნი როგორიც ის დღეს წარმოგვიდგენია, რადგან მისი განვითარება პირდაპირ კავშირში იყო საზოგადოების განვითარებასთან. იყო საზოგადოება განვითარებული და ძლიერი მორალურ-ზნეობრივი სამართლებრივი კუთხით, თავისთავად ოჯახის ინსტიტუტიც იყო ძლიერი, არ იყო ძლიერი საზოგადოება, განვითარების კუთხით, თავისთავად ოჯახის ფენომენიც სუსტი იყო.

განვიხილოთ ოჯახის შექმნისა და წარმოშობის არსი, განსაზღვრება და მიზანი თეოლოგიური და სამართლებრივი კუთხით

I ოჯახის გაგება თეოლოგიური კუთხით.

ოჯახი გახლავთ ქალისა და მამაკაცის ნებაყოფილობითი კავშირი ქორწინების გზით. ქორწინების საიდუმლო დიდი შემწეობაა ქრისტიანი მეუღლეებისათვის, რომელიც წარმოადგენს ეკლესიასთან ქრისტეს ერთობის ხატს. ქრისტიანული ქორწინების მეშვეობით ხორციელდება მეუღლეთა განუწყვეტელი ურთიერთანადგომა თავიანთი დანიშნულების აღსრულებისათვის და იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას "მსგავსება" უფლისა ხატისა. ქორწინების საიდუმლოთი ღმრთის კურთხევა ენიჭება მამაკაცისა და დედაკაცის ამ ერთობას მთელი ცხოვრების მანძილზე, იმისათვის, რომ მათ გააჩინონ შვილები და ზნეობრივად სრულყონ ისინი.ოჯახი რომელიც ამ საფუძველზეა შექმნილი, აღიზრდებიან მოქალაქეები ზეციური სასუფეველისათვის. [4:100]

ოჯახის შესაქმნელად აუცილებელია სხვადასხვა სქესის ორი პირი (მამაკაცი და ქალი). ერთსა და იმავე სქესის ორ წარმომადგენელს შორის ხორციელი ურთიერთობები აკრძალულია საღვთო წერილებით და წმინდა კანონებით. ქორწინებისათვის ეკლესიას არ შეუშუშავებია კანონი, კონკრეტული ასაკის განსაზღვრებისათის, ასაკის ქვედა და ზედა ზღვარი ქორწინების მსურველთათვის . ეს ყველაფერი დასადგენია ადგილობრივი ეკლესიის მიერ დაკვირვების შედეგად. მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესიის კანონმდებლობაში არ არის დადგენილი ქორწინებისათვის აუცილებელი ასაკის ქვედა ზღვარი. ეს საკითხი რეგულირდება ავტოკეფალური ეკლესიების ადგილობრივი კანონმდებლობის მიერ. მაგ: შუა

საუკუნეების ბიზანტიასა და საქართველოში გოგონებისათვის მინიმალური ასაკი იყო 12 13 წელი ხოლო XX საუკუნის დასაწყისში ეს ასაკი საქართველოში აიწია 15 წლამდე. ოჯახის შექმნას სჭირდება მექორწინეთა პიროვნული, თავისუფალი ნებაყოფლობითი განზრახვა ანუ არრეფანი. ასევე საჭიროა მხარეთა ნორმალური სულიერი მდგომარეობა და თანაცხოვრების ფიზიკური უნარი. [4:101,102]

ოჯახი საზოგადოებრივი ორგანიზმის ძირითადი შემადგენელი უჯრედი და მისი საყრდენია. ეკლესია ლოცავს ქორწინებას, რადგან მხედველობაში იღებს იმ მაღალ და იმავდროულად, რთულ ამოცანებს, რომელიც ქრისტიანულმა ოჯახმა უნდა გადაწყვიტოს. ქორწინების საიდუმლოში ეკლესია ღმერთს სთხოვს შემწეობას მომავალი მეუღლეთათვის, რათა მათ შეიგნონ, გადაწყვიტონ და აღასრულონ სამომავლოდ დასახული ამოცანები, ააშენონ "სახლში ეკლესია" დაამყაროს ჭეშმარიტად ქრისტიანული ურთიერთობანი, გაზარდონ ბავშვები რწმენით, იცხოვრონ სახარებისეული მცნებით და სხვა.[5:270] წმინდა წერილში არაერთგზის წერია, რომ ქორწინებას აკურთხებს ღმერთი: "და შექმნა ღმერთმან კაცი სახედ თვისად და ხატად ღმრთისად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად ქმნა იგინი და აკურთხა იგინი ღმერთმან მეტყველმან: "აღორძინდით და გამრავლდით" (დაბადება თავი 1. 27,28) [1:13]

საქმისაღმწერი მოგვითხრობს ადამის ნეკნიდან დედაკაცის შექმნის შესახებ, მამაკაცთან მის მიყვანაზე და დასძენს: "ამისთვის დაუტეოს კაცმან მამაი თვისი და დედათვისი და შეეყოს ცოლსა, თვისა და იყვნენ ორნივე იგი ერთ ხორც." (დაბადება თავი 2. 24). [1:14] თავად მაცხოვარმა დაგვიდო მცნებად ქორწინების ერთგულების დაცვა. უფლის ეს სიტყვები თვალნათლივ ადასტურებენ ქორწინების ზნეობრივ ღირსებას. უფალმა იესო ქრისტემ გალილეეს კანაში თავის მისვლით აკურთხა ქორწინება და იქვე მოახდინა პირველი სასწაული. [5:271]

ოჯახი ჩვეულებრივ შედგება, მშობლების, შვილების და ზოგჯერ მათთან ერთად მცხოვრები ნათესავებისა თუ სხვა ადამიანებისაგან. ოჯახი პირველდაწყებითი ადამიანური საზოგადოებაა. ის სახელმწიფოს საფუძველია, მისი რგოლი. ამასთან, ოჯახი არის "ზნეობრივი სამყაროს საწყისი და პირველადი საფუძველი" ადამიანი ოჯახში იღებს სულიერ-ზნეობრივ აღზრდას და იწყებს საკუთარ თავში ზნეობრივი ცხოვრების განვითარებას. [6:86] ოჯახი ქორწინებაზეა დაფუძნებული. ქრისტიანული ქორწინება ეკლესიის მიერ კურთხეული ნებაყოფილობითი და ურთიერთსიყვარულზე დაფუძნებული მამაკაცისა და ქალის სამუდამო კავშირია. ქორწინება ქვეყნის დასაბამიდან დადგენილია თავად შემოქმედის მიერ. ქრისტიანული სწავლებით, ქორწინება ორი სულის ერთობის უდიდესი საიდუმლოებაა. ქორწინება ემყარება, ღმრთის ნებით, ადამიანის ბუნებაში ჩადებულ მიზიდულობას, მოთხოვნილებას.

წმ. კეთრიანე კართაგენელის აზრით, ქმარი და ცოლი თავიანთი არსებობის სისრულეს და მთლიანობას აღწევენ სულიერ-ზნეობრივ და ფიზიკურ ერთობაში და ერთის მეორე პიროვნებით შეესებით. [6:96]

წმინდა იოანე ოქროპირი ამბობს: ქორწინება დადგენილია ორი მიზნით, რათა ვიცხოვროთ უბიწოდ და გავხდეთ მშობლები.

რომაელი კანონის მცოდნეს მოდესტინუსის (288წ) კლასიკური განმარტების მიხედვით ქორწინება არის ურთიერთკავშირი მამაკაცისა და დედაკაცისა, მათი ცხოვრების ხვედრის გაზიარება მარადის, ესაა ღვთისა და ადამიანის სჯულის ზიარება"

<u>II კანონიერი ქორწინებით წარმოშობილი ოჯახის</u>

მორალურ ზნეობრივი შედეგები:

კანონიერი ფორმით შექმნილი ოჯახის შედეგად წარმოიშობა შემდეგი სახის მორალუ- ზნეობრივი შედეგები:

მეუღლეთა სრული და თანაბარუფლებიანი თანაზიარობა ყველაფერში, რაც კი მიემართება ცხოვრებისეულ სულიერ და ხორციელ ურთიერთობას:

მეუღლეობრივი მოვალეობის აღსრულება.

ნდობა მეუღლეთა შორის მთელი ცხოვრების განმავლობაში.

ქორწინების საიდუმლოს მეშვეობით ქმარი ხდება ცოლის მეთაური— თავი. იგი, როგორც თავი, კისრულობს ოჯახურ მოვალეობებს, მაგრამ იგი ამასთანავე არის თავმდებიც შესაბამისი მოვალეობებისა.

მეუღლე, დედაკაცი ხდება განუყოფელი მეგობარი, მარჩენალი, მრჩეველი და შემწე თავისი ქმრისა ყველა შემთხვევაში. იგი ჩვეულებრივ იღებს მეუღლის გვარს და ხდება ოჯახის "გული"

მშობლები თავს იდებენ საზრუნავს შვილების რჩენისათვის. ეს ხორციელდება მამის ან მსგავსად დედის მეურვეობით.

შვილებს მართებთ პატივი სცენ და მოწიწებით მოეპყრონ თავიანთ მშობლებს. მოხუცებულობის ჟამს, სნეულებასა და გაჭირვებაში. შვილები სიყვარულსა და მზრუნველობას უნდა იჩენდნენ მშობლების მიმართ.

კანონით ქორწინება ურყევია. უფლის სწავლების მიხედვით ცოლსა და ქმარს შორის ერთობა ურყევია მთელი ცხოვრების მანძილზე. "ვითარმედ არღარა არიან ორ, არამედ ერთ ხორც. აწ უკუე რომელნი იგი ღმერთმან შეაუღლნა„ კაცი ნუ განაშორებს' [4:111]

<u>III. საოჯახო სამართალი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით.</u>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 1997წელს. ამ კოდექსის წიგნი მეხუთე გახლავთ საოჯახო სამართალი, რომლის პირველი კარი აწესრიგებს ქორწინების საკითხს, რის საფუძველზეც იქმნება საზოგადოებრიეი ინსტიტუტი, სოციალური წარმონაქმნი "ოჯახი"

მუხლი 1106. ქორწინებს ცნება.

ქორწინება ოჯახის შექმნის მიზნით ქალის და მამაკაცის ნებაყოფილობითი კავშირია, რომელიც რეგისტრირებულია სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში.

მუხლი1107. დაქორწინების პირობები.

დაქორწინებისათვის აუცილებელია:

საქორწინო ასაკი.

დასაქორწინებელ პირთა თანხმობა.

მუხლი. 1108. საქორწინო ასაკი

საქორწინო ასაკად დაწესებულია 18 წელი.

გამონაკლის შემთხვევაში თექვსმეტი წლის ასაკიდან დაქორწინება დაიშვება მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების წინასწარი წერილობითი თანხმობით.

თანხმობაზე მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების უარის შემთხვევაში პატივსადები მიზეზების არსებობისას დასაქორწინებელ პირთა განცხადების საფუძელზე დაქორწინების ნებართვა შეუძლია გასცეს სასამართლომ. [7:118]

საქართველოს სახელმწიფოში, ოჯახის შექმნის საფუძველი სამოქალაქო საქორწინო სახელმწიფო რეგისტრაციის გარდა, ალტერნატიული ფორმით გახლეთ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ შესრულებული ჯვერისწერა, ეს

საკითხი ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის დარეგულირდა კონსტიტუციური შეთანხმებით საქართველოს სახელმწიფოსა და ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის, რომელიც დაიდო 2002 წლის 14 ოქტომბერს მცხეთაში.

კონკორდატის მუხლი 3..

სახელმწიფო აღიარებს ეკლესიის მიერ შესრულებული ჯვრისწერას კანონმდებლობით დადგენილი წესით. სამართლებრივ ურთიერთობებში გამოიყენება ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემები. [8:200]

ასეთია საქართველოში ოჯახის შექმნის იურიდიული საფუძვლები.

IV ოჯახის შექმნის სამართლებრივი საფუძვლები

საერთაშორისო სამართალში.

"ოჯახის ინსტიტუტი" რომ საფუძველთასაფუძველი გახლავთ საზოგადოებაში, მეტყველებს მის შესახებ არსებული და დადგენილი მცნებები და სხვადასხვა რანგის კანონები. (მაგ: რელიგიური კანონები, სამოქალაქო კანონები და სხვა. ამ მხრივ გამონაკლისი არც საერთაშორისო სამართალი გახლავთ.

ჩამონათვალი ნორმებიდან ყველაზე ახალგაზრდა საერთაშორისო სამართლის ნორმები გახლავთ, რაზედაც კი უმსჯელია საერთაშორისო საზოგადებას, ხოლო ყველაზე ძველად უნდა მიეიჩნიოთ რელიგიური მცნებები და კანონები, მათ შორის ასაკობრივი სხვაობა გახლავთ ძალიან დიდი ათეულებით საუკუნე.

ოჯახის შექმნის სამართლებრივ ნორმებს სახელმწიფოები ქმნიდნენ იმისდა მიხედვით თუ რომელი რელიგიის მიმდევრები იყვნენ, იყვნენ თუ არა თავის უფალნი, და როგორი იყო მათი განვითარების დონე. ეროვნული სახელმწიფოები ამ საკითხს დღემდე ინდივიდუალური მოდგმით წყვეტენ. მაგ: მუსულმანურ ქვეყნებში მრავალცოლიანობაა დაშვებული, რასაც ქრისტიანული სახელმწიფოები უარყოფენ.

მიუხედავად ჩამოყალიბებული პრინციპებისა, ბოლო ათეული წელიწადია ეროვნული კანონმდებლობის დონეზე სხვადასხვა ქვეყანაში შეიმჩნევა ტენდენცია არსებული "სამოქალაქო კანონების" გადასინჯვისა, რაც გამოიხატება ერთი სქესის ქორწინების დაკანონებაში. ყოველივე ეს კი "დემოკრატიისა და ლიბერალიზმის" მოტივაციით ხორციელდება, რაც ბუნებით სამართალს ეწინააღმდეგება. ზოგად სამართალში რელიგიური ელემენტების დაკარგვამ გამოიწვია ისეთი კანონების მიღება , როგორიცაა ერთსქესიანთა ქორწინება.

როგორც გაროლდ ბერმანი თავის წიგნში "вера и закон. примирение права и религии" აღნიშნავს – მთავარი მიზეზი დასავლური სამართლებრივი ტრადიციების კრიზისის, გახლავთ რელიგიური საფუძვლების დაცემა.[9:54] ამის მაგალითი გახლავთ ნიდერლანდებში 2002 წელს მიღებული კანონი, რომლითაც ერთი და იგივე სქესის პირებს შეუძლიათ ქორწინება, რის გამოც სამოქალაქო კოდექსში შემოიღეს ეგრეთ წოდებული "რეგისტრირებული – პარტნიორის ცნება" [10:438]

საერთაშორისო სამართალში რამდენიმე ძირითადი მუხლია ოჯახის შექმნის საკითხზე რომელთაგანაც გამოვყოფთ:

I ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია მიღებულია 1948 წლის 10 დეკემბერს.

მუხლი 16

სრულწლოვან მიღწეულ მამაკაცებსა და ქალებს აქვთ უფლება რასის, ეროვნების ან რელიგიის ნიშნით რაიმე შეზღუდვის გარეშე დაქორწინდნენ და შექმნან ოჯახი. ისინი სარგებლობენ ერთნაირი უფლებებით შეუღლებისას, ქორწინებაში ყოფნის დროს და განქორწინებისას.

ქორწინება შესაძლებელია მხოლოდ ორივე მექორწინე მხარის თავისუფალი და სრული თანხმობისას.

ოჯახი საზოგადოების ბუნებრივი და ძირითადი უჯრედია და აქვს უფლება დაცული იყოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიერ. [11:78,79]

II ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო აქტი მიღებულია 1966 წლის 16 დეკემბერს, ძალაში შევიდა 1976 წლის 3 იანვარს.

მუხლი 10 ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ:

ოჯახს, რომელიც საზოგადოების ბუნებრივი და ძირითადი უჯრედია, უნდა ჰქონდეს შეძლებისდაგვარად ყველაზე ფართო დაცვა და დახმარება განსაკუთრებით მისი შექმნის დროს და მანამ ეკისრება პასუხისმგებლობა და ზრუნვა ბავშვებისა და მათი აღზრდისათვის, ვიდრე ისინი დამოუკიდებულნი გახდებოდნენ. ქორწინება უნდა ხდებოდეს მექორწინეთა თავისუფალი თანხმობით. [11:89]

III სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო აქტი. მიღებულია 1966 წლის 16 დეკემბერს. ძალაში შევიდა 1976 წლის 23 მარტს.

მუხლი 23.

ოჯახი საზოგადოების ბუნებრივი და ძირითადი უჯრედია და აქვს უფლება დაცული იყოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიერ.

მამაკაცებსა და ქალებს, რომლებმაც მიაღწიეს ქორწინების ასაკს, აქვთ უფლება დაქორწინდნენ და შექმნან ოჯახი.

არც ერთი ქორწინება არ შეიძლება მოხდეს მექორწინეთა თავისუფალი და სრული თანხმობის გარეშე. [11:110:111]

IV ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია.

მიღებულია 1950 წლის 4 ნოემბერს რომში.

მუხლი 12 ქორწინების უფლება.

საქორწინო ასაკის მამაკაცსა და ქალს აქვთ ქორწინებისა და ოჯახის შექმნის უფლება ეროვნული კანონების შესაბამისად, რომლებიც აწესრიგებენ ამ უფლებათა განხორციელებას. [12:22] [13:199]

V ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ოქმი №7

სტრასბურგი, 1984 წლის 22 ნოემბერი

მუხლი 5 მეუღლეთა თანასწორობა

მეუღლეები სარგებლობენ კერძო-სამართლებრივი ხასიათის თანაბარი უფლებებითა და მოვალობებით ერთმანეთს შორის, და შვილებთან ურთიერთობაში, როგორც დაქორწინების დროს ისე ქორწინების განმავლობაში და მისი შეწყვეტის შემთხვევაში. ეს მუხლი ვერ დააბრკოლებს სახელმწიფოს, განახორციელოს ბავშვების ინტერესებისათვის აუცილებელი ღონისძიებანი. [12:51] [13:333]

ასეთი გახლავთ საერთაშორისო სამართლის პრინციპები ოჯახის შექმნასთან დაკავშირებით.

<u>V რელიგიის აუცილებლობა</u>

რელიგია ლათინური სიტყვაა (რელიგიო)და იგი შეიძლება განიმარტოს როგორც "კავშირის აღდგენა" ლაქტანციუსი (240-320წწ.) ამ სიტყვაში ხედავდა კავშირის იდეას. რელიგია არის აღდგენა კავშირისა, რომელიც ოდესღაც არსებობდა და რაღაც კატასტროფის შედეგად გაწყდა. ეს არის ადამიანურ (ხილული) და ღვთაებრივ (უხილავი) სამყაროებს შორის კავშირი.

ადამიანის არსებობის (ორო ღელიგიოსუს), როგორც ქმნილების სხვადასხვა განზომილებათა ერთ მთლიანობაში გააზრებისას, რელიგიური ცნობიერება

უმნიშვნელოვანეს თანდაყოლილ ნიჭად უნდა მივიჩნიოთ.ეს უნარი არის რწმენა, რომელიც ადამიანს ქმნის რელიგიურ კაცად. ადამიანი აფასებს, მსჯავრს სდებს საკუთარ ფიქრს და ქცევას არა მხოლოდ, როგორც მორალური არსება, არამედ როგორც რელიგიური არსებაც, აფასებს არა მხოლოდ ადამიანური, არამედ ღვთაებრივი პოზიციებიდან, ანუ იმ დამკვირვებლისა და მსაჯულის თვალით, რომელიც მასზე უსასრულოდ მაღლაა სამყაროს იერარქიაში. ომო ღელიგიოსუს თავის აზროვნებაში, თავის ქცევაში, საზოგადოებრივ ცხოერებაში ხელმძღვანელობს ღვთაებრივი და არა მხოლოდ ადამიანური კრიტერიუმებით. ის უფრო მეტს ხედავს თავის ყოფიერებაში და მთელ საგნობრივ სამყაროში, ვიდრე აღქმით ან, თუნდაც, გონების თვალით შეიძლება იქნეს დანახული.

რწმენა ენათესავება ადამიანის ისეთ უნარებს, როგორიც არის: ნდობა, იმედი, (სასოება), მოლოდინი. მათზე შეიძლება ლაპარაკი, როგორც რწმენის ნაირსახეობებზე. რწმენა ჩამოთვლილთა შორის აღმატებულია, ის — უნარია, რომელსაც ძალუძს დაბადოს ცოდნა. რწმენა ხდება საღეთო ცოდნის წყარო, როგორც წერდა ილია ჭავჭავაძე: არის საგანი, რომელსაც თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ. [14:12-14]. "მრწამსი" განყენებული სიბრძნე მსჯელობით ჩამოყალიბებული დიალექტიკა კი არა, არამედ აზრებით ღვთაებრივ ჭეშმარიტებაში შეღწევა, გონებითა და გულით უფლისაკენ ლტოლვა და მისი სიყვარულის შეცნობა იქნება. [5:22]

იმ ფაქტორებს შორის, რომლებმაც ზემოქმედება მოახდინეს და კვლავაც ახდენენ კაცთა მოდგმის ბედის ფორმირებაზე, ყველაზე ძლიერია ის, რომლის ზეგავლენასაც ჩვენ რელიგიას ვუწოდებთ. რელიგიური ფაქტორი საფუძვლად უდევს ყველა სოციალურ ინსტიტუტს და იგივეა ადამიანთა გამაერთიანებელი ყველაზე მძლავრი იმპულსი. ძალიან ხშირად რელიგიური კავშირი უფრო მტკიცეა, ვიდრე ნებისმიერი სხვა კავშირი. ცნობილია, რომ ადამიანები, რომლებიც ერთ ღმერთს სცემენ თაყვანს და ერთ სარწმუნოებას აღიარებენ, უფრო მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ერთამანეთთან, ვიდრე ერთი ოჯახის წევრები, თვით ღვიძლი ძმები. [15:3]. რწმენისათვის ღმერთია უპირველესი. ქრისტიანისათვის "გწამდეს ღმერთი" ნიშნავს, აღიარებდე მას არა მარტო გონებით, არამედ გულითაც ილტვოდე მისკენ. [5:24]

რელიგიის მიზანია ღმერთის წვდომა წარმოდგენების საშუალებით [16:47]. ქრისტიანული რწმენა საიდუმლო მოვლენაა ადმიანის სულის სამყაროში იგი აზრზე ბლიერია უფრო ვრცელია და ქმედითი, რთულია და თავისთავში აერთიანებს სიყვარულის, შიშის, მოწიწების, თაყვანისცემისა და თავმდაბლობის გრძნობებს. რწმენას ძალუძს მთების შეძერა. რწმენა უწონადი ქვაა- რომელსაც შეხებით ვერ შეიგრძნობ. იგი ზეაგიტაციებს და ძირს არ განარცხებს [5:25].

ზოგადად რელიგიის და რწმენის რაობაზე ჩამოყალიბებულია ორგვარი ტიპის შეხედულება: თეოლოგიური და ფილოსოფიური (სოციოლოგიური) [17:62]. თეოლოგიური მიდგომა ეფუძნება გამოცხადებებს, ხილვებს, დოგმებს, წმინდა მამათა გადმოცემებს, რომლებიც დადგენილია და დადასტურებულია ეკლესიის წიაღში, ხოლო ფილოსოფიური (სოციოლოგიური) მიდგომა თავისი არსით ცვალებადია და შეიძლება დაექვემდებაროს განსჯას, კრიტიკას, გადასინჯვას, შეცვლას.

ნებისმიერ შემთხვევაში, რელიგიას, რწმენას სურს გადალახოს გრძნობად აღქმათა სამაყაროს საზღვრები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ და ცდილობს გაიგოს, რა არის მათ მიღმა. მასში არის რაღაც იდუმალი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ყველა რელიგია ცდილობს და ამტკიცებს მნიშვნელოვან ფაქტს:ადამიანის გონს ამა თუ იმ მომენტში შეუძლია ამაღლდეს არა მარტო გრძნობად აღქმებზე, არამედ ლოგიკურ

მსჯელობებზეც. ამ დონეზე ასული, ის აწყდება ფაქტებს, რომლებსაც ვერც გრძნობებით აღვიქვამთ და ვერც ლოგიკური გზით გავაცნობიერებთ. ეს ფაქტები საფუძვლად უდევს მსოფლიოს ყველა რელიგიას (იგულისხმება მონოთეისტური რელიგიები).

ადამიანი ადამიანად რჩება მანამ, სანამ ბუნებაზე ამაღლებას ცდილობს, როგორც თავის საკუთარ, ისე მის გარემომცველ ბუნებაზედაც. ეს მოიცავს არა მარტო წესებს და კანონებს, არამედ გაცილებით უფრო მეტ სუბსტანციასაც, რომელიც არსებითად ის ძალაა, ჩვენს გარეთ არსებულ ბუნებაზე რომ ახდენს ზემოქმედებას. ამრიგად, რელიგია გარდა ნუგეშისა, რასაც ჩვენ მასში ეპოულობთ, გახლავთ ადამიანური გონების წვრთნის ყველაზე საუკეთესო და ქმედითი საშუალება.

ადამიანის გონებისათვის არ არსებობს რელიგიაზე უფრო დიდი მოტივაცია. მხოლოდ რწმენას შეუძლია ჩაუნერგოს ადამიანს ესოდენ დიდი ენერგია. სამყაროს შამოძრავებელი ძალა რელიგია და რწმენაა [15:5,6,9]. რწმენა გასაღებია ღვთიური საგანძურისა-წერს მამა იოანე კრონშტადტელი. სახელდობრ, რწმენა არის სულით მომავლის ან უხილავის წედომა [5:26]

VI საერთაშორისო ხელშეკრულებები ბავშვის რელიგიური უფლებების შესახებ.

რელიგიის თავისუფლება საყოველთაოდ არის აღიარებული ადამიანის უფლებების ერთ-ერთ საფუძვლად. რელიგიის თავისუფლება ფაქტობრივად, ყველა ერისთვის იქცა კონსტიტუციით განცხადებულ ნორმატიულ პრინციპად. ცხადია, რომ რელიგიის თავისუფლების გარეშე აშკარა საფრთხე ემუქრება სიტყვის, სინდისის და რწმენის თავისუფლებას ასევე ნათელია, რომ ადამიანის რელიგიური უფლებების აღიარების გარეშე საფრთხის ქვეშ დგას ზოგადად უფლება განსხვავებულებაზე. როგორც შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს ყოფილმა თავჯდომარემ ჩარლზ ევანს ჰიუზმა აღნიშნა: "როდესაც ვკარგავთ უფლებას, ვიყოთ განსხვავებულნი, ჩვენ ვკარგავთ უფლებას, ვიყოთ თავისუფალნი". როდესაც სახელმწიფო პატივს სცემს რელიგიურ უფლებებს, იგი თავისი მოქალაქეების ღირსებაზე რეალურ ზრუნვას გამოხატავს.

კარილო ალბრონოზის სიტყვებით კი: "თუ საზოგადოება პატივს არ სცემს რელიგიასა და მის თავისუფლებას, არავინაა უზრუნველყოფილი რომ მათ მიმართ გამოიჩენენ პატივისცემას." [18:56] ცალკე მსჯელობის საგანი გახლავთ რელიგიისა და რწმენის განსაზღვრება საერთაშორისო სამართალში, თავისი არსითა და შინაარსით და შეიძლება ითქვას, რომ "პირობითია", მითუმეტეს იმ ფონზე რომ ამ საკითხზე მსჯელობა ორგვაროვანი ტიპისაა-თეოლოგიური და ფილოსოფიური (სოციოლოგიური). ღრმა მორწმუნისთვის რელიგია და რწმენა სხვანაირად აღიქმება, ხოლო ათეისტისათვის სხვანაირად. საკითხის აქტუალობიდან და მრავალფეროვნებიდან ამ თავს დავიყვანთ ერთ ძირითად საკითხამდე:

ბავშვის რელიგიური უფლებები საერთაშორისო სამართალში:

რელიგიის გარეშე ზნეობას საფუძველი არ გააჩნია და ჰაერშია გამოკიდებული. ოჯახსა და სკოლაში რელიგიის გარეშე აღზრდა მოზარდი თაობის გარყვნის წყაროა.[6:235] რწმენის ნაკლებობა, ურწმუნობა სრულიად ხრწნის ადამიანების გონებრივ და ზნეობრივ ცხოვრებას, ანგრევს პირად, ოჯახურ, ეკლესიურ ცხოვრებას, საზოგადოებრივს ამახინჯებს, ხოლო სახელმწიფოებრივს შლის. პიროვნების საფუძველი იდება ადრეული ბავშვობიდან. [6:238]

ძალზე საინტერესოა კელევა აქვს ჩატარებული რელიგიის სწავლებაზე სკოლებში ღვთისმეტყველების დოქტორს. საეკლესიო საამართალში ალექსი ქუშტაშვილს, სადაც ის სტატიაში "რელიგიის საგანი სახელმწიფო

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პროგრამაში – დემოკრატიული საზოგადოების აუცილებელი ატრიბუტი" აღნიშნავს, რომ "ევროკავშირის წევრ ქვეყნებში რელიგიის გაკეთილებს უკავიათ ოფიციალური ადგილი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებში."[19:230]

ამ მიმართულებით საინტერესო ვერსიას ავითარებს დევიდ ლანქშერი სტატიაში "სარწმუნოებრივი განათლება საერო საზოგადოებაში – აღმსარებლობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მათთვის, ვინც ეკლესიის გარეთ იზრდება" სადაც აღნიშნავს: "სანამ ეკლესია არ იპოვნის საშუალებებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბავშვებს და ახალგაზრდებს საშუალება მიეცეთ ისწავლონ და ღვთისმსახურების გამოცდილება მიიღონ, როგორც ჩანს, ევროპის მოსახლეობის საერო საზოგადოების მზარდი ნაწილი ისე აღიზარდება, რომ მას არ ეცოდინება ღვთისმსახურების იდეა და ეკლესიის ძირითადი საქმიანობისაგან გაუცხოებული იქნება" [19:206]

ამ კუთხით ჩვენს მიერ მოძიებული იქნა 10 ძირითადი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლებშიც ბავშვთა რელიგიურ უფლებებზეა საუბარი და გამოკვეთილია ოჯახის როლი ამ საკითხში.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.

მუხლი 26. პუნქტი 3.

მშობლებს აქვთ პრიორიტეტის უფლება, აირჩიონ რა სახის განათლება სურთ თავიანთი მცირეწლოვანი შვილებისათვის.[11:82]

II ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი.

მუხლი 13. პუნქტი 3.

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ პატივს სცემდნენ მშობლებსა და შესაბამის შემთხვევაში, კანონიერ მეურვეების თავისუფლებას თავიანთი ბავშვებისათვის აირჩიონ არა მარტო სახელმწიფოს მიერ დაარსებული სკოლები, არამედ სხვა სკოლებიც, რომლებიც შეესაბამებიან სახელმწიფოს მიერ დადგენილი ან დამტკიცებული განათლების მოთხოვნების მინიმუმს, და უზრუნველყონ თავისი ბავშვების რელიგიური და ზნეობრივი არზრდა საკუთარი რწმენის შესაბამისად. [11:92]

III სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი.

მუხლი 18. პუნქტი 4.

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ პატივი სცენ მშობელთა და შესაბამის შემთხვევებში, კანონიერ მეურვეთა თავისუფლებას უზრუნველყონ თავიანთი ბავშვების რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა საკუთარი მრწამსის შესაბამისად.[11:109]

კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ.

მუხლი. 4

ხელშემკვრელი სახელმწიფოები მათს ტერიტორიაზე მყოფ ლტოლვილებს შეუქმნიან სულ ცოტა ისეთივე სასიკეთო მდგომარეობას, როგორიც აქვთ საკუთარ მოქალაქეებს თავისი რელიგიის აღსარების თავისუფლებისა და თავისი ბავშვების რელიგიური აღზრდის თავისუფლების მხრივ. [11:166]

ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციების II დამატებითი ოქმი. არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ.

მუხლი 4 პუნქტი 3 ბავშვები უზრუნველყოფილნი არიან აუცილებელი მზრუნველობითა და დახმარებით, კერძოდ:

ისინი იღებენ განათლებას რელიგიური და ზნეობრივი აღზრდის ჩათვლით, მშობლების ან, მშობლების არყოლის შემთხვევაში, იმ პირტა სურვილით, რომლებსაც მათდამი მზრუნველობა აკისრიათ. [11:220]

VI კონვენცია განთლების დარგში დისკრიმინაციასთან ბრძოლის შესახებ.

მუხლი 5 პუნქტი1 ბ) ქვეპუნქტი

მშობლებსა და შესაბამის შემთხვევებში, კანონიერ მეურვეებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ, ჯერ ერთი ყოველი სახელმწიფოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში თავისუფლად გაგზავნონ შვილები არა სახელმწიფო, არამედ სხვა სასწავლებლებში, რომლებიც უპასუხებენ განათლების კომპენტენტური ორგანოების მიერ დაწესებულ ან დამტკიცებულ მინიმალურ მოთხოვნებს, და მეორეც, უზრუნველყონ ბავშთა რელიგიური და მორალური აღზრდა მათი საკუთარი მრწამსის შესაბამისად. არც ერთ პიროვნებას და პირთა არც ერთ ჯგუფს, ერთად აღებულს, თავს არ უნდა მოახვიონ მათს მრწამსთან შეუთავსებელი რელიგიური აღზრდა. [11:241]

VII დეკლარაცია რელიგიისა თუ მრწამსის საფუძველზე შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის უყელა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ.

მუხლი 5

მშობლებს ან შესაბამის შემთხვევებში, ბავშვის კანონიერ მეურვეებს უფლება აქვთ განსაზღვრონ ოჯახის ფარგლებში ცხოვრების წესი თავიანთი რელიგიისა თუ მრწამსის შესაბამისად, აგრეთვე ზნეობრივი აღზრდიდან გამომდინარე, რომელიც, მათი აზრით, ბავშვმა უნდა მიიღოს.

ყველა ბავშვს აქვს რელიგიისა თუ მრწამსის სფეროში განათლების უფლება. მისი მშობლების ან შესაბამის შემთხვევებში, კანონიერი მეურვეების სურვილის თანახმად და არ დაიშვება რელიგიისა თუ მრწამსის სფეროში სწავლების იძულება მისი მშობლებისა თუ კანონიერი მეურვეების სურვილის წინააღმდეგ, ამასთან სახელმძღვანელო პრონციპია ბავშვის ინტერესები.

ბავშვი დაცული უნდა იქნეს რელიგიისა თუ მრწამსის საფუძველზე დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმისაგან. იგი უნდა იზრდებოდეს გაგების, შემწყნარებლობის, ხალხთა მეგობრობის, მშვიდობისა და საყოველთაო ძმობის, სხვა ადამიანების რელიგიისა თუ მრწამსის თავისუფლებისადმი პატიეისცემის სულისკვეთებით აგრეთვე იმის სრული შეგნებით, რომ მისი ენერგია და უნარი სხვა ადამიანების კეთილდღეობის სამსახურს უნდა მიეძღვნას.

თუ ბავშვი არ არის გარემოსილი თავისი მშობლების ან კანონიერი მეურვეების მზრუნველობით, მაშინ სათანადოდ მიიღება მხედველობაში მის მიერ გამოხატული ნება ან მისი ნების ყოველგვარი გამოვლინება რელიგიისა თუ მრწამსის საკითხებში, ამასთან სახელმძღვანელო პრინციპია ბავშვის ინტერესები.

რელიგიისა თუ მრწამსის პრაქტიკა, რომელშიც ბავშვი იზრდება, ზიანს არ უნდა აყენებდეს არც მის ფიზიკურ თუ გონებრივ ჯანმრთელობას, არც მის სრულ განვითარებას ამ დეკლარაციის I მუხლის IIIპუნქტის დაცვით [11:248]

კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ მიღებულია 1989 წლის 20 ნოემბერს გენერალური ასამბლეის 44/25 რეზოლუციით.

მუხლი 14 ნაწილი 1 მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ბავშვის თავისუფლების, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას.

მუხლი 30

იმ სახელმწიფოებში, სადაც არსებობენ რელიგიური ან ენობრივი ჯგუფები ან მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელი პირები, ბავშვს, რომელიც ასეთ უმცირესობებს ან მკვიდრ მოსახლეობას ეკუთვნის, უარი არ უნდა ეთქვას უფლებაზე,

თავისი ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ისარგებლოს თავისი კულტურით, თავისი რელიგიით და აღასრულოს მისი რიტუალები, აგრეთვე ისარგებლოს მშობლიური ენით.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმი.

მუხლი 2. განათლების უფლება.

არავის შეიძლება აღკვეთოს განათლების უფლება. განათლებისა და სწავლებასთან დაკავშირებული მასზე დაკისრებული ფუნქციების განხორციელებისას, სახელმწიფო პატივს სცემს მშობლების უფლებას, უზრუნველყონ თავიანთი რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის შესაბამისი განათლება და სწავლება. [12:38]

X. 1975 წლის ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ჰელსინკის დასკვნითი აქტი.

მუხლი 16.7

მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემს, სხვა უფლებებთან ერთად მშობლების თავისუფლებას, უზრუნველყონ თავიანთი შვილების რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა თავიანთი საკუთარი მრწამსის შესაბამისად. [20:45]

VII დასკვნა

ყველასაგან განსხვავებულია ქართული ოჯახი ტრადიციული გაგებით. როგორც წესი ქართული ოჯახი შედგება ცოლქმრისაგან და შვილებისაგან. უმრავლეს შემთხვევაში ამას ემატება მინიმუმ ბაბუა და ბებია. (შესაძლებელია იყოს სხვაც მაგ: ბიძა, მამიდა).

ძირითადად საშუალო ქართული ოჯახი შედგება 5,6 სულისაგან. განსხვავებულია ტრადიციულ ქართულ ოჯახში დამოკიდებულება ოჯახის წევრებს შორის. პირველ რიგში ეს დამოკიდებულება აგებულია ურთიერთპატივისცემასა და გაგებაზე. აქ ყველას თავისი ადგილი აქვს. ქართულ ოჯახში განსაკუთრებული პატივისცემა აქვთ ქალებისა და მოხუცებისადმი. უფროს თაობას საქართველოში ოჯახის წევრებიდან სათანადო ყურადღება ეპყრობა, განსაკუთრებით მოხუცებულობის ჟამს, თავის მხრივ ისინი გვერდში უდგანან თავიანთ შთამომავლობას, შვილებს და შვილიშვილებს ოჯახის გაძღოლაში და პატრონობაში. ქართველები ბევრი სხვა ერისაგან განსხვავებით "ოჯახის" ინსტიტუტს და მის სიწმინდეს ყოველთვის წინ აყენებდნენ. ქართველების გაგებით ოჯახის, და ქალბატონების შეურაცყოფა სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია. ეს ყველაფერი აგებულია ქრისტიანულ, ქართულ ტრადიციებზე. საქართველოში, მოსახლეობის აბსოლიტური უმრავლესობა, დაახლოებით 90% მართლმადიდებელია, რომელიც განაპირობებს "ოჯახის" ინსტიტუტის ჯერ კიდევ სიძლიერეს. თუმცა ბოლო დროს შეიმჩნევა ამ ინსტიტუტის წინააღმდეგ იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული გამოსვლები სხვადასხვა ფორმით (დისკუსიები თემაზე სექსუალური თავისუფლება, გეი ალლუმის ჩატარების მცდელობა თბილისსა და ბათუმში და სხვა)

ტრადიციულად მოზარდი თაობის, ბავშვების აღზრდაც ქართულ ოჯახში დაფუძნებულია მართლმადიდებლურ და ტრადიციულ წესებზე. სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჩამოყალიბება საქართველოში ძირითადად ორ სოციალურ გარემოში, ოჯახში და საბავშვო ბაღში მიმდინარეობს, სამწუხაროდ საბავშვო ბაღში მოზარდის რელიგიური აღზრდა ნაკლებად მიმდინარეობა, ხოლო თუ "ოჯახი" მორწმუნეა პირველდაწყებითი ბავშვის რელიგიური ცნობიერების ჩამოყალიბება მიმდინარეობს ოჯახში, მშობლებისა და ბაბუა-ბებიების მხრიდან ეკლესიაში სიარულით, ზიარებით, აღსარების ჩაბარებითა და სხვა გზებით.

შემდეგი ეტაპი ბავშვის საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლისა გახლავთ სკოლა. საქართველოში რელიგიის სწავლება სასწავლო დაწესებულებებში რეგულირდება საქართველოს კანონით განათლების შესახებ, კონსტიტუციური შეთანხმებით საქართველოს სახელმწიფოსა და ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის და საქართველოს განათლების სამინისტროსა და ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმით. ჩამოთვლილი იურიდიული საფუძვლები რბილად რომ ვთქვათ საქართველოში რელიგიის სწავლების მხრივ არაფრის მომცემია.

კონკორდატის მუხლი 5

საგანმანათლებლო დაწესებულებებში მართლმადიდებლური სარწმუნოების შესახებ საგნის სწავლა ნებაყოფილობითია. სასწავლო პროგრამების დადგენა, შეცვლა, პედაგოგთა დანიშვნა და გათავისუფლება ხდება ეკლესიის წარდგინებით.

3. სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილნი არიან განათლების სისტემაში განახორციელონ ერთობლივი პროგრამები. სახელმწიფო ხელს უწყობს ეკლესიის საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირებას.

ჩამოთვლილი დეკლარირებული ნორმების მიუხედავად სახელმწიფო საჯარო სკოლებში რელიგიის სწავლება საქართველოში პრაქტიკულად არ ხორციელდება, ხოლო სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთობლივი პროგრამები განათლების სისტემაში რაში გამოიხატება ბუნდოვანია. მხოლოდ კერძო სკოლებში გაჩნდა შანსი რელიგიის სწავლებისა ისიც შეზღუდული საათებით.

გარკვეულწილად "განათლების კანონი" და "ეკლესიისა და განათლების სამინისტროს" შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი წინააღმდეგობებში მოდის "კონსტიტუციურ შეთანხმებასთან" რომელიც ქართულ სამართლებრივ სისტემაში საქართველოს კონსტიტუციის შემდეგ პირველ ადგილზეა.

მიმაჩნია რომ ამ მიმართულებით მეტი აქტიურობა მართებს ქართულ საზოგადოებასა და საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიას, თუ გვინდა, რომ საჯარო სკოლებში რელიგიური სწავლა-განათლება უფრო ნაყოფიერი იყოს.

რაში გამოიხატება თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს რელიგიურობა? იგი პირველ რიგში უნდა გამოიხატებოდეს უფლებაში იყოს რელიგიის მიმდევარი, ჰქონდეს რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება, როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო კანონმდებლობით და რაც მთავარია ეს არ იყოს დეკლარირებული განაცხადი, არამედ რეალურ ცხოვრებაში გატარებული. ამ მხრივ ქრისტიანული რელიგიისაგან განსხვავებით ებრაული და მუსულმანური რელიგიები უკეთეს მდგომარეობაში არიან ეროვნული კანონმდებლობის დონეზე.

ცალკე მსჯელობის საგანი უნდა გახდეს ერთსქესიანთა ქორწინების საკითხი და ამ ფორმით შექმნილი "ოჯახი" უნდა ჩაითვალოს თუ არა ოჯახად. ოჯახი ისტორიული და კლასიკური გაგებით, ფუნქციონალურად მრავალმხრივი დატვირთვისაა, აღარაფერს ვამბობ რელიგიური კუთხით შეფასებაზე.

ერთსქესიანების მიერ შექმნილი ოჯახი ძირითადად ეფუძნება ერთმანეთის მიმართ სექსუალურ ლტოლვას და ამას უწოდებენ სიყვარულს, რაც კაცობრიობის მიერ მაღალ ზნეობრივ ღირებულებად არ შეფასებულა. ეს ხორციელდება სამართლებრივი კუთხით ძირითადად "სექსუალური უმცირესობების უფლებების" დაცვის მოტივით, ეროვნულ და საერთაშორისო კანონმდებლობებში. ბოლო ათწლეულების ტენდენციას თუ გავაანალიზებთ შევამჩნევთ რომ "უმცირესობების" დაცვა წამოწეულია ძალიან წინა პლანზე, და არავინ არ ლაპარაკობს

უმრავლესობის უფლებებზე. "უმცირესობების" უფლებების გაზრდითა და ხელშეწყობით ფაქტიურად ირღვევა უმრავლესობის უფლებები და ინტერესები, რაც ბუნებრივად ინტერესთა კომფლიქტს წარმოშობს. "ერთსქესიან" ოჯახებს ზოგიერთ ქვეყანაში აქვთ, უფლება ბავშვი აიყვანონ და გაზარდონ, ზოგიერთ ქვეყანაში კი მათ ეკრძალებათ ბავშვის აყვანა და გაზრდა. ასეთი ტიპის ოჯახებმა, რა მორალურ – ზნობრივი და რელიგიური აღზრდა უნდა ჩაუტარონ თავიანთ "შვილებს" საინტერესოა. რელიგიური მცნება "არა იმრუშო" როგორ უნდა აუხსნან მოზარდ თაობას ასეთმა მშობლებმა.

ბავშვის რელიგიური აღზრდა ეს გახლავთ მრავალწლიანი შრომა მშობლებისა საკუთარი შვილის მიმართ. ეს არის კონკრეტული რელიგიის დოგმებისა და ისტორიის, ტრადიციების, სწავლების ერთობლივი სინთეზი, რომელიც მოზარდის აზროვნებაში ქვეცნობიერად ილექება ნელ-ნელა და სრულწლოვნობის მიღწევისას საკმაო მარაგის მქონეა. ამ ყველაფრის სწრაფად "შოკური თერაპიის" მსგავსად მიწოდება მოზარდისათვს არ შეიძლება, ვინაიდან მიეიღებთ უკუ შედეგს. ცეცხლთან ახლოს მისვლა, წვავს, ხოლო საჭირო დისტანციაზე ყოფნა კი ათბობს ადამიანს.

ძირითადად იკვეთება სამი ვარიანტი ბავშვის რელიგიური ცნობიერების ჩამოყალიბების მხრივ:

თუ მშობლები არიან ერთნაირი რელიგიის მიმდევრები და მატარებელნი, როგორც წესი ბავშვიც იმ რელიგიის მიმდევარი ხდება, რამე თუ საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობა აძლევს მშობელს ცალსახად უპირატეს უფლებას მისი შვილის რელიგიური ცნობიერების ჩამოყალიბებაში მიიღოს გადამწყვეტი მონაწილეობა. ეს გახლავთ ზოგადად ყველაზე საუკეთესო ვარიანტი.

თუ მშობლები არიან სხვადასხვა რელიგიის მიმდევრები, ასეთ შემთხვევაში როგორც წესი იგულისხმება, რომ მშობლები ნაკლებ რელიგიურები არიან, რამეთუ მონოთეისტური რელიგიები კრაძალავენ სხვა რელიგიურ აღმსარებლობის ადამიანებთან ქორწინებას, ასეთის შედეგად ჩამოყალიბებულ ოჯახებში ბავშვის რელიგიის განსაზღვრა დამოკიდებულია მშობლების (მამის და დედის) ურთიერთშეთანხმებაზე ვერ ან არ შეთანხმების შემთხვევაში, ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციიდან გამომდინარე, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის აზრს და პოზიციას. ძირითადად ესეთი საკითხები ("კომფლიქტური") წყდება სასამართლოს მეშვეობით.

სხვადასხვა ქვეყანაში მოზარდის ნაწილობრივი ან სრული ქმედუნარიანობის ასაკობრივი ზღვარი სხვადასხვაა. ძირითადად ეს ასაკი მერყეობს 14 დან 18 წლამდე.

ნაწილობრივი ან სრული ქმედუნარიანობის უფლების მოპოვებით, ანუ ასაკობრივი ცენზის მიღებით მოზარდი უკვე კანონმდებლობის საფუძველზე თვითონ წყვეტს იყოს ამ თუ იმ რელიგიის მიმდევარი ანუ აკეთებს არჩევანს, შეიცვალოს, მიიღოს, ანუ უარყოს ესა თუ ის რელიგია. მას რჩება ამავე დროს უფლება იყოს ათეისტი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბიბლია. საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა . თბილისი 1989.
2. ახალი აღქმა. თბილისი 2003.

3. რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია – საოჯახო სამართალი. თბილისი 2009
4. პანაოტის ი. ბემისი. კანინიკური სამართალი.
5. პროტოპრესვიტერი მიხეილ პომაზანსკი. დოგმატური ღვთისმეტყველება
6. გ. შიმანსკი ქრისტიანული ოჯახი თბილისი 2011
7. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. 2007 წლის ნოემბრის მდგომარეობით ადვოკატი მეოხი №15
8. ზაზა ეაშაყმაძე- თანამედროვე ქართული საეკლესიო სამართალი თბილისი 2011
9. Гарольд Дж. Берман и закон. примирение права и религии. москва 2008.
10. გერჰარდ რობერსი. სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. მეორე გამოცემა 2011
11. გაეროს ძირითადი დოკუმენტები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. თბილისი 1995
12. ადამიანის უფლებათა და ძირითადი ტავისუფლებატა დაცვის კონვენცია. თბილისი 2004
13. Коментарий к Конвенцй о зашите прав человска и основных свобод и практике ее применения . Издательство Норма. москва 2002.
14. რელიგიები საქართველოში თბილისი 2008
15. სვამი Vივეკანანდა. ჯნანა-იოგა თბილისი 1996
16. რელიგიური ფილოსოფიის პრობლემები თბილისი 1995
17. სერგო ავალიანი სტატია-"მეცნიერული ანტოლოგია და თეოლოგია" ურნალი რელიგია №10, 11 1993წ
18. რელიგიის თავისუფლება თბილისი 2004
19. ალექსი ქუტაშვილი-სტატია "რელიგიის საგანი სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პროგრამაში, დემოკრატიული საზოგადოების აუცილებელი ატრიბუტი" ურნალი ლოგოსი №5 2008წ
20. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად. თბილისი 1991

Role of family while formation child's religious awareness according to international law

Zaza Vashakmadze
Professor of Sukhishvili Teaching University
E-mail: zvashakmadze@mail.ru

Resume

The work discusses issues about formation and development child's religious awareness, about the necessity of legal marriage families and religion. Some approaches related to child's religious rights obtained by international agreement are proposed. Important conclusions are made to implement them in children's life.

ხელისუფლების დანაწილების თავისებურებები ევროკავშირში

ავთანდილ ტუკვაძე
პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
სუხიშვილის უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი
Tel: 593-31-06-83

ხელისუფლების დანაწილების იდეა ანტიკური ფილოსოფოსების ნააზრევში გვხვდება; პლატონი, არისტოტელე, ციცერონი აუცილებლად მიიჩნევდნენ აღმასრულებელი, სასამართლო და საკანონმდებლო ხელისუფლებების გამიჯვნას, ხოლო საზოგადოების მმართველებად და მართველებად დაყოფას მისი ფუნქციონირების აუცილებელ პირობად თვლიდნენ; კანონის უზენაესობის აღიარების პარარელურად არისტოტელემ დააკონკრეტა ხელისუფლების ცალკეული შტოები: საკანონმდებლო ორგანო, რომელიც უმაღლესია სახელმწიფოში წყვეტს კანონების დადგენისა და სიკვდილით დასჯის, თანამდებობებზე არჩევის, სხვა სახელმწიფოებთან ხელშეკრულების დადების, ქონების ჩამორთმევის და სამართლებრივ საკითხებს; აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოიაზრებს სამხედრო, საპოლიციო, საფინანსო, საკონტროლო, რელიგიურ მაგისტრატურებს; სასამართლო ხელისუფლებაში ახდენს ადმინისტრაციულ, სამოქალაქო, სისხლის სამართლის საქმეების სასამართლოების დეფინიციას; ციცერონი სამართლიან კანონებთან ერთად გამოყოფს ხელისუფლების შტოებს მაგისტრატებს, სენატს და მიუთითებს, რომ „ხელისუფლების ყველა სახე, ყველა იმპერიუმი, ყველა მმართველობა მთლიანად რომაელი ხალხიდან მომდინარეობს“. სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა სახეებმა უნდა გააწონასწორონ ერთმანეთი, და მათი ფუნქციები მკეთრად უნდა გაიმიჯნოს. ფაქტობრივად, მოგვიანებით დაკონკრეტდა ბერძენი და რომაელი მოაზროვნეების იდეები; ჯონ ლოკმა განარჩია საკანონმდებლო, აღმასრულებელი, საკავშირო (ფედერაციული) ხელისუფლება, სადაც საკანონმდებლო კანონებს გამოცემს, აღმასრულებელი ახდენს მის შესრულებას, ხოლო საკავშირო საგარეო პოლიტიკას წარმართავს; შარლ მონტესკიემ ერთმანეთისგან გამიჯნა აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლება და დაუშვებლად მიიჩნია მათი ფლობა ერთი პიროვნების მიერ; მონტესკიე მოითხოვდა საფრანგეთში კონსტიტუციური მონარქიის შემოღებას, ხელისუფლების დანაწილებას—მეფე აღმასრულებელი ხელისუფლება, ხალხის მიერ არჩეული საკანონმდებლო ხელისუფლება და სასამართლო, რომელსაც ნაფიცი მსაჯულები განასახიერებდნენ.

ხელისუფლების დანაწილების თეორიის პრაქტიკაში გადატანის ამოცანის წინაშე დადგნენ ალექსანდერ ჰამილტონი, ჯეიმს მედისონი, თომას ჯეფერსონი, ჯონ ჯეი, ჯორჯ ვაშინგტონი; აშშ–ის კონსტიტუციის შექმნის პროცესში მათ სხვა პრობლემებთან ერთად უნდა გადაეწყვიტათ ორი საკითხი: ერთი, აღმასრულებელი, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლებების დამოუკიდებლობის თეორიული იდეა პრაქტიკაში ხომ არ შეუქმნიდა საფრთხეს სახელმწიფოს მთლიანობას; მეორე, მათი ურთიერთდამოკიდებულების მექანიზმის შექმნა, ხომ არ გააძლიერებდა რომელიმე მათგანს და გააჩენდა მონარქიზმის საფრთხეს;

აშშ–ეს კონსტიტუციის მამებმა ვეტოს და იმპიჩმენტის ინსტიტუტების შექმნით შეძლეს შეკავება და გაწონასწორების მდგომარეობის შენარჩუნება აღმასრულებელ საკანონმდებლო და სასამართლო შტოებს შორის; ხელისუფლების ხელახალი

გამოგონების ამერიკული იდეის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ხელისუფლების ყოველ შტოს მიეცა კონსტიტუციით განსაზღვრული ძალაუფლება და მექანიზმები წინააღმდეგობა გაუწიოს ხელისუფლების სხვა შტოს შესაძლო არალეგიტიმურ ქმედებას; პრეზიდენტი აღიჭურვა შეფარდებითი ვეტოს უფლებით საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობაზე ზემოქმედების მექანიზმით, ხოლო თავის მხრივ კონგრესი პრეზიდენტის გადაყენების იმპიჩმენტის განსაკუთრებული უფლებით; საბოლოო ჯამში ვეტოსა და იმპიჩმენტის ინსტიტუტები ქმნის ურთიერთკონტროლისა და ურთიერთზემოქმედების შესაძლებლობებს, განაპირობებს შეკავებისა და გაწონასწორების მდგომარეობას, გამორიცხავს ავტორიტარულ გადაწყვეტილებებს პრეზიდენტისა და კონგრესის მხრიდან, უზრუნველყოს სასამართლოს დამოუკიდებლობას და რაც მთავარია, იძლევა ადამიანის სამოქალაქო, პოლიტიკური, რელიგიური და სხვა ფუნდამენტალური უფლებების მაქსიმალურად დაცულობის გარანტიას; სხვა საკითხია, რომ აშშ–ს კონსტიტუციით შესაძლებელია პრეზიდენტი გახდეს პიროვნება, რომელმაც ქვეყნის მასშტაბით კონკურენტთან შედარებით ნაკლები ხმები მიიღო ან კიდევ პრეზიდენტის სავარძელში აღმოჩნდეს აშშ–ი დაბადებული მოქალაქე, რომელიც ხალხს არ აურჩევია (მაგ; ჯერარდ ფორდი). მაგრამ ერთის თქმა შეიძლება: აშშ–ი მაქსიმალურადაა დაცული უმცირესობების უფლებები, რაც დემოკრატიის უტყუარი ბარომეტრია.

ევროკავშირში ხელისუფლების დანაწილების თავისებურებებზე მსჯელობისას ორი მომენტის გააზრებაა საჭირო: ერთი მხრივ, ხელისუფლების დანაწილება საერთო ევროპული ინსტიტუტების დონეზე (ევროპული საბჭო, მინისტრთა საბჭო, ევროკომისია, ევროპარლამენტი, ევროპულ თანამეგობრობათა სასამართლო, ევროპის აუდიტორთა სასამართლო, ევროპის ცენტრალური ბანკი), მეორე მხრივ, ევროკავშირში შემავალი ქვეყნების აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო შტოებსა და სუპრანაციონალურ ინსტიტუტებს შორის კომპეტენციების „გამიჯვნა“, რაც გარკვეული აზრით დააკონკრეტა ლისაბონის სიმიტმა, თუმცა ბოლო პერიოდში მწვავე ეკონომიკური კრიზისის ფონზე ხშირად გაისმის ფედერაციისკენ სელის აუცილებლობა;

ხელისუფლების დანაწილების ფორმულა აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებებად უცვლელია: საკანონმდებლო ხელისუფლება–მინისტრთა საბჭო, ევროპარლამენტი–თანაკანონმდებელი, ევროკომისია–აღმასრულებელი ხელისუფლება, სასამართლო ხელისუფლება–ევროპულ თანამეგობრობათა სასამართლო, ევროპის აუდიტორთა სასამართლო; ევროპული საბჭო, რომელზეც წყდება ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი და სხვა საკითხები.

ხელისუფლების დანაწილების თავისებურებები ჩანს საერთო ევროპული ინსტიტუტების ფუნქციურ დატვირთვაში და მართებული იქნებოდა გვესაუბრა მინისტრთა საბჭოს უპირატესად საკანონმდებლო, ხოლო ევროკომისიის უპირატესად აღმასრულებელ ფუნქციებზე, რადგანაც ევროკავშირის ინსტიტუტები ერთდროულად ერთმანეთის უფლებამოსილებებსაც ინაწილებენ.

მინისტრთა საბჭო არის ევროკავშირის ძირითადი საკანონმდებლო ორგანო, სადაც წევრი სახელმწიფოების მინისტრები, თავიანთ ქვეყნებში აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, საკანონმდებლო საქმიანობას ეწევიან და აკონტროლებენ სუპრანაციონალურ ინსტიტუტების მიერ მიღებული კანონების გადანერგვა–შესრულების პროცესს ეროვნულ დონეზე; საკანონმდებლო პროცეში შეზღუდული მონაწილეობის უფლება აქვს ევროპარლამენტს: მინისტრთა საბჭო და

ევროპარლამენტი საკანონმდებლო პროცესის დროს ურთიერთქმედებენ ოთხი ფორმით: კონსულტაციის, თანაგადაწყვეტის, თანამშრომლობის, თანხმობის მექანიზმებით; თანაგადაწყვეტის და თანხმობის პროცედურების დროს ორივე ინსტიტუტის უფლებამოსილებები თანასწორია, ხოლო კონსულტაციისა და თანამშრომლობის დროს საბოლოო სიტყვა მინისტრთა საბჭოს ეკუთვნის; საბიუჯეტო (პროექტი ევროკომისიას შეაქვს და შემდეგ ეთიშება ამ პროცესს და მხოლოდ ხარჯვით ნაწილზეა ანგარიშვალდებული ევროპარლამენტის წინაშე) პროცედურასთან დაკავშირებით ბოლო სიტყვა ევროპარლამენტს ეკუთვნის, თუმცა მინისტრთა საბჭო წყვეტს ბიუჯეტის დაცული მუხლების ე.წ. აუცილებელი დანახარჯების საკითხს, ხოლო არააუცილებელი დანახარჯების საკითხი პარლამენტის კომპეტენციაშია;

მინისტრთა საბჭოს, საკანონმდებლო ორგანოს, მისი ეროვნული ანალოგებისგან განსხვავებით, გააჩნია აღმასრულებელი ფუნქციებიც; აქ არ იგულისხმება მასში შემავალი მინისტრების აღმასრულებელი ფუნქციები ეროვნულ დონეზე; მინისტრთა საბჭოს აღმასრულებელი ფუნქციები გულისხმობს: გრძელვადიანი მიზნების დასახვას და მათი განხორციელების დელეგირებას ევროკომისიაზე; საშუალოვადიანი მიზნების განსაზღვრას; საერთო ევროპული კანონმდებლობის გადანერგას ეროვნულ დონეზე, კომიტოლოგიის ინსტიტუტთან ერთად აღმასრულებელ ხელისუფლებაში მონაწილეობა; მინისტრთა საბჭოს ინსტიტუციურ ჭამელეონსაც უწოდებენ: იგი ერთდროულად არის ევროკომისიის პარტნიორი, მთავრობების კლუბი, კონკურენციისა და მოლაპარაკებების ადგილი მთავრობებისთვის, ქსელური მმართველობა და სხვა.

ევროკომისია ევროკავშირის აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენს, მასში ოცი ათასზე მეტი ადამიანია გაერთიანებული და წარმოადგენს ყველაზე პროევროპულ ინსტიტუტს; ევროკომისია გადამწყვეტ როლს თამაშობს ევროინტეგრაციის პროცესში; ხელისუფლების დანაწილების უნიკალურობა ევროკავშირში ევროკომისიის კომპეტენციის, ფუნქციების ანალიზშიც ნათლად ჩანს: კომისიის შემადგენლობის (27 კომისარი) შერჩევა–დამტკიცების პროცესში ევროპული საბჭო, მინისტრთა საბჭო მონაწილეობს, მაგრამ საბოლოო სიტყვა მაინც ევროპარლამენტს ეკუთვნის; ევროკომისიას აქვს ევროკავშირში ყველაზე დიდი ინსტიტუციური გამოცდილება (1967 წლიდან არსებობს), ექსპერტიზის შესაძლებლობა (რასაც მოკლებულია ევროპარლამენტი), დიდი ბიუროკრატია, რომელიც სამსახურებისა და გენერალური დირექტორატების, ექსპერტთა მეშვეობით მნიშვნელოვან საკითხებს წყვეტს; ევროკომისიას წარმართავს აღმასრულებელი საქმიანობის კორდინაციას პორიზონტალურად, ევროპული ინსტიტუტების დონეზე, ხოლო კომიტოლოგიის ინსტიტუტების მეშვეობით ეროვნულ ადმინისტრაციების საფეხურზე ახდენს თანხმობის მიღწევას; აღმასრულებელ ფუნქციასთან ერთად ევროკომისიის ერთ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია არის საკანონმდებლო ინიციატივის შეტანა პირველი საყრდენის საკითხებზე; ასევე უფლება აქვს მეორე მესამე საყრდენის ქვეშ შემოიტანოს კანონპროექტი; მას აქვს შეზღუდული უფლება აკონტროლოს ევროკავშირის ბიუჯეტი და ამავე დროს ბიუჯეტში გაწერილი თანხების ხარჯვაზე იგი ანგარიშვალდებულია ევროპარლამენტის წინაშე, რომელმაც კომისიას უნდა მისცეს ფისკალური წლის დახურვის უფლება; კანონშემოქმედებითი ფუნქცია ნათლად ჩანს ევროკომისიის წესების შემქმნელ უფლებამოსილებაში: ევროკომისია გამოსცემს მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული კანონების შესასრულებლად კანონქვემდებარე აქტებს, რომლებიც დირექტივებისა და

რეგულაციების სახელწოდებითაა ცნობილი; მთავრობები ვალდებული არიან მიაწოდონ ინფორმაცია კანონის იმპლემენტაციის შესახებ ევროკომისიას, ხოლო მას შეუძლია აღძრას საქმე „ურჩი სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ევროსასამართლოში და თავად აქვს უფლება დააჯარიმოს კანონის დამრღვევი სუბიექტი, რაც სასამართლო ხელისუფლების ფუნქციის „შეთავსებაზეც“ მიუთითებს.

ევროპული საბჭოს ინსტიტუალიზაციის აუცილებლობა ევროკავშირის ჩამოყალიბება–განვითარების დინამიკამ განაპირობა: მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ბუნებრივია ევროკავშირის წევრი–სახელმწიფოების უმაღლესი დონის შეხვედრებზე, სამიტებზე წყდებოდა: „ბუხრისპირა მოლაპარაკებები“ ყველაზე დაძაბული შეხვედრების არენად იქცა, სადაც „პირდაპირ ეაჭრობასთან“, დაპირისპირებებთან ერთად, საერთო ევროპული კონსენსუსის და ურთიერთშეთანხმების მიღწევის დიდი ალბათობაა; ბოლო პერიოდში ჩატარებული სამიტებზე ხაზი ესმება საერთო საბიუჯეტო პოლიტიკის აუცილებლობას და ევროკავშირის, ზესახელმწიფოებრივი წარმონაქმნის ფედერაციულ სახელმწიფოს მიმართულებით განვითარების აუცილებლობას; ფუნქციური თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები საგარეო პოლიტიკის, გაფართოების, ევროინტეგრაციის, ევროპული სამართლის და სხვა სფეროებში ევროპული საბჭო ღებულობდა და მომავალშიც ასე გაგრძელდება, რადგანაც მინისტრების, ელჩების და სხვა პირების კომპეტენციები საკმარისი არაა კონსესუსის მიღწევის პროცესში და აუცილებელია სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურების დონეზე პირისპირ მოლაპარაკებები.

შეიძლებოდა გაგვეგრძელებინა ევროკავშირის ინსტიტუტების ფუნქციური დატვირთვის განხილვა, მაგრამ ზემოთ თქმულიც საკმარისია ევროკავშირში ხელისუფლების დანაწილების თავისებურებების ანალიზისთვის: შეგვიძლია ვილაპარაკოთ მინისტრთა საბჭოს უპირატესად საკანონმდებლო როლზე, რადგანაც ამ ფუნქციას ევროპარლამენტი, ევროკომისია ინაწილებენ, ხოლო ევროპულ საბჭოში სათაოეს იღებს ევროინტეგრაციის გზაზე ყველა ინიციატივა; მინისტრთა საბჭოს აღმასრულებელი ფუნქციები აჭარბებს საკანონმდებლოს და ევროკომისიასთან ერთად წარმართავს საქმიანობას; ევროკომისია უპირატესად აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენს და ყველაზე მეტად განასახიერებს საერთო ევროპულ იდეას; მას აქვს ყველაზე მეტი ადამიანური რესურსი და შესაძლებლობები კონტროლი გაუწიოს სუპრაეროვნული ინსტიტუტების გადაწყვეტილებების ტრანსპლანტაციას ეროვნულ დონეზე, თუმცა ევროკომოსიის საქმიანობას მინისტრთა საბჭო კომიტოლოგიის ინსტიტუტის, ეროვნული ადმინისტრაციებით დაკომპლექტებული მოხელეების მეშვეობით აკონტროლებს; ევროკომისიას, როგორც ზემოთ იყო განხილული, გააჩნია ფართო საკანონმდებლო უფლებამოსილებები და ასევე ითავსებს სასამართლოს ზოგიერთ ფუნქციასაც;

ამრიგად, ევროკავშირში ხელისუფლების დანაწილების უნიკალურობა ეროვნულ სახელმწიფოებისგან განსხვავებით, იმაში მდგომარეობს, რომ თვითეული ინსტიტუტი ფლობს აღმასრულებელი, საკანონმდებლო, ზოგჯერ სასამართლო ფუნქციების მნიშვნელოვან ნაწილს, რაც ურთიერთკონტროლისა და ურთიერთზემოქმედების დიდ შესაძლებლობებს ქმნის და საბოლოო ჯამში, უფრო გამჭვირვალეს, დემოკრატიულს ხდის საერთ ევროპულ პოლიტიკას (თუმცა ყოველივე ბადებს ინსტიტუციური ფუნქციების აღრევის საფრთხეს). ევროკავშირის ჩამოყალიბება–განვითარების ისტორია ქმნის ახალ თეორიულ მიდგომას სახელმწიფოების ინტეგრაციის პროცესში და დღევანდელი მდგომარეობით შეიძლება

დაეასკვნათ, რომ იგი ზესახელმწიფოებრიეი წარმონაქმნის სრულიად ახალი ნაირსახეობაა და მნიშვნელოვნად განსხვავდება კონფედერაციის თუ ფედერაციის დღემდე არსებული ფორმებისგან; ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ევროკავშირის ინსტიტუტების და ეროვნული ხელისუფლებების თანაარსებობა, მათი ურთიერთმიმართება და ფუნქციური დატვირთვა, საშუალებას იძლევა დემოკრატიზაციის პროცესი, ადამიანების უფლებების დაცულობა თვისებრივად ახალ განზომილებებში გაეიაზროთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პოლიტიკური აზრის ისტორია ანტიკური ხანიდან 18 საუკუნემდე (ქრესტომათია სტუდენტებისთვის). თბ; 2008.
2. გ. ლობჟანიძე, ა. ტუკვაძე, გ. ჯაოშვილი. შესავალი სამართლის ფილოსოფიაში. თბ;2006
3. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. ნაწ. 1 თბ; 2008.
4. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. ნაწ. 2 თბ; 2008.
5. თომას მაგშტადტი. გაეიგოთ პოლიტიკა. თბ; 2012.
6. კახა გოგოლიშვილი, სერგი კაპანაძე. ევროკავშირის პოლიტიკა: მიმდინარე საკითხები „სერიიდან ევროინტეგრაცია.“ თბ; 2007.
7. Алмонд Г., Пауэлл Дж., Стром К., Далтон Р. Сравнительная политология сегодня: Мировой обзор.М.2000.
8. Zippelius R. Reshtsphilosopie. Munchen 1982.

Peculiarities of Authority Division in EU

Avtandil Tukvadze
Doctor of Political Sciences,
Professor of Sukhishvili Teaching University
Tel: 593-31-06-83

Resume

The uniqueness of authority division in EU is considered with the fact that the common European institutions, Council of Ministers, the European Commission, European Parliament, and European Council simultaneously have certain powers of legislative, executive and judicial authority. On the one hand, it leads to the possibilities of mutual control and mutual impact, on the other hand it leads to the transparency of the process of decision-making and realizing, high level of engagement and what is more important it leads to deepening of democratization and high quality of human rights' protection.

პოლიტიკური სუბკულტურების თავისებურებები საქართველოში

ავთანდილ ტუკვაძე
პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
სუხიშვილის უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი
Tel: 593-31-06-83
გურამ აბესაძე
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი,
E-mail: guramabesaze@yahoo.com მობ.: 599 24 53 80; ტ.: 2 53 51 64

პოლიტიკური კულტურა საზოგადოების პოლიტიკური ქცევების მოდელია, რომელიც ელინდება არჩევნების დროს "პოლიტიკური თამაშის წესებში", ხელისუფლებაზე ზეწოლის, მხარდაჭერის ფორმებში და მასზე გაელენას ახდენს კონკრეტული საზოგადოების ეროვნული, რელიგიური, ისტორიული, პოლიტიკური განვითარების თავისებურებები. პოლიტიკური კულტურის განვითარების დონე, ტიპი, განმსაზღვრელ გაელენას ახდენს დემოკრატიის ხარისხზე; მკელევარების უმრავლესობას მიაჩნია, რომ მხოლოდ ის დემოკრატიები არის სტაბილური, სადაც პოლიტიკური ინსტიტუტები საკუთარი პოლიტიკური კულტურის განვითარების შედეგია: უფრო ზუსტად, დასავლური ციველიზაციების ტრანსპლანტაცია შეუძლებელია არადასავლური ციველიზაციების ქვეყნებში; სამწუხაროდ, ამ დებულების დადასტურებაა აზიის, აფრიკის, სამხრეთ ამერიკის, პოსტსაბჭოთა სიერცის ქვეყნების ისტორია; ჯერ-ჯერობით მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში აშშ-ს, საფრანგეთის სხვა დემოკრატიების კონსტიტუციების, პოლიტიკური ინსტიტუტების გადმონერგვამ შედეგი არ მოგვცა და დასახელებული რეგიონების სახელმწიფოები ავტორიტარული რეჟიმების ოაზისებად რჩება: სახეზეა სუპერსაპრეზიდენტო რესპუბლიკების მრავალსახეობა; საბედნიეროდ არის გამონაკლისი იაპონიის, სამხრეთ კორეის, ისრაელის სახით, რომლებიც წარმოადგენენ წარმატებული ევსტერნიზაციის ნიმუშს—"დემოკრატიებს უჩვეულო ადგილებში".

ჩვენი აზრით,საქართველოს აქვს შანსი ეტაპობრივად ჩამოაყალიბოს დემოკრატიული ინსტიტუტები და გახდეს ევროპული ტიპის ლიბერალური ქვეყანა; ამის მტკიცების საშუალებას იძლევა განათლების, კულტურის მაღალი დონე, ეთნიკური და რელიგიური ტოლერანტობის თვისება, რომელმაც ისტორიულ გამოცდას გაუძლო და მნიშვნელოვან დემოკრატიულ ღირებულებას წარმოადგენს. ტოლერანტობის ნათელი დადასტურებაა ქართველების მრავალსაუკუნოვანი მშვიდობიანი თანაცხოვრება ებრაელებთან, სომხებთან და სხვა ეროვნების ხალხებთან; ასევე, თბილისში ერთი კილომეტრის რადიუსში განლაგებული ქართული, სომხური, რუსული ეკლესიები, სინაგოგა, მეჩეთი; დავით აღმაშენებლის ტოლერანტულ ბუნებაზე ილია ჭავჭავაძეც მიუთითებდა და აღნიშნავდა, რომ მსგავსი დამოკიდებულება სხვადასხვა აღმსარებლობის და ეთნიკური წარმომავლობის ხალხთან, დღესაც კი საოცრებას წარმოადგენს ევროპელებისთვის: მაგალითად მოაქვს გლადსტონი, რომელმაც აღიარა პატივისცემა ირლანდიული კულტურისა და ტრადიციების.

საქართველოს პოლიტიკური კულტურის მრავალფეროვნებას განაპირობებს მისი შემადგენელი ნაწილების-სუბკულტურების თავისებურებები; უფრო მეტიც, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის რღვევის პროცესში მნიშვნელოვნად ნეგატიური როლი ითამაშა ქართულ სახელმწიფოებრიობასთან არა იდენტიფიცირებულმა ეთნოპოლიტიკურმა სუბკულტურებმა; აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ დასავლეთის დემოკრატიებში სუბკულტურათა მრავალფეროვნება არ იწვევს რადიკალურ დაპირისპირებას და ქვეყნის მთლიანობისთვის საფრთხის შექმნას; ამის

მიზეზია სამოქალაქო კულტურის ტიპის არსებობა და რაც მთავარია საყოველთაო თანხმობა-კონსენსუსი დემოკრატიის საბაზისო ღირებულებების ირგელივ, რაც პირველ რიგში გულისხმობს ყველა სადაო საკითხის მოლაპარაკებების გზით გადაწყვეტას. მის მაგალითი ბელგია, შვეიცარია და სხვა ქვეყნებია.

ეროვნული პოლიტიკური კულტურის მოდელში გამოიყოფა სუბკულტურათა რამდენიმე ტიპი:

1. რეგიონალური პოლიტიკური სუბკულტურა, რომელიც განპირობებულია ქვეყნის ცალკეული რეგიონების ლოკალურ-ბუნებრივი და ეკოლოგიური თავისებურებებით; პოლიტიკურ-კულტურულ სივრცეში გამოიყოფა ლოკალურ-რეგიონალური სუბკულტურა, რომელიც განისაზღვრება ამ რეგიონის ცხოვრების წესითა და ეკონომიკური განსხვავებით. რეგიონალური ბუნებრივი პირობები თავისებურად მოქმედებს ადამიანთა სოციალური ტიპების ფორმირებაზე, რომელიც აისახება პოლიტიკურ-კულტურულ თანაარსებობაზე.

ქართულ პოლიტიკურ-კულტურულ სივრცეში რეგიონალური ბუნებრივი პირობები თავისებურ ზემოქმედებას ახდენდა ლოკალური სუბკულტურების ფორმირებაზე, რომელიც გამოვლინდება ხასიათის, ნებისყოფის, ტემპერამენტისა და სხვადასხვა სოციალური ფორმების სახით; ქართულ პოლიტიკურ სივრცეში კონკრეტულ-ისტორიულ თანაცხოვრებაზე ყოველთვის დიდ ზეგავლენას ახდენდა რეგიონალური გეოგრაფიულ-კლიმატური პირობები და ეკონომიკური განვითარების თავისებურებები.

2. სოციალურ-ეკონომიკური სუბკულტურა, რომელიც გამოირჩევა განსხვავებული ცხოვრების წესითა და სტილით; ეკონომიკური განვითარების თავისებურებები გარკვეულ ზეგავლენას ახდენს ადამიანთა თანაცხოვრების წესებზე, ინტერესთა სფეროებზე და ა. შ. სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების წესი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს პოლიტიკურ ინტერესებზე, რომელიც ფუნქციონალურად პოლიტიკური სუბკულტურის გარკვეულ ტიპში გამოვლინდება.

ქართულ სივრცეში, ისტორიულად სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებების მხრივ, სხვადასხვა რეგიონი გამოიყოფოდა, რომელიც ეკონომიკური თანაცხოვრების გარკვეულ წესებს ემორჩილებოდა; ამ თვალსაზრისით, ცალკეულ რეგიონებს გარკვეული პოლიტიკურ-ღირებულებითი ორიენტაციები გამოუმუშავდა, რომელიც თავისებურ პოლიტიკურ-კულტურულ მოთხოვნებს ემყარება.

3. ეთნოლინგვისტური სუბკულტურის ტიპი, რომელიც დაკავშირებულია ეთნიკურ და ენობრივ თავისებურებებთან; ეთნიკური უმცირესობების სუბკულტურები ახასიათებთ მრავალეროვნულ სახელმწიფოებს, რომელიც თავისი ეთნიკური კულტურულ-ავტონომიური თავისებურებებით გამოირჩევიან. პოლიტიკურ-კულტურული სტაბილურობა მოითხოვს ეთნიკური სუბკულტურული თავისებურებების გათვალისწინებასა და ირაციონალური პროცესების დროულ გადაჭრას. ენობრივი თავისებურებები ეს არის ადამიანთა გარკვეული ლინგვისტური ჯგუფის აზროვნების წესი, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანთა პოლიტიკურ ცნობიერებასა და საქმიანობის სტილზე. ამიტომ, პოლიტიკურმა აქტორებმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინონ ეთნოლინგვისტური სუბკულტურული ჯგუფების მოთხოვნები და ინტერესები.

ქართული პოლიტიკურ- კულტურული სივრცე ძალზე გამორჩეულია თავისი ეთნიკური და ლინგვისტური თავისებურებებით; პოლიტიკური პროცესების დინამიკურობა დიდად არის დამოკიდებული ამ ეთნიკური და ლინგვისტური ჯგუფების თანამშრომლობასა და ინტეგრაციული პროცესების გაძლიერებაზე. პოლიეთნიკურობის პირობებში დემოკრატიის სტაბილურობა და მდგრადი პოლიტიკური მოდერნიზაცია მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის რაციონალურად წარმართვაზე. ამიტომ, ქართველი პოლიტიკური ერის თვითდამკვიდრება ეთნიკურ სუბკულტურათა განვითარებასა და სამოქალაქო ინტაგრაციის პროცესის გაძლიერებასაც მოითხოვს.

4. რელიგიური პოლიტიკური სუბკულტურა, რომელიც დამახასიათებელია ისეთი პოლიტიკური რეჟიმისთვის, სადაც რელიგიური ფაქტორი დიდ გავლენას ახდენს ღირებულებითი ორიენტაციებისა და პოლიტიკური ქცევის წესების ფორმირებაზე; რელიგია ხელს უნდა უწყობდეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ სტაბილურობასა და ინტეგრაციას; თუმცა რელიგიური მრავალფეროვნება პოლიტიკური განვითარების თვალსაზრისით, ზოგჯერ ნეგატიურ ტენდენციებს უწყობს ხელს; ზოგიერთი რელიგიური ორგანიზაცია და სექტა განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩევა და მათი პოლიტიკურ-კულტურული ქცევებიც ექსტრემიზმითაა აგებული. ამიტომ, ისეთ პოლიტიკურ სივრცეში, სადაც რელიგიური მრავალფეროვნება არსებობს, განსაკუთრებულ სიფრთხილესა და კონსენსუალური თანამშრომლობის პრინციპების განხორციელებას მოითხოვს.

თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ სივრცეში მნიშვნელოვანია მართლმადიდებელი ეკლესიის როლი, რადგანაც იგი დომინანტი რელიგიური ძალაა, რომელიც განმსაზღვრელ როლს ასრულებს ღირებულებითი პრიორიტეტების ფორმირებასა და ეროვნულ თვითმყოფადობის შენარჩუნებაში; თანამედროვე ტრანზიტის პირობებში პოლიტიკურ ველზე შეიმჩნევა ინსტიტუციური ვაკუუმი, რამაც განაპირობა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის როლის ზრდა და აქტიურ სუბიექტად გადაქცევა. ამასთანავე, სხვა რელიგიური სუბკულტურული სივრცე, ტიპობრივი თვალსაზრისით, ძალზე მრავალფეროვანია და არსებითად განსაზღვრავს ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ-ღირებულებითი თვითდამკვიდრების პროცესს.

5. ასაკობრივი სუბკულტურა, რომელიც დიფერენცირებულად უნდა წარმოვადგინოთ; ეროვნულ პოლიტიკურ კულტურაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდული სუბკულტურა, რომელიც გამოირჩევა თავისი მენტალობით, სიახლისადმი დამოკიდებულებით, ღირებულებითი თავისებურებებით, ემოციური და ინტელექტუალური პოტენციალით. ახალგაზრდობა ყოველთვის იყო პოლიტიკურ-კულტურული ტრანსფორმაციის აქტორი და ღირებულებითი ცვლილებების შემოქმედი. ტრანსფორმაციის პირობებში ძალზე მნიშვნელოვანია სტუდენტი-ახალგაზრდობის ადგილი და როლი, რომლის პოლიტიკურ ორიენტაციებს ყოველთვის ითვალისწინებდა ფუნქციონალური პოლიტიკური ელიტა და პოლიტიკური სივრცის სხვა აქტორები. სტუდენტობას თავისი სუბკულტურული თვისებები ახასიათებს, რომელიც რადიკალური ცვლილებების პერიოდში გადამწყვეტ ფუნქციურ როლს ასრულებს. ქართველი სტუდენტ-ახალგაზრდობის პოლიტიკური კულტურის კვლევის მიზნით საპარლამენტო არჩევნების წინ ჩვენს მიერ გამოკითხული იქნა სხვადასხვა უნივერსიტეტის 520 სტუდენტი-რესპონდენტი. გამოკითხვა ჩატარდა შემდეგ უნივერსიტეტებში: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი და თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი.

კვლევამ აჩვენა რომ, გამოკითხულ სტუდენტთა 51% ი შეიათად ავლენს ინტერესს პოლიტიკისადმი, 26% ფიქრობს რომ ძალიან ხშირად ინტერესდება პოლიტიკით, თანაბარი 11-11% კი ერგო პასუხებს "ი შეიათად ინტერესდები" და "ძალიან ი შეიათად ინტერესდები" 2%-ს კი უჭირს პასუხის გაცემა.

გამოკითხულთა 52% ნაწილობით დარწმუნებულია, რომ არჩევნების გზით შესაძლებელია ხელისუფლების შეცვლა. 18%-სავსებით დარწმუნებულია ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლაში. 16%- მთლიანობაში დარწმუნებულია არჩევნების ამ ფუნქციაში. ხოლო თანაბრად 7-7 % კი ან საერთოდ არაა დარწმუნებული ანდაც უჭირს პასუხის გაცემა.

კითხვაზე რამდენ უთმობთ ყურადღებას საარჩევნო კამპანიას.

გამოკითხულთა 33 %-საერთოდ არ აქცევს ყურადღებას საარჩევნო კამპანიას. 32%- დიდ ყურადღებას უთმობს. 25% მცირე ყურადღებას აქცევს. 10% უჭირს პასუხის გაცემა.

გამოკითხულთა 65% უკმაყოფილოა საქართველოში დემოკრატიის მუშაობით. 20% ნაწილობრივ კმაყოფილია. 9% უჭირს პასუხის გაცემა. 6% კმაყოფილია. საინტერესო შედეგები მოგვცა ილიას უნივერსიტეტში ჩატარებულმა კვლევამ: სტუდენტი ახალგაზრდობის აბსოლუტური უმრავლესობა კმაყოფილებას გამოთქვამდა საქართველოში დემოკრატიის ხარისხით; ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ დემოკრატიის მუშაობით აშშ-ს, საფრანგეთის, ინგლისის და სხვა დემოკრატიული ქვეყნების მოსახლეობის ერთი მესამედი უკმაყოფილოა და საქართველოს სინამდვილეში აბსოლუტური კმაყოფილება ილიას უნივერსიტეტის ადმინისტრაციის და პროფესორ-მასწავლებლების "წარმატებული" პროპაგანდისტული საქმიანობის შედეგია.

ბლოკს პოლიტიკაზე გაელენის მოხდენის მექანიზმებში 41%- ფიქრობს, რომ აქტიური მოქმედებით შეუძლია პოლიტიკაზე ზემოქმედება. 18%-ს აზრით მხოლოდ არჩევნების გზით შეიძლება პოლიტიკაზე ზემოქმედება. 17%-მხოლოდ უმნიშვნელო ზემოქმედების მოხდენაა შესაძლებელი.. 12%-ს აზრით ცალკეულ მოქალაქეებს არშეუძლიათ ზემოქმედების მოხდენა. 10% უჭირს პასუხის გაცემა.

გამოკითხულთა 34% ჩართულია პოლიტიკური თემების განხილვაზე. თანაბარი 20-20 % ნაწილებდა მონაწილეობს საპროტესტო აქციებში ანდაც უჭირს პასუხის გაცემა. 12% პოლიტიკური პარტიის წევრია. ხოლო 14% მონაწილეობს ხელისუფლების მიერ განხორციელებულ პროექტებში.

კვლევის შედეგად გამოჩნდა რომ, სტუდენტებს დემოკრატიული ღირებულებებისადმი ერთგულება— 34% მიაჩნია რომ ხელისუფლება მხოლოდ არჩევნების გზით უნდა შეიცვალოს.. 27%ისათვი მთავარი ღირებულება დამოუკიდებელი სასამართლოს არსებობაა. 16% დღეს არსებული სისტემის ერთგულია და მისთვის მთავარი ღირებულება ესაა. 10% კი საერთოდ არავითარი ერთგულება არ გააჩნია ინსტიტუტებისადმი.

გამოკითხულ სტუდენტთა 55%-ისათვის ინფორმაციის მთავარი წყარო ტელევიზიაა. 14%-ის ადამიანებთან ურთიერთობა, 8%-ის ბეჭდური მედია, 3%-რადიო. ხოლო 20%-ის სხვა წყაროები.

კვლევისას ყველაზე საინტერესო პუნქტი იყო მთავრობისადმი ნდობა და მისი მიმართება ხალხთან. 35%-ის აზრით მთავრობას მხოლოდ არჩევნებისას ახსენდება ხალხი. 25%-ს მეტნაკლები ნდობა გააჩნია მთავრობისადმი. 20% საერთოდ არ გააჩნია მთავ რობისადმი ნდობა. 13%-ს მთავრობისადმი მაღალი ნდობა გააჩნია. 7%-ის აზრით კი მთავრობა ყოველთვის ზრუნავს ხალხის კეთილდღეობისათვის.

კითხვაზე იმ შემთხვევაში თუ ხელისუფლება უზრუნველყო ეკონომიკური განვითარება და დემოკრატია, აუცილებელი იქნება ოპოზიციის არსებობა? გამოკითხულ რესპონდენტთა 57%-მა უპასუხა რომ დემოკრატია ოპოზიციის გარეშე წარმოუდგენელია, 28-ის აზრით საჭიროა მხოლოდ კონსტრუქციული ოპოზიცია, 7%-ს აზრით აუცილებელია მხოლოდ საპარლამენტო ოპოზიცია. 3%-ის აზრით კი ოპოზიციის საჭიროებას ამ შემთხვევაში ვეღარ ხედავს.

და ბოლო კითხვაზე თუ რას ნიშნავდა მისთვის "პოლიტიკური თამაშის წესები" რესპონდენტთა-44%-მა უპასუხა რომ ესაა არჩევნების დროს მორალური და სამართლებრივი ნორმების დაცვა, 16%-ის აზრით ესაა კონსტიტუციის ნორმებიდან დროებით გასვლა, 10-10%- ის აზრით ესაა ამომრჩეველთა მოსყიდვა და გაყალბების ტექნოლოგიების გამოყენება. 20%-ს კი უჭირს პასუხის გაცემა.

თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ სივრცეში სათანადოდ არ არის შეფასებული უფროსი თაობის კულტურულ-იტელექტუალური პოტენციალი; პოლიტიკური ტრანზიციის პროცესში მათი კომპეტენტურობა და პროფესიონალურობა სრულყოფილად უნდა იყოს გამოყენებული; თუმცა შესამჩნევია ნეგატიური ტენდენციები, როდესაც გარკვეულ სფეროებში უარყოფილია უფროსი თაობის ინტელექტუალურ-პროფესიონალური პოტენციალი; სახეზეა თაობათა შორის ურთიერთობებში გარკვეული ვაკუუმი, რომელიც კულტურულ-ინტელექტუალური ცელილებებით არის გამოწვეული და არსებით გავლენას ახდენს პოლიტიკური

მოდერნიზაციის ტემპზე. ეფიქრობთ, უფროსი თაობის კულტურულ-ინტელექტუალური პოტენციალი სრულად უნდა იყოს გამოყენებული, რომელსაც დაემყარება ახალგაზრდული თვითმყოფადი სუბკულტურული ტიპი; მხოლოდ ასეთ სიტუაციაში შეიძლება იყოს მიღწეული კონსენსუალური დამოკრატიის დამკვიდრება და პოლიტიკურ-კულტურული სივრცის რაციონალიზაცია.

6. პოლიტიკურ სივრცეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ელექტორალური სუბკულტურა, რომელსაც მონაწილეობითი ფუნქცია აკისრია; პოლიტიკური ლეგიტიმურობა ელექტორალურ რაციონალურ კულტურას მოითხოვს, რომელიც პოლიტიკურ სივრცეში მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ინსტიტუციური წესრიგის დამკვიდრებას. ამიტომ, პოლიტიკურ-კულტურული სივრცის მოდერნიზაციის პროცეს'ში გათვალისწინებული უნდა იყოს ელექტორალური სუბკულტურის თავისებურებები, რაციონალურობის პოტენციალი და ღირებულებითი პრიორიტეტები.

ამრიგად, გლობალურ სივრცეში პოლიტიკურ-კულტურული მრავალფეროვნება წარმოშობს ეროვნულ-პოლიტიკურ კულტურათა თანამშრომლობისა და ინტეგრაციის ახალ ფორმებს, რომელიც არ უპირისპირდება ეროვნულ თვითმყოფად კულტურულ ელემენტებს; გლობალიზაციამ და ახალმა მსოფლიო წესრიგმა მნიშვნელოვანწილად განაპირობა გლობალური დემოკრატიული პროცესები, რომელიც თანამედროვე პოლიტიკურ-კულტურული თანამშრომლობის უმნიშვნელოვანესი პირობა გახდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. აბესაძე, ა. ტუკვაძე. რაციონალურისა და ირაციონალურის თანაფარდობა თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ კულტურა'ში. საერთაშორისო სამართლისა და მართვის ქართულ-ბრიტანული უნივერსიტეტი. სამეცნიერო შრომათა კრებული. III ნაწ. თბ., 2010
2. გ. აბესაძე. ნ. აბესაძე. მართლმადიდებლური ეკლესია და ქართული სახელმწ'იფოებრიობა. თბ., 2011

   ა. ტუკვაძე, რ. ტუკვაძე. პოლიტიკური კულტურის ტიპები. (შედარებითი ანალიზი). თბ., 2007
3. 4. Алмонд Г., Пауэлл Дж., Стром К., Далтон Р. Сравнительная политология сегодня: Мировой обзор.М.2000.
4. Алмонд Г., Верба С. Гражданская культура и стабильность демократии// Политические исследования. 1992, №4.
5. Peter Reichel (Hg). Politische Kultur in Westeuropa:Burgeru.Staaten in d.Europ.Gemein-schaft campus. New York.1984

Peculiparities of political subcultures in Georgia

Avtandil Tukvadze
Doctor of Political Sciences,
Professor of Sukhishvili Teaching University
Tel: 593-31-06-83
Guram Abesadze
Doctor of Political Sciences
Full Professor of Sukhumi State University,
E-mail: guramabesaze@yahoo.com Tel: 599 24 53 80; ტ.: 2 53 51 64

Resume

Political culture covers subcultural types. National identity impacts on the subcultural space, also, some age, religious, global and geo-political factors. Georgian national political culture is divided into several types: regional, social – economical, religious, age, etc. Process of democratic modernization impacts greatly on the national state subcultural types.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მისი ურთიერთობა საქართველოსთან

ნანული ქოქაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
სუხიშვილის უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი

საერთაშორისო სავალუტო ფონდი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზირებული დაწესებულების სტატუსი აქვს მინიჭებული, რომელიც მიზნად ისახავს გლობალურ ფინანსური სისტემის უზრუნველყოფას უცხოური გაცვლითი კურსების და საგადამხდელო ბალანსის მონიტორინგის მეშვეობით. ის ასევე ტექნიკურ და ფინანსურ დახმრებას სთავაზობს საჭიროებისამებრ ბევრ ქვეყანას.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი წევრ სახელმწიფოებთან, ექვს რეგიონთან ახორციელებს ურთიერთობას. ესენია: ევროპის I, ევროპის II, ახლო აღმოსავლეთის, აფრიკის, აზია–წყნარი ოკეანის და დასავლეთ ნახევარსფეროს რეგიონები.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის რესურსები ყალიბდება ძირითადი კაპიტალისა და დაგროვების ხარჯზე. კაპიტალი განისაზღვრება კვოტებით – სსფ–ის წევრი ქვეყნების შენატანებით. კვოტით დგინდება ქვეყნის ხმების რაოდენობა და რესურსების გამოყენების ლიმიტი. კვოტების გადასინჯვა ხდება ხუთ წელიწად'ში ერთხელ. საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი ქვეყნების კვოტების სიდიდე განისაზღვრება ამ ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლებით. კვოტის გამოსათვლელი რამდენიმე ფორმულა არსებობს, მათ შორის არის ბრეტონ–ვუდსის ფორმულა, CQ=(0,01Y+0,025R+0,05P+0,2276VC)(1+C/Y). სადაც CQ გასაანგარიშებული სიდიდე. Y–მშპ მოცემული წლის მიმდინარე საბაზრო ფასებში, R- თორმეტი თვის ოქროს და უცხოური ვალუტის საშუალო რეზერვები, P–მიმდინარე გადასახდელების უკანასკნელი ხუთი წლის საშუალო დონე, C მიმდინარე შემოსულობათა უკანასკნელი ხუთი წლის საშუალო დონე, VC მიმდინარე შემოსულობათა ცვლილებები.

საქართველოს წილი კვოტა სსფ–ში ამჟამად 150,3 მლნ SDR-ს შეადგენს, რაც მთლიანი მოცულობის 0,07%–ია. ამის გათვალისწინებით, ჩვენ ქვეყანას ფონდში გააჩნია 1,753 ხმა (მთლიანი ხმების 0,08%)

ათი ყველაზე დიდი კვოტის მქონე სახელმწიფოების მონაცემები:

ცხრილი 1

ქვეყანა	კვოტა (მილ SDR)	კვოტა (%)	ხმების რაოდენობა	ხმები (%)
აშშ	37,149,3	17.09	371,743	16.74
იაპონია	13,312,8	6.12	133,378	6.01

გერმანია	13,008,2	5.98	130,332	5.87
დიდი ბრიტანეთი	10,738.5	4.94	107,635	4.85
საფრანგეთი	10,738.5	4.94	107,635	4.85
ჩინეთი	8,090.1	3.72	81,151	3.65
იტალია	7,055.5	3.24	70,805	3,19
საუდის არაბეთი	6,985.5	3.21	70,105	3,16
კანადა	6,362	2.93	63,942	2.88
რუსეთი	5,944	2.73	59,704	2.69

ყველაზე მეტი კვოტა და შესაბამისად, ხმის უფლებაც, სსფ–ში აშშ–ს გააჩნია. ამის გამო, მას თითქმის ყოველთვის შეუძლია გამოიყენოს ვეტოს უფლება გადაწყვეტილებების მიღებისას. მონცემების ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ კვოტების მოცულობა მხოლოდ მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობაზე არაა დამოკიდებული. ამას მოწმობს მერვე ადგილზე მყოფი საუდის არაბეთი, რომელიც მშპ–ის მოცულობის მხრივ მსოფლიოში 26–ე ადგილზეა.

საქართველო საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი არ იყო და 90–იან წლებამდე პრაქტიკულად საქართველოსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს შორის არანაირი ურთიერთობა არ არსებობდა.საქართველო სსფ–ის წევრი მხოლოდ 1992 წელს გახდა. სსფ –სა და საქართველოს შორის ურთიერთობების განხილვა პირობითად შეიძლება ორ ეტაპად დაიყოს: პირველი 1991–1994 წ.წ.–სსფ საქართველოს ხელისუფლებას აძლევს გარკვეულ რეკომენდაციებს თუმცა იგი არ ითვალისწინებს მათ, მეორე 1994 წლიდან დღემდე საქართველოს ხელისუფლებისათვის სსფ–ის რეკომენდაციების შესრულება აუცილებელი ხდება.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის აქტიური მონაწილეობით მომდინარეობდა და მიმდინარეობს საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული არა ერთი მნიშვნელოვანი რეფორმა.მის მიერ გამოყოფილი კრედიტების საშუალებით საქართველოში არაერთი მნიშვნელოვან კრედიტი განხორციელდა.

1994 წლიდან დღემდე საქართველომ ფონდისაგან ოთხი კრედიტი მიიღო. სსფ–ის პირველი კრედიტი თანხით 55,5 მლნ SDR (75,32მლნ. აშშ დოლარი) საქართველოსა და სსფ–ს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე წარმოიშვა, რომელიც მიღებული იქნა ორ ტრანშედ: 1994 წლის 20 დეკემბერს –27,75 მლნ. SDR და 1995 წლის 3 იელისს –27,75 მლნ. SDR. აღნიშნულ კრედიტზე საშეღავათო პერიოდი 4,5 წლით განისაზღვრა. ხოლო ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი – 5.5 წლით. შეთანხმების თანახმად დადგინდა არაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი. სსფ–ის მეორე კრედიტი (Stand by) თანხით 22,2 მლნ. SDR (30.13 მლნ. აშშ დოლარი) მიღებული იქნა ასევე ორ ტრანშედ: 1995 წლის 3 იელისს 5.55 მლნ SDR და ამავე წლის 4 ნოემბერს–16,65 მლნ SDR. აღნიშნულ კრედიტზე საშეღავათო პერიოდი განისაზღვრა 3,25 წლით, ხოლო ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი–1,75 წლით. მეორე კრედიტისათვის, პირველის მსგავსად, განისაზღვრა არაფიქსირებული

საპროცენტო განაკეთი. სსფ-ს მესამე კრედიტი თანხით 138,75 მლნ. SDR (188,318მლნ აშშ დოლარი) წარმოიშვა საქართველოსა და სსფ-ს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე (ESAF). კრედიტი გამიზნული იყო სტრუქტურული გარდაქმნებისათვის. კრედიტი მიღებული იქნა ხუთ ტრანშად: 1996 წლის 12 მარტს, 1996 წლი15 ნოენბერს 1997 წლის 4 აპრილს 1997 წლის 15 ნოემბერს და 1998 წლის 11ა გვისტოს. თითოეული ტრანში 27,75 მლნ SDR-ს შეადგენდა. აღნიშნული კრედიტისათვის საშელაეათო პერიოდი 5,5 წლით განისაზღვრა, ხოლო საპროცენტო განაკეთი 0,5%-ზე დადგინდა. სსფ-ს მეოთხე კრედიტი (Stand by) თანხით 747 მლნ. SDR დამტკიცებული იქნა 2008 წლის 15 სექტემბერს. კრედიტის მიზანი იყო საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის მხარდაჭერა, რომელიც ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობისკენ იყო მიმართული. პროგრამის დასრულების ვადა დადგინდა 2011 წლის 14 იენისამდე.

2010 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით, სულ სახელმწიფოს მიერ და სახელმწიფოს გარანტიით აღებული კრედიტების საერთო მოცულობამ 3,835,637,000 აშშ დოლარი (6,819,762,000 ლარი) შეადგინა. აქედან საერთაშორისო სავალუტო ფონდის წილი 1,075,733,000 აშშ დოლარი (684,400,000 SDR) იყო. აღნიშნული მაჩვენებლით იგი მეორე ადგილზეა მსოფლიო ბანკის შემდეგ.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ურთიერთობები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. აღნიშნულმა საკითხმა მეტი აქტუალობა 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისისა და რუსეთ-საქართველოს შორის ომის შემდგომ შეიძინა. ომის უშუალო შედეგებიდან გამომდინარე სსფ-მა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა ნდობის დეფიციტის წარმოქმნას, რაც შემდგომ მოვლენებში აისახა: მნიშვნელოვნად შემცირდა უცხოეთიდან კაპიტალის ნაკადები (პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, საბანკო კრედიტები), რის გამოც სავალუტო ბაზარზე მკვეთრად იკლო უცხოური ვალუტის მოწოდებამ და გაიზარდა ზეწოლა გაცვლით კურსზე. მხოლოდ აგვისტოს თვეში ქვეყნის საერთაშორისო რეზერვები23%-ით შემცირდა, ბანკის დეპოზიტები –14%-ით. ამ პერიოდში საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლობის ვიზიტის საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს მთავრობის მიერ ფინანსური მხარდაჭერის მოთხოვნა. ვიზიტის შედეგად მიღწეული იქნა პრინციპული შეთანხმება 750 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ფინანსური პაკეტის გამოყოფის თაობაზე საქართველოს მთავრობისადმი. თვრამეტთვიანი მხარდამჭერი საკრედიტო ხაზის ფორმით (Stand by Arrangement). აღნიშნული ფინანსური პაკეტი მიზნად ისახავდა ინვესტორთა ნდობის აღდგენას, საერთაშორისო რეზერვების ზრდის უზრუნველყოფას და დონორთა მხარდაჭერის კუთხით კატალიზატორის როლის შესრულებას.

ამის შემდეგ პერიოდულად ხდება სსფ-ის წარმომადგენელთა ვიზიტები, რომლებიც საქართველოს მთავრობასთან ერთად განიხილავდა შემდგომი კრედიტის მიღების პირობებს.

შემდეგი მისია საქართველოში 2010 წლის 7-22 იელისს იმყოფებოდა. მისიის ფარგლებში მიღწეულ იქნა შეთანხმება საქართველოს მთავრობის თხოვნით საპასუხოდ სსფ-ის მიერ დამატებითი თანხების გამოყოფის შესახებ 2010-2011 წლის საგადამხდელო ბალანსის მოსალოდნელი დეფიციტის დასაფინანსებლად. ფონდის მისია დათანხმდა დამატებით 270 მლნ. SDR გამოყოფას. ფინანსური პაკეტის გაზრდამ და პროგრამის ვადის გაგრძელებამ ხელი შეუწყო საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის

გატარებას და იმ ეკონომიკური და ფინანსური რისკების განეიტრალებას, რომელიც გამოწვეული იყო საერთაშორისო ფინანსური კრიზისით და რუსეთთან კონფლიქტით.

სსფ –ის ბოლო მისია საქართველოში იმყოფებოდა 2010 წლის 27 ოქტომბერს. მისიამ დადებითად შეაფასა ის ეკონომიკური პოლიტიკის პროგრამა, რომელიც საქართველოში განხორციელდა. მისიის წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს იმ პოზიტიურ ძვრებს , რომელიც ქვეყანაში შეინიშნებოდა, თუმცა ისიც აღნიშნეს, რომ მიუხედავად ქვეყნის შიგნით არსებული დადებითი ეკონომიკური ვითარებისა, ქვეყნის გარეთ ეკონომიკური გაუმჯობესება ნაკლებად არის ნავარაუდევი.. სამწუხაროდ ქვეყნის ეკონომიკური გამოჯანმრთელება დიდად მგრძნობიარეა გარეშე ტენდენციების მიმართ.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მიმდინარე ანგარიშის დიდი უარყოფითი ბალანსი აქვს, რომელიც უცხოეთიდან კერძო კაპიტალის ნაკადებით იფარებოდა, ნდობის დეფიციტით გამოწვეული შოკი საგადამხდელო ბალანსში დიდ გარღვევას და ეკონომიკური ზრდის ტემპების მკვეთრ დაცემას მოასწავებდა.აქედან გამომდინარე, სსფ–ის, ისევე როგორც საქართველოს ხელისუფლების აზრით, მეტად მნიშვნელოვანია ინვესტორთა ნდობის აღდგენა, რომლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია მოხდა. სსფ– ის მექანიზმის გამოყენებამ ხელი შეუწყო საქართველოს საერთაშორისო რეზერვების შევსებას და საგადამხდელო ბალანსის გარღვევის თავიდან აცილებას.

როდესაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმატებებზეა საუბარი, მასვე თან სდევს ფონდის საქმიანი კრიტიკა. სსფ–ის საქართველოში ოცწლიანი მიღვაწეობა ნაყოფიერად შეიძლება შეფასდეს. მისი ინიციატივით თუ მხარდაჭერით განხორციელებულ პროექტებს ბევრი გულშემატკივარი გამოუნდა, თუმცა ბევრი იყო მოწინააღმდეგეც.

იმ ნაშრომებს შორის, რომლებიც აფასებენ სსფ–ის საქმიანობას ზოგადად და კერძოდ საქართველოში აღსანიშნავია მრეწველთა კავშირის და შპს „ყაზბეგის“ დაკვეთით გამოცემული წიგნი „საერთაშორისო სავალუტო ფონდი – სიკეთე თუ ბოროტება?“, სადაც კრიტიკულადაა განხილული დიდი ქვეყნების (კერძოდ აშშ–ისა და დიდი ბრიტანეთის) შესაძლებლობა ხმების დიდი რაოდენობის წყალობით ნებისმიერი საკითხი პრაქტიკულად თვითნებურად გადაწყვიტონ. აქვე დაგმობილია სსფ–ის მიერ ე.წ. „მესამე სამყაროს“ ქვეყნებზე გაცემული კრედიტების ზრდის ტენდენცია, რამაც ავტორის მტკიცებით ეს ქვეყნები სავალალო მდგომარეობაში ჩააგდო. ნაშრომი პრაქტიკულად ორიენტირებულია სსფ–ის კრიტიკაზე და ნაკლებადაა განხილული მისი საქმიანობის დადებითი მხარეები.

კრიტიკულადაა ასევე ა. ბაბუხარდიას რამდენიმე ნაწილად გამოცემული წიგნი „შეცდომა თუ დანაშაული?!“, სადაც ავტორი აღნიშნავს: „...მიამიტობად ან, უფრო ზუსტად, შეგნებულ წინასწარ გამიზნულ დანაშაულებრივ ქმედებად უნდა ვაღიაროთ იმ ხელისუფლებათა „მოღვაწეობა“, რომლებიც გვიმტკიცებენ, რომ კრედიტებით და გრანტებით მიღებული შემოსავლები ჩვენი ქვეყნის ფეხზე დადგომისა და წელში გამართვის მიზნით იყო და არის გამოყენებული“. იგი სსფ–ის საქართველოში მოღვაწეობას უარყოფითად აფასებს და ორგანიზაციას ქართული კულტურისა და თავისებურებების გაუთვალისწინებლობაში ადანაშაულებს. აღნიშნული ნაშრომები სსფ–ის მოღვაწეობას საქართველოში აშკარად სუბიექტურად აფასებენ. ამის საპირისპიროდ 2010 წელს გამოცემულ წიგნში „საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია საქართველოში“ძირითადად ყურადღება გამახვილებულია სსფ–ის მიღწევებზე და საქართველოსთან მომავალი ურთიერთობების პერსპექტივებზე.

ყველაზე სუბიექტურად უნდა შეფასდეს ვ.პაპავას მიერ გამოცემული მონოგრაფია „საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები“. მასში

ავტორი საუბრობს როგორც სსფ-ის დამსახურებაზე, ასევე იმ შეცდომებზე, რომლებიც სსფ-ის მიერ იქნა დაშვებული.

საქართველოში სსფ-ის საქმიანობის მთავარ დადებით შედეგად უნდა ჩაითვალოს ჩვენს ქვეყანაში საფინანსო სისტემის ფორმირება და მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა, სსფ-მა დიდი წვლილი შეიტანა ქვეყნის საფინანსო მოწყობის საკანონმდებლო ბაზის შექმნაში, რომელიც ფულად საკრედიტო და საბიუჯეტო პროცესებს არეგულირებს.

სსფ მხარს უჭერდა ეროვნული ბანკის მიერ გატარებულ მკაცრ ფულად – საკრედიტო პოლიტიკას, რომლის შედეგად შესაძლებელი გახდა ინფლაციური პროცესების აღმოფხვრა. აღნიშნულმა ქვეყანას შესაძლებლობა მისცა, წარმატებით განეხორციელებინა ფულადი რეფორმა.

სსფ –ის რეკომენდაციით საქართველო'ში ჩამოყალიბდა ორსაფეხურიანი საბანკო სისტემა, რომელიც ნებისმიერი ცივილიზირებული სახელმწიფოს აუცილებელი ატრიბუტია. სსფ-მა დიდი როლი ითამაშა ასევე, საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციისა და უცხოური ვალების რესტრუქტურიზაციის პროცესში. მან ღია მხარდაჭერა გამოუცხადა მსოფლიო ბანკის რეკომენდაციას საბიუჯეტო ხარჯებში ჯადაცვისა და განათლებისათვის პრიორიტეტის მინიჭების საკითხს.

მიუხედავად საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საქართველოში მიღწეული მნიშვნელოვანი წარმატებებისა არა ერთი შეცდომა იქნა დაშვებული, რომელიც სსფ-ის რეკომანდაციას თუ მოთხოვნას მოჰყვა. მათგან გამოვყოთ შემდეგი:

1992 წელს სსფ-მა საქართველოს მთავრობას ურჩია დარჩენილიყო ე.წ. „რუბლის ზონაში" და არ შემოელო საკუთარი ეროვნული ვალუტა. ყოველივე ამას რუსეთის მხრიდან ფულადი ბანკნოტების არასტაბილური მოწოდება მოჰყვა, რის გამოც ქვეყანა მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა. საერთაშორისო სავალუტო ფონდი იძულებული იქნა შეეცვალა თავისი პოზიცია და მხარი დაეჭირა საქართველოში ეროვნული ვალუტის შემოღებისათვის.

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოს მთავრობას მოუწოდა, რომ ბრუნვიდან გადასახადი შეეცვალა დამატებული ღირებულების გადასახადთ რაც შესაბამისი საგადასახადო სისტემის არარსებობის პირობებში მეტად რთული განსახორციელებელი იყო. აღსანიშნავია,რომ თავად სსფ განმარტავს, რომ ხუთიდან ათ წლამდეა საჭირო, რათა მოხდეს დღგ-ის ადმინისტრირების კომპიუტერული და საკომუნიკაციო უზრუნველყოფა.

პროფესორი ე. პაპავა თელის, რომ „სსფ-ის შეცდომად უნდა ჩაითვალოს, ის რომ მან არ მიმართა ქვეყნის ხელისუფლებას რეკომენდაციით, დროებით ვაჭრობის გადასახადის შემოსაღებად და პარალელურად მოსამზადებელი სამუშაოების ჩასატარებლად დღგ-ის მექანიზმზე გადასასვლელად. შედეგად მნიშვნელოვანი საგადასახადო შემოსავლები დაიკარგა, საზოგადოებაში დღგ-ის მიმართუარყოფითი განწყობა ჩამოყალიბდა და კორუფციისათვის ჩამოყალიბდა ბარკეული ნიადაგი." უნდა ვივარაუდოთ, რომ ე. პაპავა ამ შემთხვევაში საუბრობს არა კორუფციაზე ზოგადად ქვეყანაში, არამედ კორუფციაზე საგადასახადო სისტემაში.

საქართველო, სხვა ქვეყნების მსგავსად ცდილობდა საგადასახადო სისტემაში დაენერგა დღგ ევროგაერთიანებისკენ სწრაფვის გამო, ვინაიდან ევროკავშირში გაწევრიანების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა არის ქვეყანაში დამატებული ღირებულების გადასახადის არსებობა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხრიდან ცალსახად დაშვებული იქნა შეცდომა, როდესაც საქართველოს ხელისუფლებას მოსთხოვა,გაეუქმებინა არსებული

საგადასახადო შეღავათი, რომელიც მეწარმეების მოგების იმ ნაწილის მოგების გადასახადისგან განთავისუფლებას ითვალისწინებდა, რომელიც რეინვესტირებას ხმარდებოდა. ამით ქვეყანაში, რომელიც ისედაც ინვესტიციების უდიდეს დეფიციტს განიცდიდა, შეიზღუდა წარმოების განვითარების საფინანსო რესურსების მოძიების სტიმული. აღნიშნული ქმედებით მეწარმეებს ფაქტობრივად გაუქრად სტიმული წარმოების შემდგომი განვითარებისა.

ამას გარდა არსებობს, ასევე გარკვეული სახის შეცდომები, რომელთა გათვალისწინება სამომავლოდ როგორც სსფ-ს ასევე საქართველოს სასიკეთოდ წაადგება.

ამრიგად, მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი შეცდომებისა სსფ-მა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სიღარიბესთან ბრძოლისა და მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევაში, ეროვნული ვალუტის შემოღებაში და შემდგომში მისი სტაბილიზაციის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარებაში, ქვეყნის საფინანსო მოწყობის საკანონმდებლო ბაზის შექმნაში, რომელიც ფულად საკრედიტო და საბიუჯეტო პროცესებს არეგულირებს. სსფ-ის აქტიური მხარდაჭერით მიმდინარეობდა 1996-1997 წლების მაკროეკონომიკური ღონისძიებები, რომლებიც ინფლაციური პროცესების დარეგულირებასა და სტაბილური ეკონომიკური ზრდის შესანარჩუნებლად განხორციელდა. სსფ-ის მხარდაჭერამ ასევე დიდი როლი ითამაშა 2008 წლის ეკონომიკური კრიზისისა და რუსული ინტერვენციის უარყოფითი შედეგების აღმოფხვრაში. სსფ საქართველოსათვის პირველ რიგში უნდა განეიხილოთ, როგორც ერთ-ერთი უმსხვილესი კრედიტორი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაბუხარდია ა. შეცდომა თუ დანაშაული? ნაწილი IV 2009 წ. გვ.10.
2 საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია საქართველოში, თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი „ გორგასალი" თბ., 2010. გვ., 55
3. სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტენი 105, საქართველოს საგარეო ვალი, ნოემბერი 2007, გვ. 15.
4. პაპავა ვ. საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში მიღწევები და შეცდომები 2000.
5. წყარო: http://www.imf.org/external/np/sec/pr/2008/pr08208.htm

The International Monetary Fund and its relationship with Georgia

Nanuli Kokashvili
Academic Doctor of Economics
Professor of Sukhishvili Teaching University

Resume

In the article, *The International Monetary Fund and its relationship with Georgia* highlights the evaluation of the International Monetary Fund activities in Georgia and its positive and negative aspects, also scientists' and experts' evaluations on these issues.

By results of the abovementioned survey analysis, the authors consider that in spite of the mistakes made during twenty-year working experience in Georgia, the International Monetary Fund can be described as prolific.

საინფორმაციო საშუალებები და საქართველოს გეოპოლიტიკა

მაკა დოლიძე
სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის მოწვეული
პროფესორი
E-mail: dolidze_maka@yahoo.com Tel: 558 20 05 06

საქართველოში გეოპოლიტიკური განლაგება მეტად მიმზიდველი და ამავე დროს მეტად სახიფათოა. წლების განმავლობაში იგი სატრანზიტო სახელმწიფოდ მოიაზრებოდა. საქართველო ყოველთვის იყო და იქნება გეოპოლიტიკური ცენტრი, რომელიც ოდითგანვე იყო მსოფლიოს დიდი სახელწიფოების ინტერესთა დაპირისპირების ობიექტი და რომლის დაუფლებასაც მუდამ ცდილობდნენ სხვადასხვა სახელმწიფოები. ამჯერად საქართველო აშშ-ისა და რუსეთის ინტერესებს ეწირება. საინფორმაციო საშუალებები ფართოდ ეხმაურებიან საქართველოში არსებულ გეოპოლიტიკურ კონკურენციას და აცხადებენ, საქართველო ამერიკა-რუსეთის ურთიერთობის მსხვერპლია. ბაქოდან საქართველოს გავლით ჯეიჰანში მიმავალი ნავთობ სადენის მშენებლობა ამერიკასა და რუსეთს შორის დაპირისპირების საგნად იქცა. რუსეთის შეფასებით, მას კავკასიაში მეტი ინტერესები აქვს ვიდრე ამერიკას. გერმანული გაზეთი „დოიჩე ველი" წერს, საქართველოსთან მიმართებაში რუსეთი კოლონიალისტის ბერკეტებით სარგებლობს.[1]

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში არსებობდა დაძაბულობა ამერიკასა და რუსეთს შორის. ეს დაძაბულობა დღესაც გრძელდება, რადგანაც რუსეთი არ აპირებს ამერიკას დაუთმოს თავისი პოზიციები კავკასიაში. რუსეთი კავკასიის რეგიონისათვის იბრძვის,ხოლო საქართველო დამოუკიდებლობისათვის. საქართველოსა და რუსეთს შორის ბრძოლა რეგიონალური გეოპოლიტიკური მიზნებისათვის მიმდინარეობას. საქართველო ირწმუნება, ის, როგორც პატარა, დაუცველი ქვეყანა, რომელიც დასავლეთისაკენ ილტვის, ძლიერ პოლიტიკურ და სამხედრო მხარდაჭერას იმსახურებს, – ეკითხულობთ „ნიუ-იორკ ტაიმსში" [2]

როგორც დასავლეთის, ასევე აღმოსავლეთის ქვეყნების პრესაში გვხვდება პუბლიკაციები,სადაც პარალელია გავლებული საქართველოსა და ერაყს შორის. ერაყი და საქართველო, სადაც დემოკრატიულად არჩეული მთავრობებია, მოქცეულნი არიან მსოფლიოს ორ ყველაზე ავტორიტარულ რეჟიმს – რუსეთსა და ირანს შორის. ერაყი, საქართველო და კოლუმბია ახალი ტიპის საერთაშორისო კონფლიქტების ბრძოლის ველებად გადაიქცა. პუბლიცისტებს აინტერესებთ ეს დამთხვევაა თუ არა? მაგრამ ამ კითხვაზე საერთო პასუხი არ აქვთ. მათი მოსაზრებები განსხვავებულია. რაც მთავარია ერთ რამეში თანხმდებიან. და ამაში მათ სრულიად ვეთანხმებით. ეს

კონფლიქტები გეოპოლიტიკურ მომავალს ჩამოაყალიბებს. ის აშშ-სა და დასავლეთს, ფორმირების პროცესში მყოფ ნაეთობის დიქტატურათა ღერძს აჯახებს, რომლებიც შეთანხმებულად აფერხებენ სამყაროს ლიბერალიზაციას და გლობალიზაციას.

უცხოური პრესის ფურცლებზე ბებეჭდება როგორც ინფორმაციული, ასევე ანალიტიკური ჟანრის მასალები, სადაც გაანალიზებულია საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა და რუსეთისა და ამერიკის მიზნები კავკასიაში. მედია საშუალებები ავრცელებენ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ აშშ-ის მიზნები საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში აზერბაიჯანის ენერგორესურსები და რეგიონის სატრანზიტო პოტენციალია. ამავე დროს აცხადებენ, რომ ამერიკისათვის რუსეთი მნიშვნელოვანია, როგორც პარტნიორი ირანის წინააღმდეგ და საქართველოს გამო მასთან ურთიერთობა არ უნდა გაიფუჭოს. [3]

ერთ-ერთ პუბლიკაციაში ეკითხულობთ, საქართველოს ტერიტორიაზე გადის ენერგომატარებლის ორი მნიშვნელოვანი სადენი. ეს კი პუტინს ხელს უშლიდა გაეკონტროლებინა დასავლეთ ევროპისათვის საწვავის მიწოდება. ამიტომ იგი არაფერს ერიდებოდა საქართველოზე კონტროლი რომ არ დაეკარგა. წერილში საინტერესოდაა პარალელი გავლებული პუტინსა და სადამ ჰუსეინს შორის. ორივემ თავიანთი წინამორბედები აიძულა გადამდგარიყვნენ, ორივემ დაიწყო ომი (ჩეჩნეთი და ირანი), ორივეს სჯეროდა, რომ ენერგორესურსებზე კონტროლი მათ დასავლეთის მხარდაჭერის გარანტიას აძლევდა [4.]

კავკასიის ხელში ჩასაგდებად რუსეთი საჭიროდ მიიჩნევდა მის დანაწევრებას. ერთ-ერთი გეოპოლიტიკოსის ა.დუგინის აზრით, აფხაზეთი რუსეთს უნდა დაუკავშირდეს, შეიქმნას ერთიანი ოსეთი, ხოლო დარჩენილ მართლმადიდებელ საქართველოს დაეკისროს კავკასიური სახლის კონტროლი, მან უნდა მართოს ჩეჩნეთი, შეუერთდეს დაღესტანი და ინგუშეთი და შეიქმნას ავტონომიური ჩრდილო კავკასიური ზონა, რომელიც კონტროლირებადი იქნება რუსეთის მიერ.[5]

მაგრამ რატომ მაიცდამაინც რუსეთის მიერ ამის შესახებ ა.დუგინი არაფერს ამბობს. ეტყობა რუსმა პოლიტიკოსებმა ჯერ კიდევ ვერ გააცნობიერეს, რომ საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა და გარეშე ძალას უფლება არ აქვს თავის ნებაზე იმოქმედოს.

გაზეთ „იუნაია ოსეტიაში" დაიბეჭდა ა.დუგინის კომენტარები. იგი საუბრობს რუსეთ-საქართველოს შორის არსებული კონფლიქტის შესახებ, დასავლეთისა და კერძოდ ამერიკის დამოკიდებულებაზე ამ კონფლიქტში, იმ დამნაშაეებზე, ვისაც ეს კონფლიქტი აწყობდა. ალ. დუგინი სვამს ასეთ კითხვას: ვინ იყო ის? ვინ იყო მსხვერპლი? და აქვე პასუხობს: ესენი იყვნენ დემოკრატიის, თავისუფლებისა და ევროკავშირში შესვლის მსურველები; ესენი იყვნენ მრავალპოლარული სამყაროს

მომხრეები. გასაკვირი არ არის რომ ალ.დუგინი დასავლეთის წინააღმდეგ გამოდის. მისი მიზანი ხომ აეტონომიური ჩრდილო კავკასიური ზონის შექმნაა. [6]

რუსეთი ყოველთვის ცდილობდა ხორცი შეესხა პრინციპისათვის „გათიშე და იბატონე". ამ პრინციპს ხელს უწყობდა საქართველოს დაყოფა აჭარის, აფხაზეთისა და ოსეთის აეტონომიურ რესპუბლიკებად. აფხაზები და ოსები ეთნიკური ჯგუფებია, რომლებიც ენობრივად ქართველებს არ ენათესავებიან. ისინი თვლიან, რომ ქართველები არ არიან, მათი ტერიტორიები საქართველოს არ ეკუთვნის და უნდა გამოეყონ მას.

დასავლეთის ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ რუსეთი მხარს უჭერდა აფხაზეთისა და ოსეთის დეფაქტო ხელისუფლებას და მისი აგრესია აშკარად გაიზარდა მას შემდეგ, რაც საქართველომ სურვილი გამოთქვა ყოფილიყო ნატოს წევრი ქვეყანა. რომ არა რუსული მხარდაჭერა ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტები არ წარმოიშობოდა.

რუსეთი ვერ ეგუებოდა თავისი გავლენის დაკარგვას კავკასიაზე და ცდილობდა ხელი შეეწყო კონფლიქტების გაღვივებისათვის. „რუსეთმა საბჭოთა კავშირის აღდგენა საქართველოდან დაიწყო და ეს საქართველოს ტრაგიკული გეოპოლიტიკური ბედია. მაგრამ ეს არ არის 1921 წელი და ვერავინ დააკანონებს ჩვენი ტერიტორიების ანექსიას" – აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა. [7]

ხშირ შემთხვევაში კავკასიური კონფლიქტები მედიასა და სამეცნიერო წრეებში განიხილება, როგორც რელიგიური კონფლიქტი. მაგრამ რელიგია მცირე როლს თამაშობს. მაგ. ქართველები და ოსები ქრისტიანები არიან. მათ შორის დაპირისპირება გამოიწვია არა რელიგიურმა უთანხმოებამ, არამედ ტერიტორიულმა კონტროლმა. ეს კონფლიქტი იყო რეგიონალური გეოპოლიტიკური გააქტიურების დასაწყისი. ეს იყო რეგიონალური გეოპოლიტიკისათვის ბრძოლა.

უცხოეთის ზოგიერთი პრესა საქართველოში განვითარებულ მოვლენებს რუსეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის არსებულ დაპირისპირებას უკავშირებდა. ისინი აცხადებდნენ, რომ რეალურად ეს ომი მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის მიმდინარეობდა და მოსკოვი ფსონს აფხაზეთზე დებდა. პუბლიცისტები ყველაფერში პოლიტიკოსებს ადანაშაულებდნენ და აღნიშნავდნენ ამ სისხლში თავისუფალი მსოფლიოს იმ ლიდერებს ჰქონდათ ხელები მოთხვრილი, რომელთვისაც მხოლოდ გაზი და ნავთობი ფასობს და არა პრინციპი. გაზეთში „ნიუ-იორკ ტაიმსი" ეკითხულობთ საქართველოს კონფლიქტი რომ ოლიმპიური თამაშები ყოფილიყო, ოქროს მედალს პუტინი დაიმსახურებდა სასტიკი სისულელეებისათვის, ვერცხლს

სააკაშვილი – სულელური წინდაუხედაობისათვის და ბრინჯაოს კი კლინტონისა და ბუშის საგარეო პოლიტიკოსები ახლო მჭვრეტელობისათვის.[8]

დასავლეთის საინფორმაციო საშუალებები აცხადებდნენ, რომ საქართველო ხაფანგში გაება. ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ ობიექტურად გაეშუქებინათ ყველაფერი, რაც საქართველოში ხდებოდა. თუმცა არ სურდათ რუსეთის ზედმეტად გაღიზიანება. მართალია გამოთქვამდნენ პროტესტს რუსული იმპერიის წინააღმდეგ, თუმცა ამავე დროს ცდილობდნენ არ დაერღვიათ შიდა ბალანსი. ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ:

1. პუბლიკაციების მიზანი იყო წარმოეჩინა საქართველოში არსებული გეოპოლიტიკური კონკურენცია;
2. მედია ობიექტურად აშუქებდა რეგიონალური გეოპოლიტიკისათვის ბრძოლას;
3. საინფორმაციო საშუალებების უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ საქართველო ხაფანგში გაება

გამოყენებული ლიტერატურა:

1. newsp. "Doiche Velly", 20 August of 2008 year;
2. newsp."New York Times," 16 september of 2008 year;
3. newsp. "Herald Tribune", 25 August of 2008 year;
4. newsp. "Wall Streat Journal",20 August of 2008 year;
5. А.дугин. "Основы геополитики.,1991;
6. газ." Южная Осетия", 30 августа 2008 г.;
7. გაზ„კვირის პალიტრა", 1-7 სექტემბერი 2008წ.;
8. newsp. "New York Times," 20 september of 2008 year

Mass Media and Georgian Geopolitics

Maka Dolidze
Professor of Sukhishvili Teaching University
E-mail: dolidze_maka@yahoo.com Tel: 558 20 05 06

Resume

Geopolitics conflicts existing in Georgia represent one of the important problems of contemporaneity. A lot was written and said in media about it. It's interesting what is the reason and base of its cause.

It is wellknown for evcryone that Russian politics helped worsening and kindling of international conflicts in Georgia. Russian always tried to control the whole Caucasus.

Georgian media and polititians often sound facts like this and notice that this politics destroyed many countries and it tries to make with Georgia the same. They know that only Russian politics is responsible for everything.

სექცია №5

მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა თ შ ო რ ი ს ი მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ე ბ ი

სექციის თავმჯდომარე: იზოლდა ბუხულეიშვილი

დისტანციური განათლება

იზოლდა ბუსულეიშვილი
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი
სუხიშვილის უნივერსიტეტის სრული პროფესორი
Tel: 555-56-23-49

თანამედროვე სამყაროში სულ უფრო და უფრო მეტ ადგილს იკავებს ინტერნეტ-ურთიერთობა ადამიანთა შორის, 21-საუკუნის ცხოვრების უსწრაფესი რიტმი, მეტნაკლებად, ყველას უქმნის დროის დეფიციტს, ამიტომ მკლევარ-მეცნიერები სულ უფრო მეტი ინტენსივობით იკვლევენ ასეთი პრობლემის გადაჭრის გზებს. დროის შუდმივი დეფიციტი აიძულებს მათ ეძებონ ურთიერთობათა ალტერნატიული საშუალებები და აქ, ინტერნეტი საუკეთესო დამხმარეა.

რაკი არსებობს ინტერნეტ-ურთიერთობები, აუცილებლად არსებობენ მეცნიერები, რომლებიც ამ ურთიერთობებს იკვლევენ, აი, სულ ახლახან ავსტრალიელ და შეეიცარიელ მეცნიერთა ჯგუფებმა გამოაქვეყნეს კვლევების შედეგები, რომლებიც აჩვენებენ, რომ ურთიერთობა ინტერნეტში ძირითადად არ განსხვავდება ურთიერთობისგან რეალურ ცხოვრებაში.

განხილული კვლევები აჩვენებს, რომ გეოგრაფიული დაშორიშორებულობის მიუხედავად, ინტერნეტი ფსიქოლოგიური დაახლოების კარგ საშუალებას იძლევა. ფაქტობრივად, არსებობს მონაცემები, რომ ინტერნეტის საშუალებით ურთიერთობები უკეთ იწყება, ვიდრე პირისპირ. მკლევარები ფიქრობენ აგრეთვე, რომ ინტერნეტით დაწყებული ურთიერთობა მონაწილეებს საშუალებას აძლევს ნაკლებად მოექცნენ გარეგნობის გავლენის ქვეშ. უფრო მეტიც, ინტერნეტის დროებითი ანონიმურობა, როგორც ჩანს, ამხნევებს ადამიანებს, აძლევს მათ მეტად გახსნის შესაძლებლობას.

როგორც აღინიშნა ახალი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის გამოყენებამ მოიცვა ადამიანის ცხოვრების თითქმის ყველა სფერო. რადგან დღეს დროის პრობლემა ერთ-ერთი უმწვავესია, უდიდეს წარმატებად უნდა ჩაითვალოს მისი გამოყენება საგანმანათლებლო სივრცეში, კერძოდ დისტანციურ სწავლების დამკვიდრება, რომელმაც მოხერხებული და მისაწვდომი გახადა უმაღლესი განათლების მიღება. სწავლების ამ ფორმას უდიდესი პოტენციალი აქვს. დისტანციური სწავლება ღია საგანმანათლებლო სისტემის ისეთიეე განუყოფელი ატრიბუტია, როგორც თვით ღია განათლების სისტემა გლობალურ პროცესში, იგი უმაღლესი განათლების სერიოზულ ალტერნატივადაა აღიარებული.

დისტანციური განათლების ისტორია 2004 წლიდან იწყება, როდესაც მასაჩუსეტის ტექნოლოგიურმა უნივერსიტეტმა დაიწყო პროექტის „Open Course Ware“-ს განხორციელება, აღნიშნულ პროექტში ჩართვა შესაძლებლობას აძლევს დაინტერესებულ ადამიანს, დისტანციურად მიიღოს განათლება, როგორც ბაკალავრიატის ასევე მაგისტრის ხარისხით.

Online-განათლება დიდ ბრიტანეთშიც აქტიურად ვითარდება. მაგალითად 2003წ. ბრიტანეთის მთავრობამ პირველად დაიწყო პროექტის განხორციელება, რომელიც ითვალისწინებდა ნაციონალური დისტანციური უნიერსიტეტის შექმნას, იგი დიდ ბრიტანეთს 20 მილიონი დოლარი დაუჯდა.

სულ ცოტა ხნის წინ, ქართველი სტუდენტებისათვის ინტერნეტ-განათლება და დისტანციური განათლება წარმოუდგენელი იყო, იგი დასავლეთის ქვეყნების მოქალაქეთა პრივილეგიად მიაჩნიათ, მაგრამ დღეს ასეთი შესაძლებლობა რეალურად იქცა, რადგან საქართველოს წამყვან უნიეერსიტეტებში უკვე დანერგილია და მუშაობს დისტანციური სწავლების სისტემა. მაგალითად:

1. ი. ჯავახიშვილის თსუ-ის მიკროპროცესორული და მაკროპროცესორული სისტემების კათედრის ბაზაზე შექმნილია ინტერნეტ-აკადემია, რომელიც საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო არასამთავრობო ორგანიზაციას წარმოადგენს.

2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ დისტანციური განათლების ცენტრი;

3. ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი;

დისტანციური სწავლების (ინტერნეტის მეშვეობით) რამდენიმე საუკეთესო კურსი;ზოგიერთი მათგანი საერთოდ უფასოა.

ACCADEMY.COM-ეს არის თქვენი ონლაინ კავშირი ისეთ განათლებასთან, რომელიც უმაღლეს დონეზე დააკმაყოფილებს თქვენს ინდივიდუალურ მოთხოვნებს სწავლასთან დაკავშირებით. თუ გსურთ მოემზადოთ ACCA-is რომელიმე კვალიფიკაციისთვის ან დახვეწოთ პროფესიული თვისებები მენეჯმენტის სფეროში, ACCADEMY.COM მზად არის დასახმარებლად ნებისმიერ დროს, მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში.

DISTANCE DELT -ინგლისური ენის გამოცდილი მასწავლებლისთვის უნიკალური პროგრამაა, რომელიც საერთაშორისო სახლისა და ბრიტანეთის საბჭოს მიერ არის შემუშავებული. პროგრამა სპეციალისტებს ამზადებს თ -ის(კემბრიჯის დიპლომი მოზრდილთათვის ინგლისური ენის სწავლებაში) გამოცდისთვის.

FATHOM-ონლაინ სწავლების ცენტრია, რომელსაც უძღვება ბრიტანეთი აშშ-ის უნივერსიტეტების კონსორციუმი. აქ ტარდება კურსები და სემინარები სხვადასხვა თემებსა თუ საკითხებზე.

LEARN.TO-ეს არის ბრიტანეთში არსებული ონლაინ „თრეინინგ“ კომპანია, რომელსაც ელექტრონული სწავლების ბაზრის მიმართ ახლებური მიდგომა გააჩნია და მსურველებს სთავაზობს ხარისხიან თრენინგს მისაღებ ფასად; ყურადღებას ამახვილებს ისეთ მიმართულებებზე, როგორიცაა: ძირითადი კომპიუტერული ცოდნა, მაღალი დონის IT(ინფორმაციული ტექნოლოგიები), მენეჯმენტი, მოლაპარაკებები და კომუნიკაციები.

LEARN DIRECT-ბრიტანული ვებ-გვერდია, რომელიც განკუთვნილია ენის შემსწავლელი მოზრდილებისთვის. იგი გთავაზობთ ონლაინ კურსებს და ინფორმაციას თუ როგორ უნდა ჩაირიცხოთ ამ კურსებზე. გააჩნია კურსების მონაცემთა ადვილად საძიებელი ბაზა; მსურველებს აძლევს ზოგად რჩევებს და უწევს დახმარებას.

NATIONAI EXTENSION COLLEGE-მსურველებს სთავაზობს მოსახერხებელ „თრენინგს“(პიროვნულ განვითარებასა და განათლებასთან დაკავშირებით). აქ გაერთიანებულია უამრავი კურსი: CS, - ეველის და პროფესიული კურსებს.

დისტანციური სწავლების (ინტერნეტის მეშვეობით)რამდენიმე საუკეთესო კურსი; ზოგიერთი მათგანი საერთოდ უფასოა.

OPEN LEARNING CENTRE INTERNATIONAL -აქ ტრადიციული დისტანციური სწავლების მასალები შეთავსებულია ინდივიდუალური სწავლების ინტერნეტზე დაფუძნებულ უნიკალურ სისტემასთან. ნებისმიერი ასაკის სტუდენტს სხვადასხვა სპეციალობაში სთავაზობს ონლაინ სწავლებას სხვადასხვა სპეციალობაში.

დღეს, იმაზე აღარ დაობენ, რომ დისტანციური სწავლება განათლების მიღების თვისებრივად ახალი ფორმაა, რომელიც სწორედ საინფორმაციო და კომუნიკაციური ტექნოლოგიების ბაზაზე ჩაისახა. მეცნიერული თვალსაზრისით, განათლების მიღების ეს ფორმა უფრო სრულყოფილია, ვიდრე დაუსწრებელი სწავლება. ის არაეითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაითვალოს დაუსწრებელ სწავლების მოდერნიზებულ ფორმად. პირიქით პოსტსაბჭოური სივრცის რიგ ქვეყნებში, ჯერ კიდევ არსებული ტრადიციული, დაუსწრებელი სწავლების პროცესში ადგილი აქვს დისტანციური სწავლების ტექნოლოგიათა გამოყენებას, მაგრამ დაუსწრებელი სწავლების სისტემა, აღნიშნავენ მკლევარ-მეცნიერები, ნაწილობრივი ცვლილებებით ფონს ვერ გაეა, იგი ძირეულად უნდა გარდაიქმნას, წინააღმდეგ შემთხვევაში

დადგება მისი ლიკვიდაციის საკითხი, როგორც ეს მოხდა მთელ რიგ ქვეყნებში და მათ შორის ჩვენთანაც.

დისტანციური განათლება არის განათლების მიღების პროცესი ადგილისა და დროის შეუზღუდავად, რომლის დროსაც მეცადინეობებზე დასწრება და სინქრონული სწავლება მინიმალურია, ან საერთოდ უგულველყოფილია და მისი ადგილი მთლიანად დამოუკიდებელ სწავლებას (არა თვითგანათლებას) ეთმობა. დამოუკიდებელ სწავლებას თვითგანათლებისაგან განასხვავებს სწორედ ორმხრივი კავშირი სტუდენტსა და უმაღლეს სასწავლებელს შორის, რომელიც დისტანციური სწავლების მთავარი კომპონენტია.

დღეს, სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად გვხდება თანამედროვე განათლების სისტემის ამსახველი ისეთი ტერმინები როგორიცაა- ღია, მოქნილი და დისტანციური. პრაქტიკულ ცხოვრებაში ეს სიტყვები ხშირად გამოიყენება და აღნიშნავს განათლების სფეროში მიმდინარე მოვლენებს, თუმცა, მკლევარ-მეცნიერები დღემდე ვერ მივიდნენ ამ ტერმინების ერთიან გაგებამდე. არსებობს ტერმინი „დიტანციურ განათლების„ სხვადასხვა დეფინიცია. ასე მაგალითად: აშშ-ის მუნიციპალური კოლეჯების ასოციაცია იძლევა აღნიშნული ტერმინის შემდეგ განმარტებას-„დისტანციური განათლება არის საგანმანათლებლო მომსახურების გავრცელება-მიწოდება, ან საგანმანათლებლო რესურსების გამოყენების შესაძლებლობა სასწავლო და არასასწავლო ცენტრებში, სადაც კარგად გამოიყენება ვიდეო, კომპიუტერი, მულტიმედია, კომუნიკაციები ან, მათთან შეხამებული ინფორმაციის გადაცემის ტრადიციული საშუალებები.

აშშ-ის განათლების სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ დოკუმენტებში „დისტანციური განათლება“ შემდეგნაირად არის განმარტებული-დისტანციური განათლება არის საგანმანათლებლო პროცესი, რომლისთვისაც დამახასიათებელია დროისა და ადგილის მიხედვით დაშორებული მასწავლებლისა და სტუდენტის სასწავლო თანამშრომლობა.

დისტანციურ-განათლებას განმარტავენ ქართველი მეცნიერებიც: „დისტანციური განათლება ტრადიციული განათლების ყველა ფორმის ორგანიზაციული, მეთოდური და ტექნიკური უზრუნველყოფის თვისობრივი სახეცვლილებაა, ხასიათდება ევოლუციურობით, ინფორმაციული საზოგადოების განვითარების კანონზომიერი მოვლენაა და რეალიზებულია ახალი ინფორმაციული და ტელესაკომნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით.“

დასავლეთის მეცნიერებმა გამოყვეს დისტანციური განათლების შემდეგი 5 ნიშანი;

1. პიროვნებისათვის მოსახერხებელი სასწავლო პროცესი;
2. სასწავლო პროცესი და პიროვნული კავშირები მისაღებია, როგორც სტუდენტისათვის, ისე კონსულტანტებისათვის (ტუტორებისათვის);
3. ინფორმაციის შერჩევასა და გამოყენებაში სრული თავისუფლება;
4. დროული უკუკავშირები და სრული ინფორმირებულობა;
5. ინდივიდუალური სწავლებისათვის ხელშეწყობა;

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება შემდეგი სავარაუდო დასკვნის გამოტანა: დისტანციური სწავლება სტუდენტისა და პროფესორის სპეციალურად ორგანიზებული ურთიერთობის პროცესია, რომელიც დისტანციურ სწავლების ტექნოლოგიების საფუძველზე პედაგოგიურად ორგანიზებულ გარემოში მიმდინარეობს.

დისტანციურმა სწავლებამ უკვე დაიმკვიდრა ადგილი მრავალი ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემაში. ამის დასტურია მზარდი მოთხოვნილება ამ ტიპის განათლების მქონე სპეციალისტებზე. ამჟამად, მსოფლიოს მთელ რიგ განვითარებულ ქვეყნებში საკმაო რაოდენობით უმაღლესი სასწავლებელია, რომელშიც დისტანციური სწავლების ფორმით განათლებას ასეულ ათასობით სტუდენტი ეუფლება.

შეიძლება გამოიყოს დისტანციური სწავლების შემდეგი დადებითი მხარეები:

1. ახალი კომპიუტერული ტექნოლოგიების საშუალებით შესაძლებელია უფრო თვალსაჩინო, ნათელი და დინამიური სახით იქნას მიწოდებული ინფორმაცია ისე, რომ სწავლებას ჰქონდეს სრულფასოვანი სახე;

2. დისტანციური სწავლების პროცესს უფრო კრეატიულსა და საინტერესოს ხდის;

3. აშშ-ში გამოკითხულ პედაგოგების 57%-ის აზრით, დისტანციური სწავლების შედეგები არაფრით არ ჩამოუვარდება ტრადიციულ გაკვეთილებსა და ლექციებს, უფრო მეტიც, ხშირად უფრო ეფექტურიცაა;

4. დისტანციური სწავლება საშუალებას აძლევს მოსწავლე-ახალგაზრდობას ისწავლონ სახლიდან გაუსვლელად, ეს კი იძლევა როგორც დროისა და ენერგიის, ის ხარჯების ეკონომიის საშუალებას. ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეში სიარული, შემდეგ სახლში დაბრუნება, ნახევარი საათი დასვენება და ისევე მეორე მასწავლებელთან გაკვეთა-ასეთი რეჟიმი აბიტურიენტს, რომელიც ისედაც სტრესულ ვითარებაშია მოსალოდნელი გამოცდების გამო, უფრო მეტად თრგუნავს, ღლის და ენერგიას აცლის. არადა, იმისთვის, რომ დაიწყოს დისტანციური სწავლება, საკმარისია მხოლოდ უახლოესი ბანკის ფილიალში მისვიდე და გადაიხადო სწავლის საფასური სასწავლებლის სახელზე.

დისტანციური სწავლება განათლების მიღებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ფრთას შესაძლებლობებს უხსნის ინვალიდებს, მცირეწლოვანი ბავშვების დედებს და ყველას ვისაც არ შეუძლია ძირითადი საქმიანობის შეწყვეტა ან უმაღლესი სასწავლებლიდან შორს ცხოვრობს. გარდა ამისა, დისტანციური სწავლება მატერიალური თვალსაზრისითაც მოსახერხებელია, რადგან ქვეყნის პერიფერიებიდან დედაქალაქში ან სხვა ქალაქებში ხანგრძლივად გამგზავრება სოლიდურ ფინანსურ ხარჯებს მოითხოვს. ამდენად, დროის ეკონომიასთან ერთად დისტანციური სწავლება მატერიალური თვალსაზრისთაც მიმზიდველია.

სწავლების აღნიშნული ფორმა განსაკუთრებულ შესაძლებლობებს ანიჭებს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში გამწესებულ პირებს. ცნობილია, რომ მათ შორის ბევრია არასრულწლოვანი და ახალგაზრდა, რომლებსაც გარკვეული მიზეზების გამო შეუწყდათ სწავლა.

დისტანციურ სწავლებას აქვს უარყოფითი მხარეებიც:

1. პირდაპირი კონტაქტის უქონლობა ხელს უშლის ემოციურად იქნას შეფასებული ლექცია თუ გაკვეთილი;

2. დისტანციურ განათლებას უეჭველად ესაჭიროება შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა: პერსონალური კომპიუტერი, მიკროფონი (სასურველია კამერა) და ინტერნეტი, ასევე კომპიუტერის ზოგიერთი პროგრამის მინიმალურ დონეზე ფლობა და ა.შ.

და, ბოლოს, დისტანციური სწავლება არის დაჩქარებული ვარიანტით უმაღლესი განათლების რეალური და მოქნილი საშუალება, მაგრამ ის გარემოება, რომ დისტანციური სწავლებაში წამყვანი ადგილი თანამედროვე ტექნოლოგიებს უჭირავს, სრულიად არ ნიშნავს მის არსში სრულფასოვნად წედომას. იგი მთლიანი კომპლექსია და ადამიანთმცოდნეობის მეცნიერებათა მიღწევებს უნდა დაეფუძნოს, ამისათვის ის გასააზრებელია პედაგოგიური და ფსიქოლოგიური პრობლემები. უნდა შეიქმნას სპეციალური და დიდაქტიკური მასალები და დამუშავდეს შესაბამისი სწავლის მეთოდიკა. ამდენად დისტანციური სწავლება უმაღლესი სკოლის დიდაქტიკის ნაწილობრივ ანდროგოგიკისა და ფსიქოლოგიური მეცნიერების, კერძოდ, განათლების ფსიქოლოგიის კვლევის ობიექტია, რადგან იგი ეხება სწავლა—სწავლების პრობლემას და აგრეთვე, დისტანციურად ოპტიმალურ პედაგოგიურ ურთიერთობას სტუდენტსა და პროფესორს შორის.

სხვათა და პირადი გამოცდილების ანალიზმა მოგვცა საშუალება გაგვეკეთებინა შემდეგი რეკომენდაციები:

- უნდა განვითარდეს დისტანციური სწავლების ტექნოლოგიები, მოხდეს მისი აპრობირება, პირველ რიგში, დაინერგოს საინფორმაციო ტექნოლოგიები, რომელიც დაეფუძნება ინფორმატიზაციას და თანამედროვე ტელეკომუნიკაციებს;
- საჭიროა მოსახლეობის ინფორმირება დისტანციური სწავლების ეფექტურობის შესახებ;
- მოსახლეობის კონსერვატიულად განწყობილი ფენებისა და საერთოდ, საზოგადოების დარწმუნება დისტანციურ სწავლების მეთოდების დანერგვის აუცილებლობაში;
- განისაზღვროს ტექნიკური, საინფორმაციო აკადემიური ნორმატივები და პარამეტრები, რომელთა საფუძველზე მოხდება დისტანციური სწავლების ლიცენზირება;

დიდი ყურადღება უნდ დაეთმოს სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიების, კომპიუტერული პროგრამების, ტესტების,სასწავლო ვიდიოფილმების, მოდულების სამუშაო სახელმძღვანოებისა და დისტანციური სხვა საშუალებების შექმნას და დამუშავებას. აღნიშნული ტიპის კარგად შექმნილი მეთოდური მასალები მნიშვნელოვნად ზრდის კონკურენციას ამ სფეროში და დადებითად მოქმედებს სწავლების ხარისხზე.

დისტანციური სწავლების ლეგალიზაციისთვის მოამზადეს სამრთლებრივი ბაზა,რაც შეიძლება „კანონში უმაღლესის შესახებ“ დამატებების სახით შევიდეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დარეჯან გელაძე, სწავლების ახალი მეთოდოლოგია-ონლაინ სწავლა, GESJ: Education Science and Psychology 2012 | No.1(20)
2. International Scientific Conference: "Education in the Era of Globalization - XXI Century Challenges". Materials
3. [2:06:35 PM] TAMUNA: ავთანდილ ასათიანი, უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა, 2008.კოლის პედაგოგიკა, 2008.

Distance education

Izolda Bukhuleishvili
Doctor of Pedagogical Sciences
Full Professor of Sukhishvili Teaching University
Tel: 555 56 23 49

Resume

The work refers to new substance form of getting education. Distance teaching that was formed on the bases of information and communication technologies, and it made accessible and convenient getting higher education.

The work also analyzes positive and negative sides of distance education. History of starting distance teaching is given. Certain recommendations are elaborated; they will contribute effective implementation of distance teaching.

ფერის სიმბოლიკა და სემანტიკა ინგლისურ და ქართულენოვან ანდაზებში

ნათელა მოსიაშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორი
E-mail: natela_mosiashvili@hotmail.com

სტატიის მიზანია ფერის დატვირთვისა და ფუნქციის შესწავლა ინგლისურ და ქართულ ანდაზებში.

ანდაზების ფონდი ენის მატარებელი ერის დიფერენციალური ფსიქოლოგიის გამომხატველია. ანდაზები ერცლად ჩამოყალიბებული იდეების კონდენსირებული "შზა მოდელებია". აღნიშნულ ენობრივ ფაქტებს განსაკუთრებული ხიბლი აქვთ: ისინი აზრის ლაკონურ და ეფექტურ სიმბოლოებს წარმოადგენენ; ისინი ყოველთვის იპყრობენ ადამიანის ყურადღებას. ანდაზები ერის ცხოერებისეული გამოცდილებისა და აზროვნების სტილის "ენობრივი სიმბოლოებია".

ენის ანდაზების ფონდი წარმოადგენს ენის მატარებელი ერის მიერ შექმნილ "სამყაროს თავისებურ ხატს".

საკელეი შინაარსის "ფერის" გამოყენების სიხშირის ხარისხის დადგენის მიზნით, გადავამოწმე ანდაზებისა და ხატოვანი თქმების ფონდი საკელე ენებში.

აღმოჩნდა, რომ "ფერი" წარმოადგენს ინგლისური და ქართულენოვანი ანდაზებისა და ხატოვანი თქმების "ლექსიკური რეპერტუარის" საკმაოდ აქტიურ წევრს. ანდაზებისა და ხატოვანი თქმების ფონდში დომინირებს "თეთრი", "შავი", "წითელი" და "მწვანე" ფერები. ასეე ხშირად გვხვდება თავად "ფერი".

ინგლისური და ქართულენოვანი ანდაზებისა და ხატოვანი თქმების ფონდის ანალიზის შედეგად გამოელინდა გარკეეული კანონზომიერება, კერძოდ, ინგლისური და ქართულენოვანი ანდაზებისა და ხატოვანი თქმების ფონდი შედგება ხუთი კატეგორიის ერთეულებისაგან:

I. ანდაზა და ხატოვანი თქმა, რომლის ინგლისურენოვან ეერსიაში შესულია ფერის აღმნიშვნელი სიტყვა, მაგრამ ეს სიტყვა არ მოიპოეება მის ქართულ ეკეივალენტში;

II. ანდაზა და ხატოვანი თქმა, რომლის ქართულენოვან ეერსიაში შესულია ფერის აღმნიშვნელი სიტყვა, მაგრამ ეს სიტყვა არ მოიპოეება მის ინგლისურ ეკეივალენტში;

III. ფერის აღმნიშვნელი სიტყვა შესულია ორიეე საკელეი ენის კონკრეტულ ანდაზასა თუ ხატოვან თქმაში;

IV. საკელეე ენაში ანადაზასა თუ ხატოვან თქმას გააჩნია ორი ეერსია, რომელთაგან ერთში გამოყენებულია ფერის აღმნიშვნელი სიტყვა, ხოლო მეორეში კი – არა;

V. ანდაზა თუ ხატოვანი თქმა, რომელსაც მიეკუთნებთ "შერეულ კატეგორიას", ვინაიდან მას ახასიათებს ორი კატეგორიისათვის რელევანტური ნიშან-თვისებები.

ინგლისური და ქართულენოვანი ანდაზებისა და ხატოვანი თქმების ფონდის აღნიშნული კატეგორიების მიხედვით დაჯგუფების შედეგად მივიღეთ შემდეგი სურათი:

I. ანდაზა და ხატოვანი თქმა, რომლის ინგლისურენოვან ვერსიაში შესულია ფერის აღმნიშვნელი სიტყვა, მაგრამ ეს სიტყვა არ მოიპოვება მის ქართულ ეკვივალენტში:

A good horse can not be of a bad colour

- კარგ საბრძველზე კარგი კუდელი ამოვაო

A green wound is soon healed

- ჭორწილამდე მოგიშუშდებაო

Once in blue moon

- წელიწადში ერთხელ დაპირებისამებრ

That is horse of another colour

- ყველა კატი კატია. კახაბერი კი სხვა კატია

The pot calls the cattle black

- ქაჩალმა უთხრა ქაჩალსა პაი შე ქაჩალოო

There is black sheep in every block

- ფარაში კოკლი არ გამოილეაო

II. ანდაზა და ხატოვანი თქმა, რომლის ქართულენოვან ვერსიაში შესულია ფერის აღმნიშვნელი სიტყვა, მაგრამ ეს სიტყვა არ მოიპოვება მის ინგლისურ ეკვივალენტში:

A honey tongue a heart gall

- თეთრი კბილი და შავი გული

A thief knows a thief as wolf knows a wolf

- ფერი ფერსაო მადლი ღმერთსაო

Good finds good

- ფერი ფერსაო მადლი ღმერთსაო

He who is born a fool is never cure

- არ გათეთრდება ყორანი რაც უნდა ხეხო ქვიშითაო

Like will to like

ფერი ფერსაო მადლი ღმერთსაო

There is no art that can make a fool wise

- არ გათეთრდება ყორანი რაც უნდა ხეხო ქვიშითაო

III. ფერის აღმნიშვნელი სიტყვა შესულია ორივე საკვლევი ენის კონკრეტულ ანდაზასა თუ ხატოვან თქმაში:

A black plum (grape) is as sweet as white.

- შავი ქლიავი (ყურძენი) ისე ტკბილია, როგორც თეთრი.

A black hen lays a white egg.

- შავი ქათამი თეთრ კვერცხს დებს.
- ბროხა შავია, მაგრამ თეთრ რძეს იწველებაო.
- შავმა ქათამმა თეთრი კვერცხი იცისო.

A crow is never the whiter for washing herself often.

- არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა

IV. საკვლევ ენაში ანადაზასა თუ ხატოვან თქმას გააჩნია ორი ვერსია, რომელთაგან ერთში გამოყენებულია ფერის აღმნიშვნელი სიტყვა, ხოლო მეორეში კი – არა:

A blind man can not judge colors.

- ბრმას ფერებზე მსჯელობა არ შეუძლია
- ვირმა რა იცის ხურმა რა ხილიაო

All cats are gray in the dark

- სანთლის შუქზე ყველა ნაცრისფერიაო
- ღამით გასინჯული დღისით არ გამოდგებაო

All is no gold that glitters

ფერი ლალისა გემო წყალისაო

- აგურის ნატეხი ლალს შეუდარეს – აქაო და წითელიაო

Appearance is deceitful

- ფერი ლალისა გემო წყლისაო
- თეთრი ცხვარი პატრონს მსუქანი ეგონაო
- სახით მღვდელიო საქმით მგელიო

V. ანდაზა თუ ხატოვანი თქმა, რომელსაც მივაკუთნებთ "შერეულ კატეგორიას", ვინაიდან მას ახასიათებს ორი კატეგორიისათვის რელევანტური ნიშან-თვისებები:

Art consists in concealing art

- თეთრი კბილი და შავი გულიო
- პირში მიცინის და სამარეს კი მითხრის

Iron fist in a velvet glove

თეთრი კბილი შავი გულიო

- მგელი ცხვრის ქურქშიო

Bones bring meat to town

ქარდი უეკლოდ არაეის მოუკრეფიაო

- თეთრი უშაეოდ არ იქნება სიტკბო – უმწაროდ

To carry fire in one hand and water in the other

თეთრი კბილი და შაეი გულიო

- შაე გულს თეთრი გული ფარაესო
- ტუჩით მკოცნის ენით კი მკბენსო

The leopard can not change its spots

მგელი მგლობას ეერ მოიშლისო

- არ გათეთრდების ყორანი რაც უნდა ხეხო ქვიშითაო

ინგლისური და ქართულენოვანი ანდაზებისა და ხატოვანი თქმების ფონდის აღნიშნული კატეგორიების მიხედვით დაჯგუფების შედეგად მივიღეთ შემდეგი სურათი:

ინგლისური და ქართულენოვანი ანდაზებისა და ხატოვანი თქმების ფონდის ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ:

I. იმ ინგლისური და ქართულენოვანი ანდაზებისა და ხატოვანი თქმების რაოდენობა, რომელშიც გამოყენებულია "ფერის" აღმნიშვნელი სიტყეა, არის 43;

II. რაოდენობა იმ ანდაზებისა და ხატოვანი თქმების, რომელთა ინგლისურენოვან ეერსიაში შესულია ფერის აღმნიშენელი სიტყეა, მაგრამ ეს სიტყეა არ მოიპოეება მის ქართულ ექეივალენტში, არის 14;

III. რაოდენობა იმ ანდაზებისა და ხატოვანი თქმების, რომელთა ქართულენოვან ეერსიაში შესულია ფერის აღმნიშენელი სიტყეა, მაგრამ ეს სიტყეა არ მოიპოეება მის ინგლისურ ეკეივალენტში, არის 12;

IV. რაოდენობა იმ ანდაზებისა და ხატოვანი თქმების, სადაც ორიეე საკელეე ენაში შესულია ფერის აღმნიშენელი სიტყეა, არის 8;

V. ერთ-ერთ საკელეე ენაში რაოდენობა იმ ანადაზებისა თუ ხატოვანი თქმების ეერსიებისა, რომელთაგან ერთში გამოყენებულია ფერის აღმნიშენელი სიტყეა, ხოლო მეორეში კი – არა, არის 4;

VI. რაოდენობა "შერეული კატეგორიის" ანადაზებისა თუ ხატოვანი თქმების არის 5.

მონაცემთა სტატისტიკური ანალიზის შედეგად გამოვლინდა კონკრეტული უნიეერსალიები და უნიკალიები:

I. რაოდენობა იმ ანდაზებისა და ხატოვანი თქმების, რომლებშიც შესულია ფერის აღმნიშენელი სიტყეა, მეტია ინგლისურში, ეიდრე ქართულში (ინგლისური – 14, ქართული – 12);

II. რაოდენობა იმ ანდაზებისა და ხატოვანი თქმების, რომლებშიც ორიენ საკვლევ ენაში შესულია ფერის აღმნიშვნელი სიტყვა, ერთნაირია (ორივე საკვლევ ენაში – 8);

III. რაოდენობა "შერეული კატეგორიის" ანადაზებისა და ხატოვანი თქმების ეერსიებისა, რომლებშიც გამოყენებულია ფერის აღმნიშვნელი სიტყვა, მეტია ქართულ ენაში ინგლისურთან შედარებით (ქართულში - 5, ინგლისური – 1);

ანდაზაში ყველაზე მძაფრად კონცენტრირდება სამყაროს აღქმა-ათვისების პროცესში ადამიანის მიერ მიღებული ცოდნა და გამოცდილება. შეიძლება ითქვას, რომ ანდაზა თავისებური სინთეზია სამყაროს შესახებ ცოდნისა და მისი მეტაფორული გააზრებისა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ცნობილი ფოლკლორისტის ალენ დანდესის შეხედულება; იგი ანდაზის ტექსტს აისბერგის ზედა ნაწილს ადარებს: "ყოველი ანდაზის უკან საუკუნოვანი ტრადიცია დგას, ერის ისტორიის, ერის მსოფლხედვის ნაწილი".

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ. რუსიეშვილი 2005- მ. რუსიეშვილი, ანდაზა (მონოგრაფია), თბილისი, 2005

2. მ. რუსიეშვილი, 1999 – მ. რუსიეშვილი, ანდაზის სემანტიკური მოდელი. *საენათმეცნიერო ძიებანი, VIII თბილისი 1999. გვ530 -513.*

3. ნ. მოსიაშვილი, 2005: ნ. მოსიაშვილი, "ფერის" ენობრივი აღქმა ენის ლექსიკურ-სემანტიკურ სისტემაში" თბილისი, 2005

4. მ. ჩხეიძე, 2007 მ. ჩხეიძე. ტექსტის ინტერპრეტაცია. ს.ტ.უ. თბილისი, 2007

The Symbolic meaning of colour and its semantics in English and Georgian Proverbs

Natela Mosiashvili
Academic Doctor of Philological Sciences
Full Professor of Sukhishvili Teaching University
E-mail: natela_mosiashvili@hotmail.com

This article deals with the study of symbolic meanings of frequently used colours (for example black, white, grey, green and red) in the English and Georgian proverbs regularities of their actualisation in the lexical and phraseological systems of the language. The author argues that in the majority of cases the colour terms retain their symbolic meanings and functions.

Arguably such research reveals anthropological and cultural dimensions as well as the links between languages and cultures.

სიბრძნე-განსწავლულობა ძველ საქართველოში

ნინო ბაბილაშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი,
სუხიშვილის უნივერსიტეტის სრული პროფესორი

ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბება ერთი ყველაზე დიდი საიდუმლოა ამქვეყნად. 1 ამ საიდუმლოს ამოცნობას ერთნაირი ინტერესით ცდილობდნენ როგორც ადამიანის სულის მწერთნელი მოძღვრები, ისე მხატერული სიტყვის დიდოსტატები. შესაბამისად, აღზრდა, დიდაქტიკა ყოველთვის იდგა ნებისმიერი საზოგადოების ყურადღების ცენტრში.

უძველესი სამწერლო ტრადიციების მქონე ჩვენ ქვეყანას თავისი ისტორიული ძნელბედობის გამო ხშირად უხდებოდა მხატერული შემეცნების სწორად აღზრდის, დიდაქტიკის სამსახურში ჩაყენება. ამის დამადასტურებელი მაგალითები უამრავია ქართული მწერლობის ისტორიაში. მიზეზი ადვილად ასახსნელია: მტერთაგან შეიწროებულ, ფიზიკურად და მორალურად დაკნინებულ საზოგადოებას სულიერების გადასარჩენად ზნეობის გაკვეთილები ისეთე სჭირდებოდა, როგორც არსებობისათვის საჭირო მატერიალური საშუალებები. ძნელია ჩვენი ისტორიული ცხოვრების ისეთი მონაკვეთის წარმოჩენა, როდესაც ნაკლებაქტუალური გამხდარა ყოველმხრივ გათვითცნობიერებული, ზნესრული და რაც მთავარია საკუთარი ქვეყნის გულშემატკივარი პიროვნების აღზრდის პრობლემა. სწორედ ამაზე მიგვანიშნებდა ასე ოსტატურად დავით გურამიშვილი:

ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო: ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო? შეიძლება ითქვას, რომ სწავლა-აღზრდისადმი სწორედ ამგვარი დამოკიდებულება ახასიათებდა ჩვენ ქვეყანას ადრეული მონათმფლობელური წყობილებიდან ვიდრე დღევანდლამდე.

როდესაც საუკუნის პირველნახევარში რომის კეისარი ანტონიუს პიუსი (138-162 წ.წ.) სტუმრად მოწვეული, ქართლის მეფის ფარსმანის ფიზიკური გაწვრთნილობით აღფრთოვანდა, ძნელი დასაჯერებელია, რომ მას მხედველობაში არ მიეღო მეფის სულიერი თვისებებიც: სიბრძნე, მჭერმეტყველება, დახვეწილობა. ფარსმანი, უთუოდ, სულიერი და ფიზიკური აღზრდის იმგვარ დონეს გამოავლენდა, რომელმაც პიუსის სახით ღირსეული შემფასებელი პპოვა. აკი მოჰყვა კიდეც ამ შეხვედრას უპრეცედენტო შედეგი: ქართლის მეფეს მარადიულ ქალაქში ქანდაკება დაუდგეს.

მოგეხსენებათ, ადამიანის უპირველესი მოვალეობა ამქვეყნად საკუთარი თავის შეცნობაა. ანტიკურ სამყაროში დელფოსის კარიბჭეზე ამოკვეთილი წარწერა შეიცან თავი შენი სწორედ აქეთკენ მოუწოდებდა მთელს ანტიკურ სამყაროს. შეუძლებელია საკუთარი სულიერი პოტენციის ვერ შემცნობმა პიროვნებამ მის გარშემომყოფი სამყაროს რომელიმე საიდუმლო ამოხსნას ან ამ სამყაროს მთლიანობა შეიგრძნოს. ამით იმის თქმა გვსურს, რომ სწავლა-აღზრდის გარეშე ვერ ჩამოყალიბდება გონიერი, სხვის ფიქრთა მწვდომელი მკითხველი, რომელმაც

ბუმბერაზი ადამიანების ანუ როგორც ილია იტყოდა დიდბუნოვან კაცთა ნააზრევი უნდა შეიცნოს. ალბათ, ამიტომაც საქართველოში უძველესი დროიდან სწავლა-აღზრდის სისტემის სრულყოფის სურვილი თან სდევდა ქართული მწერლობის განვითარების სხვადასხვა ეტაპებს.

აღმზრდელი, იგივე მოძღვარი ძველ საქართველოში საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი უპირველესი ფიგურა იყო. მისი საქმიანობა სიბრძნის მოყვარეობასთან, ხშირად მწერლობასთანაც ასოცირდებოდა. ვინაიდან ამგვარი მისიის შემსრულებელი ადამიანი იყო არა მარტო აღმზრდელი, არამედ ახალი სულიერი საგანძურის შემქმნელიც.

ეს ტენდენცია განსაკუთრებით გამოიკვეთა ქრისტიანული რელიგიის გავრცელების შემდეგ. მანამდე კი არსებობს ცნობა: საუკუნეში ქართლის მთავარეპისკოპოსი მობიდანი, წარმოშობით სპარსი იყო ქართლში გაბატონებული ქრისტიანული მრწამსის მოწინააღმდეგე. ქართლის მომდევნო

მთავარეპისკოპოსმა მიქაელმა მობიდანის გაელენის აღმოსაფხვრელად მისი წიგნები დაწვა. ქრისტიანულმა ეკლესიამ წარმართობასთან შეურიგებელი ბრძოლის დროს ისევე მოსპო, ვთქვათ, მობიდანის ეროტიკული ხასიათის ნაშრომები, როგორც შეებრძოლა კოლხეთის რიტორიულ სკოლას, სადაც განათლებისა და საზოგადოო კულტურის საკითხის შესასწავლად მრავალი საინტერესო დოკუმენტი იქნებოდა დაცული. 2

აკადემიკოსი სიმონ ყაუხჩიშვილი თავის წერილში რიტორიკული განათლების ცენტრი ძველ კოლხეთში, 3 გვაწვდის ცნობას კოლხეთის რიტორიკული სკოლის, იგივე კოლხეთის აკადემიის შესახებ, რომელიც ფაზისის, მახლობლად არსებულა - ს.ს-ში. მასზე ერთადერთი პირდაპირი ცნობა ბერძენი ფილოსოფოსის თემისტიოსის (ცხოვრობდა და მოღვაწეობდა დაახლოებით 317-388 წ.) ერთ-ერთ წერილი მოგვეპოვება, სადაც აღნიშნულია, რომ თემისტიოსის მამას, ევგენიოსს და თემისტიოსსაც ამ სასწავლებელში მიუღიათ რიტორიკული განათლება. ცნობილია, რომ ამ სკოლის აღსაზრდელები რიტორიკულ ხელოვნებაში იწრთობოდნენ და ელინთა დღეობებზეც ბრწყინავდნენ. რეტორიკა , როგორც ორატორული ხელოვნება, მოძღვრება მჭერმეტყველების, საორატორო ხელოვნების წესებისა და კანონების შესახებ 4 უმთავრესი მეცნიერული დისციპლინა იყო კოლხეთის რიტორიკულ სკოლაში, (ისევე როგორც ანალოგიური ხასიათის სკოლებში ძველ საბერძნეთსა და რომში). ფაქტიურად, ამგვარი სკოლები ორატორებსა და პოლიტიკურ მოღვაწეებს ამზადებდნენ. ამ შემთხვევაში ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ იგივე რიტორიკა თან სდევდა ქართული სამწერლო ენის ესთეტიკას და გარკვეულ პერიოდამდე იგი ქართული (ისევე როგორც მთელი ევროპული) მწერლობის ბაზისად, გავითარების საფუძვლად მოიაზრებოდა. (ჩვენ დროში რიტორიკულს გარეგნული ეფექტის მატარებელი უშინაარსო სიტყვას უწოდებდნენ) 6 ეს მოსაზრება კიდევ ერთხელ ამყარებს ჩვენს დებულებას სწავლა-აღზრდის ადრეულ სისტემასა და მწერლობის განვითარების პრინციპთა ურთიერთკავშირის შესახებ. სხვათა შორის, ცნობილია ისიც, რომ რიტორიკის როლი ქართულ მწერლობაში ბიზანტიის გაელენით მომძლავრებასთან ერთად იზრდებოდა. მიზანი ერთი ყოფილა: ხატი და მოქცევა სიტყვათა იგივე აჭუნდეს ბერძნულისაი.

ბუნებრივია იქ, სადაც დგას პიროვნების აღზრდის საკითხის, წამოიჭრება აღმზრდელის ანუ მასწავლებლის, გურამიშვილის ტერმინით ბრძენის პრობლემა. ისიც გავიხსენოთ, თუ რა მოთხოვნილებებს უყენებდა დავით გურამიშვილი ამგვარ პიროვნებას:

აწ ბრძენი უნდა სოფელში ეგრეთ, ვით წმინდა ბერია.
ცხოვრობდეს, ერთ ასწავლიდეს, გახადოს მეცნიერია,
ბრძენმა არ უნდა იკადროს ურიგო რაც რამ ფერია,
ბრძენის ურიგოდ ქცევითა ბაძით წახდების ერია.

ე.ი. აღმზრდელი, იგივე მოძღვარი ბრძენია, ანუ ისაა, ვინც სიბრძნეს ფლობს. მეტად საგულისხმოა სიბრძნის საბასეული განმარტება. სიბრძნე არის მშობელი ჭკუისა და გამსინჯველ, გამსჯელი ცნობათა და იქვე უმატებს: სიბრძნე და სიეერაგე ემსგავსებიან: სიბრძნე-კეთილ, ხოლო სიეერაგე-არა. გამოდის, რომ ცოდნის, სიბრძნის ფლობა თაეისთაეად უდიდესი ძალაა.

ხოლო იმით თუ რის სამსახურში ჩააყენებ ამ ძალას, განისაზღვრება კიდეც ცოდნის ხასიათი. გარდა ამისა, მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ სიბრძნე სასულიერო პირისთვის ღვთის მეტყველებას უკავშირდება. წმინდას მიწიერი ცოდნა სჭირდება მხოლოდ ღეთაებრიეის წედომისთვის. მაშინ, როდესაც საერო პირისთვის სიბრძნეს თავისთავადი მნიშვნელობაც აქვს.

მაგრამ ეს განსხვავებანი პრინციპში ვერ ცვლიან სიბრძნის ცნებას და იგი ზოგადად მაინც მიღებული ცოდნის გამოცდილებას უკავშირდება. ქართული პაგიოგრაფიული ჟანრის ნაწარმოებებში სწავლება და აღზრდა ერთ მთლიან პროცესადაა წარმოდგენილი. მაგალითად შიოს ცხოვრების აღწერაში

ეკითხულობთ : აღზრდის მრავლითა მოღვაწეობითა და ზედადგომითა სწავლითა შინა. ასევე განუყოფელი იყო სწავლის პროცესის გამომხატველი ცნებები სწავლაი და წურთნა. ილარიონი სასწავლებლად მიბარებულ მღვდელთან იწურთიეა მარადის, შიო მღეიმელი აღორძინდებოდა ... წურთითა მათითა, ე.ი. მასწავლებლებისა, ხოლო აბო თბილელი კი სჯულის მეცნიერთა იკითხავნ და ისწავებნ.

ჩვენ ზემოთ ვახსენეთ ტერმინი მოძღვარი, რომელიც ძველ საქართველოში აღმზრდელს ნიშნავდა. შესაბამისად სწავლების ცოდნის გადაცემის ტერმინად აგიოგრაფიულ ჟანრის ნაწარმოებებში უკვე ჩნდება მოძღურება. ესრეთ სრულ იქმნა იგი ყოელითა მოძღურებითა. ე.ი. სწავლებითა- ნათქვამია აბო თბილელზე.

მოგეიანებით, საუკუნეში სწავლების პროცესის გამომხატველ ძირითად ცნებად სწორედ მოძღვრება იქცა.

შოთა რუსთაველი ეეფხისტყაოსანში ადამიანური გონების, ინტელექტისადმი ღრმა ნდობას აცხადებს და ეს სავსებით ბუნებრიეია, ეინაიდან ეეფხისტყაოსანში წარმოჩენილი ადამიანის მხატვრული ინტერპრეტაცია ახალი, რენესანსული ტიპის პიროვნულ-ემოციურ და ფილოსოფიურ გააზრებაზეა დაფუძნებული. რუსთაველმა ახალი ლიტერატურის იდეალი მოიტანა, მისი ფიზიკურად და სულიერად უმშვენიერესი გმირები, რომლებსაც არც სიბრძნე, არც სიმდიდრე და არც სიქველე აკლიათ, სიბრძნისადმი საკმაოდ განსხვავებულ დამოკიდებულებას ავლენენ. განსწავლულობის უპირველესი მტერი რუსთაველისათვის სურეილების აყოლაა, სურეილთა დაუმორჩილებლობაა. ამიტომაც ქცეულა ავთანდილის ცხოვრების

დეეიზად შემდეგი პრინციპი: რაც არა გწადლეს, იგი აქმენ, ნუ სდეე წადილთა ნებასა.

ცხოერებისეულ სირთულეებს სწორედ ამ პრინციპით. შეჯიდებული აეთანდილი სძლეეს ბოროტებას და სიკეთის დამამკეიდრებელ ბრძენ რაინდად გეეელინება.

ეეფხისტყაოსანში ქალისა და კაცის, პატრონისა და ყრმის ინტელექტუალური თანასწორობის იდეა სიბრძნის-განსწაელულობის რუსთველისეულ კონცეფციას ემყარებ. ავთანდილი როსტეანის ქვეშეერდომია, ისინი იერარქიული კიბის სხვადასხვა საფეხურზე დგანან. მაგრამ ეს განსხეაება მაშინეე ფერმკრთალდება, როგორც კი საქმე განსწაელულობისადმი მათი დამოკიდებულების გამეღაენებას ეხება. ავთანდილს როსტეანისაგან უმთავრესი რამ აუთეისებია:

არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა გრძნობისა.
მით ვისწაელებით, მოგეეცეს შერთება ზუსთ მწყობრთა წყობისა.

თაეად რუსთაველი თავისი ღრმა ერუდიციით საუკუნის ქართული საზოგადოებრიე-ფილოსოფიური აზრის გამომხატეელია. სწორედ ამ აზრის მიხედეით, სიბრძნე-განსწაელულობა გულისხმობს სიბრძნის გონიერულ მოხმარებას, ცხოერებისეულ გზაზე მისით ხელმძღეანელობას, დახმარებას.

როგორც ზემოთ აეღნიშნეთ, ჩეენს ქეყანას თავისი ხანგრძლიეი ისტორიის მანძილზე ხშირად სჭირდებოდა ინტელექტუალური და ნებრიეი განახლება. გადაღლილი და ხშირ შემთხეევაში მიძინებული ეროენული ენერგიის ახალი, ძლიერი იმპულსით გამოცოცხლება. სწორედ მაშინ რომელიმე ერთი პიროენება გეეელინებოდა როგორც აღმზრდელად, მწვრთნელად, ისეე მხატერული ნაწარმოების შემქმნელ ბრძენკაცად. ამ მოსაზრების დასადასტურებლად მხოლოდ სულხან-საბა ორბელიანის მაგალითიც იკმარებდა. სულხან-საბას კრიზისული ეპოქის ატმოსფეროში მოუხდა მოღეაწეობა, ამიტომაც მისთეის სიბრძნეც პირეელ რიგში ის სიმართლეა, რომელიც კარგად შენიღბული სიცრუისაგან უნდა იქნეს გამოეჭნული.

კალდერონის ცნობილი ფორმულა ამ ცხოერებაში ყოეელიეეა ჭეშმარიტი და ყოეელიეეა სიცრუე. სულხან-საბას მთავარი ნაწარმოების იგავ-არაკთა კრებულის სიბრძნე-სიცრუისას ინტერპრეტაციის გასაღებს გეაძლეეს. ავ-კარგის გარჩეევა, შინაგანი სრულყოფილებისაკენ ლტოლვა, პიროენული ღირსების გრძნობის გაღეიძება, აი , რას ესწრაფეის სიბრძნე-სიცრუისას აეტორი: იქნებ არასოდეს არ თქმულა სიტყეაკაზმული მწერლობის საშუალებით იმდენი რჩეევა-დარიგება, იმდენი შეგონება, რამდენიც ეს სულხან-საბას, არჩილ მეფისა და დავითგურამიშეილის შემოქმედებით გაკეთდა.

განსწაელულობის უპირეელესი მტერი რუსთაველისათეის სურეილების აყოლაა, დაეით გურამიშეილმა, ისეე როგორც არჩილ-მეფემ, მისი თანადროული საქართეელოს დაცემის მიზეზად ქართეელთა მორალური გადაგეარება მიიჩნია და რადგან არჩილის და გურამიშეილის მწერლობას უპირეელეს ფუნქციად მოქალაქეობრიე სამსახურს განუწესებდნენ მათ თაეიანთ შემოქმედებაში საგანგებო მსჯელობა გაშალეს სწაელა-აღზრდის საკითხებზე. განათლება მათთეის ქართულის ჭირის განმკურნავ საშუალებადაა მიჩნეული, ამიტომ სწაელის საჭიროებაზე საუბარი სწაელისკენ მოწოდებაშია გადაზრდილი. მაგალითად დაეით გურამიშეილის სწაელა-მოსწაელეთას თავისი ღრმა პათოსით დღესაც არ დაუკარგაეს აქტუალობა.

ჩვენ დღესაც საკმაოდ რთულსა და კრიზისულ ხანაში ვცხოვრობთ გარკვეული ხნის მანძილზე სერიოზულად შეირყა მართებული დამოკიდებულება სწავლა-განათლებისადმი.მისმა მნიშვნელობამ თითქოს მეორე პლანზე გადაინაცვლა, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში ჩვენ სრულიად საპირისპირო ტენდენციის მოწმენი ვხდებით. სხვადასხვა საუნჯის მაძიებელმა ადამიანებმა საოცარია, მაგრამ ბოლოს მაინც იწამეს ერთადერთი ხელშეუხებელი საგანძურის სიბრძნე-განსწავლულობის უპირატესობა. ყოველმა გონიერმა ადამიანმა, ცხადია, იცის, რომ ჩვენი მომავალი ამ ხელშეუხებელი საგანძურის გარეშე ვერ აშენდება. მომავალი საქართველო კი ისევ სიბრძნე განსწავლულობამ უნდა გადაარჩინოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.
2. კენჭოშვილი ირ-რიტორიკული ტოპოსები.
3. ჟურნალი „კრიტერიუმი 2009 №1
4. გამსახურდია სვიმონ-„სწავლა განათლება ძველ საქართველოში თბ. 1975
5. საუბრები ქართულ ლიტერატურაზე 1992წ.
6. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. 1940წ.
7. ს.ს. ორბელიანის ლექსიკონი.

Wisdom – education in old Georgia

Nino Bibilashvili
Academic Doctor of Philological Sciences,
Full Professor of Sukhishvili Teaching University

Resume

Education was always in the center of public attention. Our country needs lessons of morals as much as material resources for existence. Education and Georgian Writing is the same in Georgia for ages.

Rhetoric as an art was the main science subject at rhetorical school in Kolkheti. In this work is mention a great role of tutor for formation of man, what is given very well in D. Guramishvili and Sh. Rustaveli "The Man in the Panther's skin"

The history of English language

Zhuzhuna Khitarishvili - Master Teacher,
Sukhishvili Teaching University
Tel: 27-34-36, Mobile: 595-255-144

A language can be studied in various aspects: Its phonetics, grammar, word stock, style and so on. In studing Modern English we consider all these aspects synchronically and regard the language as a fixed unchangable system.

Old English

Historical Background

The English language has a long history, its development began in the 5th century before era, when west Germanic tribes settled in the British Isles.

During the sixteen hundred years its history the English language has been undergoing constant change and it is changing still. It divides into three main periods:

Old English which lasts from the 5th century to the end at the 11th.

Middle English - from the 12th to the 15th century New English, which means the English of the last six centuries. Early New English period - fro the 15th century to the 17th, up to the age at Shakespeare.

Many hundred years ago (about the 4th century before our era) the country we now call England was known as Britain, and the people who lived there were Britons, (or "Brythons") They belongs to the Celtic race, the language they spoke was Celtic. Their way if thinking and understanding of Natural was very primitive. The Britons were governed by a class of priests called the Druids who had great power over them.

In the 1st century before our era Britain was conquered by the powerful State of Rome.

The Romans lived on the peninsula which is now called Italy and their language was Latin. This was a people of practical men. They were very clever at making hard roads and buildings, Bridges ect.

The Romans were greatly interesting in Britain so the sailed across the sea in galleys and the general who commanded them was Julius Caesar.

Caesar wrote many interesting accounts at Britain. The art of writing was very much advanced in Rome. It was not easy to conquire the Britains and the Romans had to encamp troops all over the country. It was from these camps that the English cities later arose.

The word "castra" = "camp". The names of many English towns have later ending and you can found Lancaster, Manchester, Worcester ['wusta], Leicester ['lesta] and Jutes [dju:ts] conquered the land. By the time The Anglo-Saxons conquered Britain, they already had letters of their own. Called "runes", which they carved on stone and wood, but they had on written language yet. The stories and poems they made up had to memorized. On very beautiful poem called Beowulf has reached our days. This period may be called the dawn of English litarature.

Old English manuscripts were written in Latin. It was the language at the church. The monks were the only people who could read and write. Latin had no equivalents. Out of the twenty-three latin letters British scribes employed only nineteen: I and J were not distinguieshed: not were V and U, K, Q and X were not used until many years later. W - later. a was combined with e. A most interesting characteristic at the Old English alphabet some letters from the runic alphabet: the rune Þ.

Old English texts of the 8th - 9th centuries are very numerous. The greatest Saxon poem of the time was as we say Beowulf, an epic of the 7th or 8th century. Anglo-Saxon verse had no rhythm. As we know the word "runes" originally meant "secret", "mystery". One of the Old English words you will meet in English literature is "folk" [fouk] which means "people", Folk - dance, folk - songs.

The culture of the early Britons changed greatly under the influence of Cristianity. This was the time when the great Roman Empire was ruled by several emperors. The bulk of old English poetry is religious. The poem paraphrase, more or less closely, the books of the Bible - story in alliterative verse.

Many of monks took parts in the work, but their names are unknown to us. In the year 1066, the Norman Duke William crossed the Channel and conquered the English William. The Conqueror could not speak a word of English. He spoke Norman - French.

Norman - French and Anglo - Saxon were moulded into one national language only towards the beginning of the 14th century, when the Hundred years War broke out. The language of the that time is called Middle English.

Though the Normans had subdued the Anglo-Saxons. They never the less could not subdue the English language. But it had changed much.

a) Under the infliance of the French language the pronunciation of the people changed, but it didn't become French. French suffixes:

- ance, - ence: ignorance, experience.
- ment: government, agreement.
- age: courage, marriage.
- able: admirable.

In the 13th, 14th and 15th centuries there appeared a series of Arthurian legends in English: "Arthur and Merlin", "Mortede Arthur". Sir Thomas Malory collected all these romances and published "King Arthur and The Knights of the Round Table".

Pre - Renaissance in England

In the 14th century the process of civilization was carried to a state of perfection London became the most populous town in England. The London dialect was the central dialect. It was the English dialect from which "The national language" developed.

The greatest writer of the 14th century was Geoffrey ['dʒefrɪ] Chaucer. He was simply a writer of the world, that is to say he wrote about things he saw, and described people he met. Chaocer was the first who broke away from medieval forms and cleared the way for realism. He translated from French. The second period was Italian. The third period of Chaucer's creative work - English period.

The Renaissance

The "Dark" Middle Ages were followed by a time know art and literature as the Renaissance. The word "Renaissance" means "rebirth" to the cultural development in Art and literature.

That period belongs to the cultural development in art and literature.

The greatest master of the 16th (1564-1616) cetury was W. Shakespeare, who wrote a let of famous plays and 154 sonnets. Later was the great poet G.G. Byron (1788-1824) Byron's writings have always been popular among million people.

For a long time English language was the most important language. Four big countries speak English. They are: Great Britain, America, India and Australia. Here we can say , it is spoken thoughout the continent of north America (The USA and Canada) South Afica and New Zeland.

English is also the international labguage of commerce and official . Now it is the most influental language in the world, spoken by more than a billion people on the planet. It currently dominate science business, the mass media and popular culture. 80% of e-mails on the internet are in English.

English is going to become ever more important as it is now. It will cintinue to develop around the world.

Literature

1. History of the English language - T.A. Rastorgueva - 1969y.
2. English Litarature - M.J. Hecker - 1969y.
3. New Opportunities - Michael Harris, David Mower, Anna Sikorzynska - 2007y.

ინგლისური ენის საერთაშორისო მნიშვნელობა

შორენა ტიტვინიძე
სუხიშვილის სახელობის უნივერსიტეტი
ინგლისური ენის მასწავლებელი
E-mail:titvinidzeshorena@yahoo.com tel: 0370 276285

ინგლისური ენა ზოგადად აღიარებულია მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს ენად, თუმცა მსოფლიოში ათასობით სხვა ენებიც არსებობენ, რომელთაგან თითოეული გამოირჩევა თავისი უნიკალურობითა და მნიშვნელოვნებით იმ მოსახლეობისათვის, ვისთვისაც ესა თუ ის ენა მშობლიურია, ამიტომაც არსებობს სტანდარტები, რაც ანიჭებს მნიშვნელოვნებას ამ ენას.

ერთ-ერთი კრიტერიუმი ეს არის ამ ენაზე მოსაუბრეთა რაოდენობა. მეორე – სიერცე, რომელსაც ფარავს ენის არსებობა და გავრცობა; ანუ ის თუ რამდენ ქვეყანაშია აუცილებლობად მიჩნეული ამ ენაზე საუბარი. მესამე ესაა ფუნქციონალური დატვირთვა, თუ რამდენად ფართოა ის მიზეზები, რომელთა გამოც გამოიყენება ენა, კერძოდ კი, რამდენად ფართოა ენის როლი ისეთ მაღალ ფასეულ კულტურულ სფეროთათვის, როგორიცაა მეცნიერება და ლიტერატურა. მეოთხე კრიტერიუმი ეს არის ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენა იმ მოსაუბრეებზე, რომელთათვისაც ეს ენა მშობლიურია.

თუ ჩვენ შევზღუდავთ პირველ კრიტერიუმს მათზე, ვისთვისაც ენა მშობლიურია, ამ შემთხვევაში ინგლისურ ენაზე მოსაუბრეთა რიცხვი აღემატება 300 მილიონს, რის მიხედვითაც ინგლისური ენა დგება ჩინური ენის შემდეგ. რაც შეეხება მეორე კრიტერიუმს, მთელს მსოფლიოში ინგლისური ენის, როგორც საერთაშორისო ენის, გავრცელება ესაა უნიკალური ფენომენი მსოფლიოს ისტორიაში. დაახლოებით 150 მილიონი ადამიანი – მსოფლიოს მოსახლეობის ერთ მესამედზე მეტი- ცხოვრობს იმ ქვეყნებში, სადაც ინგლისურ ენას აქვს ოფიციალური სტატუსი ან წარმოადგენს ერთ-ერთ სახელმწიფო ენას. რაც შეეხება მესამე კრიტერიუმს, ინგლისური ენა წარმოადგენს მთავარ ძარღვს ლიტერატურული აზროვნებისათვის, მეტიც ის შექსპირის ენაა, ამასთან ინგლისური ენა ლიდერობს ბოლო საუკუნეების სამეცნიერო და ტექნოლოგიური მიღწევების სფეროშიც. მეოთხე კრიტერიუმი წინ წამოწევს იაპონორ, გერმანულ და რუსულ ენებს, როგორც ენებს ძლიერი, მწარმოებელი და გავლენიანი ერებისა, მაგრამ ინგლისური ენა არის აშშ-ს ენა, რომლის პროდუქტიულობის ზრდამ ხშირ შემთხვევებში გადააჭარბა მისი უახლოესი კონკურენტის, იაპონიის პროდუქტწარმოებას..

საერთაშორისო ენის არჩევანი არასოდეს ყოფილა დაფუძნებული ლინგვისტურ ან ესთეტურ კრიტერიუმებზე, არამედ ყოველთვის ეფუძნებოდა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ფაქტორებს.

ენა - როგორც მშობლიური და მეორე ენა:

ინგლისურ ენაზე, როგორც მშობლიურ ენაზე, 300 მილიონზე მეტი ადამიანი საუბრობს და მათგან უმეტესი ცხოვრობს ჩრდილოეთ ამერიკაში, ბრიტანეთის კუნძულებზე, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, კარიბიის კუნძულებზე და

სამხრეთ აფრიკაში. ამ ქვეყნების ნაწილში ინგლისური არ არის ძირეული ენა: კუბეკის პროვინცია კანადაში ფრანგულ ენოვანია, სამხრეთ აფრიკის უმეტესი მოსახლე საუბრობს აფრიკულ ან ბანტუს ენებზე, და უმეტესი მკვიდრი უელსისა და ირლანდიის საუბრობს კელტურ ენებზე, მაგრამ ისინი, ვისთვისაც ინგლისური ენა არ არის მშობლიური ენა ინგლისურს იყენებენ როგორც მეორე ენას სამთავრობო, კომერციული და საგანმანათლებლო საქმიანობისათვის საკუთარ ქვეყნებს შიგნით. ინგლისური ენა მეორე ენაა ასევე ბევრ ისეთ პატარა ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის მხოლოდ მცირედი ნაწილისათვისაა ინგლისური ენა მშობლიური. დაახლოებით ოცდახუთ ქვეყანაში ინგლისური ოფიციალურ ენად არის გამოცხადებული და უმეტესობა ამ ქვეყნებისა ბრიტანეთის ტერიტორიებია. დადგენილია, რომ ინგლისური წარმოადგენს მეორე ენას 300 მილიონზე მეტი ადამიანისათვის და შესაძლოა მალე იმ ადამიანთა რიცხვმა, რომელთათვისაც ინგლისური მეორე ენაა გადააჭარბოს მათ რიცხვს, ვისთვისაც იგი მშობლიურ ენად ითვლება.

ენა, როგორც უცხო ენა:

უცხო ენაში იგულისხმება ენა, რომელსაც იყენებს პიროვნება სასაუბროდ მათთან, ვინც არ არის მისი ქვეყნიდან და ასევე ინფორმაციის მოსასმენად, წიგნებისა და გაზეთების წასაკითხად, მგზავრობისა თუ კომერციული საქმიანობის მოსაგეარებლად. სხვა არცეთი ენა არ გამოიყენება და შეისწავლება ისე ფართო მაშტაბებით, როგორც ინგლისური უცხო ენის სტატუსით. მოთხოვნა ამ ენის შესწავლისა დღეს-დღეობით უდიდესია. ინგლისური ენა მთავარ მოთხოვნათაგანია მათთვის, ვინც სამსახურს ეძებს და ის არის ხშირ შემთხვევებში ენა, რომელსაც უკავშირდება ბიზნესი და კარგი სამსახური. ის უკავშირდება ტექნოლოგიურ და ეკონომიკურ განვითარებას და წარმოადგენს მთავარ ენას საერთაშორისო დახმარების ორგანიზაციებისათვის. იგია ენა კომპიუტერული ტექნოლოგიის, საერთაშორისო ავიაციისა და სპორტის, ასევე გემთმიმოსვლისათვის. ინგლისური ენა წარმოადგენს უმთავრეს ენას დიპლომატიაში და გამოიყენება როგორც დებატების დროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ასევე წარმართავს მის მთავარ საქმიანობას.

ინგლისური ენის საერთაშორისო ხასიათი:

ინგლისური ენა უდავოდ ერთ-ერთი უპირველისი ენაა საერთაშორისო ასპარეზზე, თუმცაღა სახელმა ინგლისური შესაძლოა შეგვახსენოს ინგლისი ან ასოციაცია გამოიწვიოს ამერიკის შეერთებული შტატებისა. ერთ და იმავე დროს ინგლისური ემსახურება ყოველდღიურ განრიგს ისეთი ქვეყნებისა, როგორიცაა შეერთებული შტატები და სამხრეთ აფრიკა, რომლებიც მკვეთრად განსხვავდებიან ზომითა თუ მოსახლეობის რაოდენობით, ასევე კლიმატითა და ეკონომიკური მდგომარეობით ან ეროვნული ფილოსოფიით; ამასთან ეს ენა ემსახურება ისეთ უძველეს სამეფოს, როგორიცაა გაერთიანებული სამეფო და ამ გაერთიანებული სამეფოს პარტნიორი ქვეყნებს, რომლებიც მიმოფანტული არიან და დიდად განსხვავდებიან ერთურთისაგან მიუხედავად საერთო წარმომაელობისა. ზოგ შემთხვევაში ინგლისური თანაბრად ასახავს დამოუკიდებელ და განსაკუთრებულ კულტურას ერთი თუ მეორე ინგლისურ ენოვანი ქვეყნისა.

ერთადერთი საერთაშორისო ენა დიდი ხანია მიიჩნევა საერთაშორისო კომუნიკაციის იდეალად. ინგლისური მიუახლოვდა სტატუსს – ერთადერთი საერთასორისო ენისა, მიაღწია რა უდიდეს გავრცობას დედამიწაზე არსებული ისტორიის მანძილზე. თუმცა ბოლო წლებში გაჩნდა ეჭვი იმისა მიაღწევს თუა არა ინგლისური ენა იდეალურ ერთადერთ საერთაშორისო ენის სტატუსს, თუ შეინარჩუნებს მხოლოდ იმ პოზიციას, რომელზეც ამჟამად იმყოფება.

ერთ-ერთი მიზეზი ამ ეჭვისა არის შიში იმისა, რომ ეროვნული კუთხით მრავალსახეობა ინგლისური ენისა განიცდის საწრაფ ზრდას (ვალცალკე და საბოლოოდ გამოიყოფა ორმხრივად მიუწედომელი (გაუგებარი) ენები. შიში ასევე გამოიხატება იმ კუთხით, რომ ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებულმა გასასამართლებელმა მგრძნობელობამ იმასთან დაკავშირებით, რომ გამოყენებულ იქნეს მშობლიური დიალექტი (რეგიონალური, სოციოეკონომიკური, ეთნიკური) ეროვნულ მრავალსახეობებს შიგნით შესაძლოა მიგვიყვანოს ეროვნული სტანდარტული დიალექტის მიტოვებამდე და ამგვარად, ინგლისური ენის დანაწევრებამდე. მრავალფეროვნება ინგლისურში განსაკუთრებით დიდია იმ ქვეყნებში, სადაც ინგლისური მეორე ენაა და შესაბამისად შეისწავლება. თუმცაღა, ვიდრე არსებობს შიში ინგლისური ენის დისინტეგრაციისა შესაბამისი ძალები მუშაობენ რათა დაცულ იქნეს ენის მთლიანობა. მიუხედავად შესამჩნევი დიალექტური სხვაობისა საგანმანათლებლო სისტემა იცავს არსებით და საჭირო მსგავსებას ეროვნული სტანდარტებისა. ტრადიციული სპელინგის სისტემა ძირითადად იგნორირებას უწევს ცელილებებს, რომლებიც თავს იჩენენ, როგორც დროდადრო ასევე ფართო სივრცულ მაშტაბებში გამოთქმასთან დაკავშირებით. ბევრი ფაქტორია ხელისშემწყობი იმისა, რომ ეროვნული ვარიაციების განსხვავებები გახადოს მსგავსი , ნაცნობი და გასაგები. არსებობს გავლენა გაზეთ-ჟურნალების, წიგნების და ბეჭდვითი სისტემის, რადიო ტელეიზიის და ფილმების სალაპარაკო ენაზე. ამასთან მასწავლებლები და სტუდენტებიც უნდა იჩენდნენ ტოლერანტობას და მოთმინებით ეკიდებოდნენ ენობრივ ვარიაციებს და ეროვნული საგამოცდო სისტემაც მეტად მოქნილობით უდგებოდეს ამ ვარიაციებს. მიუხედავად მზარდი ტოლერანტობისა მეტყველების გაუგებარი ვარიაციებისადმი სტანდარტული ფორმები კვლავ რჩება წერითი ინგლისურის ნორმად.

ინგლისური ენის, როგორც საერთაშორისო ენის მომავალი დევს ენის სწავლების განხორციელებაში განსაკუთრებით მაშტაბურ ფორმატით და საერთაშორისო მოთხოვნის დონის შესაბამისად. სავარაუდოა, რომ განვითარებადი ქვეყნების გამდიდრებასთან ერთად მეტად გაიზრდება მოთხოვნა ამ ქვეყნებში ინგლისური ენის შესწავლადობისა და შესაბამისად ამაღლდება მასწავლებელთა და სტუდენტთა პროფრსიული დონეც.

დაბოლოს, დღევანდელობა ნათლად გვიჩვენებს ფაქტს, რომ ინგლისური ენა მზარდად მოთხოვნადი ენა ბევრ პოპულარულ ენებს შორის, იგი თავისუფლედ იმკვიდრებს სტატუსს ერთადერთი საერთაშორისო ენისა მსოფლიო ასპარეზზე მიუხედავად მისი თავისებურებებისა თუ მდევნი პრობლემებისა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ო. ვ. ალექსანდროვა "ინგლისური ენის ქრესთომატია"

2. www. wikipedia.com

English as an international language

Shorena Titvinidze
Sukhishvili Teaching University
E-mail:titvinidzeshorena@yahoo.com tel: 0370 276285

Resume

The work covers the main character of English language with its problems and advantages. It brings the reasons of acknowledging the language as the international one and discusses the criteria of reaching the main goal – becoming the only international language in the world. The work also speaks about the language as the native, second, and international language with its character and highlights its future as the future of the language that claims to be under the international demand.

Ekaterine Maruashvili
Sukhishvili Teaching University
E-mail:eka.ekaaaaa@gmail.com T: 5 99 75 72 19

In ligulstics, **grammatical gender** is defined as a system of noun classification present in approximately one fourth of the world's languages. In languages with grammatical gender, every noun must pertain to one category called gender. The different genders form a closed set of usually 2 or 3 divisions, in which all the nouns are included. Very few items can belong to several classes at once. Common gender divisions include: masculine, feminine, neuter, animate, or inanimate.

In a few languages, the gender assignation of nouns is solely determined by their meaning or attributes (e.g. biological sex, humanness, animacy). However, in most languages, this semantic division is only partially valid, and many nouns may belong to a gender category that contrasts with their meaning (e.g. the word "manliness" could be of feminine gender). In this case, the gender assignation can also be influenced by the morphplogy or phonology of the noun, or in some cases, can be completely arbitrary.

Grammatical gender manifests itself when words related to a noun (e.g. determiners, pronouns, ajectives) change their form (inflection) according to the gender of noun they refer to (agreement). The parts of the speech affected by gender agreement, the circumstances in which it occurs, and the way words are marked for gender varies cross-linguistically. Gender inflection may interact with other grammatical categories (e.g. number, case).

Grammatical gender is typical of the Afro-Aziatic, Dravidian, Indo-Europian, and Northeast Caucasian language families; as well as several _Australian aboriginal languages (e.g. Dyirbal, Kalaw Lagau Ya). Also, most Niger-Congo languages have extensive systems of noun classes, which can be grouped into several grammatical genders.

Grammatical gender is usually absent from the, Altaic, Austronesian, Sino-Tiberian, Uralic and most Native American language families.

Modern English is not considered to have grammatical gender, although historically it did.

Grammatical gender is defined linguistically as classes of nouns which trigger specific types of behavior in associated words, such as adjectives, verbsand others.

Genders are types of noun classes in which the gender is referenced by the structure of the word. Every noun must belong to one of the classes and there should be very few that belong to several classes at once.

If a language distinguishes between genders, each noun in that language will belong to one of those genders: In order to correctly decline any noun and anymodifier or other type of word affecting that noun, one must identify the gender of the subject.

While Old English (Anglo-Saxon) had grammatical gender, Modern English is normally described as lacking grammatical gender.

The linguistic notion of grammatical gender is distinguished from the biological and social notion of natural gender, although they interact closely in many languages. Both grammatical and natural gender can have linguistic effects in a given language.

Although some authors use the term "noun class" as a synonym or an extension of "grammatical gender", for others they are separate concepts. One can in fact say that grammatical gender is a type of noun class, as well as a grammatical category.

English is a West Germanic language that arose in the Anglo-Saxon kingdoms of England and spread into what was to become south-east Scotland under the influence of the Anglian medieval kingdom of Northumbria. Following the economic, political, military, scientific, cultural, and colonial influence of Great Britain and the United Kingdom from the 18th century, via the British Empire, and of the United States since the mid-20th century, it has been widely dispersed around the world, become the leading language of international discourse, and has acquired use as *lingua franca* in many regions. It is widely learned as a second language and used as an official language of the European Union and many Commonwealth countries, as well as in many world organizations. It is the third most natively spoken language in the world, after Mandarin Chinese and Spanish.

Historically, English originated from the fusion of languages and dialects, now collectively termed Old English, which were brought to the eastern coast of Great Britain by Germanic (Anglo-Saxon) settlers by the 5th century – with the word *English* being derived from the name of the Angles. A significant number of English words are constructed based on roots from Latin, because Latin in some form was the *lingua franca* of the Christian Church and of European intellectual life. The language was further influenced by the Old Norse language due to Viking invasions in the 8th and 9th centuries.

The Norman conquest of England in the 11th century gave rise to heavy borrowings from Norman-French, and vocabulary and spelling conventions began to give the superficial appearance of a close relationship with Romance languages to what had now become Middle English. The Great Vowel Shift that began in the south of England in the 15th century is one of the historical events that mark the emergence of Modern English from Middle English.

Owing to the significant assimilation of various European languages throughout history, modern English contains a very large vocabulary. The *Oxford English Dictionary* lists over 250,000 distinct words, not including many technical or slang terms, or words that belong to multiple word classes.

Literature:

1. Grammatical Gender.
2. Wicipedia, the free encyclopedia.
3. Maruashvili Ekaterine assistant.

გრამატიკის გენდერი

ეკატერინე მარუაშვილი
სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი – დოქტორანტი
eka.ekaaaaa@gmail.com Tel: 5 99 75 72 19

რეზიუმე

თემა ეხება გრამატიკული სქესის პრობლემებს. რამატიკული სქესი კლასიფიცირდება ლინგვისტურად, როგორც არსებითი სახელის კლასი, რომელიც აისახება სპეციფიკური ტიპის ქცევებში, როგორიცაა ზედსართავი სახელი და სხვ. რამატიკული სქესის ლინგვისტური ქნება განსხვავდება ბუნებრივი სქესის ბიოლოგიური და სოციალური ცნებისგან, ასევე ისინი იჭრებიან ღრმად ბევრ ენაში.

ბლიერი ქალი–შარლოტა ბრონტეს „ჯეინ ეარი“

ნონა კობალაძე
სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის მოწვეული მასწავლებელი
nona-kob@mail.ru Tel: 551551121

XIX საუკუნის შუა პერიოდის ინგლისის ლიტერატურული ცხოვრება მდიდარია ჟანრებით და პრობლემატიკით, მაგრამ თუ რომანტიზმის ხანაში წამყვანი პოეზია იყო, 30-იანი წლებიდან უპირატესობა პროზას მიენიჭა, ლიტერატურული ნაწარმოების ყველაზე გაერცელებული ფორმა გახდა რომანი. რომანის ფართო გამომხატველობითი შესაძლებლობები, მწერალს საშუალებას აძლევდა ნათლად გადმოეცა ინდივიდებისა თუ ფართო მასების ყოფა-ცხოვრება ამ დროის კრიტიკული რეალიზმის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელია შარლოტა ბრონტე. მისი შემოქმედება მჭიდროდ ეკვრის მისივე ცხოვრებას. მის კალამს ეკუთვნის ოთხი რომანი, რომელთაგან ყველაზე გამორჩეული და წარმატებული არის „ჯეინ ეარი“. მწერალმა რომანში ბევრი ავტობიოგრაფიული ელემენტი ჩააქსოვა და პირველად ფსევდონიმით გამოსცა.

შარლოტა ბრონტემ შეძლო სიუჟეტურად მარტივ ნაწარმოებში ჩაექსოვა ღრმა სოციალური შინაარსი და დიდი გრძნობა.რომანი ხუთ ძირითად ეპიზოდად იყოფა, რაც გმირი ქალის ცხოვრების გზის სხვადასხვა ეტაპს ასახავს. რომანის ერთ–ერთი ყველაზე უფრო მომხიბვლელი ადგილია ჯეინ ეარის ყოფნა ლოუდის სკოლაში. აქ ცდილობენ ბავშვებს შთაუნერგონ მორჩილების გრძნობა, მონური სული, ჩაკლან მათში წინააღმდეგობის ნებისყოფა და სურვილი, მათ აშიმშილებენ და სიცივით კლავენ. ბავშვებს უნერგავენ ფარისეველურ რელიგიურ პრინციპებს, „ცოდვილი სხეულის დათრგუნვას უკვდავი სულის საცხონებლად“. ელენ ბერსის მაგალითიც საკმარისია იმის საჩვენებლად, თუ რა შედეგი მოჰყვება ხოლმე ბავშვებისადმი ასეთ მოპყრობას. ელენ ბერნსი ჭკვიანი და ნაკითხი გოგონაა. მაგრამ მისი ნებისყოფა გატეხილია. იგი გულგრილად ეკიდება, როც მას აბუჩად იგდებენ და სცემენ. ამაში დამნაშავენი ისეთი ადამიანები არიან, როგორიცაა, მაგალითად პასტორი ბროკლჰერსტი და ობოლი ბავშვების სხვა აღმზრდელები. პასტორ ბროკლჰერსტის ფარისეველობას საზღვარი არა აქვს. შ. ბრონტე ბიღაბს ხდის მას და გვიჩვენებს შეუსაბამობას მის ქადაგებასა და საქციელს შორის. ასე მაგალითად, ერთხელ, როცა იგი ფარისეველურად ლაყბობს იმაზე, რომ აუცილებელია რაც შეიძლება უბრალოდ და ღარიბულად ჩაცმა, დარბაზში მოულოდნელად შემოდიან მისი ცოლი და შვილები, ქედმაღლურად გამოპრანჭულნი აბრეშუმში და ბეწვეულში. ბროკლჰერსტის ფარისეფლობა იმდენად თვალსაჩინოა, რომ მისი ქადაგებანი ბავშვებზე აღარ მოქმედებს, რის გამოც ყველა აღსაზრდელი როდი ჰყავს მას დამორჩილებული და დაშინებული.

ჯენ ეარი ელენ ბერნსთან შედარებით სრულიად საწინააღმდეგო ხასიათის გოგონა. ჯენ ეარი საზოგადოებაში ადამიანთა არათანასწორუფლებიანობისა და

ჩაგერის წინააღმდეგ სტიქიური პროტესტის მატარებელია. მას სჰულს ძალმომრეობა, სიცრუე და უსამართლობა. მასში პროტესტისა და დამოუკიდებლობის სული ღვიძის, მას უყვარს სიმართლე. დიდსულოვნება და ადამიანურობა განსაკუთრებულ მიმზიდველობას ანიჭებს ჯენ ეარს. დაუფარავი აღელვებით ლაპარაკობს შ. ბრონტე თავისი გმირის მისწრაფებების შესახებ თანასწორუფლებიანობისადმი, რაც თვით მწერლის სანუკვარ ოცნებას შეადგენს. მართალია, თანასწორუფლებიანობა მწერალ ქალს საკმაოდ შეზღუდულად ესმის, მაგრამ სამაგიეროდ დიდის გულმხურვალებით იცავს ამ იდეას. მისი აზრით, თანასწორობა, ეს პირველ ყოვლისა მამაკაცისა და ქალის დანასწორუფლებიანობაა ოჯახსა და შრომაში. ჯენ ეარი დამოუკიდებლობისაკენ ისწრაფვის, მაგრამ არა სიმდიდრემ, არამედ პატიოსანმა შრომამ უნდა უზრუნველჰყოს ეს დამოუკიდებლობა.

ის გარემოება, რომ მწერალი ქალი პატივს სცემს შრომას და იმათ, ვინც შრომობს, დიდი ზიზღით შეჰყურებს უსაქმურებს თუ მუქთახორებს, მის ნაწარმოებთა გმირებს ანათესავებს დიკენსის რომანების საუკეთესო ხასიათებთან. ჯენი მუდამ დაეისი დამოუკიდებლობის და პატიოსნების სადარაჯოზე დგას.მას ეერც წარმოუდგენია გააკეთოს რაიმე თავისი სინდისის საწინააღმდეგოდ.სწორედ ეს არის როჩესტერთან მისი განხეთქილების მიზეზი. მას არ შეუძლია იყოს მონა, სათამაშო თვით საყვარელი ადამიანისაც კი. პატიოსნება, ადამიანური ღირსება მისი ერთადერთი სიმდიდრეა ამქვეყნად და იგი მათ თვალისჩინიეით უფრთხილდება.

შ. ბრონტე დიდის ოსტატობით გადაგვიშლის თავისი გმირი ქალის ფსიქოლოგიას, გვიჩვენებს უბრალო ადამიანის ღრმა და რთულ სულიერ სამყაროს; ამის ნათელსაყოფად ბურჟუაზიულ არისტოკრატიულ შსაზოგადოებას უპირისპირებს ჯენ ეარს. ღარიბი აღმზრდელი ქალი ამ საზოგადოებას როჩესტერის სახლში წააწყდება და აღმოჩნდება, რომ იგი, უბრალოდ გოგონა, თავისი განვითარებით და კულტურით, თავისი სულიერი ინტერესებით გაცილებით მაღლა დგას, ვიდრე ბრწყინვალე არისტოკრატიის წარმომადგენლები.

შ. ბრონტეს რომანში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეკლესიისა და მისი მსახურების მხილებას. ეს მწერლის დიდ გამბედაობაზე და პატიოსნებაზე მეტყველებს. თუმცა თვითონ ბრონტე კეთილმორწმუნექრისტიანია, მაგრამ ეკლესიის მსახურნი კი საძაგლებად და ფარისეველებად გამოიყვანა. ასეთები არიან: ბროკლჰერსტი და სენტ-ჯონი. პირველი - ბავშვების აღმზრდელია ღარიბ ბავშვთა თავშესაფარში და თავის მოღვაწეობისას ხელმძღვანელობს კაცთმოძულე მალთუსის პრინციპებით; მეორე - მშრალი პედანტი და ფანატიკოსია, რომელიც კაცობრიობისადმი სამსახურის ყალბად გაგებულ მოვალეობას და თავის პატიემოყვარეობას სწირავს ცოცხალ ადამიანურ გრძნობებსა და ადამიანურ დამოკიდებულებას. ჯენ ეირი ბურჟუაზიულ-არისტოკრატიულ საზოგადოებასთან მუდმივ კონფლიქტში იმყოფება. მისი ცხოვრება სავსეა შეტაკებებით ამ საზოგადოებასთან. ოღონდ ჯენის პროტესტი, ისევ როგორც შ. ბრონტეს სხვა რომანების გმირებისა, წარმოადგენს ცალკეულ პიროვნებათა ამბოხს.

მე არ შეუდგები ნაწარმოების შინაარსის განხილვას დეტალურად, უბრალოდ, ზოგადად მივყვები შარლოტას და მისი დების შემოქმედებაში დასახულ სოციალურ პრობლემატიკას, რაც დღესაც აქტუალური და მრავალი განხილვის საგანია. დები ბრონტეების შემოქმედებას ლაიტმოტივად გასდევდა ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის თემა. ჯეინ ეარი იყო ახალი გმირი ლიტერატურაში, ქალი "მგზნებარე იდეალით და გამჭრიახი გონებით, თავისუფალი ადამიანი, დამოუკიდებელი ნებისყოფით, რასაც ამაყად უსვამს ხაზს როჩესტერთან". ჯეინ ეარი დიამეტრალურად განსხვავდებოდა, ვიქტორიანული ეპოქისთვის დამახასიათებელი, დამყოლი და მორჩილი ხასიათის ქალისგან. ჩვეულებისამებრ, ამ ეპოქის ტიპის ქალს უნდა მოეწყო თავისი ცხოვრება, ანუ აუცილებლად უნდა გათხოვილიყო, გამხდარიყო დიასახლისი და ამგვარად, ქმრის ხაზით მოეპოვებინა გარკვეული სოციალური სტატ'უსი და ადგილი საზოგადოებაში. სწორედ ამ პერიოდში გამოქვეყნებული დიკენსის რომანის გმირი ქალები როუზ მეილი, ქეით ნიკლბი, რუთ ლინჩი, იყვნენ მსგავსი ქალ'ურობის განსახიერებანი, უფრო მეტიც რუთის გადა'უტევირთავი გონება კონცენტრირებული იყო, მხოლოდ გემრიელი, ხორციანი პუდინგების ცხობაზე.

XVIII საუკუნის საზოგადო მოღვაწე და ქალთა უფლებებისთვის მებრძოლი მერი უოლსტონკრაფტი წერდა, რომ მკითხველს არა მარტო სიამოვნება უნდა მიანიჭო, არამედ უნდა გააგებინო ქალური ბუნების რეალურობა. უდავოა,რომ შარლოტა ბრონტემ განავრცო უოლსტონკრაფტისეული იდეა ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის შესახებ და ჯეინის სახით გამოთქვა, იმ დროისთვის საკმაოდ მიუღებელი და ახლაც, ხშირად სადავო აზრი იმის შესახებ, რომ ქალს აქვს უფლება გაიზიაროს მამაკაცის შესაძლებლობები. თვლიან, რომ ქალები უფრო ხშირად და მშვიდად ეგუებიან უმოქმედო მდგომარეობას, – ფიქრობს ჯეინი; მაგრამ ქალებიც ხომ იგივეს გრძნობენ, რასაც კაცები.მათი შესაძლებლობებიც ხომ ისეთივე რეალიზაციას მოითხოვენ, როგორც მათი ძმების, მამების, ქმრების, ისინი იტანჯებიან ზედმეტი შეზღუდვებით, სხვა რა არის ის "წითელი ოთახი" სადაც ურჩ ჯეინს გამოამწყვდევენ, თუ არა მსგავსი შეზღუდვების ალეგორია?! ანუ იმ დროის მამაკაცების აზრით და ახლაც(?) ქალებმა, მხოლოდ პუდინგები უნდა აკეთონ, დაკემსონ წინდები, დაუკრან ფორტეპიანოზე, მოქსოვონ ხელჩანთები.

თავად შარლოტა ბრონტემ, როგორც უკვე ავღნიშნე, როდესაც თავისი ლექსები გაუგზავნა რობერტ საუთის, მისგან მიიღო პასუხი, რომ ლიტერატურა არ არის ქალის საქმე, რადგანაც იგი ქალს ხელს უშლის ოჯახური მოვალეობის შესრულებასა და ბავშვის აღზრდაში. საბოლოოდ, შარლოტას აზრით სქესთა თანასწორუფლებიანობა გულისხმობდა, სოციალურ, პოლიტიკურ და რა თქმა უნდა ემოციონალურ და ფსიქოლოგიურ თანასწორუფლებიანობას.

ის ფაქტი, რომ მან ხმა აიმაღლა ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობაზე, ეს უკვე თავისთავად დიდი სითამამე იყო XIX საუკუნის, 40-იან წლებში და მითუმეტეს მღვდლის ქალიშვილისთვის. არც ის იქნება გადაჭარბება, თუ ვიტყვით, რომ მორიდებული და აღმზრდელი ქალის სახით შექმნა სრულიად ახალი და განსხვავებული პერსონაჟი, ძლიერი და თავდაჯერებული ქალის

სახით. მის რომანში ქალი არის თავისუფლებისმოყვარე და დამოუკიდებელი, ინტელექტის და ხასიათის სიძლიერით, სწორედ რომ მამაკაცის თანასწორი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.XIX საუკუნის საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორია. 1973 წ.
2.შარლოტა ბრონტე -ჯეინ ეარი 2012
3. www.wikipedia.org/wiki/Sarlot_bronte
4 www.Online editions of Charlotte Bronte's works.com
5.www. blogspot.com
6. www.online-literature.com/brontec/
7. www.goodreads.com/
8. www.biography.com

Strong woman – "Jane Eyre" by Charlotte Bronte

Nona Kobaladze
Sukhishvili Teaching University
E-mail:nona-kob@mail.ru
Tel:551551121

Resume

The role and standing of women in the Victorian era is constantly debated by Bronte throughout Jane Eyre, specifically in regard to Jane's independence and ability to make decisions for her. Jane's ambiguous social position — a penniless yet moderately educated orphans from a good family — leads her to criticize discrimination based on class. Although she is educated, well-mannered, and relatively sophisticated, she is still a governess, a paid servant of low social standing, and therefore powerless. Nevertheless, Jane possesses certain class prejudices herself, as is made clear when she has to remind herself that her unsophisticated village pupils at Morton "are of flesh and blood as good as the scions of gentlest genealogy." A particularly important theme in the novel is the depiction of a patriarchal society. Jane attempts to assert her own identity within male-dominated society. Three of the main male characters, Mr. Brocklehurst, Mr. Rochester and St. John Rivers, try to keep Jane in a subordinate position and prevent her from expressing her own thoughts and feelings. Jane escapes Mr. Brocklehurst and rejects St. John, and she only marries Mr. Rochester once she is sure that their marriage is one between equals. Through Jane, Bronte opposes Victorian stereotypes about women, articulating her own feminist philosophy.

მხატვრული ტექსტის მოდალური სტრუქტურა და მისი კვლევა როგორც ლინგვოკულტუროლოგიური პრობლემა

ნინო ჯანჯღავა,
ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი
სუხიშვილის უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი
E-mail:janjgavanino@yahoo.com Tel.: 599 15-26-40

კომპლექსური ტერმინით „მხატვრული ტექსტის მოდალური სტრუქტურა" აღინიშნება მხატვრული ტექსტის სტრუქტურის ის ასპექტი, რომელიც უკავშირდება კილოს როგორც გრამატიკული კატეგორიის ფუნქციონირებას ნარატიულ მხატვრულ ტექსტში. როგორც ლ. ნოზდრინა აღნიშნავს, „ამ ბოლო დროს გამოქვეყნდა ბევრი ისეთი ნაშრომი, რომლებიც ეძღვნება ტექსტის ინტერპრეტაციის პრობლემებს. უმეტეს მათგანში მოცემულია იმ ლექსიკურ და სტილისტურ საშუალებათა ღრმა და მრავალმხრივი ანალიზი, რომლებსაც ავტორები იყენებენ მხატვრულ ტექსტებში. მაგრამ, რაც შეეხება გრამატიკულ ასპექტს, რომელიც ასევე ასრულებს მნიშვნელოვან როლს ტექსტის შექმნაში, იგი გაანალიზებულია ხოლმე ფრაგმენტულად, ან მთლიანად უგულვებელყოფილია ამ შრომათა ავტორების მიერ". (1.5). აქედან გამომდინარე, ლ. ნოზდრინას აზრით აუცილებელია იმის ჩვენება, თუ რა როლს ასრულებენ გრამატიკული კატეგორიები მხატვრული ტექსტის სტრუქტურაში. იმისდა მიხედვით, თუ რომელია ის გრამატიკული კატეგორია, რომლის მხატვრულ-ესთეტიკური ფუნქციის კვლევასთან გვაქვს საქმე, ავტორი გამოყოფს მხატვრული ტექსტის ტემპორალურ, ლოკალურ, პერსონალურ, რეფერენტულ და მოდალურ ასპექტებს.

იმისთვის, რომ ბოლომდე გასაგები იყოს, თუ რა იგულისხმება მხატვრული ტექსტის მოდალური სტრუქტურის ცნებით და რატომ „ეკისრება" კილოს კატეგორიას განსაკუთრებული მნიშვნელობა მოცემული სტრუქტურის შექმნაში, აუცილებლად მიგვაჩნია გავცეთ პასუხი შემდეგ ორ კითხვაზე: ა) როგორ ესმის ავტორს ზოგადად გრამატიკულ კატეგორიათა როლი მხატვრული ტექსტის სტრუქტურის შექმნაში და ბ) როგორ განიხილება მოდალობა როგორც გრამატიკული კატეგორია თანამედროვე ლინგვისტიკაში, კერძოდ კი როგორია კილოს კატეგორიის მიმართება მოდალობასთან როგორც ზოგადკატეგორიალურ კონცეპტთან.

აქედან გამომდინარე, შევეცდებით პასუხი გავცეთ პირველ კითხვაზე, ე.ი. განვსაზღვროთ, თუ როგორ ხდება ციტირებული ავტორის მიხედვით გრამატიკულ კატეგორიათა აქტუალიზირება მხატვრულ ტექსტში და როგორია ამ აქტუალიზირების ზოგადი „მექანიზმი". როგორც ავტორი მიიჩნევს, მხატვრული ტექსტის ყოველი სტრუქტურული ასპექტი წარმოადგენს ამა თუ იმ ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის სივრცეში ისეთ აქტუალიზაციას, რომლის შედეგად იქმნება ისეთი ტექსტობრივი სტრუქტურა, როგორიცაა – „ტექსტობრივი ბადე". მაგრამ როგორ ხდება თვით ეს აქტუალიზაცია და როგორია ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიისა და „ტექსტობრივი ბადის" ურთიერთმიმართება? ამ კითხვაზე პასუხს ავტორი იძლევა დროის კატეგორიაზე დაყრდნობით, გულისხმობს რა, რომ მხატვრული ტექსტის სტრუქტურირებისას ტემპორალურობის ფუნქციურ-სემანტიკური ენობრივი ველი ტრანსფორმირდება ტემპორალურობის ტექსტობრივ ბადედ, რაც იმას ნიშნავს, რომ საქმე გვაქვს მხატვრული ტექსტის სტრუქტურირების შემდეგ მოდელთან: „ველი → ბადე". მოცემული მოდელის ბოლომდე გასაგებად კი აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ველი (უფრო ზუსტად კი ფუნქციურ-სემანტიკური ველი ან, რაც იგივეა, ლექსიკურ-გრამატიკული ველი) და ბადე (უფრო ზუსტად კი ტექსტობრივი ბადე) განეკუთვნებიან ენობრივი რეალობის განსხვავებულ (საპირისპირო) განზომილებებს: ფუნქციურ-სემანტიკური ველი, ისე როგორც ის კატეგორია, რომლის გამოხატვას იგი ემსახურება, ეკუთვნის ენის პარადიგმატულ, ხოლო ტექსტობრივი ბადე კი – სინტაგმატურ განზომილებას. შესაბამისად, ყოველი ტექსტობრივი ბადე წარმოადგენს გარკვეული ფუნქციურ-სემანტიკური ველის აქტუალიზაციის შედეგს და შესაბამისად, ამ ორ ენობრივ ფენომენს შორის გვაქვს ის ურთიერთმიმართება, რომელიც არსებობს ზოგადად პარადიგმატიკასა და სინტაგმატიკას შორის.

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ იგივე ავტორის მიხედვით დიდ სირთულეს წარმოადგენს იმის დადგენა, თუ როგორ უნდა იქნას გაგებული მხატვრული გამონათქვამის მიმართება სინამდვილესთან: საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ რეალურისა და არარეალურის ურთიერთმიმართების თვალსაზრისით მხატვრული ტექსტები, ავტორის აზრით, შეიძლება დაიყოს ორ კატეგორიად: „პირველ კატეგორიას

მიეკუთვნება ტექსტები, რომელშიც რეალური დომინირებს არარეალურზე. ამ კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ განმანათლებლობის ეპოქის რომანი, რეალისტური რომანი, ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური პროზა, ვიქტორიანული ეპოქის რომანი, სამოციანი წლების „მუშური რომანი" და მეოცე საუკუნის ოცდაათიანი წლების სოციალური რომანი. მეორე კატეგორიას კი მიეკუთვნება ტექსტები, რომლებშიც არარეალური დომინირებს რეალურზე. ეს არის ჰეროიკული რომანები, გოთიკის სტილის რომანები, რაინდული რომანები, სათაგადასავლო ლიტერატურა, ფანტასტიკა, მითები, ფარსი, ბურლესკი, გროტესკი". (იქვე).

როგორც ვხედავთ, მხატვრული ტექსტის მოდალური სტრუქტურის იმ კონცეფციაში, რომელიც დღეისათვის დამახასიათებელია ტექსტის ინტერპრეტაციის თანამედროვე თეორიისთვის და რომელსაც წარმოადგენს ჩვენს მიერ უკვე არაერთხელ ციტირებული ავტორი, ჩვენთვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ორი შემდეგი მომენტი: ა) ის ფაქტი, რომ მოდალობის როგორც ზოგადლინგვისტური კატეგორიის „ძირითად წარმომადგენლად" ამ თეორიის ფარგლებში მიჩნეულია კილოს ზმნური კატეგორია (თუმცა, როგორც მეორე პარაგრაფში დაერწმუნდებით, მოდალობის შინაარსი არ ამოიწურება კილოს კატეგორიით) და ბ) შესაძლებელია და აუცილებელიცაა მხატვრულ ტექსტთა ტიპოლოგიზაცია იმის მიხედვით, თუ როგორაა მათში გააზრებული მხატვრული სამყაროს მიმართება რეალურ სამყაროსთან. ჩვენ უკვე დავრწმუნდით იმაში, რომ მოდალური თვალსაზრისით ესა თუ ის ტესქტი შეიძლება მივაკუთვნოთ მხატვრული კულტურის გარკვეულ ტიპს. მაგრამ ამავე დროს ისიც ცხადია, რომ ტექსტთა ის ტიპოლოგიზაცია მოდალობის მიხედვით, რომლის ნიმუში ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ, ჯერ კიდევ ატარებს უაღრესად ზოგად, სქემატურ ხასიათს, რაც იმის შედეგია, რომ ეს ტიპოლოგიზაცია ჯერ კიდევ არ ეფუძნება კვლევის ზუსტად განსაზღვრულ ლინგვოკულტუროლოგიურ კრიტერიუმს. როგორც ვნახავთ, ჩვენი კვლევის მიზანია სწორედ ამგვარ კრიტერიუმთა შემუშავება და შესაბამისად, მათ საფუძველზე მხატვრული ტექსტის მოდალური სტრუქტურის ახლებურად გააზრება.

1. Л.А. Ноздрина, Поэтика грамматических категорий, Москва, "Тезаурус", 2004.

Modal structure of the aesthetic text and its research as linguoculturological problem

Nino Janjgava
Academic Doctor of Philology
Professor of Sukhishvili Teaching University
E-mail:janjgavanino@yahoo.com Tel.: 599 15-26-40

Resume

In the process of analyzing the modal structure of an aesthetic text we should proceed from the conception of modality which is worked up in the modern theory of text interpretation according to which every structural aspect of the aesthetic text should be considered as a result of actualization of corresponding functional-semantic field.

We should proceed from the assumption according to which actualized functional-semantic field belongs to paradigmatic and textual net received with a result of its actualization to the sintagmatic plan.

მოსმენის სწავლების თავისებურებები და მათი გადაჭრის გზები

თინათინ გიორგაძე
სუხიშვილის უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი
E-mail: GiorgadzeTinatin@gmail.com Tel: 599 77 24 66

ენა კომუნიკაციის საშუალებაა და რაც უფრო კარგად ფლობს მას, მით უფრო ადვილია ურთიერთობა ადამიანთა ფართო წრეებთან. დღესდღეობით, როდესაც მსოფლიო ძალიან დაპატარავდა და თანამედროვე კომუნიკაციების საშუალებით შესაძლებელია მიიღო და გასცე ინფორმაცია, კიდევ უფრო აქტუალური ხდება ენის კარგად ცოდნა. ხშირ შემთხვევასი ადამიანებს უფრო უადვილდებათ საკუთარი აზრის გადმოცემა, ვიდრე სხვისი ნათქვამის გაგება, განსაკუთრებით მაშინ თუ მოსაუბრისათვის ეს ენა მშობლიურია (native) ამიტომ სწავლების პროცესის დროს დიდი ყურადღება ექცევა მოსმენას. მოსმენის ჩვევის გათვალისწინება ხელს უწყობს არა მხოლოდ ენის კარგ სწავლას, არამედ მოსმენის კულტურის განვითარებას, როგორც წარმატებულ პირად ისევე საქმიან ურთიერთობებში.

სწავლების თვალსაზრისით ეს პრობლემა უფრო თვალსაჩინოდ გამოიკვეთა მას შემდეგ, რაც ერთიანმა ეროვნულმა გამოცდების ცენტრმაც მოსმენა დაამატა ეროვნული გამოცდების ტესტს. ამიტომ პედაგოგების წინაშე კიდევ უფრო მეტი აქტუალობით დადგა პრობლემა: როგორ ვასწავლოთ მოსმენა, რომ შედეგი უფრო ეფექტური აღმოჩნდეს.

განათლების სამინისტროს ინიციატივით ერთი წლის განმავლობასი ქართულ სივრცეში გაჩნდა ინგლისურ-ენოვან ადამიანთა დიდი ჯგუფი მთელი მსოფლიოდან, რომელთაც რეალურად უნდა შეეცვალათ ქართველ სტუდენტთა ენასთან დამოკიდებულების მიდგომა (ერთ-ერთ მათგანთან მეც მომიწია მუშაობა რამოდენიმე თვის განმავლობასი, მაგრამ ეს ქალბატონი არ იყო მზად მოსწავლეებთან ურთიერთობისათვის. ერთია იცოდე ენა და მეორეა ასწავლო სხვას). სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ ესაუბრათ და მესმინათ – native speaker-ების მეტყველება, მაგრამ სურათი მნიშვნელოვნად არაა შეცვლილი, პრობლემა – პრობლემად რჩება. თეორიულად მოსმენის გაუმჯობესებისათვის ხელი უნდა შეეწყო ინგლისურად გახმოვანებულ სუბიექტებთან ფილმებსაც. მაგრამ ესეც არაეფექტური აღმოჩნდა, ჯერი ისევ ქართველ მასწავლებლებზე და მათ მიერ სწორად შერჩეულ სტრატეგიების ეფექტიანობაზე დგება.

ჩემის, როგორც მოქმედი პედაგოგისათვის ცნობილია, რომ ბავშვები უკეთ კითხულობენ, წერენ, აკეთებენ ტესტებს, მაგრამ უჭირთ საუბარი, მოსმენა და მჯერა ეს მარტო ჩემი მოსწავლეების პრობლემა არაა. ამიტომ გადავწყვიტე გაეცნობოდი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მოწინავე მასწავლებელთა აზრებს, მათ ონლაინ დისკუსიებს, მსჯელობებს Teaching English-ის საიტზე, და ყოველი მათგანის აზრია, რომ მოსმენა არ უნდა იყოს ერთი მიმართულებით ის ორიენტირებული უნდა იყოს სხვადასხვა ასპექტზე, რაც უფრო ბუნებრივთან ახლოსაა მოსასმენი, მით უფრო ეფექტურია ის. (ქუჩის ხმაური, ხალხმრავალი ადგილები, სხვადასხვა ასაკის, სქესის, პროფესიის ადამიანთა საუბრები). ერთია გაიგო რამე და მეორეა მოუსმინო რამეს.

2012 წელს მე საშუალება მომეცა დავსწრებოდი Pre-Celta training-ს ნოტინგემის უნივერსიტეტ'ში (ინგლისი), სადაც გავეცანი life listening-ის სწავლების

თავისებურებებს. თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მსმენელს ერთხელ მოსმენის საშუალება ეძლევა, ამიტომ სავარაუდო პრობლემების თავიდან ასაცილებლად მასწავლებელმა წინასწარ უნდა მოამზადოს დაფაზე ახალი სიტყვები, იდეომატური გამოთქმები, ფრახული ზმნები. (ყურადღება გაუმახვილოს სტუდენტებს თუ როგორ ჟღერს ეს სიტყვები მათ ენაზე).

მოსმენისას ყურადრება უნდა მიექცეს მითითებებს თუ რა ინფორმაციის მისაღებად ხდება მოსმენა: ძირითადი დედააზრის თუ რაიმე სპეციალური ინფორმაციის გასაგებად. ასევე დიდი მნიშვნელობა აქეს სწორად შერჩეულ დავალებებს მოსმენის შემდეგ, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ლაპარაკს.

სიახლეები რომლებიც სისტემატურად ქვეყნდება Teaching English-ის საიტზე ყურადღება მისაქცევია და ხშირად მიჩნდება სურვილი ამ უხვად შემოთავაზებული აქტივედებიან ავარჩიო მეტად ეფექტური ქათველი სტუდენტების თავისებურებებიდან გამომდინარე.

სწავლება შემოქმედებაა, რომელიც მიყვება ტრადიციულ მეთოდებს და ნიჭიერებისა და ფანტაზიის ფარგლებში ხდის მას საინტერესოს, თანამედროეს, მიმზიდველს და ეფექტურს.

მე შეეცდები თავი მოვუყარო აქტივობებს მოსმენის უნარის გასაუმჯობესებლად. ტრადიციული და თანამედროვე ხედვით.

ტრადიციულად მოსმენა იყოფა შემდეგ ასპექტებად:

Attentive listening – ყურადღებით მოსმენა.

Intensive listening - ინტენსიური მოსმენა.

Selective listening – შერჩევითი მოსმენა

Interactive listening – ინტერაქტიული მოსმენა.

ამ ასპექტების სრულყოფილი განვითარებისთვის საჭიროა აქტივობების და პროცედურების ნაირსახება. მაგ;

1) „Exposure" listening

რაც გულისხმობს:

- მოთხრობებს, ხუმრობებს, ნათქვამებს, კომენტარებს (მხოლოდ ერთი მოსაუბრის მონაწილეობით)
- დიალოგი, დისკუსია, პიესა (ერთზე მეტი მოსაუბრის მონაწილეობით)
- სიღერებს (ტრადიციული, პოპი....)
- ვიდეო და ფილმი

2) Task listening

შესაძლო აქტივობები უამრავია

- Ear – training
- ავარჯიშებს ბგერებს, მახვილს, ინტონაციას.
- Game – like activites
- ყურადღება უმახვილებს სტუდენტებს სპეციალური ინფორმაციის მისაღებად.
- instructions
- ასეთ აქტივობის დროს სტუდენტი მასწავლებლის კარნახით ასრულებს სხვადასხვა სამუშაოს, (რუკა, მარშრუტი)
- Completion – type activities

- ეს სამუშაო ითვალისწინებს დაუსრულებელი მოთხრობის დასრულებას.
- Identifying mistakes or contradictions
- მთხრობელი აღწერს რაიმე საგანს და სტუდენტი უნდა მიხვდეს რა საგანზეა ლაპარაკი.
- finding differences

  სტუდენტმა უნდა შეძლოს ორ მოსმენილ ვერსიას შორის განსხვავების მონახვა

- Problem – solving

  სტუდენტმა უნდა სეძლოს გარჩევა საგნების ჩამონათვალიდან, რომელზე მოისმინა ინფორმაცია

- Extracting information

  ასეთი ტიპის დავალების დროს სტუდენტს უხდებათ ცხრილის ან გრაფის შევსება.

3) Listening as a stimul to other activities

   ასეთი მოსასმენი წინაპირობა სხვა სტილის დავალების.

- Jigsaw listening

  ეს დავალება ითვალისწინებს მოსმენილი ინფორმაციის გაცვლის სხვადასხვა ჯგუფებს შორის

- Ambiguous conversation

  ასეთი დავალების დროს მიუხედავად მოსმენილის სიმწირისა სტუდენტმა უნდა შეძლოს გაარკვიოს სად ხდება მოქმედება, ვის მიერ და ა.შ.

- Decision – making

  სტუდენტი ისმენს რამოდენიმე ინფორმაციას და ცდილობს გადაწყვეტილების მიღებას.

- Pre - reading activities
- წინა – საკითხავი აქტივობა სტიმულს აძლევს სტუდენტს შემდგომ მუშაობაში.
- Pre - reading activities

სტუდენტი ისმენს საგნის (სურათის) აღწერილობას. რომელსაც ვერ ხატავს და შემდეგ წერს.

4. interactive listening

   ასეთი მოსმენის დროს სტუდენტები ჩართულები არიან დისკუსიებში ან თამაშებში

- Discussion – type activities

  ასეთ აქტივობას სჭირდება მოსმენის კარგი ჩვევა, იმიტომ რომ მასში ბევრი ადამიანია ჩართული და ხშირად საჭიროა დასკვნის გაკეთება.

- Predictive listening

ასეთი აქტივობის შემთხვევაში ყოველი წინადადების შემდეგ სტუდენტებმა უნდა იწინასწარმეტყველონ სიუჟეტის განვითარებაში.

- Communication games

  ასეთი აქტივობა ითვალისწინებს დიალოგებს, საუბრებს და მოსმენილის გაერცობას.

- interviews

ასეთ შემტხვევაში სტუდენტს ევალება თვითონ გააკეთოს ინტერვიუ როგორც საკლასო ოთახში ისე მის გარეთ.

ზემოთ ჩამოთვლილი აქტივობები მიმართულების მიმანიშნებელია, მათზე დაყრდნობით და იმ უამრავი სახელმძღვანელოს გამოყენებით რომლებიც დღეს უხვადაა ჩვენს რეალობაში, მასწავლებელს შეუძლია თავისი ფანტაზიის მეშვეობით შეარჩიოს ან შეადგინოს აქტივობები სტუდენტის ასაკის და ცოდნის დონის გათვალისწინებით.

Bibliography:

1. Brown, Gillian, Listening to Spoken English – Longman – 1992.
2. Brown, Gillian, Teaching the spoken English. Cambridge University Press, 1992
3. http://www. teachingenglish. org.uk. Sublitled by tausit on 4 harch. 2011.

Peculiarities of teaching listening and ways of solution

Tinatin Giorgadze
Professor of Sukhishvili Teaching University
E-mail: GiorgadzeTinatin@gmail.com
Tel: 599 77 24 66

Resume

Difficulties of teaching listening, main reasons of their existence, possible versions of solving the problem to foreseen different ideas suitable for Georgian Students are discussed in this work.

ინგლისური ენის გრამატიკის სწავლება კომუნიკაციური მეთოდებით

ლანა გიგაური
საქართველოს უნივერსიტეტის ფილოლოგიურ
მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი
ხელმძღვანელი: ბელა პეტრიაშვილი
ფილოლოგიის დოქტორი,
თსუ-ს სრული პროფესორი

1970-იან წლებში ენის სიტუაციური სწავლებისა და აუდიოლინგუალური მეთოდების კრიტიკამ და უკმაყოფილებამ, ევროპული საბჭოს სოციალურმა დაკვეთამ და დ.ა უილკინსისა და ჰ. უიდოსონის კვლევებმა განაპირობა 1972 წელს ახალი - ენის კომუნიკაციური სწავლების მეთოდის შექმნა. შემდგომ წლებში კომუნიკაციური მიდგომა დაინერგა დაწყებით, საბაზო და საშუალო სწავლების საფეხურებზე და მას სხვადასხვა სახელით მოიხსენიებდნენ, როგორიცაა: ეროვნულ - ფუნქციური, სწავლა გამოცდილებისათვის, გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლება და, ყველაზე ფართოდ გამოყენებული ტერმინი, ენის კომუნიკაციური სწავლება.

ინგლისური ენის გრამატიკის სწავლის გავრცელებული მეთოდები არ იყო დაკავშირებული კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარებასთან, აქედან გამომდინარე ლინგვისტები, მასწავლებლები, მოსწავლეები თუ მეთოდისტები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ამ მეთოდების არაეფექტურობისადმი. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც მოსწავლეებს შეეძლოთ გარკვეული სიძნელის უცხო ტექსტის წაკითხვა, შინაარსის გაგება. ბევრ მათგანს საკმაოდ სოლიდური სიტყვათა მარაგიც გააჩნდათ, შეეძლოთ სხვადასხვა სახის ლექსიკური თუ გრამატიკული სავარჯიშოების შესრულებაც, მაგრამ ვერ ახერხებდნენ აუთენტური მეტყველებიდან კონკრეტული ინფორმაციის მიღებას და მასზე შესატყვის რეაქციას. ხშირ შემთხვევაში იგებდნენ დეტალს, მაგრამ ინტეგრალურად ვერ აღიქვამენ ინფორმაციას, ან პირიქით, ზოგად ინფორმაციას იგებენ, მაგრამ ვერ წვდებოდნენ ამ ინფორმაციისათვის აუცილებელ დეტალს. საუბრისას ვერ იცავდენ მეტყველების ეტიკეტს, შესაბამის რეგისტრს, უჭირდათ საკუთარი მოსაზრების გამოთქმა, დასაბუთება, რჩევის მიცემა და ა.შ. აქედან გამომდინარე, არსებობდა სხვა უფრო მეტად ეფექტური მეთოდის გამოყენების საჭიროება.

უცხო ენაზე კომუნიკაცია მოსწავლისაგან მოითხოვს არა გაზეპირებულ გრამატიკულ წესებს, ტერმინებსა და თავისებურებებს, არამედ ძირითადი ლექსიკის, ფუნქციონალური გრამატიკის, ენობრივი ფუნქციებისა და მათი სწორად გამოყენების ცოდნას.

აქედან გამომდინარე, მოსწავლეს უვითარდება როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით კომუნიკაციის კარგი უნარი ნებისმიერ საკომუნიკაციო სიტუაციაში. ენის ფლობის კომუნიკაციური უნარი ასევე მოიცავს როგორც განსხვავებული ტექსტის კითხვისა და გაგების უნარს, ინფორმაციის შეძენის, შეგროვებისა და ანალიზის უნარს, რათა იგი სწორად იქნეს გამოყენებული კონტექსტში და რეალურ სიტუაციებში.

კომუნიკაცია გულისხმობს ინფორმაციის მიღებასა და გადაცემას, როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ფორმით. ინფორმაციის მიღებისა და ზეპირად გადაცემის უნარ-ჩვევების გამომუშავება უცხო ენის სწავლების პროცესში ერთ-ერთი სერიოზული და რთული პრობლემაა. კომუნიკაციური გრამატიკა დაფუძნებულია კომუნიკაციურ მიდგომაზე უცხო ენის სწავლებაში. ენობრივი სტრუქტურა არ უნდა ისწავლებოდეს

იზოლირებულად, მასთან უნდა იყოს კავშირში ენის ცოდნის 4 კომპეტენცია: მოსმენა, წერა, ლაპარაკი და წერა. (Carrol, B. Testing Communicative performance, 1983.) ამ მეთოდით გრამატიკული სტრუქტურა ისწავლება ვერბალურად და წერითი ფორმითაც. გრამატიკული წესი თუ ფორმა უნდა ისწავლებოდეს არამარტო გამოთქმის დონეზე, არამედ საუბრის დონეზე ამ გრამატიკული სიტყვისა თუ კონსტრუქციის გამოყენებით. ძირითადად აქცენტი კეთდება გრამატიკული კომპეტენციის ზრდასთან, რომლითაც მოსწავლეს შეეძლება გაიგოს სტრუქტურა სხვადასხვა სიტუაციებში მალე და ადვილად.

კომუნიკაციური გრამატიკა ენის გრამატიკული სისტემისადმი თვისებური მიდგომაა. იგი გულისხმობს ისეთი ახალი ქვესისტემის აგებას, რომელიც დაეხმარება ენის შემსწავლელს კომუნიკაციის დამყარებაში. კომუნიკაციურ გრამატიკაში ყოველი კატეგორია განიხილება იმის მიხედვით, რამდენად მნიშვნელოვანი და აქტიურია იგი კომუნიკაციის ამა თუ იმ ფორმის დასამყარებლად და აზრის გამოსახატავად. ამდენად, კომუნიკაციური გრამატიკის მთავარი საკითხია, თუ როგორ უნდა აიგოს ურთიერთობა და რა ენობრივი საშუალებებია საჭირო გარკვეული აზრის გადმოსაცემად. კომუნიკაციური გრამატიკის შესწავლისას გრამატიკული სისტემის სწორად და გააზრებულად მიწოდება არის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. კომუნიკაციური გრამატიკა ასევე ხელს უწყობს საკომუნიკაციო კომპეტენციის ჩამოყალიბებას.

კომუნიკაციური გრამატიკის შესწავლისას უმნიშვნელოვანესია განესაზღვროთ საკომუნიკაციო კომპეტენციის მნიშვნელობა. კომუნიკაციური კომპეტენცია, რომელიც ენობრივი კომპეტენციის გაგებაზეა აგებული, განიხილება როგორც ცოდნა, რომელიც საშუალებას აძლევს ენობრივ სუბიექტს შექმნას და გაიგოს გამონათქვამი კონტექსტში. არსებობს საკომუნიკაციო კომპეტენციის მოდელები. კანალი და სუენი (Canale and Swain 1980) გვთავაზობენ მოდელს, რომელიც საბოლოო სახით ცოდნასა და უნარის მინიმუმ 4 სფეროს მოიცავს: სოციოლინგვისტურ კომპეტენციას, დისკურსიის კომპეტენციას, სტრატეგიულ კომპეტენციას და ყველაზე საინტერესო - გრამატიკულ კომპეტენციას.

რა არის კომუნიკაციური კომპეტენცია? ჩომსკი მიიჩნევს, რომ კომუნიკაციური კომპეტენცია უბრალოდ არის „ენის სისტემის ცოდნა, სხვა სიტყვებით, ენის გრამატიკული ცოდნა“. მის შეხედულებას მკაცრად უპირისპირდება დ.ჰ. ჰაიმსი. იგი აღნიშნავს, რომ კომპეტენცია ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ენის ცოდნა. „იგი არის ენის გამოყენების ის წესები, რომლის გარეშეც გრამატიკული წესები სრულიად გამოუსადეგარი იქნებოდა“ და მართლაც, თუ მოსწავლე გამოიყენებს გრამატიკულ წინადადებებს იმ სიტუაციების გაუთვალისწინებლად, რომლებშიც ისინი იხმარებიან, მაშინ ყველაფერი აირევა“.

კომპეტენციის ეს ტიპი შემოიფარგლება ენობრივი (ვერბალური და არავერბალური) კოდის ფლობით. აქ იგულისხმება ენის ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა ლექსიკური მარაგი, სიტყვათწარმოება, წინადადებათა ფორმირება, წარმოთქმა, მართლწერა და ლინგვისტური სემანტიკა და ა.შ. ეს კომპეტენცია კონცენტრირებულია იმ ცოდნასა და უნარზე, რომელიც გრამატიკის სწავლისა და მის გამოყენებას უზრუნველყოფს. მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ გრამატიკული კომპეტენცია არის ენის ლექსიკური, მორფოლოგიური და ფონოლოგიური ნიშნების აღქმისა და მათი წინადადების აწყებისა და კონტექსტში გამოყენების უნარი.

იმის გამო, რომ გრამატიკა ენის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, მისი სწორი გამოყენება უმნიშვნელოვანესია კომუნიკაციისას, რადგან არასწორი გრამატიკული სტრუქტურა მსმენელში და მკითხველში საკმაო გაუგებრობას გამოიწვევს. ენის

მასწავლებლები და მოსწავლეები ხშირად ვერ აკავშირებენ ერთმანეთს გრამატიკისა და მისი წესების ცოდნის გამოყენებას წერაში, მეტყველებაში, მოსმენაში და ლაპარაკში. უნდა ვიცოდეთ, რომ გრამატიკა არაა მშრალი წესები, სიტყვათა ფორმა ან ენის გამოყენების წესი. სკრივენერის მიხედვით: „გრამატიკა მხოლოდ მაშინ იძლევა მნიშვნელობას, თუ შენ შეგიძლია მისი სწორი გამოყენება“ [Scrivener 2003:1]

კომუნიკაციური სწავლება წარმოადგენს ძირითად ბალანსს პრეკომუნიკაციურ და კომუნიკაციურ აქტივებს შორის, პირველი ამზადებს მოსწავლეს, რომ ისწავლოს ენის წესები აქტიური კომუნიკაციისათვის და მეორე უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ ამ სტრუქტურის გამოყენებას. მოსწავლე არა მარტო კარგად ასრულებს სავარჯიშოებს, არამედ აძლევს მოსწავლეს საშუალებას, რომ გამოიყენოს სტრუქტურა რეალურ ცხოვრებაში. ასეთი მიდგომის დროს მოსწავლე სწავლობს ბუნებრივად სტრუქტურის გამოყენებას და არ აქვს გრამატიკული წესი თუ სტრუქტურა ხელოვნურად გაზეპირებული. (Brumfit C. J. and K. Johnson. The Communicative approach to language teaching. 1983)

მერჯი ლ. ბერნსი, ექსპერტი კომუნიკაციური სწავლების სფეროში წერს, რომ „ენა არის ურთიერთობა; ეს არის ადამიანთაშორისი აქტიობა და მას აქვს მჭიდრო ურთიერთობა საზოგადოებასთან. აქედან გამომდინარე, ყოველი გრამატიკული სტრუქტურა თუ ნიმუში უნდა იქნეს გამოყენებული კონტექსტში, როგორც ლინგვისტურ, ასევე მის სოციალურ და სიტუაციურ კონტექსტში.“ [Margie S. Berns, 1984].

გუნტერ გერნგროსი, ინგლისური ენის მასწავლებელი ავსტრიიდან, გვაძლევს მაგალითებს, თუ როგორ უნდა გავხადოთ ჩვენი გაკვეთილი უფრო კომუნიკაციური. ის მიუთითებს, რომ კომუნიკაციური მიდგომის დროს მასწავლებელი უნდა იყოს შემწყნარებელი მსმენელი. მასწავლებლის უმნიშვნელოვანესი როლი არის, რომ მან უნდა მოირგოს ფასილიტატორის როლი და არა კლასის ლიდერის პოზიცია. (Gerngross & Puchta, 1984). გაკვეთილი უნდა იყოს თემაზე და საკითხზე დაფუძნებული, სადაც გრამატიკა არის „დამალული“ და მოსწავლე ვერც კი ხვდება, რომ იგი გრამატიკის ახალ საკითხს და გამოყენების წესს სწავლობს. (მაგალითად რომელიმე ტექსტი, სადაც გამოყენებული აწმყო განუსაზღვრელი დრო).

დღეისთვის აქცენტი ენობრივი სისტემის ათვისებიდან და შესაბამისი მეთოდიკიდან გადაიდო რეალურ სიტუაციებში ენის გამოყენებაზე და ამდენად სწავლების ცენტრში აღმოჩნდა ენის შემსწავლელი – ენის პოტენციური გამომყენებელი, როგორც ინტერაქციული პროცესის მონაწილე. დაიწყო ახალი –კომუნიკაციური – სწავლების დიდაქტიკური კონცეფციის ჩამოყალიბება. ამ ხნის განმავლობაში 60-იანი წლებიდან მოყოლებული ხდებოდა ამ კონცეფციის მოდიფიკაცია და დახვეწა. (ი. მინდაძე „კომუნიკაციური დიდაქტიკა და დისკუსია, როგორც სწავლების ფორმა, 2006,4-6)

ასეთი მიდგომის დროს შეცდომებზე შენიშვნის მიცემა, როგორც წესი, აქტივობის შემდეგ ხდება, რათა არ შეწყდეს საუბრის „ჯაჭვი“. მასწავლებელი უნდა შეეცადოს მოსწავლეებისაგან დაშეებული ყოველი შეცდომა ჩაიწეროს და აქტივობის შემდეგ ზოგადად განიხილოს მოსწავლეებთან ერთად. (William Littlewood, “Grammar in a communicative approach”; 2009) დროთა განმავლობაში სამიზნე სიტყვებისა თუ გრამატიკის სწავლების, შეცდომების გასწორებისა და პრაქტიკაში ამ ყველაფრის გამოყენების შემდეგ მოსწავლეები ამ მეთოდს ეჩვევიან და ისინი სწავლის პროცესი ეფექტური ხდება.

უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენება: ეს მიმართულება უკავშირდება იმ სოციალური მიზნის განხორციელებას, რომელიც სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს

უცხოური ენების დიდაქტიკაში, კერძოდ, ისეთი სოციალურად აქტიური ინდივიდის აღზრდა, რომელიც შეძლებს სხვადასხვა ენობრივ-კულტურული იდენტობის მქონე მოქალაქეებთან თანამოღაწეობას. მთავარი გამჭოლი უნარ-ჩვევა, რომლის განვითარებასაც უნდა მოემსახუროს ეს მიმართულება, არის კომპლექსური ხასიათის ამოცანების დამოუკიდებლად გადაჭრა ჯგუფური თუ ინდივიდუალური მუშაობის ფორმატში. მეთოდური თვალსაზრისით, ასეთი ტიპის დავალებები ხელს უწყობს კომუნიკაციურ-ენობრივი უნარების უკეთ დაუფლებას, რამდენადაც მოსწავლეებს უწევთ ენობრივ თუ კომუნიკაციურ აქტივობებში მიღებული ცოდნისა და გამოცდილების განსხვავებულ სიტუაციაში გადატანა. ამ მიმართულებაში შედის პროექტის განხორციელება, ტექსტების გადამუშავება მათი მომდევნო გამოყენების მიზნით და მედიაცია. მედიაცია ზეპირი აქტივობაცაა და წერითიც. იგი გულისხმობს ნებისმიერი სახის ტექსტის შინაარსის გადმოცემას თარგმნის, თარჯიმნობის, რეზიუმირებისა თუ ინტერპრეტირების გზით. მედიაციის დანიშნულებაა, კონკრეტული ტექსტის შინაარსი მისაწვდომი გახადოს იმისთვის, ვისაც ამ ტექსტზე უშუალოდ არ მიუწვდება ხელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. მინდაძე კომუნიკაციური დიდაქტიკა და დისკუსია როგორც სწავლების ფორმა. 2006
2. შ. მალაზონია „პედაგოგიკა“.2001, თბილისი
3. Brown and Yule, Discourse Analysis. Cambridge textbooks in linguistics.1986,p..24.
4. Brumfit. C. J. and K. Johnson. The communicative approach
5. Cambridge: Cambridge University Press, 1986.
6. Celce-Murcia, M. (2001). Teaching English as a second or foreign language. Boston: Heinle & Heinle.
7. Chomsky, N. (1965). Aspects of the theory of syntax. Cambridge, MA: MIT Press.
8. Freeman, L. "The Communicative Approach." TECHNIQUES AND

Gabriela Vašátová - Grammar Translation Method and Communicative Approach in Teaching English – Brno, Chezh Republic 2009

Teaching English Grammar with Communicative methods

Lana Gigauri – PhD student in English Philology

University of Georgia

Supervisor: Dr. Isabella Petriashvili,

TSU Associate Professor

Resume

In accordance with development of teaching English language, the old traditional teaching methodology has been changed by the modern actual approaches. Currently, the traditional methodology of English grammar teaching has been changed by the the method - Communicative Language Teaching. It's necessary to implement and use it successfully during the learning and teaching process.

სექცია №6

ს ა ჯ ა რ ო
მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ა

სექციის თავმჯდომარე:
მაია კიკნაძე

ყოფიერების პრობლემა

მაია კაკნაძე
ფილოსოფიის დოქტორი სუხიშვილის
უნივერსტეტის ასოცირებული პროფესორი

ყოფიერების გაგების აუცილებლობა ადამიანის ყოფიერებიდან ამოიზრდება. ადამიანი ხედავს, რომ არსებობენ საგნები, მოვლენები, რომლებიც არსებობენ აქ, ახლა, მაგრამ არსებობდა თუ არა ეს მოვლენები გუშინ და იარსებებენ ისინი ხვალ? არის საგნები, რომლებიც გუშინ არ არსებობდნენ ახლა კი ჩვენს თვალწინ არიან. საგნებს, მოვლენებს, ხდომილობებს აღმოაჩნდა ორი პარამეტრი: არსებობა და არარსებობა. რატომ ქრებიან საგნები და რაზეა დამოკიდებული მათი არსებობა. რატომ უნდა მოისპოს ის რაც არსებობს? ვინ ან რა განაპირობებდა საგანთა არსებობა- არარსებობას? სამყაროში არსებული საგნები წარმავალია, მაგრამ როგორია თვითონ სამყაროს არსებობის წესი? ადამიანს ყოფიერების საკითხზე ჩააფიქრებდა სიკვდილის ფენომენიც. როგორ არსებობს ის, რასაც აქ და ახლა ვხედავ სიკვდილის შემდეგ? რა შეუძლია ადამიანს თქვას წარსულისა და მომავალის შესახებ? ყოფიერების პრობლემა დროის პრობლემასთან აღმოჩნდა დაკავშირებული, რადგან ადამიანს აინტერესებს რა არსებობს და რამდენ ხანს არსებობს? ადამიანი ხედავს, რომ რაღაც საგნები არსებობენ, რაღაც უკვე არა. ასევე ამჩნევს, რომ სხვადასხვა მოვლენებს არსებობის განსხვავებული წესი აქვთ. ასევე ზოგიერთი საგნის არსებობა მის ნებასა და განზრახვაზეა დამოკიდებული, ზოგიერთის კი არა. ყოველივე ეს მოითხოვდა ყოფიერების წესებს შორის მიმართების გარკვევას.

ყოფიერება არა მარტო ფილოსოფიის ერთერთი უმთავრესი პრობლემაა, რომლის შესახებ ფილოსოფოსები მუდამ კამათობდნენ, არამედ ამ საკითხის გარკვევა ადამიანური ცხოვრების ორგანიზებისა და წარმართვის აუცილებელი წანამძღვარია. ყოფიერების საკითხის გააზრებისას ადამიანის აზროვნება აღწევდა განზოგადებისა და აბსტრაგირების უმაღლეს ხარისხს. იგი მოითხოვდა ადამიანის სულიერი და მორალური ძალების უდიდეს დაძაბვას, როდესაც ცდილობდა პასუხი გაეცა კითხვაზე თუ რა არის მისთვის ჭეშმარიტად არსებული და ღირებული.

ყოფიერების წმინდა პრობლემატიკის მოპოვება რთული თეორიული პროცედურების შემდეგ ხდება მისაწვდომი. ადამიანის დამოკიდებულება ყოფიერების საკითხისადმი პარადოქსულია. ერთის მხრივ, ადამიანი ყოფიერების გაგების უნარს ფლობს, რომლის წარმოშობა მან არ იცის და მეორეს მხრივ, მან არ იცის რა არის ყოფიერება. ყოფიერების ფენომენის თავისთავად სიცხადე მისი სრული გაუგებრობის ნიღაბია. ადამიანის მიერ გამოთქმულ მარტივ წინადადებებში; „ ეს არის ვაშლის

ხე", გამოთქმულია ადამიანის უდიდესი პრეტენზია. იგი თავის თავზე იღებს უფლებას რაიმე აღიაროს არსებულად ანდა უარყოს მისი არსებობა. ადამიანი არის არსება, რომელსაც ახასიათებს ინტერესი.ინტერესის საგანი კი ყოველთვის არის არსებობა მეორე მხრივ ადამიანი არის ის, ვისაც შეუძლია რაღაცა შექმნას, ანუ არსებობა მიანიჭოს. ადამიანის ცხოვრებასა და აზროვნებაში ყოფიერების საკითხის მნიშვნელობაზე მიუთითებს ის, რომ სიტყვა „არის" – ის ადამიანის აზროვნებისა და მეტყველების აუცილებელი და საყოველთაო ელემენტი.

ადამიანის ბუნებრივი განწყობა აღიარებს, რომ სამყარო არსებობდა, არსებობს და იარსებებს მომავალში. ადამიანი თავის მოქმედებასა და აზროვნებაში გამოდის სამყაროს არსებობის დებულებიდან და მისთვის ეს თავისთავად ცხადი და უეჭველი დებულებაა. ყოფიერების საკითხი ჩვეულებრივი ადამიანისათვის არის ერთსა და იმავე დროს ყველაზე კონკრეტული და ყველაზე აბსტრაქტული, ყველაზე ცხადი და ყველაზე გაუგებარი საკითხი.

ადამიანი ჩვეულებრივ ცხოვრობს ბუნებრივი განწყობის პირობებში და ყოფიერების საკითხი გადაჭრილად ითვლება. მაგრამ ყოფიერების საკითხი საეჭვო და პრობლემატური ხდება, როდესაც ადამიანის ცხოვრებაში ადგილი აქვს გარდატეხას, კრიზისს. ამ დროს ყოფიერების გაგების უტყუარობა ირღვევა. ადამიანისათვის გაუგებარი ხდება თუ რას ნიშნავს ჭეშმარიტი არსებობა, რა არსებობს, როგორია ადამიანის ღირსეული ყოფიერების წესი, რომელსაც ადამიანმა უნდა მისდიოს? ეს უკვე საზოგადოების კრიზისს ნიშნავს, რადგან საზოგადოების არსებობის საფუძველი – გაგების ერთიანი ველი ირღვევა. ამ დროს ადამიანი სვამს კითხვას არა მარტო იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს არსებობა, არამედ რა საზრისი, მნიშვნელობა აქვს რაიმე საგნის არსებობას. ამ დროს უბრალოდ არსებობა არ არის საკმარისი, რადგან ეჭვის ქვეშ დგება ადამიანის ყოფიერების საფუძვლები. ადამიანს აინტერესებს ის რაც მშვენიერია, ის რაც სიკეთეა არსებობს თუ არა.?

ადამიანს მოეთხოვება გაიაზროს და გარკვეული პასუხი გასცეს ყოფიერების საკითხს, რადგან ადამიანი არის განსაკუთრებული არსებული. მას ახასიათებს ყოფიერების გაგება. ამიტომ მისი უპირატესობა და მოვალეობაა სწორედ ყოფიერების შესახებ საკითხის დასმა. ადამიანს ბუნებრივად ახასიათებს თავისებური ონტოლოგიური დუალიზმი, ანუ იგი სინამდვილეს წარმოიდგენს გაორებულად. მას აინტერესებს რასაც იგი აღიქვამს არის ერთადერთი სინამდვილე თუ არსებობს სინამდვილის სხვა სახეც. ეს წამოჭრის ახალ საკითხებს: ადამიანს შეუძლია თუ არა მეორე სინამდვილის შემეცნება (გნოსეოლოგია), როგორია დამოკიდებულება ამ ორ სინამდვილეს შორის (მეტაფიზიკა, აქსიოლოგია). დღეს განსაკუთრებით აქტუალურია იმ სინამდვილის გარდაქმნა, რომელშიც ვცხოვრობთ.

ადამიანი ამჩნევს, რომ არა მარტო მრავალი განსხვავებული საგანი არსებობს, არამედ იმასაც, რომ ამ საგნებს განსხვავებული არსებობის წესი ახასიათებთ. ერთი

საგნის ყოფიერების ერთი წესი არ გამოდგება, მეორე საგნის არსებობის დასახასიათებლად, ამიტომ აუცილებელი ხდება ყოფიერების წმინდა პრობლემატიკის გამოყოფა, ყოფიერების როგორც ასგთის განსაზღვრა. რას ნიშნავს არსებობა, არა მარტო არსებული საგნების განსხვავება, არამედ არსებობის ფორმების განსხვავება.

ყოფიერების პრობლემის აქტუალურობა განპირობებულია ყოფიერების გაგების ისტორიულობითაც. ფილოსოფიამ უნდა უთხრას თანამედროვე ადამიანს თუ რა არსებობს და რას ნიშნავს არსებობა დღეს. რადგან ის რაც არსებობს დღეს XXI საუკუნის ადამიანისათვის არ არსებობდა XVIII საუკუნის ადამიანისათვის. იმ საუკუნის ადამიანი ფანტაზიისა და წარმოსახვის სრული დაძაბვითაც კი ვერ წარმოიდგენდა ყოველივე ამას. დღეს გამოვლინდა არსებულის ახალი ფორმები და არსებობის ახალი წესები. ადამიანს აინტერესებს ის რაც მშვენიერია, ის რაც სიკეთეა არსებობს თუ არა?

ჩვეულებრივი ადამიანი, ყოველდღიური ცნობიერება ყოფიერებას, არსებობას, სინამდვილეს გაიგებს როგორც სინონიმს.ფილოსოფიური ცნება „ყოფიერება" აღნიშნავს იმასაც, რაც არის არსებობის გარანტია. ამიტომ „ყოფიერების" ცნებას ფილოსოფიაში განსაკუთრებული საზრისი აქვს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.ნაპო კვარაცხელია – ადამიანი და მეტაფიზიკა .თბილისი 2005 წ.
2.ვალერიან რამიშვილი- ფილოსოფია .თბილისი 2010წ.

Existence problem

Maia Kiknadze
Doctor of Philodophy
Associated Professor of Sukhishvili Teaching University

Resume

The work discusses ideas about existance problems. The actuality of existing problem is determined as a historical comprehension of existance. Philosophy should tell contemporary society what exists and what this word means generally.

საჯარო მმართველობა და ადმინისტრაციული სამართალი

ნინო შავდათუაშვილი
სუხიშვილის უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი
E-mail: ninoshavdatuashvili@gmail.com Tel:599765573

მმართველობა არის სახელმწიფოს საქმიანობა თავისი მიზნების განსახორციელებლად, რაც არც კანონშემოქმედებაა და არც მართლმსაჯულება.

მმართველობა ვლინდება ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში: კერძო პირები ახორციელებენ საკუთარ მეურნეობას, ხოლო მეწარმეები - საკუთარი საწარმოს მართვას.

საჯარო მმართველობა გულისხმობს სახელმწიფო აპარატის მიერ განხორციელებულ მართვას. „სახელმწიფო აპარატი“ ფართო გაგებით გულისხმობს ცენტრალურ, რეგიონალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს.

საჯარო მმართველობად წოდებული სახელმწიფოს საქმიანობის განსაზღვრისათვის არსებითია კონსტიტუციით აღიარებული ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, რომელიც გულისხმობს სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებას საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოების მეშვეობით. საჯარო მმართველობის ცნების ლეგალური დეფინიცია არ მოგეპოვება არც ერთ საკანონმდებლო აქტში. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედების სფეროს განსაზღვრისათვის აუცილებელი ხდება საჯარო მმართველობის ცნების შინაარსის დაზუსტება.

აღმასრულებელი ხელისუფლების ცნების შინაარსში ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ მთავრობა და მმართველობა. მთავრობა პარლამენტთან ერთად ახორციელებს ქვეყნის პოლიტიკურ მართვას. მთავრობის ფუნქციაა კანონპროექტების მომზადება და მიღებული კანონების შესრულებაზე კონტროლი. როდესაც მთავრობა და თითოეული სამინისტრო ამ ამოცანებს ახორციელებს, ის იმყოფება საკონსტიტუციო სამართლის მოქმედების სფეროში და არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის გაგებით.

საჯარო მმართველობა მატერიალური გაგებით გულისხმობს სახელმწიფოს ისეთ საქმიანობას, რომელიც არც კანონშემოქმედებასა და მართლმსაჯულებას და არც მთავრობასა და შეიარაღებულ ძალებს მიეკუთვნება.

საჯარო მმართველობა ორგანიზაციული გაგებით გულისხმობს სახელმწიფო მმართველობის ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოთა და დაწესებულებათა ერთობლიობას, რაც ადამიანებისა და ნივთების სახით ვლინდება და რისი საშუალებითაც ხორციელდება საჯარო მმართველობა.



საჯარო მმართველობას აქვს ორგანიზაციული მოწყობისა და საქმიანობის სამართლებრივი ფორმების არჩევანის თავისუფლება. ორგანიზაციული მოწყობისა და საქმიანობის ფორმების მიხედვით შესაძლებელია ოთხი შემთხვევის გამოყოფა:

1.საჯარო-სამართლებრივი ორგანიზაციული ფორმით მოწყობილი ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს საჯარო-სამართლებრივი საქმიანობის ფორმის გამოყენებით.

ეს არის ტიპიური შემთხვევები მმართველობითი საქმიანობის სფეროში, როდესაც უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო - მერიის შესაბამისი სამსახური - გასცემს მშენებლობის ნებართვას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმის საფუძველზე, ან როდესაც შესაბამისი ორგანო საჯარო-სამართლებრივი ნორმის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას პენსიის დანიშვნის შესახებ და ამ მიზნით გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

2.საჯარო-სამართლებრივი ორგანიზაციული ფორმით მოწყობილი ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს კერძო სამართლის ფორმით.

ადმინისტრაციული ორგანო საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, საქმიანობის საჯარო-სამართლებრივ ფორმებთან ერთად, იყენებს კერძო სამართლებრივ ფორმებს. ადმინისტრაციული ორგანოს კერძო-სამართლებრივი საქმიანობა იძლევა სამ კატეგორიად დაყოფის შესაძლებლობას:

ა) საჯარო ამოცანების უშუალო განხორციელება კერძო-სამართლებრივი ფორმით წარმოადგენს ე.წ. „ადმინისტრაციულ კერძო სამართალს“. საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი მოითხოვს საჯარო-სამართლებრივად მოწყობილ სისტემას, კერძოდ, საჯარო მმართველობის სპეციფიკურ კერძო სამართალს. ადმინისტრაციული კერძო სამართლის აუცილებლობა გამოწვეულია სახელმწიფოს მზარდი როლით, შექმნას არსებობის მინიმალური პირობები. თანამედროვე ინდუსტრიალიზაციის კეალდაკეალ სულ უფრო მზარდი ხდება მოქალაქეების დამოკიდებულება სახელმწიფოზე. ამის გათვალისწინებით სახელმწიფო კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში ვერ გამოვა კერძო ეკონომიკისა და კერძო ავტონომიის პრინციპებიდან, არამედ ის რჩება კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმებისა და ღირებულებების გავლენის ქვეშ. სახელმწიფოს დახმარება გამოიხატება მოსახლეობის წყლით, ბუნებრივი აირით მომარაგებაში, დასუფთავების, კულტურული, საგანმანათლებლო და სპორტული დაწესებულებების ქსელის შექმნაში, რომელიც ხორციელდება კერძო სამართლის ფორმების გამოყენებით. მომსახურების ეს ფორმა იმდენად წარმოადგენს თავისებურებას, რამდენადაც ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია, ყოველიეე ეს განახორციელოს საჯარო-სამართლებრივი ფორმით.

ბ) საჯარო ამოცანების კერძო-სამართლებრივი ფორმით განხორციელების დანარჩენი ორი კატეგორია იმით განსხვავდება პირველისაგან, რომ ისინი, როგორც წესი, ყოველთვის მხოლოდ კერძო-სამართლებრივი ფორმით ხორციელდება. ფისკალური დამხმარე საშუალებების შეძენა (საკანცელარიო ნივთები, ოფისი, რემონტი და ა.შ) და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ კერძო-სამართლებრივი ფორმების გამოყენებით (სახელმწიფოს მიერ სააქციო საზოგადოების თუ შპს ფორმით განხორციელებული სამეწარმეო საქმიანობა არაფრით განსხვავდება კერძო პირის მიერ ამავე ფორმით განხორციელებული საქმიანობისაგან).

3.კერძო-სამართლებრივი ფორმით მოწყობილისაჯარო მმართველობა მოქმედებს კერძო-სამართლებრივი ფორმის გამოყენებით.

მესამე ჯგუფი აერთიანებს იმ შემთხვევებს, როდესაც საჯარო მმართველობა იყენებს როგორც ორგანიზაციული მოწყობის, ასევე საქმიანობის კერძო-სამართლებრივ ფორმებს. ეს შესაძლებელია განხორციელდეს ორი ძირითადი ფორმით: სახელმწიფო მონაწილეობს კერძო-სამართლებრივი ფორმით შექმნილ სუბიექტში. ეს შეიძლება გამოიხატოს როგორც ფინანსურ, ასევე პერსონალურ მონაწილეობაში. მეორე შემთხვევაში სახელმწიფო საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით იყენებს ფორმალურ-ინსტიტუციურად დამოუკიდებელ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, რომლებიც ფორმალურად ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას, რამდენადაც პერსონალის შერცევის, ამოცანათა განსაზღვრისა და ფინანსური თვალსაზრისით დამოკიდებულნი არიან სახელმწიფოზე.

4.კერძო-სამართლებრივი ფორმით მოწყობილი საჯარო მმართველობა მოქმედებს საჯარო-სამართლებრივი ფორმით.

კერძო სამართლის იურიდიული პირები არ არიან უფლებამოსილი, გამოიყენონ საქმიანობის საჯარო-სამართლებრივი ფორმები. მიუხედავად ამ ზოგადი პრინციპისა, სახელმწიფოს შეუძლია, შექმნას კერძო სამართლის იურიდიული პირი და აღჭურვოს ის საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილებებით. ეს არის საჯარო უფლებამოსილების განხორციელების ერთ-ერთი ფორმა, რომელიც ხორციელდება

კანონის შესაბამისად ან საფუძველზე, ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. ეს დაშვება გამომდინარეობს მმართველობის ეკონომიურობის პრინციპიდან. მმართველობითი უფლებამოსილებებით კერძო პირების აღჭურვა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც რაიმე საქმიანობის განხორციელება მოითხოვს სპეციალურ ცოდნას და ამ მიზნით შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების შექმნა დიდ ფინანსურ დანახარჯებთან იქნებოდა დაკავშირებული მაშინ, როდესაც კერძო პირებს მისი შესრულება იმავე ხარისხით და ამასთან, ნაკლები დანახარჯებით შეუძლიათ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
3. პ.ტურავა, ნ.წკეპლაძე, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო

Public managemenbt and administrative law

Nino Shavdatuashvili
Professor of Sukhishvili Teaching University
E-mail: ninoshavdatuashvili@gmail.com
Tel:599765573

Resume

Management is the state activity for implementation its own aims, and this is neither law creation nor justice. Public management means , to be implemented by the state apparatus. "State apparatus" with a wide understanding includes central, regional and local government, legal entities of public law.

პოლიტიკური ტრანზიციის რაციონალური და ირაციონალური პროცესები საქართველოში

გურამ აბესაძე
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი,
E-mail: guramabesaze@yahoo.com Mob 599 24 53 80; Tel.: 2 53 51 64
მაკა კუხიანიძე – ისტორიის დოქტორი
Mob.: 595 77 72 91; Tel.: 2 39 69 20

თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური სივრცე დემოკრატიული ტრანზიციის მნიშვნელოვან ეტაპზე იმყოფება. პოლიტიკურმა ცვლილებებმა, რომლებიც მიმდინარე წლის ოქტომბერში განხორციელდა, პოლიტიკურ ტრანზიციას უფრო რაციონალური ხასიათი მისცა. საპარლამენტო არჩევნებმა, რომელშიც კოალიცია "ქართულმა ოცნებამ" გაიმარჯვა, საფუძველი დაუდო ავტორიტარული რეჟიმისა და ერთპარტიული დომინანტური ძალის დემოკრატიულ ცვლილებებს, რომლებიც თანდათანობით საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს უნდა შეეხოს. ამ არჩევნების ერთ-ერთი რაციონალური შედეგი ის იყო, რომ აღადგინა ადამიანთა იმედიანი პოლიტიკური განწყობილება, სახელმწიფოებრიები თვითშეგნება და პოლიტიკური ტრანზიციისადმი ოპტიმისტური დამოკიდებულება. ასეთი შეფასებით, ახალი დემოკრატიის ქვეყანაში კულტურულ-ინტელექტუალურმა ფენომენმა გაიმარჯვა და საფუძველი დაუდო ე. წ. "მტრის ხატისა" და მესიის სინდრომის მსხვრევას. "ქართული ოცნების" ლიდერი, ბიძინა ივანიშვილი, აღნიშნავდა, რომ დაასრულებს ავტორიტარულ მმართველობას და პოლიტიკურ მესიანიზმს საქართველოში, რისთვისაც განავითარებს ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებულ ინსტიტუტებს, დაძლევს სამოქალაქო დაპირისპირების მემკვიდრეობას და განამტკიცებს ეროვნულ თანხმობას. /2/

პოლიტიკური ტრანზიცია ძალზე რთული პროცესია და ხანგრძლივ პერიოდს საჭიროებს, რადგანაც საქმე გვაქვს ადამიანის სულიერი და ინტელექტუალური სამყაროს რადიკალურ გარდაქმნასთან; დემოკრატიული ტრანზიტი შინაარსობრივად რაციონალური და ირაციონალური პროცესებით განისაზღვრება და პოზიტიური შედეგებიც მათ თანაფარდობაზეა დამოკიდებული. თანამედროვე ქართული პოლიტიკური ტრანზიციის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა პოლიტიკური სივრცის რაციონალიზაცია, ინდივიდის პოლიტიკური პროცესის აქტიურ სუბიექტად გადაქცევა.

პოლიტიკური ინსტიტუტების როლი და ფუნქციები თანამედროვე ტრანზიტის პირობებში გაიზარდა; მაგრამ სოციალური როლისა და ფუნქციების გაზრდა ემყარებოდა ავტოკრატიულ სტილსა და რეფორმების გატარების აგრესიულ-რადიკალურ ფორმებს. ეს იწვევდა პოლიტიკური საზოგადოების გაღიზიანებასა და საპასუხო აგრესიულ ქმედებებს. ასეთ რეფორმებს თან არ ახლდა პოლიტიკურ-კულტურული ტრანსფორმაციებისა და ფუნქციონალური ღირებულებების განსაზღვრა თვით სახელისუფლო ინსტიტუტებს შორის დამოკიდებულება არ ატარებდა ინტელექტუალურ-კულტურულ ხასიათს, ზოგიერთმა მათგანმა დაკარგა ლეგიტიმურობა და დამოუკიდებლობა. /4. 16-17/

სახელმწიფო-სახელისუფლებო ინსტიტუტების ლეგიტიმაციის დონეც ძალზე დაბალი იყო; პოლიტიკური საზოგადოება კი არ წყვეტდა პოლიტიკური სტრუქტურების

ფორმირების პროცესს, არამედ სახელმწიფო ნომენკლატურის გარკვეული ჯგუფი, რომელიც ერთპარტიულ და ერთ იდეოლოგიურ დოქტრინას ემყარებოდა.

პოლიტიკური ტრანზიციის ასეთი ტენდენციების პირობებში იზრდება პოლიტიკურ ინსტიტუტებს შორის ურთიერთობაში აგრესიული და ირაციონალური სტილი, რომელიც უარყოფითად მოქმედებს სახელმწიფოს განვითარებაზე; საზოგადოებაში მკვიდრდება პოლიტიკურ მოქმედებათა გარკვეული სტილი და სტერეოტიპი, რომელიც „რევოლუციის სინდრომის“ ფორმას იღებს.

თანამედროვე ქართული პოლიტიკური სივრცის დემოკრატიული ტრანზიციის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის ფორმირება; დემოკრატიული პოლიტიკური კულტურა წარმოადგენს პოლიტიკური სისტემის სტაბილური ფუნქციონირებისა და მისი ეტაპობრივი მოდერნიზაციის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს; იგი არის პოლიტიკური სივრცის აქტორების დემოკრატიული მოღვაწეობის წესებისა და ღირებულებითი ნორმების განმსაზღვრელი ფაქტორი; ამიტომ, გარდამავალ პერიოდში პოლიტიკურ-კულტურული სივრცის რაციონალური და ირაციონალური კომპონენტების განსაზღვრა და მათი თანაფარდობის გააზრება დემოკრატიული განვითარების აუცილებელი პირობაა.

პოლიტიკური ტრანზიციის მთავარი მიზანია ღირებულებითი ორიენტაციების შეცვლა, რომელიც პოლიტიკური ცნობიერებისა და აზროვნების გარდაქმნას ემყარება. ტოტალიტარული პოლიტიკური ცნობიერება და აზროვნება, რომელიც ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე არსებობდა, ძალზე მძიმე მემკვიდრეობად იქცა. ტოტალიტარული ცნობიერება უარყოფს თვითმყოფად აზროვნებასა და აზრთა პლურალიზმს; იგი ემყარება გარკვეულ იდეოლოგიურ სტერეოტიპებს და განისაზღვრება უკიდურესი ფანატიზმით, მესიანიზმითა და კერპთაყვანისმცემლობით. ეროვნული ცნობიერება და თვითცნობიერება, ეროვნული თვითმყოფადობა მისთვის მიუღებელი იყო.

პოლიტიკურ ცელილებებთან ერთად ჯერჯერობით პოლიტიკურ ტრანზიციას აკლია ინტელექტუალური სტილი; ეს უაღრესად ნეგატიური და ირაციონალური ფაქტორია, რაც აფერხებს ერთიანი დემოკრატიული სახელმწიფოებრივი აზროვნების ფორმირების პროცესს. ადამიანებსა და ცალკეულ პოლიტიკურ ორგანიზაციებს შორის შეიმჩნევა აგრესიული დამოკიდებულების ფაქტები, რომელიც ყოველგვარ პოლიტიკურ პრაგმატიზმს არის მოკლებული. ჩვენი აზროვნების ფორმები და მოქმედებათა სტანდარტები ჯერ კიდევ ნეობოლშევიკურ და ნეოტოტალიტარულ სტილს ემსგავსება. ასეთი რამ დაუშვებელია, როგორც მოქალაქეებისა და სოციუმის მხრიდან, ისე პოლიტიკური ელიტის ცალკეული წარმომადგენლების მხრიდანაც. ნეობოლშევიკური აზროვნება ამკვიდრებს ადამიანთა შორის აგრესიულ უნდობლობას, ნიჰილიზმსა და პესიმიზმს. საზოგადოებაში მკვიდრდება მასობრივი ფსიქოზი და უკიდურესი რადიკალიზმი, რომელიც ვერ ეგუება პოლიტიკურ შემწყნარებლობას. თვით აზროვნების სტილი, ტონალობა და აგრესიული ტერმინოლოგიაც კი მიუღებელი ხდება საზოგადოების ნაწილისათვის. განსაკუთრებით ასეთი ტონალობა საშიში ხდება პოლიტიკურ მართვასა და მოღვაწეობაში, როდესაც იგი ისეთი ადამიანებისაგან ისმის, რომლებიც წარმმართველ ფიგურებსა და ავტორიტეტებს წარმოადგენენ. საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ბიძინა ივანიშვილი აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას 1 ოქტომბრის არჩევნებამდე წერდა: “...გვაქვს მართვის სუპერცენტრალიზებული, ხშირად ნეობოლშევიკური სტილი, რომელმაც თავისი თავი დიდი ხანია ამოწურა და ამ გზით

ქეყანა არათუ წინ ეელარ მიდის, არამედ მიღწეულსაც კი განადგურებით ემუქრება". /5/

პოლიტიკური აზროვნების ინტელექტუალური პროგრესის საფუძველია ეროვნული ღირებულებები და ტრადიციები. თანამედროვე ინტელექტუალური აზროვნება ვერ ჩამოყალიბდება თუ მისი ეროვნული ფორმები უარყოფილია. ზოგჯერ შეიჩნევა ნეგატიური და ნიჰილისტური დამოკიდებულება ეროვნული სულიერი ღირებულებებისადმი. ქართული თვითმყოფადი აზროვნება ისტორიულ ეროვნულ ტრადიციებზე წარმოშობილ ფორმებსა და ინტელექტს ემყარება. ეროვნული ინტელექტი ტრანსფორმაციას განიცდის ნეგატიური მიმართულებით, თუ მასში ფეხს იკიდებს ისეთი ელემენტები, როგორიცაა: აგრესიულობა, რადიკალიზმი, ავანტიურიზმი, ძალდატანება და ა. შ.

პოლიტიკური აზროვნების ავტორიტარული სტილი ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ისე გარდაქმნის საზოგადოებას, რომ მისთვის ზოგჯერ მიუღებელი ხდება ინტელექტუალურ-კულტურული აზროვნება და გონიერების თავისუფლება. ასეთ სიტუაციაში მთელი ერის სულიერი სამყარო საჭიროებს რადიკალურ ტრანსფორმაციას. ავტორიტარიზმი და პოლიტიკური პროცესების რადიკალიზაცია საზოგადოების გარკვეული ნაწილისათვის მისაღებია და პოლიტიკური სივრცის სტაბილურობის ფაქტორად მიაჩნიათ; ავტორიტარიზმმა და ავტოკრატიამ ქართული საზოგადოება შეიძლება პოლიტიკურად პასიურ ძალად გადააქციოს და პოლიტიკური პროცესების თვითდინებაზე გახადოს დამოკიდებული. ამიტომ, ერის დემოკრატიული თვითდამკვიდრება, ძირითადად, პოლიტიკურ-კულტურული აზროვნების გარდაქმნაზეა დამოკიდებული.

თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში შეიმჩნეოდა ახალი ინტელექტუალური სივრცის შექმნა, რომელიც იდეოლოგიურად გარკვეული ინტელექტუალური ფენომენებით საზრდოობდა; მათთვის დამახასიათებელი იყო ქართული აზროვნების ღირებულებითი წესრიგის ექსტრემისტული მსხვრევა და ნეობოლშევიკური კოსმოპოლიტიკური აზროვნების დამკვიდრება; ასეთი სიტუაცია იწვევდა სოციუმის მნიშვნელოვანი ნაწილის დაპირისპირებას დემოკრატიული რეფორმებისადმი, რომელიც აუცილებელია განხორციელდეს ქართულ პოლიტიკურ სივრცეში. ქართული პოლიტიკური სივრცის ექსტრემისტული ლიბერალიზაცია და ტრანზიცია ირაციონალურ პროცესად უნდა მივიჩნიოთ.

პოლიტიკური ტრანზიციის პირობებში ჯერ კიდევ დაბალია პოლიტიკური საზოგადოების კულტურულ-ინტელექტუალური დონე, რომლის შედეგადაც იზრდება ირაციონალური პოლიტიკური მოქმედებები, ირღვევა ადამიანთა უფლებები, რაც სრულად ასახავს პოლიტიკური კულტურის მორჩილებითი ტიპის თავისებურებებს. ქართული საზოგადოების პოლიტიკური ქცევები და მოქმედებები ძირითადად ორიენტირებულია ქარიზმატულ ლიდერებზე ან ძალაუფლების მატარებელ პოლიტიკურ პარტიებზე; მათ არ შეუძლიათ გააკეთონ რაციონალური არჩევანი და კრიტიკულად გაიაზრონ პოლიტიკური ძალების პოზიციები და მოღვაწეობის პრიორიტეტები.

საზოგადოების პოლიტიკურ-გარდამქმნელი როლი მორჩილებითი პოლიტიკური კულტურიდან გამომდინარე ძალზე დაბალია; ინდივიდები თავიანთ თავს არ მოიაზრებენ პოლიტიკურ აქტორებად და სულ ქარიზმატული ლიდერის მოლოდინში არიან. ამიტომ, ისინი სულ უფრო ემსგავსებიან მორჩილ და პასიურ სუბიექტებს; მათთვის მისაღები ხდება პოლიტიკური მართვის ავტოკრატიული სტილი. სრულიად შესაძლებელია, რომ საზოგადოების ნაწილი, თუ მისი ინტელექტუალურ-სულიერი

პროგრესი არ მოხდა ბრბოს დაემსგავსოს. ბრბოს სიტუაციაში კი ადამიანს აღარ შესწევს უნარი სწორად გაიაზროს პოლიტიკურ-გარდამქმნელი პროცესები და მას პოზიტიური ცვლილებები ნაკლებად იზიდავს.

პოლიტიკური ტრანზიციის ირაციონალურ კომპონენტად უნდა მივიჩნიოთ ძალადობისა და აგრესიულობის ფსიქოზის დამკვიდრება. კორუფციისა და საზოგადოებაში არსებული სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლამ არ უნდა მიიღოს რეპრესიული ხასიათი. ძალადობის გამოვლინება და აგრესიულობის ფსიქოზი ძალზე უარყოფითად მოქმედებს მომავალი თაობის პოლიტიკური კულტურის ფორმირებაზე. აგრესიული ტერმინოლოგია, რომელსაც ზოგჯერ, იყენებს საზოგადოებაში აღიარებული ავტორიტეტები და პოლიტიკური ინსტიტუტების ლიდერები, ძალზე ნეგატიურად მოქმედებს ახალგაზრდობაზე. ამიტომ, პოლიტიკურმა ურთიერთდამოკიდებულებამ და პლურალიზმმა არ უნდა მიიღოს აგრესიული და ძალადობრივი გარჩევების ხასიათი. განსაკუთრებით საშიშია ქურდული მენტალიტეტის დამკვიდრება პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში; კლანური და ქურდული მენტალური აზროვნება და ქცევები ჯერჯერობით უაღრესად ირაციონალურ მოვლენად რჩება პოლიტიკური ტრანზიციის პროცესში.

თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ სივრცეში მნიშვნელოვან პრობლემად რჩება ეროვნული კონსოლიდაციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემა. პოლიტიკური ძალების დაქსაქსულობა ხელს უწყობს ეროვნულ გათიშულობას; წლების მანძილზე გრძელდება ცალკეული პოლიტიკური ლიდერებისა და პოლიტიკური გაერთიანებების მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად გადაჯგუფება, რომლის მიზეზი შეიძლება შემდეგი დავასახელოთ: 1. ერთიანი ეროვნული ცნობიერებისა და თვითცნობიერების დაბალი დონე, რომელიც ეროვნულ-სახელმწიფოებრივ აზროვნებაში დაპირისპირებას იწვევს; 2. ვიწროპარტიული და კლანური ამბიციების მომძლავრება, რომლებსაც ეროვნულ ღირებულებებთან არავითარი კავშირი არ აქვთ; 3. დაბალი პოლიტიკურ-ინტელექტუალური კულტურა, რომელიც ორიენტირებულია მხოლოდ პოლიტიკურ ლიდერზე; 4. საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს არ გააჩნია პოლიტიკური დიალოგის და კონსულტაციების წარმართვის, კონსენსუსისა და ეროვნული თანხმობის მიღწევის უნარი. /4. 26/

თანამედროვე გლობალური დემოკრატიული პროცესები დიდ ზემოქმედებას ახდენს ეროვნულ ღირებულებებსა და ტრადიციებზე; გლობალიზაციის პროცესი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ერი-სახელმწიფოს თვითმყოფად პოლიტიკურ თანაცხოვრებაზე, რომლის ელემენტები ეროვნულ ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს ემყარება; გლობალურ ღირებულებათა ზეგაელენა ქართულ ეროვნულ სინამდვილეზე ძალზე დიდია და მნიშვნელოვანი, რადგანაც ჩვენი სახელმწიფოებრიობის მიზანი და პრიორიტეტია ერთა თანამეგობრობის ღირსეულ დემოკრატიულ სუბიექტად გადაქცევა. თანამედროვე პოლიტიკურ-კილტურული ტრანზიცია ორი ძირითადი მიმართულებით უნდა განვითარდეს: 1. პოლიტიკური ტრანზიციის პროცესში გათვალისწინებულ იქნას ეროვნული ღირებულებები და ტრადიციები და 2. გლობალური ღირებულებების აღიარება მოხდეს ეროვნული თავისთავადობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების საფუძველზე.

ეროვნული პოლიტიკური კულტურა თავის თვითმყოფად ფორმას და ნიშნებს სახელმწიფოებრიობაში ამკვიდრებს; ერის პოლიტიკური ორგანიზაციისა და თვითდამკვიდრების უმაღლესი ფორმაა სახელმწიფო და ეს ორი ცნება განუყოფელია. პოლიტიკური ერი ეს არის სახელმწიფოებრივად ფორმირებული გაერთიანება, რომელსაც გააზრებული აქვს თავისი თვითმყოფადობის არსი, მნიშვნელობა და

დანიშნულება; ერი პოლიტიკურად და ფუნქციურად აქტიური მხოლოდ სახელმწიფოებრიობის ფორმაში ხდება. ქართული სახელმწიფოს განმტკიცება, ეს არის ეროვნული პოლიტიკური თვითდამკვიდრების ღირებულებითი ორიენტაცია და პრიორიტეტი, მოქალაქეთა დაცვის მექანიზმი; დემოკრატიული ეროვნული სახელმწიფო ქმნის პირობებს პოლიტიკური კულტურის ისეთი მოდელის შესაქმნელად, სადაც პოლიტიკური თანაცხოვრება სამოქალაქო თანხმობასა და ინტეგრაციაზეა აგებული და მიღწეულია სუბკულტურათა კონსოლიდირებული ურთიერთგაგება. ამიტომ, ძალზე მნიშვნელოვანია ქართველი ერის პოლიტიკურ ერად თანდათანობით გადაქცევა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საშობაო ეპისტოლეები. თბ., 2011, 2012
2. გაზ.: "ახალი თაობა", 22 თებერვალი, 2012
3. გ. აბესაძე, ა. ტუკვაძე. რაციონალურისა და ირაციონალურის თანაფარდობა თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ კულტურაში. საერთაშორისო სამართლისა და მართვის ქართულ-ბრიტანული უნივერსიტეტი. სამეცნიერო შრომათა კრებული. III ნაწ. თბ., 2010, გვ. 255-264
4. გ. აბესაძე. თანამედროვე ქართული პოლიტიკურ-კულტურული სივრცის რაციონალური და ირაციონალური კომპონენტები. კრებული: პიროვნება, კულტურა, საზოგადოება. სოციალურ მეცნიერებათა აქტუალური პრობლემები. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თსუ, 2012, გვ. 13-30
5. საქართველო გზაჯვარედინზე. ბიძინა ივანიშვილის ღია წერილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბარაკ ობამას. გაზ.: "ახალი თაობა", 1 თებერვალი, 2012
6. Transitions to Democracy. N. Y., 1999

Rational and irrational components of the modern Georgian political transition environment

Guram Abesadze,
Doctor of Political Sciences
full Professor of Sukhumi Teaching University,
E-mail: guramabesaze@yahoo.com
Mob: 599 24 53 80; Tel:: 2 53 51 64
Maka Kukhianidze Doctor of History
Mob: 595 77 72 91; Tel: 2 39 69 20

Resume

The purpose of modern political transition environment is rationalization of political processes. Shaping of state consciousness turned into the key factor of democratic transition of political thinking. Inculcation of pluralism of political thinking should be considered as the rational process; political pluralism became the essential sign of political-cultural coexistence. In the conditions of political transition, cultural-intellectual level of political society is still poor, causing in irrational political actions. Social behavior and transitional role ground on the obedient type of political culture. Activity of society is very poor, which is sometimes reflected in political alienability and aggressiveness. Political-cultural changes sometimes are accompanied by intellectual nihilism. Stability of democracy requires institutional rational activity. Culture of political actors needs further improvement in the political environment. Influence of global democratic processes on the democratic transition is to be considered.

სექცია №7

ჯ ა ნ დ ა ც ვ ა

სექციის თავმჯდომარე:
ლაშა ნინოშვილი

ნოციცეფციის პათო – და ფსიქოფიზიოლოგია

ლაშა ნინოშვილი
მედიცინის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
სუხიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სრული პროფესორი
E-mail: lashaninoshvili63@gmail.com Tel: 592 00 69 50

რა არის ტკივილი? თავიდანვე უნდა განვსაზღვროთ, რომ ტკივილი – ფიზიოლოგიური მოვლენაა, ევოლუციური შენაძენია, რომელსაც სასიგნალო – საიდენტიფიკაციო დანიშნულება აქვს და შეგრძნების დონეზე შეუძლია ინდივიდის გაფრთხილება არ მხოლოდ იმის შესახებ, რომ „სადღაც რაღაც ისე ვერ არის“, არამედ საფრთხის ზუსტი ლოკალიზაციის და ზოგჯერ არასასურველი პროცესის სახეობისა თუ მისი სავარაუდო მიზეზის შესახებაც კი. თუ ტკივილის აღქმის (ანუ ნოციცეფციის) სუბიექტურ ბუნებას განვიხილავთ, მაშინ მოგვიწევს ისეთი ინდივიდების იგნორირება, რომელთა ფიზიკალური მონაცემები ამოიწურება მხოლოდ „ტკივილის“ არსებობით და რომელიც ვერ გადმოსცემს ტკივილის სუბიექტურ შეგრძნებას. მაგ. პაციენტი, რომელიც იმყოფება ანესთეზიის ქვეშ, აქვს ტაქიკარდია და არტერიული ჰიპერტენზია. მივმართავთ ანალგეზიას და ორივე მონაცემი ნორმას უბრუნდება. როდესაც ვაღვიძებთ პაციენტს. მას არ აქვს ტკივილის არანაირი შეგრძნება.

აშშ–ს კომპლემენტარული და ალტერნაციული მედიცინის ასოციაციის (ჩჩ) მონაცემებით, 1 წლის განმავლობაში, ამერიკელთა 16,8%–ს სურს ზურგის ტკივილისაგან განთავისუფლება. 6,6%–ს კისრის, 4,9%–ს სახსრების, 3,1%–ს თავის, ხოლო 2,4%–ს სხვადასხვა პერიოდული ტკივილი აწუხებს.

ტკივილი არ არის მხოლოდ ფიზიკური პათოლოგია, არამედ ის არის ფიზიოლოგიური, პათოლოგიური, ემოციური, ფსიქოლოგიური, კოგნიტური, გარემოს და სოციალური ფაქტორების ერთიანობა. ტკივილის წარმატებული კონტროლის გასაღები არის ის მექანიზმები, რომელიც იწვევს ან ეწინააღმდეგება ტკივილს. ნეირობიოლოგიის მთავარი წარმატებები, დაწყებული მოლეკულური კვლევებით და დამთავრებული თავის ტვინის ქერქის აქტივობის აღრიცხვით, მოწმობს, რომ ნერვული ‘უჯრედების აქტივობა სრულად არის ინტეგრირებული აღნიშნულ პროცესში, რამაც ძირეული ცვლილებები შეიტანა ტკივილის კონტროლისა და მენეჯმენტის საკითხების კვლევებში. უკვე რამდენიმე წელია, რაც ჯანდაცვის მენეჯერები ცდილობენ ტკივილის კონტროლი მოახდინონ პრევენციისა და აქტიური სტრატეგიების მეშვეობით, რომლის დროსაც ახორციელებენ მედიკამენტოზურ, ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ინტერვენციას

ტკივილის ფენომენის შემსწავლელი საერთაშორისო ასოციაციის მიერ მოწოდებული ტკივილის სტანდარტული დეფინიცია ასეთია: „ეს არის არასასურველი შეგრძნება ან ემოციური განცდა, რომელიც დაკავშირებულია ქსოვილის აქტუალურ ან პოტენციურ დაზიანებასთან. ტკივილი ყოველთვის სუბიექტურია და ყველა ინდივიდი მას განსხვავებულად აღიქვამს და აღწერს. საკამათო არ არის ის ფაქტი, რომ ტკივილი სხეულის გარკვეული ნაწილის შეგრძნებაა, თუმცა საკმაოდ არასასიამოვნო და ემოციურად დატვირთული. ძალიან ბევრი ადამიანი ტკივილს აღნიშნავს მაშინ, როცა ქსოვილები დაზიანებული არ არის და არც

პათოფიზიოლოგიური საფუძველი არსებობს“ (IASP. Pain 1979(6)249-252, ex Shipton, 1993).

არ შეიძლება ცალსახად დავასკვნათ, რომ ტკივილი ყოველთვის არის შეგრძნების სუბიექტური აღქმა. ტკივილი არის ის რაღაც, რისი დოკუმენტირებულად დასაბუთება და ობიექტურად რეგისტრაცია დღეს უკვე შესაძლებელია. რაც შეეხება კლინიკურ გამოვლინებას, ახლაც ასეა და ყოველთვის მნიშვნელოვანი იქნება, მოვუსმინოთ პაციენტს, რომელიც განიცდის ტკივილს, თუმცა ტკივილის არსი ამით არ ამოიწურება...

ტკივილს თავისი გაერცელების გზა აქვს, პერიფერიაზე ნოციცეპტორების მიერ აღქმული ტკივილი მიემართება ცენტრალური ნერვული სისტემისაკენ.

ტკივილის აღქმისათვის აუცილებელია შემდეგი კომპონენტების არსებობა:

- პერიფერიული რეცეპტორები;
- ნერვული გზები;
- ზურგის ტვინი და გრძელი ტრაქტები;
- ტვინის ღეროვანი, თალამუსი,
- თავის ტვინის ქერქი და სხვა უბნები;
- დაღმავალი გზები

ტკივილის მენეჯმენტის ამერიკული გაიდლაინის მიხედვით, არსებობს ტკივილის შემდეგი კლასიფიკაცია:

<u>1.სომატური ტკივილი:</u> გამოწვეული ნოციცეპტორების მგრძნობელობითა და გაღიზიანებით კანის ან ღრმად მდებარე ქსოვილებში. ტკივილის შეგრძნება არის ადგილობრივი, ხასიათდება მუდმივობით და აქვს მბურღავ-მღრღნელი ხასიათი.

<u>2.ვისცერული ტკივილი:</u> მედიატორები აქაც ნოციცეპტორებია. ხასიათდება, როგორც ღრმა, მტკივნეული და შეტევითი ხასიათის. ლოკალიზაციის ზუსტი ადგილის მითითება ხშირად გაძნელებულია და ტკივილის ირადიაცია ხდება კანის ზედაპირზე.

<u>3.ქრონიკული ტკივილი:</u>

ა) ნოციცეპტორული ტკივილი: ვისცერული ან სომატურია. როგორც წესი, გამოწვეულია ტკივილის რეცეპტორების გაღიზიანებით. შესაძლებელია გამოწვეული იყოს ქსოვილის ანთებით, მექანიკური დეფორმაციით, მიმდინარე დაზიანებით ან დესტრუქციით. ბ) ნეიროპათიული ტკივილი: ამ დროს ჩართულია პერიფერიული ან ცენტრალური ნერვული სისტემა. არ რეაგირებს ფართოდ გამოყენებად ანალგეტიკებზე. გ) შერეული ან განუსაზღვრელი ტიპის პათოფიზიოლოგიური ტკივილი: გააჩნია შერეული ან უცნობი მექანიზმი. მკურნალობის კურსის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია; დ) ფსიქოლოგიური საფუძვლის მქონე ტკივილის სინდრომი: ტრადიციულად, ანალგეზიას არ მიმართავენ.

ტკივილის განცდისას იმპულსები აღწევს თავის ტვინს რთული და დინამიკური ინტერაქციების საშუალებით. მაგ., კანის დამწვრობისას ხდება ტკივილის ქიმიურ და ელექტრულ სიგნალებად გარდაქმნა, რის შემდეგაც იმპულსები მიემართება პერიფერიული სენსორული ნერვებით ზურგის ტვინის უკანა რქაში. გახდება თუ არა ეს „სტიმულები“ მტკივნეული, ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. ნერვული სისტემის უმაღლეს ცენტრებს შესწევთ უნარი ეს იმპულსები დაბლოკონ, შეასუსტონ, ან გააძლიერონ. როდესაც სტიმულები არასასიამოვნო ხდება, ნორმალური პასუხები შეიცნობა როგორც ტკივილი, იმისათვის, რომ თავიდან აიცილოთ, ან შეეამციროთ

აქტივობა. პასუხის გამოხატვა ხდება, როგორც წესი, სტიმულთა სენსორული, მოტორული, კოგნიტური, მოტივაციური სფეროების რეაქციის საპასუხოდ, ამასთან, ტკივილის პერცეფცია განსხვავებულია.

აფერენტული ნერვული ბოჭკოს თავისუფალ დაბოლოებას, რომელიც აღიქვამს ტკივილს, ნოციცეპტორი ეწოდება, ხოლო პროცესს, რომლის დროსაც ნოციცეპტორის საშუალებით ნერვული იმპულსი გადაეცემა ზურგის და/ან თავის ტვინს, ნოციცეპცია. ნოციცეპტორები პირველად ჩარლზ სკოტ შერინგტონმა 1906 წელს აღმოაჩინა და აღნიშნული ტერმინიც მოგვაწოდა. ნოციცეპცია ასევე ცნობილია ნოციპერსეფციისა და ფიზიოლოგიური ტკივილის სახელწოდებით. არსებობს ტკივილის 3 ტიპის ტკივილის რეცეპტორი: 1. მონომოდალური A5 ნოციცეპტორი, რომლებიც რეაგირებენ მექანიკურ და თერმულ გაღიზიანებაზე. მათი ტრანსმიტერი უცნობია. 2. პოლიმოდალური C ნოციცეპტორები, რომლებიც ღიზიანდებიან ქიმიური, სითბური და მექანიკური სტიმულებით და 3. ე.წ. „მძინარე“ ნოციცეპტორები, რომლებიც მხოლოდ ანთებისას აქტივირდებიან.

საინტერესოა, რომ არსებობს უჯრედზე სიგნალის გადაცემის გზების (ტრანსდუქცია, სიგნალინგი) ეტაპები:

სიგნალინგი, ანუ ერთი ტიპის სტიმულის გარდაქმნა მეორე ტიპის სტიმულად არის ან ჩქარი (მ/წმ, წუთები) ან ნელი (საათები). ჩქარ გარდაქმნაში მონაწილეობენ იონური არხები, პროტეინკინაზები, ლიპიდოკინაზები. ნელ გარდაქმნებში მონაწილეობენ გენების ექსპრესიის ფაქტორები. გარდაქმნის ეტაპებზე პროცესში ერთვებიან სულ უფრო მეტი ცილები, ჰორმონები, ფერმენტები. (signal cascade). პირველად შუამავლებს (მესენჯერებს) ამ პროცესში განეკუთვნებიან: ა) ჰორმონები, ნეირო – და გაზოტრანსმიტერები, სინათლის კვანტი, ბგერა. ისინი უჯრედში არ შედიან, არამედ მოქმედებენ რეცეპტორებთან მემბრანაზე. ბ) თირეოიდული და სტეროიდული (ჰიდროფობური) ჰორმონები, გ) NO და CO – შედიან უჯრედში და მოქმედებენ ხსნად ცილოვან რეცეპტორებთან.

რეცეპტორები ინფორმაციას გადასცემენ სიგნალინგის კასკადის მემბრანულ ცილებს, რომლებსაც განეკუთვნებიან . რეცეპტორებთან დაკავშირებული გარდამქმნელი ცილები, გამაძლიერებელი ფერმენტები (G ცილასთან დაკავშირებული რეცეპტორებისათვის) და იონური არხების რეცეპტორების პროტეინკინაზები („საკუთარი“ გამაძლიერებლები). ხანდახან წარმოიქმნებიან მესამეული მესენჯერებიც–მაგ. ისეთი სიგნალინგის დროს, როცა ინოზიტოლტრიფოსფატი მეორადი მესენჯერია, ხოლო კალციუმის იონები მისი ზეგავლენით ენდოპლაზმური ბადის საცავებიდან გამოიყოფიან, როგორც მესამეული მესენჯერი.

ანატომიურად პირველი ტიპი წარმოდგენილია თავისუფალი ნერვული დაბოლოებით, რომელსაც ხის ფორმა აქვს. ესენი მიელინიზირებული სწრაფი A-8 ბოჭკოებია, რომლებიც აგზნებას 630 მ/წმ სიჩქარით ატარებენ. განლაგებულია ძირითადად კანში. დანარჩენი ტიპის ნოციცეპტორები წარმოდგენილია მკვრივი არაკაპსულირებადი გლომერულური სხეულაკების სახით. მათი ბოჭკოები არამიელინიზებული C ტიპისაა. სადაც იმპულსის გატარების სიჩქარე 0,5 მ/წმ–ია. ისინი ყველგანაა, გარდა ცნს–სა. ის ბოჭკოები, რომლებიც დაკავშირებულია ქსოვილების დაზიანების აღმქმელ რეცეპტორებთან, შეიცავენ P სუბსტანციის ტიპის ნეიროტრანსმიტერებს (ინგლ. pain-ტკივილი). აქედან იმპულსები ხვდება ზურგის ტვინში, რომელში შესვლამდეც უკანა ფესვის ბოჭკოები იყოფა მედიალურ და ლატერალურ ნაწილებად, რომლებიც შესაბამისად შედგება სქელი მიელინიზებული

და წერილი არამიელინიზირებული ბოჭკოებისაგან. ამ უკანასკნელთა დაახლოებით 30% ზურგის ტვინში შესვლის წინ უკან ბრუნდება და შედის ზურგის ტვინში წინა, მცნობიარე ფესვის შემადგენლობით. ამითი აიხსნება დორსალური რიზოტომიის უეფექტობა ანალგეზიური ეფექტის მისაღწევად და ტკივილის გაქრობა ტერფის პარეზის განვითარებისას იშიაზის დროს. საინტერესოა, რომ ცხოველ შიშველ მიწისმთხელს არ გააჩნია სუბსტანცია P არც კანში და არც კუნთებში, ამიტომ საერთოდ ვერ გრძნობს ვერც ჭრილობებს და ვერც დამწვრობას, მაგრამ თუ მას შპრიცით შეუუყვანთ აღნიშნულ ნეიროგადამცემს, მას უჩნდება ტკივილის შეგრძნება.

ზურგის ტვინის უკანა ფესვის ნეირონული სისტემა არის ციტოარქიტექტონურად რთული, სენსორული ინფორმაციის ინტეგრაციული მრავალმოდალური ცენტრი, საიდანაც ინტერნეირონების გაყვლით ნოციცეფტური ინფორმაცია ხვდება წინა და გვერდითი რქების ნეირონებში, ქმნის რა ამით შესაბამის ვეგეტაციურ და მოტორულ რეაქციებს, ხოლო ინფორმაციის ნაწილი აღიზიანებს იმ ნეირონებს, რომლებიც ქმნიან თავის ტვინამდე აღმავალ გამტარ გზებს. ასეთი გზები ბევრია, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია: ა) ლატერალური სპინოთალამური გზა, რომელიც იმპულსებს ატარებს დიდი სიჩქარით და მთავრდება თალამუსის ვენტროლატერალურ ბირთვებზე, საიდანაც გადაირთვებიან სომატოსენსორულ ქერქზე. ბ) სპინორეტიკულური გზა პროეცირდება ბადებრივ ფორმაციაში, ჰიპოთალამუსში და წყალსადენის ირგვლივ მდებარე თეთრ ნივთიერებაში, საიდანაც უკავშირდებიან ლიმბური სისტემის სტრუქტურებს და ერცელდებიან ქერქში დიფუზურად (თხემის, შუბლის და საფეთქლის წილები). თხემის წილის მონაწილეობა განაპირობებს ტკივილის „ზუსტი“ ლოკალიზაციის აღქმას სხეულის სხვადასხვა ნაწილებიდან, შუბლის წილი განაპირობებს კოგნიტური, ქცევითი და მოტივაციურ–აფექტური რეაქციების წარმოშობას, ხოლო საფეთქლის წილი განაპირობებს ტკივილის სენსორული მეხსიერების ფორმირებას.

არსებობს სხვა, ნაკლებად შესწავლილი აღმავალი გზები, რომლებიც ტკივილის იმპულსებს ატარებენ გაცილებით ნელა, მაგრამ მათი მეშვეობით ხდება ტვინის გაცილებით ფართო, მოტივაციოგენური, ვეგეტაციური და ჰუმორული რეგულაციის ცენტრების აგზნება. ამ ფაქტით აიხსნება ეპიკრიტიკული და პროტოპათიური ტკივილის სახეების არსებობა, რომლებიდანაც პირველი ნიშნავს განმეორებადი გამღიზიანებლების ზემოქმედებისას ტკივილის გაქრობას, ხოლო მეორე – პირიქით, გაძლიერებას. R. Melzack , K. Z. Casey (1968) –ს აზრით, სხვა სენსორული სისტემებისაგან განსხვავებით, შეუძლებელია ტკივილის განსაზღვრა მისი აღმქმელი ინდივიდის განცდების გარეშე. არსებობს 3 ფსიქოფიზიოლოგიური კომპონენტი: 1. სენსორულდისკრიმინაციული – იძლევა საშუალებას, გამოიყოს ტკივილის აფერენტაცია მრავალი სხვა აფერენტაციული ნაკადებიდან, შეფასდეს მისი მოდალობა (ხარისხი), ძალა, ხანგრძლივობა. ამ პროცესის საფუძველი თალამოქერქული სისტემაა. 2. მოტივაციურ–აფექტური კომპონენტი წარმოქმნილია ბადებრივი ფორმაციის, ჰიპოთალამუსის, მედიალური თალამუსის მოქმედებით. იგი გამოიხატება ქცევაზე უარყოფითი მოთხოვნილების (მოტივაციის) ფორმირებით (ქცევის ავერსიული კომპონენტი) და შესაბამისი ვეგეტაციურ–ნეიროენდოკრინული რეაქციების ჩამოყალიბებით, ტკივილის შეგრძნების ემოციური ნაწილის შექმნით. 3. კოგნიტური კომპონენტი განაპირობებს ტკივილის აღქმის შესაბამის ყურადღების დონეს, მეხსიერებას, დასწავლას, შფოთვის დონეს, ქცევის კორექციას და ა.შ. ამრიგად, ნოციცეფტორული გზების და სისტემების აქტივაცია ჯერ კიდევ არ

ნიშნავს ტკივილს, როგორც ფსიქოფიზიოლოგიურ მოვლენას, რომელიც, გარდა აღწერილისა, აუცილებლად აერთიანებს სენსორულ ინფორმაციას ერთის მხრივ, და კოგნიტურ, აფექტურ და ქცევით პასუხებს. ასე ყალიბდება ტკივილისმიერი ქცევა. ეს უკანასკნელი მოიცავს ინდივიდის ქცევის ყველა ფორმას, რომლებიც მიმართულია ტკივილის გამოხატვის (აღწერა, ვერბალური გამოხატვა, მიმიკა, პოზა), საკუთარი მდგომარეობისადმი მომატებული ყურადღების, მედიკამენტების რიტუალური გამოყენების და სოციალური აქტივობის შეზღუდვისაკენ. საინტერესოა, რომ შურის და ტკივილის ემოციები ტვინის ზუსტად ერთ და იგივე უბნებს აღაგზნებენ.

ტკივილის იმპულსაციაზე დაღმავალი მაინჰიბირებელი ცერებროსპინალური კონტროლი ანტინოციცეპტური სისტემის ფუნქციაა. ის ხორციელდება ტვინის ქერქის, დიენცეფალური დონის, პარკუჭებსირგელიეი და წყალსადენირგელიეი რუხი ნივთიერების მეშვეობით, რომლებიც მდიდარია ენკეფალინური და ოპიატური ნეირონებით. ამ სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტია ასევე ბადებრივი ფორმაციის შუა ნაკერის ბირთვი, რომლებიც ნეიროტრანსმიტერ სეროტონინს შეიცავენ. მათი აქსონები ბირს მიემართებიან და ზურგის ტვინის უკანა რქაში მთავრდებიან. ამ ბოჭკოების ნაწილი, ისევე, როგორც ბადებრივი ფორმაციიდან დაშვებული ბოჭკოები, ნეიროტრანსმიტერ ნორადრენალინს შეიცავენ. სეროტონინის და ნორადრენალინის მონაწილეობა ანტინოციცეფციაში განაპირობებს ტკივილის შემცირებას ტრიციკლური ანტიდეპრესანტების ზემოქმედებით, რადგანაც ამ მედიკამენტოზური ჯგუფის მოქმედების მექანიზმი დაკავშირებულია ამ 2 ნეიროტრანსმიტერის უკუმიტაცების დათრგუნვასთან. ანტინოციცეპტური სისტემის მოქმედებაში უმნიშვნელოვანესი მნიშვნელობა გააჩნიათ ენდოგენურ ოპიატებს. ამ პეპტიდებისა და მათი რეცეპტორების მჭიდრო განლაგება შეინიშნება ზურგის ტვინის უკანა რქებში, შუა ტვინში, თალამუსში, წინა ტვინის ლიმბურ სტრუქტურებში. ეს ადგილები თამაშობენ დიდ როლს როგორც ტკივილის სპონტანურ შემცირებაში, ისე ანალგეზიაში ნარკოტიკული პრეპარატების შეყვანისას და ასევე ნარკოტიკულ ნივთიერებებზე მიჩვეითი ქცევის ორგანიზაციასა და ჩამოყალიბებაში. ენდოგენური ოპიატები (ენკეფალინები, ენდორფინები, დინორფინები) ურთიერთქმედებენ ოპიატურ რეცეპტორებთან ყოველთვის, როცა ტკივილის აღმქმელი ზღურბლის გადალახვისას აღმოცენდება შესაბამისი გაღიზიანება. არის კვლევები, რომლის მიხედვიტაც ენდოგენურ ოპიატებს შეუძლიათ ზურგის ტვინის რქებიდან გავიდნენ თავ–ზურგ–ტვინის სითხეში. ეს განაპირობებს ოპიატებით ანალგეზიის ინტრა – და ეპიდურული შეყვანის მეთოდიკების გამოყენების შესაძლებლობას.

C ტიპის ბოჭკოებს შეუძლიათ იმ მამუხრუჭებელ ენკეფალინურ ინტერნეირონებთან კონტაქტი, რომლებიც განაპირობებენ ტკივილისმიერი იმპულსაციის ინჰიბიციას. აქ ენკეფალინს შეუძლია იმოქმედოს, როგორც სპინოთალამური ნეირონების აქტივობის მამუხრუჭებელმა და მოახდინოს უკანა რქებში და სამწვერა ნერვის ზურგტვინოვანი გზის ბირთვში ცენტრალური ტერმინალების ნეირონებიდან ამაგზნებელი ტრანსმიტერების გამოთავისუფლება. მაინჰიბირებელი ინტერნეირონების აქტივაცია იწვევს გამა–ამინო–ერბოს მჟავას (გაემ) გამოყოფას, რაც თავის მხრივ, აღრმავებს ამაგზნებელი ტრანსმიტერების გამოთავისუფლებას ტკივილის პერცეფციის გზებში. ამის გარდა, სპინოთალამური ნეირონების შეკავება შეიძლება გამოიწვიოს არატკივილისმიერმა იმპულსაციამ, რომელიც შედის უკანა რქაში მსხვილი მიელინიზებული ბოჭკოებით. ეს ფენომენი უდევს საფუძვლად „კარის კონტროლის“ ჰიპოთეზას (Melzack, Wall, 1965), რომელიც

აღიარებულია ყველაზე ნაყოფიერ კონცეფციად. ტკივილის მექანიზმების შესახებ. ამ თეორიის თანახმად, იმპულსები, რომლებიც გადიან თხელ, „ტკივილის“ პერიფერიულ ბოჭკოებში, აღებენ ნერვულ სისტემაში შემავალ „კარს“. 2 მექანიზმს შეუძლია ამ „კარის“ დახურვა: იმპულსებს, რომლებიც ტაქტილურ გაღიზიანებებს ატარებენ მსხვილ ბოჭკოებში და ცნს–დან დაღმავალ გარკვეულ ზეგავლენებს. მსხვილი ბოჭკოების მიერ „კარის“ დაკეტვის მექანიზმი იმაში მდგომარეობს, რომ ტკივილი, რომელიც აღმოცენდება ღრმა ქსოვილებში, როგორებიცაა კუნთები, სახსრები, მცირდება ზედაპირული კონტრგაღიზიანებებით კანიდან, რომლებიც გამოწვეულია მექანიკური, ქიმიური ან თერმული ფაქტორებით. ეს ფენომენი გამოიყენება ისეთ თანამედროვე თერაპიულ მეთოდში, როგორიცაა კანსგავლითი ელექტრონეიროსტიმულაცია (კანის სქელი საფარველის გაღიზიანება მაღალსიხშირიანი, დაბალინტენსიური დენით), ან ვიბრაციული სტიმულაცია. მეორე მექნიზმი (”კარის“ შიგნიდან დაკეტვა) ამოქმედდება, როცა აქტივდებიან ტვინის ღეროდან დაღმავალი შემაკავებელი ბოჭკოები. ამ შემთხვევაში აქტივდებიან ის ინტერნეირონები, რომლებიც ბლოკავენ ინფორმაციის „ზევით“ გადაცემას. ამგვარად, ნორმაში არსებობს ჰარმონიული ურთიერთდამოკიდებულება სიგნალის ინტენსივობასა და საპასუხო რეაქციას შორის ტკივილის აღმქმელი სისტემის ყველა დონეზე.

მაგრამ ქრონიკული ტკივილისმიერი იმპულაციის არსებობისას ვითრდება ნოციცეფტური სისტემის ნეირონთა მომატებული მგრძნობელობა (ჰიპერსენსიტიზაცია), რაც Г. Н. Крыжановского (1980)–ს კონცეფციის თანახმად, გამოიხატება ცნს–ში ჰიპერაქტიური, შეკავება დაქვეითებული ნეირონების აგრეგატების წარმოქმნაში, რისი საფუძველიც ნეირონთა მდგრადი დეპოლარიზაციაა (სენსიტიზაცია). ამ პროცესს ხელს უწყობს, ერთის მხრივ, ცნს–ს გლიცინითა და გაემ–ით განპირობებული შემაკავებელი რეაქციების დათრგუნვა, მეორეს მხრივ კი, ამაგზნებელი ამინომჟავების ზემოქმედების გაზრდა ნოციცეფტიურ ნეირონებზე - რეცეპტორების გავლით. ზურგის ტვინის უკანა რქებში სენსიტიური უბნების შექმნის შემდეგი მნიშვნელოვანი მექანიზმია ენდოგენური ოპიატების რეცეპტორებისა და პეპტიდების რაოდენობის შემცირება. წარმოიქმნება მძლავრი პათოლოგიური იმპულსაციის ნაკადი, რომელიც მოქმედებს ტვინის რეტიკულურ, ღეროვან და მეზენცეფალურ სტრუქტურებზე, თალამუსის ბირთვებზე, ტვინის ქერქზე, ლიმბურ სტრუქტურებზე, იწვევს მათი მუშაობის დეზინტეგრაციას, მგრძნობელობის მომატებას მტკივნეული და არამტკივნეული იმპულსაციის მიმართ და ითრევს მათ ტკივილის პათოლოგიური რეგულაციის წრეებში. ტვინში წარმოიქმნება ჰიპერაქტიური ნოციცეფტური სტრუქტურები, რომელთა პლასტიკური ცვლილებები, მომატებული მგრძნობელობა, განაპირობებენ ახალი, ალგიური პათოლოგიური სისტემის ჩამოყალიბებას. ამ სისტემის მოქმედების პროდუქტია ტკივილის სინდრომი.

ალოგენური ქიმიური ნივთიერებები, რომლებიც იწვევენ რეცეპტორული ტკივილის აგზნებას, არიან სეროტონინი, ჰისტამინი, პროსტაგლანდინები და არაქიდონის მჟავას სხვა წარმოებულები, კალიუმის და წყალბადის იონები, კინინები, სუბსტანცია P, ანგიოთენზინი, სომატოსტატინი, მონოამინები, გლუტამატი, დინორფინი. ნეიროქიმიური გარდაქმნების თანმიმდევრობა დამოკიდებულია პათოლოგიური ზემოქმედების ძალაზე. ქსოვილის დაზიანების, დესტრუქციის, ანთების პროცესში კასკადურად და ეტაპობრივად გამონთავისუფლებული

ზემოთჩამოთვლილი ნაერთები განაპირობებენ პერიფერიული ნერვული დაბოლოებების მგრძნობელობის მომატებას (პერიფერიული სენსიტიზაციის ფენომენი) და მათ გარშემო შეშუპებას ქსოვილოვანი სითხით, რაც აფერხებს ნეირონთა ნორმალურ კვებას და მეტაბოლიზმს და ამით აღრმავებს აღწერილ პათოლოგიურ ცვლილებებს. მწვავე და ქრონიკული ტკივილის ტრანსმისიისათვის აუცილებელია ამინომჟავები გლუტამატი და ასპარტატი. გლუტამატი ერთ–ერთი მთავარი ამაგზნებელი ტრანსმიტერია. მისი რეცეპტორები იყოფა შემდეგ ჯგუფებად: NMDA, AMPA, კაინური, G პროტეინ დამოკიდებულები და მეტაბოტროპული რეცეპტორები. სტიმულებზე პასუხად ჯერ ააქტივებენ AMPA რეცეპტორებს, რასაც მოსდევს სუბსტანცია P–ს გათავისუფლება. ეს ყველაფერი იწვევს ხანგრძლივ პოსტსინაპსურ დეპოლარიზაციას, რომელიც ცვლის მაგნიუმის იონების გადაადგილებას, უჯრედში კალციუმის შესვლას და მის იქ დამაგრებას, აზოტის ოქსიდის აიროვანი ტრანსმისიის გაძლიერებას, NMDA რეცეპტორის განმუხრუჭებას, როგორც შედეგი, სხვადსხვა არხების გაღებას, იონების მემბრანის გავლით მოძრაობის დეზორიენტაციას, რაც აყალიბებს ჰიპერალგეზიის მდგომარეობის განვითარებას. ექსპერიმენტებით დადგენილია, რომ ჰიპერალგეზიას ასევე უწყობენ ხელს ნატრიუმის არხების მგრძნობელობის დარღვევა სხვადსხვა ნივთიერებების მიმართ (ტეტროდოტოქსინი), ტიროზინკინაზას რეცეპტორების აქტივაცია (ამ უკანასკნელს იწვევს ნერვის ზრდის ფაქტორი, რომელიც შედის ნეირონის სხეულში და აზიანებს რა მას, ათავისუფლებს სუბსტანცია P–ს).

გამოყენებული ლიტერატურა

იქიდან გამომდინარე, რომ ტკივილი ძირითადად არის სუბიექტური და მისი ხარისხის განსაზღვრა ხდება ვერბალური წარმოდგენების საფუძველზე, ტკივილის შეგრძნების განსაზღვრა და მენეჯმენტი ადამიანებში ხდება სტანდარტიზაციის მეთოდით. ტკივილის შესახებ მოსაზრებების გარშემო დღესაც კამათი მიმდინარეობს, თუმცა ის შეხედულება, რომ ტკივილის ფენომენს მხოლოდ ნეიროანატომიური კუთხით უნდა მივუდგეთ, დიდი ხანია შეიცვალა. დეფინიცია, რომელიც მოწოდებული იყო 1990-იან წლებში უსიამოვნო შეგრძნების და ემოციური განცდის გამოსახატავად, რომელიც დაკავშირებული იყო ქსოვილების დაზიანებასთან, დღესდღეობით უკვე იცვლება, რადგანაც ტკივილის არსებობისას სულაც არ არის აუცილებელი, ადგილი ჰქონდეს ქსოვილთა დაზიანებას.

ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით გამოიყო აგრეთვე სქესობრივი დიფერენცირებაც. აშშ-ში ჩატარებული კვლევის მონაცემებით, რომელიც ექვსი თვის მანძილზე შეისწავლიდა ერთ დღეზე მეტი ხანგრძლივობის ტკივილს, აღმოჩნდა, რომ ზურგის, თავის, სახის, გულმკერდისა და მუცლის არეში განეთავრებული ტკივილი უფრო მეტადაა დამახასიათებელი ქალებში, ვიდრე მამაკაცებში ნებისმიერი ასაკობრივი ჯგუფისათვის, თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს განსხვავება ასაკის მატებასთან ერთად მცირდება. ამ აღმოჩენამ წინ წამოწია რამდენიმე თეორია: ქალებში არის ბევრად დიდი ბიოლოგიური მგრძნობელობა მტკივნეული გამღიზიანებლის მიმართ; ფიზიოლოგიური კოგნიტური განსხვავება ქალებსა და

მამაკაცებში, რაც ტკივილს უფრო მეტად აღქმადს ხდის ქალებისათვის; სოციალური და კულტურული ფაქტორები, რომელიც გავლენას ახდენს ტკივილის განსხვავებულ გადაცემაში ქალებსა და მამაკაცებს შორის. ასე რომ, როგორც მკვლევარები თვლიან, მომავალში ეს ფაქტიც გარკვეულწილად გასათვალისწინებელია ტკივილის ანალგეზიისა და მენეჯმენტის განხორციელებისას.

საინტერესოა, რომ ტვინის ქსოვილს ნოციცეპტური რეცეპტორები არ გააჩნია და ამიტომ ტკივილს ვერ შეიგრძნობს. ასე, რომ თაეის ტკივილი არ შეიძლება აღმოცენდეს თვითონ ტვინში. მკვლევარები თვლიან, რომ ასეთი შეგრძნება ტვინის მაგარ გარსს გააჩნია, რომელშიც ნაპოვნია შესაძლო ნოციცეპტური ფუნქციის მატარებელი დურალური სტრუქტურები.

ამრიგად, ტკივილის ფენომენი და მისი მართვა თანამედროვე მედიცინის ერთ–ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს, რომლის ურთულეს მექანიზმებში გარკვევა და მათი მეშვეობით ტკივილის მენეჯმენტის განხორციელება მომაეალი სამედიცინო აზროვნების საკმაოდ მწვაეე გამოწვევაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. IASP. Pain 1979(6)249-252, ex Shipton, 1993–ტკივილის საერთაშორისო ასოციაციის გაიდლაინი.

2. Marta Kulichová ACHB, KAIM, MFN a JLF UK, Martin–Paliat. med. liec. boles., 2008, roč. 1 (3): 109–111.

3. Merskey, H. Pain Terms. A List with Defi nitions and Notes on Usage. Recommended by the IASP Sbcommittee on Taxonomy. Pain, 6, 1979, s. 249–252.

4. Jovey, RD. Managing Pain. 2. vyd. Purdue Pharma, 2002, 219 s.

5. Basbaum, A., Bushnell, MC. Pain: Basic Mechanisms. Pain 2002 – An Updated Review: Refresher Course Syllabus, ed. Giam berardino M.A., Seattle: IASP Press, 2002, s. 3–7.

6. Barash P., Cullen B., Stoelting R. Clinical Anesthesia. - Philadelphia-New York: Lippincott-Raven, 1996.
7. Miller R. Anesthesia. - Churchill Livingstone, 2010.
8. Morgan G., Mikhail M, Clinical Anesthesiology. - Prentice-Hall International Inc., 1996.
9. Michael F. Mulroy. Regional Anesthesia: An Illustrated Procedural Guide, 2nd ed. Boston, Little, Brown & Co., 1996.
10. Raphmell J., Neal J., Viscomy C. Regional Anesthesia. - Elsevier Mosby, 2000.

11. Илюкевич Г.В., Олецкий В.Э. Регионарная анестезия. - Минск: Ковчег, 2006.

12. Шифман Е.М., Филиппович Г.В. Спинномозговая анестезия в акушерстве. - Петрозаводск: Интел Тек, 2005.
13. Шурыгин И. А. Спинальная анестезия при кесаревом сечении. - С.-Петербург: Диалект, 2004.

მასალები საიტებიდან:

1. www.nysora.com
2. www.rusanesth.com
3. www.esraeurope.org

4. www.neuraxion.com
5. www.critical.ru
6. www.tryphonov.ru

Phato and psychophysiology of nociception

Lasha Ninoshvili
Academic Doctor of Medicine
Full Professor of Sukhishvili Teaching University
E-mail: lashaninoshvili63@gmail.com
Tel: 592 00 69 50

Resume

Pain – phisiological phenomenon, evolutionary acquisition that has signal – identification unction and can warn a person on the feeling level. Pain is not only phisical phatology; it is phisiological, phatological, emotional, phsicological, cognitive and joint environmental and social factors. The pain successful control key mechanisms are those that cause or resist pain.

Thus, pain phenomenon and its management presents one of the most actual problems of the modernity.

ჰიპერტენზია ორსულობისას
(მოკლე მიმოხილვა)

ეკატერინე სუხიშვილი
სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის
რექტორის მოადგილე

ფეხმძიმობისას ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ გართულებას ჰიპერტენზია წარმოადგენს, რომელიც საფრთხეს უქმნის, როგორც დედის, ისე ნაყოფის ჯანმრთელობას. ორსულ ქალებში ჰიპერტენზია მრავალ ორგანოს ფუნქციონირებაზე ახდენს გაელენას, მათ შორის თავის ტვინზეც, რაც შესაძლოა ეკლამპსიაში გადაიზარდოს (Roberts, Redman, 1993; Barron, 1991; Wityk, Pessin, 1997; Donaldson, 1988). მშობიარის სიკვდილიანობის ერთერთი წამყვანი მიზეზი კი, სწორედ ეკლამპსიაა. დადგენილია, რომ ეკლამპსიიო გამოწვეულ სიკვდილიანობის 40 პროცენტ შემთხვევაში ლეტალობა ცერებროვასკულური დარღვევებით არის განპირობებული (Donaldson, 1989).

ითვლება, რომ ეკლამპსია ჰიპერტენზიული ენცეფალოპათიის ერთერთი ფორმაა (Schwartz et al., 2000; Engelter et al., 2000; Williams, Wilson, 1999). მისი აღმოცენება უკავშირდება სისტემური არტერიული წნევის უეცარ მკვეთრ მატებას, რის შედეგად ხდება სისხლძარღვთა ფორსირებული დილატაცია, აუტორეგულაციის მოშლა და ჰიპერფერფუზია ჰემატო-ენცეფალური ბარიერის დარღვევით და შეშუპების განვითარებით (Schwartz et a., 2000; Wityk, Pessin, 1997; Oehm et al., 2003). არის საკმაო საფუძველი, რომ ვილაპარაკოთ ეკლამპსიის და ჰიპერტენზიული ენცეფალოპათიის მსგავსებაზე. მათ მსგავსი სიმპტომატიკა ახასიათებს (თავის ტკივილი, გულის რევა, მხედველობის დარღვევა და მძიმე შემთხვევებში – კრუნჩხვაც (Sibai, 2005). ასევე მსგავსი სურათი აისახება იმიჯინგის შედეგებზე – თეთრი ნივთიერების შეშუპება და ჰემატოენცეფალური ბარიერის მოშლა (Zeeman et al., 2004; 2005; Schwartz et al., 1992). ამასთან ერთად, კლინიკური მონაცემები მოწმობენ რომ ეკლამპსიური კრუნჩხვების დაწყების წინ და მის შემდეგ თავის ტვინის სისხლის მიმოქცევა გაძლიერებულია (Ohno et a., 1999; Belfort, 2005; Zeeman, 2004; Zunker et al., 2000), რაც კიდევ უფრო მეტად ამტკიცებს მოსაზრებას, რომ ეკლამპსია ჰიპერპერფუზიულ დარღვევას მიეკუთვნება.

კარგად არის ცნობილი, რომ ორსულობა ასოცირებს გულსისხლძარღვთა მნიშვნელოვან ადაპტაციურ ცვლილებებთან, როგორც სისტემური ისე ლოკალური ცირკულაციის დონეზე (Hermsteiner et al., 2001; Cipola, et al., 1994; 2004; 2007; Gilson et al., 1992). იმის მიუხედავად, რომ სხვადასხვა ორგანოში ფეხმძიმობით გამოწვეული ვასკულური ცვლილებები უკვე დიდი ხნის განმავლობაში შეისწავლება, შეიძლება ითქვას, რომ თეით ორსულობის და მის დროს განვითარებული ჰიპერტენზიის

მოქმედება თავის ტვინის სისხლის მიმოქცევაზე პრაქტიკულად ამ ბოლო წლების განმავლობაში გახდა შესწავლის ობიექტი.

დავუბრუნდეთ ისევ ეკლამპსიის მოვლენას. ლიტერატურაში მას განმარტავენ, როგორც კრუნჩხვების წარმოქმნას პრეეკლამპსიურ პაციენტში, ხოლო პრეეკლამპსიაში კი გულისხმობენ მდგომარეობას, როდესაც სისტემური არტერიული წნევა აღემატება ს.ს. 140/90 მმ-ს და ადგილი აქვს მნიშვნელოვან პროტეინურიას (Roberts, Redman, 1993). თუმც მხოლოდ კრუნჩხვები განიხილება ეკლამპსიის მაჩვენებლად, მაგრამ არის მისი წინმსწრები რიგი ნეიროლოგიური სიმპტომებიც – გამუდმებული თავის ტკივილი, ამღვრეული მხედველობა და მენტალური აშლილობა (Roberts, Redman, 1993; Barron, 1991; Wityk, Pessin, 1997). საკმარისად ხანგრძლივი დებატები იყო გამართული იმის თაობაზე, თუ რა წარმოადგენს ამ ნეიროლოგიური სინდრომების აღმოცენების მიზეზს – თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის "ზეაუტორეგულაცია" (რომლის შედეგად შესაძლოა ცერებრული ვაზოსპაზმის და იშემიის განვითარება), თუ პიპერპერფუზია, მომდევნო შეშუპებით (Easton, 1998). ამ გაურკვეველობის საფუძველს წარმოადგენდა ალბათ ის, რომ ეკლამპსიისას ადგილი აქვს სხვადასხვა ხარისხის ჰემორაგიას, შეშუპებას და ვასკულოპათიას (Zunker et al., 2000; Thomas, 1998). მაგრამ ამ ნეიროლოგიური გამოვლენების შექცევადობა მშობიარობის შემდგომ რამდენიმე დღეში ან კვირაში მიუთითებს იმაზე, რომ ადგილი არ ჰქონდა ნამდვილ ცერებრულ იშემიურ ნეკროზს.

ნეიროლოგიური სიმპტომატიკის და შეშუპების თავდაპირველი ახსნა გამოიხატებოდა იმაში, რომ მათ მიაწერდნენ შექცევადი პოსტერიული ლეიკოენცეფალოპათიის სინდრომის ერთ-ერთ ფორმას (Pizon, Wolfson, 2005), ან შექცევადი პოსტერიული ენცეფალოპათიის სინდრომს - PRES (Servillo, et al., 2003). ეს უკანასკნელი არის ჰიპერტენზული ენცეფალოპათიის ნაირსახეობა. ორივე შემთხვევაში დარღვევა ვითარდება მაშინ, როდესაც სისტემური არტერიული წნევა აღემატება თავის ტვინის არტერიების და არტერიოლების მიოგენური ვაზოკონსტრიქციის შესაძლებლობას და იკარგება აუტორეგულაციის უნარი, ირღვევა ჰემატოენცეფალური ბარიერი და ვითარდება ვაზოგენური შეშუპება (Mirza, 2006; Engelter et al., 2000).

პრინციპული სხვაობა ჰიპერტენზიულ ენცეფალოპათიასა და PRES-ს შორის არის ის, რომ PRES შეიძლება განვითარდეს სისტემური არტერიული წნევის მნიშვნელოვანი მატების გარეშეც (Mirza, 2006). ფაქტია, რომ ეკლამპსია შეიძლება მოხდეს მაშინაც, როცა სისტემური არტერიული წნევა დაბალია შედარებით იმ წნევებთან, რომლებიც ახასიათებს ჰიპერტენზიულ ენცეფალოპათიას. ასეთი მდგომარეობა მიუთითებს იმაზე, რომ ძირითადი მიზეზი უნდა ვეძიოთ თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის აუტორეგულაციის სისტემის ფუნქციონირებაში. ნებისმიერ შემთხვევაში ცერებრული სისხლის მიმოქცევა არის აღწერილი სინდრომების

პიეელადი ეფექტორი და წარმოადგენს ეკლამპსიის პათოგენეზის პრინციპულ და ცენტრალურ ფაქტორს.

თუ გაეერკვევით თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის აუტორეგულაციის სისტემის ფუნქციონირების თავისებურებებში ორსულობის და მის შემდგომ პირობებში ალბათ შესაძლებელი გახდება მეტი სიცხადე შევიტანოთ ეკლამპსიის განვითარების და მისი მკურნალობის მეტად მნიშვნელოვან საკითხებში.

ეხლა კი მოკლედ მიმოვიხილოთ თუ რა არის ცნობილი თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის აუტორეგულაციის შესახებ და რა მექანიზმებით ხორციელდება ეს პროცესი.

თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის სისტემის თვისებას არტერიული წნევის გარკვეულ საზღვრებში ცვლილების დროს მეტ-ნაკლებად მუდმივ დონეზე შეინარჩუნოს თავისი სისხლით მომარაგება თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის აუტორეგულაცია ეწოდება. თუმცა აუტორეგულაციის ცნება თავისთავად უფრო ფართოა და უნდა მოიცავდეს მარეგულირებელი პროცესების დიდ კლასს, მსოფლიო ფიზიოლოგიურ ლიტერატურაში ეს ტერმინი დამკვიდრდა და მისაღები გახდა სწორედ ამ ვიწრო გაგებით.

თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის აუტორეგულაცია ნაჩვენები იქნა როგორც ადამიანებში, ასევე ცხოველებში. პერფუზიული წნევის დაცემისას თავის ტვინში სისხლის ნაკადის მუდმივობა მიიღწევა რეზისტენტული სისხლძარღვების დილატაციით, ხოლო წნევის გაზრდისას კი - მათი შევიწროებით. აუტორეგულაციის შესაძლებლობანი შეზღუდულია წნევათა განსაზღვრული დიაპაზონით. ზოგადად რომ ვთქვათ, ეს დიაპაზონი მოთავსებულია პერფუზიული წნევის "დაბალ" და "მაღალ" დონეებს შორის. აუტორეგულაციის დიაპაზონის დადგენა გართულებულია ფართო ინდივიდუალური განსხვავებების გამო. კლინიკური ან ექსპერიმენტული მონაცემების იმ სტატისტიკურ შერჩევაზე (ამოკრეფაზე) დამოკიდებულებით, ლიტერატურაში მოცემულია როგორც ძალზე ვიწრო, ისე საკმაოდ ფართო დიაპაზონები, რომლებიც შეიძლება გადახრილი იყოს როგორც დაბალი, ისე მაღალი წნევების მხარეს. ამ თვალთახედვით, ალბათ ყველაზე უფრო მისაღებია ვენ აკენის მიერ მოცემული საზღვრები: ქვედა ზღვარი – სინდიყის სვეტის (ს.ს.) 60-80 მმ და ზედა – ს.ს. 150-200მმ [Van Aken, 1976]. ამ საზღვრებს მიღმა სისხლის ნაკადი პასიურად მიჰყვება სისტემური არტერიული წნევის ცვლილებას.

მტკიცედ დადგენილი ფაქტების კატეგორიას მიაკუთვნებენ თავის ტვინის სისხლის ნაკადის აუტორეგულაციის მოშლას (მის სრულ გაქრობამდე) ტრავმის, ნარკოზის მდგომარეობის, ხანგრძლივი ჰიპოქსიის ან იშემიის და ჰიპერკაპნიის დროს.

ამრიგად, თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის აუტორეგულაცია ფრიად მგრძნობიარეა სხვადასხვა გენეზის დაზიანებების მიმართ.

თუ თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის აუტორეგულაციის ფაქტი საყოველთაოდ არის აღიარებული და არ იწვევს მკვლევარების ეჭვს, სულ სხვაგვარად არის საქმე იმ მექანიზმების ახსნასთან დაკავშირებით, რომლებიც მას უდევს საფუძვლად. ამ საკითხისადმი მიძღვნილი უამრავი გამოკვლევა ძირითადად სამ თეორიამდე დაიყვანება:

1. <u>მიოგენური თეორია</u> – ამტკიცებს, რომ სისხლძარღვშიდა წნევის ცვლილებით გამოწვეული სისხლძარღვის კედლის დეფორმაცია იწვევს მასში განთავსებული მექანორეცეპტორების გააქტივებას, რის საპასუხოდ ვითარდება გლუვი კუნთის ან მოდუნება ან შეკუმშვა იმის მიხედვით თუ რა მიმართულებით იცვლება სისხლძარღვშიდა წნევა.

2. <u>მეტაბოლური თეორია</u> – ამტკიცებს, რომ ცერებრული სისხლის ნაკადის დონე რეგულირდება ნერვულ ქსოვილში ერთი ან რამოდენიმე ნივთიერების კონცნტრაციის მიხედვით, რომელიც ან გამოიყენება მეტაბოლიზმისათვის ან პროდუცირდება მეტაბოლიზმის შედეგად. თუ პერფუზიული წნევა ეცემა მეტაბოლიზმის ცვლილების გარეშე, სისხლის ნაკადის შემცირება ნერვულ ქსოვილში აქვეითებს ჟანგბადის და ზრდის ნახშირორჟანგის დაძაბულობას. ორივე ფაქტს მივყავართ რეზისტენტული სისხლძარღვების ტონუსის დაქვეითებამდე და, შესაბამისად, სისხლის ნაკადის მომატებისაკენ. პერფუზიული წნევის მატებისას სურათი შებრუნებულია.

3. ნეიროგენური თეორია – თქის, რომ თავის ტვინის სისხლით მომარაგების დარღვევა აღიქმება რეცეპტორული ზონით და პერფუზიული წნევის ცვლილების მიმართულებაზე დამოკიდებულებით შესაბამისი ზემოქმედება იგზავნება დილატაციური ან კონსტრიქციული ეფექტორული ბოჭკოებით, რომლებიც აინერვირებენ ცერებრულ სისხლძარღვებს.

ყოველი ზემოთ ჩამოთვლილი თეორია მეტ-ნაკლებად აღწერს აუტორეგულაციის პროცესს, თუმცა რეგულაციის კონკრეტული კონტურის დეტალიზაცია, მისი ლოკალიზაცია და ხასიათი ბოლომდე ცნობილი არ არის.

აქედან გამომდინარე, თუ გაეერკვეით თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის აუტორეგულაციის სისტემის ფუნქციონირების თავისებურებებში ორსულობის პროცესში ალბათ შესაძლებელი გახდება მეტი სიცხადე შევიტანოთ ეკლამპსიის განვითარების და მისი მკურნალობის მეტად მნიშვნელოვან საკითხებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Barron W.M. Hypertension. In: Medical disorders of pregnancy. St. Louis, MO, Mosby Year Book, 1991, 1-41
2. Belfort M.A. A case report. Hypertens. Pregnancy., 2005, 24, 59-63, 2005;
3. Cipola M.J., Osol G.. Am. J. Obstet. Gynecol., 1994, 171, 805-811.
4. Cipola MJ. Hypertension, 2007, 50, 14-24.

5. Cipolla MJ, Vitillo L., McKinnon J. Am. J. Physiol. Heart circ. Physiol., 2004, 286, H2127-H2132.
6. Donaldson J.O. Semin Neurol., 1988, 8, 230-233.
7. Donaldson J.O.. London, UK, Saunders, 1989, 269-310.
8. Easton D.J. Cerebrovascul. Dis., 1998, 8, 53-58.
9. Engelter S.T., Provenzale J.M., Petrella J.R. Neuroradiology, 2000, 42, 818-820.
10. Gilson G.J., Mosher M.D., Conrad K. Am J. Physiol. 1992, 263, H1911-H1918.
11. Hermsteiner M., Zoltan D., Kunzel W. Eur. J. Obstet. Gynecol. Reprod. Biol., 2001, 100, 29-35.
12. Mirza A. J. Clin. Neurosci., 2006, 590-595.
13. Oehm E., Reinhard M., Keck C., Els T., Spreer J., Hetzel A. Ultrasound Obstet. Gynecol., 2003, 22, 395-398.
14. Ohno Y., Wakahara Y., Michiyasu K., Arii Y. Acta obstet. Gynecol. Scand., 1999, 78, 555-556.
15. Pizon A.F. Wolfson A.B. J. Emergency Med., 2005, 29, 163-166,
16. Roberts J.M., Redman C. Lancet, 1993, 341, 1447-1454.
17. Schwartz R.B., Jones K., Kalina P., Bajakian R., Mantello M.T., Garada B., Holman B.L. Am. J. Roentgenol., 1992, 159. 379-383.
18. Schwartz R.B., Feske S.K., Polak J., DeGirolami U., Iaia A., Beclner K., Bravo S.M., Klufas R., Chai R.Y., Repke J.T. Radology, 2000, 217, 371-376.
19. Servillo G., Striano P., Striano S. Intensive Care Med., 2003, 29, 2323-2326.
20. Sibai B. Eclampsia VI. Am. J. Obstet. Gynecol., 1990, 163, 1049-1055.
21. Thomas S.V. J. Neurol. Sci., 1998, 155, 37-43.
22. **Van Aken J.** Acta Anaesthesiol Belg. 1976, 27, 1, 11-19.
23. Wityk R.J., Pessin M.S. Hypertensive encephalopathy. In: Cerebrovscular disease. Philadelphia, PA, Lippincot Raven Publishers, 1997, 97-102.
24. Zeeman G.G., Flekenstein J.L., Twickler D.M., Cunningham F.G. Am. J. Obstet. Gynecol., 2004, 190, 714-720.
25. Zeeman G.G., Hatab M.R., Twickler D.M. Am. J. Obstet. Gynecol., 2005, 191, 1425-1429.
26. Zunker P. , Happe S., Georgiadis A., Louwen F., Georgiadis D., Ringelstein E., Holgreve W. Ultrasound Obstetr. Gynecol., 2000, 16, 179-187.

Hypertension in pregnancy
(Brief review)

Ekaterine Sukhishvili
Sukhishvili Teaching University

Resume

One of the most common complications of pregnancy is hypertension, which threatens the health of both mother and fetus.

On the basis of data published in literature, the paper briefly discusses the possible causes of eclampsia (one of the form of hypertensive encephalopathy), including overautoregulation of cerebral blood flow resulting in development of vasospasm and ischemia.

Digitalis ciliata Trautv. – წამწამოვანი სათითურას თესლების პრეგნანული გლიკოზიდები

ალექსანდრე სხირტლაძე,
სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
თსსუ იოველ ჭუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი
E-mail: a_skhirtladze@yahoo.com, Tel: 599 77 51 46
ეთერ ქემერტელიძე
თსსუ იოველ ჭუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი

შესავალი: სტეროიდები ფართოდაა გავრცელებული მცენარეულ და ცხოველურ სამყაროში და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მათ ფიზიოლოგიურ და ბიოქიმიურ პროცესებში. სტეროიდებს ციკლური აგებულება აქვთ. მათი სტრუქტურის საფუძველია სტერანის - ციკლოპენტანოპერჰიდროფენანტრენის ჩონჩხი. სტეროიდების ერთ–ერთ მნიშვნელოვან ჯგუფს პრეგნანები მიეკუთვნება, რომლებიც გვხვდება როგორც მცენარეებში, ასევე ცხოველურ უჯრედებში. მცენარეებში ხშირად გლიკოზიდების სახითაა წარმოდგენილი. მცენარიდან გამოყოფილი პრეგნანული გლიკოზიდები ამჟღავნებენ ციტოტოქსიურ, ანტიდეპრესანტულ, სიმსივნის საწინააღმდეგო, იმუნო-მასტიმულირებელ, ანტიპროლიფერაციულ, ანტიპარაზიტულ, სიმსუქნის საწინააღმდეგო, ანტიოსტეოპოროზულ და სხვა აქტივობებს [1-5].

პრობლემის აქტუალობა: Digitalis - სათითურას გვარი (ოჯახი Scrophulariaceae) აერთიანებს 36 სახეობას, რომლებიც ძირითადად გავრცელებულია სამხრეთ-დასავლეთ ევროპაში, ჩრდილოეთ აფრიკაში, კაკასიაში და მცირე აზიაში.

სათითურა ძირითადად ცნობილია საგულე გლიკოზიდების, კერძოდ კარდენოლიდური ჯგუფის და სტეროიდული საპონინების მაღალი შემცველობით. სათითურაში ბიოსინთეზირდება აგრეთვე C21 სტეროიდები ანუ პრეგნანები. ისინი არ შეიცავენ 5 ან 6 წევრიან გეერდით უჯერ ლაქტონურ ბირთვს და მოკლებულნი არიან კარდიოტონულ აქტივობას. მათი აგლიკონი შეიცავს 17α ალიფატურ გეერდით ჯაჭვს, რომელიც შედგება 21 ნახშირბადის ატომისაგან.

სათითურას სახეობიდან საქართველოში გვხვდება Digitalis ferruginea L. - ჟანგაროვანა სათითურა და წამწამოვანი სათითურა - Digitalis ciliata Trautv, რომელიც კაკასიის მკაცრ ენდემს წარმოადგენს.

D. ciliata დიდი მასივები აღმოჩენილია საქართველოს ტერიტორიაზე და ჩრდილოეთ კაკასიაში. კვლევების შედეგად აღმოჩნდა, რომ მცენარე შეიცავს დიდი რაოდენობით საგულე გლიკოზიდებს, სტეროიდულ საპონინებს და სხვა ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს და იგი წარმოადგენს მაღალხარისხოვან სამკურნალო ნედლეულს. ფოთლები შეიცავს დაახლოებით 4-4.5% საგულე გლიკოზიდებს [6]. არანაკლებ 20 კარდენოლიდია ასევე აღმოჩენილი თესლებში. დომონანტ კარდენოლიდებს დიგიტოქსინი და აცეტილდიგიტოქსინ-α წარმოადგენენ [7].

სათითურას ფოთლებიდან შემუშავებულია და ფართოდ გამოიყენებოდა საგულე მოქმედების შემდეგი პრეპარატები: „დიგიტოქსინი“ 0,1გ ტაბლეტებში, „აცეტილდიგიტოქსინი“ 0,1გ ტაბლეტებში, წამწამოვანი სათითურას ფოთლების წვენი, „დიგიცილენი“ ამპულებში და „დიგიცილი“ 0,25გ ტაბლეტებში [8].

საგულე გლიკოზიდების გარდა, მცენარე დიდი რაოდენობით შეიცავს სტეროიდულ საპონინებს, როგორც სპირო-, ასევე ფუროსტანოლურ ფორმებს. თესლების ძირითად საპონინს წარმოადგენს დიგიტონინი. იგი წარმოადგენს შეუცვლელ ბიოქიმიურ რეაქტივს, რომელიც უკვე მრავალი წელია ფართოდ იხმარება სხვადასხვა ბიოლოგიურ კვლევებში. ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი აკადემიკოს ეთერ ქემერტელიძის ორიგინალური ტექნოლოგიის მიხედვით [9] სათითურას თესლებიდან ღებულობდა მაღალი ხარისხის კომერციულ დიგიტონინს 2–3% გამოსავლით.

თესლი შეიცავს 30%–მდე ცხიმოვან ზეთს, ნეიტრალურ ლიპიდებს - ღია ყვითელი ფერის არომატული სუნის მჟავე სითხეს, რომელშიც აღმოჩენილია ცხიმოვანი მჟავები შემდეგი პროცენტული თანაფარდობით: პალმიტინის 3,2 %, სტეარინის 1,2%, ოლეინის 16,2% და ლინოლის 22,1%. სათითურას თესლები ასევე შეიცავს სტერინებს: β–სიტოსტერინს 53%, სტიგმასტერინს 36,7%, და ქოლესტერინს 9,3%. სათითურაში ასევე აღმოჩენილია ფლავონოიდები და ანტრაქინონები: აპიგენინი, ლუტეოლინი და დრაკოცეფალოზიდი.

როგორც ავღნიშნეთ, წამწამოვანი სათითურას ფოთლები და თესლები ფართოდ გამოიყენებოდა სხვადასხვა პრეპარატის თუ ბიოქიმიური რეაქტივის მისაღებად სამრეწველო მასშტაბით. თესლების გადამუშავების შედეგად, დიგიტონინის გამოყოფის შემდეგ, სამრეწველო ხსნარი ფაქტიურად არ გამოიყენებოდა. როგორც კვლევებით დადგინდა იგი შეიცავს დიდი რაოდენობით პრეგნანულ გლიკოზიდებს, რომელთა შესწავლასაც ეხება ჩვენი ნაშრომი.

კვლევითი კომპონენტის აღწერა.

პაერშრალი დაწერილმანებული თესლების 150 გ ვათავსებდით სოქსლეტის აპარატში და ვწილილავდით 800 მლ პექსანით 16 სთ–ის განმავლობაში. თესლი გადმოგვქონდა, ვაშრობდით პაერზე, ისევ ვათავსებდით სოქსლეტში და ვწილილავდით 800მლ ქლოროფორმით 16 სთ–ის განმავლობაში. ქლოროფორმიანი ექსტრაქტიდან გამხსნელს გამოვხდიდით აბაზანაზე და ნაშთს ვაშრობდით ვაკუუმ–მაშრობ კარადაში. თესლებს გაშრობის შემდეგ ეუმატებდით 700მლ 70 %–იან მეთანოლს და ვაცხელებდით გამხსნელის დუღილის ტემპერატურაზე. ექსტრაქციას ვიმეორებდით 4–ჯერ. გაერთიანებულ ექსტრაქტებს ვფილტრავდით ბიუხნერის ძაბრში ვაკუუმის ქვეშ და ვასქელებდით ვაკუუმ–როტაციულ აპარატზე სპირტის სრულ მოცილებამდე. დარჩენილ წყლიან ხსნარს (200 მლ) გამყოფ ძაბრში ეწწილილავდით 5–ბუთანოლით 5–ჯერადად. ბუთანოლიანი ექსტრაქტიდან გამხსნელს ეხდიდით და ნაშთს ვაშრობდით.

ქლოროფორმიანი ნაშთის ფრაქციონირებას ვახდენდით სვეტური და მაღალ ეფექტური სითხური ქრომატოგრაფიული მეთოდებით. ქლოროფორმიანი ექსტრაქტის 3გ გადაგვქონდა სილიკაგელის (100/160 μm, 250 გ) სვეტზე (2,5/100 სმ) სველი წესით. ყველა ფრაქციას ვამოწმებდით თფქ ანალიზით, გამხსნელთა სისტემაში ქლოროფორმი–მეთანოლი–წყალი (80:18:2) და (26:14:3).

შედეგად მიღებულ იქნა პრეგნანული გლიკოზიდებით მდიდარი 4 ძირითადი ფრაქცია. ცალკეულ გამდიდრებული ფრაქციების ქრომატოგრაფირებას ვაწარმოებდით მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფიის 515 HLPC Waters R590 გამოყენებით შებრუნებული ფაზის სვეტზე μ Bondapak C18 (15/300 მმ 25/40 მკმ). მოძრავი ფაზის სიჩქარე 1,5–2 მლ/წთ. HLPC აღჭურვილია Waters R 401 რეფრაქტული დეტექტორით და U6K ინჟექტორით. მობილურ ფაზად ვიყენებდით მეთანოლი–წყალი იზოკრატულ პირობებში (42 და 47% MeOH), სისტემა მუშაობდა 100/105 ბარ წნევის

პირობებში. გამხსნელებს Millaphor 0,45 მკმ ზომის ფილტრებში ეფილტრავდით და დეგაზაციას ვახდენდით ულტრაბგერით აბაზანაში. თითო ინჟექტირებაზე სვეტზე გადაგვქონდა 100 მკლ მეთანოლში გახსნილი 12 მგ ფრაქცია, რომელსაც წინასწარ ვათავსებდით ცენტრიფუგირების აპარატში 10 წთ–ის განმავლობაში 3000 ბრ/წთ.

ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად მიღებულია 4 ინდივიდუალური გლოკოზიდი, რომლებიც მათეუსის რეაქტივით პრეგნანებისთვის დამახასიათებელ ლურჯ შეფერვას იღებენ.

იზოლირებული ინდივიდუალური გლიკოზიდების სტრუქტურები დადგინდა მაღალ მგრძნობიარე სპექტრულ ანალიზების (ბმრ ^{1}H, ^{13}C, HMBC, HSQC, COSY, TOCSY და ESI/MS) გამოყენებით.

მიღებული შედეგები.

პრეგნანი 1 – თეთრი ფერის ამორფული ფხვნილია, დადებითი იონიზაციის მას–სპექტრი ESI/MS უჩვენებს იონის პიკს 489 m/z $[M+H]^{+}$ და მანიშნელოვან ფრაგმენტს m/z 345 $[M+H-144]^{+}$ რომელიც მიუთითებს 1 დიდეზოქსიპექსოზის მოხლეჩვას. ნივთიერების მოლეკულური ფორმულა HR-MALDI მას–სპექტრომეტრით m/z 488,637 დადგინდა როგორც $C_{28}O_7H_{40}$. პრეგნანი 1–ის ^{1}H ბმრ სპექტრში აღინიშნება სიგნალები: სამი სტეროიდული δ 1,60 (3 H,s Me–18) 1,07 (3 H,S Me–19) 1,26 (3 H,d Me–21) და ერთი შაქრის 1,32 (3 H,d–Dig-6) მეთილის ჯგუფის; ერთი მეთოქსი ჯგუფის δ 3,34 (3 H,S), ორი–მეთინ პროტონის δ 3,58 (1H,m- H-3) და 4,01 (1 H,m- H-12) რომელიც ადასტურებს მეორეული სპირტის ფუნქციას; ერთი ოლეფინური პროტონის δ 5,53 (1 H,m- H-6) და ერთი ანომერული პროტონის δ 4,67 (1 H,d H-1 Dig). ^{13}C ბმრ სპექტრი უჩვენებს სიგნალებს: ორი მეორეული სპირტულ ფუნქციის δ 79,0 (C–3) და δ 90,0 (C–12); ორი კეტო ჯგუფის ნახშირბადის სიგნალს δ 214,0 (C–11) და δ 219,9 (C–15). შაქრის პროტონების ქიმიური ძვრადობები გაშიფრულია 1D-TOCSY და DQF-COSY სპექტრალური ანალიზების კომბინაციით და მათი შესაბამისი ნახშირბადის ქიმიური ძვრადობები ორ განზომილებებიანი HSQC და HMBC კორელაციური სპექტრებით. დადგინდა რომ შაქარი დიგინოზაა და იგი ჩანაცვლებულია აგლიკონის C-3 ნახშირბად ატომთან, რაც მტკიცდება HMBC სპექტრით შაქრის ანომერულ პროტონსა δ 4,67 (H-1 Dig) და δ 79,0 (C–3) შორის. კეტო ჯგუფების არსებობა მე–11 და მე–14 მდგომარეობაში დადგინდა HMBC სპექტრით, რომელიც უჩვენებს მნიშვნელოვან კორელაციურ პიკებს პროტონ სიგნალებს H-12, Me-18, Me-19, H-9 და C-11 ნახშირბად ატომებს შორის, ასევე H-14, H-16 და C-15 ნახშირბად ატომებს შორის. C-20 ნახშირბად ატომი შეერთებულია მე–12 მდგომარეობაში არსებულ ჰიდროქსილთან. რაც ასევე მტკიცდება HMBC კორელაციურ სპექტრით.

მიღებული მონაცემების საფუძველზე **პრეგნანი 1 წარმოადგენს პრეგნან(5,6)–ენ–11,15–დიონ–3β–12–α დიოქსი–3–O–β-D–დიგინოპირანოზიდს.**



პრეგნანი 2 – თეთრი ფერის ამორფული ფხვნილია, დადებითი იონიზაციის მას–სპექტრი ESI/MS უჩვენებს იონის პიკს 651 m/z $[M+H]^+$ და მანიშნელოვან ფრაგმენტებს m/z 489 $[M+H-162]^+$ და m/z 345 $[M+H-162-144]^+$ რომელიც მიუთითებს ერთი ჰექსოზის და ერთი დიდეზოქსიჰექსოზის მოხლეჩვას, შესაბამისად. ნივთიერების მოლეკულური ფორმულა HR-MALDI მას–სპექტრომეტრით m/z 650.352 $[M+H]^+$ დადგინდა როგორც $C_{34}O_{12}H_{50}$. პრეგნანი 2–აგლიკონიც დიგინიგენინია. შაქრებიდან აღმოჩნდა დიგინოზა და გლუკოზა, რომელთა პროტონების ქიმიური ძვრადობები პრეგნანი 1-ის მსგავსად გაშიფრულია 1D-TOCSY და DQF-COSY სპექტრული ანალიზების კომბინაციით და მათი შესაბამისი ნახშირბადის ქიმიური ძვრადობები ორგანზომილებებიანი HSQC კორელაციური სპექტრით. HMBC სპექტრი უჩვენებს კორელაციურ პიკებს შაქრების ანომერულ პროტონებს და ჩანაცვლებულ ნახშირბადებს შორის δ 4,65 (H-1 Dig) და δ 78,8 (C–3 Agl), δ 4,62 (H-1 Glc) და δ 74,0 (C–4 Dig).

მიღებული მონაცემების საფუძველზე პრეგნანი 2 იდენტიფიცირებულია, როგორც: **პრეგნ-(5,6)–ენ–11,15–დიონ–3β,12α-დიოლი–3–O-β-D-გლუკოპირანოზილ-(1→4)-O-β-D-დიგინოპირანოზიდი.**



პრეგნანი 3 – თეთრი ფერის ამორფული ფხვნილია, დადებითი იონიზაციის მას–სპექტრი ESI/MS უჩვენებს იონის პიკს 667 m/z $[M+H]^+$ და მნიშნელოვან ფრაგმენტებს m/z 505 $[M+H-162]^+$ და m/z 361 $[M+H-162-144]^+$ რომელიც მიუთითებს ერთი ჰექსოზის და ერთი დიდეზოქსიჰექსოზის მოხლეჩვას, შესაბამისად. ნივთიერების მოლეკულური ფორმულა HR+MALDI მას–სპექტრომეტრით m/z 667.276 $[M+H]^+$ დადგინდა როგორც $C_{34}O_{13}H_{50}$. პრეგნანი 3–ის ^1H ბმრ სპექტრში აღინიშნება სიგნალები: სამი სტეროიდული δ 1,60 (3H,s–18) 1,09 (3H,s–19) 1,27 (3H,d–21) და ერთი შაქრის 1,31 (3H,d–Dig-6) მეთილის ჯგუფის; ერთი მეთოქსი ჯგუფის δ 3,42 (3H,s), სამი მეთინ პროტონის δ 3,69 (1H,m-H-3), 4,33 (1H,m-H-4) და 4,02 (1H,m-H-12), რომელიც ადასტურებს მეორეულ სპირტულ ფუნქციას; ერთი ოლეფინური პროტონის δ 5,50 (1H,m-H-6) და ორი შაქრის ანომერული პროტონის δ 4,65 (H-1,d,Dig) და δ 4,62 (H-1,d,Glc). ^{13}C ბმრ სპექტრი უჩვენებს სიგნალებს: სამი მეორეული სპირტული ფუნქციის δ 79,3 (C–3), 75.0 (C–4) და δ 90,1 (C–12); ორი კეტო ჯგუფის δ 214,3 (C–11) და δ 219,6 (C–15). მეოთხე მდგომარეობაში პიდროქსილის ჯგუფის β-კონფიგურაცია დამტკიცდა NOESY სპექტრული კორელაციით H-3, H-4 და Me-19-ს შორის (δ 3.69↔4.33↔1.09) შესაბამისად. შაქროვანი ჯაჭვი აგლიკონის მე-3 ნახშირბად ატომთანაა და HMBC სპექტრში აღინიშნება კორელაციური პიკი დიგინოზას ანომერულ პროტონსა და გლიკოზილირებულ ნახშირბადს შორის δ 4.65 (H-1 Dig) და δ 79.3 (C-3 Agl). შაქრების ^1H და ^{13}C ბმრ სპექტრული მნიშნელობები პრეგნანი 2-ის იდენტურია და

შესაბამისად, ნივთიერება დახასიათებულ იქნა, როგორც პრეგნ (5,6)–ენ–11,15–დიონ–3β,4β,12–α–ტრიოქსი–3–O–β–D–გლუკოპირანოზილ–(1→4)–O–β–D–დიგინოპირანოზიდი.



პრეგნანი 4 – თეთრი ფერის ამორფული ფხვნილია, დადებითი იონიზაციის მას–სპექტრი ESI/MS უჩვენებს იონის პიკს 813 m/z $[M+H]^+$ და მანიშველოვან ფრაგმენტებს m/z 651 $[M+H-162]^+$, m/z 489 $[M+H-162-162]^+$ და m/z 345 $[M+H-162-144]^+$ რომელიც მიუთითებს ორი ჰექსოზის და ერთი დიდეზოქსაჰექსოზის მოხლეჩვას, შესაბამისად. ნივთიერების მოლეკულური ფორმულა HR-MALDI მას–სპექტრომეტრით m/z 813.244 $[M+H]^+$ დადგინდა როგორც $C_{39}O_{17}H_{60}$. პრეგნანი 4–ის ^1H ბმრ სპექტრში აღინიშნება სიგნალები: სამი სტეროიდული δ 1,60 (3H,s–18) 1,07 (3H,s–19) 1,26 (3H,d–21) და ერთი შაქრის 1,32 (3H,d–Dig-6) მეთილის ჯგუფის; ერთი მეთოქსი ჯგუფის δ 3,43 (3H,s), ორი–მეთინ პროტონის δ 3,58 (1H,m-H-3) და 4,01 (1H,m-H-12), რომელიც ადასტურებს მეორეულ სპირტულ ფუნქციას; ერთი ოლეფინური პროტონის δ 5,53 (1H,m-H-6) და სამი შაქრის ანომერული პროტონის δ 4,67 (H-1,d,Dig), δ 4,66 (H-1,d,Glc) და 4,44 (H-1,d,Glc-1). ^{13}C ბმრ სპექტრი უჩვენებს სიგნალებს: ორი მეორეული სპირტული ფუნქციის δ 79.0 (C–3) და δ 90,0 (C–12); ორი კეტო ჯგუფის δ 214.0 (C–11) და δ 219,9 (C–15). პრეგნანი 2-ის აგლიკონიც დიგინიგენინია და პრეგნანი 1 და 2-ისაგან განსხვავდება მე-3 ნახშირბად ატომთან ჩანაცვლებული შაქრების რაოდენობით, რომელთა რაობა და რაოდენობა დადგინდა ^1H, ^{13}C, 1D-TOCSY, HSQC, HMBC და ROESY ექსპერიმენტების გამოყენებით. დადგინდა, რომ გლიკოზიდი შეიცავს ორ β-D-გლუკოზას და ერთ β-D-დიგინოზას. აგლიკონის მე-3 ნახშირბადთან დიგინოზაა ჩანაცვლებული, რომლის მე-4 ნახშირბადთან გლუკოზაა, ხოლო ამ უკანასკნელის მე-4 მდგომარეობაში მეორე გლუკოზის მოლეკულაა, რაც დამტკიცდა HMBC კორელაციური სპექტრალური პიკებით შაქრების ანომერულ პროტონებსა და ჩანაცვლებულ ნახშირბადებს შორის: δ 4,67 (H-1 Dig) და δ 79.0 (C–3 Agl), δ 4,66 (H-1 Glc) და δ 74,0 (C–4 Dig), δ 4.44 (H-1 Glc1) და δ 75.7 (C–4 Glc).

ცხრილი 1

პრეგნანი 4-ის 13C და 1H სპექტრების მნიშვნელობები (δ მ.ნ.)

№	^{13}C	^1H	№	^{13}C	^1H
1	38.3	2.08-1.29	Dig		
2	29.3	1.95-1.57	1	99.5	4.67
3	79.0	3.58	2	33.2	1.97-1.79
4	39.2	2.45-2.17	3	80.3	3.50
5	141.1	-	4	74.0	4.02
6	123.2	5.53	5	71.3	3.56
7	30.2	2.72-2.09	6	17.2	1.32

8	31.8	2.53	OMe	56.1	3.43
9	59.7	1.92	Glc		
10	39.6	-	1	103.8	4.66
11	214.0	-	2	75.2	3.31
12	90.0	4.01	3	80.6	3.59
13	56.4	-	4	75.7	3.55
14	57.7	2.48	5	76.2	3.42
15	219.9	-	6	61.9	3.90-3.87
16	40.3	2.27-1.80	Glc I		
17	49.5	2.50	1	104.4	4.44
18	25.0	1.60	2	74.6	3.26
19	19.6	1.07	3	77.6	3.38
20	77.7	4.63	4	71.0	3.35
21	16.9	1.26	5	74.2	3.32
			6	61.9	3.90-3.69

მიღებული მონაცემების საფუძველზე პრეგნანი 4 იდენტიფიცირებულია, როგორც: **პრეგნ-(5,6)-ენ-11,15-დიონ-3β-12α-დიოქსი-3-O-β-D-გლუკოპირანოზილ-(1→4)-O-β-D-გლუკოპირანოზილ-(1→4)-O-β-D-დიგინოპირანოზიდი.**



ყველა პრეგნანი პირველადაა იზოლირებული წამწამოვანი სათითურადან, ხოლო პრეგნანი 4 ახალ ორგანულ ნივთიერებას წარმოადგენს.

დასკვნა.

ჩატარებული კვლევის შედეგად წამწამოვანი სათითურას თესლებში აღმოჩენილია პრეგნანული გლიკოზიდების მნიშვნელოვანი რაოდენობა (9%-მდე). ოთხი დომინანტი გლიკოზიდი ინდივიდუალური სახითაა გამოყოფილი. წამწამოვანი სათითურას ბუნებრივი რესურსები კოლოსალურია. პრეგნანები კომერციული ნედლეულის - დიგიტონინის წარმოების ნარჩენებს წარმოადგენენ.

ლიტერატურული მონაცემების მიხედვით პრეგნანები ციტოტოქსიურ, სიმსივნის საწინააღმდეგო, ანტიპროტოზოული აქტივობებით ხასიათდებიან. მოსალოდნელია ჩვენს მიერ მიღებული ინდივიდუალური პრეგნანების საინტერესო ბიოლოგიური ეფექტურობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.Li Y, Zhang J, Gu X, Peng Y, Huang W, Qian S. Two new cytotoxic pregnane glycosides from Cynanchum auriculatum. Planta Med. 2008, 74(5), 551-4.

2.Plaza A., Perrone A., Balestrieri M. L., Felice F., Balestrieri C., Hamed A. I., Pizza C., Piacente S. New unusual pregnane glycosides with antiproliferative activity from *Solenostemma argel*. Steroids, 2005, 70, 9, 594-603.

3.Ye Y., Chen F., Sun H., Li X., Pan Y. Two novel immunosuppressive pregnane glycosides from the roots of *Stephanotis mucronata*. Bioorganic & Medicinal Chemistry Letters, 16, 2006, 17, 4586-4591.

4.Ye Y., Sun H., Li X., Chen F., Qin F., Pan Y. Four new C-21 steroidal glycosides from the roots of Stephanotis mucronata and their immunological activities. Steroids, 2005, 70, 12, 791-797.

5.Yin J, Han N, Liu Z, Song S, Kadota S. The in vitro antiosteoporotic activity of some glycosides in Dioscorea spongiosa. Biol Pharm Bull. 2010, 33(2), 316-20.

6.Кемертелидзе Э. П. Химическое исследование Наперстянки реснитчатой. «Мецниереба», Тбилиси, 1977, 173с.

7.Кемертелидзе Э. П. Сердечные гликозиды *Digitalis ciliata* Trautv., Дигитоксин из реснитчатой наперстянки. Мед. Пром. СССР, 1965, 4, 22-27; Ацетилдигитоксин-α. ХПС, 6, 379-382.

8.Кемертелидзе Э. П., Новые сердичные препараты дигицилен и дигицил. Мед. Пром. СССР, 1961, 7, 36-37.

9.Kemertelidze E.P., 1973. Method of producing digitonin. Patent UK Great Britain #1317839; 1976. Verfabren zur Gewinnung von Digitonin. Urkunden Bundesrepublik Deutschland. Patentschrift #2141410.

Pregnan glicosides form the seeds of *Digitalis ciliata* Trautv

Alexandre Skhirtladze,
Full Professor of Sukhishvili Teaching University
Iovel Kutateladze Institute of Pharmacochemistry
E-mail: a_skhirtladze@yahoo.com, Tel: 599 77 51 46
Ether Kemertelidze
Iovel Kutateladze Institute of Pharmacochemistry

Resume

Caucasian endemic plant Digitalis ciliata Trautv is rich with steroid substances. From the seeds for the first time the high content of pregnans are established. Using optimal conditions of column and high effective liquid chromatography methods four pregnane glycosides are isolated individually. Their structures were elucidated using high effective spectral experiments (^1H and ^{13}C NMR, ESI-MS/MS).

Лучевая болезнь в экологическом асппекте

Ассоц. Профессор М.Г. Мчедлидзе,
Е. В. Сухишвили

На рубеже XXI века человечество в полной мере ощутило глобальные экологический кризис, который однозначно указывает на антропогенную токсификацию нашей планеты. К наиболее опасным загрязнителям окружающей среды относят многие неорганические и органические веществ: радионуклиды, тяжелые металлы (такие как ртуть, кадмий, свинец, цинк), радиоактивные металлы, полихлорнрованные бифенилы, полиароматические углеводороды. Их постоянное воздействие вызывает серьёзные нарушения деятельности основных жизненных функций организма. Вероятно, человек перешел допустимые экологические пределы воздействия на все компоненты биосферы, что в конечном итоге поставило под угрозу существование современной цивилизации. Можно сказать, что человек подошел к пределу, который нельзя переступить ни при каких обстоятельствах. Один неосторожный шаг и человечество «сорвётся» в пропасть. Одно необдуманное движение, и человечество может исчезнуть с лика земли.

Среди различных факторов внешней среды, влияющих на здоровье населения, особую роль играет загрязнение атмосферного воздуха и водных источников питьевой воды. Значительное загрязнение атмосферы различными канцерогенными веществами в крупных городах нашей страны привело к тому, что за последние годы среди городских жителей количество онкологических больных возросло более чем в 1,5 раза.

Как это ни парадоксально, но на самом деле проблема радиационного облучения намного завышена, а где-то доходит и до истерии. Чернобыльская и другие подобные аварии породили особое психосоциальное явление – радиофобию. Самым классическим примером этого явления могут служить такие деятели, как организация «Гринпис» (Greenpeace), в своей деятельности доходящие до экстремизма. При более серьезном и детальном изучении проблемы оказывается, что все намного сложнее, чем просто отрицание или восхваление. По результатам деятельности действительно серьезных организаций, было выяснено, что основную часть облучения население получает от естественных источников радиации, и большинство из них таковы, что избежать облучение совершенно невозможно. На протяжении всей истории существования Земли разные виды излучения падают на поверхность Земли из космоса и поступают от радиоактивных веществ, находящихся в земной коре. Причем радиоактивное распределение крайне неравномерно в пространстве. Применение некоторых строительных материалов, использование газа для приготовления пищи, открытых угольных жаровен, герметизация помещений полеты на самолетах, медицинское обслуживание – все это и многое другое, даже образ жизни, увеличивает уровень облучения за счет естественных источников радиации. Но наиболее весомым из всех естественных источников радиации является невидимый, не имеющий ни вкуса, ни запаха тяжелый газ (в 7,5 раза тяжелее воздуха) радон. Согласно данным ООН, радон вместе со своими дочерними продуктами радиоактивного распада ответственен примерно 3/4 годовой индивидуальной эффективной эквивалентной дозы облучения, получаемой населением от земных источников радиации, и примерно за половину этой дозы от всех естественных источников радиации.

В случае же источников техногенного (антропогенного) происхождения следует учитывать, что во-первых, процент техногенного облучения населения всей Земли намного меньше, чем естественного облучения, а во-вторых, здесь уже вмешиваются проблемы несколько иного плана – это к примеру, экономико-энергетическая проблема. То есть других более реальных проектов по эффективной энергоотдаче в настоящее время нет, и атомная энергетика является единственным пока действительно вероятностным и экономически обоснованным вариантом из всех предлагаемых. Хотя это и не оправдывает и не освобождает, конечно же, от огромной ответственности при эксплуатации и разработке подобных проектов. В случае атомных испытаний думается, что излишняя нервозность неуместна тоже. Реалии сегодняшней жизни предполагают активное накопление знаний, а атомные

испытания есть необходимый и уникальный инструмент для изучения и познания, к примеру, в геологии (науках о Земле) – на сегодня сейсморазведка не располагает другим равносильным инструментом. Хотя, конечно же, как уже говорилось, с ученых – двойной спрос.

В аспекте вероятностной характеристики опасности техногенных источников излучения наиболее опасными (в смысле, намного более распространенными) являются вовсе не вышеуказанные атомные аварии или испытания. В тени остаются куда более реальные источники опасности – это например, медицинские процедуры и методы лечения, связанные с применением радиоактивности. Во многих странах этот источник ответственен практически за всю дозу, получаемую от техногенных источников радиации. Радиация в медицине используется как в диагностических, так и в лечебных целях (рентгеновский аппарат, лучевая терапия).

В принципе облучение больного в медицине направлено на исцеление больного, однако нередко дозы оказываются неоправданно высокими: их можно было бы существенно уменьшить без снижения эффективности, причем польза от такого уменьшения была бы весьма существенна, поскольку дозы, получаемые от облучения в медицинских целях, составляют значительную часть суммарной дозы облучения от техногенных источников. Было бы неверным рассматривать этот вопрос только с медицинской точки зрения, т.е. по отношению только к человеку. Человек является неотъемлемой частью природных экосистем, и помимо него в круговоротах вещества и энергии задействовано множество других живых существ, неживых объектов. Вообще, техногенные источники радиации представляют собой в отношении окружающей среды (не человека) крайне негативное явление. Неизбежное распространение технологий с применением радиоактивных материалов ведет к все более увеличивающемуся давлению на природные экосистемы.

К ионизирующим излучениям могут быть отнесены электромагнитные колебания с небольшой длиной волны, рентгеновские лучи и g-излучение, а также потоки a- и b-частиц (электронов), протонов, позитронов, нейтронов и других заряженных и нейтральных частиц. Все они могут стать поражающими факторами как при внешнем, так и при внутреннем облучении человека. В зависимости от проникающей способности этих частиц при внешнем облучении возможно попадание их на кожу или в более глубокие ткани. Наибольшей проникающей способностью обладают a-лучи и рентгеновские, меньшей – b-лучи.

Влиянию внешнего облучения организм подвергается только в период пребывания человека в сфере воздействия излучения. В случае прекращения радиации прерывается и внешнее воздействие, а в организме могут развиваться изменения – последствия излучения. В результате внешнего воздействия нейтронного излучения в организме могут образовываться различные радиоактивные вещества, например радионуклиды натрия, фосфора и др. Организм в подобных случаях временно становится носителем радиоактивных веществ, вследствие чего может наступить внутреннее его облучение.

Ионизирующее излучение возникает и при работе с различными радиоактивными веществами – естественными (уран, радий, торий) и изотопами. В радиоактивных изотопах ядра атомов нестабильны. Они обладают способностью распадаться, превращаться в ядра других элементов, при этом меняются их физико-химические свойства. Это явление сопровождается испусканием ядерных излучений и называется радиоактивностью, а сами элементы – радиоактивными. Радиоактивный распад характеризуется выделением энергии в виде g-излучения и корпускулярных частиц a-, b-излучение). При работе с радиоактивными веществами возможно попадание их внутрь организма через легкие или желудочно-кишечный тракт, а также через неповрежденную кожу. Особенно опасны в этом отношении работы по разработке радиоактивных руд. Радиоактивное излучение вызывает не только ионизацию воздуха, но приводит к аналогичному процессу в тканях организма, значительно при этом изменяя их. Выраженность возможных биологических сдвигов зависит от проникающей способности излучения, его ионизирующего эффекта, дозы, времени облучения и состояния организма.

Попадая в организм, радиоактивные вещества могут заноситься кровью в различные ткани и органы, становясь источником внутреннего излучения. Особую опасность при этом представляют долгоживущие изотопы, которые на протяжении почти всей жизни пострадавшего могут быть источниками ионизирующего излучения. Выводятся радиоактивные соединения в основном через желудочно-кишечный тракт, почки и органы дыхания. Разные виды излучения обладают различными свойствами, неодинаковой биологической активностью и поэтому представляют неодинаковой степени

опасность для работающих в контакте с ними. Так, при обслуживании рентгеновских аппаратов в медицинских учреждениях и технических лабораториях на работающих возможно воздействие рентгеновских лучей. Рентгеновские лучи являются электромагнитным излучением с очень короткой длиной волны и обладают высокой проникающей способностью.

Ионизирующему излучению могут подвергаться работающие с рентгеновскими и g-лучами при осуществлении g-дефектоскопии на промышленных предприятиях, работающие на ускорительных установках, обслуживающие ядерные реакторы, занятые на разведке и добыче полезных ископаемых и т.д. В настоящее время решены основные вопросы радиационной безопасности. Однако при нарушении техники безопасности или при определенных обстоятельствах ионизирующее излучение может быть причиной развития лучевой болезни (острой и хронической).

Основной особенностью действия ионизирующего излучения является ионизация атомов и молекул живой материи. Этот процесс считается начальным этапом биологического действия излучения и в дальнейшем вызывает функциональные и органические поражения тканей, органов и систем. В основе генеза лучевой болезни лежат сложные механизмы прямого и непрямого воздействия на организм ионизирующего излучения.

Прямое действие радиации (больших доз) на молекулы белка приводит к их денатурации. В результате молекула белка коагулируется и выпадает из коллоидного раствора, в дальнейшем подвергаясь под влиянием протеолитических ферментов распаду. При этом в клетке наблюдаются нарушения физико-химических процессов с деполимеризацией нуклеиновых кислот, что сопровождается изменением структуры поверхности клетки и проницаемости мембран. По теории мишени предполагается, что не вся клетка чувствительна к облучению. В каждой клетке имеется чувствительный участок – «мишень», которая воспринимает действие ионизирующего излучения. Установлено, что особо чувствительны к действию радиации хромосомы ядер и цитоплазма.

Непрямое действие ионизирующего излучения объясняется механизмом радиолиза воды. Как известно, вода составляет около 80% массы всех органов и тканей человеческого организма. При ионизации воды образуются радикалы, обладающие как окислительными, так и восстановительными свойствами. Наибольшее значение из них имеют атомарный водород (H), гидроксид (HO_2), перекись водорода (H_2O_2). Свободные окисляющие радикалы вступают в реакцию с ферментами, содержащими сульфгидрильные группы (SH), которые превращаются в неактивные дисульфидные соединения (S═S). В результате этих реакций и превращений нарушается каталитическая активность важных тиоловых ферментных систем, принимающих активное участие в синтезе нуклеопротеидов и нуклеиновых кислот, имеющих огромное значение для жизнедеятельности организма. Количество ДНК и РНК в ядрах клеток резко снижается, нарушается процесс их обновления. Изменения биохимизма ядер при этом морфологически выражаются в виде различных нарушений структуры хромосом, а следовательно, и всей генетической системы. Угнетение митотической активности тканей рассматривается как одно из специфических проявлений биологического действия ионизирующей радиации. На течение биохимических процессов в ядрах пораженных радиоактивным излучением тканей определенное влияние оказывают образующиеся радиотоксины и изменения нейрогуморальной и гормональной регуляции тканей и клеток. Нарушаются обменные процессы, приводящие к накоплению чуждых для организма веществ, таких, как гистаминоподобные, токсические аминокислоты. Все это усиливает биологическое действие ионизирующего излучения и способствует интоксикации организма. Тканевая интоксикация проявляется клиническими симптомами нарушения нервной деятельности, изменением функций внутренних органов (ахилия, миокардиодистрофия, гепатопатия, эндокринопатия, нарушение гемопоэза).

Одно из ведущих мест в патогенезе лучевой болезни занимает поражение органов кроветворения. Кроветворная ткань наиболее чувствительна к радиации, особенно бластные клетки костного мозга. Поэтому развивающаяся под влиянием радиации аплазия костного мозга является следствием угнетения митотической активности кроветворной ткани и массовой гибели малодифференцированных костномозговых клеток. Резкое снижение кроветворения обусловливает развитие геморрагического синдрома.

В формировании лучевой болезни определенное значение имеет тот факт, что ионизирующие излучения оказывают специфическое – повреждающее – действие на радиочувствительные ткани и органы (стволовые клетки кроветворной ткани, эпителий яичек, тонкого кишечника и кожи) и неспецифическое – раздражающее – действие на нейроэндокринную и первную системы. Доказано, что первная система обладает высокой функциональной чувствительностью к радиации даже в малых дозах.

Раздражение экстеро- и интерорецепторов приводит к функциональному парушению ЦНС, особенно ее высших отделов. В результате рефлекторно может изменяться деятельность внутренних органов и тканей. Определенное значение при этом придается эндокринным железам и прежде всего гипофизу, надпочечникам, щитовидной железе и др. Обращает на себя внимание возможность возникновения репаративно-регенеративных процессов в пораженных органах с первых часов облучения.

Большое внимание следует уделять диспансеризации, а также санитарно-просветительной работе среди работающих в условиях ионизирующих излучений по вопросам профилактики возможных заболеваний, здорового образа жизни.

СПИСОК ЛИТЕРАТУРЫ:

1. Артамонова В.Г., Шаталов Н.Н. Профессиональные болезни:Учебник. – 2-е изд., перераб. и доп. – М.: Медицина, 1988. – 416с., ил.
2. Радиация. Дозы, эффекты, риск: Пер. с англ . – М.: Мир, 1990. –79с., ил.
3. Шмаль А.Г. Экологическая безопасность в системе государственного управления. - Бронницы: МП "ИКЦ БНТВ", 2004 г.
4. . Хлобыстов Е.В. Оценка и моделирование экологической безопасности промышленного производства: региональный аспект. - Киев: СОПС, 2006.
5. Хаустов А.П., Редина М.М. Управление природопользованием. - М.: Высш. шк., 2005.

Radiation sickness in ecological aspect

Medea Mchedlidze
Associated Professor,
Ekaterine Sukhishvili

Resume

The Environmental problem has century's history; it however has become aggravated from second half of 19 centuries in process of planet industrialization. For last 100 years it has been destroyed about 1/4 earths processed in the world and about 2/3 woods of our planet. Approach of ecological crisis goes high rates worldwide, including "ice".

Industrial growth in developing countries leads to occurrence of such environmental problems which were considered earlier as illness of only rich countries. The center of gravity of one of the most serious and sharp environmental problems – pollution of soil, water and air – was displaced to the south.

The mainstream of struggle against prompt deterioration of environment is a working out of criteria of ecological safety and mass introduction of ecologically safe technologies. Ecological cooperation should be based objectively on a universal basis, reflect a reality of the problem.

Актуальные проблемы патогенеза и лечения хеликобактериоза

Шакарашвили М.В
Тбилисский Гос.Университет им. Ивапе Джавахишвили; доктор медицинских наук;
m.shakarashvili@mail.ru; 593 34 80 07;
Жвания Н
Тбилисская медицинская Академия им.П. Шотадзе; ассоцированный профессор
n_zhvania@yahoo.com; 595 44 90 94;

До настоящего времени язвенной болезнь (ЯБ) ассоциированная с Helicobacter pylori (HP), остается одной из актуальных проблем медицины. Сегодня инфекция HP считается важнейшим этиопатогенетическим фактором не только ЯБ, но и хронического гастрита (тип В), (гастродуоденита), MALT-лимфомы и рака желудка [1]. Длительная пилорического хеликобактера в желудочно-кишечном тракте (ЖКТ) кроме местного воздействия, может сопровождается системнымы изменениями в организме. Персистенция HP может вызвать развитие: сосудистых (атеросклероз, ишемическая болезнь сердца, синдром Рейно), аутоиммунных заболеваний и синдромов (аутоиммунный тиреоидит, ревматоидный артрит, синдром Шегрена), заболеваний крови (железодефицитная анемия, тромбоцитопеническая пурпура), кожи (атопический дерматит, красный плоский лишай, розовые угри, псориаз, эритродермия), мигрени, хронического панкреатита, задержки физического развития у детей, пищевой аллергии, очаговой алопеции и др. [5]

В настоящее время существует несколько штаммов HP. Данные об их взаимосвязи с той или иной патологией ЖКТ во многом противоречивы. Считается, что штамм vacAs1 ассоциируется с пептической язвой чаще, чем vacAs2. Отмечается взаимосвязь между дуоденальной язвой и vacA s1 m1-субтипом HP. [6]

Исследованиями последних лет выявлено, что первичное инфицирование человека HP чаще всего происходит в раннем детстве. [4] С возрастом частота инфицирования увеличивается, достигая уровня увзрослых к 8-14 годам. Большинство инфицированных остаются практически здоровыми в течение многих лет, и даже на протяжении всей жизни, хотя могут являться источником инфекции для окружающих. Возможно, также перекрестное инфицирование или наличие общего источника инфекции: водой, где HP сохраняется в течение нескольких суток, пищей, предметами личной гигиены. Фекально-оральный путь передачи имеет ограниченное значение. Доказана вероятность переноса HP, от одного человека к другому, через плохо обработанные инструменты, при различных медицинских процедурах. Имеют значение высокая генетическая предрасположенность к инфекции и напряженность иммунитета к HP [19]. Поэтому эрадикацию HP необходимо проводить вне зависимости от возраста пациента и у всех членов семьи одновременно, чтобы избежать повторного заражения [12].

Диагностика HP включает гистологические, бактериологические, биохимические, иммунологические и иммуногистохимические методы [16,19]. Предпочтительно применение неинвазивных (уреазный, дыхательный тест, полимеразная цепная реакция и иммуноферментный метод). В последние годы одними из наиболее информативных методов диагностики признаны полимеразная цепная реакция (для идентификации HP в различных видах биологического материала - желудочном соке, биоптатах слизистой оболочки, дентальных бляшках), кале. Анализ кала на HpSA и респираторный тест являются точными и могут использоваться для выявления HP и подтверждения эффективности лечения.

Недостатком метода обнаружения в крови антител типа IgG против HP является факт сохранения антител в крови в течение нескольких лет после эрадикации инфекции. Отрицательный анализ крови на IgG также не исключает хеликобактериоз. [9]. Ложноотрицательные результаты могут быть обусловлены тем, что HP может отсутствовать в взятых биоптатах слизистой оболочки или находится там в таких незначительных количествах, которые не воспринимаются диагностическими методами.

Основными требованиями, предъявляемыми в настоящее время к антихеликобактерной терапии, являются: частота излечения не менее 80%; хорошая переносимость с частотой побочных эффектов менее 5%; небольшая длительность лечения (до 2 недель); минимальная вероятность возникновения резистентности; невысокая стоимость препаратов. [10]

Как правило, в качестве антихеликобактерных средств используют: антибиотики (полусинтетические пенициллины и макролиды) - амоксициллин, кларитромицин (подавляют биосинтез белка микробной клетки); производные нитроимидазолов – метронидазол (клион, метрогил, трихопол и др.), тинидазол, фуразолидон; коллоидные соли висмута: субцитрат висмута (денол), трикалия цитрат висмута (вентрисол), субсалицилат висмута (ятрокс, пептобисмол, десмол), висмута субнитрат + висмута субгаллат (бисмофальк); ингибиторы протонной помпы (ИПП) (обладают антихеликобактерным действием благодаря снижению активности уреазы HP, подавлению бактериальной аденозинтрифосфатазы, повышению активности антибиотиков вследствие сдвига pH среды из кислой в щелочную сторону и уменьшения объема секреции)[7].

Под эрадикацией понимают полное уничтожение как вегетативной, так и кокковидной форм бактерий HP. [15]. Эффективность эрадикационной терапии заболеваний зависит от правильно проведенной антибиотикотерапии. Антибактериальная терапия должна отвечать следующим требованиям: используемые препараты должны эффективно воздействовать на HP; антибиотики должны быть устойчивыми к действию агрессивной кислой среды желудка; они должны обладать способностью проникать под слой желудочной слизи; иметь локальное действие в области слизистой оболочки; быстро выводиться из организма и не накапливаясь в других тканях и органах. Необходимость установления единого подхода к диагностике и терапии инфекции HP, основанного на опыте лучших европейских исследователей, привела к созыву в г. Маастрихт (Нидерланды, 1996 г.) конференции, организованной Европейской группой по изучению HP, где был принят документ: «Current European Concepts in the Management of HP InfectionThe Maastricht Consensus Report» (Маастрихт-1). В этом соглашении были установлены основные показания к эрадикации и рекомендованы оптимальные схемы лечения. В дальнейшем в связи с получением новых данных о свойствах возбудителя, расширением спектра заболеваний, вызываемых HP, и информации об эффективности различных схем эрадикационной терапии были разработаны рекомендации Маастрихт-2 (2000). Учитывая существенную необходимость реагирования на рост резистентности HP к рекомендованным стандартам терапии HP, в 2005 г. во Флоренции были разработаны дальнейшие рекомендации по ее лечению, получившие название "Маастрихт-3". Согласно положениям согласительного совещания «Маастрихт-3» продолжительность курса эрадикационной терапии должна составлять от 7 до14 дней. Если у пациента наблюдается неосложненное течение ЯБДПК, то длительность терапии может быть минимально требуемой стандартом (7-10 дней с последующим контролем ее эффективности). В случае же осложнения заболевания (кровотечение), с целью повышения эффективности лечения, снижения количества рецидивов кровотечения и оперативных вмешательств целесообразно назначение более длительной - 14 дневной эрадикационной терапии. Не существует отдельных показаний для проведения эрадикации HP у детей и подростков и пожилых пациентов. Детям лечение

проводится, также как и взрослым (с расчетом суточных доз препаратов), для пожилых, с учетом возраста, дозы препаратов могут быть уменьшены. Недостаточная эффективность эрадикационной терапии (ни одна из схем антихеликобактерной терапии не приводит к 100%-ной эрадикации и большинство из них вызывают побочные эффекты), спорные вопросы в отношении длительности ее проведения и состава входящих в нее компонентов, послужили поводом для принятия 2010 г. нового Маастрихтского соглашения «Консенсус Маастрихт-4». На совещании, было подытожено уменьшение эффективности тройной схемы эрадикационной терапии в течении 13 лет с 90,6 до 74,8%, однако основная концепция лечения осталась прежней. Большое внимание уделялось резистентности штаммов HP к кларитромицину, в связи с этим была рекомендовано, в популяциях с низкой распространенностью резистентных штаммов к кларитромицину (менее 15%) проводить лечение на основе комбинации ингибитора протонной помпы (ИПП), кларитромицина в сочетании с амоксициллином или метронидазолом, или левофлоксацином. В популяциях с высокой распространенностью резистентных штаммов (более 15%) — на основе схемы квадротерапии — комбинации препаратов висмута, ИПП и антибиотиков (тетрациклин, метронидазол); либо использование последовательной терапии — 5 дней ИПП и амоксициллин, затем 5 дней ИПП, кларитромицин и метронидазол; либо квадротерапия, не содержащая препаратов висмута, — ИПП + три антибиотика.

Исследования показали,что включение в стандартную трехкомпонентную схему эрадикационной терапии пробиотика бифиформа существенно повышает ее эффективность. P. Michetti показал, что некоторые штаммы пробиотиков, особенно лактобактерий, в условиях in vitro проявляют антагонистическую активность в отношении HP[13]. Johnson et al. продемонстрировали активность разных штаммов молочнокислых бактерий против H P, выделенных из биоптатов желудка, и у разных штаммов L. reuteri [11]. Возможные механизмы противомикробного эффекта пробиотиков включают стимуляцию роста защитной кислотопродуцирующей флоры, индукцию лимфатической пролиферации, модуляцию неспецифического и специфического иммунного ответа на патогены, а также усиление специфических реакций Ig A [33].

Широкое внедрение нифуроксазида в клиническую практику позволит модернизировать существующие терапевтические схемы лечения хеликобактериоза, значительно повысив эффективность и существенно снизив их токсичность [2]. Указанный препарат является новой медицинской технологией в современной гастроэнтерологии.

В связи с открытием антихеликобактерных свойств у мелатонина рекомендуется включение в схему эрадикационной терапии препарата этого гормона — мелаксена, что достоверно улучшает показатели эрадикации.

Успех эрадикационной терапии во многом определяется особенностями генотипа макроорганизма. Многообещающим подходом к профилактике заболеваний, ассоциированных с *HP*, является создание специфической антихеликобактерной вакцины. В случае ее успешного применения в США прогнозируется снижение к концу XXI века распространенности *HP* до 0,07 %, что целесообразно с позиции «стоимость — эффективность» [14]. Такие вакцины созданы и успешно протестированы в экспериментах на животных, а также в нескольких клинических исследованиях [8,17].

Исходя из вышеизложенного, многие заболевания, ранее известные как мультифакториальные, в настоящее время рассматриваются как преимущественно инфекционные. Однако общеизвестно, что микроорганизм может быть отнесен к патогенным, если он в полной мере соответствует трем классическим постулатам Коха. Надо отметить, что только один из трех классических постулатов Коха в полной мере справедлив для HP. Первый

постулат: микроорганизм-возбудитель, полученный от больного должен культивироваться чистом виде. Это положение полностью справедливо для HP. Второй постулат: микроорганизм всегда должен обнаруживаться при данном заболевании. А HP далеко не всегда выявляется в 100% случаев гастродуоденальных заболеваний. Третий постулат: введение чистой культуры возбудителя всегда вызывает развитие идентичных патологических изменений в другом организме. Однако, по данным литературы, при введении чистой культуры HP добровольцам только у одного из 8-10 человек развивается гастрит. А экспериментальной модели HP-ассоциированной язвенной болезни до сих пор не существует. Поэтому по мнению многих микробиологов и инфекционистов, HP является условно-патогенным микроорганизмом. Если рассматривать условную патогенность как способность микроорганизма вызывать патологический процесс только при определенных условиях, то результат взаимодействия макроорганизма и возбудителя во многом зависит от иммунологической реактивности макроорганизма. Клинико-эпидемиологические исследования последних лет также показывают, что патогенетическая значимость HP неоднозначна. Присутствие HP в желудке связано с повышенным риском пептической язвы а аденокарциномы, а отсутствие HP связано с высоким риском развития гастроэзофагеальной рефлюксной болезни и ее последствий, пищевода Барретта и аденокарциномы пищевода. Исходя из этого - вирулентность и защита не абсолютны. Надо отметить, что более тяжелые и даже угрожающие жизни состояния лечат меньшим количеством антибактериальных препаратов , чем хеликобактериоз и даже успешная эрадикация не дает гарантии от реинфицирования. Часто, на фоне проведения антихеликобактериальной терапии могут возникать побочные реакции и различные осложнения: аллергические, гепатотоксические реакции, нарушения микробиоценоза кишечника и моторные нарушения со стороны верхних отделов жкт. Эффективность эрадикации постоянно снижается из-за быстро возрастающей резистентности HP к используемым препаратам. Этот факт связывают с вы ражённой нестабильностью и изменчивостью генома HP, а также с широким использованием препаратов, входящих в схемы терапии по другим показаниям.

Скептически настроенные в отношении инфекционной теории язвы желудка и двенадцатиперстной кишки специалисты приводят следующие аргументы: после самозаражения HP исследователи заболели только гастритом и не разу язвенной болезнью; как правило, язвенные дефекты встречаются в виде одиночных образований, хотя инфекция HP может затрагивать значительную часть органа; процент заражённых HP при тяжёлых формах язвенной болезни значительно меньше, чем при неосложнённых; имеются исследования, доказывающие на большом статистическом материале, что полная эрадикация HP почти в два раза увеличивает вероятность развития рефлюкс-эзофагита, пищевода Баррета и кардиоэзофагеальной аденокарциномы, а также то, что наличие HP в теле желудка снижает риск развития онкологических заболеваний кардиального отдела желудка; после эрадикации отсутствуют какие-либо гарантии отсутствия реинфекции, более того, она весьма вероятна.

Дискуссии на эту тему не стихают до сих пор и имеют принципиальное значение, ведь от их исхода будет зависеть ответ на главный вопрос: всегда ли надо стремиться к эрадикации микроба. Критики инфекционной теории обычно подходят к язвенной болезни, как к системному гастроэнтерологическому заболеванию, в развитии которого играют важнейшую роль, в том числе, психосоматические и психосоциальные факторы. В настоящее время большинство врачей при выборе тактики лечения находится под влиянием протоколов Врач должен весьма осторожно назначать многокомпонентную терапию, особенно в педиатрии. Клиническое решение по выбору методов обследования и лечения должно быть индивидуализировано, направлено на конкретного больного [3] .

Литература:

1.3.Григорьев П.Я., Яковенко Э.П., Иванов А.Н. и др. Пилорический геликобактериоз: диагностика и лечение // Лечащий врач, 2002.- № 6.

2.5.Зайцева Н.В., Аминова А.И., Щербаков П.Л. и др // Фарматека.2008; № 5;С.86–90.

3.80. Крылов Н. Н. Проблемы, которые не могут не волновать: утопии и реалии современного учения о язвенной болезни. Вестник хирургической гастроэнтерологии. 2007. № 1. с. 25—30

4.19.Мараховский К.Ю. Характеристика и вариантность повреждений слизистой желудка, сопряженных с колонизацией и контаминацией микробом *H.pylori* в детской популяции. автореф. Дис.канд.мед. наук. – Минск, 2005.

5.1.Циммерман Я.С. Helicobacter pylori — инфекция: внежелудочные эффекты и заболевания (критический анализ). Клиническая медицина 2006; 4: 63-67.

6.2. Choe Y.H., Kim P.S., Lee D.H. et al. Diverce VacA Allelic Types of H.pylori in Korea and Clinical Correlation Yonsei // Med. J. 2002. Vol. 43 (3). P. 351-356.

7.34. Collins J., Ali-Ibrahim A., Smoot D.T. // Med. Clin. North Amer. – 2006. – Vol. 90. – P. 1125–1140.

8.66. Del G.G.,Covacci A.,Telford J.L.,Montecucco C., Rappuoli R.The design of vaccines against Helicobacter pylori and their development //Ann Rev Immunol 2001; 19: 523-563

9.4.Drumm B, Koletzko S, Oderda G. Helicobacter pylori infection in children: a consensusstatement. European Paediatric Task Force on Helicobacter pylori. J Pediatr Gastroenter Nutr., 2000/-V. 30.- P.

10.52. Ford A., Moayyedi P. How can the current strategies for Helicobacter pylori eradication therapy be improved? // Can J Gastroenterol 2003; 17(Suppl B): 36B-40B..

11.38.Johnson C., Jimson H., Roos S. Anti H. pylori activity among lactic acid bacteria isolated from gastric biopsies and strains of Lactobacillus reuteri. HP 2003; 8:473.

12. 51. Malfertheiner P., Megraud F., O'Morain C., Bazzoli F., el-Omar E., Graham D., Hunt R., Rokkas Current concepts in the management of Helicobacter pylori infection: the Maastricht III Consensus Report // Gut 2007; 56: 772-781

13.45. Michetti P. Lactobacilli for the management of H pylori. Nutrition 2001; 17: 268-269.

14.65. Rupnow M.F., Shachter R.D., Owens D.K., Parsonnet J. Quantifying the population impact of a prophylactic H. pylori vaccine // Vaccine 2001; 20: 879-885.

15.46. Schubert M.L., Peura D.A. // Gastroenterol. – 2008. – Vol. 134. – P. 1842–1860.

16.48. Stenstrom B., Mendis A., Marshall B. // Austr. Fam. Physician. – 2008. – Vol. 37. – P. 608 – 612.

17.68. Sutton P., Danon S.J., Walker M., Thompson L.J. Post-immunisation gastritis and Helicobacter infection in the mouse: a long term study // Gut 2001; 49: 467-4

18.51. Vander Hulst R.W.M., Tytgat G.N.J. // Scand. J. Gastroenterol. 1996.Vol. 31. P.1018

19.54.Yamaoka Y.H. pylori: Molecular Genetics and Cellular Biology. Caister Academic Press., 2008.

Actual and unsolved problems of pathogenesis and treatment helicobacteriosis

Marina Shakarashvili

Zvania N

n_zhvania@yahoo.com; 595 44 90 94;

Resume

The article examines the main aspects of the pathogenesis of gastric ulcer and duodenal ulcer, their close connection with the infection Helicobacter pylori.(HP). The basic indications and goals for treatment of peptic ulcer associated with HP are represented. Highlights current approaches to treatment helicobacteriosis, recommendations on the data-term problem of international consensus, possible solutions to issues related to the growth of the microorganism resistance to antibiotics. The main attention is given to new modes of HP therapy.

სასუნთქი გზების მიკროეკოლოგია ბაქტერიოლოგიური კვლევების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით

ანა დედაბრიშვილი, ე.კიკაჩეიშვილი, ე.მირველაშვილი, მ.ბაგნიძე.
თსსუ, დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტი, მიკრობიოლოგიის მიმართულება.
სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი

სასუნთქი გზების ინფექციებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ ინფექციურ პათოლოგიებში. ზედა სასუნთქი გზები, ცხვირის ღრუ, ხახის ლორწოვანი უშუალოდ არის დაკავშირებული გარემო ფაქტორებთან და თითქმის მთლიანად ასახავს მის მიკრობულ ეკოსტრუქტურას. ჰაერწვეთოვანი და ჰაერმტეროვანი გზით მიკრობების ტრანზიტორული გაერცელების თვალსაზრისით, შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი ქვედა სასუნთქი გზების მიკროფლორა. გარდა გარემო ფაქტორების გავლენისა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იჩენს ენდოგენური ინფექციების კერების არსებობა, ამოსუნთქული ჰაერის, ნახველის საშუალებით და ასევე ინტერმული სამედიცინო მანიპულაციების ჩატარების დროს (ინტრატრაქეალური ნარკოზი, ტრაქეოსტომია და სხვა).

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ქვედა სასუნთქი გზების მიკრობული ეკოსტრუქტურის შესწავლა 5 წლის განმავლობაში დინამიკაში 2008-2012 წლებში, თანამედროვე API და ATB ტექნოლოგიების გამოყენებით, რაც საშუალებას იძლევა სრულფასოვნად შევაფასოთ მიკრობიოლოგიური სტატუსი.

<u>მასალა და მეთოდები</u>. 2008-2012 წლების განმაელობაში შესწავლილ იქნა 378 პაციენტის ნახველისა და ტრაქეის ასპირატის მიკროფლორა. ნახველიდან აღებული მასალა იყო 184(48,7%), ტრაქეის ასპირატიდან აღებულმა მასალამ შეადგინა 194(51,3%).

მიკრობთა იდენტიფიკაცია ტარდებოდა Api საიდენტიფიკაციო სისტემის საშუალებით, მიკრობთა თითოეული ჯგუფისათვის. სტაფილოკოკებისა და მიკროკოკებისათვის გამოიყენებოდა Api Staph, სტრეპტოკოკებისათვის Api 20 Strep, კორინეფორმული ბაქტერიებისათვის Api coryne, სოკოებისათვის Api 20 CAUX, ხოლო Neisseria-ს, Haemophilus-ის და Branchamella-თვის Api NH, Listeria-თვის Api Lsteria. თითოეული Api სისტემა წარმოადგენს სტანდარტი-ზებულ მიკრომეთოდს და მოიცავს 20 ბიოქიმიურ ან ასიმილაციურ ტესტს, რაც იძლევა მიკრობთა დადგენის ფართო სპექტრს. Api სტრიპების ფოსოებსა და მიკროსინჯარებში მოთავსებულია დეჰიდრირებული სუბსტრატები და მათში სტანდარტიზირებული მიკრობული ინოკულუმის შეტანის შემდეგ ვახდენდით ინკუბაციას 18-24 სთ-ის განმაელობაში სათანადო ტემპერატურაზე. შემდეგ ვაწარმოებდით შედეგების წაკითხვას საინტერპრეტაციო ცხრილით და სათანადო ანალიზური კატალოგის მიხედვით ვსაზღვრავდით მიკრობების გვარსა და სახეობას.

ნახველის გამოსაკელევად დილის ულუფას ხველების შეტევის დროს ვათავსებდით სტერილურ ჭურჭელში. ტრაქეის ასპირატს ვაგროვებდით სტერილურ ჭურჭელში, ტრაქეოსტომიის დროს ტრაქეის შიგთავსის სითხეს ინკუბაციის გზით.

ამოსაკვლევი მასალა ერთდროულად ითესებოდა შემდეგ ნიადაგებზე: კოლუმბია-აგარი 5% სისხლით და CAN მაინჰიბირებელი ნარევით, ჩაპმანის აგარი, "შოკოლადისებრი" აგარი Polyvitex-ით, საბუროს აგარი და საბუროს აგარი ქლორამფენიკოლით, შედლერის აგარი 5% სისხლით. ნათესების ინკუბაცია ხდებოდა 24-48 საათის განმავლობაში 37 ^{0}C, " შოკოლადისებრ" აგარზე ნათესების 48 სთ-ის განმავლობაში 37^{0}C, Genbag CO_2 პირობებში, საბუროს აგარზე 24-72 სთ-ის განმავლობაში 30^{0}C, შედლერის აგარზე ნათესების 24-48 სთ-ის განმავლობაში Genbaganaer პირობებში.

შედეგები და მათი განხილვა. ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკვლევებით დადგინდა, რომ ნახველში აღებულ მასალაში (ცხ.I) 2008წ. მონოკულტურის სახით დომონორებს C. albicans da K.pneumoniae-50%-ში. 2008წელს მიკრობული ასოციაციები არ გამოვლინდა. 2009 წელს S.aureus და K. pneumoniae აღმოჩნდა 23,5%-ში, C.albicans და S.epidermidis-11,7%-ში, ხოლო S.serogroup G da Gemella haemolysans-5,8%-ში. 2009 წელს მიკრობული ასოციაციები გამოვლინდა 18%-ში, კერძოდ: S. aureus + C.albicans. 2010წელს მონოკულტურის სახით დომონირებს S.epidermidis–14,62%-ში,EAcinctobaqtr spp, Xanthomonas maltophilia-აღმოჩნდა-10,3%, ხოლო C.albicans, S.aureus, K. pneumoniae, Alcaligencs xylosoxidans, Serracia marcescens, Enterobaqter cloacae, pseudomonaes aeruginosa, S. xylosus, Aspergillus spp-3,4%-ში. 2010წელს მიკრობული ასოციაციების სახით გამოვლინდა S.serogroup G+ Acinetobaqter spp da s.aureus+ C.albicans+ Pseudomonas aeruginosa-6,89%-ში, ხოლო S.aureus+C.albicans, S.aureus+ps. Aeruginosa+C.albicans+Aspergillus spp, S.serogroup G+S.aureus+N.sicca-3,4%-ში. 2011წელს C.albicans აღმოჩნდა 12,5%-ში, K.pnaumoniae-8,34%-ში, Saureus da S.salivarius-6,25%-ში, Serracia marcescens და Shingomonas Paucimobilis-4,17%-ში, ხოლო S. serogroup G, Xanthomonas maltophylia, Ps. Aeruginosa კი 2,08%-ში. 2011 წელს მიკრობული ასოციაციები გამოვლინდა-50%-ში. კერძოდ: Pseudomonas(Ralstonia)pickettii+C.albicans+N.sicca+N.mucosa-25%-ში, S.aureus+ Ps.aeruginisa+K.pneumoniae da S.aureus+K.pneumoniae+C.albicans აღმოჩნდა 12,5% -ში. 2012 წელს მონოკულტურის სახით გამოვლინდა 18,8%-ში S.aureus. Ps.aeruginosa და C.albicans-12,4%-ში. 2012წელს ასოციაციის სახით 25%-ში გამოვლინდა Ps. Aeruginisa+C. albicansxolo S.aureus+ C.albicans, Ps. Aeruginosa+S.aureus+Acinetobaqter spp, Pseudomonas(Ralstonia) pickettii+ S.epider- midis, Ps.aeruginosa+C. albicans აღმოჩნდა-6,25%ში.

ტრაქეის ასპირატიდან 2008 წელს მონოკულტურის სახით გამოვლინდა S.aureus და K.pneumoniae-25%-ში. 2008 წელს ასოციაციის სახით გამოვლინდა S.aureus+Ps.aeruginosa-50%-ში. 2009 წელს მოკულტურის სახით დომინირებს Ps. Aeruginosa-33,4%-ში, S.aureus da K.pneumoniae აღმოჩნდა-14,8%-ში, Cedecea lapage,S.epidermidis, Gemella haemolysans, Branchamella catarrhalis, Enterobaqter cloacae, Acinetobaqter spp-კი-3.7-ში. 2009 წელს ასოციაციის სახით 7,4%-ში გამოვლინდა Ps.Aeruginosa+K.pneumoniae+S.epidermidis და S.aureus+K.orni -thinolytica+Ps.aeruginosa+C.albicans. 2010 წელს მონოკულტურის სახით დომინირებს Acinetobaqter spp-27,2%-ში, C.albicans-16,05%-ში, Enterobaqter cloacae და E.coli-6,81%-ში, S.aureus, Ps. Aeruginosa, Xanthomonas maltophylia-4,54%ში, ხოლო K.pneumoniae, Mikrococcus spp, Pseudomonas(Ralstonia) pickettii, S.Capitis, S,xylosus აღმოჩნდა-2,27%-ში. 2010 წელს ასოციაციები გამოვლინდა 18,16%-ში, კერძოდ: S.aureus+ Ps.aeruginosa,

S.epidermidis+C.albicans, Entcrobaqter aerogencs+H.parainfluenzae, S.aureus+K.pneumoniae+Ps.cepacia, K.oxytoca+ S.aureus +C.albicanns, Ps.aeruginosa+K.pneumoniae+S.epidermodis, S.cpidermidis+N.sicca+ N.mucosa, Ps.aeruginosa+s.epidermidis გამოელინდა-2,27%-ში. 2011 წელს მონო- კულტურის სახით გამოელინდა S.aureus, Ps.aeruginosa, K.pneumoniae, C.albicans-5,88%-ში, Branchamella catarrhalis, Xanthomonas maltophilia-2,94%-ში. 2011 წელს ასოციაციის სახით გამოელინდა S.aureus+K.pneumoniae+C.albicans და S.aureus+K.ornithinolytica+Ps.aeruginosa+C.albi-cans-14,72%-ში, S.aureus+ Ps.aerugi nosa-8,82%ში, K.oxytoca+S.aureus+C.albicans, Ps.aeruginosa+ S.epidermidis+E.coli, Ps.aeruginosa+E.agglomerans+C.albicans, S.aureus+C.albicans+Ps.aeruginosa აღმო- ჩნდა-5,88%-ში. 2012 წელს მონოკულტურის სახით დომინირებს K.pneumoniae, K.oxytoca-18,2%-ში, Pseudomonas (Ralstonia)pickettii-7,35%-ში, S.aureus და Ps.aeruginosa აღმოჩნდა-6,25%-ში. 2012 წელს მიკრობული ასოციაციის სახით გამოვლინდა S.epidermidis+C.albicans, S.aureus+C.albicans, S.aureus+Acinetobacter spp, K.pneumoniae+S.aureus, S.aureus+K.pneumoniae+C.albicans, Ps.aeruginosa+ S.marcescens, S.aureus+K.ornithinopytica+Ps.aeruginosa+C.albicans-6.25%-ში.

<u>დასკვნები</u>: 2008-2012 წლების დინამიკაში 378 პაციენტის ქვედა სასუნთქი სისტემის ფლორის მიკროეკოლოგიის შესწავლამ საშუალება მოგვცა გაგვეკეთებინა შემდეგი დასკვნები.

2008-2012 წლების ქვედა სასუნთქი გზებიდან მიკრობები გამოიყო, როგორც მონო ისე შერეული ინფექციების სახით. ონოკულტურის სახით ნახველიდან გამოიყო 55,43%-ში, ხოლო ასოციაციის სახით 44,57%-ში. ტრაქეის ასპირატიდან მონოკულტურის სახით გამოიყო 61,34%-ში, ხოლო ასოციაციის სახიტ 38,66%-ში.

2008-2012 წლების განმავლობაში ჩატარებული ბაქტერიოლოგიური გამოკელევების შედეგების მიხედვით ახველის ეტიოლოგიურ სტრუქტურაში მონოკულტურის სახით დომინირებს K.pneumoniae-73,5%-ში, C.albicans-62,5% -ში, S.aureus-42,3%-ში. მე-2 ადგილს იკავებს Ps.aeruginosa-18,8%-ში, S.epider- midis-გამოვლინდა 14.62%-ში.ტრაკეის ასპირატეს ეტიოლოგიურ სტრუქტურაში დომინირებს K.pneumoniae-43,2%, Ps.aeruginosa-33,4%, Acinetobaqter spp-27,2%, S.aureus 25%-ში, K.oxytoca გამოვლინდა-18,2%-ში, C.albicans-16,05%-ში.

2008-2012 წლების დინამიკაში ნახველიდან ყველაზე ხშირი ასოციანტები იყვნენ: Pseudomonas(Ralstonia) pickettii+C.albicans+N.sicca+N.mucosa და Ps.aeru- ginosa+C.albicans-25%. S.aureus+C.albikans-18%-ში. ტრაქეის ასპირატიდან იზოლი-რებული მიკრობებში ყველაზე ხსირი ასოციანტები იყვნენ S.aureus+ Ps.aeruginosa-50%-ში, S.aureus+K.pneumoniae და S.aureus+K.ornithinolytica+ Ps.aeruginosa+C.albicans გამოელინდა 14,72%-ში.

საკმაოდ მნიშვნელოვანს წარმოადგენდა კვლევის პროცესში ქვედა სასუნთქი გზებიდან შედარებით იშვიათად იზოლირებული ზოგიერთი მოკრობების იდენტიფიკაცია. მაგ. Alcaligenes xylosoxidans, Enterobaqter Cloacae, Shingomonas paucimobilis, Stafilococcus capiyis, Xanthomonas maltophilia, Acinetobaqter spp, Cedecea lapagei..

აღნიშნული მონაცემები გვაძლევს საშუალებას ქვედა სასუნთქი გზების ანთებადი დაავადებების მიკრობების ნათელ სურათს. 5 წლის დინამიკაში აღნიშნული კვლევები შესრულებულია მაღალი ხარისხის ბაქტერიოლოგიური კვლევის ტექნოლოგიებით, რაც მიუთითებს იდენტიფიკაციის მაღალ ხარისხზე და გვაძლევს სარწმუნო მონაცემებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კლინიკური ბაქტერიოლოგია. "ეერო", თბილისი, 2001წ., გვ. 16-21, მ. კერესელიძე, რედ. გ. კაციტაძე.

2. Вылегжанина Т.Г. Взаимосвязь аллергического ринита и бронхиальной астмы. Consilium medicine. 2011, 3(12): 579-582.

3. Покровский В.И., Позднев О.К. - Медицинская Микробиология, 1998, с.590-595.

4. Baquero F, Moreno F. The microbius. Microbiol. Lett. 2012, 23: 117-124.

Mucous membrane microflora of respiratory tracts using modern research technologies

Ana Dedabrishvili , E. Kikacheishvili, E. Mirvelashvili, M. Dzagnidze
TSSU, Institute of Medical Education and Sustain Professional development,
Microbiological Direction
Sukhishvili Teaching University

Resume

In 2008-2012 year we studied 378 pacients. In etiologic structure prevailed K.pneumoniae-73,5%, C.albicans-62,5%, S.aureus-42,3%, Ps. Aeruginosa-33,4%, Acinetobaqter spp-27,2%. In associations were mainly revealed Pseudomonas (Ralstonia) pickettii+C.albicans+N.sicca+N.mucosa-25%, S.aureus+Ps.aeruginosa-50%.

AAccording to the obtained data real picture of microecology of upper respiratory tracts became visible. Investigations were carried out using modern standart technology of French firm bioMerieux.

ცხრილი № 1

ნახველის მიკროფლორა 2008 – 2012 წწ.

	ძირითადი	დამატებითი	შემთხვევითი
2008წ.	C.albicans,K.pneumoniae-50.	------	------
2009წ.	S.aureus,K.pneumoniae-23,5.	C.albicans, S.epidermidis-11,7	S.serogroup G, Gemella haemolysans 5,8.
2010წ	S.epidermodis-14,62.	Acinetobaqter spp, xanto monas maltophilia-10,3.	S.aureus, K.pneumoniae, Alcaligenes xylosoxi dans, Serracia marce scens, S.xylosus, Aspergi llus spp-3,4
2011წ.	C.albicans 12,5.	K.pneumoniae-8,34; S.au reus, S.salivarius 6,25.	_Serracia marcescens, S.salivarius, S.epidermi dis, S.serogroup G, Xan thomonas maltophilia,Ps. aeruginoza 2,08.
2012წ.	Ps.aeruginosa, S.aureus 18,8.	C.albicans-12,4.	------
2008-2012წწ.	K.pneumoniae-73,5; C.albicans-62,5; S.aureus-42,3; Ps.aeru ginosa-18,8; S.epidermidis-14,62.	C.albicans-24,1; S.epidermidis 11,7; Acinetobaqter spp, Xantomonas maltofilia-10,3; K.pneumoniae-8,3.	S.serogroup G-7,88; Serracia marcenscens-5,48; Ps.aeruginosa-5,48; Gemella haemolisans-5,8;K.pneumoniae, Alcaligenes xylosoxidans,S.xylosus-3,4.

ცხრილი № 2.

ტრაქეის მიკროფლორა 2008-2012 წწ.

	ძირითადი	დამატებითი	შემთხვევითი
2008წ.	S.aureus; K.pneumoniae 25.	------	------
2009წ.	Ps. aeruginisa-33,4.	S.aureus; K.pneumoniae-14,8.	Cedecea lapagei; S.epidermidis; Gemella

			haemolisans; Brancha mella catarrhalis; E.clo ecae;Acinetobaqtwr spp-3,7.
2010ჭ.	C.albicans-16,05; Acinetobaqter spp-27,2.	Enterobacter cloacae; E.coli-6,81.	S.aureus; Ps.aeruginosa; Xantomonas maltopylia-4,54; K.pneumoniae; Micrococcus spp;S capitis; S.xylosus-2,27.
2011ჭ.	———	S.aureus; Ps.aeruginosa; K.pneumoniae; C.albi cans-5,88.	Branxamella catarhalis; Xanthomonas malto philia; K.oxytoca-2,94.
2012ჭ.	K.pneumoniae; K.oxytoca-18,2.	Pseudomonas(Ralstonia) pickettii-7,35; S.aureus; Ps.aeruginosa-6,25.	———
2008-2012ჭჭ.	K.pneumoniae-43,2; Ps. aeruginosa-33,4; Acine tobaqter spp-27,2; S. aureus-25; K.oxytoca-18,2; C.albicans-16,05.	S.aureus-26,93; K.pneumoniae-20,68; Ps.aeruginosa-12,13; Pseudomonas (Ralstonia) pic-kettii-7,35; Entero baqter cloacae-6,81; E.coll-6,81.	Xantomonas maltophilia-9,58; Branchamella catar rhalis-6,64; Cedecea lapagei; S.epidermidis; Gemella ha-molisans; Enterobaqter cloa-cae; Acinetobaqter spp-3,7.

არტერიოლების რეაქტიულობაზე ჰიპერჰომოცისტეინემიის გავლენა

მარიამ დარბაიძე
ბიოლოგიის დოქტორი; სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია;
თამარ მელიქია
მედიცინის დოქტორი; სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი.
ნ.მითაგვარია
ბიოლოგიის დოქტორი;
ი.ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი;

ზომიერი ჰიპერჰომოცისტეინემიის ინდუცირება ხდებოდა მამრ ვირთაგვებში (მასით 120-160გ, n=12) L-მეთიონინის (დღეში 1გ/კგ-ზე) სასმელ წყალში დამატებით 4 კვირის განმავლობაში. საკონტროლო ცხოველები (n=12) ჩვეულებრივ წყალს შეუზღუდავად იღებდნენ. ცდები ჩატარდა ვირთაგვას ნაზი (gracilis) კუნთის იზოლირებულ პირველი რიგის არტერიოლებზე.

კონსტრიქტორული რეაქციები შეისწავლებოდა არტერიოლების ნორმალურ და დენდროთელიზირებულ სეგმენტებზე. დადგინდა, რომ ჰომოცისტეინის მატება სისხლის პლაზმაში ასოცირებს ნორადრენალინით გამოწვეულ სისხლძარღვთა კონსტრიქციასთან და შემცირებულ ენდოთელიუმ-დამოკიდებულ დილატაციასთან კუნთის არტერიოლებში.

საკვანძო სიტყვები: ჰიპერჰოცისტეინემია, გლუვი კუნთი, ნორადრენალინი

ჰომოცისტეინის, როგორც სისხლძარღვთა დაავადების ერთ-ერთი რისკ ფაქტორის იდენტიფიკაცია დაიწყო 1964 წელს, როდესაც ს. მუდიმ [17] აჩვენა, რომ ჰომოცისტეინის აკუმულაცია სისხლში და შემდგომ შარდში, რასაც განაპირობებს ცისთატიონინ ბეტა-სინთაზა ფერმენტის დეფიციტი, იწვევს ჰომოცისტეინურიას. დღეს უკვე ეჭვსგარეშეა, რომ ჰომოცისტეინის მეტაბოლიზმის მნიშვნელოვანი თანდაყოლილი დარღვევა პაციენტებში იწვევს გულის კორონარულ სისხლძარღვთა დაზიანებას, მაგრამ მიუხედავად მრავალი **In vitro** და **In vivo** კვლევისა [4, 5, 18], ამ დაზიანების განვითარების მექანიზმი დღემდე უცნობია.

ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა ჰიპერჰომოცისტეინემიანი ცხოველების არტერიოლების კონტრაქტილური აქტივობის განმახორციელებელი ერთ-ერთი შესაძლო მექანიზმის .ექსპერიმენტული შესწავლა.

<u>მასალა და მეთოდები:</u> ზომიერი ჰიპერჰომოცისტეინემიის ინდუცირებას ვახდენდით მამრ ვირთაგვებში (მასით 120-160გ, n=12) L-მეთიონინის (დღეში 1გ/კგ-ზე) სასმელ წყალში დამატებით 4 კვირის განმავლობაში. ყოველი ცხოველის მიერ დღეში მიღებული სითხის მოცულობა ისაზღვრებოდა ნორმაში წყლის საშუალოდ მოხმარებული მოცულობით. საკონტროლო ცხოველები (n=12) ჩვეულებრივ წყალს შეუზღუდავად იღებდნენ.

სისხლძარღვთა გლუვი კუნთების ფუნქციის ანალიზის ერთ-ერთ ყველაზე ობიექტურ მეთოდად მიჩნეულია სისხლძარღვთა იზოლირებული პრეპარატების კუმშვადობის პარამეტრების გაზომვა მექანოტრონული გარდამქმნელების მეშვეობით [1]. მეთოდი იძლევა საშუალებას გავზომოთ სისხლძარღვთა ტონუსის მომატების ან დაქვეითების ხარისხი მასზე სხვადასხვა სახის ზემოქმედების პირობებში. ამგვარი მეთოდური მიდგომის შედეგად შესაძლებელი ხდება გლუვი კუნთების რეგულაციის ზოგიერთი მექანიზმის ანალიზი მასში ცენტროგენური ნეიროჰუმორული სიგნალების ჩარევის გარეშე.

ცდები ჩატარდა ვირთაგვას ნაზი (gracilis) კუნთის იზოლირებულ პირველი რიგის არტერიოლებზე (დიამეტრით 130-180მკმ). L-მეთიონინის მიღების დაწყებიდან მე-4 კვირის დასასრულს ვახდენდით ნაზი კუნთის იზოლირებას გარემომცველი ქსოვილებისგან. აღნიშნული კუნთი ამოიკვეთებოდა და თავსდებოდა 0-4^{0}C ტემპერატურის მქონე რინგერ-ჰეილიტის ხსნარში. ბინოკულური მიკროსკოპის ქვეშ კუნთიდან გამოვყოფდით 1,5-2მმ სიგრძის პირველი რიგის კუნთსშიდა არტერიოლის სეგმენტს, რომელიც

სპეციალური დამხმარე ინსტრუმერნტის მეშვეობით [2]. თავსდებოდა რინგერ-ჰეილიტის ხსნარგამდინარე კამერის პატარა აბაზანაში, სადაც პრეპარატს ვაჯენდით ლითონის ორ პატარა კავზე. ერთი კავი ხისტადაა მიმაგრებული მექანოტრონის შტოზე. პრეპარატი იჭიმება, თანაც მუდმივი დაჭიმვის სიდიდე შეირჩევა არტერიის გლუვი კუნთების კუმშვადობის ტესტირების შედეგების მიხედვით. ტესტირება ტარდება სტანდარტული ხსნარებით, რომლებიც შეიცავენ კალიუმს 80მოლ-ის კონცენტრაციით და საშუალოდ შეადგენს 5,1მნ. გაზომვების დაწყებამდე წონასწორული მდგომარეობის მიღწევის მიზნით პრეპარატი რინგერის ხსნარში 37C^0 ტემპერატურაზე იმყოფება 1,5საათის განმავლობაში.

პრეპარატის დაჭიმვის სიდიდე ჩვეულებრივ ნორმირდება პრეპარატის მაქსიმალური (100%) კონტრაქტილური პასუხების მიხედვით ჰიპერკალიური (80მმოლი/ლ) ხსნარის მოქმედებაზე [3].

კონსტრიქტორული რეაქციები შეისწავლებოდა არტერიოლების ნორმალურ და დენდოთელიზირებულ სეგმენტებზე. რბილი ხისგან (ცაცხვი) დამზადებული სპეციალური ინსტრუმენტით ვახდენდით პრეპარატებიდან ენდოთელური ფენის ჩამოცილებას, რის სრულფასოვნება მოწმდებოდა ენდოთელიუმ-დამოკიდებულ (აცეტილქოლინი, 10^{-6}M) და ენდოთელიუმ-დამოუკიდებელ (ნატრიუმის ნიტროპრუსიდი, 10^{-6}M) დილატატორულ აგენტებზე რეაქციის ტესტით.

საკონტროლო და ჰიპერჰომოცისტეინემიის ჯგუფის ცხოველების არტერიოლების კონსტრიქტორულ რეაქციას ნორადრენალინზე (10^{-10} – 10^{-5} მოლ/ლ) ვამოწმებდით სეგმენტების დენდოთელიზაციამდე და მის შემდეგ.

<u>მიღებული შედეგები</u>: მეთიონინის დიეტა, როგორც ცნობილია, ჰომოცისტეინის კონცენტრაციის მნიშვნელოვან (3-ჯერად) მატებას იწვევს.

ჩატარებული ცდების შედეგად გამოელინდა, რომ ნორადრენალინი (10^{-9} –10^{-5} მოლ/ლ) იწვევს დოზა-დამოკიდებულ რეაქციას, როგორც საკონტროლო, ისე ჰიპერჰომოცისტეინემიის ჯგუფის ცხოველების არტერიოლებში, მაგრამ ამ უკანასკნელებში რეაქცია მნიშვნელოვნად უფრო მეტადაა გამოხატული (სურათი 1). ენდოთელიუმის ჩამოცილებამ საგრძნობლად გაზარდა საკონტროლო ცხოველებიდან

იზოლირებული არტერიოლების რეაქცია ნორადრენალინზე (სურათი 2), მაშინ როდესაც ჰიპერჰომოცისტეინემიის ჯგუფის ცხოველების



სურათი 1. ნორადრენალინის კუმულაციური დოზის ეფექტი საკონტროლო და ჰიპერჰომოცისტეინემია-ინდუცირებული ცხოველების იზოლირებულ არტერიოლების კუმშვადობაზე. მოტანილია საშუალო მნიშვნელობები+/-სტანდარტული შეცდომა.

სხვაობა საკონტროლო მონაცემებთან შედარებით სტატისტიკურად სარწმუნო (P<0.01); n=12



სურათი 2. ნორადრენალინის კუმულაციური დოზის ეფექტი საკონტროლო ცხოველების იზოლირებულ არტერიოლების (ინტაქტური და დეენდოთელიზირებული) კუმშვადობაზე. მოტანილია საშუალო მნიშვნელობები+/-სტანდარტული შეცდომა.

სხვაობა ინტაქტურთან შედარებით სტატისტიკურად სარწმუნოა (P<0.01); n=10



სურათი 3. ნორადრენალინის კუმულაციური დოზის ეფექტი ჰიპერჰომოცისტეინემიის ჯგუფის ცხოველების იზოლირებულ არტერიოლების (ინტაქტური და დენდროთელიზირებული) კუმშვადობაზე. მოტანილია საშუალო მნიშვნელობები+/-სტანდარტული შეცდომა. სხვაობა ინტაქტური და დენდროთელიზირებული არტერიოლების რეაქციებს შორის სტატისტიკურად არასარწმუნოა.

არტერიოლების დენდროთელიზაციამ არ იქონია რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა ნორადრენალინით გამოწვეულ რეაქციაზე (სურათი 3).

ექსპერიმენტული კვლევის ძირითადი შედეგი (მათი ანალიზის გარეშე) შეიძლება შევაჯამოთ ასე, რომ ჰომოცისტეინის მატება სისხლის პლაზმაში (ინდუცირებული სასმელ წყალში გაზრდილი მეთიონინის შემცველობით) ასოცირებს ნორადრენალინით გამოწვეულ სისხლძარღვთა კონსტრიქციასთან და შემცირებულ ენდოთელიუმ-დამოკიდებულ დილატაციასთან კუნთის არტერიოლებში.

რა უნდა იყოს ამ რექციის გამომწვევი მექანიზმი და რას უნდა უკავშირდებოდეს მისი ფორმირება?

<u>შედეგების განხილვა</u>: ზომიერი ჰიპერჰომოცისტეინემია საკმაოდ არის გავრცელებული მოსახლეობაში და ახასიათებს მის, დაახლოებით 30%-ს. ეს ის კონტინგენტია, რომელსაც აწუხებს გვირგვინოვანი, ცერებროვასკულური და ათეროთრომბული დაავადება [14, 18]. როგორც წესი, პლაზმაში მაღალი კონცენტრაციის ჰომოცისტეინის შემცველობის მიზეზი არის ჰომოცისტეინის მეტაბოლიზმისათვის საჭირო ვიტამინების უკმარისობა [19].

არსებობს რამდენიმე მოსაზრება იმის შესახებ თუ როგორ შეიძლება, რომ ჰომოცისტეინის გაზრდილმა კონცენტრაციამ სისხლის პლაზმაში გამოიწვიოს გულ-სისხლძარღვთა სისტემაში ათეროთრომბული დაავადებანი. კერძოდ ითვლება, რომ ჰიპერჰომოცისტეინემიის დამაზიანებელი გავლენა შეიძლება გამოიხატოს სისხლძარღვთა კედლის მორფოლოგიის ცვლილებაში, თრომბოციტების გაზრდილ

აქტივობაში [7, 8], გლუვკუნთოვანი უჯრედების პროლიფერაციის სტიმულაციაში [9]. პისტოლოგიის მეთოდებით ჩატარებულ რიგ კვლევაში გამოვლენილი იყო ჰიპერჰომოცისტეინემიით გამოწვეული ადამიანისა და ცხოველთა სისხლძარღვების ენდოთელიუმის მორფოლოგიური ცვლილებანი [16]. არის აგრეთვე ნაშრომები, რომლებშიც დიეტით ინდუცირებული ჰიპერჰომოცისტეინემიის დროს აღნიშნულია ენდოთელიუმის ფუნქციური ცვლილებები, მაგალითად საერთო საძილე არტერიების ენდოთელიუმ-დამოკიდებული რელაქსაციის, ან აცეტილქოლინით გამოწვეული კოდურის ცირკულაციის გაძლიერების შემცირება [13]. ამ გამოკვლევების თანახმად, ერთ-ერთი მიზეზი რის გამოც ხდება აღნიშნული ცვლილებები არის ის რომ მაღალი კონცენტრაციის ჰომოცისტეინი იწვევს ვასკულური ენდოთელიუმის ფუნქციის მოშლას, თუმცა ჰომოცისტეინის გაზრდილი კონცენტრაციის გავლენა ზოგადად მიკროსისხლძარღვთა ფუნქციაზე დადგენილი არ არის.

ზოგადად, პლაზმაში მეთიონინის (ან სხვა რომელიმე ამინომჟავას) კონცენტრაციის მატება არ ასოცირებს სისხლძარღვებზე საზიანო გავლენასთან, მაგრამ არის საკამირისად ბევრი მტკიცებულება, რომ ჰომოცისტეინის გაზრდილი კონცენტრაცია არის სისხლძარღვთა ენდოთელიუმის დაზიანების მნიშვნელოვანი მიზეზი.

რიგ კვლევებში ნაჩვენებია, რომ გარკვეული რისკ-ფაქტორები, რომლებიც იწვევენ ენდოთელურ დისფუნქციას არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ათეროსკლეროზის განვითარების უტყუარი მიზეზი [8, 11, 12, 20].

ვინაიდან ჩონჩხის კუნთის სისხლის მიმოქცევა წარმოადგენს პერიფერული სისხლის მიმოქცევაში ჰემოდინამიკური წინაღობის ძირითად შემადგენელს, მისი მოშლა ჰიპერჰომოცისტეინემიის დროს შესაძლოა განვიხილოთ, როგორც მნიშვნელოვანი კომპონენტი პერიფერიული ვასკულური დაავადების განვითარებაში. სწორედ ამ მიზნით შევისწავლეთ ენდოთელიუმის ეაზორეგულატორული ფუნქციის ცვლილებანი ნორმალურ და მეთიონინის დიეტით ინდუცირებული ჰიპერჰომოცისტეინემიის მქონე ცხოველთა სისხლძარღვებში.

ჩვენ ერთმანეთს შევადარეთ საკონტროლო და ჰიპერჰომოცისტეინემიის ჯგუფის ცხოველების იზოლირებული არტერიოლების კონტრაქტილური რეაქციები ნორადრენალინზე და დავადგინეთ, რომ ჰიპერჰომოცისტეინემიამ გამოიწვია ნორადრენალინით ინდუცირებული ვაზოკონსტრიქციის გაძლიერება.

ადრე ნაჩვენები იყო, რომ ჩონჩხის კუნთების არტეიოლებში ნორადრენალინის შეყვანას თან სდევს ენდოთელიუმიდან აზოტის ოქსიდის გამონთავისუფლება, *რომელიც მოდულირებას უწევს ნორადრენალინით ინდუცირებული კონსტრიქციის ხარისხს* [10]. ჩვენი ვარაუდით ნორადრენალინზე სისხლძარღვის გაზრდილი რეაქტიულობის მიზეზი ჰიპერჰომოცისტეინემიის ჯგუფის ცხოველებში უნდა ყოფილიყო ენდოთელური აზოტის ოქსიდის სინთეზის დარღვევა. მართლაც, საკონტროლო ცხოველების არტერიოლებში დენდოთელიზაციამ გამოიწვია ნორადრენალინზე რეაქციის მატება, მაშინ როდესაც ჰიპერჰომოცისტეინემიის ჯგუფის ცხოველებში იგივე არტერიოლების რეაქცია ნორადრენალინზე უცვლელი იყო, რაც ადასტურებს ჩვენს ვარაუდს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. *Берлин Г.С., Розентал С.А.* Механотронные преобразователи и их применение. М., Энергия, 1974, с.239.
2. *Климин В.Г., Азин А.Л.* Сократительная функция гладких мышц поверхностных артерий коры головпого мозга. Физиол. ж. СССР, 1986, 72, 8, 1095-1101.
3. *Кулагина В.П., Удельной М.Г.* Различия в реакциях сосудистой стенки на стимуляторное воздействие в зависимости от повышения тонуса разной природы. Научный доклад высшей школы: биологические науки. 1978, 4, 77-80.
4. *Boers G.H.* Mild hyperhomocysteinemia is an independent risk factor of arterial vascular disease. Semin. Thromb. Hemost., 2000, 26, 291-295.
5. *Brattstrom L and Wilcken DE* Homocysteine and cardiovascular disease: cause or effect? *Am J Clin Nutr.* 2000, 72, 315–323.
6. *Durand P., Fortin L., Lussier-Cacan S., Davignon J., Blache D.* Hyperhomocysteinemia induced by folic acid deficiency and methionine load-application of a modified HPLC method. Clin. Chim. Acta., 2006, 252, 83-93.
7. *Durand P., Lussier-Cacan S., BlacheD.* Acute methionine load-induced hyperhomocysteinemia enhances platelet aggregation, thromboxane biosynthesis and macrophage-derived tissue factor activity in rats. FASEB J., 1997, 11, 1157-1168.
8. *Eberhardt R.T., Forgione M.A., Cap A., Leopold J., Rudd M., Tolliet M., Heyrick S., Stark R., Klings E., Moldovan N., Yaghoubi M., Goldsmidth-Clermont P., Faver H., Cohen R., Loscalzo J.* Endothelial dysfunction in a murine model of mild hyperhomocysteinemia. J. Clin. Invest., 2000, 106, 483-491.
9. *Harker L., Ross R., Slichter S., Scott R.* Homocysteine-induced arteriosclerosis: The role of endothelial cell injury and platelet response in its genesis. J. Clin Invest., 1976, 58, 731-741.
10. *Kaley G.*, Koller A., Rodenburg J., Messina E., Wolin M. Regulation of arteriolar tone and responses via L-arginine pathway in skeletal muscle. Am J Physiol. 2002, 262, H987-H992.
11. *Kuo L., Dacis M., Cannon M., Chilian W.* Pthophysiological consequences of athrosclerosis extend into the coronary microcirculation: restoration of endothelium-dependent responses by L-arginine. Circ. Res., 1972, 70, 465-476.
12. *Kuo P. C., Abe K. Y.* Cytokine-mediated production of nitric oxide in isolated rat hepatocytes is dependent on cytochrome P-450III activity. FEBS Lett. 1995. 360 : 10-14.
13. *Lentz S.R., Sobey C.G., Piegors D.J., Bhopatkar M., Faraci F.M., Malinow M.R., Heistad D.* Vascular disfunction in monkeys with diet-induced hyperhomocysteinemia.J. Clin. Invest., 1996, 98, 24-29.
14. *Malinow M., Bostom A., Krauss R.* Homocisteine diet and cardiovascular diseases: a statement for healthcare professionals from nutrition committee, American Heart Association, Circulation , 2009, 99, 178-192.
15. *Malinow M., Kang S., Taylor L., Wong P., Inahura T., Mukerjee D., Serton G., Upson B.* Prelevance of hyperhomocysteinemia in patients with peripheral arterial occlusive disease. Circulation, 1989, 79, 1180-1188.
16. *Mathias D., Becker C., Riezler R., Kindling P.* Homocysteine induced arteriosclerosis-like alterations of the aorta in normotensive and hypertensive rats following application of high doses of methionine. Atherosclerosis, 1996, 122, 201-216.
17. *Mudd S.H.* Homocystinuria: an enzymatic defect. Science (Wash D C), 1964, 143, 1443–1445.

18. *Nygård O, Nordrehaug JE, Refsum H, Ueland PM, Farstad M, Vollset SE.* Plasma homocysteine levels and mortality in patients with coronary artery disease. N Engl J Med., 1997, 337, 230–236.
19. *Robinson K., Mayer E., Miller D., Green R., van Lende F., Gupta A., Kottke-Marchant K., Savon S., Selhub J., Nissen S.* Hyperhomocysteinemia and low pyridoxal phosphate: common and independent reversible risk ffactor for coronary artery disease. Circulation, 1995, 92, 7855-7830.
20. *Surtess R., Leonard J., Austin S.* Association of demyelination with deficiency of cerebrospinal fluid S-adenosylmethionine in inborn errors of methyl-transfer pathway. Lancet, 1991, 338, 1150-1554.

Effect of hyperhomocysteinemia on the arterioral reactivity

Mariam Darbaidze, Tamar Melikia, N. Mitagvaria,
David Agmashenebeli National Defence Academy
Sukhishvili Teaching University
Beritashvili Center of Experimental Biomedicine

Resume

The moderate hyperhomocysteinemia was induced in male rats by adding of Methionine (1 g/kg per day) in the drinking water in duration of 4 weeks. Control animals drank plain water. The experiments were conducted on isolated first order arterioles of rats' sceletal (gracilis) muscle. Constrictor responses were studied in normal and deendothelized segments of arterioles. It has been found that the increase in plasma homocysteine leve; is associated with norepinephrine-induced constriction of blood vessels and a reduced endothelium-dependent dilation of arterioles in muscles.

Комплексный метод лечения алиментарного ожирения

Курашвили Г.Б.
Сухишвили Учебный университет, факультет здравоохранения,
ассоциированный профессор,
Givis_posta@yahoo.com. 593307720

Ожирение является актуальнейшей проблемой современного здравоохранения для многих стран мира. Увеличение массы тела ведёт не только к снижению работоспособности человека, но и к развитию таких болезней XXI века, как сахарный диабет, артериальная гипертензия, атеросклероз, ишемическая болезнь сердца, хронический холецистит и панкреатит, жировой гепатоз, раковые заболевания, болезни костей и суставов, желчекаменная и почечнокаменная болезнь и др. Избыточная масса тела уменьшает продолжительность жизни , по данным разных авторов, от 5 до 20 лет. Сочетание ожирения с сахарным диабетом и артериальной гипертензией увеличивает риск развития инфаркта миокарда в 9-11 раз. Многие исследователи в этой области рассматривают ожирение как эпидемию века, которая охватывает почти все слои населения, включая и детский. Поэтому ожирение, в настоящее время, рассматривается как болезнь, протекающее с нарушением процессов обмена веществ в организме человека и ведущее к нарушению нормальной функции внутренних органов и систем.

Целью настоящей работы было изучение сочетания традиционных и нетрадиционных методов терапии алиментарного ожирения среди взрослого населения.

Материал и методы исследования. В исследование были отобраны лица с алиментарным ожирением, как мужского, так и женского пола, в возрасте от 20 до 65 лет, у которых индекс массы тела был от 30 до 45 кг/м-2 , добровольно пожелавшие принять участие в эксперименте. Всего обследовано 46 человек, из них мужчин – 11, а женщин – 35. Средний возраст которых равнялся 53 годам. Средний индекс массы был 41 кг/м-2. Всем испытуемым предлагали низкокаллорийную диету, 1200 – 1500 ккал сбалансированную по трём основным пищевым продуктам (белкам, жирам и угдеводам). При этом приём жидкости не ограничивали. В неделю один раз давали разгрузочные дни , что соответствовало 800-950 ккал. В режим дня также включали физическую нагрузку, которая состояла из ходьбы на 5 км или бега трусцой на 1,5 – 2,5 км. Выбор физической нагрузки зависел от первоначального веса испытуемого, артериального давления крови, липидного спектра плазмы, уровня гликемии натощак,базального инсулина, данных электрокардиограммы и эхокардиографии, состоярия опорнодвигательного аппарата. Кроме этого, у всех испытуемых определяли обхватные размеры тела на уровне бедра, таза, талии и плечевой кости сантиметровой лентой, а также с помощью калипера определяли толщину жировых складок на уровне правой лопатки, правого трицепса, на боковой стороне живота справа и на верхней латеральной трети правого бедра. С применением специальных формул высчитывали содержание жира в теле, тощую массу тела, процент содержания воды в теле и др. параметры. Все испытуемые были разделены поровну на две группы, в зависимости от пола и возраста. Первая группа соблюдала предписанную диету, выполняла физическую нагрузку и проводила разгрузочные дни. Вторая группа ещё дополнительно получала сеансы корпоральной рефлексотерапии и аурикулотерапии. Во время сеансов корпоральной рефлексотерапии подбирались биологически активные точки меридианов легких, толстой кишки, желудка, селезёнки-поджелудочной железы, мочевого пузыря, почек, желчного пузыря, печени. При этом учитывалось, как общее состояние

пациента, так и сопутствующие ожирению патологии. Сеансы проводились ежедневно, продлжительностью 15-30 минут и один курс рефлексотерапии включал 10-12 сеансов. Всего курсов корпоральной рефлексотерапии было 1-2 на протяжении одного месяца исследования. При аурикулотерапии использовались серебряные микроиглы, которые вводились, как в правое, так и в левое ухо, с воздействием на точки: голода, желудка, жажды, щитовидной железы, печени, поджелудочной железы, почки, шень-мень и др. в зависимости от конкретных условий и сопутствующих заболеваний. Микроиглы оставлялись в ухе на 7-10 дней. На одном ухе брались примерно 3-5 точек, затем точки менялись. Таких курсов на протяжении года было от3 до 5 с прерывами между курсами от 1 до 3 месяцев.Часть больных получали слабительные средства (сенеде, гуталлакс и др.) при жалобах на упорные запоры. Больным, у которых ожирение сочеталось с артериальной гипертензией, от кардиолога получали АПФ-ингибиторы и мочегонные препараты (например, ко-ренитек). Полученные данные обрабатывались методами вариационной статистики.

Обсуждение полученных данных. Диетологи и эндокринологи до сих пор считают, что в лечении алиментарного, а также в значительной степени и нейрогормонального ожирения, решающее значение имеет сочетание правильно подобранной низкокаллорийной диеты и повышенной физической активности. Использование методов рефлексотерапии в плане лечения ожирения может дать существенный лечебрый эффект. По данным Nacatani в традиционной восточной медицине обычно для стимуляции жирового обмена рекомендуют 60 иглоукалываний в точку VII.47, а для уменьшения сердечного ожирения используют точку XIV.17. Используются также точки - III.36, VII.18, 23, XIV. 4, 12. При аурикулотерапии микроиглы вводятся в точки – голода и желудка. F.Warren предлагает использовать III.36, VI.19, и аурилулярные точки – рта и легких. J.S.Soong применил для лечения экзогенного ожирения аурикулярные точки – рта, шень-мень, желудка, голода, селезёнки. Одновременно вводились только 2 иглы в точки ушной раковины с одной стороны и оставлялись на 1 -2 недели. Больным советовали надавливать на иглы до 4 раз в день по 30 – 60 секунд, а также в любое время, если они почувствуют голод. Затем иглы удалялись и вводились в другую ушную раковину. Лечение длилось 2 – 6 недель до достижения удовлетвортьтельных результатов. За это время больные теряли в весе от 1 до 7 кг. V.Velichkova и Ch.Pavlov применили метод микроакупунктуры при лечении 320 больных тяжелым ожирением. Проводилось 4 курса по 30 дней с перерывами 2 – 7 дней. Больные теряли вес в среднем 3,5 кг за 2 недели, результаты были выше у лиц старше 40 лет. У 300 больных применялась лазеропунктура гелиево-неоновым лазером мощностью 2 мВ, длиной волны 632,8 А на точки II.14, аурикулярные точки – голода и жажды. Сеанс длился 3 мин., на курс – 12 сеансов. Потеря веса в среднем составила 3 кг.

Широкое распостранение аурикулотерапия ожирения получила в Финляндии. Konkenniemi и Pontinen вводили китайские массажные иглы в вентрикулярную область конхи, через две недели их извлекали и закрепляли в другом ухе. Иглы меняли местами 3 раза, лечение длилось 6 недель. Больные, избыток веса которых до лечения составлял около 20% веса тела, теряли в весе: мужчины – 9,7%(11кг), женщины- 8,2%(8кг). Эффект сохранялся около года. Pennala лечил этим методом 1200 больных в течение 9 недель. Средняя потеря массы тела составила 5,4 +- 3,7 кг, отмечалось угнетение аппетита, снижение повышенного артериального давления. Если больные в целях купирования гипертензии одновременно получали симпатические бетта-блокаторы, эффект лечения был хужс.

В.Г.Вогралик, и соавт., лечение больных проводили ежедневно, утром с 7 до 11(время активности каналов желудка и селезёнки-панкреас) с целью восстановления извращённого при ожирении суточного ритма процессов липолиза и липосинтеза. Комплекс точек воздействия подбирался с учётом генеза ожирения , степени тяжести, жалоб больных,

сопутствующей патологии. Метод воздействия (седативный, возбуждающий) выбирлся на основании данных акупунктурной диагностики и тепловидения. Повышенный аппетит и жажда устранялись седативным воздействием на IV.4, III. 45 и аурикулярные точки- 17, 18, 22, 26а, 84, 87. Для снижения содержания в крови атерогенных липидов иглы вводились в III.36, IX.6, и аурикулярные точки 19, 26а. Для снижения повышенного уровня инсулина и С-пептида использовались точки IV.4, IX.6, VII.20-22, VIII.7, I.6, и аурикулярные точки 22, 26а, 96. Для стимуляции сниженной функции щитовидной железы воздействовали на XIV.17, 21, IV.4, X.5, IX.6, XIII.14 и аурикулярные точки 22, 26а, 45, 51. Всё это обеспечило подавление аппетита и жажды, стимулировало микроциркуляцию, усиливало окислительные процессыё в тканях, основного обмена, повышение (иногда значительное) температуры тела, стимуляцию липолиза и торможение ресинтеза, нормализацию артериального давления, повышение двигательной активности и пр. В итоге снижение массы тела за 8-15 сеансов составило 6-13 кг без каких-либо побочных явлений. Метод, по мнению авторов, показан при лечении нейроэндокринного ожирения и алиментарно-конституционного ожирения I – III степени тяжести.

По данным Е.А. Мачерет и И.З.Самосюк иглоукалывание в зоне чаши и полости раковины уха, а также в зоне трёхсторонней ямки, т.е. в зонах, инервируемых блуждающим нервом и языкоглоточным нервами, наиболее эффективно. Механическое раздражение рецепторов блуждающего нерва блокируют передачу сигналов аппетита, которые поступают из слизистой оболочки пищеварительного канала по афферентным путям того же блуждающего нерва. По данным этих авторов, конкретная аурикулярная точка какого-нибудь существенного значения не имеет. Важно, чтобы эти точки находились в зоне иннервации X пары черепно-мозговых нервов. Использовались серебряные микроиглы с оставлением их на 12 -18 дней и последующим повторением процедуры (при необходимости) через 7 – 10 дней. Достаточно было введение 3 – 5 микроигл в точки АР 55, 87, 18, или АР 55, 84, 18, 98, 87. Иглы вводились перекрёстно. В первые 12 – 18 дней использовали точку АР 55 слева, а точки АР 87, 18, 98 – справа. При втором курсе лечения расположение точек меняли. Введённые микроиглы заклеивались лейкопластырем и периодически (4 – 6 раз в день) на них надавливали в течении 0,5 – 1 минуты, особенно при появлении чувства голода. В течение двух недель отмечалось снижение массы тела на 5 – 10 кг.

Вьетнамские врачи рекомендуют вводить длинные иглы горизонтально (с двух сторон) от X11.13 до X1. 35, одновременно вводятся короткие иглы в точки 111. 25 и 1V. 9 (с обеих сторон). Иглы находятся в теле 20 – 30 минут. Из аурикулярных точек использовались – АР 83, 55, 80, 95. Иглы оставляли на 5 – 7 дней.

По нашим предварительным данным, наибольшая потеря веса наблюдалось в первую неделю. Так, в первой группе снижение массы тела было от 2 до 5 кг., в среднем около 3 кг. Во-второй группе наблюдалось аналогичное явление, хотя, судя по дневниковым записям, пациенты легче перепосили чувство голода и мепее были подвержены депрессии. На второй неделе снижение массы тела продолжалось, но с меньшей интенсивностью. В первой группе вес тела уменьшился от 1 до 3 кг., в среднем на 1,5 кг. А во-второй группе потеря массы тела была чуть больше – от 1 до 4,5 кг., в среднем на 2,5 кг. На третьей и четвертой неделе в первой группе масса тела уменьшилась от 2 до 4 кг., в среднем 2 кг., а во-второй группе снижение массы тела было от 3 до 6 кг.. в среднем на 3,5 кг. В целом за один месяц в первой группе пациенты уменьшились в массе от 5 до 12 кг., в среднем на 6,5 кг. А во-второй группе потеря массы тела была от 6 до 15,5 кг., в среднем на 8,5 кг. Обхватные размеры тела уменьшались у женщин более всего на талии, затем на ягодицах и на бёдрах и лишь затем вокруг плечевой кости. У мужчин же обхватные размеры тела уменьшались в следующее последовательности:

болше всего вокруг талии, затем на бедре, далее вокруг плечевой кости и затем на ягодицах. Интересно также отметить, что потеря массы тела в первой группе шло не только за счет жировой массы тела, но и за счет тощей массы тела (активная мышечная масса) в большей степени, чем во-второй группе. Так, по предварительным данным, в первой группе потеря тощей массы тела составляла от 2 до 4,5 кг., в среднем около 3 кг., тогда как во-второй группе тощая масса тела уменьшалась от 1,5 до 2,5 кг., в среднем до 1,8 кг. Следует также отметить, что в конце первого месяца у многих пациентов, с уменьшением веса тела, уменьшились показатели артериальной гипертензии и улучшились показатели липидного спектра крови особенно у тех, кто дополнительно получал сеансы рефлексотерапии и аурикулотерапии. Некоторые больные полностью отказались от приема гипотензивных средств из-за стойкой нормализации у них артериального давления. Часть женщин, также отметили нормализацию менструального цикла, уменьшение болей в пояснице и в коленных суставах, улучшение сна, увеличение работоспособности и пр. Мужчины отметили улучшение либидо и общей работоспособности. Но наряду с положительными сдвигами в организме, у некоторых больных, были отмечены случаи нормо- и гипохромной анемии, эпизоды кратковременной депресии или агресивности. Больным с явлениями железодефицитной анемией дополнительно давали препараты содержащие двухвалентное железо, 100 мг на один приём, после еды. Для предупреждения явлений депрессии и агрессии больным соответственно дополнительно давали в малых дозах антидепресанты или седативные препараты.

В заключении необходимо отметить, что комплексное лечение ожирения с применением традиционных методов таких, как диетотерапия, физические нагрузки, разгрузочные дни в сочетании с нетрадиционными методами лечения – корпоральная иглорефлексотерапия и аурикулотерапия , дают более значительное снижение массы тела за счет потери жировой массы тела . Применение иглорефлексотерапии уменьшает ощущение голода и низкокаллорийная диета легко переносится больными, уменьшается продолжительность депрессии.

Литература:

1. Вогралик В.Г., Вогралик М.В. Пунктурная рефлексотерапия.Чжэнь-цзю.-Горький: Волго-Вятское кн.изд-во. 1988. – 335 с.
2. Самосюк И.З., Лысенюк В.П. Акупунктура.Энциклопедия. «АСТ-Пресс» (Москва), 1994.- 544 с.
3. Гаваа Лувсан. Традиционные и современные аспекты восточной рефлексотерапии.- 2-е изд., перераб.- М.: Наука, 1990.- 576 с.
4. Мачерет Е.Л., Лысенюк В.П.,Самосюк И.З. Атлас акупунктурных зон.- К.: Вища шк. Головное изд-во, 1986.- 255 с.
5. Песиков Я.С., Рыбалко С.Я. Атлас клинической аурикулотерапии.- М.: Медицина, 1990.- 256 с.
6. Уорен Фрэнк. Медицинская акупунктура. Пер. с англ. Киев: Вища школа. Головное из-во. 1981.- 224 с.

ალიმენტარული სიმსუქნის მკურნალობის კომპლექსური მეთოდი

გივი ყურაშვილი
სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
E-mail:.givis_posta yahoo.com.
Tel: 5 93 30 77 20

რეზიუმე

გამოკვლევულია ჭარბი წონის მქონე 46 პაციენტი, ორივე სქესის, რომელთა საშუალო ასაკი იყო 53 წელს და საშუალოდ მასის ინდექსი უტოლდებოდა 41 კგ/მ-2. ისინი დაყოფილი იქვენენე ორ ჯგუფად: პირველ ჯგუფში პაციენტები იღებდნენ დაბალკალორიულ დიეტას, ფიზიკურ დატვირთვებს, აგრეთვე კვირაში ერთხელ ჰქონდათ განტვირთვის დღეები. მეორე ჯგუფში - დამატებით უტარდებოდათ კორპორალური აკუპუნქტურა და აურიკულოპუნქტურა. ყველა პაციენტს წინასწარ ჩაუტარდა კლინიკური და ლაბორატორიული გამოკვლევები და აგრეთვე კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილის, წყლის შემცველობის და მკვრივი მასის პარამეტრების განსაზღვრა. აკუპუნქტურულ რეცეპტში შედიოდა ფილტვების, ღვიძლის, ნაღველის ბუშტის, კუჭ'უკანა ჯირკვლის, თირკმლების და სხვა მერიდიანების ბიოლოგიურად აქტიური წერტილები, თანმხლები პათოლოგიების გათვალისწინებით. აურიკულოპუნქტურა ტარდებოდა ვერცხლის მიკრონემსების ჩატოვებით რამოდენიე დღით ყურის სხვადასხვა წერტილებში (კუჭი, პირის ღრუ, ღვიძლი, ფილტვები და სხვა). დადგინდა ცხიმოვანი ქსოვილის სწრაფი და უფრო სანგრძლივი კლება პაციენტების მეორე ჯგუფში, აგრეთვე დაბალკალორიული დიეტის ფონზე სუბიექტიური მოვლენების ნიველირება.

Complex method of nutritional obesity treatment

Givi Kurashvili
Associated Professor of Sukhishvili Teaching University
E-mail:.givis_posta yahoo.com.
Tel: 5 93 30 77 20

Resume

Research was conducted on 46 overweight patients with average age of 53 years and average BMI 41 kg/m-2. They were divided into two groups. Both groupswere obliged to follow a low calorie diet, be physically active, as well as haveonce a week a so-called "fasting" day; in addition, the patients from the second group received acupuncture and auriculopuncture treatments. Before starting the research all the patients were thoroughly examined and each had amount of fat tissue under skin, water amount in body and lean mass measured. Acupuncture receipt included lungs', livers, gallbladders, pancreas', kidneys' and other meridians biologically active spots; accompanied pathologies were taken into account. Auriculopuncture was conducted by leaving silver micro needles into specific spots of patients' ears for several days (stomach, mouth, liver, lungs etc.). It was found that patients in the second group lots more fat tissue compared to the first group.

გახშირებულ დაავადებათა კავშირი სამუშაო პირობებთან

გელა თუსარელი,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი
Tel: 591 22 66 05

თანამედროვე პირობებში წარმოებაში ხშირია საწარმოო ტრავმა და პროფესიული დაავადება, რომელიც შეიძლება მოხდეს ნებისმიერ დროს და ნებისმიერ დარგში (2).

პროფესიული დაავადება – ეს ის დაავადებაა, რომლითაც დაავადდა დაზღვეული პირი მუშაობის პერიოდში, ამავე დროს ეს დაავადება უნდა იყოს შეტანილი კანონით გათვალისწინებულ პროფესიულ დაავადებათა ჩამონათვალში (1).

საწარმოო ტრავმა – ეს არის ორგანიზმის ქსოვილების დაზიანება, რომელიც გამოწვეულია სახიფათო საწარმოო ფაქტორის მექანიკური ზემოქმედებით. მან შეიძლება გამოიწვიოს შრომისუნარიანობის დროებითი ან სრული დაქვეითება, ასევე სიკვდილი. ამიტომ ყველა მუშას და მომსახურე პერსონალს ამა თუ იმ მანქანა-დანადგარებთან სამუშაოდ უნდა ჰქონდეს ნებართვა და ჩატარებული ინსტრუქტაჟი (3).

ჩვენი ნაშრომის მიზანს წარმოადგენს საწარმოში დაფიქსირებულ უფრო ხშირ დაავადებათა გამომწვევი მიზეზების დადგენა და მათი კავშირი სამუშაო პირობებთან.

ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა ღია სააქციო საზოგადოება "აკორდ ჯორჯია"-ს სამედიცინო პუნქტში 2011 წლის პერიოდში დაფიქსირებული დაავადებები და ტრავმები.

სულ მოაკითხა 4884 პაციენტმა. თერაპიულ დაავადებათა შორის ჭარბობდა არტერიული პიპერტენზია 703 (14,0%). მის სავარაუდო მიზეზად ჩვენ განვიხილავთ გადაღლას, გადაძაბვას, უძილობას, ამინდის ცვლილებას. მეორე ადგილზე იყო გრიპი, გაციება 640 (13,0%), რომლის მიზეზად შეიძლება დავასახელოთ ამინდის ცვლილება, ეპიდემია. მესამე ადგილი დაიკავა ზედა სასუნთქი გზების დაავადებებმა (ფარინგიტი, ბრონქიტი, ანგინა) 538 (11,0%). ამის ძირითადი მიზეზია სიგარეტის წევა, გაციება. მეოთხე ადგილზე იყო სიმპტომატიკური ტკივილი (თავის ტკივილი, ნაწლავური კოლიკა), ვეგეტონევროზი, ზოგადი ინტოქსიკაცია 475 (10.0%). აქ გამომწვევ მიზეზად განვიხილავთ რადიაციულ ფონს ატმოსფეროში, დასიცხვას, გადაღლას. მეხუთე ადგილი შეადგინა ისეთმა დაავადებებმა, როგორიცაა რადიკულიტი, ნევრიტი, მიოზიტი 339 (7,0 %). აქაც ძირითადი მიზეზია გაციება, გადატვირთვა. სხვა დაავადებები გვხვდებოდა უფრო დაბალი სიხშირით, 0.2 –დან 6% -მდე.

ტრავმებიდან აღსანიშნავი იყო რბილი ქსოვილების ჭრილობები 276 (6,0 %), რბილი ქსოვილების დაჟეჟილობები 109 (2,0 %), ძვლის მოტეხილობა, ამოვარდნილობა 19 (0,4 %). აღნიშნული ტრავმების ძირითად მიზეზად ჩვენ ვასახელებთ დამცავი საშუალების არ გამოყენებას, გაუფრთხილებლობას.

ამრიგად, ჩვენს საწარმოში მომუშავე პერსონალს შორის ყველაზე ხშირი იყო პაციენტთა მკურნალობა არტერიული ჰიპერტენზიით 14 %, რამაც წინა წელთან შედარებით დაიკლო 1,4 % - ით. შემდეგი დაავადებაა გაციება, გრიპი, რომლის პროცენტი წინა წელთან შედარებით იგივე დარჩა 13%. წინა წელს მესამე ადგილს იკავებდა გასტროენტერიტი (კუჭ-ნაწლავის მოქმედების მოშლა) 9,5 %, რაც

შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო დიეტის დარღვევით, დაუქლორაცი სასმელი წყლით. ჩვენს მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად აღნიშნული დაავადების სიხშირემ დაიკლო 3,5 %-ით და შეადგინა 6%. ისი ადგილი დაიკავა ზედა სასუნთქი გზების დაავადებებმა 11%. მეოთხე ადგილზე კვლავ სიმპტომატიკური ტკივილი იყო, რომლის პროცენტი წინა წელთან შედარებით თითქმის იგივე დარჩა 10 %. მეხუთე ადგილზე გამოვიდა რადიკულიტი, ნევრიტი, მიოზიტი 7%, რამაც ტრავმული დაზიანებები ჩაანაცვლა.

რაც შეეხება ტრავმებს, მათი სიხშირე გასულ წელთან (8,9%) შედარებით შემცირდა 2,9 % -ით და 6% შეადგინა. ეს შედეგი მიღწეულ იქნა უსაფრთხოების ტექნიკის გაძლიერებული დაცვით, მომუშავე პერსონალს შორის ტრენინგების ჩატარებით (პირველადი ექიმამდელი დახმარება ტრავმებისა და დაზიანებების დროს). უნდა აღინიშნოს რომ 2011 წელს დაფიქსირდა ტრავმების სტაციონარული მკურნალობის 10 შემთხვევა. დანარჩენი ავადმყოფების მკურნალობა ტარდებოდა საწარმოს სამედიცინო პუნქტში. ამასთან 25 ამბულატორიული ოპერაცია და 4 თაბაშირის ნახვევის დადება შესრულდა.

აქედან გამომდინარე, ვაყალიბებთ დ ა ს კ ვ ნ ე ბ ს:

1. ჩვენი მონაცემებით, სამუშაო პირობების გაუმჯობესების გზით შესაძლებელია ზოგიერთი დაავადების და ტრავმის სიხშირის შემცირება 2,9 -3,5 % -ით.
2. დადგინდა, რომ ისეთ დაავადებებზე, რომლებიც დაკავშირებულია ამინდის ცვლილებასთან, ეპიდემიასთან, რადიაციულ ფონთან და ა.შ. სამუშაო პირობების გაუმჯობესება არ მოქმედებს და მათი სიხშირე თითქმის უცვლელია.
3. ჩვენი აზრით, მუშაობის გარკვეული რეჟიმის დაცვა, დასვენების დღეების გამოყენება, პირადი ჰიგიენის ნორმების დაცვა, ორგანიზმის გაკაჟება, მაღნე ჩვეულების უარყოფა მრავალ დაავადებას საგრძნობლად შეამცირებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Производственные травмы. nalogI.org.ll / Proizvodstvennie travmi ...
2. Гриценко В.В. Игнатов Ю.Д.Амбулаторная хирургия – Москва, 2002.
3. Производственная травма. Виды. www.medicheep.ru/posts/view/7700

Connection between frequent diseases and working conditions

R e s u m e

Gela Tukhareli
Academic Doctor of Medicine
Tel: 591 22 66 05

The medical point of "Akkord Georgia" situated in Gori, was visited by 4884 patients in 2011. Among the traumas dominated different Kinds of wounds, bruises – 6,0 %, also there were fractures wrenches. From the therapeutic profile, on the first place there was arterial hypertension – 14,0 %, on the second place- grippe, influenza – 13,0 %, then acute pharyngitis, bronchitis – 11 %. In our opinion the reason of all these is lack of technical safety measures, tiredness, insomnia, weather change, a diet undo.

სექცია №8

ტ უ რ ი ზ მ ი

სექციის თავმჯდომარე: ნაილი მელანაშვილი

ტურიზმის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა საქართველოსთვის

ნაილი მელანაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი E-mail: naili70@yahoo.com

ტურიზმი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის მეტად მნიშვნელოვანი და მიმზიდველი დარგია. ტურიზმის პრიორიტეტულობის საფუძველს წარმოადგენს დარგის მაღალი ექსპორტ-ტევადობის დონე. ტურიზმი ხელს უწყობს ეროვნული ეკონომიკის განვითარებას და ადამიანთა სოციალურ-კულტურულ ცხოვრებაში ურთიერთობის ყველაზე მასობრივ და ცივილიზებულ ფორმად ითვლება.

ტურიზმის დარგის განვითარება პირდაპირ დაკავშირებულია სოციალურ, კულტურულ, საგამანათლებლო და ეკონომიკურ სფეროებთან. მეტად საყურადღებოა საერთაშორისო ტურიზმის როლი მსოფლიო ეკონომიკაში.

კერძოდ: ტურიზმზე მოდის მსოფლიო ექსპორტის დაახლოებით 11% და მომსახურების სფეროში მსოფლიო ვაჭრობის 37%. მსოფლიო მასშტაბით ტურიზმის სფეროში დასაქმებულია დედამიწაზე არსებული სამუშაო ძალის 16%-ზე მეტი. ამ დარგში იქმნება მსოფლიო შიდა პროდუქტის 10%, კერძო მომსახურების - 10,9%, მსოფლიო ინვესტიციების - 11,8%, ტურისტები უცხო ქვეყანაში მოგზაურობის დროს ხარჯავენ 600 მილიარდ ამერიკულ დოლარს.

ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის პროგნოზით, 2020 წლისათვის ტურისტების რიცხვი 1,560 მლრდ ადამიანს მიაღწევს. ზრდის ყველაზე მაღალი ტემპებია მოსალოდნელი აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნებში. მომსახურების ამ სეგმენტიდან შემოსაელები გაიზრდება 5-ჯერ: 1995 წლის 399 მლნ დოლარიდან, 2020 წელს 2 ტრილიონ დოლარამდე. ასევე გადიდდება ტურისტების დანახარჯი ერთ მოგზაურობაზე (შესაბამისად, 707 დოლარიდან 1248 დოლარამდე).

საქართველოში ტურიზმის განვითარებისათვის საკმაოდ დიდი და მრავალფეროვანი რესურსული პოტენციალია.ტურიზმი ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთი სპეციფიკური დარგია. მისი განვითარება სტიქიურად, ხელაღებით არ შეიძლება. საჭიროა ტურიზმის, როგორც თანამედროვეობის ერთ-ერთი ფენომენის, სიღრმისეულად და მეცნიერული მეთოდებით შესწავლა და ყოველივეს გათვალისწინებით მისი განვითარებისათვის სწორი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შემუშავება. ქვეყნის ეკონომიკა და ტურიზმი მჭიდროდ ურთიერთმოქმედებენ, კერძოდ, ქვეყნის მაღალი ეკონომიკური პოტენციალი და სტაბილურობა ტურისტული ბიზნესის განვითარების საწინდარია და პირიქით, ტურიზმის განვითარება თვით ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს კიდევ უფრო ამყარებს და აძლიერებს. ამ თვალსაზრისით ტურიზმი ეროვნული მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად, მაღალი პოტენციური შესაძლებლობებით გამოირჩევა. ტურიზმს მაღალი მულტიპლიკაციური ეფექტი ახასიათებს, რაც იმას გულისხმობს, რომ ამ დარგში ერთი სამუშაო ადგილის შექმნა განაპირობებს უფრო მეტი (მინიმუმ ორი) ახალი ადგილის შექმნას სხვა დარგებში, რადგანაც უცხოელი ტურისტების ნაკადის ზრდა ერთგვარი მყიდველობითი გენერაციის ფუნქციას ასრულებს და ხელს უწყობს ქვეყანაში ეროვნული ეკონომიკის

მომიჯნავე დარგების (სოფლის მეურნეობა, კვების მრეწველობა, ტრანსპორტი, მშენებლობა და ა.შ.) განვითარებას.

„საქართველოში, ექსპერტთა ნაწილი ხაზს უსვამს იმას, რომ ჩვენთან ტურიზმი ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება უნდა იყოს, მაგრამ არა ერთადერთი. მათივე რეკომენდაციით ჩვენთან უფრო დიდი პრიორიტეტი სოფლის მეურნეობის და მრეწველობის განვითარება უნდა იყოს და მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია ვისაუბროთ ტურიზმის განვითარების პერსპექტივებზე.“საქართველოში ტურიზმის განვითარების მართლაც დიდი პოტენციალია, თუმცა ეს დარგი სრულყოფილად არ არის განვითარებული, ვინაიდან მისი წილი მთლიან ეროვნულ პროდუქტში ჯერ კიდევ მცირეა. აღსანიშნავია ზრდის ტენდენცია საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტი ს სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით

2009წელს შემოვიდა 334483 ათასი ტურისტი,ხოლო2010წელს 432458

ათასი ტურისტი აღინიშნება 29% ზრდა. ყველაზე ხშირად მონახულებად ადგილებს წარმოადგენს: თბილისი, ბათუმი, სიღნაღი, მცხეთა და შემდეგ სხვა დანარჩენი კურორტები.

2011 წელს ტურიზმის წილი ქვეყნის მთლიან გამოშვებაში იყო 7.1%. მთლიანმა შემოსავალმა საერთაშორისო ტურიზმიდან გადააჭარბა 935 მილიონ ამერიკულ დოლარს.

ნახაზი 1



სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2012 წლის პირველი ხუთი თვის განმავლობაში საქართველოში 1 299 685 ვიზიტორი შემოვიდა. საქართველოს სახელმწიფო საზღვარი 2011 წელს 2 822 363-მა ადამიანმა გადმოკვეთა. 2012 წლის ხუთი თვის მონაცემი 2011 წლის ვიზიტორების რაოდენობის თითქმის ნახევარს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ 2012 წლის მაისში, მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში, საქართველოში 321 164 სტუმარი შემოვიდა, რაც 2011 წლის მაჩვენებელს 57,3 პროცენტით აღემატება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ 2012წლის მაისის მაჩვენებელი 2011 წლის იელისი-აგვისტოს მაჩვენებელსაც აღემატება. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტს რეკომენდაცია გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციამ გაუწია და ჩატარდა კვლევები. კვლევის შედეგად რამდენიმე საინტერესო ტენდენცია გამოვლინდა. კერძოდ: მეზობელი ქვეყნების მოქალაქეთა გარდა, საქართველოში ჩამოსულ ტურისტთა შორის გერმანელი,

ამერიკელი, ბრიტანელი და ფრანგი მოგზაურები ჭარბობენ. ტურისტთა 30 პროცენტის ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლა საქმიან და პროფესიულ მიზანს უკავშირდება. მეგობრებისა და ნათესავების მოსანახულებლად ტურისტების საერთო რაოდენობის 25 პროცენტი ჩამოდის, დასვენებისა და რეკრეაციის მიზნით კი - 23 პროცენტი. აღსანიშნავია, რომ თითოეული ტურისტი საქართველოში საშუალოდ 1502 აშშ დო ლარს ხარ ჯავს, დღიურად - 337 აშშ დოლარს.

ცხრილი 1

ტურიზმის სფეროებში პროდუქციის მთლიანი გამოშვება (მლნ):

	2008	2009	2010	2011
სასტუმროებისა და კემპინგების მომსახურება	140.0	111.8	147.5	181.7
რესტორნების, ბარების, სასადილოების მომსახურება და მზა საკვების მიწოდება	484.6	529.2	639.1	774.2
სარკინიგზო ტრანსპორტი	85.0	86.0	110.5	125.0
სხვა სახმელეთო ტრანსპორტი და საზღვაო და კაბოტაჟური წყლის ტრანსპორტი	559.6	526.0	624.4	832.
საჰაერო ტრანსპორტი	163.9	199	205.6	189.4
სამოგზაურო ბიუროებისა და ტურისტული აგენტების საქმიანობა; ტურისტებისათვის დახმარების აღმოჩენა	292.0	271.5	347	418.6
სულ, ტურიზმის სფეროებში პროდუქციის მთლიანი გამოშვება	1725.2	1724.1	2075.1	2521.2
ქვეყნის პროდუქციის მთლიანი გამოშვება საბაზისო ფასებში (მლნ. ლარი)	28,318.8	26,515.	30,467.3	35,625.2
ტურიზმის სფეროების წილი ქვეყნის მთლიან გამოშვებაში (%)	6.1	6.6	6.8	7.1

წყარო: 2012, საქსტატის ოფიციალური ვებგვერდი.www.geostat.ge

საქართველოს მთლიანად და მის ცალკეულ რეგიონებს ტურიზმის განვითარების უზარმაზარი შესაძლებლობები აქვს. ტურიზმის სფეროში ჩვენი ქვეყნის პოტენციალის დამახასიათებელი ფაქტორებია: მსოფლიო ტურიზმის ყველაზე დიდ ბაზართან - დასავლეთ ევროპასთან სიახლოვე, შესანიშნავი კლიმატური პირობები, მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა და უძველესი ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები.

მიუხედავად ამისა უმნიშვნელოვანესი პრობლემები არსებობს ქვეყანაში დარგის განვითარების საქმეში:

- ტურიზმის განვითარების ერთიანი სტრატეგიული გეგმის არ არსებობა.
- დაბალია საერთაშორისო ბაზრებზე ქვეყნის ცნობადობა.
- ქართულ ბაზარზე დაბალ ბიუჯეტიანი ავიაკომპანიების ოპერირების არარსებობა

- კვალიფიცირებული კადრების არ არსებობა როგორც სასტუმრო, სარესტორნო, ასევე უშუალოდ ტურისტულ ბიზნესში.

- მნიშვნელოვანია ინვესტორებისათვის საგადასახადო შეღავათების შეთავაზება და დაინტერესება

- კერძო სექტორის წარმომადგენლებისათვის მთავარ პრობლემას წარმოადგენს მაღალი გადასახადები

- ხელშეწყობა ახალი სასტუმროების მშენებლობაზე და ხელმისაწვდომი, ეფექტიანი ტურების დაგეგმვა

- თანამედროვე ინფრასტრუქტურის დანერგვა მასობრივად და შიდა საკონიმუკაციო სისტემების მოწესრიგება

პრობლემები ჯერ კიდევ ძალიან ბევრია, როგორც ტურიზმის განვითარების მხრივ, ასევე, საერთოდ, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კუთხით.

ტურიზმის სექტორს უმნიშვნელო ადგილი უკავია ქართულ ეკონომიკაში, რადგან გასაელები უფრო მეტია, ვიდრე შემოსაელები. მნიშვნელოვანია ტურიზმის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება,რადგან იმ რესურსის მატარებელ ქვეყანას, როგორიც საქართველოა, მხოლოდ დაგეგმილი და სწორად გათვლილი კონცეფციის ფარგლებში აქვს შესაძლებლობა განვითარდეს და გადაიქცეს ტურისტულ ცენტრად.

გამოყენებული ლიტერატურა.

1. საქართველოს კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ. თავი 2, მუხლი 4.
2. შუბლაძე ვ. საქართველო და ტურიზმი. თბ., 2004, გვ. 60.
3. შუბლაძე გ., დოლიკაშვილი ლ., ქიტაშვილი ა. ტურიზმის მარკეტინგი. თბ., 2007, გვ. 36.
4. შუბლაძე გ., დოლიკაშვილი ლ., ჯოლია გ., ჩეკურიშვილი ნ. ტურიზმის მენეჯმენტი. თბ., გვ. 36.
5. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის მასალები.
6. www.tourism.gov.ge
7. www.elkana.org.ge
8. www.mof.ge
9. www.garemo.itdc.ge

Social – economic importance of tourism development

Naili Melanashvili

Academic Doctor of Economics

Associated Professor of Sukhishvili Teaching University

E-mail: naili70@yahoo.com

For the development of tourism in Georgia is quite large and resource potential. Tourism in the national economy - a specific field. He developed spontaneously not be. Tourism is a modern one - a phenomenon, in-depth and scientific methods of study and the development of a national policy, taking into account everything.

სამკურნალო-განმაჯანსაღებელი ტურიზმი მსოფლიოში

თამარ ბუკია-ვერულაშვილი,
კონომიკის აკადემიური დოქტორი
სუხიშვილის სასწაველო უნივერსიტეტი მოწვეული პროფესორი
E-mail: bukiataia@gmail.com Tel: (+995) 593 36 69 79; (+995) 598 36 69 79

სამკურნალო-განმაჯანსაღებელი ტურიზმი მიეკუთვნება ტურიზმის ინდუსტრიის ერთ-ერთ ყველაზე ძველ სახეობას. მისი საფუძველია კურორტოლოგია, რომელიც იყოფა შემდეგ განყოფილებებად:

1. **ბალნეოლოგია** – შეისწავლის სამკურნალო მინერალურ წყლებს, მათ წარმოშობას, ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებს, ორგანიზმზე ზემოქმედებას სხვადასხვა დაავადებათა დროს, სამკურნალო თუ პროფილაქტიკური მიზნით.
2. **ბალნეოთერაპია** – ორგანიზმის დარღვეული ფუნქციების მკურნალობის, პროფილაქტიკისა და აღდგენის მეთოდებია ბუნებრივი წყლებითა და ამავე წყლების ხელოვნურად მომზადებული ნარევით როგორც საკურორტო, ისე კურორტის გარეშე პირობებში.
3. **პელოიდოთერაპია - ანუ ტალახით მკურნალობა** როგორც საკურორტო, ისე კურორტის გარეშე პირობებში.
4. **კლიმატოთერაპია** – ორგანიზმის მკურნალობისა და პროფილაქტიკის მეთოდების ერთობლიობაა კლიმატური ფაქტორებისა და სპეციალური კლიმატო-პროცედურების დოზირებული ზემოქმედებით.
5. **კურორტოგრაფია** – კურორტებისა და საკურორტო ადგილების ბუნებრივი პირობებისა და ადგილმდებარეობის აღწერაა მათი ბალნეოთერაპიული, კლიმატოთერაპიული და სხვა მახასიათებლების გათვალისწინებით.

ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანიდანაა შემორჩენილი კაპიტალური ნაგებობების ნანგრევები კარბონატული წყაროებთან **შვეიცარიის კურორტ სანკტ-მორიცის** მიდამოებში.

რომის იმპერიის პერიოდის ნანგრევებია შემორჩენილი რუმინეთის, უნგრეთის, ავსტრიის, საფრანგეთის, იტალიის, შვეიცარიის, გერმანიის კურორტებზე. რომის იმპერიის დიდებულთა შორის პოპულარობით სარგებლობდა კურორტი **ბაიი** (იტალია), ტერასებად განლაგებული თერმებით.

ადრე-შუასაუკუნეებში ცნობილ კურორტებად ითვლებოდა **პლომბიერ-ლე-ბენი** (საფრანგეთი) და **ახენი** (გერმანია), ცოტა მოგვიანებით პოპულარობა მოიპოვეს მინერალური წყაროებმა **სპამ, კოტრემ** და ქალაქმა **აბანო თერმემ** (იტალია), სადაც მინერალური წყლის ტემპერატურა +80 C^0-მდეა.

XIV ს-ის შუა წლებში დაარსდა კურორტი **კარლსბადი** (ამჟამად – **კარლოვი ვარი, ჩეხეთი**). ამაყე პერიოდიდან გახდა ცნობილი საკურორტო ქალაქი **ბადენ-ბადენი (გერმანია).**

XIV ს-ის ბოლოდან გვხვდება ცნობები თანამედროვე **პიატიგორსკის** ტერიტორიაზე არსებული ჩრდილოეთ კავკასიის ცხელი მინერალური წყლების

შესახებ, თუმცა მისი კურორტად ჩამოყალიბება განხორციელდა 1803 წლიდან. ამაეე წლიდან შენდება საცხოვრებელი ნაგებობები მჟაეე წყლის - ნარზანის გარშემო. მეფის ბრძანებით ამ ადგილს "მჟაეე წყლები" ანუ **კისლოვოდსკი** დაერქვა. 1810 წლიდან შენდება კიდეე ორი კურორტი: "რკინის წყლები" ანუ **ჟელეზნოვოდსკი** და **ესენტუკი** (ნარზანის სახესხვაობაა. მისი სახელი დაერქვა კურორტსაც).

XVII ს-ში საფრანგეთში შეიქმნა საკურორტო ინსპექცია, რომლის მოვალეობასაც წარმოადგენდა ზედამხედველობა კურორტების მდგომარეობასა და მათი ექსპლუატაციის პირობებზე.

XVIII - XIX სს-ში დაიწყო ეეროპული კურორტების განვითარებისა და აყეავების ხანა. **ბადენ-ბადენის, ვისბადენისა და კარლსბადისკენ** დაიძრა მოსახლეობის შეძლებული ფენა მთელი ეეროპიდან.

1958 წლიდან ჩამოყალიბდა საკურორტო საქმის საერთაშორისო ფედერაცია. აქედან იღებს სათავეს თანამედროეე საკურორტო ინდუსტრიაც.

დღეისთეის საკურორტო ტურიზმი ყეელაზე უკეთ არის განვითარებული საფრანგეთში, გერმანიაში, ავსტრიაში, ჩეხეთში, უნგრეთში, ბულგარეთსა და რუმინეთში. კურორტების განვითარების საქმეში დიდი ნახტომი გააკეთა ისრაელმა, რომელმაც მკედარი ზღვის სანაპირო კურორტოლოგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად აქცია.

ნებისმიერი კურორტის სპეციალიზაციას განსაზღერავს საკურორტო ფაქტორები, რომლებიც გამოიყენება ავადმყოფთა სამკურნალოდ, თერაპიისა და სამედიცინო რეაბილიტაციის მიზნით:

- ლანდშაფტურ-კლიმატური პირობები;
- სამკურნალო ტალახები;
- მინერალური წყლები.

ყეელა კურორტი იყოფა ექვს ტიპად:

- **ბალნეოტალახის კურორტი** – სადაც ძირითად სამკურნალო ფაქტორებად დომინირებენ მინერალური წყლები და სამკურნალო ტალახები;
- **ბალნეოკლიმატური კურორტი** – სადაც სამკურნალო ფაქტორებად გეეელინება მინერალური წყლები და კლიმატი;
- **ბალნეოლოგიური კურორტი** – სადაც სამკურნალო ფაქტორებად გეეელინება მინერალური წყლები როგორც გარეგანი, ისე შინაგანი მოხმარებისთეის;
- **ტალახის კურორტი** – სადაც სამკურნალო ფაქტორად გეეელინება სამკურნალო ტალახი;
- **კლიმატურ-კუმისო-სამკურნალო კურორტი** – სადაც სამკურნალო ფაქტორებად გეეელინება სტეპური და ტყე-სტეპური კლიმატი და კუმისი (ცხენის რძე).
- **კლიმატური კურორტი** – სადაც ძირითად სამკურნალო ფაქტორად გეეელინება ზღვისპირა და მთის კლიმატი.

უკანასკნელ წლებში ფართო გავრცელება პოეა სპა-კურორტებმა, რომელშიც ყურადღება გამახეილებულია ხუთ ფაქტორზე: სხეულის სისუფთაეე, სწორად სუნთქეა, სწორად კეება, სხეადასხეა სახის ვარჯიშები და მედიტაცია. ანუ, სპა-კურორტებზე დომინირებს შეხედულება: ***ჯანსაღ სხეულში - ჯანსაღი სული***. "სპა" არის აბრეეიატურა გამონათქეამისა: **Sanus Per Aqua** (SPA) ანუ "ჯანმრთელობა წყლის გამოყენებით".

ჯანმრთელობის აღდგენა მინერალური წყლებითა და სამკურნალო ტალახით ცნობილია ჯერ კიდევ ადრეული ხანიდან.

ბერძნები იყენებდნენ აბაზანებს სხვადასხვა მინარევებით.

ცნობილი **რომაული აბანაოები** – თერმები გვხვდება ჯერ კიდევ ჩვ.წ.აღ-მდე. კალიგულას დროიდან იყო პოპულარული თერმებში ბანაობა და დროსტარება. რომის იმპერიის დიდებულები თავაშვებული ორგიებსაც კი მართავდნენ ასეთ თერმებში აუზების გარშემო.

ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად ევროპაში შესუსტდა ბანაობისკენ სწრაფვა, ხოლო შუა საუკუნეების ევროპამ საერთოდ დაივიწყა ბანაობის კულტურა. ბანაობის ტრადიცია აღდგა მხოლოდ XVII ს-ის ბოლოს, როცა ხალხი დარწმუნდა, რომ ბანაობა არც თუ ძალიან საშიშია და პირიქით, სასრგებლოც კია ჯანმრთელობისთვის.

აღმოსავლეთში – პირიქით, ბანაობის ტრადიცია არა თუ მოიშალა, არამედ სულ უფრო და უფრო მეტი ყურადღება მიექცა: ინტენსიურად დაწყეს აბანოების მშენებლობა. განსაკუთრებით ცნობილი იყო თურქული აბანოები.

სპა-სასტუმროები ბალნეოკურორტებზე განთავსებულია თერმომინერალური წყაროების სიახლოვეს, რაც სხვადასხვა ავადმყოფობების სამკურნალოდ და პროფილაქტიკისთვის მათი გამოყენების საშუალებას იძლევა. დიდი და ძვირადღირებული სასტუმროების სპა-კომპლექსებში შედის როგორც ჩვეულებრივი წყლის პროცედურები (საუნა, აუზი, მასაჟი), ისე სპეციალური წყლის თერაპია, რომელიც გულისხმობს სპეციალური ფიზიოთერაპიული აღჭურვისა და ლიცენზირებული სპეციალისტების საჭიროებას.

სანატორიუმის ტიპის სპა-სასტუმროები მდებარეობს საკურორტო ზონაში და აქვთ ფიზიოთერაპიული პროგრამების სრული ნაკრები. ამ კურორტებზე სთავაზობენ **ველნეს-პროგრამებს**, რაც ნიშნავს სამი კომპონენტის ერთობლიობას. ეს კომპონენტებია:

- სწორი კვება;
- ოპტიმალური ფიზიკური დატვირთვა;
- მავნე ჩვევებისგან გათავისუფლება.

სანატორიუმის ტიპის სპა-სასტუმროებში გათვალისწინებულია დამსვენებლის განთავსება შხაპიან ნომერში, სადაც მას დახვდება ხალათი, ჩუსტები და პირსახოცი. ასეთ სპა-სასტუმროებში შესაძლებელია დამსვენებლის ფიზიკური მდგომარეობის სრული დიაგნოსტიკა, ხოლო სრულყოფილი მკურნალობის კურსის (21-24 დღის) გაელის შემდეგ – ხანგრძლივი რემისიის მიღწევა. ტრადიციული სპა-პროგრამები შევსებულია სპეციალური დიეტებითა და ფიზიკური ვარჯიშებით: სეირნობა ფეხით და ველოსიპედით, ტენისი, გოლფი. სპა-სასტუმროებს გარშემო უნდა ჰქონდეს კარგი გამწვანება და დახურული და ღია აუზები.

თალასოთერაპიის ცენტრების მქონე სასტუმროებში გამოიყენება როგორც ზღვის წყალი და ზღვის პაერი, ისე ზღვის პროდუქტებიც (წყალმცენარეები, ზღვის მარილი, სამკურნალო ტალახი, სანაპირო ქვიშა და ა.შ.). ზღვის წყალმა რეზერვუარებში უნდა დაჰყოს არაუმეტეს 48 საათისა და არასოდეს იქნეს გამოყენებული ხელმეორედ. ასეთი ცენტრები განსაკუთრებით ბევრია ევროპაში, - საფრანგეთში, კვიპროსზე, იტალიაში, ესპანეთში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში – სამუისა (ტაილანდი) და ბალის (ინდონეზია) კუნძულებზე. თალასოთერაპიის ცენტრების შექმნა და განვითარება სრულიად შესაძლებელია საქართველოშიც.

ჰიდროთერაპია მოიცავს შხაპის, აბაზანების, ორთქლის ინჰალაციების, დაზელვის, ცხელი და ცივი კომპრესების, შეხვევის პროცედურებს, რომელთა ხანგრძლივობა 3-4-დან 15-20 წუთამდე გრძელდება.

შხაპი შეიძლება იყოს რბილი ან მატონიზირებელი. წყლის ნაკადი მიმართული უნდა იყოს პერიფერიული ორგანოებიდან გულისკენ. შხაპი შეიძლება იყოს ცივი (+8... +18 ^{0}C), ინდიფერენტული (+33...+35 ^{0}C), თბილი (+36...+39 ^{0}C) ან ცხელი (+40 ^{0}C –დან ზევით). **წყლის ნაკადის ფორმისა და მიმართულების მიხედვით** შხაპი არის: წვიმისებური, ნემსისებური, გაფანტული, ცირკულარული, ნაკადური (შარკო და შოტლანდიური), მარაოსებური და აღმავალი. **წყლის ნაკადის წნევის მიხედვით** არჩევენ დაბალწნევიანს (1,0 ატმ-მდე), საშუალო (1,5 – 2,0 ატმ.) და მაღალწნევიანს (2,5 – 4,0 ატმ). **მოქმედების ლოკალიზაციის მიხედვით:** საერთოს და ადგილობრივს. კომპლექსური შხაპის განსახორციელებლად საჭიროა რთული მოწყობილობის - **Snail shower**-ის გამოყენება, რომელშიც შვიდი სახეობის შხაპია თაავმოყრილი და ზემოქმედებს ორგანიზმის შეგრძნებებზე, ყნოსვასა და მხედველობაზე.

აბაზანები – იყოფა საერთო, ადგილობრივ და ნახევრადაბაზანებად.სპა-ცენტრებში ფართოდ გამოიყენება აბაზანები მინერალური წყლით, მინერალიზაციის სხვადასხვა ხარისხითა და სხვადასხვა ტემპერატურით.

სპა-სასტუმროში ცხოერება ექვემდებარება ერთ მიზანს: ყოველი დამსვენებელი უნდა გამოჯანმრთელდეს, მოეშვას, მოდუნდეს, მოეხსნას სტრესი, გაუთიშოს ყოველდღიურ სამუშაოს. დამსვენებლები იმოსებიან სპორტულ ტანსაცმელში,. მობილურ ტელეფონებისა და პარფიუმერიის გამოყენება დაყვანილია მინიმუმამდე. რესტორანში მათ სთავაზობენ დაბალანსებულ და ჯანსაღ საკვებს.

ძვირადღირებულ სპა-სასტუმროებში ხშირად სთავაზობენ "კლეოპატრას აბაზანას" არომათერაპიის გამოყენებით. აბაზანაში უმატებენ ზღვის წყალს ან ზღვის მარილს, წყალმცენარეებს, ღვინოს, რძეს, თაფლს, ვარდის ფურცლებს, მწვანე ჩაის, ყვავილებისა და ბალახის ნაყენს, სამკურნალო საშუალებებს, ეთერზეთებს. აქტიურ წყალსამკურნალო პროცედურებს მიეკუთვნება ცივი დაზელა და სხვადასხვა ტემპერატურის მქონე წყლის გადავლება.

თანამედროვე სპა-სასტუმროებში არის აბანოების ექვსამდე სახეობა.

1. **უძველესია ბერძნული და რომაული თერმები** მშრალი და სველი აბანოს ოთახებით, დასაენებელი ოთახებითა და გასახდელებით.
2. **თურქულ აბანოებში** იატაკი ცხელდება ცხელი ჰაერით. ასეთ იატაკზე დაღვრილი ცხელი წყალი წარმოქმნის სქელ კვამლს.
3. საკმაოდ პოპულარულია **ფინური საუნები.**
4. არანაკლებ პოპულარულია **რომაულ-ირლანდიური აბანოები.**
5. ცნობილია ტრადიციული **რუსული აბანოების** გამაჯანსაღებელი და სამკურნალო ეფექტი სხვადასხვა არომატული ცოცხის გამოყენებით.
6. ინტერესი იზრდება ტრადიციული **იაპონური აბანოებისადმი: მშრალი აბანო** – ცხელი ნახერხის გამოყენებით და **წყლის**, - რომელიც მოწყობილია ხის დიდ კასრში. [1]

ჯანმრთელობის განსამტკიცებლად, ბუნებრივ-რეკრეაციულ რესურსებს საკმაოდ დიდი ხანია იყენებენ საქართველოში.

აბასთუმნის მინერალური წყლები სამკურნალოდ გამოიყენებოდა ჯერ კიდევ I ს-ში, თბილისის თერმული გოგირდოვანი წყლები – IV ს-ში, წყალტუბოს თერმული

წყლები – XII ს-ში. ძალზე პოპულარული იყო **ბესლეთის (სოხუმთან)** პიდრომინერალური რესურსები. კურორტების ინტენსიური მშენებლობა დაიწყო XIX ს-ში. შეიქმნა კურორტები: **ბორჯომი, აბასთუმანი, კოჯორი, მანგლისი.**

საკურორტო სანატორიუმები აშენებულ იქნა **გაგრაში, ქობულეთში, მახინჯაურში, ციხისძირში.** მაგრამ ბუნებრივი რეკრეაციული რესურსების ათვისების დონე მეტად უმნიშვნელო იყო, ხოლო პოტენციურ დამსვენებელთა რაოდენობა – მეტად შეზღუდული. კურორტებით სარგებლობა შეეძლო მხოლოდ შეძლებულ პირთა ვიწრო წრეს. კურორტი გაგრა ეკუთვნოდა პრინც ოლდენბურგს, ბორჯომი და აბასთუმანი – რომანოვების დინასტიას, წყალტუბო – აზნაურ იოსელიანებს, ახალი ათონი – სასულიერო უწყებას და ა.შ.

მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ფუნქციონირება დაიწყო ახალმა კურორტებმა: **მენჯი, შოვი, საირმე** და ა.შ.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო აღმოჩენილი მინერალური წყლების შესწავლას. თუ **„ბორჯომის“** ჩამოსხმა ჯერ კიდევ 1890 წლიდან დაიწყო, 1930-1998 წლებში დაიწყეს საქართველოს სხვა მინერალური წყლების, - **“ვაჟასწყარო”, “ზვარე”, “ლუგელა”, “ნაბეღლავი”, “საირმე”, “სკური”, “უწერა”, “ყაზბეგი”, “ჯავა”,** – ჩამოსხმა. [2]

რეკრეაციული დანიშნულება აქვს აქვს ისეთ ბუნებრივ წარმონაქმნებს, როგორიცაა კარსტული მღვიმეები. ტურიზმის ეს სფერო – **სპელეოტურიზმი** – განვითარებულია ევროპის მრავალ ქვეყანაში, მ.შ. საქართველოშიც.

სრულიად ახალი და პოპულარული მიმართულება ღვინის თერაპიაა. ღვინო უხსოვარი დროიდან ითვლებოდა ღმერთების საჩუქრად. სწორედ “ღვთიურ საჩუქარი” იყო იმის მიზეზი, რომ ჯერ კიდევ ჩვენ წელთაღრიცხვამდე მოღვაწე ექიმებმა ღვინო ჩართეს ფარმაკოლოგიაში და იყენებდნენ მას, მრავალი წამლის საფუძვლად.

თანამედროვე მედიცინაც არ უარყოფს ნატურალური ღვინის განსაზღვრული რაოდენობის დადებით მოქმედებას ზრდასრული ადამიანის ორგანიზმზე. კლინიკური დაკვირვებების შედეგად დადასტურებულია ყურძნის ღვინის **დიეტური და სამკურნალო თვისებები** მთელი რიგი სხვადახვა დაავადებების წინააღმდეგ. ღვინოების სხვადასხვა შედგენილობა კი აპირობებს მის დანიშნულებას მკურნალობის დროს: მსუბუქი **სუფრის თვთრი ღვინოები** –დიეტურია, **წითელი** – ტონუსური, **მაგარი ღვინოები** – აღმგზნები, **ტკბილი და ექსტრაქტული ღვინო** – კვებითი ღირებულებით ხასიათდებიან.

ღვინო, მასში შემავალი მინერალური ნივთიერებების გამო, ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში გამოიყენებოდა სისხლნაკლულ დედათა და ბავშვთა სამკურნალოდ. ღვინოში მინერალური ნივთიერებები წარმოდგენილია, როგორც მაკრო- **(K, Na, Mg, P, S, Cl)**, ასევე მიკროელემენტების **(Mn, Fe, Cu, Co, Br, F, I)** სახით.

ღვინოში იდენტიფიცირებულია **PP, P, U** და **B** ჯგუფის ვიტამინები. **U** ვიტამინი ხელს უწყობს ხანდაზმულ ავადმყოფთა ჭრილობების ადვილად შეხორცებას ოპერაციის შემდეგ.

ღვინოები ხელს უშლიან ადამიანის ორგანიზმში ქოლესტერინის დაგროვებას და გამოიყენებიან თერაპიაში, როგორც სისხლძარღვთა გასამაგრებელი საშუალება. გამოვლენილია აგრეთვე მათი, როგორც სიმსივნის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური საშუალება.

კახური ტიპის ღვინოები გამოირჩევიან ანტიოქსიდანტური თვისებების მქონე ნაერთების მაღალი შემცველობით. ღვინო ანადგურებს პოლიიმიელიტის ვირუსს, რაც ფენოლური ნივთიერებების მოქმედებითაა გამოწვეული. ღვინის მსმელები ნაკლებად ავადდებიან გრიპით. ღვინოს გააჩნია ანტიკარიესული, ანტიმიკრობული და ანტიალერგიული მოქმედების უნარი.

ადამიანები, ვინც ზომიერად იღებს ალკოჰოლს, ნაკლებად ავადმყოფობენ გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით, ნაკლებად არიან მიდრეკილნი დეპრესიისკენ და არც ჭარბი წონა აწუხებთ. [3]

ეკონომიკური თვალსაზრისით რეკრეაციულ რესურსებს ნებისმიერი ქვეყნისთვის დიდი მნიშვნელობა გააჩნია, ვინაიდან მისი სწორად დაგეგმარებისა და გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელია ქვეყნის ეკონომიკის საგრძნობლად გაზრდა, გაზრდილი ეკონომიკა კი, თავის მხრივ, ქვეყანაში არსებული სხვადასხვა დარგების ზრდა-განვითარებას შეუწყობს ხელს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. *А. В. Бабкин* . **Специальные виды туризма. учебное пособие.** Ростов-на-Дону: Феникс, 2008
2. http://ekofact.com/category
3. **http://Error! Hyperlink reference not valid.**

Health improving- recreational tourism

in the World

Tamar Bukia - Verulashvili,
Sukhishvili Teaching University
bukiataia@gmail.com Tel: (+995) 593 36 69 79; (+995) 598 36 69 79

Resume

Health improving - recreational tourism belongs to the tourism industry, which is one of its oldest types. Its basis is balneology which is divided into 5 sections: balneology, balneotherapy, peloidotherapy, climatotherapy and resortography.

The International Federation of the Resort was founded in 1958. This is the beginning of the modern resort industry.

Nowadays resort tourism is best developed in France, Germany, Austria, Israel, the Czech Republic, Hungary, Bulgaria and Romania.

Spa resorts have become widespread in recent years, which dominates the view: "A sound mind in a sound body".

They are located in the vicinity of termomineral springs and have a full set of physiotherapy programs, - Velnes-Programs.

Thalassotherapy centers are in modern seaside hotels.

Hydrotherapy includes the procedures of a shower, bath, steam inhalation, massage, hot and cold compresses,wrapping up and etc.

Expensive spa - hotels often offer "Cleopatra bath" using aromatherapy. They add sea water or sea salt, algae, wine, milk, honey, rose petals, green tea, flowers and grass infusion, drugs, ethereal oils to the bath.

Karst caves have a recreational purpose. This sphere of tourism - Spaleotourism –is developed in many countries of Europe, including Georgia.

Winetherapy is a completely new and popular trend. From the standpoint of economics recreational resources are of great significance to any country, since in case of proper planning and using it is possible to have a significant increase in the country's economy, which in its turn, will assist the growth and development of various sectors in the country.

თაიმშერი – ტურისტული ინდუსტრიის ახალი მიმართულება

მაკა სოსანიძე
სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
Mob: 593 15 20 E-mail: 17m.sosanidze@mail.ru
სათუნა კაკაურიძე
გორის სასწავლო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
Mob: 577 43 58 79 E-mail:xato_kakauridze@mail.ru

თანამედროვე ეტაპზე საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს საკლუბო დასვენების სისტემა, ის ყველაზე უფრო მომგებიანი მიმართულებაა. მსოფლიო ტურისტულ ოპერატორებში. საკლუბო ტურიზმის სისტემა პირველად XX საუკუნის 60-იან წლებში წარმოიშვა ევროპაში და განიხილება როგორც დასვენების მიზნით უძრავი ქონების ობიექტის ფლობა განსაზღვრულ დროს, წინასწარ განსაზღვრული ეადით. საკლუბო ტურიზმის-თაიმშერის სისტემა ტურიზმის ინდუსტრიაში ერთ-ერთ სწრაფად მზარდ სექტორს წარმოადგენს.

„თაიმშერი" ინგლისური წარმოშობისაა და ნიშნავს „დროის განაწილებას". თანამფლობელობა, ანუ განთავსების კლუბური საშუალებების გრძელვადიანი დაქირავება განსაზღვრული დროის განმავლობაში მისი გამოყენების უფლებით, საკლუბო დასვენება განაწილებული დროის რეჟიმში.

ტურიზმის ეს მიმართულება უკვე 89 ქვეყანაშია დანერგილი და ამ სისტემით 4500-ზე მეტი კუროორტი და ტურისტული კომპლექსი მუშაობს.

„თაიმშერის" სისტემის დამსვენებლები, წარმოადგენენ მაღალი შემოსავლებისა და მოთხოვნილების კლიენტებს. მომხმარებელი ჯერ იხდის თანხას კლუბის წევრობისათვის და შემდეგ ყოველწლიურად საწევრო გადასახადს, საკლუბო მომსახურებისათვის.

თაიმშერ-ბიზნეს ინდუსტრია ყოველწლიურად აფართოებს გაყიდვების მოცულობას 16%-ით მსოფლიო ტურისტული ბაზარზე. კვლევებმა და დრომ აჩვენა, რომ აღნიშნულმა სექტორმა გაუძლო როგორც ეკონომიკურ, ისე ინდუსტრიალ კრიზისებს.

მაღალი შემოსავლები და შესაძლებლობები – ასეთია პროგნოზი იმ სასტუმროებისათვის, რომლებიც ამ სექტორში ერთიანდებიან.

საკლუბო ტურიზმის - „თაიმშერის" ინდუსტრიის სტრუქტურა მნიშვნელოვნად განსხვავდება ტრადიციული ტურიზმის ინდუსტრიის სტრუქტურისაგან. რაც გამოიხატება თაიმშერ კვირის შესყიდვის განსაკუთრებულ ფორმასა და მომხმარებლის უფლებების დაცვის პირობების გათვალისწინებაში.

საკლუბო ტურიზმის – თაიმშერის სისტემას უზარმაზარი შემოსავლები მოაქვს ქვეყნებისათვის, რომლებშიც ის ვითარდება. ეს სისტემა საშუალებას იძლევა დიდი

რაოდენობის ახალი სამუშაო ადგილების წარმოქმნისათვის, რადგანაც მონაწილეობენ ბანკები, სადაზღვევო, ტურისტული, იურიდიული, სამშენებლო კომპანიები, მოქმედი, მოდერნიზებადი და მშენებარე სასტუმროები, კურორტები და სხვა. დღესდღეობით საკლუბო კურორტების ქსელი მოიცავს 89 ქვეყანას, დასვენების მფლობელები კი ცხოვრობენ 191 ქვეყანაში.

საერთაშორისო ექსპერტთა შეფასებებით თაიმშერის მფლობელები შვებულების განმავლობაში საშუალოდ 20%-ით მეტს ხარჯავენ, ვიდრე, სხვა ტიპის ტურისტები. საკლუბო დასვენების სისტემა ასტიმულირებს არსებული და მშენებარე საკურორტო კომპლექსის განვითარებას.

დასვენების ფლობის სისტემა დღესდღეობით წარმოადგენს ტურისტული ბიზნესის სწრაფმზარდ სექტორს, რომელიც დასვენების ირგანიზაციასთანაა დაკავშირებული. დასვენების ფლობის სისტემაში მფლობელები ხშირად იძენენ რამდენიმე კვირას ერთ, ან რამდენიმე კურორტზე. ამასთან, კლუბში დამსვენებელი კლიენტების რიცხვი შეიძლება საგრძნობლად მეტი იყოს დასვენების მფლობელებზე.

თაიმშერ-ბიზნესის ძირითად უპირატესობას წარმოადგენს მისი მდგრადობა ეკონომიკური რყევებისადმი, მაშინ როდესაც მთელი ტურინდუსტრია ძალიან მგრძნობიარედ რეაგირებს ნებისმიერ უმნიშვნელო ცვლილებაზეც კი.

თაიმშერის პოპულარობის ზრდასთან ერთად იცვლება მისი სტრუქტურა და შემადგენლობა. თავისი განვითარების დაწყებით პერიოდში თაიმშერინდუსტრია ძირითადად მხოლოდ მცირე მეწარმეების ყურადღებას იქცევდა. ახლა ამ სექტორში საქმიანობენ მსოფლიო ინდუსტრიის ისეთი მსოფლიო ლიდერები როგორებიცაა: ჰილტონი, სენდანტი, მერიოტი, შერატონი, ჰოლიდეი ინნი და ასევე მსხვილი კომპანიების მთელი რიგი. სასტუმროების ჯგუფს აქვს უდავო დაინტერესება თაიმშერის მიმართ, დღესდღეობით მხოლოდ „მარიოტი" ავითარებს ქალაქური თაიმშერის კონცეფციას აშშ-ს გარეთ.

ექსპერტთა შეფასებით, კლუბური დასვენების სისტემის სექტორის ზრდის ტემპები შემდგომში დაახლოებით 4-ჯერ გადააჭარბებს ტურისტული ბიზნესის ზრდის საერთო ტემპებს, ხოლო, სასტუმრო ბიზნესის ზრდის ტემპებს 7-ჯერ. თაიმშერული ბიზნესი ჰყვავის იქ, სადც მისთვის შექმნილია შესაბამისი პირობები და გარანტირებულია მომხმარებლის უფლებების დაცვა.

თაიმშერ-პროდუქტების წარმატება საკურორტო რაიონებში, ჩვეულებრივად, აისახება დიფერენცირებული ფასწარმოქმნისა და მაღალი ფასების ერთობლიობად მთელი წლის განმავლობაში. ეს კი არის მოსახერხებელი ადგილმდებარეობის, კარგი ბუნებრივი კლიმატური პირობებისა და დიდი რაოდენობით დამატებითი მომსახურების ხელმისაწვდომობის შედეგი. აქედან გამომდინარე საქალაქო თაიმშერი განლაგებული უნდა იყოს ისეთ ადგილებში, რომლებიც მიმზიდველია ტურისტებისთვის მთელი წლის განმავლობაში. საუკეთესო სერვისის გარდა, კლიენტს ეძლევა საშუალება ხელი მიუწვდებოდეს მრავალრიცხოვან კულტურულ ღონისძიებებზე, ინფორმაციებზე, ცნობილი ბრენდების მაღაზიების მონახულებაზე და სხვა.

საქალაქო თაიმშერის პოტენციური კლიენტები არიან ადამიანები, რომელთაც აქვთ შემოსავლის მაღალი დონე, ხშირად მოგზაურობენ ბიზნესის გამო მსხვილ ქალაქებში. იმის გამო, რომ დიდ მეგაპოლისში უძრავი ქონების შეძენა ძვირადღირებული ვარიანტია, ოტელები უმეტესად გადატვირთულია. თაიმშერის ფლობა არის ფულადი სახსრების დაბანდებისათვის მეტად მომგებიანი, ამასთანავე არის გარკვეული ეკონომიაც.

საქალაქო თაიმშერის მყიდველებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კორპორატიულ დამკვეთებს, რომლებიც ყიდულობენ კვირეულ ბლოგებს, რასაც იყენებენ ღონისძიებების ჩასატარებლად ან თანამშრომელთა დასვენებისათვის. ასეთ დროს უფრო მისაღებია ისეთი რაიონები, რომლებიც განლაგებულია ქალაქთან ახლოს ან გარეუბნებში.

თანამედროვე ეტაპზე საკმაოდ წარმატებული ქალაქური თაიმშერ პროექტს წარმოადგენს ედინბურგის რეზიდენცია შოტლანდიაში. ამ პროექტს საფუძველი ჩაუყარა სამმა ბიზნესმენმა, რომლებსაც ჰქონდათ დიდი გამოცდილება თაიმშერის ინდუსტრიაში. მათ დროულად შენიშნეს ედინბურგის ტურისტულ ბაზარზე ამ კონცეფციის გამოყენების, კერძოდ ქალაქური თაიმშერის გამოყენების პერიოდი. ედინბურგი განსაკუთრებულად არ გამოირჩევა თაიმშერის რეალიზაციისათვის, მას არა აქვს ისეთი ბიზნეს პოტენციალი, როგორც ნიუ-იორკს, ლონდონს, პარიზს ან ბოსტონს. მაგრამ, მიუხედავად ამისა სარგებლობს რა კორპორატიული კლიენტების დიდი პოპულარობით, იგი მთელი წლის განმავლობაში გადატვირთულია.

მარკეტინგსა და გაყიდვებში გაწეული ხარჯები „უცნობი" სიდიდეა თაიმშერების ინდუსტრიისათვის. ეს ეხება საქალაქო თაიმშერებს, სადაც შეუძლებელია ზუსტი პროგნოზის გაკეთება. საქალაქო თაიმშერის პატარა დამოუკიდებელი პროექტებისათვის მარკეტინგისათვის გაწეული ხარჯების მართვა შეიძლება იქცეს დიდ პრობლემად. ამ შემთხვევაში მთავარი ამოცანაა ბაზრის წილის მოპოვებაში ბალანსის დაცვა, ასევე საკმაოდ მაღალი ტარიფები მარკეტინგში დანახარჯების მინიმიზაციისათვის. მაგალითად, რეკლამა, რომელიც გამოიყენა მანჰეტენკლუბმა ნიუ-იორკში. ისინი იყენებენ არჩევით გზავნილებს კომპანიის კლიენტთან, ასევე ათავსებენ რეკლამას თეატრალურ ბროშურებში, ცნობილი საკონცერტო დარბაზების აფიშებზე. ასეთი რეკლამის დახმარებით აღწევენ საკმაოდ მაღალ მაჩვენებელს, მათი საიტის მნახველთა რიცხვი აღწევს 400-500 კაცს.

ედინბურგის რეზიდენცია კი, პირიქით იყენებს მარკეტინგული აქციის წარმოებისთვის მესამე მხარეს. იყენებს გზავნილებს, ხალხმრავალ ადგილებზე აკეთებს რეკლამას, თავისი კლიენტების წახალისების სქემას, რეკლამას ეწევა თაიმშერ პროდუქციას ნაცნობებში და მეგობრებში. ამგვარად, დანახარჯი მარკეტინგში შეადგენს 18%-ს, მთელი ხარჯებისა რაც საკმაოდ დაბალია მთლიანად ინდუსტრიაში გაწეულ ხარჯებთან.

მიუხედავად იმისა, რომ საქალაქო თაიმშერი ვითარდება საკმაოდ ნელა, მასში ჩადებულია საკმაო პოტენციალი. როგორც კი ფასების ზრდა უძრავ ქონებაზე შეჩერდება მსხვილ ქალაქებში, შეიძლება უკვე ბაზარზე ახალი ტაიმშერ-პროდუქტების კომპანია-დეველოპერების გამოჩენა. არ შეიძლება მხოლოდ ინდივიდუალური მყიდველების სეგმენტით შემოფარგვლა, რეალური გარღვევა ამ

იდეისა შეიძლება უზრუნველყოს კორპორატიულმა კლიენტებმა. ეს მოხდება, როცა შეძენისა და საქალაქო თაიმშერ-ერთეულის ფასი იქნება თანამხვედრი კორპორატიული ფასდაკლების გათვალისწინებით და შედარებული იქნება სასტუმრო ნომრების ფასებთან.

ცნობილია სამი სახის საკლუბო დასვენება:

1. საკლუბო დასვენება განაწილებული დროის რეჟიმში – თაიმშერი;

2. საკლუბო დასვენება რეალური დროის რეჟიმში – ეს არის დასვენება, რომლის ხანგრძლივობა დამოკიდებულია კლუბის წევრის ქულების, საკრედიტო ქულების ან კლუბში მიღებული სხვა საზომი ერთეულების რაოდენობაზე, რომელიც განსაზღვრავს აგრეთვე სხვადასხვა კლუბის მიერ შეთავაზებული განთავსების ობიექტის არჩევანს;

3. საკლუბო დასვენება სასტუმროში, რომელიც კლუბური დასვენების სისტემაში შედის.

თაიმშერკლუბში დასვენების კვირის გამოყენებაზე საკუთრების უფლება, როგორც ტურისტული პროდუქტის სახე, წარმოადგენს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების საგანს. შეიძლება მისი ფლობა, გამოყენება და განკარგვა, მაგრამ მოცემულ პროდუქტს ახასიათებს სპეციფიკური თვისებები:

- საკლუბო დასვენების უფლება მყიდველზე დამტკიცებულია განსაზღვრული ვადით;
- ხელშეკრულების დადების დღიდან არაუგვიანეს ერთი თვისა დასვენების კლუბი მყიდველს შეიყვანს თავისი წევრების რეესტრში;
- დასვენების კლუბი მოვალეა უზრუნველყოს რეესტრის წარმოება და შენახვა დადგენილი წესით;
- გარდა ამისა, მყიდველს უფლება აქვს გაცვალოს თაიმშერკვირა, ასევე გააქირაოს, გაყიდოს, მემკვიდრეობით გადასცეს.

საკლუბო დასვენების სისტემას, უპირატესობებთან ერთად, გააჩნია ნაკლოვანებებიც:

კლიენტის ხისტი მიჯაჭვულობა დასვენების ერთი კლუბისადმი და დროისადმი, თუმცა, ამ დროს მოქმედებენ ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ დასვენების დროისა და ადგილის გაცვლას თაიმშერკვირის მფლობელთა შორის.

გაყიდვების მეორადი ბაზრის არსებობა, ე. ი. თუ თაიმშერკვირის მფლობელი რამდენიმე ხნის შემდეგ გადაწყვეტს გაყიდოს კლუბში თავისი წევრობა, მას ეს ძალიან გაუჭირდება, თუ საერთოდ შეძლო. დასვენების საკლუბო უფლება შეიძლება მიეყიდოს დასვენების კლუბის წევრებს მხოლოდ დასვენების კლუბის, ან სპეციალიზებული ორგანიზაციების მეშვეობით.

ერთ-ერთ ასეთ სპეციალიზებულ ორგანიზაციას წარმოადგენს RCI (Resort Condominiums International). RCI- დმი მიმართვით კლიენტს შეუძლია მიიღოს იმ

ფირმების სია, რომლებიც ახორციელებენ თაიმშერსერთიფიკატის გაყიდვას. მაგრამ ამ ფირმების საქმიანობაზე პასუხისმგებლობას არ კისრულობს.

მიუხედავად იმისა, რომ განთავსების ინდუსტრია საკლუბო დასვენება აღმავლობას განიცდის და ყოველწლიურად იზრდება იმ ტურისტთა რიცხვი, რომლებიც ისვენებენ თაიმშერული სისტემით, საქართველოში ტურიზმის ეს სახე თითქმის არ არის განვითარებული. ღამდენიმე წლის წინ ქეყანაში ფუნქციონირებდა რამდენიმე კომპანია, რომლებიც კლიენტებს სთავაზობდნენ საკლუბო დასვენებას, არა როგორც დასვენების საშუალებას, არამედ, როგორც საშუალებას ამერიკას და ევროპაში ემიგრაციისათვის. ერთ-ერთი ასეთი კომპანია იყო „ჰოლიდეი დირექტი", რომლის საქმიანობა აგებული იყო თაღლითობაზე და რამაც დიდი ზიანი მიაყენა საკლუბო დასვენების იმიჯს და განვითარებას. უცხოელი ბიზნესმენები დაინტერესებული არიან საკლუბო დასვენების განვითარებით საქართველოში, კერძოდ, ბაზალეთში. თუმცა, მანამ სანამ არ გადაიჭრება არსებული პრობლემები და არ იქნება მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეალური გარანტიები საქართველო უფრო და უფრო შორს იქნება საკლუბო ტურიზმის განვითარებისაგან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.მ.მეტრეველი„ტურიზმის და სტუმარმასპინძლობის საფუძვლები. თბილისი. 2011წ.

2. გ. შუბლაძე – საქართველო და ტურიზმი (სამაგიდო წიგნი) თბ. 2004 წ

3. .ბირჟაკოვი. ტურიზმის თეორია. თბ.2008 წ

4.Уокер Дж. Введение в гостеприимство. М., 2008г.

5. ბიზნესი და კანონმდებლობა-პერიოდიკა 2008წ

Timeshare industry in Tourism

Maka Sosanidze
Associated Professor of Sukhishvili Teaching University
Mob: 593 15 20 17
E-mail: m.sosanidze@mail.ru
Khatuna Kakauridze
Associated Professor of Gori Teaching University
Mob: .577 43 58 79
E-mail: xato_kakauridze@mail.ru

Resume

The time share system of club tourism, which is one of the most rapidly growing sectors in tourist industry, is a kind of tourism product formation. Timeshare is a co ownership or a long-term tenancy of club accommodation with a right of its use for a definite period.The system of club tourism or timeshare brings huge profits to the where it develops.

Although club holidaymaking industry is thriving and the number of tourists, who use that system is every year that type of tourism is not developed in Georgia. However, Georgia will be very far from the development of club tourism until it solves the problems existing in field and guarantees the protection of customers' rights.

ტურიზმის განვითარების სტრატეგია

გოდერძი შანიძე
ქუთაისის უნივერსიტეტი, ბიზნესისა და მართვის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი. gshanidze@mail.ru 599 17 34 22

შესავალი. ტურისტულ ბიზნესს განსაკუთრებული ადგილი უკავია ზოგად საკაცობრიო ფასეულობების სისტემაშიც: იგი ხელს უწყობს არა მარტო ეკონომიკის განვითარებას, არამედ გვეელინება საზოგადოების სოციალურ-კულტურული აქტივობისა და ურთიერთობების ყველაზე მასობრივ და ცივილიზებულ ფორმად. ამასთან, იგი წარმოადგენს ინტეგრირებულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას, რომელიც მზარდ ზეგავლენას ახდენს საზოგადოების მატერიალურ და სულიერ ცხოვრებაზე. შესაბამისად, მსოფლიოს ყველა განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყანა, რომელსაც გააჩნია ადგილობრივი შესაძლებლობები თავისი განვითარების მეტ-ნაკლები შანსი, დაინტერესებულია ტურიზმის წინსვლით.

ტურიზმი უდიდეს როლს ასრულებს სხვადასხვა აღმსარებლობისა და კულტურების ადამიანების ურთიერთობათა გაღრმავებაში. მისი საქმიანობა მიმართულია მსოფლიოს ხალხთა ურთიერთგაგებისა და საყოველთაო მშვიდობის დამყარებისაკენ.

დიდია ტურიზმის გავლენა თითოეული რეგიონის საერთო სოციალურ მდგომარეობაზე. ტურიზმის განვითარების კვალდაკვალ იქმნება ასეული ათასი ახალი სამუშაო ადგილი, ეითარდება საკომუნიკაციო სისტემები, მაღლდება ადგილობრივი მაცხოვრებლების კულტურა, განვითარების საერთო დონე და ა.შ. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეულ რეგიონებში, რომლებიც მოცილებულნი არიან სამრეწველო და კულტურულ ცენტრებს, მხოლოდ ტურიზმი ასრულებს ყველა ზემოთ აღნიშნულ ფუნქციას.

პრობლემის აქტუალობა. თანამედროვე ტურიზმის მდგომარეობის ანალიზი და მოწინავე ქვეყნების გამოცდილება გვარწმუნებს, რომ საერთაშორისო ტურიზმის განვითარებას თან სდევს შიდა, ნაციონალური ტურიზმის განვითარებისათვის ხელშეწყობა და პირიქით. შიდა ტურიზმი ხელს უწყობს ეროვნული ეკონომიკის სტაბილურობას, ეკონომიკის იმ დარგების განვითარებასა და ინტერესების ერთიანობას, რომლებიც ტრადიციულია ქვეყნისათვის, გააჩნია სათანადო რესურსი და რომლებიც, თავის მხრივ, ხელს უწყობენ ქვეყნის ეკონომიკის საერთო სტაბილურობას. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ ნაციონალური და საერთაშორისო ტურისტული საქმიანობა განუყოფელი შემადგენელი ნაწილია იმ აუცილებელი გარდაქმნებისა, რომლებსაც საფუძვლად უდევს:

- პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარება;

- ადამიანის უფლებების (დაფუძნებული მისი ღირსებისა და ინდივიდუალობის, ხალხის მორალური ღირებულებებისადმი პატივისცემაზე) დაცვა.

რამდენადაც ტურიზმი არის ერთ-ერთი ყველაზე შრომატევადი საქმიანობა, და ამავე დროს, წარმოადგენს მოსახლეობის დასაქმების რეგულიატორს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტურიზმში დასაქმებული ადამიანების პროფესიულ მომზადებას. ცხადია ჭეშმარიტებაა, რომ მხოლოდ განათლებულ, სათანადოდ მომზადებულ სპეციალისტს შეუძლია შექმნას კონკურენტუნარიანი პროდუქტი და შეძლოს მისი რეალიზაცია ტურისტული მომსახურების ბაზარზე.

მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას საფუძვლად უდევს გრძელვადიანი კონცეფციები, სტრატეგიები, მიზნობრივი პროგრამები, სამუშაო გეგმები და სხვა სახის კომპლექსური დოკუმენტები, რომლებიც შემუშავებულია საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობით, განხილული და მოწონებულია შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების მიერ და დამტკიცებულია უმაღლესი ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების მიერ. ასეთი დოკუმენტებით ხდება ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პრიორიტეტების დადგენა, მათი დინამიკისა და სტრუქტურის ტრაექტორიების განსაზღვრა, მიზანთა სისტემის დადგენა, მათი რესურსული უზრუნველყოფის დაგეგმვა და შესრულების ეადებისა და შემსრულებლების დავალდებულება. მოცემულ დოკუმენტთა სისტემა შიგა წერილი სამუშაოებისა და ღონისძიებების შესრულების მიმდინარეობაზე სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან ხორციელდება სისტემატიური მონიტორინგი-ზედამხედველობა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათში ხდება გარკვეული სხვა სახის კორექტივების შეტანა. შესაბამისად, ქვეყნის მთავრობა სისტემატურად ახდენს ნებისმიერი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამოქმედო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მოსმენას და სათანადო ღონისძიებათა კომპლექსის დასახვას, რათა მათ შესრულებას დადგენილ დროში საფრთხე არ დაემუქროს. ეკონომიკის გრძელვადიან განვითარებაზე ასეთი კომპლექსური და შედეგზე ორიენტირებული მიდგომა პრაქტიკაში კარგადაა აპრობირებული და მას, როგორც განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, სხვა ალტერნატივა არ გააჩნია.

ქვეყანაში შექმნილი რთული სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციები, მათი მრავალფეროვნება და მწვავე პრობლემათა გადაწყვეტილებისათვის თითქმის ყოველდღიური ოპერატიული ღონისძიებების გატარება არ იძლეოდა საშუალებას მომავალი განვითარების სიღრმისეული ანალიზისა და პროგნოზირებისათვის. თუმცა, ამ უკანასკნელ წლებში გამოკვეთილმა გარკვეულმა შედარებითმა სტაბილურობამ როგორც პოლიტიკაში, ასევე კონომიკაში შექმნა პირობები და პოლიტიკური ნება განვითარების მომავალი ტრაექტორიების უფრო გააზრებული განჭერეტისათვის. მის

რეალური პრაქტიკული პირველი მაგალითი უკვე სახეზეა, დარგობრივი და რეგიონული ხასიათის სტრატეგიული ხედვები და ორიენტირები გრძელვადიანი პერიოდისათვის. კერძოდ, საუბარია ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების ოთხ წლიან დოკუმენტზე ("საბიუჯეტო სტრატეგია"), რომლის განახლება ხდება ყოველწლიურად, აგრეთვე საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-1017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიაზე, რომლის ტრანსფორმაციის აუცილებლობა უკვე აშკარად დგას დღის წესრიგში.

საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების წარმატებულ ტრანსფორმაციად უთუოდ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ უკანასკნელ პერიოდში პრიორიტეტებმა გადაინაცვლეს ისეთ დარგებსა და სფეროებში, რომლებიც გრძელვადიან პერიოდში ორიენტირებულია დასაქმების ზრდისა და ცხოვრების დონის ამაღლებისაკენ. ასეთ მიმართულებას წარმოადგენს ქვეყნის ინფრასტრუქტურული კომპლექსი, სოფლის მეურნეობა და ტურიზმი.

ინფრასტრუქტურა თავისი ბუნებით დარგთა შორისი და რეგიონთა შორისი ხასიათისაა, რადგან მას თანაბარი მნიშვნელობა გააჩნია ქვეყნის, ოითეული მოქალაქის, ბიზნეს-სტრუქტურისა და მთლიანად სახელმწიფოსათვის. ინფრასტრუქტურული გარემოს ხარისხზე ბევრადაა დამოკიდებული უცხოური ინვესტიციების შემოდინება, საერთაშორისო ტვირთების გადაზიდვების განვითარება, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია –უცხოელი ტურისტების მოზიდვა. ინფრასტრუქტურას ასევე დიდი სამხედრო და პოლიტიკური დატვირთვაც გააჩნია. მისი ხარისხი მონაწილეობს ქვეყნის იმიჯის ფორმირებაში.

ქვეყნის ეკონომიკურ პრიორიტეტთა სისტემაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ტურიზმის განვითარება. ამ ბოლო პერიოდში ტურიზმისადმი სახელმწიფოებრივმა მიდგომამ მკაფიოდ გამოკვეთილი პრიორიტეტული სახე მიიღო. გამოიკვეთა მისი ძირითადი მიზნები და ამოცანები, შიდა პრიორიტეტული მიმართულებები, სახელმწიფო პრეფერენციების გამოყენების ვარიანტები და ა.შ. ტურიზმის პრიორიტეტულობასთან მიმართებაში გარკვეულ სპეციფიკას აქვს ადგილი. საქმე იმაშია, რომ ოფიციალურად ტურიზმის დარგი საქართველოს სამთავრობო დოკუმენტებში დიდი ხანია რაც პრიორიტეტულ მიმართულებად მოიხსენება. ტურიზმისადმი მაღალი სახელმწიფოებრივი ინტერესის გამომხატველია ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ 2008 წელს აშშ-ს მთავრობის ტექნიკური დახმარებით შემუშავდა „საქართველოში ტურიზმის განვითარების სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები". აღნიშნული „სტრატეგიის" ტრანსფორმაცია და მისი ახალ მოთხოვნებთან და გამოწვევებთან შესაბამისობაში მოყვანა ამ მიმართულების ხელმძღვანელების გადაუდებელი და აქტუალური ამოცანაა. ტურიზმის განვითარების ახალი სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობა ნაკარნახევია იმითაც, რომ ამ ბოლო ორ წელიწადში განხორციელდა მთელი რიგი ახალი ტურისტული

პროექტების რეალიზაცია და უახლოეს მომავალში გათვალისწინებულია კიდევ უფრო ფართო მასშტაბიანი პროგრამების რეალიზაცია.

მავე დროს „სტრატეგია“ საჭიროებს არსებით განახლებას, სრულყოფას, დამატებებს როგორც მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე ტრანსფორმაციული მოვლენების, ასევე ქვეყნის შიგნით განხორციელებული და მოსალოდნელი ეკონომიკური გარდაქმნებიდან გამომდინარე. არანაირი სტრატეგია არ არის მუდმივი და უცვლელი, არა თუ განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკის, არამედ სტაბილურად განვითარებულ ქვეყნებშიც კი.

2010 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინიციატივით ტურიზმის დეპარტამენტის ბაზაზე ჩამოყალიბდა სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო, რომლის მიზანია ქვეყანაში ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბება და განხორციელება, ასევე ტურიზმის განვითარების საფუძველზე ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა.

დასკვნები – ჩვენი აზრით, ტურიზმის განვითარების სტრატეგიის შემუშავების ყველაზე რთული უბანია მისი „მიბმა“, შეპირისპირება ქვეყნის ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიასთან. საუბარია იმაზედ, რომ ტურიზმი, როგორც ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი, უნდა ვითარდებოდეს სხვა დარგებთან დაბალანსებულად და პროპორციულად. ტურიზმის დარგის არც მეტისმეტი გადაჭარბებული შეფასება და არც მისი სათანადო დონეზე შეუფასებლობა შეიძლება. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საქართველოს ტურიზმის ძირითადი სფეროები ძირითადად მაინც ბუნებასთანაა დაკავშირებული – ზღვა და მთა. დანარჩენი სახეობის ტურიზმი შედარებით ნაკლებ შემოსავლიანია. ბუნებასთან დაკავშირებული ტურიზმი კი შედარებით მაღალ რისკიანია, შეიძლება მცირე თოვლი მოვიდეს ან საერთოდ არ მოვიდეს, შეიძლება ზღვისპირეთში დასვენების სეზონი ზედმეტად ნალექიანი აღმოჩნდეს, რაც მკვეთრად ამცირებს ტურისტების რაოდენობას. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ საქართველომ თავისი უნიკალური ბუნებრივი პირობები ტურიზმისათვის არ გამოიყენოს. ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობაც მაღალ რისკიანი დარგია და ბუნების ქცევა მასზე დიდადაა დამოკიდებული, მაგრამ ამ დარგზე არც ერთ ქვეყანას ხელი არ აუღია. ეორე მხრივ, ჩვენი აზრით, ტურიზმის აღიარება ქვეყნის ეკონომიკის განვითარების უმთავრეს დარგად, არ იქნება სწორი. იგ იუნდა იქნას განხილული როგორც ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული, შემავსებელი დარგი, რადგან ტურისტების ქცევა არაა სტაბილური და დამოკიდებულია მრავალ რისკ-ფაქტორთან. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველო გეოგრაფიულად მაღალ კონკურენტულ ტურისტულ ზონაში მდებარეობს (განსაკუთრებით თურქეთი), რაც, თავის მხრივ, ძალიან მაღალი სერვისულ სტანდარტების მიღწევას მოითხოვს. ის კი მოკლე დროში რთული

განსახორციელებელია. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ქვეყნის სოფლის მეურნეობა, რომელიც ინფრასტრუქტურასთან ერთად, მჭიდროდაა მიბმული ტურიზმთან, თავისი განვითარების დონით და მასშტაბებით ბევრად ჩამორჩება სხვა დარგებისა და სფეროების განვითარებას.

წინადადებები-საქართველოში ტურიზმის განვითარება აუცილებელია მოხდეს სპეციალისტების მიერ შემუშავებული სტრატეგიით, მასში გათვალისწინებული უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის ეროვნული და პოლიტიკური ინტერესები. ტურიზმის განვითარებას აუცილებლად თან უნდა სდევდეს სხვა მომიჯნავე დარგების განვითარებაც, რადგან ცალკე აღებული ეს სექტორი შეუძლებელია განვითარდეს სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის და ა. შ. დარგების განვითარების გარეშე.

ყოველივე ამის კვალობაზე ტურიზმის განვითარებით მიღწეული იქნება შემდეგი ეკონომიკური მიზნები: შემოსავლების ზრდა და დასაქმების სფეროების გაფართოება, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, სახელმწიფო შემოსაელების ზრდა და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დეკაძე ა. ტურიზმი (თეორია და პრაქტიკა) 2009 წელი
2. http://www.gnta.ge/
3. http://www.economy.ge/?category=4&lang=geo&dc=84

Tourism development strategy

Goderdzi Shanidze
Kutaisi University, Doctor of Business and Management
Associated Professor
E-mail: gshanidze@mail.ru
Mob: 5 99 17 34 22

Resume

Tourist business has a special place in the valuing system of general humanity. The most difficult part of working out the strategy of tourism development is its "binding", confrontation with the strategy of the country's united social-economic development. In Georgia it is essential for tourism development to take place with the strategy worked out by the specialists. Our country's national and political interests should be taken into consideration. Tourism development should be necessarily followed by the development of other adjoining fields as well. As this sector, separately can't be developed without developing the fields of agriculture, transport, communication, etc.

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი, 0179, ი. ვაჩნაძის გამზ. 1, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge